

ქართული  
ხალხური  
პოეზია

ტომი  
მეორე

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის  
ინსტიტუტი

ს ა გ მ ი რ ო

ლ ე მ ს ე ბ ი

ნ ა კ ვ ე თ ი  
პ ი რ ვ ე ლ ი

გ ა მ ი მ ც ე მ ლ ო ბ ა    : მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა : .

თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 7 4

8Г1 + 8ГФ  
899.962.1+398.22(47.922)  
ქ279

სარედაქციო კოლეგია:

ელენე ვირსალაძე, ქსენია სისარულიძე,  
მიხეილ ჩიქოვანი (მთავარი რედაქტორი)

ტომი შეადგინა, გამოკვლევა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო  
ქსენია სისარულიძემ

## წინასიტყვაობა

ქართული ხალხური პოეზიის სრულ კორპუსში საგმირო პოეზიას, საქართველოში მისი ძლიერი ტრადიციის გამო, ერთი პირველი ადგილი უკავია. ქართული ხალხური საგმირო ლექსები მუდამ იყო მკვლევართა თუ ფოლკლორის ენთუზიასტ-შემკრებთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. ეს ლექსები საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის ფოლკლორულ კრებულებში. გამოცემულია საგმირო ლექსების მცირე მოცულობის კრებულები, სრული სახით კი პირველად იბეჭდება. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ზეპირბრუნვაში ან კიდევ ცალკე პირთა კოლექციებში არ იყოს ისეთი ლექსი, რომელიც წიგნის გარეშე დარჩა. საგმირო ლექსები ქართული ხალხური პოეზიის ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სახეა და ძნელია, შეუძლებელიც არის, მისი ამომწურავად შეკრება თუ თავმოყრა. შეუძლებელია იმიტომ, რომ მისი ტრადიცია დღემდე ძლიერია. თუ ტომთა ან ცალკე თემთა ურთიერთდალაშქვრის ამბები ახლა დუხჭირი წარსულის მხოლოდ მწარე მოგონებაა, სამაგიეროდ ვაჟკაცობა და კაიკაცობა არის და მუდამ იქნება ხელოვნების ყველა დარგის და, ამგვარად, სიტყვიერი ხელოვნების უცვლელი თემა. ამიტომაც საგმირო პოეზიის ადრე შექმნილ ნიმუშებს ყოველდღიურად ემატება სხვადასხვა გარემოში კარგ ტრადიციაზე შექმნილი ლექსები.

როგორც წიგნის მეორე ნაწილიდან ჩანს, ტომში წარმოდგენილ ყველა ლექსს თანაბარი გავრცელება არა აქვს. ზოგი ლექსი მეტად გავრცელებულია. ასეთებია: „გიგა და გიორგი“, „შატილს გადილდა ხოხობი“, „შემომეყარა ყვიჩალი“ და მრავალი სხვა. ჩვენ არ დავერიდეთ ვარიანტების სიმრავლეს. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ვეცადეთ იგი სისრულით წარმოგვედგინა. თითოეულ ვარიანტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ვარიანტები აჩვენებენ ხალხური შემოქმედების სპეციფიკას, მის კოლექტიურობას, კონტამინაციისა და ციკლიზაციის მოვლენებს, ხშირად იძლევიან საშუალებას ლექსის რეალური საფუძვლის დასათარიღებლად ან მისი გენეზისის

საკითხების გასარკვევად. ვარიანტების ეთნოგრაფიული პრინციპით დალაგება გვაცნობს პოეზიის ცალკე უბანთა ტრადიციას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგი ლექსი მხოლოდ ერთი ჩანაწერით არის ცნობილი. ჩვენ ასეთი მასალებიც შევიტანეთ კრებულში. ჯერ ერთი, არ შეგვიძლია გადაჭრით თქმა იმისა, რომ მათი ვარიანტები არ არის ზეპირბრუნვაში. მეორეც, ისინი ავსებენ ამა თუ იმ თემატიკურ ჯგუფებს და საინტერესოდ წარმოსახავენ ჩვენი ქვეყნის წარსულის დამახასიათებელ მოვლენებს.

წიგნში წარმოდგენილი მასალები, როგორც შენიშვნებიდანაც ჩანს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ექსპედიციებისა თუ პირთა მიერაა მოპოვებული. ამ მასალათა ნაწილი ადრეც იყო დაბეჭდილი და წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის კრებულებში, ნაწილი მასალებისა კი პირველად ქვეყნდება. ტექსტები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, პირველწყაროთა მიხედვით წარმოვადგინეთ კრებულში. ჩვენ არ ვიცისრეთ მათი შესწორება, თუ ჩამწერის აშკარა შეცდომასთან არ გვქონდა საქმე. მკითხველს ამიტომ ნუ გაუკვირდება, თუ გასული საუკუნის ჩანაწერებშიც კი ისეთი ასოები, როგორცაა **ქ ან ჟ**, ზოგ შემთხვევაში დაცულია, ზოგჯერ კი არა. განსაკუთრებით ახალმოპოვებული მასალების შესწორებას მოვერიდეთ. ეს მასალები საინტერესოა დიალექტების ისტორიისთვისაც. თანამედროვე გათვითცნობიერებული მთქმელი ახლა თითქმის აღარ წარმოსთქვამს ადრე დიალექტისთვის დამახასიათებელ ბგერებს.

დაკვირვებამ ისიც გვიჩვენა, რომ ერთი და იგივე მთქმელი, ზოგჯერ ერთსა და იმავე ტექსტშიც კი ხან იყენებს ამ ბგერებს, ხან — არა. ამიტომ მიზანშეწონილად არ ვცანით ტექსტების შესწორება და უცვლელად დავტოვეთ. ტექსტების შემოწმებაში დაგვეხმარა დავით გოგუჭერი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების სიმდიდრემ და მრავალფეროვნებამ გვიკარნახა ტომის ორ ნაკვეთად წარმოდგენა. წიგნს უთუოდ გააჩნია ხარვეზები. ჩვენ მადლიერებით მივიღებთ მკითხველთა საქმიან შენიშვნებს. ამგვარ შენიშვნებს, ჩვენ თუ არა, მომდევნო თაობიდან ვინც იკისრებს ქართული ხალხური პოეზიის ამ მდიდარ უბანზე მუშაობას, გაითვალისწინებს.

ქსენია სიხარულიძე

## საგმირო პოეზიის ძირითადი საკითხები

### I. ჟანრის განსაზღვრისათვის

ქართველი ხალხის დიდ პოეტურ ქმნილებებს ამშვენებს ხალხური საგმირო პოეზია. იგი მძლავრი შენაკადია შინაარსით მდიდარი, ფორმით მრავალფეროვანი, საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ ფაქიზად გამოტარებული ზეპირი სიტყვიერი ხელოვნებისა. საგმირო პოეზია შეიცავს ლირიკულ-ეპიკურ ლექსებს. წარმოშობით სხვადასხვა ხნის საგმირო ლექსები ერთი უწყვეტი სიმღერაა სამშობლოს სიყვარულზე; მამაცობაზე, მეგობრობასა და კაცთმოყვარეობაზე, წარსულ ბედუკუდმართობაში ქართველი კაცის ქირში გაუტეხლობაა და ზნეობრივ სიფაქიზეზე. ხალხური პოეზიის ეს ჟანრი ჰეროიზმის უკეთილშობილესი იდეით ახლოსაა საგმირო ეპოსსა და ამავე ხასიათის საისტორიო ლექსებთან. ამავე დროს საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსები განსხვავდებიან სიტყვიერი ხელოვნების ამ ორი დარგისაგან. თუ საისტორიო ლექსი, როგორც სპეციფიკური უბანი ხალხური პოეზიისა, უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე საგმირო ეპოსი ან ლირო-ეპიკა, უკანასკნელი ორის მიმართ გასარკვევია საკითხი, რომელია უფრო ხნიერი ან გვიანდელი. მათი სათავე წინაისტორიული ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ დიდი საკითხის კვლევას განსაკუთრებით ართულებს ის, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ფიქსირება გვიან დაიწყო. საქართველოში, მცირე გამონაკლისს გარდა, უშუალო ჩანაწერები ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა მხოლოდ XIX საუკუნიდან გვაქვს. საგმირო ლირო-ეპიკა, როგორც პოეტური ჟანრი (და არა კონკრეტულად ის ნაწარმოებნი, რაც ახლა ხელთა გვაქვს), წარმოშობით მეტად ძველია. ალ. ვესელოვსკიმ პოეტური სინკრეტიზმის მოვლენათა მიმოხილვისას საგანგებო ყურადღება მიაქცია მცირე კულტურის მქონე ხალხთა (მაიორები, დაიაკები, თრაკიელები, მიზიელები და სხვ.) სამხედრო ცეკვა-პანტომიმას, რაც ბრძოლის დაწყების წინ სრულდე-

ბოდა და რომლის ფუნქციაც მეომართა გახელება იყო<sup>1</sup>. ეს გარემოება ანგარიშგასაწევია სამხედრო-სალაშქრო სიმღერების — საგმირო პოეზიის ამ მნიშვნელოვანი ციკლის წარმოშობისა, ტრადიციისა და სოციალური ფუნქციის შესწავლისას. ეპიკური ტრადიციის გათვალისწინებით, პოეტურ გვართა დიფერენცირების საკითხთან დაკავშირებით, აკად. ალ. ვესელოვსკიმ აღნიშნა აგრეთვე სამგლოვიარო ცერემონიაში დაღუპულ გმირზე მოთქმის ადგილი, ამ ცერემონიიდან საგმირო დატირების გამოყოფა და მისი ქცევა ტრადიციულ სიმღერად<sup>2</sup>. როგორც პოეტური მოვლენა მეტად ძველი ჩანს მდიდარი ციკლი ქართული ხალხური საგმირო ლექსებისა გმირის სიკვდილზე. აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება საგმირო ლირა-ეპიკა უფრო ხნეიერად მივიჩნიოთ, ვიდრე საგმირო ეპოსი. ერთი რამ კი მაინც უდავოა, პირველს მეორესთან ერთად დიდი როლი უნდა ჰქონოდა ხალხური შემოქმედების განვითარება-გამდიდრებაში.

ე. მელეტინსკიმ საგმირო ეპოსის პირველ წაყროდ სავსებით მართებულად მიიჩნია უკლასო საზოგადოების ხალხური ეპოსი<sup>3</sup>. საინტერესო და ანგარიშგასაწევია მკვლევარის მოსაზრება, რომ საგმირო ეპოსის სათავე არ უნდა იყოს პირველყოფილ თემურ წყობაში<sup>4</sup>. საგმირო ლექსების სათავე პანტომიმებსა თუ სხვა ზნე-ჩვევებშია, რაც შეეხება საისტორიო ლექსებს, არ უნდა იყოს ზუსტი მოსაზრება, თითქოს იგი შეენაცვლა კლასიკურ საგმირო ეპოსს<sup>5</sup>. ამავე დროს მკვლევარს ამ უკანასკნელის ერთ მთავარ წყაროდ მიაჩნია საისტორიო გადმოცემანი<sup>6</sup>. საისტორიო სიტყვიერების ეს ორი ქანრი — ლექსი და გადმოცემა თანაბრად ხნოვანია და თან დაყუა და ახლავს ყველა ხალხის ისტორიას. პეროიზმის მაღალი იდეის შემცველ სამივე ამ პოეტურ ქანრთა სპეციფიკის ძიებისას თავისთავად ისმის საკითხი, მათ შორის მსგავსება-განსხვავებისა. საგმირო ლექსების, როგორც პოეტური ქანრის, სპეციფიკის ძიებაც ამ მსგავსება-განსხვავების აღნიშვნას მოითხოვს.

ვ. პროპმა საგმირო ეპოსი მართებულად დაახასიათა როგორც იდეალური სინამდვილისა და იდეალური გმირის ამსახველი. მკვლე-

1 А. Н. Веселовский, Три главы из исторической поэтики, Собр. соч., I, 1913, გვ. 238—239 და სხვ.

2 იქვე, გვ. 279.

3 Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, Москва, 1963, გვ. 19.

4 იქვე, გვ. 424.

5 იქვე, გვ. 448.

6 იქვე, გვ. 90—92, 441 და სხვ.



ვარმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ეპოსში ხალხის დიდი ისტორიული გამოცდილება არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით არის განზოგადებული, რომ ეპოსს ახასიათებს სიდიადე, მონუმენტურობა. ასევე მართებულია მკვლევარის მიერ საისტორიო ლექსების განმარტება. უდავოა დებულება, რომ საისტორიო ლექსის სიუჟეტი, ფაბულა არ არის გამონაგონი, მის საფუძვლად ნამდვილი ამბავია. რაც შეეხება მოსაზრებას საგმირო ლექსების სპეციფიკაზე, იგი არ არის ზუსტი, მას ვერ გავიზიარებთ ქართული საგმირო ლექსების უანრობრივ თავისებურებათა განსაზღვრისას. ვ. პროპის დებულებით, საგმირო სიმღერები საისტორიოსაგან იმით განსხვავდება, რომ აგებულია მხატვრულ გამონაგონზე და მისი ისტორიული საფუძვლის დადგენა მხოლოდ დიდი ძიებით შეიძლება<sup>7</sup>. ეს დებულება შეიძლება მივიღოთ ზოგი მეტად არქაულ, მითიურ სამოსში გახვეული ნაწარმოების მიმართ. ქართულ ხალხურ პოეზიაში ასეთებია, მაგალითად, საფერხულო სიმღერები კოპალასა და იახსარის შესახებ, სადაც ბრძოლა კეთილსა და ბოროტ ძალებს შორის მართლაც მხატვრულ გამონაგონზეა აგებული. ამ საფერხულო სიმღერებში ბოროტი ძალა დევების ტრადიციული სახითაა წარმოდგენილი, ბოროტ დევთა შემმუსკრელნი — კოპალა და იახსარი კი ღვთაებებად — ზებუნებრივ ძალებად. კოპალა და იახსარი ფშავსა და ხევსურეთში ბოლო დრომდე სალოცავი ხატები იყო<sup>8</sup>. ასეთია აგრეთვე ხის კულტის ამსახველი ლექსი „მუმლი მუხასა“<sup>9</sup> და შესანიშნავი რომანტიულ-მითოლოგიური ელფერით მოსილი „ქალი ხვარამზე“. ამ და მსგავს შემთხვევებში მართლაც მხატვრულ გამონაგონთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, ბოროტთან ბრძოლაში კეთილის გამარჯვების დიდ პოეტურ განზოგადებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ აქაც საგმირო იდეალიზაციას და, ამდენად, მხატვრულ გამონაგონსაც, ისტორიული საფუძველი აქვს ხალხის მოგონებათა სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ლექსების უმეტესობა თავისი შესრულების ხასიათის მიხედვით მითსა და საწესო ან სხვა უანრის პოეზიას უფრო განეკუთვნება, ვიდრე — საკუთრივ საგმირო ლექსებს. თავისი რეალური საფუძვლით საგმირო პოეზიაში თავისებურებას იჩენს აფორიზმებიც — უსიუჟეტო ოთხ ან ექვსსტრიქონიანი ლექსები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში. ისინი არ არიან აგებულნი რაიმე კონკრეტულ ამბავზე, მაგრამ გამოხატავენ საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ შემუშავებულ

7 В. Я. Пропп, Русский героический эпос, 1955, гл. 9.

8 ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა კოპალა და იახსარი — დევებთან მებრძოლნი. თხზულებანი, V, 1961, გვ. 68.

9 ვ. კ. ტ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 230.

იდეალს გმირობისა. მაინც საგმირო აფორიზმების ხასიათი და შინა-არსი ქვეყნის ისტორიული ბედით არის განსაზღვრული და, ამდენად, მათი საფუძველიც რეალურია. რაც შეეხება სიუჟეტთან, მეტ შემთხვევაში რეალისტური ხასიათის საგმირო ლექსებს, მათი სპეციფიკის ძიებისას არ უნდა იყოს ზუსტი ვ. პროპის ზემოთ აღნიშნული დებულება. მხატვრულ გამონაგონთან აქაც გვაქვს საქმე, ისევე, როგორც პოეტური შემოქმედების ყველა დარგში და საერთოდ — ხელოვნებაში, მაგრამ ეს არ არის საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსის ძირითადი ლერძი.

ვ. ჟირმუნსკის ნაშრომებში შედარებითი მეთოდის მშვენივრად მომარჯვებით ნაჩვენებია საგმირო ეპოსის საფუძველი<sup>10</sup>. მისი თვალსაზრისით საგმირო იდეალიზაციის მასშტაბით ეპოსი შეიცავს ხალხის ისტორიულ მოგონებებს. მკვლევარი ერთგან წერს: „Героический век — это воинский, и идеалы его прежде всего — воинские. Созданный на высшей ступени патриархально-родового общества, в период военной демократии и раннего феодализма, в обстановке племенных распрей, переселения народов, основания государств и борьбы народов за свою независимость против чужеземных завоевателей, героический эпос видит меру человеческого прежде всего в образе идеального витязя, богатыря, наделенного высоким благородством, воинской доблестью и отвагой, физической силой и мужественной красотой, защитника своих родичей, народа и родины»<sup>11</sup>. საგმირო ლირიკულ-ეპიკურ ლექსებში, რომელთა რეალური საფუძველი, განსხვავებით ეპოსისგან, კონკრეტულია, ასეთი მასშტაბით არ არის საგმირო იდეალიზაცია, მაგრამ ისინი ყოველთვის გამოხატავენ ხალხის მიერ შემუშავებულ ნორმას გმირის იდეალისა. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ განსაზღვრა საგმირო ლექსების უძველესობა, ხასიათი და ჟანრობრივი თავისებურება რიგ ფოლკლორულ ნარკვევებში<sup>12</sup>. საგმირო ლექსის, როგორც პოეტური ჟანრის სიძველე, მის ფაბულაში კონკრეტული ამბისა და მხატვრული გამონაგონის შეფარდება ვაჟა-ფშაველამ მშვენივრად განსაზღვრა შემდეგი სტრიქონებით: „ქველის ძველი ცხოვრება, როგორც ვიცი, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორეს არბევდა, სტყვევნიდა, იმონებდა, მხოლოდ იმი-

<sup>10</sup> В. М. Жирмунский, Сказание об Алпамыши и богатырская сказка, 1950; Его же, Народный героический эпос, 1962 г. и др.

<sup>11</sup> В. М. Жирмунский, Предисловие к книге „Алпамыш“, Москва, 1958.

<sup>12</sup> ვაჟა-ფშაველა, გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით, ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით; ძველი და ახალი ფშაულების პოეზია, თხზულებანი, V, 1961.

ტომ, რომ ეროვდა. ვაქაცობას, ძალადობასა და მკლავს დიდი სახე-  
ლი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თემსაც ძვირად უღირდა ვაქ-  
კაცი, გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა. გმირის  
ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ  
თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვა-  
ვებულს ზნეხასიათს, ფანტაზიითაც უმატებდა გმირს თავის გემოვნები-  
სამებრ ზნეობრივსა თუ ფიზიკურს თვისებას, რათა უფრო მოსაწონი  
გახება იგი ყოველმხრივ<sup>13</sup>. აქ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საგ-  
მირო ლექსის ძირითადი ღერძი ნამდვილი ამბავია, რომლის გადმოცე-  
მისას მხატვრულ გამონაგონსაც აქვს სერიოზული ფუნქცია. ეს გამო-  
ნაგონი კიდევ უფრო ამალღებს გმირს და მხატვრულად განზოგადებულ  
მის საგმირო ამბავს მაგალითადა და ნორმად ხდის თაობათა თვალში.  
საგმირო ეპოსისა და ლირო-ეპიკის შედარებისას ამგვარი სურათია:  
პირველში ხალხის ისტორიული ხსოვნა თუ მოგონება საგმირო იდე-  
ალიზაციის მასშტაბით არის მოცემული და მისი მთავარი და ძირი-  
თადი ღერძი მხატვრული გამონაგონია. მეორეში-კი ძირითადი ღერ-  
ძია კონკრეტული ამბავი, რომლის პოეტიზაციას ხელს უწყობს მხატ-  
ვრული გამონაგონი. ამგვარად, საგმირო ლექსები, რომელთა სუქე-  
ტები კონკრეტული ამბებით არის ნაკარნახევი, რეალური საფუძვლით  
ახლოსაა საისტორიო ლექსებთან. ამიტომ არის ძნელი, და როგორც  
ეს აღნიშნული გვაქვს, არ ხერხდება ჟანრობრივი პრინციპით გარ-  
კვეული ზღვარის გავლება საგმირო-საისტორიო და საკუთრივ საგ-  
მირო ლექსებს შორის<sup>14</sup>. ამ შემთხვევაში საზომად ვიღებთ ლექსის  
რეალური საფუძვლის მნიშვნელობასა და ხასიათს, რაც, რა თქმა  
უნდა, ნაწილობრივ პირობით ხასიათს ატარებს.

შემთხვევითი არ არის, რომ ხევსურები საგმირო შინაარსის  
ლექსს, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს მისი რეალური საფუძველი,  
ე. ი. მისი სიუჟეტი დიდ ისტორიულ მოვლენაზე იქნება აგებული თუ  
პატარა მნიშვნელობის ან ხშირად უმნიშვნელო ამბავზე, უწოდებენ  
ს ი მ ღ ე რ ე ს. აღსანიშნავია ისიც, რომ საგმირო-საისტორიო და სა-  
კუთრივ საგმირო ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა სასიმღე-  
როა. ეს გარემოება პირველად აკ. შანიძემ აღნიშნა: „ლექსი ხევსურთ  
ძველებური გაგებით „სიმღერეს“ საპირისპირო ჟანრია. ს ი მ ღ ე რ ე  
საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვიან და

<sup>13</sup> ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, გმირის იდეალი, ფშაური პოეზიის გამოხატულებით,  
თხზ., V, გვ. 72.

<sup>14</sup> ქ ს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 198.

თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე<sup>15</sup>. ზოგ საგმირო სიმღერას საკუთარი მელოდიაც აქვს. ხევსურული ტერმინიც მათი შესრულების ხასიათსა და ისტორიულ ფუნქციაზე მიუთითებს. ეს ლექსები სიმღერით სრულდებოდა სახალხო თუ საოჯახო დღესასწაულებსა და შეკრებებზე. შემთხვევითი არც ის არის, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ზოგ კრებულში საგმირო და საისტორიო ლექსები ერთ განყოფილებაშია წარმოდგენილი<sup>16</sup>.

კლასიფიკაციის საფუძვლად ამ შემთხვევაში ის ნიშანია, რომ ორივე შემთხვევაში ლექსების ფაბულა კონკრეტული ამბებია და არა მხატვრული გამონაგონი. მიუხედავად ამ საერთო ნიშნისა და მსგავსი სოციალური ფუნქციისა საკუთრივ საგმირო ლექსებს საისტორიოსაგან ანსხეავებს იმ კონკრეტული ამბების მნიშვნელობა და ხასიათი, რაც მათ პირველ წყაროს წარმოადგენს. შეიძლება ისედაც ითქვას, რომ მდიდარსა და მრავალფეროვან საისტორიო სიტყვიერებას ნიადაგი გვაროვნულ-თემურ წესწყობილების საფუძველზე აღმოცენებულმა საგმირო ლირიკულ-ეპიკურმა ლექს-სიმღერებმა მოუშაღეს. კონკრეტულ ამბებზე აგებულ სიმღერა-ცეკვასთან დაკავშირებულ ამგვარ სიმღერებს ყველაზე მეტად ახასიათებს პოლ ლაფარგის ნათქვამი სიტყვები:

«Пение песни — единственное средство, знакомое некультурным народам и применяемое ими, чтобы сохранить результаты ежедневного опыта и поддерживать память о выдающихся событиях, и чтобы лучше запечатлеть эту песню в своей памяти, они сопровождают ее равномерными движениями, танцем»<sup>17</sup>. ეს სიტყვები კარგად ახასიათებს საერთოდ ზეპირსიტყვიერების შექმნა-განვითარების პროცესს, მიგვანიშნებს აგრეთვე იმაზე, რომ ამ პროცესს არასოდეს არ ჰქონია სტიქიური ხასიათი და გონებასა და გრძნობაზე იყო დამოკიდებული. განსაკუთრებით ითქმის ეს საგმირო სიმღერებზე, რომელთაც, როგორც ვთქვით, მოუშაღეს ნიადაგი დიდი ისტორიული მოვლენების ამსახველ ლექსებს.

თავის მხრივ საგმირო ლირიკულ-ეპიკურმა ლექსებმა განვითარების გრძელი გზა განვლეს და გვაროვნულ-თემურ წესწყობილების შემდეგაც შეინარჩუნეს აქტიური ფუნქცია. სავაჟაკო კოდექსის გამომხატველი თუ სიუჟეტისანი საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსები იქმნებოდნენ და ვითარდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვი-

<sup>15</sup> იქვე, გვ. 190. სიმღერე, როგორც აღმნიშვნელი საგმირო ლექსისა დაღას-ტურდა ჩვენს მიერაც. გვ. 9.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 1—12.

<sup>17</sup> П. Л а ф а р г, Очерки по истории культуры, 1962, გვ. 51.

თარების ყველა საფეხურზე და საკმაოდ მაღალ მხატვრულ ფორმებში ასახავდნენ საქართველოში უცხო ტომთა თარეშს, შინაურ შუღლსა თუ გმირობის იდეალს.

ამიტომაც ქართულ ხალხურ საგმირო ლირიკულ-ეპიკურ ლექსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის დასახასიათებლად და წინაპართა გმირულ საქმეთა აღსადგენად. ჩვენ რომ არ გვკონდეს ისტორიული საბუთები საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების უძველესი ხანისა, ჩვენამდე რომ არ მოედწია საისტორიო ზეპირ ნაწარმოებთა მდიდარსა და მრავალფეროვან ციკლებს, მაშინაც გვექნებოდა საშუალება ზოგადად და ხშირ შემთხვევაში კონკრეტულადაც წარმოგვედგინა, საუკუნეთა მანძილზე რა მოუსვენარი და მშფოთვარე იყო წინაპართა ცხოვრება. გვექნებოდა საშუალება წარმოგვედგინა უმძიმესი ხვედრი ერთის მხრივ კავკასიონის სალტეში მომწყვედულ და მეორე მხრივ ზღვის გაშლილ სანაპიროზე მცხოვრებ ქართველი ხალხისა. ამ წარმოდგენას გვიქმნის მრავალრიცხოვანი ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსები, რომელთა პირველი წყარო არის ის გამუდმებული ბრძოლები, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა უცხო მომხდურთა თუ შიგნით, ფეოდალური დაქსაქსულობისას ერთიმეორის წინააღმდეგ.

## II. საგმირო ლეჰსაგის კლასიფიკაცია

თემატურად, ციკლობრივად და ჟანრობრივად მდიდარი, ფუნქციისა და შესრულების წესების მიხედვით მრავალფეროვანი, სხვადასხვა დროს შექმნილი საგმირო ლექსების შესწავლისას პირველ რიგში მათი კლასიფიკაციის საკითხი ისმის. ფუნქციისა და შესრულების წესების მიხედვით საგმირო ლექსების დაჯგუფება არ არის გამართლებული. თუ ზოგჯერ სხვადასხვა ტექსტს ერთი და იგივე ფუნქცია აქვს და ერთსა და იმავე გარემოებაში ერთგვარად სრულდება, უფრო ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ფუნქციას ატარებს და სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვანაირად სრულდება. კომპოზიციის მიხედვით საგმირო ლექსები ორ დიდ კატეგორიად — სიუჟეტიან და უსიუჟეტო ლექსებად წარმოგვიდგება. თემატურად თუ ციკლობრივად კი ხალხური პოეზიის ეს ჟანრი განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას იჩენს. ამავე დროს ამ მხრივ ნაწარმოებთა განმეორებასა და თანხვედრილობას არ აქვს ადგილი. ამგვარად, უფრო მიზანშეწონილი ჩანს საგმირო ლექსების კლასიფიკაციის საფუძვლად აღებული იქნას თემატური ჯგუფები. ამ-

გვარი კლასიფიკაციისას შესაძლებელი ხდება ნაწილობრივ მაინც დატული იქნას ისტორიული პრინციპი, რაც აუცილებელია ყოველი მხატვრული ძეგლის შესწავლისას. მართალია ახლა ძნელდება და ზოგჯერ შეუძლებელიც არის ყველა საგმირო ლექსის დათარიღება, მაგრამ თითოეული თემატური ჯგუფი მაინც შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეულ ხანას, ეპოქას და ზოგჯერ საუკუნებსაც იმის მიხედვით, თუ რას წარმოსახავს იგი.

საგმირო ლექსების ამგვარ კლასიფიკაციას აგრეთვე ის უპირატესობა აქვს, რომ ითავსებს მასალების კომპოზიციურად დაყოფის პრინციპსაც. უსიუჟეტო ოთხ ან ექვს სტრიქონიანი საგმირო აფორიზმები სავაჟაკო კოდექსის გამომხატველ ლექსების ციკლს ქმნიან. შათი ერთი დიდი თემატ მრავალ ნიუანსში მოცემული გმირის იდეალია. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საერთოდ ნაწარმოების იდეა და თემა ერთი და იგივე იყოს. ერთი და იგივე თემა სხვადასხვა ფორმით, მიმართულებითა და თვალსაზრისით შეიძლება დამუშავდეს. ისედაც ხდება, რომ ერთ თემაზე აგებული სიუჟეტი სხვადასხვა თვალსაზრისით ვერსიებად წარმოგვიდგება. ქართულ ხალხურ საგმირო აფორიზმებში კი სპეციფიკური ვითარებაა იმ მხრივ, რომ იდეა და თემა თანხვედნილია. საგმირო პოეზიაში უსიუჟეტო, გმირის იდეალის გამომხატველი აფორიზმები ერთ დიდსა და თავისებურ ჯგუფს ქმნიან. ხალხის მიერ შემუშავებული სავალდებულო ნორმა ვაჟაკობისა მდიდარი შინაარსისა არის და სწორედ ამგვარი სიმდიდრე ქმნის გმირის იდეალის იმ მრავალ ნიუანსს, რაც ახასიათებს მოხდენილ აფორიზმებს. აფორიზმებში გამოხატული ვაჟაკობის სავალდებულო ნორმაც და სიუჟეტიანი ლექსების თემატიკაც საქართველოს ისტორიული ბედით არის განსაზღვრული და ნაკარნახევი. წარსულ ბედუქულმართობისას უცხო ტომთა თარეში საქართველოში, მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის დარბევა-აწიოკება მომხდურთაგან, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა დატყვევება და გატაცება, ფეოდალური დაქსაქსულობის დამახასიათებელი თემთა შორის შუღლი, ძირითადი საგნებია საგმირო პოეზიისა. ამ მწარე სინამდვილიდან იღებდნენ მოლექსენი თემებს, სიუჟეტებსა და ქმნიდნენ ხან მგზნებარე და შემართებელ, ხან კი ღრმად გრძნობიერსა და სევდიანს, მაგრამ მაინც გამამხნეველ ლექსებსა და სიმღერებს. საგმირო ლექსების თემები იყო აგრეთვე სიყვარული და მწუხარება. პირველი სატრფოს იდეალს უკავშირდება, მეორე კი გმირის სიკვდილს. დიდი რაოდენობით არის საგმირო ლექსები მონადირეობის თემაზე. აღნიშნულის მიხედვით ქართული ხალხური საგმირო პოეზიის კლასიფიკაცია გარკვეულ თემატურ ჯგუფს ქმნის, ესენია: 1. საგმირო აფორიზმები, 2. უცხო

ტომთა თარეშის ამსახველი ლექსები, 3. შინაური შუღლის ამსახველი ლექსები, 4. გმირობის იდეალის გამომხატველი ლექსები, 5. საგმირო-სახოტბო ლექსები, 6. სამონადირეო, 7. საგმირო-სამგლოვიარო.

ქართული ხალხური საგმირო პოეზიის დაჯგუფება წმინდა ჟანრობრივი პრინციპითაც შეიძლებოდა. პოეზიაში ეს უბანი წარმოდგენილია ისეთი ჟანრებით, როგორიცაა — ელეგია, ბალადა, ოდა ანუ ქება, აფორიზმი და სასიმღერო მონოსტროფული ლექსი. კლასიფიკაცია ყოველთვის პირობითია. ჩვენ მიერ მიღებულ თემატურ კლასიფიკაციას, რომელიც არ გამორიცხავს ჟანრობრივ პრინციპსაც, ის უპირატესობა აქვს, რომ ლექსების რეალური საფუძვლის ძიებისას განმეორებებს ადგილი არ ექნება.

### III. საზმირო ლექსების თემატიკა, ძირითადი ციკლები და სიუჟეტები

#### 1. აფორიზმები

უაღრესად ლაპიდარული ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები გამოხატავენ საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ განზოგადებულ იდეალს ვაჟკაცისა. სამშობლოსათვის თავგანწირვა, მხნეობა, მეგობრისათვის თავდადება, დაჩაგრულთა და სუსტთა მოსარჩლეობა და ყოველგვარი სილამაზე გმირობის სავალდებულო ნორმად არის აღიარებული ქართულ ხალხურ პოეზიაში საერთოდ და — კერძოდ აფორიზმებში. ამგვარი სავალდებულო ნორმა ვაჟკაცობისა საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი მოხდენილი სიმბოლიკითა და შედარებებით შეკრულ აფორიზმებს, როგორიცაა:

ვაჟკაცსა — გული რჩინისა,  
აბჯარი — თუნდა ხისაო,  
თვალნი — ქორებულ მხედანნი,  
მუხლები — შევარდნისაო.

გმირის ნათელსა და ჯანსად ოპტიმიზმს, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუდრეკლობასა და სამხედრო ოსტატობას ხალხი გმირის პირითვე ახასიათებს აფორიზმებში: „ჯავრო არ მოგცემ ნებასა“, „გასქერი, ხმალო და მკლავო“ და სხვ.

ვაჟკაცის ღირსებას საომარი .იარაღის ოსტატურად ხმარებაც განსაზღვრავს. ამის გამომხატველია აფორიზმი „მაშინ კარგია კაი ყმა, ხმალი რო იზამს ელვასა“. ზოგად საკაცობრიო იდეალებამდე აყვანილი სავაჟკაცო კოდექსი მშვენიერ აფორიზმებში: „ნუ გაუტყდები მოყმეო, გაბევრებასა მტრისასა“ და „ვაჟკაცს არ გამოადგება“.

ქართული საგმირო აფორიზმები . ამჟღავნებენ ტიპოლოგიურ მსგავსებას სხვა ხალხთა ამ ჟანრის ლექსებთან. ეს მსგავსება აფორიზმებში გამოხატული საკაცობრიო მნიშვნელობის სავაჟკაცო იდეალით აიხსნება. სამშობლოსათვის თავგანწირვაზე არის შექმნილი ქართული სიმღერები:

რად უნდა ბევრი დედასა,  
სჯობს ერთი სახელდებული,  
წაეა და ომში მოკვდება,  
თავი აქვს გადადებული.

ან კიდევ:

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება,  
სწორების მჭობინობასა...

ამგვარი შინაარსის საგმირო აფორიზმი არის დიდი და მდიდარი ისტორიის მქონე ბერძენი ხალხის შემოქმედებაშიც, რასაც ჩვენ რუსულ ენაზე თარგმანით ვიცნობთ:

От пули смерть сладка, друзья,  
Сладка отвага боя,  
Того, кто в битве смерть найдет,  
Прославят как героя!<sup>18</sup>

გმირობისა და მეგობრობის იდეალის გამომხატველია ქართული აფორიზმები:

სწორს სწორის მოლაღატესა  
ხინიმც წყლად ჩაუცვივიან,  
მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,  
ისარნიც ჩაუცვივიან;  
ძმანაფიცისთვის სიკვდილი  
სათემოდ შესამღეროა,  
მკერდჩანგრეულის სახელი  
სამოთხის კარზედ სწერია.

ამ სიმღერებსაც ტიპოლოგიური მსგავსება აქვს აგრეთვე ბერძნულ აფორიზმთან;

Кто верность не хранил друзьям,  
Как верность флагу воин,  
Достоин разве счастья тот?  
О нет, он не достоин!<sup>19</sup>

<sup>18</sup> Греческие народные песни. Выбрал и перевел Владимир Нейштадт, Москва, 1957, გვ. 243.

<sup>19</sup> იქვე.



საგმირო აფორიზმებში გულწრფელობით და შთამაგონებლად არის გამოხატული ქართველი კაცის მდიდარი ბუნება, მისი სულიერი მხნეობა, დიდი ნებისყოფა და გამარჯვების ურყევი რწმენა. ამის საუკეთესო ნიმუშებია გავრცელებული სიმღერები: „კიდევატ დაიზრდებიან“ და „ის უუბნია დუშმანსა“<sup>20</sup>. საგმირო აფორიზმების ერთი ნაწილი სალაშქრო სიმღერებია. გმირი წინაპრის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, მისი მგზნებარე გულის ძვერას ახლაც გავაცდევინებს სიმბოლიკით შეკრული ლექსი: „ბეთლემის კარზე ჰკილია“. საგმირო აფორიზმების დიდი ნაწილი საბრძოლო მზადებისა და ვაჟაკური შემართებისაკენ ერთგვარი შთამაგონებელი მოწოდებაა. ვარიანტებად არის ჩაწერილი მშვენიერი ლექსი:

„მაშინ კარგია კაი ყმა, რა დილა ბინდით დგებოდეს“,

წარსულის დამახასიათებელ სავალალო შინაურ შუღლზე, როგორც ქვემოდ ვნახავთ, ლექსების მთელი ციკლია შექმნილი, ამავე დროს ქართულ ლექს-სიმღერებში გამოხატულია ქართველურ ტომთა ურღვევი ერთიანობა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ხალხის ამგვარი საამაყო თვისების ამსახველია, როგორც ამაზე მიუთითა ვაჟა-ფშაველამ, სიმღერა: „თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო“<sup>21</sup>.

მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ვაჟაკთაგან ხალხი ჭირში გაუტეხლობას მოითხოვდა. ამგვარ საგმირო თვისებაზეა ნათქვამი ვაჟაფშაველას მიერ ფიქსირებული ლექსი,

ვატეხილისა ვაჟისა  
ყორანმა ლეში არ ჭამა.

ეს აფორიზმი პოეტმა თათართა აგრესიის თემაზე შექმნილი ძველი თქმულების მიხედვით შექმნილ პოემას „სულა და კურდღელას“ წაუმძღვარა.

გმირის იდეალის ამსახველ აფორიზმებში წამყვანი ადგილი უკავია სამშობლოს დაცვის თემატიკას. სამშობლოს დაცვის თემაზე შექმნილ მეგრძოლი ხასიათის აფორიზმებს დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვთ. აღმზრდელობითი დანიშნულება ამ თემაზე შექმნილი აფორიზმებისა გამოიხატა არა მარტო იმაში, რომ ასახავდა სინამდვილეს, არამედ ისინი რაზმავდნენ თაობებს უკეთესი მომავლის შესაქმნელად. დღესაც შთამაგონებლად ყდერს წინაპართა მიერ ლხინში ნამღერი თუ განსაცდელში წარმოთქმული სტრიქონები:

<sup>20</sup> ქ. ს. ს. ხ. რ. უ. ლ. ი. ძ. ე., ნარკვევები, I, გვ. 220.

<sup>21</sup> ვ. ა. ვ. ა. ფ. შ. ა. ვ. ე. ლ. ა., თხზ., V, 1961, გვ. 318.

ვაჟასა შენისთანასა  
განა თუ აგრე სმა უნდა?

ახალგაზრდა მამულიშვილთა ამალღებულ შეგნებას სამშობლოს დაცვისა, მათ დარაზმულობას მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად უშუალოდ გაგვაცდევინებს სასიძლერო ლექსი:

გაგვიძველ, ბერო მინდიავ,  
მუხლი მაიბი მგლისათ,

ამ სიძლერის მის მიერ ჩაწერილი ვარიანტი წაუძმღვარა ილია ჭავჭავაძემ ღრმად პატრიოტულ პოემას „ქართველის დედა“. ამით პოეტმა თავიდანვე აგრძნობინა მკითხველს ნაწარმოების ღრმა სოციალური შინაარსი. ხალხი ოდითგანვე უმღეროდა გულმართალსა და პირდაპირ ვაჟკაცს, — მას, ვინც მოყვარეს მოყვრულად და მტერს მტრულად უხვდებოდა. გმირულ პირდაპირობაზეა ნათქვამი:

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე.

ქართველი ხალხის დიდ სიყვარულს მშვიდობისადმი ლამაზი სიმბოლიკით გვაგრძნობინებს გავრცელებული სიმღერა:

სალ კლდეში ორბი ბუღობდა.

ხალხი მუდამ უმღეროდა და უმღერის სიღარბაისლეს, თავშეკავებასა და სიღინჯეს. ხალხური წარმოდგენა ვაჟკაცის სიღარბაისლი-სა ასე დაახასიათა ვაჟა-ფშაველამ: „გმირი თავს არ უნდა იმსუბუქებდეს და ვაჟკაცობას ჭკვიანურად უნდა ხმარობდეს. გმირმა თავის ძალ-ღონე წარამარა საქმეს არ უნდა შეაღიოს, უბრალოდ არ დახარჯოს, არ დაახურდავოს — დიდი, საგმირო საქმე როდესაც გაჩნდება, მაშინ უნდა „იკრას ხმაღზედ ხელი“. პოეტს მოყავს გმირის ამგვარი იდეალის გამომხატველი ლექსი: „მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი“<sup>22</sup>.

გმირობის სავალდებულო ნორმაში კარგი მონადირეობაც შედის. დამახასიათებელია აფორიზმი, რომელიც ცუდი ყმისადმი მიმართვას წარმოადგენს:

შენ იქ ვერ წახოლ, ცუდაო,  
საცა ჩიკვ ღავა რქიანი.

ქართველი კაცი გმირისაგან პურადობასაც მოითხოვს. მამაცობა, მონადირეობა და პურადობა — ვაჟკაცის ეს მშვენიერი თვისებები — ხალხს მზისთვისაც კი შეუღარბებია. ხალხის წარმოდგენით ვაჟკაცს

<sup>22</sup> ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., V, გვ. 74.

იმდენი მზე ახლავს, რამდენი საგმირო თვისებაც გააჩნია. ამგვარი შეხედულების მაჩვენებელია ხევსურული ლექსი „სამი მზე“.

საგმირო აფორიზმებისათვის დამახასიათებელია ოჯახის სიწმინდის დაცვის იდეაც. გმირისაგან ხალხი განსაკუთრებულ ზნეობრივ ზიფაქიზეს მოითხოვს, ამის გამომხატველია აფორიზმი:

ვაეკაცო, გულო ჭამარდო,  
აბჭარი გინდა ხისაო,  
ხარი, კამეჩი თავისი,  
ცოლი რად გინდა სხვისაო?

ქეშმარიტი გმირი, რომელსაც ხალხმა სასიყვარულო სახელი, კ ა ი ყ მ ა შეარქვა, ქართველი ქალის იდეალი იყო. ქართველ ქალებს სიყრმიდანვე უნერგავდნენ კაი ყმისადმი სიყვარულს. ყველაფერმა ამან უშუალო გამომხატულება პოვა საგმირო აფორიზმებში, როგორცაა:

კარგ ყმას შაკყვარდი, ქალაო,  
ნუ-სახლსა ცხვარ-ბევრისასა.  
თუშის ქალმა სთქვა: შვირთავდ ბასრის ხმლის  
ამომღებელსა

და სხვ.

გმირის იდეალის დიდ თემაზე შექმნილი ქართული ხალხური აფორიზმები მდიდარია თავისი შინაარსით. ხალხის ფაქიზი მორალის გამომხატველ ამ სასიძღვრო ლექსებს ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებასთან ერთად მუდამ ექნება შემეცნებითი ღირებულება და ქმედითი ძალა.

## 2. მთარე შე უცხო ტომთა წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები

თათართა აგრესია, მომძლავრებული ლეკიანობა, ქისტებსა და სხვა უცხო ტომებთან შუღლი, რაც საუკუნეთა მანძილზე აფორიკებდა ქართველ მოსახლეობას, ასახულია მრავალ საგმირო ლექსში.

საისტორიო ლექსებისაგან განსხვავებით ეს მწარე სინამდვილე საგმირო ლექსებში დიდ ისტორიულ მოვლენებთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ კერძო ამბებთან. ამ ჭგუფის ლექსების ძირითადი სიუჟეტებია: ა) მტრის მოულოდნელი თავდასხმა სოფლებზე ან ცალკე მოსახლეებზე; ბ) თავდასხმა მწყემსებზე; გ) ტყვეობა და გატაცებული ქალებისადმი გამოსარჩლება.

თათართა ხანგრძლივმა აგრესიამ თავისი გამოხატულება პოვა საგმირო ლექსებში. ამ ციკლის ლექსებთან დაკავშირებით საჭიროა

აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ლექები და ქისტებიც თათრებად იხსენიებოდა. ეს შედეგია თათართა აგრესიის ხანგრძლივი ისტორიისა საქართველოში. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ისიც, რომ უცხო ტომები არა იშვიათად შეერთებული ძალით ესხმოდნენ თავს ქართველ მოსახლეობას. საგმირო პოეზიის მრავალი ნიმუშია შექმნილი თათართა მოულოდნელ თავდასხმებზე. ასეთებია, მაგალითად, „შარუმ ხანი და სნოს ციხე“, „ყარანამაზი“, „განჯას გადილდა თათარი“, „ზედაველაზედ გამოდგა“. თათართა აგრესიას, როგორც დიდ უბედურებას უშუალოდ გაგვაცდევინებს უკანასკნელი ლექსის დასაწყისის სტრიქონები:

ზედაველაზედ გადმოდგა  
ოსმალ და თათრის ჯარი.  
ქერ დაუშინეს თოფები,  
მერე ამოიღეს ხმალი.  
საპირისწამლე უხრჩოლეს,  
ზეცას აღიოდა ალი.  
ქვეითი ბევრი დახოცეს.  
ცხენიანი მაგრა არი...

ამ ჯგუფის ლექსებში ღრმა ემოციურობით გამოირჩევა მომხდურთა ხელმძღვანელი თათრის ხანის მკვლელის ფშაველი გმირის ლაქაურაზე შექმნილი ელეგია. ვაჟა-ფშაველას ცნობით აფხუშობას ლაქაურას სადიდებლად იცლებოდა ლუდით სავსე სასმისი და მოხუცი ყვებოდა მისი გმირობის ამბავს<sup>23</sup>. ხალხის სიყვარულს ვერაგი მტრის შემმუსვრელი გმირისადმი გვამცნევს გრძნობიერი სტრიქონები მშვენიერი ელეგიისა.

ლექსების ციკლია შექმნილი მოთარეშე თათართაგან მშობლიური კუთხის დამცველი მოხვეე ალოშკა გოდაეთაზე.

მწყემსებზე თათართა თავდასხმის სიუჟეტზეა შექმნილი ლექსები: „ყაყიჩი შავერდაშვილი“, „მანგლისის მონახირე“, „ხვედია გუდამაყრელი“ და მრ. სხვ. თუ რა ვაჟკაცობად ითვლებოდა დამხვედურთა შებმა მომხდურებთან და სამარცხვინო იყო უკან დახევა. ამას მშვენიერად გამოხატავს ფშაური ლექსი:

ცხვარ ჩამოვრკეთ წყალზედა,  
დიდ ოთხშაბათი დღე არი,  
ჩამოგვერივნეს თათრები,  
დადგა თოფების ტყრიალი,

<sup>23</sup> ვ ა ე ა-ფ შ ა ე ლ ა, თხზ., V, 1961, გვ. 32.

მოვიდეს შიო'დ გლეხი,  
თათრებმ გაიღეს გრიალი...  
მე და უკუა დავბრუნდით,  
სულ ხომ ტბილია, ტიალი!  
ვაი ჩვენს ვუკაცობასა,  
ისევ ქალი გვეჯობს თმანი!..  
შენც ფშავში წადი, გიორგი,  
იყურე ტარის ძგრილი!..

ამავე სიუჟეტზეა შექმნილი ემოციური ლექსი „გიგაის ცოლი“,  
რაც ჩვენ „გიგა და გიორგის“ ციკლის ნაწარმოებად მიგვაჩნია. ხალხს  
შეუქმნია შესანიშნავი პოეტური სახე გმირი ქალისა. ქართველი ქა-  
ლის ამალღებულ პატრიოტიზმს, გასაოცარ მხნეობას, ნებისყოფის  
სიმტკიცესა და სულის სიფაქიხეს გვაცნობს ამ ლექსის მალაღობე-  
ტური სტრიქონები. თათრებს თუ ლეკებს მოუკლავთ მეცხვარე გიგა  
და გაუტაცნიათ ცხვრის ფარა, ქმრის ლურჯაზე ამხედრებული, მისი-  
ვე იარაღით შექურცილი ქალი მისდევს მტრებს, მუსრს ავლებს მათ  
და გამორეკავს ცხვრის ფარას. დასამახსოვრებელია დინამიური  
სტრიქონებით დახატული ბატალური სცენა:

ქალმა დაჰკივლა თათრებსა —  
„საით მიგიღით ცხვარია“  
გაიძრო თავის ფრანგული,  
გიგას ნაჭერი არია.  
გაპკრა, გამოპკრა თათრებსა,  
მინდორს გაშალა თმანია,  
კაფა და კაფა ურჯულო,  
ქალას ჩაყარა მკვდარია;  
გამოუქეჩა ვაცებსა,  
ჩეთმას ჩარეკა ცხვარია.

მშრომელი ხალხის ამალღებული პატრიოტიზმი და ჯანსაღი ოპ-  
ტიმიზმი დიდი ხელოვნებით არის გადმოცემული ქალის გოდებაში.  
გმირი ქალი მოკლულ ქმარს შემოარტყამს ხმალს, შესვამს ცხენზე და  
დასტირის:

...ნუ დაიდარდებ, გიგაი:  
ცხვარი ჩვენ ხელთვე არია, —  
ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას,  
არ მოვაშორო თვალია;  
საცა შემოვხვდე ურჯულოს,  
ფიცხლავ მოვაპრა თავია.

საგმირო ლექსების ამავე ჯგუფში საკმაო რაოდენობით არის გა-  
ტაცებულ ქალთა გამოსარჩლების სიუჟეტზე შექმნილი პოეზიის ნი-

მუშები. ამგვარ სიუჟეტზეა აგებული „ხორამზის ლექსი“ და მანდ რო ქალი დავიკარგე“.

დიდი რაოდენობით არის საგმირო ლექსები ლეკიანობაზე. ამ ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკიანობის მომძლავრების ხანიდან, ე. ი. XVII—XVIII საუკ. უნდა მომდინარეობდეს. ლექთა მოულოდნელი თავდასხმის ამსახველია ხევსურული ლექსები: „ლეკების დასხმა კისტანზე“, „ლეკების დასხმა ღელსა და სნოზე“ და მრ. სხვ. ქართველი მოსახლეობისათვის ისე დიდი უბედურება იყო ლეკიანობა, რომ ამ უბედურების წინააღმდეგ მებრძოლ გმირებს შარავანდედით მოსავს ხალხური პოეზია. მშობლიური კუთხის დამცველი გმირების სახე არაიშვიათ შემთხვევაში მითიურ სამოსშიც კი არის გახვეული. გმირთა ზებუნებრივად წარმოდგენის ნიმუშებია ლექსები ახალა მგელაისშვილზე. მას ხევსურული ლექსის მიხედვით „დაბადების დღეს გამახყვა ოქროს პერანგი საცმელი“ და „უწოვავ ქრისტის დედაი, არ თუ კორციელთ ქალია“. ზოგი ლექსისა და თქმულების მიხედვით ასევე მითიური ელფერი აქვს თუმ გმირს ლუის ლუხუმს. ლექსების ციკლს ლუის ლუხუმზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლეკიანობის ამსახველ საგმირო პოეზიაში. ხალხურ ლექსებში ლუის ლუხუმი იხსენიება ნარჩევ ტომობრივ გმირთა შორის. ერთი ხევსურული ლექსი ასე იწყება:

მითხოს აღდი ჯობ მამაცად,  
მშავლებს ჯობ კუკუმაური,  
თუშებსა — ლუის ლუხუმი,  
გუდამაყრელთ — ბუბუნაური...

მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ლუხუმს ხელმძღვანელი როლი ჰქონია. თუშური ლექსის მიხედვით —

—თუშთ მოემზადნენ სალაშქროდ  
წინ ლუხუმ გაიმძღვარესა...

ლუხუმს რომ არაერთხელ უსახელებია თავი მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამის ამსახველია ხევსურული ლექსი „ლაზი და ლუის ლუხუმი“, თუშური — „ლეკეთში ლეკი გადიდდა“ და სხვ. ერთი ლექსის მიხედვით მტრის პირისპირ ბრძოლაში ლუხუმი მარტო მიუტოვებიათ თანამებრძოლებს. მოლექსე კიცხავს გმირის მოლაღატეთ: „ლუხუმის ამხანიგებსა მანდელიმც გხურავთ დიაცის“. ლექსის მომდევნო დინამიური სტრიქონები უშუალოდ გაგვაცდევინებს გმირის მძიმე ხვედრს, — იმას რომ ლუხუმს მუხლი მოტეხია, მტრებს მისთვის იარაღი აუყრიათ და ცოცხლისათვის მარჯვენა მო-

უკვეთიათ. ამ ლექსის მიხედვით ლუხუმი ამირანის სულის გმირად გვესახება. უთანასწორო ბრძოლაში დასახიჩრებულმა

დაჩეხა თოფის კონტახი,  
შაიკრა არტახითაო;  
სიმშლით დაღონებულმა  
ქუჩი მოძოვა მთისაო;  
წყურვილით დაღონებულმა  
ცვარი ალოჯა ცისაო.

ლუხუმი თითქოს გველმა განკურნა, შემდეგ კი ამ ლექსისა და ლეგენდის მიხედვით მდინარე წყალმა გაიტაცა მისკენ მიმავალი დათვი. მითოლოგიური მოტივი — თითქოს ლუხუმს გველმა განუკურნა ჭრილობა, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკ. შანიძეს, ვაჟა-ფშაველამ გამოიყენა „ბახტრიონში“<sup>24</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟამ უცვლელად დატოვა სახალხო გმირის სახელი. ხევისურეთსა და თუშეთში გავრცელებული ლექსებისა და ბაჩანას მიერ ჩაწერილი თქმულებით ლუხუმს მძინარეს დასცემიან ლეკები, დაუტყვევებიათ და დაღესტანში მის მიერ მოკლული ლეკის საფლავზე დაუკლავთ. ახლაც მღელვარებით ვკითხვლობთ თუ ვისმენთ გმირის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის ამსახველ სტრიქონებს.

ლექსებსა და გადმოცემებში დაცული ეპიზოდები ლუხუმის გმირობისა და ცხოვრების ტრაგიკულ დასასრულზე, მითოლოგიური მოტივების გამოკლებით, ძირითადად სარწმუნო უნდა იყოს. ისინი ერთიმეორეს ეთანხმებიან. ლუხუმის სიკვდილზე შექმნილ ყველა ლექსში იხსენიება დაღესტანში ტყვედ მყოფი შენაქოელი ქალი. მას დაუტირებია სასიკვდილოდ განწირული თანამემამულე. ეს ეპიზოდი ამჟღავნებს ლექსის სიტუაციას. ბაჩანას მიერ ჩაწერილი ვარიანტით დატყვევებული თანამემამულენი უცხო მხარეში ასე ხვდებიან ერთიმეორეს:

ბაგოს ატირდა სოფლადა  
ტყვედ ნამყოფ თუშის ქალით:  
— „ღმერთო, ნუ მახკავ ლუხუმსა,  
გაუკითხენი ბრალნიო!  
ქელნ გაუქსენით ლუხუმსა,  
მემრე მიეცით კმალიო“.  
— „ნუ სტირი თუშის გაზრდილო,  
ჩემ სიკვდილ არა ბრალიო.  
ბევრჯელ უტირენ დედანი,  
ცხვარ-წყემს გაუქერ თავიო“.

<sup>24</sup> ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, 1931.

ლუხუმის სისხლი მის ძმისწულს ხვედევს აუღია. ლუხუმთან ერთად ნარჩევ გმირებში იხსენიებიან XVII საუკ. გმირები: ზეზვა გაფრინდაული, ხოშარაული, მარტია მისურაული. ამის თანახმად შეიძლება ლუის ლუხუმიც XVII საუკ. გმირად მივიჩნიოთ. მართალია მათთან ერთად ერეკლე მეორის თანამებრძოლი ძალღიკა ხიმიკაურიც არის მოხსენებული, მაგრამ ამგვარი ანაქრონიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. შეიძლება შემთხვევითი არც ის იყოს, რომ ვაჟამაც „ბახტრიონში“ ლუხუმი ზეზვას თანამებრძოლად გამოიყვანა.

ქართულ საგმირო პოეზიაში ყურადღებას იქცევს ციკლი ლექსებისა ხალიაიძეზე. ამ ლექსებში ასახულია როგორც ლეკიანობის, ისევე — ქისტებთან შუღლის მომენტები. ერთსა და იმავე გმირს რომ ორივე ამ უბედურებასთან უხდებოდეს გამკლავება, ეს ბუნებრივია. ხდებოდა ისედაც, რომ მოთარეშე ტომები შეერთებული ძალით ესხმოდნენ ქართველ მოსახლეობას. ხალხურ ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის ძიებისას ის ართულებს საქმეს, რომ ხშირად ორი ციკლი ერთადაა წარმოდგენილი, ე. ი. ორი სხვადასხვა გმირის სახე შეერთებულია.

ხევსური მოლექსის ბეს. გაბურის ცნობით ხალიაისძე თუში ყოფილა<sup>25</sup>. გუდამაყრელი მთქმელის ცნობით — კი ფშაველი, სოფ. მათურადან<sup>26</sup>. ფშაველ გმირად არის იგი გამოყვანილი, როგორც შენიშნავს აკ. შანიძე<sup>27</sup>, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტებითაც.

— იძახეს თუშივილებმა: — ქისტებმ დაგვტაცეს ცხვარია.  
გვიშველეთ, ფშაველის შვილებო, თქვენა ხართ ჩვენი მხარია.  
მოვარდა ხალიაისძე, — არწივი მეომარია“.

ამავე ლექსის დასასრული სტრიქონებია:

„დაჯრესა, ხალიაისძე? გამოგაგორეს ხარია.  
ცოდვაა შენი სიკვდილი, ფშავის ხევს მაპტყდა მხარია!“.

ხალიაისძეს, როგორც ლექსებიდან და გადმოცემებიდან ჩანს, დიდი ტრაგედია შემთხვევია, მას „სულეთი წაუხდენია“, ე. ი. დიდო ცოდვა ჩაუდენია. ერთი ლექსის მიხედვით „სულეთის წახდენის“ მიზეზად ლექთა ამოწყვეტაა მიჩნეული<sup>28</sup>. ამგვარი მოტივი ლექსისა არ

25 შან., გვ. 478.

26 იქვე, გვ. 479.

27 იქვე, გვ. 479.

28 შან., № 242.



უნდა იყოს პირვანდელი. იგი არ არის დამახასიათებელი ტომთა ურთიერთდლაშქერის ხანისთვის. უფრო ბუნებრივად ჩანს ვარიანტებად ცნობილი ლექსის მოტივი, რომელიც გმირის მიერ საკუთარი ცოლშვილის ან ქალიშვილების დახოცვას გვამცნევს. ამ ლექსის ბაჩანას მიერ ჩაწერილი ვარიანტია:

სამციხელების თოფებმა ეღოს ძირს შამაქვიელაო,  
მიქელი, სურას გაზრდილი, რად არ ვინ დაიჭიოაო?  
ქალნი დაქოცნა თავისი, სულეთი წაიჭინაო,  
მოძალე ადგა კარზედა, თავ იმით მაიწყინაო,  
ღღენიმე ადგიან იმისა, ვინც მიქელს გაუცინაო.

ბაჩანას მის მიერ ჩაწერილი ვარიანტისთვის დაურთავს გადმოცემა: „ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფ. ეღოს, შამოსეგია შიგ. მიქელისთვის მის ქალიშვილებს შეუტირნიათ: ნუ დაგვაწბილებენ შენი ხელით დაგვხოცე, გვირჩევენიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში“. აქვე ბაჩანა ამ გადმოცემის მიხედვით კომენტარს უკეთებს ლექსის სტრიქონს: „ამაზედ არის ნათქვამი: თავ იმით მაიწყინაო“<sup>29</sup>. ეს ამბავი მართალს ჰგავს. ისტორიულად და ზეპირსიტყვიერებიდანაც ცნობილია, რომ ქართველი ქალები მტრის ხელში ჩაგარდნას და ნაშუსის დაკარგვას სიკვდილს ამჯობინებდნენ. ციტირებული ლექსი და გადმოცემაც ასახავს დიკლო-შენაქოს ტრადიციას, რაც 1836—1837 წწ. არის დათარიღებული<sup>30</sup>. ზოგი ლექსის მიხედვით ხალიაისძე ქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულა. ამ აზრს ემხრობა აკ. შანიძე<sup>31</sup>. ზოგი ლექსის მიხედვით ხალიაისძე საქართველოში მოთარეშე ლეკებმა მოკლეს. ფშაური ლექსის მიხედვით საბედისწერო ბრძოლაში ხალიაისძესთან ერთად იყო ქავთარ წითელაური. მის შესახებ გმირის პირითვეა ნათქვამი:

ქავთარამ წითელაურმა ძმურად მივირა მხარია.  
არ ვინ მიუშვა თავზედა, არც ათრინა მკვდარია.

აკ. შანიძის შენიშვნით, რაც უთუოდ გადმოცემას უნდა ემყარებოდეს, როდესაც ხალიაისძე მოუკლავთ „ხელი რომ არ მოეჭრათ მისთვის, მის მომხრეს ქავთარ წითელაურს მისთვის იარაღი აუყრია და მკვდარი კლდეზე გადაუგდია“<sup>32</sup>.

<sup>29</sup> შან., გვ. 485.

<sup>30</sup> მიხ. ჩიქოვანი, პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ შესახებ და მეოთხე ტომების გამო, პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, III, 1964, გვ. 12—22.

<sup>31</sup> შან., გვ. 479.

<sup>32</sup> შან., გვ. 479.

ქავთარ წითელაური ამის გამო ლექსებში მადლობით არის მოხსენებული. ამის ნიმუშია, მაგალითად, 1875 წ. პ. უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ლექსის სტრიქონები:

ქავთარა წიქაისშვილო.  
დიღხან ცოცხალიმც ხარო,  
შორათ არ დათრევიწე  
ხალიაისძე მკედარო.

ხალიაისძე, როგორც ლექსების შინაარსიდან ჩანს, თუშ-ფშავ-ზეესურთა იმედი ყოფილა მოთარეშე ქისტებისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლექსები გვაგრძნობინებენ ხალხის დიდ გულისტკივილს გმირის დაღუპვის გამო. ერთ ლექსში სინანულითაა ნათქვამი:

შენ ცოლმა გამოყოლომა  
არ შაირთოსა ქმარიო;  
რაი ქნას, ვინღა შაირთოს,  
შენფერ კაც აღარ არიო.

ხალხი სიამაყით აღნიშნავს იმას, რომ საბედისწერო ბრძოლაში გმირმა მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან მოკლა სამი. ისინი უძველესი რწმენის მიხედვით, საიქიოს ემსახურებიან გმირს. მოლექსე ასე მიმართავს მშობლიური კუთხის დამცველი გმირის აჩრდილს:

სასუფეველსამ დაგადგამს  
ლალი ლაშარის ჯვარიო,  
რო წახვე სამოთხისაკე;  
წინ წაიმძღვარენ სამნიო,  
ზოგთ კი წყალს აზიდვინებდი,  
ზოგთ აბანდვინე ჭლანიო.

ხალიაისძე რომ მშობლიური კუთხის იმედი და მტრის რისხვის მიმცემი ყოფილა, ამას გამოხატავს ერთი ხეესურული ლექსის დასაწყისი:

ხალიაისძის სიკვდილსა ნუ იტყვით ლეკებსთანაო.

ლექსები და გადმოცემები ხალიაისძეზე ორ ციკლს უნდა აერთიანებდეს. ნაწარმოებთა ერთი ციკლის ადრესატი XVIII საუკუნეზე გვიანდელი გმირი არ უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს სტრიქონი ლექსისა, სადაც მის შესახებ ნათქვამია: „ქალაქ ას ბატონთანაო“<sup>33</sup>. ხალხურ ლექსებში ქალაქად თბილისი იხსენიება, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე თბილისში იყო საქართველოს მეფის — ხალხური გამოთქმით ბატონის — რეზიდენცია. ამ ნაწარ-

<sup>33</sup> შან., № 241.

შობებში მოხსენებული ხალიაისძე ფშაველი გმირი უნდა იყოს. ლექსებისა და გადმოცემების მეორე ციკლის აღრესატი-კი დიკლო-შენაქოს 1836—37 წლ. ტრაგედიის თუში გმირია.

ლექსების ციკლებია შექმნილი აგრეთვე ლექთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირების თუშების — ანთას, ნაკუდა გამაროშვილის, კახელი ომან ხაჩიშვილის და სხვ. შესახებ. ციკლებს გარდა არის ვარიანტებად ცნობილი ლექსები, რომლებშიც მტერთან უთანასწორო ბრძოლის შემადრწუნებელი სურათებია მოცემული. სანიმუშოა ამ მხრივ ფშაური ლექსი, რომლის მღელვარე სტრიქონები ახლაც გავაცდევინებს ჩვენი ქვეყნის წარსულ ტრაგედიის ერთ მომენტს — თუშებზე ლეკების თავდასხმას. ლექსის დასაწყისი გოდებაა მტრების მიერ აღში გახვეულ ციხეზე. საშინელ განსაცდელს წარმოგვიდგენს მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ვააფთრებით მებრძოლი გმირის სიტყვები ცოლისადმი:

— წაძალი მიწყე წამზედა,  
რომ შემოგაკლდეს ტყვიანი,  
ლილი აიქერ ტანზედა

სამშობლოსა და მოძმის დაცვაზე შექმნილი ლექსები გამოირჩევიან ღრმა ემოციურობით, მდიდარი დინამიკით, მაღალპოეტურობით. ამ თემაზე შექმნილი ლექსების მიხედვით შურისძიებით ანთებული გმირი ზოგჯერ თვითონ ეძებს მტერთან შებმის შემთხვევას. ერთი ფშაური ლექსით ვაჟკაცი შეღალადებს ხახმატის ჯვარს — ძველი რწმენით მეომართა მფარველს — მტერს რომ მივდევდე, მიმწიფე, ნაქნარს ვიქმ მამპაპისასა.

მტრისადმი მუქარის გამომხატველია გმირის პირით ნათქვამი სტრიქონები:

ძაღლო, არ წაგაღებინებ  
ხელსა მაგ ჩემის ძმისასა,  
შენს ხელსაჲ აიქ შივაკრავ,  
თიანეთს კუთხსა ქვისასა.

წინაპართა მძიმე ტრაგედია წარსულში, ოჯახების აწიოკება მომბღღურთავან, ჰირისუფალთა გლოვა მტრის ხელით დაღუპულზე ღრმა განცდით არის გადმოცემული ლექსის დასასრული სტრიქონებით.

პეროიკის დიდი პათოსით ყლერს ლექსები მწყემსებზე თავდამსახველ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლებზე. ამ ლექსებში ხალხის მდი-

დარი და უადრესად კეთილშობილური სულიერი სამყაროს ჩვენებით-  
გამოირჩევა მშვენიერი ბალადა „გიგა და გიორგი“. აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვარიანტებად ცნობილ ამ ბალადის  
მიხედვით საზამთრო საძოვრებზე თუშ მეცხვარეებს გიგას და გიორ-  
გის მოულოდნელად თავს დაესხა ლეკთა მარბიელი რაზმი. მტერმა  
გაიტაცა თორმეტი ფარა ცხვარი. გიგა და გიორგი ვერ თმობენ და-  
ნაკარგს. ბალადაში დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული გმირების ამ-  
ხედრება მტრის წინააღმდეგ:

შეკაზმა გიგამ ლურჯაი,  
ცხენია ნაოპარია,  
გიგა რომ ლურჯას მოახტა,  
ძირიდან უჭრის ქარი;  
გიგას თან გაჰყვა გიორგი,  
მხარზე ჰკიდია ხმალია,  
ხელში უჭირავს მათრახი  
შვიდკეცი, შვიდი მხარია.  
გადაჰკრა ლურჯას ბარკალზე,  
ბარკალს ააძრო ტყავია.  
გაჟწი, შენ ლურჯავ ტიალო,  
სანამ მიჭრიდეს თვალია,  
დამწივე ლეკის შვილებსა,  
საით მიუღით ცხვარია.

ლეკიანობის ამსახველ საგმირო პოეზიაში მტერთაგან გატაცე-  
ბული ქალის გამოსარჩლების სიუჟეტზე შექმნილ მრავალ ლექსში  
განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვინა ხარ გულჭირიანი“ და „ნანა თორ-  
ღვაის ქალი“. გმირის იდეალის ასახვის თვალსაზრისით პირველ ლექ-  
სთან დაკავშირებით გამოხატა თავისი აღტაცება ვაჟა-ფშაველამ და-  
ვით ხიზანაშვილის მიერ შეკრებილი ფშაური ლექსების გამო დაწე-  
რილ ბიბლიოგრაფიაში<sup>35</sup>. ორივე ეს ლექსი გამოირჩევა ღრმა ემოცი-  
ურობითა და მაღალპოეტურობით. ბედუკულმართობაში ჩაცვევნილ  
ქალებს ანუგეშებდა საგმირო ტრადიციაზე აღზრდილ თანამემამუ-  
ლეთა ხსნის იმედი. ამგვარი მოლოდინი და იმედი, თანამემამულეთა  
ვაჟკაცთა წმინდა ვალი ისევე ტყვეობაში მყოფი ქალის პირითვეა გად-  
მოცემული ლექსის „ნანა თორღვაის ქალის“ მეორე ნახევარში:

დავნაყე საყურ-ბეჭედი,  
მამულთ ულიშენ გზანიო;  
წამოვა თუშიშვილები,  
აგებ მაქელან კვალიო...

35 ვ ა ე ა-ფ შ ა ე ე ლ ა, თხზ., V, გვ. 47—48.

...შულამისას მავიდან  
ხახონის თოფის კმანო:  
დილას დასინჯეთ, ლეკებო,  
ხიწვის ნახანჯრალი!

გატაცებულ თუ ტყვე ქალთა ციკლის ქართულ ბალადებს ტიპოლოგიური მსგავსება აქვს გერმანულ ხალხურ ბალადასთან „ულინგერი“. ანალოგიურია ქართული და გერმანული ბალადების ფინალი — გატაცებული ქალის განთავისუფლების მოტივი. სხვა მხრივ კი ქართულ და გერმანულ ბალადებს შორის არსებითი განსხვავებაა იმ მხრივ, რომ ქართველ ქალებს ძალით იტაცებენ, მოტყუებული გერმანელი ქალი კი ნებით მიყვება ულინგერს<sup>36</sup>.

ქართველ მოსახლეობაში უცხო ტომთა თარეშის ამსახველ საგმირო პოეზიაში მრავალრიცხოვნებითა და თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქისტებთან შულლის ამსახველი ლექსები. ციკლები ლექსებისა ლეგენდარულ ხოგაის მინდიაზე, უშიშა წიკლაურზე, უშიშა ოჩიაურზე, უთურგას გიორგაზე, გარა თურმანაულზე და მრ. სხვ. ნათლად წარმოგვიდგენენ ერთის მხრივ მთიანეთის მცხოვრებთა მძიმე ხვედრს წარსულში და მეორეს მხრივ ხალხის სიყვარულს მშობლიური კუთხის სადარაჯოზე ფხიზლად მდგომი გმირებისადმი. მრავალმხრივ არის საყურადღებო ციკლი ლექსებისა ხოგაის მინდიაზე. ეს ლექსები უფრო ხევსურეთსა და ფშავშია გავრცელებული. თედო რაზიკაშვილის ცნობით „მინდი შესანიშნავი გმირია ხევსურებისა“<sup>37</sup>. მტრის რისხვის მიმცემი გმირი ქისტებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულა. ხოგაის მინდის სიკვდილზე შექმნილი მეტად გავრცელებული მაღალპოეტური ლექსით გმირის სიკვდილი ადამიანებთან ერთად ბუნებამაც იგლოვა. ხოგაის მინდის არაჩვეულებრივი გმირობა რომ თვით მტრის მიერ ყოფილა აღიარებული, ამაზე მიუთითებს გადმოცემა. გადმოცემის მიხედვით როდესაც იგი მოუკლავთ, ქისტებს მისი გული დაუნაწილებიათ და ორსული ქალებისათვის უშვებიათ, მინდის მსგავსი გმირები დაიბადებიანო. ამგვარი გადმოცემა დაკავშირებულია აგრეთვე ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი მეორე ხევსური გმირის უშიშა ოჩიაურის სახელთანაც<sup>38</sup>. უშიშა ოჩიაურიც ხალხის საყვარელი გმირია. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რიტუალური პურობის დროს ცალმუხლზე დაჩოქილი დასტურები დამლერიან ფანდურზე მასზე შექმნილ ვარიანტებად ცნობილ ლექსებს:

36 გერმანული ბალადები, თარგმანი აკ. გელოვანისა, 1961, გვ. 33—38.

37 შან., გვ. 421.

38 მთქმელი 80 წ. გიორგი ოჩიაური, ჩაწერილი 1944 წ. არხოტში ქს. სიხარულიძის მიერ.

კიმილს კლდეს ყეფდა ყორნები,  
ერთი უძახებს სხვასაო:  
„ველთ მოს ოჩიაური,  
გავხვეათ ამაგის კვალსაო;  
ჩვენის მისვლისად გასწირავს  
ყორის წყალაზე მკედარსაო.  
უშიშა არ დაგვაკლებდა  
სახრაოდ დილღვლის ძვალსაო.

—  
უშიშავ ოჩიაური  
დალოცვა შენის პირისა!  
ბევრი მოგიკლავ დილღველი,  
წყენა არ იცი კირისა.

ამ ჯგუფშიც არის ლექსები, რომელთა მიხედვითაც პატრიოტულ გმირები ექომაგებიან ქისტებისაგან გატაცებულ ქალებს. მათ შორის გამოირჩევა ბალადა „შატილს გადიდდა ხოხობი“. მისი ფაბულა ისეთივეა, როგორც ლეკიანობის ამსახველი ლექსისა — „ვინა ხარ გულ-ჭირიანი“. შესაძლებელია წარმოშობით ეს ერთი ლექსიც იყოს, რომელიც შემდეგ იქცა ორივე უბედურების — ლეკიანობისა და ქისტებთან შუღლის ამსახველად. აღმოსავლეთ საქართველოს მთასა თუ: ბარში იშვიათია ისეთი მოლექსე, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ეს მშვენიერი ბალადა. ბალადის მიხედვით ქისტებმა გაიტაცეს ფშაველი ქალი. ლექსი დასაწყისიდანვე დინამიურია. მისი შინაარსი თავისებურად ვითარდება. პირველი სტრიქონებით დახასიათებულია მტრები, რაც წარმოგვიდგენს იმ დიდ სიძნელეს, რის წინაშეც იდგა მათ წინააღმდეგ მებრძოლი:

შატილს გადიდდა ხოხობი,  
გულდიდად დაჯდა ჯარზედა,  
დაზარდა შვიდი წიწილი  
არწივის ნაბუღარზედა.  
შვადნივე იყვნენ გმირები  
განთქმული ქისტისტანზედა,  
თითო ლომისა სწორია,  
ხელი ეკიდათ ხმალზედა.

დიდი გულისტკივილით დახატული ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობა წარსულში, გატაცებული ქალის მშობელთა მწვავე განცდა-გადმოცემული ლექსის პირველ ნაწილში ის ნიადაგია, რაზედაც ვითარდება მეორე ნაწილის გმირული, მძაფრი სიტუაციები.

საქართველოში უცხო ტომთა თარეშზეა შექმნილი მრავალ ვარიანტად ცნობილი კომპოზიციურად იშვიათი ოსტატობით შეკრული

ბალადა „შემომეყარა ყივჩაღი“. ეს ბალადა მშვენიერი სიმღერაა საყოველთაოდ აღიარებულ ქართულ პურადობაზე, ქართველი ვაჟკაცის სიღარბაისლესა და ქალის კდემამოსილებაზე. ქართველი ვაჟკაცები ღირსეულად უმკლავდებოდნენ მათ, ვინც შეეცდებოდა ამ მშვენიერ ადამიანურ ღირსებათა შელახვას. ვახტანგ კოტეტიშვილი ამ ბალადას მართებულად უკავშირებს XIII საუკ. დასასრულსა და XIV საუკ. დასაწყისს — იმ ხანას, როდესაც ყივჩაღებმა აიშვეს თავი და დაიწყეს ქალების ტაციობა<sup>39</sup>.

საქართველოს ცალკე კუთხეებზე. სოფლებზე თუ მეცხვარეებზე ოსების თავდასხმაზეა შექმნილი ლექსები: „იყრება ოსის ლაშქარი“, „დიგორსა დასხდენ ვეზირნი“, „მალა მთას მოდგა“ და სხვა.

### 3. ლექსები შინაურ შუღლზე

ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში საკმაო რაოდენობით არის ლექსები თემთა შორის შუღლზე. ამ ჯგუფის ლექსების შექმნა თემობრივ წყობილებასთან არის დაკავშირებული. თემთა შორის შუღლზე შექმნილ ლექსებში გამოხატული გმირობა არ არის დაკავშირებული იმ პროგრესულ იდეასთან, რაც ახასიათებს სამშობლოს დაცვის თემაზე არსებულ ნაწარმოებებს. ამ ლექსებში გამართლებულია ერთი თემის მიერ მეორეს დარბევა. ამდენად მათში გამოხატული იდეალი გმირობისა შეზღუდულია. ამგვარი ლექსების შემქმნელი ისევე აქებენ და აღიღებენ მოსაზღვრე თემთა დამარბევთ, ამკობენ მათ ისეთივე საგმირო ეპითეტებით, როგორც — გარეშე მტრების წინააღმდეგ მებერძოლებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ჯგუფის ლექსების გავრცელების არე არ არის ისე ვრცელი, როგორც სამშობლოს დაცვის თემაზე შექმნილი ლექსებისა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ციკლი ლექსებისა თორღვას შესახებ. თორღვა ხევესური ყოფილა. ლექსების, გადმოცემების და თქმულებების მიხედვით იგი ბაგრატიონთა შთამომავალია. თორღვას სახე საკმაოდ რთულია. ზოგი ლექსისა და თქმულების მიხედვით თორღვა ნახევრად მითითური არსებობს. იგი „ღვთისაგან ნაწილიანია“. ერთი ლექსის მიხედვით მას

დიდებულება დაუთქვეს,  
ბეჭებს უნახეს ჯვარიო.  
მარჯვნივ მზე წერებულაყვა,  
მარცხნისკე მთვარის ნალო.

მას სახელოვანი გმირობის — მამუკა ქალუნდაურისა და მექობა-

<sup>39</sup> კობ., გვ. 335—336.

ურის მსგავსად თითქოს მცურავი ჯაჭვიც ჰქონდა ძმობილის — ვეშაპის ნაჩუქარი.

თორღვას სახე გაორებულია. ზოგი ლექსით თორღვა დადებითი გმირია. ბრძოლაში გამარჯვებულს ხევსურები „სახელს ულოცვენ თორღვასა“... მოლექსე ქალი კი ასე მიმართავს:

მოგივიდოდი თორღვაო,  
არ ვიყო კვეთილიანი“.

თორღვას დადებით სახეს აძლიერებს მისი ბრძოლა გარეშე მტერთან. ხალხი აქებს თორღვას მთიანეთში მოთარეშე ქისტის — ვაზუზისა თუ ვაჟუსძის მოკვლის გამო. გარეშე მტერთან ბრძოლამ განსაზღვრა აგრეთვე ამ ციკლის ლექსთა გავრცელების არის სიფართოვე.

ბევრი ლექსისა და გადმოცემის მიხედვით, რომელნიც შინაურ შუღლზეა შექმნილი, თორღვას მკვლელი ქებით იხსენიება.

ხალხურ ნაწარმოებთა უმეტესობა და მთლიანად ამ ციკლის ლექს-თქმულებათა ხასიათი, მათი პოეტიკა გვაფიქრებინებს, რომ თორღვა სახალხო გმირია<sup>40</sup>.

შინაური შუღლის ამსახველი ლექსებით თავს ესხმიან ერთიმეორეს არა მხოლოდ თუშები და ფშავლები, ან ხევსურები და მოსევენი, ზოგჯერ ერთი კუთხის მკვიდრნიც. თუშებისა და ფშავლების შუღლზეა ნათქვამი გავრცელებული ლექსები: „დაგვლივნა ხოშარის გორმა“, „სუმელჯისგან თუშთ ხოცა“ და მრ. სხვ. მათ შორის ლამაზი ფორმის, მაგრამ სავალალო შინაარსის მქონე ლექსი:

თუშნო, ხოშარას ნუ ჩახვალთ,  
ხოშარა ეკლიანია,  
შოგ სამნი მგელნი ბუღობენ.  
ამნივე ლეკვიანია;  
თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ,  
კოორგი ეტლიანა.

გუდამაყრელთა და ხევსურთა შუღლის შემადრწუნებელ ამბავზეა ნათქვამი ლექსი „თამარისძის სისხლი აიღეს“. პირაქეთელ და პირიქითელ ხევსურთა სავალალო ურთიერთდღალაშეკრას გვაცნობს პოეტურად კარგად გამართული ლექსი „ხევსურების გალაშქრება არხობზე“. მსგავსი მაგალითები, სამწუხაროდ, არც თუ ცოტაა საგმირო პოეზიაში.

40 ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არის თუ არა თორღვა სახალხო გმირი, „მნათობი“, № 10, 1972.



შინაური შუღლის სუჟეტზე შექმნილ საგმირო პოეზიაში თავისებურებას იჩენს ვარიანტებად ცნობილი ლექსი „ფხოველი და შავანელი“. ლექსი ფრაგმენტულია, მაგრამ მას მაინც აქვს სიუჟეტი. იგი აგებულია ორი ვაჟკაცის სამწუხარო შერკინებაზე. ლექსის მიხედვით ფხოველმა და შავანელმა „ჩაქრეს, ჩაკაფეს ერთერთი, მაშველი აღარ შამჩაო“, რის გამოც მოლექსე სინანულით ამბობს: „ორნივ ყოფილა უჟკონი, ერთმ მაინც რად არ დასთმო?“ ლექსის ჩამწერმა თედო რაზიკაშვილმა არ იცის შავანელის ვინაობა და სადაურობა<sup>41</sup>. ლექსის დასასრული გვაფიქრებინებს, რომ შავანელი ქართველთა ტომის არის. ამდენად, ლექსში გამოხატული იდეალი გმირისა არ არის შეზღუდული. ლექსში დაგმობილია ვაჟკაცთა მიერ ერთიმეორის დახოცვა. ამით განსხვავდება იგი შინაური შუღლის თემაზე შექმნილ საგმირო პოეზიის სხვა ნიმუშებისაგან.

#### 4. გმირის იდეალის გამომხატველი სიუჟეტური ლექსები

ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში ცალკე ჯგუფს ქმნიან ლექსები, რომელთა სხვადასხვაგვარ სუჟეტებს აერთიანებს არა ერთი რომელიმე ამბავი, არამედ — გმირის ამალღებული იდეალი. ქართულში ჩაწერილი „არავისპირული ლაშქრული“, ფშაური „ჩამორბის ა იმ მთაზედა“ და ხევსურული „არხოტივენებს“, გამოხატავენ ხალხის სიძულვილს ბრძოლის ველიდან გამოქცეული ლაჩრებისადმი. ხალხს უყვარს უანგარო ვაჟკაცი, ისეთი, ვინც დაუზარებლად, ფხიზლად დგას მშობლიური კუთხის სადარაჯოზე. ლექსების ციკლია შექმნილი აბაშაზე, რომელიც ხალხისთვის გმირის იდეალად ჩანს. გმირი არის საგანი მშვენიერი პარალელიზმით შეკრული ოთხსტრიქონიანი ლექსისა:

ნისლ ძესა ლებაისკარსა  
სუ მუდამ აუყრელადა.  
აბაშას ტანზე ჯაჟვ სცევა  
სუ მუდამ წაუყრელადა.

გმირის სიფხიზლეზე ნათქვამი ეს ლექსი შეიძლება მის სადაურობაზედაც მიუთითებდეს. ნიადაგ შეკუთრვილ გმირთან იქნება სწორედ მისი მშობლიური სოფელი — მარად დანისლული ლებაისკარი შეტოლებული. მეორე ლექსის მიხედვით მოლექსე ურჩევს ქალებს გმირთან დამოყვრებას, რომელიც თუმცა „ღარიბი კაცია“, მაგრამ

<sup>41</sup> შან., გვ. 410.

„ბევრის ვაჟის მკვლელია“. სიბერეში შესულ საყვარელ გმირს კი ხალხი სინანულით ათქმევინებს:

აბაშამა თქვა: „დაებერდი,  
მუქლებს აღარ მაქვს წადინი,  
ნეტავი არ მამდიოდა  
მაგ მუხუაურთ ქადინი!  
მანამდე ვიყავ ახალი,  
არ გავიგძელი ნადიმი,  
ქალათით გამოქცეულმა,  
მთაზე ვკამიდი სადილი“.

გმირის პირითვე გადმოცემა საგაყკაცო თვისებებისა დამახასიათებელია ამ ჯგუფის ლექსებისათვის. ასეთია მაგალითად მოხეური ლექსი:

მთიელ ვარ, მთაჩი გაზდილი,  
გულადი, გაუტეხელი,  
არწივი, ზეცათ მოსული,  
სპილო ვარ მოუდრეველი.  
სამშობლოს მოსიყვარულე  
ვარ მისა დაუთმობელი და ა. შ.

ასეთივეა აგრეთვე „კამეჩის მეხრე“, ვარიანტებად ჩაწერილი „ნეფის მონადირე ვიყავ“ და სხვ. გმირის იდეალზეა შექმნილი აგრეთვე ლექსები — „ყმა იშვიათად გაღლესავს“, მეტად დინამიური „გუდან მოიდა ლაშქარი“ და მრ. სხვ.

ვაჟკაცის რაინდულ მოქმედებასა და თავშეკავებაზეა შექმნილი ვარიანტებად ცნობილი ლექსი „დამასტესა ვმკი ყანასა“. ამავე ჯგუფში შემოდის აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ამსახველი და გმირისადმი ხალხის სიყვარულის გამომხატველი უაღრესად ემოციური ელეგიის ეანრის ლექსი:


ქართლის ტყვე გამოპარულა,  
გამამხდარიყო ზღვასაო,  
ნუ ჩაუხდები, მთვარეო,  
ნუ ჩაუბნელებ გზასაო.  
ნუ გაუყინავ მყინვარო,  
გადასაველსა მთასაო.  
ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით,  
გაახდინოდით წყალსაო,  
ნუ აუტრიებთ დედასა,  
გასათხოვარსა დასაო.

იქნებ ეს ლექსი თათართა აგრესიის ამსახველიცაა. ზღვას გამომხდარი ქართველი იქნებ სტამბოლში გაყიდული ტყვე იყო.

## 5. საგმირო სახოტბო ლექსები

საგმირო-სახოტბო ლექსების შინაარსს გმირთა გარეგანი პორტრეტის აღწერა, სავაჟაკო თვისებათა შემოკლება და სულიერი სილამაზის დახასიათება ამდიდრებს. სიმბოლიკის, ეპითეტების, შედარებათა და სხვა პოეტური ხერხების მრავალფეროვნება სტრიქონების დინამიურობასთან ერთად განსაკუთრებით შთამბეჭდავს ხდის გმირის სახეს. შინაარსის დინამიურობით ხასიათდება მაგალითად თუშური ლექსი „ძმანო კარებო რკინისაჲ“. სახოტბო-საგმირო ლექსების მშვენიერი ნიმუშებია „გაქო, გაქო“. ვარიანტებად ცნობილ ამ ლექსში მოცემულია გმირის დასამახსოვრებელი პორტრეტი და მშვენიერი ეპითეტებით შემოკბილია მისი სავაჟაკო თვისებანი. ამგვარი შინაარსი ლექსისა ტავტოლოგიური რითმით არის გამართული. ეს ლექსი თანაბარი უფლებით შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საგმირო ისევე სატრფიალო პოეზიას. საგმირო ხასიათი მეტად თავისებურადაა მოცემული მეორე, აგრეთვე ტავტოლოგიური რითმით გამართულ ლექსში:

ხორნაულთას რო ციხე დგა,  
ოქროს ჩარდახი მეგონა.  
შიგ ისხდა მეთოფეები,  
მთავარ ანგელოზ მეგონა.  
აყრიდეს ტყვია წამალსა,  
თვალ-მარგალიტი მეგონა.



21

რითმად გამოყენებული მეგონა ამ შემთხვევაში არის შედარების თავისებური ფორმა და მთლიანად ლექსისთვის შინაარსის მიმცემიც. ზოგი საგმირო-სახოტბო ლექსი გმირთა თვისებებს ცალკე კუთხეებს უკავშირებს. სანიმუშოა ამ მხრივ ხევსურული ლექსი:

ქვესურო, კმალი გალაღებს,  
ფშაველო — ენა გძელიო,  
გუდამაყრელო — მაჟარი,  
ტყვია გამასდის ცხელიო.

ზოგი ამ ჯგუფის ლექსი — კი მთლიანად სხვადასხვა გმირთა თვისებების ჩამოთვლითაა აგებული. ამის ნიმუშია ივ. ბუჭურაულის მიერ ჩაწერილი „თუშეთის გმირები“. საგმირო-სახოტბო ლექსების შინაარსის განვითარებაში ისე დიდია როლი სიმბოლიკის, შედარებების და სხვა პოეტურ ხერხებისა, რომ მათი ანალიზი მხატვრულ თავისებურებათა საკითხებს უფრო განეკუთვნება.

ამ ჯგუფში შეიძლება შემოვიდეს საგმირო ლექსები სატრფიალო მოტივებით. ეს ლექსები გამოხატავენ ქართველი ქალის იდეალს

სატრფოსი თუ საქმროსი. მაგალითად, ამ ჯგუფის ერთი ლექსი ასე მთავრდება:

ხევსურსაც ისეთს გადაყვებ,  
დღეშუ ღლესადღს ხმალსაო,  
შინ სტუმარ შეუდიოდეს,  
აბჯარნ უღეწდეს კარსაო,  
ლაშქარს წინ ჩაუძღვებოდეს,  
გასწრებდეს შუბის ტარსაო.

ხალხური საგმირო პოეზიის მიხედვით ქართველი ქალი საქმროს ირჩევს არა გარეგნული სილამაზით, არამედ — ვაჟკაცობით.

მეორე ლექსის მიხედვით ამგვარ იდეალს ქართველი ქალისას გვაცნობს სტრიქონები:

არ მინდა ა ისეთი,  
კარგ იყოს თვალად, ტანადა,  
რას უშველს სილამაზეი,  
ბალხნი რო ხკვლევდან ქალადა.  
ვაშკაც უნდ იყვას ისეთი,  
ფიცხად კმარობდეს დანასა,  
სიცილით უნდა იშულლას,  
კმაიყ არ გაიტანასა...

## 6. ლექსები ნადირობის თემაზე

ნადირობის თემაზე შექმნილ საგმირო პოეზიაში მხატვრული ტანზოგადებით გამოირჩევა კლასიკური ნიმუში ხალხური ბალადისა „მოყმე და ვეფხვი“. ამ ბალადაში აზრის გასაოცარი სიღრმითა და მაღალი პოეტური ხელოვნებით არის გადმოცემული ერთის მხრივ მონადირის ვაჟკაცური შემართება და მეორეს მხრივ ვეფხვთან შერკინებაში დაღუპული მოყმის დედის ჰუმანიზმით ამალღებული მწუხარება. ხალხურ პოეტს შეუქმნია გრანდიოზული სურათი მოყმისა და ვეფხვის შებმისა, რასაც დაუვიწყარს ხდის დიდი ექსპრესიით მომდინარე სტრიქონები:

დაიბნენ ვეფხვი, მოყმეი,	შაიბნენ ვეფხვი, მოყმეი,
მაშინ დაიძრნეს მიწანი,	მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს,	კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაიღეწნეს ტყისანი.	შტონ დაიღეწნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა.	დრო აღარ დარჩა მოყმესა.
ხანი რო ჰქონდეს ცდიაანი,	ხანი რო ჰქონდეს ცდიაანი,
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,	ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი, ჩქარია კლდისანი,	ვეფხვი, ჩქარია კლდისანი,

გაზით გაართვნა კალთანი,  
ჯაჭვისა ჯავშანისანი.  
მოყმემაც ხელში იყარნა  
ვადანი თავის ხმლისანი.  
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,  
დრონ იყვნენ წაქცევისანი.  
ვეფხვი კლდით გადაეკიდა,  
ჩამოაწითნა ქვიშანი.

გაძნელდებოდა უფრო მეტი ფილოსოფიური სიღრმით გააზრება მწუხარებისა, ვიდრე ეს არის დედის მოთქმაში. ქართველი დედის ჰუმანიზმი ხომ ზენიტშია აყვანილი ბალადაში. ბალადა „მოყმე და ვეფხვი“ წარმოშობით არქაული უნდა იყოს.

საგმირო-სამონადირეო პოეზიაში ყურადღებას იქცევს ფშავსა და ხევსურეთში გავრცელებული ლეგენდარული ლექსი „მექობაური“. ვარიანტებად ცნობილი ლექსი დიდი თქმულების ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის პირვანდელ შინაარსზე წარმოდგენას იძლევიან ლეგენდები. ივანე მექობაური მონადირეთა მეთაური ყოფილა, მის გონიერ რჩევას ხიფათისაგან უხსნია ტყეში გზას აცდენილი მონადირენი. მონადირეთა ქომავად ლექსისა და ლეგენდების მიხედვით ვეშაპია გამოყვანილი, თვით მონადირენიც, მექობაურის რჩევით, ესარჩლებიან ქომავს მეორე ვეშაპთან ბრძოლაში. ლეგენდების მიხედვით მადლიერ ვეშაპს პირიდან მცურავი ჯაჭვი ამოუგდია და დამძობილების ნიშნად მექობაურისთვის უჩუქნია. ეს მითოლოგიური მოტივი, როგორც ჩანს, მეტად გავრცელებული ყოფილა საქართველოში. როგორც ზევით აღვნიშნეთ, იგი ლუხუმისა და ქალუნდაურის სახელებთანაც არის დაკავშირებული.

საგმირო იდეალის პოეტიზაციით სამონადირეო ლექსებიდან ყურადღებას იქცევს ფშაური ლექსი „შვიდ ძმათა, მერვე ბიძასა“. ლექსში გადმოცემულია ბიძისა და ძმისწულების შებმა საშიშარ მხეცთან, პირველის სახელოვანი გამარჯვება და უკანასკნელთა მარცხი. ლექსი ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება ნადირობის სცენის მძაფრი სიტუაციით. საგმირო კოდექსით დიდ სირცხვილად ითვლებოდა ვაჟკაცისათვის დამიზნებელი იარაღის აცდენა. ამგვარი იდეალის პოეტიზაცია დამარცხებულ მონადირეთა პირით არის მოცემული ლექსის დასასრულს.

ლექსში „დათვის სიზმარი“ თავისებური ხერხით არის გამოხატული გპირი მონადირის იდეალი. ამ შემთხვევაში უშიშარი მონადირისა და მხდალი ვაჟის შედარება თვით ნადირის სიზმარშია მოცემული:

ვაეაი — ქალის პირაი  
გორს უკან მემალეზობდა;  
ვაეაი სვილის ფერაი  
ხმალდახმალ მეთანეზობდა.

საგმირო ხასიათისა აგრეთვე მშვენიერი ლექსები „მთაში ნუ  
ღგდინხარ, ირემო“, „მონადირე“ და სხვ.

## 7. საგმირო-სამგლოვიარო ლექსები

საგმირო პოეზიაში დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი  
ვაეაკის სიკვდილზე შექმნილი ლექსები. ისინი ყურადღებას იქცე-  
ვენ არა მხოლოდ მრავალრიცხოვნობით, არამედ — შინაარსისა და  
ხასიათის მრავალფეროვნებითაც. დაღუპულ გმირზე მოთქმა, რო-  
გორც აღინიშნა, ერთ-ერთი წყაროა საგმირო პოეზიისა. პოეზიის ამ  
ჟანრში ახლაც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი დატირების  
ხასიათის ელეგიის ჟანრის ლექსები, როგორცაა: „ლომო, შე ლომის  
მოკლულო“, „შვილო ტანჯულის ქვეყნისა“, „გიყვარდა იარაღები“ და  
„ბრალია შენი სიკვდილი“. ამ ლექსებიდან ზოგი ბოლო დრომდე სა-  
ფერხულო სიმღერები იყო. ერთი ჯგუფი გმირის სიკვდილზე შექმ-  
ნილი ლექსებისა მწუხარების პოეტურად განზოგადოების ნიმუშებია  
და ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს. ასეთებია, მაგალითად, „სიკვ-  
დილის ზნე“ და „თქვენი ჭირიშე ყორნებო“. ერთ ნაწილს საგმირო-  
სამგლოვიარო პოეზიისა ერთგვარი სახოტბო ხასიათი აქვს. ამ ხასია-  
თის ბევრ ლექსს გარკვეული ადრესატები ყავს. ამის ნიმუშებია: „გა-  
ბუჟრთ მზირი აუდგა“, „ხიტალიონო ღერენავ“, „არწივი“, „მარტია  
შუქიაური“ და სხვ. ზოგ შემთხვევაში სახოტბო ხასიათის საგმირო  
ლექსი უმისამართოა. ასეთებია, მაგალითად, „სიკვდილმ თქვა: არ  
დავიჭერებ“. როგორც ადრესატიან, ისევე უმისამართო სახოტბო ხა-  
სიათის საგმირო ლექსებს ადრე უთუოდ მორგანიზებელი ფუნქცია  
ჰქონდა. საგმირო-სამგლოვიარო ლექსების დიდი ნაწილი სუჟეტია-  
ნია. ასეთებია მაგალითად „შატლის დაწვა“, „ღემურ“, „ჩილოს წახ-  
დენა მტერთაგან“ და მრ. სხვ., რომელთა შინაარსი დაკავშირებულია  
ჩვენი ქვეყნის წარსულ ბედუკუღმართობასთან.

## IV. საგმირო ლექსების სოციალური ფუნქცია და შესრულების წესები. კავშირი სხვა პოეტურ ჟანრებთან

ქართული ხალხური საგმირო ლექსები ხასიათდება სოციალური  
ფუნქციის მრავალფეროვნებით და სხვა პოეტურ ჟანრებთან მჭიდ-

რო კავშირით. საგმირო სიმღერა ყოველთვის თან ახლავს ქართველი ხალხის შრომას, დასვენებას, ღზინსა და ჭირს. საგმირო ლექსების შინაარსისა და შესრულების ხასიათის ნათესაობა შრომისა და საწესო პოეზიასთან, აკენისა და სალალაო სიმღერებთან, სატრფიალო და სამგლოვიარო ლირიკასთან და ა. შ. ხალხის ისტორიული ბედით არის განსაზღვრული. საქართველოს ისტორიული ბედის როლს საგმირო პოეზიის სიმდიდრესა, ნაირსახეობასა და სოციალურ ფუნქციის მრავალფეროვნებაში აშკარად გვიჩვენებენ სალაშქრო-მხედრული სიმღერები. სალაშქრო-მხედრული ფუნქცია თან დაყვა უძველესი წარმოშობის საგმირო პოეზიას. მაიორისთა სამხედრო სიმღერა-ცეკვები, ვიქტორიის მკვიდრთა გახელებამდე ცეკვის შესრულება ბრძოლის წინ და დასასრულს, დაიაკების ამავე ხასიათის პანტომიმა, ქსენოფონტეს მიერ დახასიათებული თრაკიელთა და მიზიელთა სალაშქრო ცეკვა — პანტომიმა და სხვ.<sup>42</sup> იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ პოეტური სიტყვის შექმნის დასაწყისიდანვე მკვიდრი ნიადაგი ჰქონდა საგმირო-სალაშქრო ლექსებს. სალაშქრო-მხედრულ სიმღერებს საქართველოში უძველესი და ძლიერი ტრადიცია აქვს. მრავალი მომხდურის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებში ისტორიის გრძელ მანძილზე სალაშქრო რიტუალიც კი შეიქმნა. ქართული სალაშქრო რიტუალი და მასთან დაკავშირებული ამგვარივე სიმღერები კარგად არის დახასიათებული ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში. „ხევისბერი გოჩას“ მიხედვით სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებულმა ხალხმა ბრძოლის წინ რიტუალთან ერთად შეასრულა „გერგეტულა“. მწერალი ასე აღწერს სამხედრო ცერემონიას: „ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელიც ნიავისაგან წყნარად ფრიალებდა. ამ ხანში წმიდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მომცემმა ხალხმა ქულები მოიხადა“<sup>43</sup>. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა „ელგუჯადან“ მთიელთა კრების აღწერა. ეროვნული თავისუფლებისათვის დარაზმულმა მთიელებმა საბრძოლო დროშების დამწყალიობების წინ შეასრულეს საგმირო სიმღერა „რომელიც მომღერლებს შიგ გულის საძირკვლიდან სწყდებოდა და მაღალის ბანით მედგრად გადაქცეული ჰაერში გრგვინვასავით გაივლიდა... ყველანი გულ-

42 А. Н. Веселовский. Символизм древнейшей поэзии и начала дифференциации поэтических родов. Собрание сочинений, I, 1913, стр. 238—240.

43 ალ. ყაზბეგი, თხზ., II, 1948, გვ. 275.

მხურვალედ უყრიდნენ მუხლს იმ წმინდა დროშებსა, რომელნიც არაერთხელ წინ გასძლიოლდნენ ბრძოლის ველზედ და არაერთხელ იქიდგან გამარჯვებულნი და სახელოვანი დაებრუნებინათ“<sup>44</sup>. საქართველოს მთიანეთში ლაშქრობის ხატებიც კი არის. ხევსურეთში, როგორც ეს აღნიშნული აქვს ნ. ურბნელს, ამ ხატთა შორის უმთავრესია გუდანის ჯვარი. ხევსურთა რწმენით ლაშქრობაც გუდანის ჯვარის ბრძანებაზე ყოფილა დამოკიდებული. ამის გამომხატველია ხევსურული ლექსის სტრიქონები:

ხევსურებ ბედავს ლაშქარსა,  
ბრძანებს გუდანის ჯვარიო<sup>45</sup>.

ამგვარივე მნიშვნელობისა იყო, როგორც აღნიშნავს ნ. ურბნელი, ლაშარის ჯვარი ფშავში. მას — ფშავლებს გარდა ხევსურები და თუშებიც ემორჩილებოდნენ. ნ. ურბნელს საილუსტრაციოდ მოყავს ხევსურული სალაშქრო სიმღერის („თუშთა, ხევსურთა, ფშაველთა ლაშარს პირობა შაჰკრიან“) ფრაგმენტი<sup>46</sup>. სარიტუალო იყო საკუთარი მელიოდის მქონე ლომისის ჯვრის სალაშქრო-საგმირო სიმღერა „ხორასანს ლაშქრად ვიყვენით ჩვენ ლომნი ლომისისანი“<sup>47</sup>. საგმირო პოეზიის სარიტუალო-სალაშქრო ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე შინ ჯვარის სტუმრების წესთან დაკავშირებული მედროშე-სადმი სიმღერის მიძღვნაც. ბეს. გაბურის ცნობით ღამის თევისას ანუ შინ ჯვარის სტუმრებისას საკუთრივ მედროშეს უმღერენ ამ სიმღერებს:

ბეწინას მედროშავსა მშვილდს უშზადებენ, ისარსა,  
მკართ მშვილდსა ჩამახკიდებენ ჭიკვში ნარჩევის რქისასა<sup>48</sup>.

ლაშქრობისათვის განკუთვნილ სახალხო რიტუალებში საგმირო სიმღერების შესრულებასთან დაკავშირებით ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე წერს: „არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი ხევსურული სასიმღერო ლექსებისა, რომლებსაც ამღერებდნენ ფანდურზე ცალმუხლზე ჩოქით დასტურები ხატის დარბაზში რიტუალური პურობის დროს. ეს სასიმღეროები საგმირო ხასიათის ლექსებს წარმოადგენენ. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან ამა თუ იმ ხევსურის მიერ შესრუ-

<sup>44</sup> ა. ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი, I, 1948, გვ. 94—95.

<sup>45</sup> ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 104.

<sup>46</sup> იქვე.

<sup>47</sup> გ რ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, 1, 1960, გვ. 70.

<sup>48</sup> წელიწლეული, 1923—1924, გვ. 122.



ლებული საგმირო საქმეები. ხევსურის ძველი რწმენით, ხატი თავის ყმებს ეხმარება მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში, მათ წინ მიუძღვის, ან დასახმარებლად თავის „ლაშქარ მწვევართ“ დაადევნებს...“<sup>49</sup>.

საგმირო ლექსების სალაშქრო ფუნქციის თვალსაზრისით საინტერესოა 1914 წ. იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებული ამბავი „მობილიზაცია არხოტში“. მისი ავტორია ცნობილი მოლექსე ბეს. გაბური. ბეს. გაბურის ცნობით სოფლელები ტირილით აცილებდნენ მობილიზებულთ. უკანასკნელნი მღეროდნენ პოპულარულ საგმირო აფორიზმებს: „კაი ყმა ლაშქარ მოკვდების“ და „კას ყმას აქმიე დედაო, დილა ადრიან სადილო“. ბეს. გაბურმა კარგად იცოდა უაზრობა იმპერიალისტური ომისა, იცოდა, რომ მობილიზებულნი იძულებით მიყავდათ ომში და საგმირო აფორიზმების შესრულების გამო შენიშნა: „ამ სიმღერეს იმით იმღერს, ვითომ ჩვენ კა ყმები ორთავ, რაკი ომში მივიღითავ“<sup>50</sup>.

სალაშქრო-მხედრული სიმღერები ახლაც ამშვენებს საგუნდო თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს. საქართველოში გავრცელებულია და სხვადასხვა მელოდიით სრულდება, მაგალითად, სალაშქრო-მხედრული სიმღერა:

ომში წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,  
დაბრუნება და შინ მოსვლა  
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

ქართლში ეს ტექსტი, როგორც სალაშქრო სიმღერა, სრულდება თავისებური მელოდიით<sup>51</sup>, კანეთში-კი, როგორც მხედრული, სხვაგვარი მელოდიით<sup>52</sup>.

სალაშქრო სიმღერებს ბრძოლის წინ ან ომის გამარჯვებით დამთავრებისას ასრულებდნენ არა მხოლოდ მამაკაცები, არამედ ქალებიც. თემური წყობილებისას ქალების დიდი როლი საგმირო პოეზიის შექმნაში დაახასიათა ვაჟა-ფშაველამ: „თემის არსებობა დამოკიდებული იყო ძველად ვაჟკაცებზე, მამაკაცებზე. მათი გამამხნეველი ბრძოლაში. დედაკაცი იყო. დიაცთა ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუდებელი საჩუქარია. ვაჟკაცი მუდამ სცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათის დიფირამბების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟ-

49 ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, 1, გვ. 9.

50 წელიწდეული, გვ. 201—202.

51 გ. რ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, 1, გვ. 204—205.

52 იქვე, გვ. 367—368.

კაცებს ვაჟკაცობისათვის ალექსებდნენ კიდევ. ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისთვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკიდებდნენ, მხდალს აძაგებდნენ ფერხულში ჩაბმულნი სათემო დღეობის დროს<sup>53</sup>. ქალების სალაშქრო სიმღერების შესრულებაზე საინტერესოა ალ. ყაზბეგის მხატვრულ შემოქმედებაში დაცული ცნობები: „მამის მკვლელის“ მიხედვით მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ გმირებს ბრძოლის წინ „მოხუცმა კაცებმა დაულოცეს გზა. უსურვეს ყოველი კეთილი და ყოველგან გამარჯვება, ყმაწვილმა ქალებმა უმღერეს თავბრუდამხვევი საომარი სიმღერები და გაისტუმრეს“<sup>54</sup>. ამავე ნაწარმოების მიხედვით საომარი სიმღერებით შეხვდნენ ყმაწვილი ქალები მტერზე გამარჯვებულ მთიელებს. „ყმაწვილი ქალები, მორთულნი სხვადასხვა ფერის მხიარულის ტანისამოსით, გავიდნენ წინ და მაღალის ხმით დაიწყეს გმირული საომარი სიმღერა. ყმაწვილი კაცები, რომელნიც გვერდს მისდევდნენ ყოყინით, ჭყვივლით და თოფისა და დამბაჩის სროლით, ინთებოდნენ თვალქუჩუნა მომღერალთ სიტყვებით და ესენი კი აქეზებდნენ იმათ მტრებზედ; ცამდინ აპყვანდათ გულადნი, თავდადებულნი ვაჟკაცი, მაშინ, როდესაც მასხარად იგდებდნენ მშიშარებს და ლაჩრებს<sup>55</sup>. თუშ-ფშავ-ხევსურეთში საგმირო სიმღერების შესრულება ქალთა მიერ აღნიშნული აქვს ვანტანგ კოტეტიშვილს. მკვლევარს მოყავს ამ ფაქტის დამადასტურებელი ადგილები საგმირო ლექსებიდან<sup>56</sup>. ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილ ლექსში, რომელიც ჩვენის აზრით სალაშქრო უნდა იყოს, გადმოცემულია ქალთა ზემოქმედება მეომრებზე:

ნეტავი ლაშქარს შაგვეყარნა  
სამი ბატონის ყმანიო,  
მოგვწივა მძიმე ლაშქარი.  
სწორებს გვეცადა თავიო.  
მალლიდან გადმაცქირა  
ლაშაზი ქალის ჭარიო.  
ბევრ ქალს კი შასძულებოდა  
თვალად ლაშაზი ქმარიო,  
ბევრ ქალს კი შაპყვარდებოდა  
პირად ჭულური ქმარიო.

53 ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშაველი დედაკაცის მღგომარეობა და იდეალი ფშავერის პოეზიის გამოხატულებით, თხზ., V, გვ. 88.

54 ა ლ. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზ., I, 1948, გვ. 324.

55 იქვე, გვ. 305.

56 კოტ., გვ. 478.

სალაშქრო-მხედრულმა ფუნქციამ საგმირო პოეზიის უდავოდ განსაზღვრა ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ეპოქის ლექსებისა ქალთა შემოქმედებაა. ქალთა ავტორობაზე, ვ. კოტეტიშვილის მიერ აღნიშნულს გარდა, უშუალოდ ძიუთითებს ბევრი საგმირო ლექსის დასასრული, როგორცაა:

ამა ლექსის მათქომი  
ვარ რაიბულის ქალიო,  
ხელში მიჭირავ ჩხირ-წინდა,  
ცრემლით მევსება თვალიო,

ან კიდევ:

ემა ლექსისა მომთქომსა  
ქალს ცრემლი მამდის თვალზედა;  
გიგის ხელების ნაწვეთი  
მადლით ჩამომდის თავზედა...

საგმირო ლექსები მგზავრული სიმღერებიც იყო. კახეთში მგზავრულ სიმღერად იყო აკ. წერეთლის ლექსი „ამირანიც“<sup>57</sup>. ქართული ხალხური საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსის სამგზავრო ფუნქციის მაჩვენებელია ფშაური ლექსის „შატილს გადიდდა ხოხობის“ კახური ვარიანტი. იგი ჩაწერილია როგორც მგზავრული „არალალო“, ოღონდ მგზავრულ სიმღერად ჩაწერილ კახურ ვარიანტს შესავლის სახით კონტამინაციის წესით დაკავშირებია გავრცელებული ლექსის „მალლიდან გადმომდგარიყოს“ დასაწყისი<sup>58</sup>.

სახალხო დღესასწაულებზე, რიტუალური იყო იგი თუ არა, ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა საგმირო სიმღერებს. მთავარი და არსებითი ამ შემთხვევებში იყო პატრიოტული გრძნობის გამოხატვა, ხალხის სულისკვეთების, მისი იმედისა და მოლოდინის გამომჟღავნება. ვაჟა-ფშაველამ აფხუშობის შესანიშნავ აღწერაში ნათლად წარმოგვიდგინა სახალხო შეკრებებზე სამშობლოს დამცველი გმირის — თათრის ხანის შემმუსვრელ ღაჭაურას ხსენების ჩვეულება<sup>59</sup>.

აფხუშობისას მოხუცის მიერ მოყოლილი გადმოცემა, გვაცნობს ფშაური ლექსის „ავად არს ღაჭაურაი“ ადრესატს<sup>60</sup>. ჩვენ ისიც გვწამს, რომ ეს მშვენიერი ლექსი, ისევე, როგორც გადმოცემა, აფხუშობის

57 ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 112.

58 გრ. ჩხიკვაძე, ქართული ხალხური სიმღერა, I, გვ. 373—375.

59 ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, გვ. 32.

60 ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1966, გვ. 174.

დღესასწაულის აუცილებელი ელემენტი იყო და იმღერებოდა მონადიმეთა მიერ.

საგმირო ლექსები იმღერებოდა ყოველგვარ დღეობა-შეკრებებზე, რასაც ხევესურები ჯარობას უწოდებენ. საგმირო სიმღერის თავისებური ტრადიცია სახალხო შეკრებებზე, მისი მორიგეობით შესრულება ტერმინ ს ი მ ღ ე რ ე ს განმარტებისას დაახასიათა აკ. შანიძემ: „ს ი მ ღ ე რ ე ხევესურეთში უფრო იმას გულისხმობს, რომ ჯარში უფროსები დახდება, ხელში ლუდიანი ჯამები უჭირავთ. უმცროსები კი თავ-მოხდილებია და ცალ მუხლზე დაჩოქილი. ერთ მათგანს ფანდურს აქვს და ამღერებს საგმირო შინაარსის სიტყვებს, შემდეგ ფანდურს მეორეს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს. შემდეგ იგი მესამეს გადასცემს, იგი კიდევ სხვას“<sup>61</sup>. მოლექსეთა ცნობით ნადიმზე ცალ მუხლზე დაჩოქილი ფანდურზე დამღეროდნენ ლექსებს თემში განთქმული ვეკაცების — უშიშა ოჩიაურის, კანჯარუა ცისკარაულის, ახილელი ქასას და ბაბლი ჯაბუშანურის შესახებ<sup>62</sup>. სიმღერის ამგვარმა ტრადიციამ თავისი კვალი დაამჩნია საგმირო პოეზიის პოეტიკას.

საქართველოში საგმირო პოეზიის ტრადიციასა და შესრულების ხასიათთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ არსებულა წესი, რომლის მიხედვითაც ლექსი მხოლოდ ერთხელ, ახალწელს სრულდებოდა. შესრულების ამგვარი წესი ჰქონია ხევესურულ ლექსს:

ქისტ ისთაბარო, ბორბალსა  
მარჯვე გეგონა სავალი.  
კოპალა გაგიგონავა,  
ადრითვე დუშეთს მავალი?<sup>63</sup>

ტექსტი ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ და ახლავს მისივე შენიშვნა: „ამ ლექსის გაგრძელება ვეღარ ვიშოვე. ძალიან დიდი ლექსია და წელიწადში ერთხელ იმღერება, ისიც ახალწელიწად დღესაო“<sup>64</sup>.

საგმირო სიმღერები ამშვენებდა და ამშვენებს ყოველგვარ საოჯახო და სახალხო ღონისა თუ ნადიმს. საგმირო ლექსები ზოგჯერ ერთი ჟანრით და საკუთარი მელოდიით, ზოგჯერ სხვადასხვა ჟანრით

61 შან., გვ. 022.

62 ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 78; მისივე, ნარკვევები, I, გვ. 201.

63 შან., გვ. 63.

64 იქვე, გვ. 425.

და სხვადასხვა მელოდიით არის ფიქსირებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საგმირო პოეზია საქორწილო ღვინის აუცილებელი ატრიბუტიც იყო. საქორწილო ღვინოში სრულდებოდა საგმირო ბალადები „შემომეყარა ყივჩაღი“, „ყაყიჩი შავერდაშვილი“ და სხვ.<sup>65</sup> ხეცსურეთში, როგორც საქორწილო სიმღერა, თავისებური მელოდიით ფიქსირებულია საეპეკაციო კოდექსის გამომხატველი გავრცელებული აფორიზმში „ვაჟასა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა“ და აგრეთვე მეორე საგმირო აფორიზმიც: „ცუდსა ჩვენ კვალსა, რად უნდა მზის დაცხომამდე სადილი?“<sup>66</sup>. საგმირო პოეზიის ბევრი ნიმუში სრულდება სუფრულ სიმღერად. ერთი საგმირო ლექსი სხვადასხვა ვარიანტად, სხვადასხვა მელოდიით არის ჩაწერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ხევეში იგი სმურია (ე. ი. სუფრული), აქვს თავისი მელოდია და აგრეთვე თავისებური ტექსტიც:

შვილდის თავს ქორი ნადირობს,  
შვილდის ბოლოზე არწივი;  
„ჩამოვალ“ — ქორი ჩასმანის,  
„არ ჩამოვიშობ“ — არწივი<sup>67</sup>.

კახეთში ამ ლექსს საკუთარი მელოდია აქვს და ტექსტიც უფრო სრული და განსხვავებულია:

სალ კლდეში ორბი ბუღობდა,  
სალი კლდის თავზე — არწივი;  
ორბი შესმანის — „ამიშვი“!  
„არ ამოვიშვებ“ — არწივი,  
ერთურთის სისხლსა ნუ დაღვრით,  
ნებისად მივკეთ აღვილი<sup>68</sup>.

აფორიზმში „ძმავ, რაი სჯობს ძმობასა“, როგორც სუფრული, რუსთაველის სტრიქონებთან ერთად ჩაწერილია ქართლში<sup>69</sup>. ქართლშივე იგი საკუთარი მელოდიით ფიქსირებულია როგორც ღიღინი<sup>70</sup>. გავრცელებული საგმირო აფორიზმში „სმა უმღერალი არ ვარგა“ სხვა სტუმარ-მასპინძლობის ამსახველ არა საგმირო აფორიზმებ-

65 ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, 1, გვ. 202—203.

66. გ რ. ჩ ხ ი კ ე ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, 1, გვ. 19.

67 იქვე, გვ. 57.

68 იქვე, გვ. 181.

69 იქვე, გვ. 128—131.

70 იქვე, გვ. 137—138.

თან ერთად ქართლში ცნობილია როგორც სუფრული სიმღერა<sup>71</sup>. ქართლშივე იგივე ტექსტი სხვადასხვა ხასიათის აფორიზმებთან ერთად სრულდება როგორც ფარინა<sup>72</sup>. საგმირო ლექსები მრავალჯამიერის ტექსტებადაც არის გამოყენებული. ასე, მაგალითად, კახეთში აფორიზმი „ნეტა ნუ მისცემს ვაჟკაცსა ცოლსა ყბედსა და მძინარსა“ სხვა ხასიათის ლექსებთან ერთად სრულდება როგორც გრძელი მრავალჯამიერი<sup>73</sup>.

ამ შინაარსის ლექსები, როგორც შესავალშიც აღინიშნა, მთლიანად სასიმღეროა. ბევრ მათგანს საკუთარი მელოდიაც კი აქვს. აღნიშნულის გარდა ასეთებია: „ქება თუში გმირისა“<sup>74</sup>, „ქადინი თუშ ბიჭებისა“<sup>75</sup>, „ტირიან თუშის ქალები“<sup>76</sup>, „ავთანდილ გადინადირა“<sup>77</sup>, „გუშინ შეიღნი გურჯანელნი“<sup>78</sup>, „გაფრინდი შავო მერცხალო“<sup>79</sup>, „მუმლი მუხასა“<sup>80</sup> და სხვა. რიგ შემთხვევაში კი ერთი მელოდიით სრულდება რამდენიმე საგმირო ლექსი.

ქართლში ერთი მელოდიით სრულდება აფორიზმები: „ვაჟკაცს არ გამოადგება“, „ვაჟკაცსა გული რკინისა“, „თუ მოყვარე ხარ მიმოყვრე“ და საგმირო-საისტორიო „ხმალო ფრანგისა ნაჭედო“<sup>81</sup>. ამავე დროს ქართლშივე აფორიზმი „ვაჟკაცსა გული რკინისა“ მეორე ამავე ხასიათის აფორიზმთან „ხმალს ნუ უყურებ, ვაჟკაცო“ — და ფილოსოფიურ ლექსთან „სიბერე ძნელი ყოფილა“ სრულდება აგრეთვე სხვა მელოდიითაც<sup>82</sup>. ქართლშივე აფორიზმი „ვაჟკაცს არ გამოადგება“ სხვა ტექსტებთან ერთად სრულდება, როგორც სამკალი და ბარვის სიმღერა<sup>83</sup>. საგმირო პოეზიის ფუნქციის მრავალფეროვნებით არის განსაზღვრული ის გარემოება, რომ ამ უნარის ლექსები ხშირ შემთხვევაში სხვა პოეტურ გვართა ორგანულ ნაწილადაც კი ჩანს.

საგმირო პოეზია დაკავშირებულია მეურნეობის უძველეს სა-

71 იქვე, გვ. 139—140.

72 გ. რ. ხ. ბ. ი. კ. ვ. ა. ძ. ე, ქართული ხალხური სიმღერა, I, გვ. 238—239.

73 იქვე, გვ. 293—299.

74 იქვე, გვ. 170—171.

75 იქვე, 172—173.

76 იქვე, 214.

77 იქვე, 342.

78 იქვე, გვ. 346.

79 იქვე, გვ. 379.

80 იქვე, გვ. 389.

81 იქვე, გვ. 174—175.

82 იქვე, გვ. 165—168.

83 გ. რ. ხ. ბ. ი. კ. ვ. ა. ძ. ე, ქართული ხალხური სიმღერა, გვ. 109—110.

ხეებთან, პირველ რიგში, ნადირობასთან. პირველყოფილი სინკრეტიზმის საკითხთან დაკავშირებით ალ. ვესელოვსკიმ აღნიშნა სამონადირეო მაგიური ხასიათის პანტომიმის როლი პოეტურ გვართა განვითარებაში. მანვე აღნიშნა ისიც, რომ წარმატება მონადირეობაში დიდად იყო დამოკიდებული ხელსაყრელ სეზონზე<sup>84</sup>. ნადირის მოპოვება, ისიც პრიმიტიული იარაღით, მოითხოვდა დიდ შეუპოვრობასა და სიმამაცეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველყოფილ მონადირეთა წრეში შექმნილ ზეპირსიტყვიერებაში წამყვანი ადგილი ჰქონოდა საგმირო მოტივებს. მონადირეთა წრეში პოეზიის ტრადიციაზე, ნადირობის პროცესებთან დაკავშირებულ საგმირო სიმღერების შესრულებაზე წარმოდგენას გვიქმნის შედარებით ახალმოპოვებული მასალებიც. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა აკ. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ბეს. გაბურის „ხევსურული მასალები“.

ნადირობის ცოცხალი სურათებია მოცემული ბეს. გაბურის ნაამბობში „მენადირენი მინდია, აღუა და ივანე ბალახურისძენი“<sup>85</sup>. ბეს. გაბურს მშვენივრად აქვს აღწერილი წლოს სარჩოს მოპოვება მონადირეთა მიერ სახარის მთაზე ნადირობის სეზონში, მათი განწყობილება ჯიხვებზე ნადირობისას. ბეს. გაბურის მიერ გადმოცემული ნამღვილი ამბავი გვაცნობს საგმირო-სამონადირეო სიმღერების ერთგვარ მუხლობრივ შესრულებას. ამბის მიხედვით ნადირის კვალის მიგნებისას მონადირენი — ჩაუდგეს მთის პირ-ჩაღმისკე და მთას რომ გადასცდეს, აღუამ თქვა სიმღერე:

ბევრამ ბიჰმ გარმაგიარა, საჯარის მთო მალალო,  
 ჯიჰვების მუქარაზედა ბევრმ ცის-პირ-ძერის დროს დაგვალო,  
 თოფის კმა გაყურებევა, კირიმის კვამლით დაგფარ'ო  
 ბევრამ ვაჰმ იანვარშია, ჯიჰვო, მთით დაბლა ჩაგთარ'ო“<sup>86</sup>.

ჯიხვებზე ნადირობისას გამარჯვებას თავისი სასიმღერო ტექსტი ჰქონია. ამავე ამბის მიხედვით, როდესაც მონადირემ ნახა მისი თოფით დახოცილი ჯიხვები, იარაღს „დაუწყა კელში ბრუნება და თქვა თავისთავი:

აბეჩავ ჩემო ხირიმო, თოფო, ხარ მეტად კმინანი,  
 ბევრა გიჰოცავ ჯიჰვები, მანძილა რქა-ჯანგინანი,  
 ბევრგან კი ხყრიან შიბუსა, კირიმო, შენნი ტყვიანი,  
 ბევრაის ჯიჰვის დამცემი, ხარ მულამ სახელიანი“<sup>87</sup>.

<sup>84</sup> А. Н. Веселовский, Собр. соч., I, 1913, гл. 240—241.

<sup>85</sup> წელიწადეული, I—II, 1923—1924, გვ. 192—197.

<sup>86</sup> წელიწადეული, გვ. 193.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 194.

სიმღერა თან ახლავს მონადირეთა მიერ ნადირის ხორცის ხარ-  
შვის პროცესსაც. ამავე ამბის მიხედვით, როდესაც დამთავრდა ნა-  
დრობა ლაბერდის ეხში აღუამ „ააგზ ცეცხლი, დაუწყე კორც დუ-  
ლილი. თან იმღერს ძველ სიმღერებს და ამბობს: „ბევრა ვაჟ კო  
მდგარას ამ ეხში მონადირეი!“ და ამბობს:

„ლაბერდის ეხო კლდის ფეკში, ჭიქვების სისხლით მასვრილო,  
მაგიედ მონადირეო, ჭიქვის ბარგმ ზურგი მატკივნ'ო.  
ორ მარტედ პურ-მაშეული, ახლა უნდ შეწვა მწვადებო,  
ლაღვიღ, კორცო, შამფურზე! შენ რასალ ცეცხლში ღვარდები?“<sup>88</sup>.

მართალია ბეს. გაბურის მიერ გადმოცემული ამბავი ახალია,  
მაგრამ იგი გვიქმნის წარმოდგენას მეურნეობის ერთი უძველესი  
სახის ხასიათზე და ნადრობის პროცესში საგმირო სიმღერის ტრა-  
დიციაზე. ამბავში ჩართული სიმღერები იმ უძველესი ფუნქციის  
მაჩვენებელია, რაც საგმირო პოეზიის ერთ უბანს — სამონადირეო  
ლექსებს გააჩნდა. ბეს. გაბურის მონათხრობი ამბავი გვაძლევს იმის  
თქმის უფლებასაც, რომ თუ სამონადირეო პანტომიმას წაბაძვის  
ე. ი. მაგიური ფუნქციები ჰქონდა, მის საფუძველზე შექმნილი სიმ-  
ღერები, ძირითადად, რეალისტური ხასიათისა იყო და გამოხატავდა  
მონადირეთა განწყობილებას. საგმირო პოეზიამ რომ ადრე-პოე-  
ტურ გვართა დიფერენცირების პერიოდში იკისრა შრომის სიმღე-  
რის ფუნქცია, ამის დასადასტურებლად საინტერესოა ალ. ვესელო-  
ვსკის მიერ მოყვანილი ცნობა. ამ ცნობის მიხედვით აფრიკაში, რო-  
გორც შრომის სიმღერა სრულდებოდა სალაშქრო კანტილენა ემო-  
ციური მისამღერით: „სად მიდიხართ? — ომში; — ვის წინააღმ-  
დეგ? — მარამბოს წინააღმდეგ და ა. შ.“<sup>89</sup>. ქართულ სინამდვილეში  
მრავალი მაგალითია შრომის პროცესში საგმირო ლექსების შესრუ-  
ლებისა. ზოგ შემთხვევაში მასალათა კლასიფიკაციისას ძნელდება  
კიდევაც დადგენა იმისა, თუ პოეზიის რომელ ჟანრში — საგმირო  
ლექსებში, შრომის სიმღერებში თუ სხვაგან უნდა იქნას წარმოდ-  
გენილი ესა თუ ის ლექსი, ფშავ-ხევსურეთსა და მთის რაჭაში საგ-  
მირო ლექსები ბოლო დრომდე სრულდება თიბვის პროცესში. ტი-  
პიური საგმირო-სამონადირეო ლექსია ხევსურული მთიბლური:

ქარსა-ირემსა აძოვებენო,  
შუაღდემდინ კი აყვირებენო,  
შუადლიდგეს კი დახკვრენ თოფსაო,  
ქარსა-ირემსა აგმინებენო.

<sup>88</sup> იქვე, გვ. 195.

<sup>89</sup> А. Н. Веселовский, Собр. соч., I, 1913, გვ. 244.



საგმირო ხასიათისა არის აგრეთვე იქვე მოყვანილი მთიბლურის ტექსტები<sup>90</sup>.

აკ. შანიძემ თიბვის პროცესში შესრულების გამო მთიბლურ სიმღერათა ციკლში შეიტანა საგმირო ლექსის მრავალი ნიმუში. ასეთია, მაგალითად, სამონადირეო ლექსი:

ქარო ირემო, ნუ ჩაივლიო  
ჩარგალ მისრიათ კარისასაო,  
თორ ისარს დაკვერენ მისრიანო  
გამოხვეწილსა მშველისასაო<sup>91</sup>.

აკ. შანიძემ საგანგებო ყურადღება მიაქცია იმას, რომ მის მიერ მთიბლურ სიმღერათა ციკლში წარმოდგენილი ბევრი ლექსი ურით-მოა<sup>92</sup>. ასეთია სამონადირეო-მთიბლური სიმღერა:

ვაიმე ჩემო სიბერეო!  
ირემმ საფქავნი დამიშალნაო.  
ნეტავი მამცნა მშვილდ-ისარნიი,  
ერთ-ორიმც დამაზინებიაო!  
ჩემი საფქავთა დამქაქავი  
მიწათა დამატყერებიაო!<sup>93</sup>

ახლა გაძნელებოდა გადაჭრით თქმა იმისა, თიბვის პროცესში შესრულებული საგმირო-სამგლოვნიარო ზოგი ლექსი წარმოშობით შრომის სიმღერაა, მკვდრის დატირილი თუ საგმირო ლექსი. ასეთია აკ. შანიძის მიერვე გამოქვეყნებული ტექსტი:

აის დრო არ გერჩიყვისაე,  
ტანზე იარალს ისხემდიდი?  
„მადე“ მტერს ეუბნებოდიდ:  
„ბერდიი ორ“, იძახდიდი,  
შე ლუყო ცისკარულაო.  
მიწამ ქვე რაქელ დაგიქირა?  
ადე! ქვე რასა-ლ უწევხარა?  
ცოლოა შენი მანდ წოლაი!<sup>94</sup>.

მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია როგორც ხევსურულ<sup>95</sup>,

90 გ. რ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერა, I, გვ. 5.

91 შან., გვ. 297.

92 იქვე, გვ. 021.

93 იქვე, გვ. 290.

94 შან., გვ. 289.

95 იქვე, გვ. 290; № 740, გვ. 292. № 748 და სხვ.

ისევე ფშაურ<sup>96</sup> და რაჭულ<sup>97</sup> პოეზიაში. საჭიროა თითოეულ ტექსტზე ფრთხილი დაკვირვება, რადგანაც ზოგი საგმირო ხასიათის ლექსი წარმოშობით შეიძლება მთიბლურიც იყოს, ზოგი — კი უდავოდ შემდეგ დაუკავშირდა თიბვის პროცესს. უკანასკნელ მომენტს განსაკუთრებით ცხადყოფენ შრომის სხვა სახეებთან დაკავშირებული საგმირო პოეზიის ნიმუშები. 1881 წ. ხევში მდიდარი რეპერტუარის მქონე გ. ჯამარჯაშვილისაგან, როგორც გუთნური სიმღერა, ჩაწერილია პარალელიზმით შეკრული საგმირო-სახოტბო ლექსი:

გაფრინდი შავო მერცხალო,  
გაჰყევ ალაზნის პირსაო,  
ომი არ გაუქირდება  
შენი ღედ-მამის შვილსაო<sup>98</sup>.

გუთნურ სიმღერად არის ჩაწერილი აგრეთვე ამ ლექსის მეორე ვარიანტი<sup>99</sup>.

როგორც თოხნური გასულ საუკუნეშივე არის ჩაწერილი სავაჟ-კაცო კოდექსის გამომხატველი აფორიზმი:

სხვის ცოლის მდომელს ვაჟაკსა  
სამოთხე დაეკეთება,  
ცხრა ადლი ნაგრები ჯაჰვი  
კისერზე დაეკიდება,  
ვერ უპოვნია სამოთხე,  
დადის და დაეხეტება<sup>100</sup>.

1871 წელს სამეგრელოში (სენაკის მაზრაში) დ. ბარნაბიშვილის მიერ თოხნურ სიმღერებად არის ჩაწერილი საგმირო-სახოტბო ლექსები<sup>101</sup>. ჩამწერის ცნობით ეს ლექსები იმღერებოდა აგრეთვე დღესასწაულებზედაც<sup>102</sup>. გასულ საუკუნეში კახეთში როგორც სამკალი სიმღერა ჩაწერილია მშვენიერი საგმირო-სახოტბო ლექსის ვარიანტი:

გაქო, გაქო, როგორ გაქო,  
თეთრი მღვეის ღონე გაქო,

<sup>96</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მიხ. ჩიქოვანის რედ., გვ. 90. და სხვა.

<sup>97</sup> ე. ლ. ვირსალაძის ჩაწ. 1953 წ., ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, 1956, გვ. 76 და სხვ.

<sup>98</sup> უმიკ., გვ. 336.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იქვე, გვ. 339.

<sup>101</sup> უმიკ., გვ. 328, № 854, 857.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 596.

ომში შეხვალ, ხმალ მოიქნევ,  
ბუმბულიეთ გამოგაქო,  
შენი ნახოცი ლეკები  
ახალციხეს ჩამოგაქო<sup>103</sup>.

ხევში 1882 წ. სამკალ სიმღერად არის ჩაწერილი ზემოთ მოყვანილი იქვე გუთნურად ფიქსირებული საგმირო-სახოტბო ლექსის ვარიანტი:

ქალი არკვედა ნარკვევსა,  
ტურფად უქცევედა ცხრილსაო,  
ომი არ გაუჭირდება  
შენი დედ-მამის შვილსაო<sup>104</sup>.

ქართლში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, სამკალ და ბარვის სიმღერებად არის გამოყენებული და თავისებური მელოდიაც აქვს გავრცელებულ საგმირო აფორიზმებს: „ასე ჰგონია ღუშმანსა“ და „ვაჟკაცს არ გამოადგება“<sup>105</sup>.

თუ ზოგი შრომის სიმღერის მიმართ ხშირად ძნელია დადგენა წარმოშობით ლექსი რომელ ქანრს განეკუთვნება, ხალხური სიტყვიერების ზოგიერთ სახეებთან ამ ქანრის ურთიერთობისას სხვაგვარ მდგომარეობასთანაც გვაქვს საქმე. ხშირად საგმირო შინაარსის ლექსი სპეციალური დანიშნულებით არის შექმნილი. პოეტურ ქანრთა კლასიფიკაციისას იგი, რა თქმა უნდა, თავისი წარმოშობის საფუძვლის მიხედვით მოხვდება სათანადო განყოფილებაში. ასე, მაგალითად, შინაარსით მთლიანად საგმირო ზოგიერთი აკვნის სიმღერა, საბავშვო ფოლკლორის სპეციფიკურ უბანს განეკუთვნება და ამავე დროს მაჩვენებელია პოეზიის ორი სხვადასხვა ქანრის მჭიდრო კავშირისა. საქართველოს ისტორიულ ბედით უნდა აიხსნას ის, რომ ქართველი დედა აკვნიდანვე უნერგავდა შვილს სამშობლოსათვის თავდადების მოვალეობის გრძნობას. აუღელვებლად ახლაც ვერ მოვისმენთ თუ წავიკითხავთ თურქთა საშინელ აგრესიის ამსახველ საგმირო შინაარსის მეგრულ აკვნის სიმღერას:

შენ ჩამეხუტე, ნანა შვილო  
და მე გიმღერებ ნანი-ნანინა,  
თურქი მოღის გზაზე, ნანი-ნანინა,  
მამაშენის ცულდანაკრავი ნანი-ნანინა,

<sup>103</sup> უმიკ., გვ. 332.

<sup>104</sup> იქვე, გვ. 335.

<sup>105</sup> გ. რ. ჩ. ხ. ი. კ. ე. ა. ძ. ე, ქართული ხალხური სიმღერა, I, გვ. 710.

თურქები არ გვაყენებენ ნანი-ნანინა,  
 ...მამაშენი აქ არ არის ნანი-ნანინა,  
 ჩვენ ვიმალებით ურთაში ნანი-ნანინა  
 მამაშენი სახელოვანი ნანი-ნანინა  
 თურქებს ებძვის ნანი-ნანინა  
 წასვლის წინ დაგიბარა ნანი-ნანინა,  
 მალე გამომყვესო ნანი-ნანინა  
 პატარა იყავ მაგრამ გიციო ნანი-ნანინა  
 გმირი იქნებოდი ნანი-ნანინა.  
 ყველაფერი გამოწყობილია და ნანი-ნანინა<sup>106</sup>.

აკენის სიმღერის ეს ტექსტი სავაჟკაცო კოდექსის გამომხატველია.

საგმირო პოეზიას ენათესავება სალალაო-შესაქცევარი სიმღერებიც. საქართველოს გმირული წარსულის საფუძველზეა შექმნილი სალალაო სიმღერების ეპითეტები და შედარებანი, როგორცაა, „მამის ოქროს ხანჯალი“<sup>107</sup>, „ბიძის ქამარ-ხანჯალი“<sup>108</sup> და სხვ.

შინაარსით, ხასიათითა და ზოგჯერ ფუნქციითაც საგმირო და სატრფიალო პოეზიის ნიმუშები ხშირად დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ. არის ისეთი ლექსებიც, რომელნიც თანაბარი უფლებით შეიძლება მოვათავსოთ საგმირო ან სატრფიალო პოეზიის განყოფილებაში. ასეთია, მაგალითად, ტავტოლოგიური რითმით გამართული, ვარიანტებად ცნობილი სახოტბო ლექსი „ქება“<sup>109</sup>.

ასეთია აგრეთვე გასათხოვარი ქალის იდეალის გამომხატველი ლექსი:

...მე მინდა ვაჟკაცო ვაჟკაცი,  
 არ მზისა დასარიდო,  
 მხნეთა მხნე იყვეს შინ, გარეთ,  
 მოყვარე, არა ფლიდო,  
 ლომი ლომობდეს ფრანგულით,  
 მტერსა დაჰმართოს რიდო,  
 მოყვართ მოყვარე მთლათ თემში  
 ლხინი, იმედი დიდო,  
 რა დაწვეს, ამას იტყოდე.  
 მზე ჩაესვენა ბინდო,  
 ადგების — ამოესვენოს,  
 მთვარე გეგონოს მშვიდო.

<sup>106</sup> И. Кипшидзе, Грамматика менгрельского языка, 1914, გვ. 138.

<sup>107</sup> უმიკ., გვ. 200.

<sup>108</sup> თაყ., I, გვ. 390.

<sup>109</sup> უმიკ., გვ. 332; კოტ., გვ. 27.

ეს არა კამობდეს ვაჟაკსა —  
თვალთ არ ვნახო ქმარო,  
ასე ეტყოდა დედასა  
გასათხოვარი ქალი<sup>110</sup>.

ასეთივე ხასიათისა არის ხევსურული ლექსი „ვაჟ უნდა იყვას ისეთი“<sup>111</sup> და სხვ. მრავალი.

განსაკუთრებით საინტერესოა საკითხი საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის ურთიერთობისა. მნიშვნელოვანი უბანი საგმირო პოეზიისა, კერძოდ, ლექსები დაღუპულ გმირებზე, როგორც ჟანრის განსაზღვრისას აღინიშნა, გენეტიკურ კავშირშია სამგლოვიარო პოეზიასთან. ანგარიშგასაწვეია მეორე გარემოებაც, ის რომ ტრადიციული საგმირო ლექსები შექმონდათ გარდაცვლილ ვაჟაკთა დატოვების იმპროვიზებულ მოთქმის ტექსტში.

მიცვალებული მამაკაცის გლოვის ცერემონიას და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერებას საქართველოში ძველიდანვე საგმირო-სარაინდო და პატრიოტული ხასიათი ჰქონდა. ქართული სამგლოვიარო წესის მიხედვით მიცვალებული მამაკაცი მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ვაჟაკად იყო წარმოდგენილი. ფშაური სამგლოვიარო წესის აღწერისას ვაჟა-ფშაველა აღნიშნავს: „თუ მიცვალებული მამაკაცია, გვერდზე დაუყენებენ მის ცხენს, ლაგამადებულს და ხურჩინაკიდებულს; ცხენი სამგზავროდ არის მომზადებული. მიცვალებულს გულზე აწყვია ხმალი და ხანჯალი“<sup>112</sup>. საბრძოლო ხასიათი აქვს 1948 წ. ხევში დადასტურებულ სამგლოვიარო წესსაც. მოხეური წესის მიხედვით, საომარი საჭურველი ცხენს აქვს. ცხენის სადავე მიცვალებულის მარჯვენა მკლავზეა შემოცმული. ცხენს ყელზე წითელი მატერია ახვევია, გავაზე — შავი<sup>113</sup>. წითელი და შავი ფერის შეხამება სამგლოვიარო წესის მიხედვით უძველესი ჩანს. მას დიდი შთამაგონებელი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. იოანე ბატონიშვილის „ქართლის ისტორიაში“ აღწერილი გლოვის წესის მიხედვით „აქუნდა მეფესა ორი დიდი პალატი: ერთი სალხინოდ და მეორე საგლოვიაროდ. სალხინო პალატი იყო წითლის ფარჩითა ანუ ხავედით მოკრული სრულიად ჰერგვერდებითა და შუაზედ ჰერშია ეკერა შავი ჯუარი ფარჩისავე, და ესე იყო ნიშანი, რომელ ლხინში მყოფთა შეხედვითა მითითა მოეგონებინათ სიკვდილი და უჭეროდ

<sup>110</sup> კობ., გვ. 34.

<sup>111</sup> ივ. ხორნაული, ფშავ-ხევსურული პოეზია, 1949 წ., გვ. 125.

<sup>112</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზ., V, გვ. 13.

<sup>113</sup> ჩაწერილი ყაზბეგის რ. ს. ხურთისში მიხ. ჩქარეულის მიერ.

არ განცხრომილიყენენ, ხოლო საგლოველი პალატი იყო ესრეთვე შავით მოკრული, ხავედით თუ სადა ფარჩითა, და ჭერის საშუალ ეკერა ჭუარი წითელი ფარჩისა, მომასწავებელ შემხედველთათვის, რომელ მწუხარებასა შეუდგების მხიარულება მოწყალებითა ღვთისათა, და მით ინუგეშებდნენ მგლოვიარენი<sup>114</sup>. ეს გარემოება ადამიანის განწყობილებასთან არის დაკავშირებული და მაჩვენებელია მრავალგზის ძნელბედობა გამოვლილ ქართველი კაცის ჯანსაღი ობტიმიზმისა და ქირში გაუტეხლობისა. მოხეურ სამგლოვიარო ცერემონიაშიც ფერთა შეხამებას ამგვარი ფუნქცია უნდა ჰქონოდა. მწუხარებაში ქართველი ხალხის ამგვარმა სულიერმა მხნეობამ პოეტური გამოხატულება პოვა სამგლოვიარო სიტყვიერ შემოქმედებაშიც. როგორც ცნობილია, გარდაცვლილ ვაჟკაცის იმპროვიზებულ დატირებაში გამოყენებულია მშვენიერი საგმირო აფორიზმები „კიდევაც დაიზრდებიან“ და „ის უუბნია ღეშმანსა“<sup>115</sup>.

სამგლოვიარო ცერემონიაში ვაჟკაცის საომრად ამხედრებას წარმოგვიდგენს არა მხოლოდ მიცვალებულის შექურვა, არამედ — მოთქმის ტექსტებიც. იმავე მოხეურ სამგლოვიარო წესთან ერთად 1948 წ. ჩაწერილი ზმით ნატირალი ასე იწყება:

ბეათე წახოლ ქორი გინდა,  
ქოიბე წახოლ, — შავარდენი,  
თუორისა ქორისა ნაშობო,  
შავარდენისაგან ნაქნარო,  
თავლა გინდა შაკაზმელი,  
აცალე თავლაე. პატრონი ომჩი ემზადება.  
თავლა გინდა მოქედელი,  
ოსმანეთის ნალღურსმითა  
ოთხავ ფეჭე მოქედელი.  
თავლას უნაგირი უნდა  
ოქრო-ვერცხლით ჩაარტნული.  
სამკლავ გინდა, საფუქარი.  
ჩაკვი პერანგათ დაგმშვენდება...<sup>116</sup>.

ასევე სამხედრო ხასიათისაა თუშური დაღაის ტექსტის დასაწყისიც<sup>117</sup>.

პოეზიის ამ ორ ყანარს ისიც აახლოვებს, რომ ვაჟკაცის დატი-

<sup>114</sup> ბ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე, ვტიუდები, I, გვ. 228—229.

<sup>115</sup> ე. ლ. ვ. ი. რ. ს. ა. ლ. ა. ძ. ე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება. 1958 წ., გვ. 235.

<sup>116</sup> ქ. ს. ს. ი. ხ. ა. რ. ლ. ი. ძ. ე, ქართული ხალხური სიტყვ., ქრესტომათია, 1970, გვ. 63.

<sup>117</sup> თაყ., I, გვ. 109.

რების ტექსტებში გამოყენებულია საგმირო პოეზიის ეპითეტები. მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში ბევრჯელ ნასახელარ გმირზე დატირება ასე მთავრდება:

ვეფხვო, დახყარე იარაღო,  
არწივმა დაიქუქვენ მკარნო,  
ჩიქვო, საწოლთით გადმალვარდო,  
ირემო, დაინაყენ რქანო<sup>118</sup>.

გოდების ქანრის საგმირო ლექსისა და ვაჟკაცის დატირების ტექსტის დიდი სიახლოვეა გამოხატული ი. სოკოლოვის მიერ ტერმინით „песни-плачи“<sup>119</sup>, ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები ქართული ხალხური პოეზიისა, როგორცაა: „ლომო, შე ლომის მოკლულო“, „ავად არს დაჰაურაი“ და სხვ. მაჩვენებელია საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის მსგავსი ფუნქციისა და ერთგვარი ხასიათისა. მოთქმა-დატირება ზოგ შემთხვევაში საგმირო ლექსის ორგანული ნაწილიცაა. ამ მხრივ საინტერესოა საგმირო ბალადა „გიგაის ცოლი“. ქალი შურს იძიებს მომხდურ თათრებზე, გამოირეკავს მტრისაგან გატაცებულ ცხვრის ფარას, ცხენზე ამხედრებული მუხლებზე გადაიწვენს მოკლული ქმრის ცხედარს და მოთქვამს.

დედის მოთქმა უძლიერესი ადგილია ქართული ხალხური საგმირო-სამონადირეო კლასიკური ბალადისა „მოყმე და ვეფხვი“.

ამგვარად, ქართული ხალხური პოეზიის ორი ქანრის შინაარსი, ფორმა, ფუნქცია და შესრულების ხასიათი იმის მაჩვენებელია, რომ თუ გარდაცვლილ ვაჟკაცზე მოთქმა იყო სათავე საგმირო პოეზიის ერთი დიდი უბნისა, თავის მხრივ საგმირო პოეზიის ძლიერი ტრადიცია უადვილებდა იმპროვიზატორ მომთქმელებს დატირების არც თუ ისე იოლ ამოცანას.

ასე მრავალფეროვანია საგმირო პოეზიის სოციალური ფუნქცია ისტორიულად და დიდი და უწყვეტი მისი კავშირი სხვა პოეტურ ქანრებთან.

#### V. ძართული ხალხური საგმირო ლექსების მხატვრული თავისებურებანი

ვახტანგ კოტეტიშვილი მართებულად აღნიშნავდა: „...ფოლკლორის გარეშე ისტორიული პოეტიკა წარმოუდგენელიც არის. პოეზიის გენეზისისათვის კონკრეტული მასალა (უძველესი პერიო-

<sup>118</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გვ. 98.

<sup>119</sup> Ю. Соколов, Руский фольклор, 1938, გვ. 279.

დისა) უმთავრესად პოეტურმა ფოლკლორმა უნდა მოგვეცეს. მაგრამ განა მხოლოდ ისტორიზმის თვალსაზრისით არის პოეტური ფოლკლორი საინტერესო? დღესაც განა მას არ შეუძლიან აუარებელი მხატვრული ფორმებისა და ნიშნების მოცემა, რომელიც უდიდესი მნიშვნელობისა არის როგორც ლიტერატურათმცოდნისათვის, ისე თვით შემოქმედათვის? ჰომეროსიდან მოყოლებული დღევანდლამდე პოეტური ფოლკლორი შთაგონების წყარო იყო. რაც კი რამ დაწერილია დიადი და გენიალური, სათავე ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებნება. ამ ფაქტის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი... როგორც თემის დაუფლების მხრივ, ისე სიტყვის გამომსახველი ძალით, როგორც პოეტური ფაქტურის ცალკე ელემენტთა ნაკვეთობის მხრივ, ისე მთლიანად მორფოლოგიის თვალსაზრისით, ფოლკლორი დღესაც ცხოველმყოფელია<sup>120</sup>. განსაკუთრებული ძალით ვრცელდება ეს სიტყვები საგმირო პოეზიაზე. თუ რაიმეს განსაკუთრებით აუმაღლებია ადამიანის პოეტური აზროვნება, პირველ რიგში ეს სამშობლოს სიყვარულზე და მისთვის გმირობისა და მამაცობის გამოჩენის აუცილებლობის ღრმა შეგნებაზე ითქმის. ეს იყო დიდი ფაქტორები, რამაც დაუღო სათავე საგმირო ლექსებს, როგორც თავისებურ პოეტურ ყანრს და მასცა სტიმული ხალხურ შემოქმედებაში მის მძლავრ ნაკადად დინებას. საგმირო ლექსების საზოგადოებრივმა დანიშნულებამ, ამაღლებულმა პატრიოტიზმმა და სოციალურმა შინაარსმა განსაზღვრეს პოეზიის ამ უბნის ყანრობრივი თავისებურებანი, გამომსახველობის ხერხები, პოეტურ სახეთა ნაირფერობა, რიტმისა და რითმის სიმდიდრე და მხატვრული ენის საოცრად მრავალი ნიუანსი.

ის გარემოება, რომ ხალხური სიტყვიერების პოეტიკის საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი, ართულებს ხალხური საგმირო ლექსების მხატვრული ფორმის თავისებურებათა გარკვევას. მაინც შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი პოეტური თავისებურება ქართული ხალხური საგმირო ლექსებისა. ამ საკითხს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ის გარემოება, რომ საგმირო ლექსებს, სატრფიალო და ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშების მსგავსად ახასიათებს პოეტურ სახეთა სიმდიდრე და დახვეწილობა. საგმირო ხალხური ლექსები დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან. ისინი ასახავენ ზოგ შემთხვევაში დაუდგენელს, მაგრამ მაინც დიდ მოვლენებსა და ცალკე ამბებს ამ ისტორიისა. ამდენად ეს ლექსები, რა გინდ ძლიერ

120 კოტ, გვ. IV.



რი არ უნდა იყოს მათში მოვლენათა ან ფაქტების პოეტიზაცია, მხატვრული მეთოდით რეალისტურია.

პოეტურ გვართა მიხედვით, როგორც აღინიშნა, საგმირო ლექსები ლირიკულ-ეპიკურია. თხრობას, ეპიკას ლექსებში ცვლის ემოცია-ლირიკა.

საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსები ჟანრობრივად მრავალფეროვანია. იგი შეიცავს — აფორიზმებს, სასიმღერო ტაეპებს, ბალადას, ქებას ან ხოტბას, ელეგიას და პოემასაც-კი, ხალხური სიმღერის ტრადიციული ფორმით არის შექმნილი უსიუჟეტო, სავაჟაკო კოდექსის გამომხატველი ლექსების — აფორიზმების ერთი ნაწილი, ოთხ ან ექვსსტრიქონიან ლექსებს შედარებით მარტივი კომპოზიცია აქვთ. ისინი ხშირ შემთხვევაში პარალელიზმებით არის შეკრული. ასეთებია მაგალითად:

სიმღერას ბანი ამშვენებს,  
წალკოტსა — ვაშლი წითელი,  
ვაჟაკსა — ფარი და ხმალი;  
გაილაშაოს კისერი.  
ღვინო კი მათობელი სჯობ,  
ძალი თოზედ მუეფარი,  
ვაჟაკი წუნარი სჯობია,  
რო ვაჭრდება — მკეხარი;  
არც ვარგა ქალთა მიმყოლი,  
ჩალად არა ღირს მკეხარი.

მსგავსი მაგალითები დამახასიათებელია აფორიზმებისათვის. პარალელიზმი ამგვარ ლექსებში აძლიერებს გმირის იდეალს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შაირის ფორმა ან პარალელიზმი სავალდებულო არ არის უსიუჟეტო აფორიზმისებული ლექსებისათვის. ამგვარ ლექსებში გმირის იდეალი სხვადასხვა ფორმითა და ხერხით არის გამოხატული. ერთ-ერთი დამახასიათებელი ხერხი ამგვარი ლექსებისა ნატვრაა. ვაჟაკობის — მამაცობის, მონადირეობისა და პურადობის იდეალი ნატვრის ხერხით არის გამოხატული მშვენიერ ხევსურულ ლექსში „სამი მზე“. ამგვარივე ხერხითაა შეკრული აგრეთვე გმირის იდეალის ამსახველი ფშაური ლექსი:

ცხენ-კარგის დედას დაენატრი:  
ლაშქარს წინაწინ დადგება!  
მემრე თოფ-კარგის დედასა —  
ერთის ნასროლით დარჩება!  
მემრე ცოლ-კარგის დედასა —  
ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!

საეკეკაცო კოდექსის გამოსახატავად მცირე ქანრის ქართულ ზალხურ საგმირო პოეზიაში შეკითხვის ფორმაც არის გამოყენებული. ამის ერთი საუკეთესო ნიმუშია ხევსურული ლექსი:

ყმაწვილო ბეწიყუო,  
დარბაისლობა იცია?  
წინ ჩასვლა, უკვენ ამოსვლა,  
ჩაშველებია იცია?

განსაკუთრებით ემოციურია და შინაარსის განვითარების ხერხებით კიდევ უფრო მრავალფეროვანი სიუჟეტისანი საგმირო ლექსები. ამ ლექსებში მოვლენის უბრალო აღწერასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ — ამ მოვლენისადმი მთქმელის დამოკიდებულებასთან, რაც ლექსს ერთგვარ ნერვიულ მდინარებას აძლევს. ამ გარემოების გამო სიუჟეტისანი საგმირო ლექსების შინაარსი მძაფრი სიტუაციებით ვითარდება. ამის საუკეთესო ნიმუშებია: „მოყმე და ვეფხვი“, „შატილს გადიდდა ხოხობი“, „გიგა და გიორგი“, „გიგაის ცოლი“, „ნანა თორღვაის ქალი“ და მრ. სხვ. სიუჟეტისანი საგმირო ლექსების დიდი ნაწილი, მათ შორის დასახელებული ნიმუშები პოეზიისა, ნოველისებური ფაბულითა და კომპოზიციური მთლიანობით ბალადის ქანრისაა. ამ ლექსებს საგმირო ბალადები შეიძლება ეწოდოს. შინაარსის განვითარების ხერხებით საგმირო ბალადები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე — აფორიზმები ან შაირები. მისი კომპოზიციური ელემენტებია: შესავალი ანუ საწყისი, გმირის მოქმედება და ამბის დასასრული. საგმირო ბალადის კომპოზიციური ელემენტები ერთ ამბავთან ან ერთ ფაქტთან არის დაკავშირებული. შესავალი არ არის დამოუკიდებელი შინაარსისაგან, ისე როგორც ეს შავალითად ფანტასტიკურ ზღაპრებს ახასიათებს. იგი ერთგვარი ექსპოზიციია ლექსისა, რომელიც გვაცნობს გმირის მოქმედების ფონს. ლექსი მოვლენის აღწერით იწყება. შესავალი — საწყისი ზოგ შემთხვევაში ლირიკულია და ზოგ შემთხვევაში — ეპიური. ეს არ არის დამოკიდებული ლექსში მოცემული კონფლიქტის ხასიათზე. ლირიკული შესავალი წინასწარ ქმნის განწყობილებას უბედური შემთხვევის მოსასმენად. ლექსი, რომელიც მტერთაგან გმირის სიკვდილზეა შექმნილი, პირველი სტრიქონიდანვე გვაუწყებს უბედურებას:

წოვეთში გიგის ციხეო,  
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!  
მოგიხდეს ქარელთ შვილები,  
ალი აგხეიეს თავზედა.

თუში მეცხვარეების დალუპვას მომხდურთან უთანასწორო

ბრძოლაში თავიდანვე გვაგრძნობინებს ბალადის „გიგა და გიორგის“ ლირიკული საწყისი:

ვინა სთქვა — ჩემას ბალახი  
ცხვრისათვის საძოვარია?  
ვინა სთქვა, ენამც გაუხმეს,  
ჩემთაში თუშის ცხვარია?

არა იშვიათად საგმირო ბალადის შესავალი ეპიურია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი მძაფრი სიტუაციებით ვითარდება. ღრმად გრძნობიერი ბალადა „გიგაის ცოლი“ ასე იწყება:

გაგზავნეს ყარაულები, —  
ჩემას დაგვივლე თვალია.

ეპიურია აგრეთვე ექსპოზიცია მკვეთრ კონფლიქტზე აგებულ „შესანიშნავი ბალადისა „შატილს გადიდდა ხოხობი“.

საგმირო ტექსტებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ხოტბა ანუ ქება. ხოტბა ქართული სიტყვიერი ხელოვნების ერთი უძველესი ჟანრია. მართებულად აღნიშნავს მიხ. ჩიქოვანი, რომ ხალხურ პოეზიაში „მას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა“. თავდაპირველად გუნდურად სრულდებოდა და აქედან შემდეგ განვითარდა პერსონალური ქება<sup>121</sup>.

ქების ანუ ხოტბის ერთი საუკეთესო ნიმუშია გავრცელებული ლექსი სულიერი და ფიზიკური მშვენებით შემკულ ვაჟკაცზე. მისი ერთი ვარიანტია:

ვაქო, ვაქო, როგორ ვაქო?  
თეთრი დევის ღონე ვაქო!  
შუბლზედ ნაკვერცხი ქოჩორი,  
თვალი შეაქარდენი ვაქო.  
ომში შეხვალ და გამოხვალ,  
გულში ფიჭრი არა ვაქო!

საგმირო საქმესთან ერთად ვაჟკაცური გარეგნობაც არის ხოტბის საგანი აგრეთვე ქართლში გავრცელებულ ლექსში „ძმაო შენსა უკეთესსა“. ზოგი საგმირო ლექსით მხოლოდ გმირთა მოქმედებაა ქების საგანი. ასეთია, მაგალითად, თუშური ლექსი:

ძმანო, კარებო რკინისავე,  
ციხეებო აღმასისი,

<sup>121</sup> მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 318—319.

შიგ შესავლად აზნაურნო,  
საქადინო ბატონ-ყმისი,  
ომად — ჩაის ეგონება,  
ჩამოარდა მეხი ცისი,  
ხმლის მოქნევე ეგონება,  
ნაფოტია შორი მტერისი.

ელეგიის ქანრის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი გმირთა სიკვდილზეა შექმნილი. ასეთია, მაგალითად, „გაბუურთ მზირი აუდგა“.

საგმირო პოეზიაში მოვლენის აღწერის საშუალებად გამოყენებულია მრავალგვარი ხერხი. ეს ხერხები აძლიერებენ შთაბეჭდილებას. მოქმედების დასამახსოვრებლად, გმირთა კოლორიტული სახეების შესაქმნელად ყველა ქანრის საგმირო ლექსებში გამოყენებულია მონოლოგები, დიალოგები და დრამის სხვა ელემენტები. მონოლოგი და დიალოგი სხვადასხვაგვარად არის მოცემული ლექსებში. ზოგ ლექსში ამბავი მთლიანად მონოლოგით ან დიალოგით არის აღწერილი. სხვა შემთხვევაში — კი მონოლოგი ან დიალოგი ჩართულია ამბის აღწერაში. მთლიანად მონოლოგით არის ნათქვამი სამონადირეო პოეზიის ნიმუში „შვიდთ ძმათა, მერვე ბიძასა“. მონოლოგია აგრეთვე „დათვის სიზმარი“, ოღონდ განსხვავებით პირველი ლექსისაგან მონოლოგს წამძღვარებული აქვს ქართული ხალხური პოეზიის ტრადიციული დასაწყისი „დათემა სთქვა“. ზოგჯერ მონოლოგი საგმირო ლექსის დასასრულიცაა.

დიალოგის ფორმით ვითარდება შინაარსი ბალადებისა „გიგა და გიორგი“, „შატილს გადიდდა ხოხობი“ და სხვ. ამბისა თუ მოვლენის აღწერა ამ ფორმით ამბაფრებს ლექსის სიტუაციებს და მკვეთრად აჩენს კონფლიქტებს.

ზოგი საგმირო ლექსის შინაარსი ძიმართვის ფორმით ვითარდება. ამის ნიმუშია ღრმად ემოციური ელეგიის ქანრის ლექსი, რომელიც ასე იწყება:

ლომო, შე ლომის მოკლულ  
ბუსნა — კალას პირსაო...

ზოგჯერ ბუნებისადმი მიმართვითაა წარმოდგენილი გმირის სახე:

სად მიხვალ. წუალო მდინარო,  
ნაწურო მადლის მთისაო!  
ჩამთქმელო ლურჯაისაო,  
ზედ ლაღს კაბუქისაო,

ნაპირზე გამამტანელ  
ქულისა, მათრახისაო.

ხალხის დიდ სიყვარულს გმირისადმი უშუალოდ გაგვაცდევინებს მიმართვის ხერხით აგებული ღრმად პატრიოტული ლექსი „ქართლის ტყვე“. ამ ელევგის ყანრის ლექსში პატარა ეპიკური შესავლის შემდეგ იწყება ლირიკული მიმართვა. ეს მიმართვა ნამდვილი ვედრებაა ბუნებისადმი, რათა ხელი მოუშარტოს ტყვეობიდან გამოქცეულ გმირს.

საგმირო ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილის შინაარსი ვითარდება ყოველგვარი მონოლოგის, დიალოგისა და მიმართვის გარეშე. მაგრამ თითოეულ მათგანს გააჩნია სხვა ხერხი, რაც აძლიერებს ლექსის დინამიკას და აღრმავებს ემოციას. ასე მაგალითად, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ ფშაურ ლექსის დასაწყისში შთაბეჭდილებას აძლიერებს სხვათა ნათქვამის აღმნიშვნელი სიტყვის „ამბობენ“ თანაბრად განმეორება ყოველ ორ სტრიქონში:

ქვხიდის ქალს ამბობენ  
დაქცევას საღის კლდისასა.  
შიგ დატანებას ამბობენ  
ორთავ ხახონის შეილთასა!  
უნცრუაისას ამბობენ —  
ტოტით გადმაქრის ქვიშასა!  
კლდეთ გადაეარდნას ამბობენ  
ვერცხლიან ვეზნისასა.

ბატალური სცენებიც თავისებურ იერს აძლევენ საგმირო ლექსებს.

საგმირო ლექსები მრავალფეროვანია დაბოლოების მიხედვითაც. ბევრი საგმირო ლექსის დასასრული საერთოდ ხალხური პოეზიის დამახასიათებელი მთქმელის ვინაობის აღნიშვნას წარმოადგენს. „მატილს გადიდდა ხოხობის“ ერთი ვარიანტი ასე მთავრდება:

ემა ლექსისა მოთქომი  
ქალი ვარ, ვზივარ კარზედა,  
ხელში მიჭირავ ჩხირ-წინდა,  
ცრემლებ ჩამომდის თვალზედა.  
ვაჭირდა სიტყვა. ვერ ვამბობ.  
მგლოვიარე ვარ ძმაზედა.

ზოგი ლექსის დასასრული, ისევე როგორც პოეზიის სხვა ყანრის ნიმუშებისა, მთქმელის დასაჩუქრების საჭიროებაზე მითითებაა. ლექსი „ჩარგალში მტერი მოვიდა“ ასე მთავრდება:

ლექსისად გამომიგზავნეთ  
ნაბადი ნაშოვარია,  
თუ ნაბადს ვერ გაიმეტებთ,  
თოფის ნადები ტალია.

იმ ლექსების დაბოლოებას, რომელთა მიხედვითაც გმირები იღუპებიან უთანასწორო ბრძოლებში, ხშირად გოდება წარმოადგენს. გოდებაა დასასრული ბალადებისა „გიგა და გიორგი“, „გიგაის ცოლი“ და სხვ. არის ისეთი საგმირო ლექსებიც, რომლებშიაც ამბავი განსაკუთრებული დაბოლოების გარეშე მთავრდება. ასეთია ტყვეობიდან გამოპარული ქალის შესახებ შექმნილი ლექსის დასასრული:

ადგა ქალი, წამოვიდა,  
სამშვიდობოში არია.

ასეთივე ფორმით მთავრდება ლექსი თათრების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ხვედია გულდამაყრელზე.



ქართული ხალხური საგმირო ლექსების მდიდარ პოეტურ სამკაულში გვხვდება ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრში გამოყენებული მხატვრული სახეები. მაგრამ ძირითადად პოეზიის ამ უბანს გააჩნია საკუთარი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოები, ეპითეტები, შედარებანი და მზაფორმულები. სწორედ ეს მზაფორმულები აძლიერებენ საგმირო ლექსების ფრაზების უღერადობას, ხდიან მათ შთამბეჭდავს და აძლევენ დიდ ქმედით ძალას. ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული და დახვეწილი პოეტური სახეები ორგანულ კავშირშია ცალკეულ ლექსთა შინაარსთან. თუ ისინი ლექსების ეპიზოდებსა და სიტუაციებს აძლევენ ლაკონურობას და ქმნიან გმირთა კოლორიტულ სახეებს, თავის მხრივ ლექსებში წარმოსახული ამბები თუ სავაჟაჟო კოდექსი აძლევენ მდიდარსა და მრავალფეროვან შინაარსს ტრადიციულს სიმბოლოებს, ეპითეტებსა და მზაფორმულებს.

ხალხმა შექმნა საყვარელ გმირთა პოეტური სახეების მდიდარი გალერეა. ლ ო მ ი ს, ვ ე ფ ხ ვ ი ს, ხ ა რ ი ს, მ გ ე ლ ი ს, ა რ წ ი ვ ი ს, ო რ ბ ი ს, შ ე ვ ა რ დ ე ნ ი ს, მ ი მ ი ნ ო ს, ქ ო რ ი ს, დ ე ვ ი ს თუ სხვ. სიმბოლიკა აძლიერებს ცალკე ლექსთა საგმირო იერს. „ლომო, შენ ლომის მოკლულო“ იწყება ღრმად გრძნობიერი ლექსი და მა-

შინვე გვიპყრობს სინანული ძლევამოსილი გმირის დაღუპვის გამო. „თითო ლომისა სწორია“ გვამცნევს მშვენიერი ბალადის „შატილს გადიდა ხოხობის“ შესავალი და თავიდანვე ვგრძნობთ სიმწვავეს იმ სიტუაციისა, რომელშიც უნდა იმოქმედოს ფშაველმა გმირმა.

თუშურ ლექსში მტრის თავდასხმის დიდი მზადების საშინელ სურათს ერთბაშად ცვლის სტრიქონები:

გაიგეს საგორთელებმა,  
სიცილ მოუვათ პირსაო;  
ციხეში შექუჩდებიან  
ვეფხვები სალის კლდისაო.

ვეფხვის სიმბოლიკა ამ სტრიქონებში მსმენელს მომხდურზე დამხდურთა გამარჯვების იმედსა და რწმენას უნერგავს. ასეთივე დანიშნულება აქვს ამ სიმბოლოს საგმირო პოეზიის მრავალ ნიმუშში და მათ შორის თათართა აგრესიის ამსახველ ლექსში, რომლის სტრიქონებია:

ივენე აქიმის შვილი  
ვეფხვია, ველის კანჯარი,

ვეფხვის სახის გამოყენებით გმირის მაღალი შეფასებაა მოცემული აგრეთვე ხალხური სტრიქონებით:

აბრია აფთარაული  
ვეფხვებსთან იღებს წილსაო.

გმირთა დასამახსოვრებელ სახეებს ქმნის ხარის სიმბოლიკაც. ზოგჯერ ეს სახე ლექსის პირველ სტრიქონებშივეა გამოყენებული. ასე მაგალითად, ერთ თუშურ ლექსში, რომელიც დასაწყისიდანვე გვაცნობს მებრძოლი რაზმის მეთაურის გმირულ ხასიათს —

როსტომი მგელაურიძე,  
ხარი გადმოგდა მთასაო...

ასეთივე ფუნქცია აქვს საგმირო ლექსებში მგლის სიმბოლიკასაც.

საქართველოს მთიანეთში გმირის პოეტურ სახედ ხშირად გვხვდება არწივი. ხევსურული ლექსის მიხედვით მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ივანე „არწივი ბანზე ზისაო“, ან კიდევ „არწივ ჯვარის კარ ზისაო“. ეს ეპითეტი ამკობს ივანეს თანამებრძოლებსაც: „დათვისჯვარ გადაიარეს არწივებმ ზინზილითაო“. მეორე ხევსურული ლექსის მიხედვითაც ქისტების წინააღმდეგ მებრძოლ გმირს ეკუთვნის სტრიქონები: „ზედავ დასჩების იღუა; არწივი მე-

ომარიო“. თუშური ლექსის მიხედვით მტრის წინააღმდეგ ამხედრებულთ მაშველ რაზმზეა ნათქვამი: „მზის ამოსვლის ხანს მოჰკივლენ არწივებ მადლის მთისაო“. მეორე თუშური ლექსის მიხედვით გმირ შაბლაიძეს ამკობს ეპითეტი „არწივი მაღალ მთისაო“. ასევე აძლიერებს გმირის სახეებს ო რ ბ ი ს, შ ე ვ ა რ დ ნ ი ს ა და ქ ო რ ი ს სიმბოლიკაც. ფშაური ლექსის მიხედვით მოყმემ „შეჰკაზმა თავის ლურჯაი, ზედ შაჯდა ორბი მხრიანი...“ ხევსურული ლექსით მშობლიური კუთხის დასაცავად ამხედრებულ ვაჟაკებს წარმოგვიდგენს სტრიქონები:

გუნდი ლიქოკით გამასქდა  
ქორის, შავარდნის ჯარია.

მტრებთან უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებულ გმირს წარმოგვიდგენს მეორე ხევსურული ლექსის დასაწყისი სტრიქონები:

მარტა კირჩლაიშვილი  
ქორ მთაში იარებოდა.

მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ გმირებს გვიხასიათებს დევებთან შედარება თუშურ ლექსში:

შეხედეთ აბროს, ესტატეს,  
— დევებივითა დგანანა

სახალხო გმირთა სპეციფიკურ პოეტურ სახეთა მაგალითების გაზრდა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა.

ხალხური პოეტური სამკაულის საერთო და არა მხოლოდ სპეციალურად საგმირო პოეზიის ფონდიდან გმირის დასახასიათებლად გამოყენებულია მ ზ ი ს ა და მ თ ვ ა რ ი ს სიმბოლიკა. ქართველი ქალისათვის საქმროდ სასურველი არის ვაჟაკი, რომელიც ერთი ხალხური ლექსის მიხედვით:

რა დაწვეს, ამას იტყოდე.  
მზე ჩაესვენა ბინდია,  
ადგების — ამოესვენოს,  
მთვარე გეგონოს მშვიდია.

გმირის სახენს ქმნის აგრეთვე ქ უ რ ც ი კ ი ს და სხვა სიმბოლიკა.

გმირის თვისებებს გამოხატავს ხალხის მიერ შექმნილი მრავალი ეპითეტი. ხალხური ლექსებით ვაჟაკი გ უ ლ რ კ ი ნ ა ან ლ ო მ გ უ ლ ი ა. მისი თვალი ქ ო რ ე ბ უ ლ მ ხ ე დ ა ვ ი ა. მას



შავარდნის მხარი და მგლის მუხლი აქვს. იგი ფო-  
ლადის ნატეხია. გავრცელებული საგმირო აფორიზმის ერთი  
ვარიანტი ჩაწერილი ილია ქავჭავაძის მიერ ასეთია:

ვაჟაკსა გული რკინისა,  
ქვეშ მუხლი უნდა მგლისაო.  
თვალნი ქორებულ შექმნილნი  
ზედ მქარი შავარდნისაო.

ამ აფორიზმის მეორე ალ. ყაზბეგის მიერ ჩაწერილი ვარიან-  
ტია:

ვაჟაკსა გული რკინისა  
აბჯარი — თუნდა ხისანი,  
თვალნი ქორებულ მხედავნი,  
ზედ მუხლნი — შავარდნისანი.

გმირისადმი მიმართვას მოხეური ლექსის დასაწყისის სტრიქო-  
ნები:

ხევით წამახვე, ლომგულო,  
ბაბუკის ნათელიძეო.

გმირებზეა ნათქვამი თუშური ლექსის სტრიქონები:

ეხლა შემხვებ ლომგულსა  
შიოსა დაგიშვილსაო;

ან კიდევ:

ოსებო წომიკურიძე  
ნატეხო ფოლადისაო.

მთლიანად ეს მრავალფეროვანი პოეტური სახეები ხალხის საყ-  
ვარელი გმირებისა იდეურად ამაღლებს საგმირო პოეზიას, იმ შემ-  
თხვევაში, როდესაც ეს სახეები პატრიოტულ გრძნობას აღრმავებს.  
ამას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ იგივე სიმბოლოები, ეპითეტები და  
შედარებანი გამოყენებულია შინაური შუღლის — წარსულის და-  
მახასიათებელი ამ სავალალო მოვლენის წარმოსახვის შემთხვე-  
ვებში.

საგმირო პოეზიის პატრიოტიზმს აღრმავებს მტრების ტრადი-  
ციული მხატვრული სახეებიც. ისინი მეტწილად გვაგრძნობინებენ  
ხალხის დიდ სიძულვილს აგრესორებისადმი. განსაკუთრებით ხშირ  
შემთხვევაში გამოყენებულია ძაღლის სიმბოლიკა. ფშაური  
ლექსის მიხედვით შურისძიებით ანთებული გმირი მრისხანედ მი-  
მართავს გაქცეულ მტერს — ალი-მაჰმადს:

— ძ ა ლ ლ ო, არ წაგაღებინებ,  
ხელსა მაგ ჩემის ძმისაჲ.

ხევსურეთში ჩაწერილი ლექსის მიხედვით მოლექსე ნიშნობ მოგებით ამბობს მომხდურ თათარზე:

ეგ ვერ ცოდნია ძალღებსა,  
ივანე უფრო მზად არი.

მეორე ხევსურული ლექსით უთანასწორო ბრძოლაში უიარაღოთ დარჩენილი ლუხუმი სინანულითა და სიძულვილით მიმართავბ მტრებს:

ეაი თქვენ ლუხუმს, ძ ა ლ ლ ე ბ ო,  
თოფმ დამინაჲ ტალიო;  
ალარც გადმამეჲ ხანჯარი,  
მედინა სისხლის წყალიო.

თუშური ლექსის მიხედვითაც მტრებზეა ნათქვამი:

საცაა მოვლენ ძ ა ლ ლ ე ბ ო,  
ვით დელგმა ნიაღვარია.

მსგავსი მაგალითები ბევრია.

საგმირო ლექსებში მტრების სახედ გამოყენებულია აგრეთვე ნ ა ხ ი რ ი, ვ ე შ ა პ ი და ს ხ ე.

გმირის საბრძოლო მოქმედებას, მის მიერ იარაღის ოსტატურად ხმარებას თავისი სიმბოლიკა და ეპითეტები აქვს. ქართული ხალხური საგმირო პოეზიის მიხედვით მებრძოლი გმირი შევარდენივით, მიმინოსავით ან ქორივით დაფრინავს, იგი ნიაგ-ქარია და ა. შ. ამგვარი სიმბოლიკით არის შეკრული მოხდენილი პარალელიზმები, რაც თავისებურ უღერადობას აძლევს ფრაზებს და ამძაფრებს სიტუაციებს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს. გავრცელებულ ბალადაში „შატილს გადიდდა ხოხობი“ ბატალურ სცენას აძლიერებს გატაცებული ქალის დასახსნელად ამხედრებული გმირის მოქმედება: — ეგრე ფრინავდა ფშაველი, ვით შავარდენი ცაზედა“. მტრის წინააღმდეგ გმირის ამხედრებას ასე გადმოგვცემს მეორე ლექსის სტრიქონები:

ცაენზეით გადმოხტ გიორგი,  
ქორივით დაბრუნდებაო.

თუშ მეცხვარეებზე — გიგა და გიორგიზე შექმნილი ბალადის მიხედვით მოთარეშე მტრებს „წამოეწივნენ თუშები, როგორც რომ ნიაგქარია“.

ასევე მოხდენილია იარაღის ხმარების სიმბოლიკა და ეპითეტები. ცნობილ ლექსში „დამასტესა ვმკი ყანასა“ ქალი ასე ლოცავს მხსნელ გმირს:

აიქამც გაგემარჯვება,  
საცა ხმალნ იქმენ გელასა,  
მოციქულობდნენ ისარნი,  
შუბნი იქნევდნენ ენასა!

ამ სტრიქონების გამოა ნათქვამი ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ხადაც ეს ამბავია, ხომ სისხლის ღვრაა, იმას ბრძოლა, ომი ჰქვიან“<sup>122</sup>; „ხმლის მოქნევაზე უთქვამთ მოლექსეებს: „ელვასა ჰგვანდა ცისასა“<sup>123</sup>, „ხმალი რო იზამს ელვასა“<sup>124</sup> და სხვ.

მრავალ მომხდურთა მომსწრე ხალხი ვერ ითმენდა საბრძოლო ღარადისა და საკურველის უქმად დებას, რაც მშვენიერი სიმბოლიკით არის გამოხატული პატრიოტულ საგმირო ლექსებში. წინაპართა გმირულ სულისკვეთებას საუკეთესოდ გამოხატავს სიმბოლიკით შეკრული ოთხსტრიქონიანი ლექსი:

ბეთლემის კარზე ჰკიღია,  
ვოჯა ჭურხაის ფარიო,  
მაუელის ომის წადილი,  
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

საბრძოლო განწყობილებას გამოხატავს ხმლის შიმშილის ეპითეტიც:

მთიულო, მთაში გარდილო,  
ხმალს როდის მოგიშივედება;  
ხმალი მშიერა მგელია.

და სხვ.

საგმირო ლექსების პოეტური ფაქტურის საკუთრებაა აგრეთვე მტრის თავდასხმის სიმბოლიკაც. ასეთებია: ცის დაქცევა, ჩამოტეხა ან შავად დახურვა და სხვ. ეს სიმბოლიკა ყოველთვის წინ უძღვის ბატალურ სცენებს და მსმენელს განაწყობს საგმირო ან სახიფათო ამბების მოსასმენად. თუში მეცხვარეების მძიმე ხვედრს უშუალოდ გაგვაცდევინებს ბალადის „გიგა და გიორგის“ სტრიქონები:

გათენბისას დაეცნენ.  
შავად დახურეს ცანია.

122 ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თბზ., V, გვ. 90.

123 ფშაური ლექს., გვ. 61.

124 თაყ., I, გვ. 190.

ხევსურულ ლექსში მტრების შემოსევა მშობლიურ კუთხეში ასეა დახასიათებული:

ჩამატეხნას ღავე ცისასა<sup>125</sup>.

მტრის თავდასხმას გვამცნევს თუშური ლექსის სტრიქონიც: „ინღურთას დასცეს ცანია“<sup>126</sup>. ასეთივე ფუნქცია აქვს ამგვარი მხატვრული სახით შეკრულ ფრაზებს სხვა საგმირო ლექსებშიც.

საგმირო პოეზიაში შეიმჩნევა საერთოდ მტრის ღრუბელთან შეტოლება. ამგვარი ხერხითაა შეკრული ვედრებით მიმართვა თუშურ ლექსში:

ცაო, შენ დაღვი ღურბელი,  
ალაზნისთავო — მტერია<sup>127</sup>.

მტრის თავდასხმით გამოწვეული უბედურების განცდას აღრმავებს მდიდარი სიმბოლიკა ხევსურული ლექსის დასაწყისისა.

იხევის დედამიწაი,  
ცოდვით ჩამოდნეს ქვანია,  
ცაზე აყენებს მასკვლავთა  
არხოტივენების ბრალა;  
სიბრალულისგან ქრებოდა  
ცისკარი ამამკლარია...<sup>128</sup>.

საგმირო ლექსებში მომხდურთა რაოდენობას, ე. ი. მრავალრიცხოვნობასაც თავისი მზაფორმულა აქვს. იგი ემყარება წყლის, მდინარის, ნიაღვრის სიმბოლიკას. ამგვარი სიმბოლიკა დინამიურს ხდის ფრაზას, რაც მთლიანად ლექსს მღელვარებას აძლევს. გმირის დიდ განსაცდელს, მტერთან მისი უთანასწორო ბრძოლის დაძაბულ სიტუაციას უშუალოდ გაგვაცდევინებს აღნიშნული სიმბოლიკით შეკრული პარალელიზმები:

ჩამოდგენ ხისოს ლაეში,  
როგორც ნაგუბარ წყალშია...<sup>129</sup>.  
მომდედა ქისტის ლაშქარი,  
როგორც მდინარე წყალია<sup>130</sup>,  
საეა მოვლენ ძალღები,  
ვით ლეგმა ნიაღვარია<sup>131</sup>;

125 შან., № 104, გვ. 40, № 130, გვ. 49 და სხვ.

126 კრელ., გვ. 27.

127 იქვე, გვ. 26.

128 შან., გვ. 52, № 135.

129 კრელ., გვ. 30.

130 იქვე, გვ. 38.

131 იქვე, გვ. 39.

მოდის და მოდის უწყვეტად,  
ვით ნაგუბარი წყალია<sup>132</sup>.

და ა. შ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პარალელიზმები ძლიერებენ საგმირო ლექსების ბატალურ სცენებს. „გიგა და გიორგის“ მიხედვით გიორგიმ

აგრე დაკაფა ლეკები,  
როგორც ნადირმა ცხვარია.

თუმურ ლექსში გადმოცემული ამბითაც გმირებს

ისე უხოცავ ლეკები,  
როგორც ნადირსა ცხვარიო<sup>133</sup>.

მშვენიერი ბალადით „გიგაის ცოლი“ ქალი მოთქვამს:

ისე ავკეპე ლეკები,  
როგორც ბოლოკა მხალია...

საგმირო ლექსებში ხშირად არის გამოყენებული ქართული ხალხური პოეზიის სხვა ჟანრებშიც ცნობილი სიკვდილის ეპითეტები— მზის დაბნელება, დაცხრომა, ავი დარი, სინათლის ჩაქრობა, და ა. შ. ხოგაის მინდის სიკვდილი ასეა წარმოდგენილი ხალხურ ლექსში:

ხოგაის მინდი კვდებოდა,  
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა  
ცა კეხდა, მიწა გრგვინავდა,  
სული გვიანა ჰხდებოდა.  
ჩამოდიოდა მასკელავი,  
მთვარეც უკულმა დგებოდა...

ქართული ხალხური პოეზიის ჟანრების საერთო ეპითეტებთან ერთად საგმირო ლექსებს გააჩნია აგრეთვე საკუთრივ ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი გმირის სიკვდილის ამსახველი პოეტური სახეები. გმირის სიკვდილი ასეა გამოხატული ხევსურულ ლექსში: „არწივს მალნაყეს მკარით“<sup>134</sup>. მეორე ლექსის მიხედვით ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებაზეა ნათქვამი: „ირემს დალნაყეს რქანიო“<sup>135</sup>.

132 კრელი, გვ. 30.

133 იქვე, გვ. 31.

134 იქვე, გვ. 34 და სხვ.

135 იქვე, გვ. 38, № 101.

გმირის სიკვდილის გამომსახველი ამგვარი ხერხი გვხვდება ხევსურულ ხმით ნატირალშიც:

არწივმა დაიპუქვენ მხარნიო...

...ირემო, დაინაყენ რქანიო<sup>136</sup>.

მაგრამ ეს ნატირალიც საგმირო ხასიათისაა. ახლა ძნელია თქმა იმისა, ამგვარი მზაფორმულები პირველად ხალხური პოეზიის ამ ორი უბნიდან რომელში იყო გამოყენებული. ორივე შემთხვევაში ისინი გმირის სიკვდილს ასახიერებენ და ცხადყოფენ საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკურ კავშირს.



საგმირო ლექსების პოეტიკის პრობლემაში შემოდის მხატვრული ენის ლექსიკური ფონდისა თუ სიტყვიერი ფაქტურის საკითხიც. ხალხური პოეტური შემოქმედების მხატვრული ენა იყო ის არსენალი და ნიადაგიც, რაზედაც აღმოცენდა და დაეფუძნა ლიტერატურული ენა და კლასიკური მწერლობა. პოეტიკის საკითხების ცნობილმა მკვლევარმა მ. პ. შტოკმარმა სწორად აღნიშნა: „Народно-поэтическая речь представляет самостоятельную, законченную систему, заслуживающую специального изучения и неразработанность народной поэтики принадлежит вопиющим пробелам нашего литературоведения“<sup>137</sup>.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების პოეტიკის რთულ პრობლემაში თავისი ადგილი აქვს ეთნოგრაფიული ყოფის როლის საკითხს მხატვრული ენის თავისებურებაში.

თითოეული პოეტური ქანრი ხალხური შემოქმედებისა უდავოდ თავისებურებას იჩენს სიტყვიერი ფაქტურის მხრივ. თამარ ოქროშიძემ შრომის სიმღერათა მხატვრული ენის საკითხების შესწავლისას მართებულად აღნიშნა სასოფლო-სამეურნეო ტერმინების ორგანულობა ტექსტებში და მისი როლი პოეტური შემოქმედების ამ ქანრის რელიეფურობაში<sup>138</sup>. რაც შეეხება საგმირო ლექსებს, ძნელი არ არის შემჩნევა, რომ მის მხატვრულ ენას თავისებურ ელფერს აძლევს ის საგმირო ტრადიცია, რომელიც ძველად გარკვეული სისტემის სახით იყო წარმოდგენილი საქართველოში. საგმირო ლექსე-

<sup>136</sup> მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გვ. 97.

<sup>137</sup> М. П. Штокмар, Исследования в области русского народного стихосложения, 1952, გვ. 5.

<sup>138</sup> თ. ოქროშიძე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 148.

ბის პოეტურ თავისებურებაში, მის მხატვრულ ენაში მნიშვნელოვანია როლი იმ უძველესი წესებისა, რაც საგმირო ტრადიციასთან იყო დაკავშირებული და ხშირად სამხედრო წვრთნის ფუნქციას ასრულებდა. ამიტომაც ხალხური ნაწარმოების მხატვრული ენის შესწავლა თუ ეთნოგრაფიული ყოფის ცოდნას მოითხოვს, იგი ამავე დროს თითონ არის ძვირფასი მასალა ამ ყოფის გასათვალისწინებლად. ქართულ ხალხურ პოეზიაში საკმაო რაოდენობით არის მაგალითები, რომელნიც ადასტურებენ საგმირო ლექსების ტრადიციისა და პოეტიკის მკვიდრო კავშირს. ასეთია მაგალითად საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ლექსი, რომლის ერთი ვარიანტია:

არშის თავს ვეფხვი დავკოდე.  
სამჭერ საომრად მეტია.  
ვაქვაცს პურადზე გულადი  
სამის გაფრენით მეტია<sup>139</sup>.

ამ ლექსში გაფრენა გმირობის საზომია. ამავე ფუნქციით არის იგი სხვა ლექსებშიც. ლეკიანობის ამსახველი ფშაური ლექსის მიხედვით:

დისწულმ დედისძმას აჯობა  
ნაბაღზე გაფრენაზედა<sup>140</sup>.

ამ სტრიქონების გამო ლექსის ჩამწერი თედო რაზიკაშვილი შენიშნავს: „მთაში ნაბაღს გაჰფენენ სიგრძეზე, ისე უნდა გადახტე, ფეხი არ დაჰკრა. ვინც ორს, ან მეტ ნაბაღზე გადაფრინდება, ის კაი ბიჭად ითვლება. დედისძმა უფრო ხნეირი კაცი იყო და იმასავით როგორ გადაფრინდებოდა. ასე ატარებდნენ ჭარჯო და მისი დისწული დროს“<sup>141</sup>. ასეთი ვარჯიში, სამხედრო ნორმის მაჩვენებელი სიტყვები თავისებურ იერს აძლევს ფრაზას ქისტებთან შუღლის ამსახველ მეორე ფშაურ ლექსში. ფშაველ მეცხვარეებზეა ნათქვამი სამხედრო მზადების გამომხატველი სტრიქონები:

ლამაზ დამართეს თოფები,  
ბეკედში გაუღისაო<sup>142</sup>.

თედო რაზიკაშვილი ამ სტრიქონებთან დაკავშირებითაც იძლე-

139 ვ ა ე ა-ფ შ ა ე ე ლ ა, თხზ., V, გვ. 142, შდრ. ალ. გომიაშვილი, მონეტური ლექსები, 1939, გვ. 13 და სხვ.

140 ხალხ. სიტყვ., III, გვ. 35.

141 იქვე, სქოლიო.

142 იქვე, გვ. 57.

ვა საინტერესო ცნობას: „ბეჰედს დააყუდებენ და შიგ უნდა გაატაროს ტყვია, ვინც კარგი მსროლელია“<sup>143</sup>.

ქართული საგმირო ტრადიციით ცოდვად ითვლებოდა მტრის რაზმიდან თორმეტზე მეტის მოკვლა. ხევსურეთში ბოლო დრომდე იყო საბავშვო თამაშობა თორმეტის კვლა. თვალდახუჭული ბავშვები გათვლით „თორმეტ, თორმეტ, თორმეტა“ დანას აკლევდნენ ხეზე. გათვლის დამთავრების შემდეგ თუ ნაქდები თორმეტზე მეტი ან ნაკლები აღმოჩნდებოდა, გამთვლელი ცოდვიანად ითვლებოდა და მოთამაშეთა რიგიდან გადმოდიდა<sup>144</sup>. ამგვარმა საგმირო ტრადიციამ, როგორც აღნიშნული გვაქვს, თავისი გამოხატულება ჰპოვა საგმირო-საისტორიო პოეზიაში<sup>145</sup>. ამ რწმენის კვალი შეიმჩნევა საკუთრივ საგმირო ლექსებშიც, სადაც იგი საისტორიო პოეზიაზე აღრეც უნდა ყოფილიყო. ხოგაის მინდის ქისტებთან ბრძოლის გამოა ნათქვამი:

თორმეტი მოკლა მინდში,  
დადგა, ჩააგო ხმალია<sup>146</sup>.

ქისტებთან შულღის ამსახველი ლექსის მიხედვით ხოგაის მინდში

თორმეტი მოკლა ომითა,  
გავარდა ნიავ-ქარია<sup>147</sup>

ზეზვა გაფრინდაული დაკარგული ხურჯინის შესახებ სინანულით ამბობს:

შიგ შედვა თორმეტ მარჯვენა  
მოშეტეთ დაღისტნისაო.

საგმირო ლექსების მხატვრულ ენაში, ფრაზეოლოგიაში, წინადადების გამართვასა და სიტყვების ურთიერთშეწყობაში თავისი გამოხატულება ჰპოვა სისხლის აღების ჩვეულებამ და რწმენამ თითქოს მოკლული მტერი საიქიოს წყლის ზიდვით ემსახურებოდა მას, ვისაც იგი შესწირეს. ლეკიანობის ამსახველი ლექსის „ბერიძე ჩეკილიშვილის სიკვდილის“ მიხედვით ქრელუამ გაგმირა ბერიძის მკვლელი და შესწირა მოკლულ ძმას. ამის გამოა ნათქვამი:

143 ხალხ. სიტყვ. III, გვ. 35. სქოლიო.

144 ცნობა მოგვაწოდა დავით გოგოჭურმა.

145 სახ. გმ., გვ. 8.

146 შან., გვ. 59.

147 ფშ., ლექს., გვ. 91.



ესროლა, მაგაღებინა,  
სისქის ბარკალი წამზედა,  
ქმას ბერიძიას შასწირა,  
— ლეკო, წაუხველ წყალზედა!  
თქვენგანა მყავის მოკლული  
მარტო ქართლის გზაზედა!

ლექსზე დართულ შენიშვნაში თედო რაზიკაშვილი იძლევა ცნობას სისხლის აღების ჩვეულებასა და ამასთან დაკავშირებულ რწმენაზე საიქიოს წყლის ზიდვის შესახებ. ამგვარივე რწმენით არის შეპირობებული ქისტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ულაკაურისადმი მიძღვნილი ხევისურული საგმირო ლექსის სტრიქონები:

...უხოცავ ტერელოვლები,  
მზიდავი თან ხყევბ წყლოსაო.

ამავე ციკლის ლექსში სისხლის აღების ჩვეულება თავისებურ-ტონსა და იერს აძლევს სტრიქონებს:

ქისტო გულს გაგაღებებს,  
დაგხვიეს თოფის ალიო,  
შაგწირეს ულაკაურსა,  
ყოფილხარ შაშადარიო.

ლექსის მდინარებას განსაკუთრებით აძლიერებს ეს ძველი რწმენა და ჩვეულება ბალადაში „გიგა და გიორგი“. გიორგის მიერ გიგას სისხლის აღება ასეა გადმოცემული დინამიური სტრიქონებით:

ოცდათექვსმეტსა ბელადსა  
მარტომ შაუკრა გზანია,  
შვიდი შასწირა გიგასა:  
— იყავით მაგის ყმანია,  
იმ გძელსა სოფელს გაჰყევით,  
ლიტრით უზიდეთ წყალაო.  
თითო შასწირა მწყემსებსაც,  
— უკან უბრუნეთ ცხვარია,  
თითო შასწირა ფარეხსა,  
— დახვეტეთ გომის კარია,  
თითო ძაღლებსაც შასწირა,  
— უკეთეთ სალაფავია,  
შვიდი თითონაც იმძოლა,  
— მეც მომინდება ყმანია.

კავკასიის ხალხში და კერძოდ ქართველებში გავრცელებული იყო მტრისათვის მარჯვენის მოჭრის ჩვეულება. ამ ჩვეულებამ ძლი-

ერი ასახვა პოვა ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში და მრავალი ნიუანსით გამოვლინდა მის სიტყვიერ ფაქტურაში, ბრძოლაში დაღუპული ბერდიულის გმირობაზე ნათქვამი ლექსის სტრიქონებია:

მარჯვენა მოსჭრეს ლეკებმა,  
მარცხით იხმარა ხმალი!...

ღრმად გრძნობიერი ლექსის „წოვეთში გიგის ციხეოს“ მიხედვით მომხდურებმა „ხელიც მოაჭრეს გიგისა, დააკრეს ციხის თავზედა“, რის გამოც მოლექსე ქალი მოთქვამს: „გიგის ხელების ნაწვეთი მადლით ჩამოდის თავზედა...“.

ხევსურული ლექსის მიხედვით გათავხედებულ იოსებას ბალახურისძემ „მაისჭრა მარჯვენა მქარაო“.

ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილი საგმირო ბალადის „შატილს გადიღდა ხოხობის“ ვარიანტის სტრიქონებია:

შამეეტია ფშაველი,  
შვიდთ თავ მოაჭრა წამზედა,  
შვიდსაც მარჯვენა ააჭრა  
ერთის ამლათის ხანზედა...  
შვიდსაც იარაღ აპყარა,  
სულ ქალს აასხა ტანზედა;  
ქალი შინ გამაბრუნა,  
მამას მიჰგვარა კარზედა.  
— წაილე მარჯვენეები  
ციხეს მიაკარ თავზედა.

ამ საგმირო წესის დარღვევა თავისებური ნიუანსით არის გამოვლენილი მხატვრულ ენაში. საგმირო ჩვეულების დარღვევისათვის ერთ ხევსურულ ლექსში საყვედურით იხსენიება ნასკვაურიძე:

კაცებს ჯოცს, ჯელს კი არა სჭრის:  
ქვესურის წესი არ არსა.  
ქელ მასკერ, ნასკვაურიძე,  
— უპელოდ სახელ არ არსა.

შეჩერდებით კიდევ ისეთ მაგალითზედაც, სადაც არა მხოლოდ საგმირო ტრადიციას, არამედ თვით ნაწარმოებთა შესრულების წესს და ხასიათს დაუმჩნევია კვალი საგმირო პოეზიის ნიმუშების მხატვრული ენისათვის და განუსაზღვრავს მისი ლექსიკური ფონდი.

ლექსები სახელოვან გმირებზე, როგორც აღნიშნულია სპეციალურ თავში, სრულდებოდა სახალხო შეკრებებსა და სანადიმო სუფრაზე. ამის გამომხატველია შიშნია ბალახურისძისადმი მიძღვნილი ლექსის დასასრული სტრიქონები:

შინის ნუ დაიცილებთ,  
საც ისხდეს სმისა ჯარიო!

ასეთია ზოგიერთი დაკვირვება საგმირო ლექსების ტრიადიციისა და მხატვრული ენის კავშირზე. სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითები, რომელთა გაზრდა დაუსრულებლად შეიძლება, მაჩვენებელია მხატვრულ ენაზე ლექსის შესრულების წესისა და გარემოს გავლენისა. ეს მაგალითები მაჩვენებელია აგრეთვე იმისა, რომ ცოცხალი შემოქმედებითი პროცესით ხდება უშუალო შთაბეჭდილებათა მხატვრული განზოგადება.

ასეთია ზოგადად საუკუნეთა მანძილზე თაობიდან თაობაზე ზეპირად გამოტარებული საგმირო პოეზიის მხატვრული ხერხები, რაც შესაძლებლობას აძლევდა ხალხს ეაზროვნა და უკეთესი მომავლისთვის ემოქმედა.





ნახილი ჰერველი

ტექსტები







## ა ფ ო რ ი ზ მ ე ბ ი

### სასიმღერო ტაეკები

1

ვაჟკაცსა — გული რკინისა,  
აბჯარი — თუნდა ხისაო,  
თვალნი — ქორებულ მხედავნი,  
მუხლები შევარდნისაო.

2

ვაჟკაცო, გულო ჯომარდო,  
აბჯარი გინდა ხისაო,  
ხარი, კამეჩი თავისი,  
ცოლი რად გინდა სხვისაო?!

3

კარგი ყმა მაშინ კარგია,  
კმალნი რო შევლენ ელვასა,  
მოციქულობდენ ისარნი,  
შუბნი აძლევდენ ენასა.

4

მაშინ კარგია კაი ყმა,  
რა დილა ბინდით დგებოდეს,  
იცვამდეს გრილსა რკინასა,  
„ომს ვიქამ“, ემზადებოდეს.

5 ხვადი რო ჰხრავდეს ლაგამსა,  
წალმა-უკუღმა დგებოდეს,

ათოთქროვებდეს მკედარი,  
ტყვია ტანზიდა ხვდებოდეს

5

ვაჟკაცს რას გამოადგები  
სოფელთ შვენება ტანისა,  
ბანებზე მიდგომ-მოდგომა,  
გამჩვენება ქალისა?

5 კმალს უნდა აჭრევიებდეს,  
იმედი ხქონდეს მკლავისა.

6

შავს ლუდსა, წითელს ღვინოსა,  
განა სწორსწორად სმა უნდა?  
ენაზე მოსულს სიტყვასა  
განა სუყველას თქმა უნდა?  
ფარი და ხმალი ვაჟკაცსა  
ლამაზად ხმარება უნდა.

7

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვია:  
ბარად ჩამოვედ — მაჭარი...  
ქვირად გაგყიდი სიყმეო.  
თუ ამიჩნდება ვაჭარი!

8

ღვინო კი მათრობელი სჯობ,  
ძალდი — თეოზედ მყეფარი,  
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,  
რო გაჭირდება — მჭეხარი.

5 არც ვარგა ქალთა მიმყოლი,  
ჩალად არა ღირს მკვეხარი,  
რო გაჭირდება, შადგება  
როგორც უღელში მჭლე ქარი.

9

ჯარნი რო დაჯარდებიან,  
ჯარზე თავდაბლად დასჯლოდი;



თარეშნ რო დაერჩევიან,  
ცხენ შაჰკაზმოდი, შასჯლოდი;  
5 თუ რო სახელის ქნა გინდა,  
კაი ვაჟკაცთან დაზდგოდი,  
ჩასვლით ჩახვიდი წინწინა,  
გამოსვლით უკან დასდგოდი!

10

როსტომმ სთქვა: „გმირი მეც ვიყავ,  
ჯირითი მეც შევისრავ;  
სოფელში ამაყობასა  
ისევ დათმოზა ვირჩიე“.

11

როსტომმ თქვა: სიბერკაცითა  
სიტყვა სათქმელად გაჰირდა.  
ჯაჰვი პერანგად გავცვითე,  
ეხლა აღებაც გაჰირდა.

12

როსტომ თქვა: თუ კი შაისმენტ,  
სიტყვა ეს არის მართალი:  
დატევებასა მტრისასა  
დაწონა უნდა, გან ძალი?!

13

კიდევაც დაიზრდებიან  
ალგეთს ლეკვები მგლისანი,  
ისე არ ამოსწყდებიან,  
ჯავრი შეჰამონ მტრისანი.

14

ის უუბნია დუშმანსა:  
„აღარ არიან, წახდესო“,  
ის კი აღარვის უთქომის,  
თუ ლომს ლეკვები დაჰრჩესო,

- 5 აისხეს იარაღები,  
სამტეროს გზაზე შადგესო,  
ისევ მოიდენ ცოცხალნი,  
მამის კერაზე დასხდესო.

15

- მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,  
ტირილი დიაცთ წესია,  
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,  
მაგრამ არ დამიკვნესია!
- 5 მაცალე, ერთი გაემართო  
ჩახმახით ცეცხლის კვესია,  
სულ ერთად მოგამკევინო,  
რაც ჩვენზედ დაგითვისია.

16

სმა უმღერალი არ ვარგა,  
ჭაბუკი უხელებელი;  
ჭაბუკსა უხელებელსა  
ქალი სჯობს უხსენებელი.

17

გაგვიძველ, ბერო მინდიავ,  
მუხლი მაიბი მგლისაო,  
გაიყოლიე უმცროსნი,  
ვისაც თავი აქვს ცდისაო.

18

- თუშნო, ფშაველნო, ჯეგსურნო,  
ლაშქარი შავაზიაროთ,  
ერთმანეთს ნუ უღალატებთ,  
მტერი კი დავაზიანოთ.
- 5 დროშანი წითელ-ყვითელნი  
საძელეს შავაპრილოთ,  
ცხენი დავსკედოთ უკუღმა,  
წვევისკე ჩავაგრილოთ.  
სნო, ახალციხე გავსტეხათ,  
10 კარკუჩა გავატიალოთ.

გეტყობა, არხოტის მთაო,  
 ლურჯაის ნატოტარები.  
 დაუწვიმავის ღრუბელთა,  
 დამდგარა ნაგუბარები.

## 20

ბეთლემის კარზე ჰკიღია  
 ვოჟა ჯურხაის ფარიო,  
 მაუელის ომის წადილი,  
 ხანდისხან შასძრავს ქარიო.

## 21

კაი ყმა ხმალსა ჩახედავს:  
 „ნეტარ, გამიჭრის, თუ არა?“  
 ცუდაი-ქალის უბესა:  
 ნეტარ, შამიხევეს, თუ არა?“

## 22

კაი ყმა ლაშქარ მოკვდება,  
 სწორების მგობინობასა,  
 ცუდაი-ბოსლის ყურესა,  
 ქალებთან ლოგინობასა.

## 23

ვაჟი ბევრია, ვაჟებო,  
 ერთ ერთის გამდარებელი;  
 ვაჟ კი იშვიათ გამოვა  
 ერთ ოროლთ გამდარებელი.

## 24

ქმალ განა ყველა ერთია  
 გამჭრელი, დამჭერებელი?  
 უნდა გაზარდოს დედამა  
 ერთი ორთ გამდარებელი.

5 ასი არ უნდა დედასა,  
 ერთი სჯობ დაღურბლებული.

ყმაწვილო ბეწინიკაო,  
 რას თვალნი გიჭრელოიან?  
 კელი მიგიდის კმალზედა,  
 რას ჯარნი გიტრელოიან?

ცხენ-კარგის დედას დავნატრი:  
 ლაშქარს წინაწინ წადგება!  
 მემრე თოფ-კარგის დედასა —  
 ერთის ნასროლით დარჩება!  
 5 მერე ცოლ-კარგის დედასა —  
 ქმრის სწორთ ლამაზად დაჰხვდება!

ნუ ააღელვებთ კაი ყმას,  
 მიწა არ ძვირობს ბინასა;  
 სალამოს ბეგთარს ჩაიცომს,  
 წითლად შახვდება დილასა,  
 5 ლაშქარში მაში ჩავალის,  
 რკინა რო გაღეჰს რკინასა,  
 გონჯაი დაიმალება,  
 კაი ყმა დაჰკრავს წინასა.

რათ უნდა ბევრი დედასა,  
 სჯობს ერთი სახელდებული,  
 წავა და ომში მოკვდება,  
 თავი აქვს გადადებული.

კმალსა სიმოკლე არ უშლის,  
 — ფეკი წადგი და წავაძების;  
 ვაშკაცსა — სიმდაბალაე,  
 — ომის კარ მალლა დადგების.

ნუ გაუტყდები, მოყმეო,  
 ვაბევერებასა მტრისასა,

- ბერო, ბერობას ნუ შჩივი,  
დაკლებას თვალებისასა,  
5 ეცადე ჭკვა-გონებასა  
რიგებას თემ-სოფლისასა.

31

მშვილდი გაგიტყდა, ვაჟაო,  
მხართეთრი, გოზა წითელი,  
არ გაიტეხო ნამუსა,  
არ მოგეხაროს კისერი.

32

- ტირილითა და ვიშითა  
მტერნი არ შეგვიბრალებენ:  
მოვლენ, დაგვწვენ და დაგვდაგვენ,  
მზე იყოს, დაგვიბნელებენ.  
5 სადაც რო გაგვეწევინ,  
დღე იყოს — დაგვილამებენ.  
სადაც არ გაგვეწევინ,  
მუქარას დაგვიბარებენ!

33

ნეტა რას ივნებ, ვაჟკაცო,  
თავს ვერ მოირჩენ ხენეშითა,  
სჯობს გამაგრება, მხნეობა,  
მომთმენა ვაჟკაცთ წესითა.

34

გატეხილისა ვაჟისა  
ყორანმა ლეში არ ჭამა,  
გაუტეხელის ვაჟისა  
წინ-წინ მკლავები დაჭამა.

35

— დათვო, სთქვი შენსა რჯულზედა,  
ვინ უფრო გეომებოდა?  
— ვაჟაი სვილის ფერაი  
ტოტ-და-ტოტ მეომებოდა;

5 ვაჟი ქალისპირაი  
გორისპირთ ეფარებოდა.

36

ციხე ვერ გასტეხს ვაჟკაცსა,  
ტანჯვა ხვედრია გმირისა,  
ციხე აშინებს ბეჩავსა,  
ვინც არ მცნობია ჳირისა.

37

სალამოთი მოუმატებს  
კაი მუშა და მძლე ხარი,  
გადაბრუნდება, მოკვდება  
გადათრეული მძლე ხარი,  
5 თუ კაცი გულოვანია,  
ყოველთვინ გაუჭრის ხმალი.

38

ვინა თქვა მთავრის ჳორისად:  
„ბაქალი, გეზელიაო?“  
მამაცის ყმისად ვინა თქვა:  
„მამცდარა, რეგვენიაო?“

39

კაი ყმა მაშინ გატყდების,  
რა ღვინო დაძვირდებისა;  
ცული ყმა მაშინ გატყდების,  
რა ომი დაჳშირდებისა.

40

თუში ვარ მთაში გაზდილი,  
მტერსაც არ დაუვარდები,  
უჳულოდ ჳვეყნად არ ვივლი,  
კლდეზედაც გადავვარდები!..

41

ბატონისა ვარ ლაღი ყმა,  
მტერო, არ შეგეპოვები,

მოგიბრუნდები, ხმალსა გცემ,  
ან მოგვლამ, ან შეგაკედები!

42

მთიელო, მთაში გაზდილო  
ხმალს როდი მოგიშვიდებდა,  
ომში შეხვალ და გამოხვალ  
გული არ შაგიშინდებდა.  
5 სისხლისა ნაგუბარზედა  
ფეხი არ მოგიცურდებდა,  
უკან დახევა არ იცი,  
სისხლი რო შაგინურდებდა.

43

ომის კარ დამქეხებელსა  
არ დაიცილებს სწორები.  
სოფელში ტკბილსა გემოსა  
გულ-მკურვლად ტირის ქალები.

44

ნადირი როგორ მაიკლას  
სამჯერ მთა გადუველელადა,  
კაი ყმა, როდის იცდებდა,  
ომში შიგ შაუსვლელადა!

45

ომში უმყოფელს ვაშკაცსა  
ომი უბრალო ჰგონია,  
კმლის ქნევა, ფარის ფარება  
ფარიკაობა გონია.

46

რაქე კარგია კა ვაჟი,  
დუშმნიანი და მტრიანი —  
ხან გაიგონას ქებაი,  
ხანდახან — გინებიანი.

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,  
 გულო, არ დაგაშავებო,  
 მტერო, არ შეგეპუები,  
 ხმალო, შენ გაგათხავებო!

მალღაით მოვლენ ღურბელნი,  
 გორებზე დაეკიდება...  
 ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა,  
 გულს ჟანგი გაეკიდება;  
 5 ჯავრის მიმყოლსა ვაჟაკცსა,  
 რა კარგი წაეკიდება:  
 ჯანი და ღონე წაუჟვა,  
 გმირობა გაეყიდება...  
 ასადგომ ნელად აიწევს,  
 10 არგანზე დაეკიდება!..

ხან შასმა უნდა ღვინოსა,  
 ხანდახან შამღერნებაო,  
 ხან ომი უნდა ძლიერი,  
 ხანდახან შასვენებაო.

თქვენი რიგია ახლებო,  
 ხელის დადება ხმალზედა,  
 ყორნები ლეშით ძღვებიან  
 მამების ნაომარზედა.

### 51. ახლები ომჩი

ჯარში წახვიდით, ახლებო,  
 რომნის კმალ უფრო ჭრისაო!  
 ომჩი ჩავიდეს ახლები,  
 წკება ამადის კმლისაო.  
 5 ლემადეს ამამდინარსა  
 კენესა ამაცვა მტრისაო.



ვაჟკაცნი, მთაში ნაზარდნი  
 ომშიაც კი ნახვენ ლხინსა,  
 მტერსა მტრულად დახვდებიან,  
 მოკეთეს მოსკამენ კირსა.

## 53

კაი ყმა მაშიც კარგია  
 ომჩიგით ამალიოდეს,  
 არ იკვებოდეს ბიკობას,  
 ცხოთა უქმობას ჩიოდეს  
 5 აბჯარსა, სისხლში გასვრილსა,  
 სწმენდდეს და ჩამაზდიოდეს.

## 54

ვაჟასა შენისთანასა  
 განა თუ აგრე სმა უნდა?  
 დილას ადგომა ადრიან,  
 გრილსა რკინასა სხმა უნდა.  
 5 აყეფდებოდის ქობაქი,  
 სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა,  
 სოფელს მავიდას მოძალე,  
 სხვათ ნამეტნავად ცლა უნდა.

## 55

ყმაწვილო, არშის ციხესა,  
 არ შენისთანა ყმა უნდა.  
 ჩავეს ჩამტანი აბჯარისა,  
 ამომტანელი სხვა უნდა.

## 56

წახველ და არ წამიყვანე,  
 მარტო გამიშვი მე შინა,  
 ნეტავი მეც წაგეყვანე,  
 ორივეს მტერი გვეშინა.

## 57

ძველი დრო მაშინ ყოფილა,  
 მშვილდი რო სჰექდა რქისაო,

ეყარა ციხის კარებში  
ნალეწი ფრანგულისაო.

58

ცოტა ხანია ომისა  
მაღედავ გაიპარება,  
ვინც არი კარგი ვაჟკაცი,  
ომში არ დაიძალება.

59

ვისაც რა უნდა, ისა თქვას,  
ეს არის ჩემი ტრფიალი,  
მიყვარს პრიალა ხანჯალი,  
იმის ბრძოლაში ტრფიალი.

60

ვინც რომ კაცია,  
— ჩოხა-ჯაჭვია,  
ქუდი ნაბდისა —  
ჩაბალახია.

61

როსტომ თქვა: მიწა გრილია  
სიტყვას მით უნდა რბილობა,  
ვაჟკაცს რო გაუქირდება,  
გარჯა უნდა და ცდილობა.

62

ვაჟავ, რას მეგულდიდები,  
რა სახელ მაგიტანია?  
შენი ცხენი და აბჯარი  
ომში როს შაგიტანია;  
5 ლეკი როს მაჰკალ ჰარელი,  
ხელი როს მაგიტანია?!

63

გასქერი, ხმალო და მკლავო,  
გულო, ნუ შამიშინდები,

სისხლისა ნაგუბარზედა  
ფეხო, ნუ გამიცურდები.

64

ჩვენ ბევრის ხმალი გვექადნის,  
ზევით მთის, ქვევით ბარისა,  
ვერავენ ვერას დაგვაკლებს,  
ხორცი გამძლეა ვაჟისა!

65

შენ ბიჭო აზამბურელო,  
შენი ხმა ჩამოდიოდა,  
შენი ნახოცი ლეკები  
არაგვში ჩამოდიოდა.  
5 არაგვი სისხლმა შეღება,  
მცხეთაში ჩამოდიოდა.

66

ვინც იცნობს ჩვენთა სოფლელთა,  
მთას ქორებულად ქრიანო,  
მტერსა და მოჭალათესა  
ტანზეით ჯაჭვსა ჰყრიანო.

67

ხან ვიტყვი გაჯავრებული,  
მოკვდე, რადა ვარ მთელია!  
ხან ვიტყვი, ვიყო ცოცხალი,  
მულამ ვაჯავრო მტერია!

68

კარგისა ყმისა მცემელო,  
თვითონაც გინდა ფარება!  
კარგის ყმის გადმოქნეულსა  
ხე-ქვაც ვერ შეეფარება.

69

მაშინ იხარე, ლურჯაო,  
მთები რო ჰგვანდეს ლილასა,

ჩაგიდვა მძიმე ლაგამი,  
ორთქლი აღნობდეს რკინასა.

70

მტერო, ნუ მთხოვ მუქარასა,  
ზამთარია ქარიანი,  
კიდევ საღმე შაგეყრები  
უფაროსა ფარიანი!

71

ვინამც სთქვა, ენამც გაჰხმება —  
„წოწრეს პაპაი ბერია“,  
ბერია, არც-რა ბერია,  
სიახლე ხელთა სჭერია,  
5 ცხენზე შეჭდება — ქორსა ჰგავ,  
დაუქვეითებს — მგელია.

72

ობოლსა სწყევენ ყორნები:  
„ნუმც გამოსულხარ ველადა!  
სანამ შენ გამოხვიდოდი,  
ქორცი გვრჩებოდა ძველადა!

73

აი ესია, მესია,  
გარს მტერი შემოგვესია.  
ხანჯლებიც დაგვილესია.

74

ქორის ერისთვის დისწულნო,  
ლაშქრულად კახეთს ჩახვალთა.  
მაგით უყვარხართ ბატონსა,  
ომს უკრძალავად შახვალთა.

75

კაცთა დიდი ლიახვისა,  
თოფები აქვთ ჩახმახისა,  
მტერსა მტრულად დახვდებიან,  
მოკეთეში ნახვენ ლხინსა!

- სამაისტლოებს ვაეებსა  
 ბაკნით ასმიეთ ლუდიო.  
 დიდია მაისტის თავი,  
 ყმა იქ ვერ ჩავა ცუდიო.
- 5 გან იქაც ქალებია,  
 გადაიმრუდონ ქუდიო?  
 გამოვლენ ქისტის შვილები,  
 ხანჯრით იციან ჩხუბიო.

ღურბელათ ქალის გაზრდილი  
 დაბრუნდა ჯარასავითა.  
 ქისტაურთ ახალ-უხლები  
 დაფანტა ჩალასავითა.

ქმალს ეტყვის შატლიონი:  
 „ამლის პირდაპირ ველია.  
 სადაც ვინ შამაგვეყრების,  
 სუყველა ჩვენი მტერია“.

დაჰკარით, ნულარ გაუშვებთ,  
 გულხადარაის შვილსაო,  
 დედა უცხოვდა საგძალსა,  
 მამა უბანდავს ჯღანსაო.

თუში ტიროდა მთაზედა,  
 თავის ძმის ნაომარზედა,  
 მოეკლა ორმოცი თურქი,  
 ზედ დაეწერა ქვაზედა.

თუ მოყვარე ხარ, — მიმოყვრე:  
 კალთა გავაბათ კალთასა,

მტერი ხარ? — შემატყობინე:  
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა.

82

თეთრი ცხენი და წითელი  
ორივე გირბოლებია;  
შენი მტერი და დუშმანი,  
ორივე გიბრძოლებია.

83

კაი ყმა, მგელი, არწივი  
არც ერთ არ გაიწურთნება,  
მგელი არ მაშლის მგლობასა,  
კაი ყმა-მამაცობასა,  
5 არწივი — არწივობასა,  
მთის ყურეთ ნადირობასა.  
მგელი გაივლის მთაზედა,  
ნამ გაბერტყილი დარჩება.  
დაიხულება არწივი,  
10 მთით ბარად ჩამოვარდება,  
დაიჰერს შუნის თიკანსა,  
ხორცი ძვალადვე დარჩება.

84

მოვალ, მოვშხუვი თავდაღმა,  
როგორც ხეობის დავრიში,  
საომრად მოვშხადებულვარ,  
მეფეო, მტერზე გამიშვი.

85

ხევსურ ვარ აპარეკაი,  
ხევსურის ჯარჩი ჩავდგები,  
არ გავჯავრდები ჯერ კია,  
გავჯავრდი — აღარც დავდგები.

86

ჩემო ნარმის ჩიქილაო  
ბოლო-ბოლო შაქცეულო,

რად გინდოდა ფარი-ხმალი,  
შე ქალების გაქცეულო.

87

ვაჟკაცსა სულით სიმცირე  
ომჩი არ გამაადგება,  
ფრანგულს ვერ გასტებს დუშმანზე,  
ბოლოჩი სადმე დადგება.

88

არწივის ბოლო მოვჰკელე  
დილაზე თვირთვილიანი,  
ვაჟუსძემ კმალი წამართვა,  
შინ მუელ სირცხვილიანი.

89

ლომისა ტყავსა ჩაიცმევე,  
გვიჩვენე გულთა სრულობა,  
ვერ ამამაცებს ჯაბანსა  
აბჯრისა ჩანაცმულობა.

90

არ ვარგა იგი ვაჟკაცი,  
შუა ქალებჩი მჭდარია,  
მან დაიხუროს მანდილი,  
იგივე ცოცხალი მკვდარია.

91

მეტებს რო ჯარი მიუხტა,  
ვერ გაისარჩნენ ბლუები,  
ბოსლებში იმალებოდნენ,  
როგორც ჩალებში ბუები.

92

ესე არ იცი: ჯაბან კაცს  
გულს უკლავს სხვის მამაცობა,  
თვით კარგ კაცობა არ ძალუძს,  
სხვისა შურს კაი კაცობა.

- კვესურო, კმალი გალადებს,  
 ფშველო — ენა გძელიო,  
 გუდამაყრელო — მაჟარი,  
 ტყვია გამასდის ცხელიო.  
 5 მთიულო, ქადის კვერები,  
 გული თუ უძე სქელიო.

## 94

კმალს ნუ ჩაპხედავ მოყმეო,  
 კმალი მშვიერა მგელია,  
 გაგიჭრის, გაგიხალიზებს,  
 ბოლოს საფლავის მთხრელია!

## 95

- კმალმა სთქვა: პირი დამქანგდა,  
 ჯაბანმა ვინმემ ჩამიგო,  
 ნეტავი ვაუკაცს შამყარა,  
 პირიდან სისხლი ამილო,  
 5 მეღვარებდეს მტრის კარსა,  
 ქარქაშით გარე გამილო,  
 მაჯა მაგრობდეს ბეგთარით,  
 პირი ვადამდე ჩამილო.

## 96

- კმალ გასჭერ, თორე გაგყიდი,  
 ვაჭარი ამიჩენია...  
 — რისაყე მყიდი პატრონო,  
 რა წუნი შაგიმჩნევია?  
 5 მამიკლავ შენი მამკლავი,  
 ჯავრი არ შამირჩენია!

## 97

კმალს უთხრა ივანეურმა:  
 ხმლო, გამიჭერ, ტიალო!  
 მტერი მამადგა კარზედა,  
 იქ უნდა გაგაპრიალო!



- 5 ან მოგელავ, ან მე მოვკვდები,  
ცოცხალმ არ უნდა ვიარო!

98

გასპერი ჩემო კმალო,  
ზოგი დღეს, ზოგი ხვალაო...

99

კმალსა ჯილაგად იკითხვენ,  
მემრ იყიდნიან რკინასა,  
მაამებს შენისთანაი  
არ ჰკარგავს თავის ჯილაგსა.

100

აკოს სანაგის სანაგი,  
მშვილდო, ჩაგიდებს საბამსა,  
ნასრევს კი არ გააცდენდა  
აქუათ სახლის საკვამსა.

101

თუშ-მოურავმა კმალს უთხრა:  
ხმლო ამომყე თანაო;  
გული ნუ შეგიშინდება,  
მივდივარ ყაენთანაო.

102

- მთიბელავ, შენი ფრანგული  
იტირებს, გადაიქცევა.  
აეაჰმე, ჩემო პატრონო,  
შენფრად არავინ მექცევა.  
5 ვერვინ შამიტანს ომშია,  
შამიტანს — გამამექცევა!

103

აბეჩან, ნიკოს წერილაო!  
გაელდა, ხვეიხარ ცასაო.  
მაგით მასწონხარ პატრონსა,  
მალ-მალ გილესავს ფხასაო;

- 5 შეგიბომს უქმის თავადა,  
დაბალს ჩიხაის ტანსაო.  
სამგზავრობა მგულავის,  
რა გაოთავებ კვნასაო.

104

- დალოცვილი ხარ მეჯარო,  
მარჯვედ სახმარო ხელშია,  
მთიდან მთათ ტყვიის გამტყორცნო,  
ვეფხვთა წამქცეო ლელშია, —  
5 მტერზედა ზარის დამცემო,  
თვით დევსაც მოხრი წელშია,  
დასცემ და დაიმორჩილებ,  
ხრიალს დაიწყებს ყელშია.

105

დარჩი ოკრადა, ბუჩაო!  
რა ას, ეგეთი რა ტყვერება?  
თითო რო გამჟარდების,  
სამი-ოთხ-ოთხი აკლდება!

106

- ჩახვივ-ჩახვივის ლურჯაი  
მთიბელავ, შენი ცხენია.  
რად ჩამააგდე პატრონი,  
რად გაუხარე მტერია,  
5 არამიმც არი შენზედა  
პატრონის ნაკმევ ქერია.

107

- ნუ ზდიდობ, ქურაზიშვილო,  
შვილი ვერ სჯობხარ მამასა:  
შენ თუ ქარჩი ხქენ სახელი,  
მამაშენმ — ქარიშ ბოლოსა;  
5 შენ თუ ჩახოცენ ცხვრის მწყემსნი,  
მამაშენმ — ვეშაგნ მთისანი.

108

ვაეკაცსა მოტრაბახესა.  
ზოგი ქალი სჯობს თმიანი,

თოფსა უჯიშო მყვირალსა  
ზოგი ხმალი სჯობს ფხიანი.

109

მოლოდინი სჯობ მოსვლასა  
ლაშქრით ლამაზის ყმისასა,  
მოვა, მაიტანს ამბავსა  
თავისასა და სხვისასა,  
5 ჯერ სწორებისას გვიამბობს,  
მემრ თავის გამოცდისასა.

110

ძმად-ნაფიცისთვის სიკვდილი  
სათემოდ შესამღერია,  
მკერდჩანგრეულის სახელი  
სამოთხის კარზედ სწერია.

111

ყმაწვილო ბეწიკუაო,  
დარბაისლობა იცია?  
წინ ჩასვლა, უკვენ ამოსვლა,  
ჩაშველებათ იცია?  
5 დაგეკრა სწორ-ამხანიგი,  
ჩასვლა-შაშველა იცია?

112

სადაც კარგია კაი ყმა,  
რაის კარგისა მქნელია?  
წავალის, მაჰკლავს ნადირსა,  
კალაში მწვადის მწველია,  
5 დააძლებს ამხანაგებსა,  
თავად მშიერა მგელია.

113

სწორს სწორის მოღალატესა  
ხიდნიმც წყლად ჩაუცვივიან,  
მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,  
ისარნიმც ჩაუცვივიან!..

არშის კლდეს ვეფხვი ავკუწე,  
 სამჯერ საომრად მეტია.  
 ვაშკაც გულადზე პურადი  
 სამის გაფრენით მეტია;  
 5 კაცი რო კაცსა არ იცნობს,  
 სიკედლილზე გადამეტია.

## 115

ცხენო, გასუქებ რემო,  
 ძუა-ფაფარსა ჰშლიდეო,  
 ერთგულის კარზე მიგაგდებ,  
 ორგულის გულსა ჰგლიდეო!

## 116

ბევრ-ბევრაია ბადაი  
 მაისტელების ჳირადა,  
 კაცი ჩვენსავით ალალი  
 დაიბადება ძვირადა.

## 117

გაფრინდი, შო მერცხალო,  
 ჩაჰყევ არაგვის პირსაო...  
 რა ომი გაუჳირდება  
 შენი დედ-მამის შვილსაო!

## 118

ხიმღერას ბანი ამშვენებს,  
 წალკოტსა — ვაშლო წითელი,  
 ვაჟკაცსა — ფარი და ხმალი,  
 გაილამაზოს კისერი.

## 119

რა ტურფანი ხართ, ვაშკაცნო!  
 ფერს ვერ შაგიცვლისთ ზამთარი.  
 ამაშინ გამაგაწევენთ,  
 გავიდას ქვესურთ ლაშქარი;

- 5 ცხენთა საფერკედ გიკაზმენთ,  
რა ტურფად გქდებისთ აბჯარინ

120

ფანდურ, მიყვარს შენი ჩქამი,  
სტეირო, შენი ხმიანობა,  
ვაჟიკაცო, ფარი, ხმალი,  
ქალო, შენი თმიანობა!

121

ქალავ, ქერი ხარ ჩარათი,  
სად რა, რა დაეთესები?  
ვაჟაო, წმინდის მარცვალი,  
მამულსა დაემწყეშესები!

122

- ლომნო, ვერ დაგლევეთ, სიმშილი,  
ათას შორს სძოვდენ ირმები.  
თქვენ თქვენი მშვილდი დაგარჩენსთ,  
თქვენი ისართა პირები.
- 5 ნეტავი, ვისიცა რა ხართ!  
ნეტავი, ვის ეპირებით?!

123

დაგკვლია, ალვის ზეს ლგვიხარ,  
— თვალნი არ ამოგწვდებიან:  
საომრად ცისა მეხს ლგვიხარ  
— სწორნი ვერ დაგედრეიან.

124

ოშკაცნო, მშვილდნო რქისანო,  
გოზა-წითელნო, ფალთონო,  
არც მაშინ შაშინდებითა,  
ომში რო შახოლთ მარტონო?

125

ცხენისა მამწონ ცხენობა,  
ოთხზედავ ეკრას ნალები,

5      ზედ იჯდეს სვილის ფერაი,  
      ესხდეს ქორივით თვალეზი,  
      სოფელზე შამიაროს,  
      გამაჰხედავდეს ქალები!

126

არ ვიც, მამათით გამახოლოთ,  
არ ვიც, მაგიღნათ ქარმაო.  
უნდა გაზარდას თქვენფერი  
დედამ კევესურის ქალმაო!

127

ქალ ბევრი დაიფიცებდა:  
„ჩემის ძმებისა მზემაო!“  
გაზარდას თქვენისთანაი  
კევესურის ქალის რძემაო!

128

ჟუავესა რად უნდა ჩაჩქანი,  
ან ყიქალასა ფარია?  
ვაჟასა თქვენისთანასა  
წელზე ნაბამი კმალია?

129

კმა მამწონს თქვენის თოფისა,  
იცის გველივით წივილი,  
თქვენი მთათ შამავლილობა,  
ქორებულ შამაკივილი.

130

თეთრისა თხისა ციკანსა  
შორს შეეტყობა ვაცობა,  
იმ ღმერთმა ნუ მოგიშალოს  
ეგ შენი ვაჟიკაცობა.

131

მამწონხარ, შენმა გაზდამა!  
მუქლნი არ წაგეკეციან.

ზოგნი რო გჯობდან სწორებო,  
ზოგნი იქავ დაგექცევიან.

132

შენი ჰირიმე, როსტომო,  
მშვილდი შენ გინდა რქისაო.  
აუშვი ბროლის მკლავზედა  
ისარი სინგულისაო.

133

ვაჟკაცო, ტურფად გაზდილო,  
დიდ გორას აეწონები;  
ვინც გნახავს, დედათ ნაშობი,  
ყველა კაცს მაეწონები.

134

ვაჟკაცო, გულადო, მარდო,  
როსტომიანთა სახეო,  
ისპაანს ნადირთ მომკვლელო,  
ძვლისა ტყავითურთ დამხვეო.

135

ვაჟკაცო, უღვამ კოკობო,  
თვალეზი გიგავს ჯიღასო,  
შენ თუ ჩემთან არ მოდიხარ,  
მე შენთან რა მომიყვანსო.

136

მე ვიცი, შევარდენი ხარ,  
მაგრამ რომელი ბუღისა?  
ნეტა რა დედამ გაგზარდა  
ეგრე ფოლადის გულისა!

137

ცხენო გაქებენ, რემაო,  
ალვანის გამხანებლო!  
სამხედროდ ჩერქეზიშვილო,  
ნათქომის გამცხადებლო!

- 5 თავში იმედის მდებელო,  
პირობის არ გამტეხელო.

138

შალვაო, ხისტის გაზდილო,  
ხმალ ბევრჯელ გააპრიალე,  
ბიჯ ბევრჯელ წაზღგი-წამაზღგი,  
ომ ბევრჯელ გააძრიალე!

139

- ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო!  
სამი მზე მოვა თქვენზედა:  
ერთ მოვას პურადობისა,  
შუქ დაგიდგენისთ სკამზედა,  
5 მეორე მამაცობისა,  
მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,  
მესამე თოფოსნობისა,  
ჯიჰვხ ვერ გაგივლენთ მთაზედა.

140

ნეტაეი ძმათა მრავალთა,  
ცხრავე მზე ამაუხდება,  
ვერვინ წაართომს დიაცსა,  
ვერცვინ წინ შამაუხდება.

141

- სალ კლდეში ორბი ბუდობდა,  
სალი კლდის თავზე — არწივი:  
ორბი შესძახის — „ამიშვი“!  
„არ ამოგიშვებ!“ — არწივი.  
5 ერთურთის სისხლსა ნუ დაღვრით,  
ნებისად გქონდეთ ადგილი.

142

კას ყმას ნუ შურობთ, სოფლელნო,  
— კაი ყმა სოფლის ფასია,  
კაის ყმის ცხენი, აბჯარი  
თავ-და-თავ ცუდის ფასია.



კარგ ყმასა ჰმურობს სოფელი,  
 იტყვიან: კარგი რად არი?  
 საქმე რომ გაუქირდება,  
 ყველა იბარებს: სად არი?

## 144

არაუშავს რა წისქვილსა,  
 შემობრუნდება, დაჰფქვავსა.  
 რაც უნდა საძრახ დაეთქვას,  
 საჯაყ არა სძე კარგ ყმასა.

## 145

კა ყმა არ უნდა სოფლელთა,  
 რა მოკვდას — მოღგონდებისა,  
 კაის ყმის ნასადგომარსა  
 მოძალე გაღმოდგებისა.

## 146

კარგ ყმას არ იპატივებენ,  
 — ხალხს არ ზვიყენებს ჯარზედა.  
 არც იცის ამპარტავენობა,  
 არც დაკვეხება სხვაზედა.  
 5 იმას კი აღარ ამბობენ,  
 გაჭირდეს, გამოგვადგება.

## 147

შაუპატივეთ კას ყმასა  
 ჯარზედა დიდის თასითა,  
 რახან გაჭირდას, კაი ყმა,  
 საყიდ ას დიდის ფასითა.

## 148

ქალო, ქმარს შაუპატივე.  
 კმა ლაშქრობისა ვარდების,  
 გძელია მაისტის თავი,  
 ცუდა გყავ, დაგივარდების.

- 5 სწორნ დაუწყებენ გმობასა,  
შენ გული გაგიავდების.

149

- კას ყმას აჰმიე, დედაო,  
დილა ადრიან სადილი:  
ან კმა რა შამალვარდების,  
ან მთას გაუყვას ნადირი.
- 5 ცუდას რად უნდა დედაო.  
მზის დაცხომამდე სადილი?  
არც რა კმა შამალვარდების,  
არც მთას გაუოს ნადირი.

150

- არ ვარგა კაცი უმტერო,  
არც ძრიელ მტერმორეული,  
თოფი ჟჯობს ჩახმახიანი,  
სიათა გვარშერეული,
- 5 რომელიც, შურობს მაჟარსა,  
არის გონგამოლეული.

151

- ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა,  
ნადირს ვერ მახკლავს კლდისასა;  
რო მაკლას, ტყავსა ვერ გახტდის  
შუნ-ჯიკვსა ბოტობისასა,
- 5 რო მეეზიდას, ვერ მახგლეჯს  
სასულას ჯიკვ-მაზვრისასა.  
ზედ ფიცხი, ფეკში ყინული,  
ჯიკვებს ვერ ჩაეპარები.  
შინ რად არ იჯე, ცუდაო?
- 10 დედას უკეთე ტარები.

152

კაი ყმის ნაბინავარში  
შეშანი დარჩებიანო,  
ცუდაის ნაბინავარში  
ქარნი ნაცართა ჰყრიანო.

შენ იქ ვერ წახოლ, ცუდაო,  
საცა ჭიკვ დავა რქიანი.  
მოხეს, სისოურთ დანაღვეს,  
ყმა უნდა სახელიანი.

ბებერს რას მემუქარები,  
ეგ რა ვაჟკაცის შნო არი.  
ყროლად კი არა დამარტყა.  
დაგკარგვენ, ცუდი დრო არი!

თუ ძმისა ვაჟკაცობანი  
შენთან შეხედვით მდარეა,  
არ დაამცირო ის ხალხში,  
ვაჟკაცსა დაადარეა.

სიბერეს ნუ დაიჩივლებ,  
არგნით გამოსვლას ბანზედა,  
სიახლე მაიგონიდი,  
აბჯარ რო გესხა ტანზედა.

ნადირი როგორ მაიკლას  
სამჯერ მთა გადუვლელადა,  
კაი ყმა როდი იცდება,  
ომში შიგ შაუსვლელადა.

ციხევ, ნაპირის ალაგსა,  
ვინც გაგოს, იმან გამაგროს,  
ვაჟკაცმა ჭირის პატრონმა,  
თავი თავადვე ამაგროს.

დედას არ დაუბარებავ  
ნათათრალაის ქალსაო

— აიყაროდი აბჯარი,  
გადუყაროდი სხეასაო.

160

- ველს წახვალ, ბეწიკურაო,  
რა გითხრა, რა დაგაბარო?  
გეტყვი: ძილს ნუ დაენდობი,  
— ძილი ვაჟკაცის მკვლელია.
- 5 გეტყვი: თოფს ნუ დაენდობი,  
— ჩახმახ ეშმაკის ცხენია.  
გეტყვი: კმალს ნუ დაენდობი,  
— კმალი მშიერა მგელია,  
სადღეოდ გულის მკეთეი,
- 10 სახვალოდ ლიბუტს მთხრელია;  
გაგატანინებს მამულსა,  
გედვას კარის პირს მტყეღია.  
ნურცა-რას მკლავს დაენდობი,  
— მკლავი სხვისაიც გძეღია;
- 15 წურცარას მუკლს დაენდობი,  
— მჯობი ბევრისა ბევრია.

161

ბიჭი უნდა ბიჭაობდეს,  
ქარავენი ქარავენობდეს,  
შენისთანა ვაჟიკაცი  
ქალაქს უნდა ფალავენობდეს.

162

ყმაწვილის გული ლაღია,  
შორად გასტყორცნა ისარი,  
ვაჟი თუ საღმე შერცხეების,  
იპის სამარე ის არი.

163

ნეტარ, ბუჩაის პატრონსა  
წამალ რად დასჭირდებო?  
სულიაურის ფრანგულსა  
ჯანი რას დასჭირდებო?

- 5 ან თქვენს ფერს მამაცს მოყმესა  
ომი რას დასცილდებაო?!

164

თუშო, გაგიცვდა ველობა,  
ზვავი გაგიტყდა მთისაო,  
გაფრინდი, ვერ გაუწიე,  
ვადა გაგიტყდა კმლისაო.

165

თუშის ქალმა თქვა: „შევირთავ  
ბასრის კმლის ამომღებელსა,  
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა,  
სახელის შინ მომღებელსა.

166

კარგს ყმას შაჰყვარდი, ქალაო,  
ნუ-სახლსა. ცხვარ-ბევერისასა, —  
ბევერი ცხვარი და ქონება  
მუხლს მოაქვს კარგის ყმისასა!..

167

კარგისა ყმისა ცოლობა  
ნუ გიხარიან ქალაო:  
წავა და ლაშქარს მოკვდება,  
დარჩები ცარიალაო.

168

- ატირდა კაი ყმის ცოლი:  
„აღარ მამივა შინაო“.  
იცინის ცუდაის ცოლი:  
„გამაიქცევა წინაო“.  
5 გამაქცეულის მასვლასა  
არ — მასვლაი სჯობს შინაო.

169

რად იტყვის კარგის ყმის ცოლი,  
დიღხანს ვიქნები ქმრიანი?!

- სიკვდილისა და ქმრისაგან  
ორისგანვე აქვს ზიანი...
- 5 წაუვა, დარდით მოკვდება,  
ვაჰმე, თუ დავრჩე ტიალი!..

170

ომში წასვლა მას უხარის,  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო;  
დაბრუნება და შინ მოსვლა,  
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

171

- რად გინდა ცოლი ლამაზი,  
რა ომში გამოგადგება?  
ჩაიცვამს წითელ-ყვითელსა,  
გამოვა, კარზე დადგება;
- 5 იმის შამხედავ ვაჟკაცი  
კელეპტარივით დადნება!

172

რა გაჰქრის კუვის ბაკანსა  
დედალი მისრულის მეტი,  
რა მაჰკლავს ვაჟკაცის გულსა,  
ცუდისა დიაცის მეტი.

173

ლმერთო, ნუ შაჰყრი ვაჟკაცსა  
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,  
ის დააბერებს, ის მაჰკლავს,  
ის შერთავს წყალსა მდინარსა!

174

ვაჟკაცსა ცოლის სიავე  
შუა გზას მოაგონდება,  
წავალის საგონებელჩი,  
გზას იქით გადავარდება.

175

როსტომმ თქვა: ჰქვა დიაცისა  
არც მამწონ, არც მეკეთება;

- ვაჟკაცს დიაცის მჯერესა  
სამარემც დაეკვეთება;  
5 ჯერ ხომ შენია დიაცი,  
მერე სხვას გაეკეთება.

176

- ღრუბელო, მიდევ და მოდევ,  
პირს ნუ დაჰმალავ მზისასა,  
ცოლს ნურას შეეხუმრები  
თავს უკეთესის ყმისასა  
5 თორ გზაში შამოგეყრება,  
სულს ჩამოგაბნევს მგლისასა,  
გასწავლის ომის გახდასა  
ამომღერებას ხმლისასა,  
არ გონებულჩი გიჩვენებს  
10 ფხას თეთრის ფრანგულისასა.

177

- სხვის ცოლის მდომელს ვაჟკაცსა  
სამოთხე დაეკვეთება,  
ცხრა ადლი ნაგრეხი ჯაჰვი  
კისერზე დაეკიდება,  
5 ვერ უპოვნია სამოთხე,  
დადის და დაეხეტება.

178

ნუ სცრუობ, ნუ ამპარტავენობ,  
ნუ ელესები ქალთაო,  
აგებ სად გამაგაქციონ  
ამოღებულთა ხმალთაო!

179

ბრალია, კარგო მოყმეო,  
ომი არ გაგიდიოდეს,  
არ გქონდეს ტყვია-წამალი;  
თოფი არ მიგიდიოდეს.

180

ღმერთო, ნუ მაჰკლავ ვაჟკაცსა;  
ნუ დაუბნელებ მზესაო!

ნუ გაუობრებ საბლ-კარსა  
ნუ გაულაღებ მტერსაო.

181

სიცოცხლემ უთხრა სიკვდილსა:  
ვაპმე, რა ყროლი კაცი ხარ,  
ზოგჯერ სულ დაიმაღები,  
ზოგჯერ ხილულად დაზდიხარ,  
5 ვაყვაცს პირდაპირ შეები,  
აბა თუ კაი-ბიჭი ხარ!

182

ღმერთო, ნუ მაჰკლავ კარგ ყმასა,  
ნუ ჩამაველეე ავ ხმასა!  
მტერნიმც ნუ გაიგონებენ  
იმის ცოლს ქერივად დამრჩალსა!  
5 სამარეშით აღგება,  
ან თოფს იხმარებს, ან ხმალსა.

183

ერთი ორთაგან მოკლული  
საბრალო, სატირელია...  
ერთმა რომ ორი გაჰყლიტოს,  
— ეგ უფრო საკვირველია.

184

არწივო მხარკვერიანო,  
ყორნებს რად აძლევ ზავსაო?  
მინდორს რო მოკვდეს კაი ყმა,  
წინ წინ ეგ დასთხრის თვალთაო.

185

ვაპ, დედაშენსა, ყორანო,  
ჩემი ლეშითა სძღებოდე!  
იბანებოდე სისხლითა,  
მაღალ ხეზედა სჯდებოდე.  
5 ერთხელ კი ისე გაგაძღებ,  
ფეხზე ველარა სდგებოდე!



კარიმც გაგელო, შავეთო,  
მხარნიმც მენახნენ ძმისანი!  
ლამაზის ვაჟის მხარ-ბეჟსა  
აროთ დაჰშლიან მიწანი.

## 187

თოფის ხმა ჰიუხებშია  
ვაჟკაცსა იამებაო;  
ვაჟკაცს ტყვიით დაჰკრილსა  
არ უნდა ზიარებაო.  
5 მოკვდება, დამარხვა უნდა,  
არ უნდა გვიანებაო!..

## 188

ვაჰ გულო, ვაჰ გუნებაო,  
ვაჰ, სიშორეო გზისაო!  
წასვლაო, აღარ მისვლაო,  
ლაშქრით მამაცი ყმისაო!

## 189

ბრალთა კარგის ყმისადა,  
უდროოდ მაიშალოსა,  
დედა ტიროდეს იმისა,  
ცოლი სხვას წაეყვანოსა.

## 190

სოფლად სტირიან ქალები:  
სოფელს კაი ყმა კვდებაო,  
ღმერთო, ნუ მაჰკლავ კას ყმასა,  
სოფლობა წაგვიხდებაო,  
5 უფროსთანა ან მტერთანა  
წინ ვილა წაგვიძღვებაო.

## 191

ძმობილო, ჩემო ძმობილო,  
ხან ფოლადო, ხან რკინაო,  
ულვაშზე ფისი დაგადვეს,  
აღარ დაგკირდა ინაო.



## ბრძოლა მომხდურყბთან

### 192. ავად არს ღაჭაშრაი

- ავად არს ღაჭაურაი,  
მოკვდებ-მორჩება ველარა;  
ღედის დამცხვართა საგძალთა  
ველად გაიხომს ველარა;  
5 ცოლის დაქსოილ წინდათა  
ფეხზედ ჩაიცომს ველარა;  
შილდის თავს ცივსა წყაროსა  
გვერდს მოუჯდება ველარა!

### 193. ქაღობა დანიკვეხოდის

ქაღობა დანიკვეხოდეს  
ქაღმა ხვარამზისათანამა,  
ვერც გასჭრა ხმაღმა ფრანგულმა,  
ვერც შააშინა დანამა.

### 194. ხორამზის ლეჰსი

- აღმოსავლეთით ამოკდა  
თვალად ლამაზი ქალია,  
ამახყვა საყურ-ბეჭედი,  
ამააშუქნა მთანია,  
5 სათავნო ამოიყოლა,  
სამოცი სული ცხვარია;  
თან მოყმე ამოჰყოლია,  
წითლად ნაღები კმალია.

- ვინაც ვაჟი ხართ, აკოცეთ,  
 10 მე ორ ხორამზის ქმარია.  
 გაბედა ერთმა რეგვენმა,  
 თავს გადილეწა კმალია,  
 გაწყრა, გაჯავრდა ხორამზე,  
 მაღლა შაშალნა თმანია.
- 15 შაჰკაზმა მამის ყურთეთორი,  
 ზე თაოდ შაჯდა ქალია,  
 დაეწაფა და ტბა შასვა,  
 დაგლიჯა მასართაენია.  
 გავარდა ერევენშია
- 20 თვალ შუალამის ხანია;  
 ერევენელთ მამასახლისმა  
 მალე გაულო კარია.  
 ჯერ ხო დაუკლა საკლავი,  
 მემრ მაუტანა ფლავია.
- 25 მემრე დაჰკითხა ამბავი,  
 რალა სტუმრობის ხანია.  
 — რას მკითხავ, მამასახლისო,  
 პე ტყვე ორ შორიელია,  
 შირაქის მოედანზედა
- 30 ჩამოდის ცივი წყალია,  
 იწვა და იდგა თათარი  
 დიდი ურჯულრ ჯარია,  
 ესიტია და სულხანა  
 ორნივ ხორამზის ძმანია.
- 35 თავ მისკრა-მოსკრა სულხანამ,  
 რიყედ ჩაყარა მკვდარია.  
 ესიტა ეუბნებოდა: —  
 სულხანავ, ნუ ხარ მცდარია,  
 ზეენ თითო ცხენი გვეყოფა,
- 40 თითო გამჰრელი კმალია,  
 თითო ჩავიცვათ ტანზედა  
 წითელი დარიმანია.

#### 195. ივანე აქიმოვილი

ამბობენ ბორჩალოშია,  
 ვეკობ, იყრება ლაშქარა,

- არჩევენ კაი ბიქებსა,  
ან კაი ცხენებ სად არი.
- 5 შინაც შაქამეს სადილი,  
თანაც ჩაიდვეს საგძალი.  
მიდიან კითხვა-კითხვითა:  
„ივანეს ბინა სად არი.  
არ ექნებაა სტუმრები.
- 10 არ იქნებაა დამთვრალი?“  
ივანემ უთხრა ჩობნებსა:  
„ბიჭო, ჩვენ ცხენებ სად არი?“  
ადგა, წავიდა ივანე,  
წელზე გაპყვება ხანჯარი.
- 15 ის რომ ცხენებსთან მივიდა,  
გადმოჩნდა თათრის ლაშქარი.  
„ახლა კი დაგვრჩი კელადა!“  
იქით ეძახის თათარი.  
— „მობძანდით, თათრის შვილებო,
- 20 ივანე უფრო მზათ არი“.  
ივანემ ცხენებ დააფთხვა,  
ბინაში მოდგა ყათარი,  
მოდგა და მაპყვა კიდეცა  
თათრის ურჯულოს ლაშქარი.
- 25 საცხენის კარზე ჩაუდგა,  
რკინა ყოფილა მაგარი.  
ივანე აქიმიშვილი  
ვეფხვია, ველის კანჯარი.  
ქელ- და ქელ შამაუარდა
- 30 ერთი რჯულ-ძალდი თათარი,  
კმალ პირით შამაუქნია,  
დაუქრნა უბის მასრანი.  
ივანეს კმალი არ შარჩა,  
წვერ-წალმ იკმარა ხანჯარი.
- 35 ნაწლევს დაიქერს კელითა,  
პირქვე წაიქცევა თათარი.  
ომია გაძლიერებული,  
ბინამ დაიწყო დგანდგარი.  
„მოდი, გავბრუნდეთ, წავიღეთ“,
- 40 — ურჩევს ერთ ბებერ თათარი, —  
ჩვენ მაგას ვერას წავართომთ:

კაცი სჩან ერთზე დამდგარი“  
გაბრუნდეს, გამაისტუმრნა  
მწარე ჩაუდგა საგძალი.

- 45 ემაგ ლექსს გამოგიგზავნის  
დედის ძმისშვილი ქ ა ვ თ ა რ ი.  
ნურც შენ შაირცხენი, ივანე,  
შენაც მიყიდე ხანჯარი.  
სახელიც არი, მადლიცა,  
50 ღარიბ კაცი ვარ, საწყალი.

#### 196. შარუმ-ხანი და სნოს ციხე

- შარუმ-ხანი და სნოს ციხე  
არიან მუქარაზედა;  
შარუმ-ხანს შემოუთვლია:  
შემომეგებე გზაზედა,  
5 სიჩქარით თავი დამიკარ,  
ნუ აეგები ხმალზედა.  
გაწყრა, განრისხდა სნოს ციხე,  
ალამს იბრუნებს თავზედა:  
— ვინა სთქვა, ვინ გამიბედა,  
10 რა დღე იპოვნა ჩემზედა?  
აბა ზედ შემომიაროს,  
წინ უსახლივარ გზაზედა,  
ცამდის ვარ ამალღებული,  
შელესილი ვარ ტანზედა,  
15 გარშემო ბურჯი მავლია,  
მეთოფეც მისხდეს რიგზედა.  
ჩამშას ჩამიბი ცხენები,  
შენ გასტრიალდი ბანზედა,  
თუმც ცხვარი შემომაცალე,  
20 შენც გაგაწითლე ტანზედა,  
გაგზავნე სირცხვილიანი  
ზედ შუა ხევის მთაზედა.

#### 197. დაიძრა ერთი თათარი

დაიძრა ერთი თათარი,  
სულ შაძრა მთა და ბარიო,

მილეწ-მოლეწა ხოყანა,  
ქარი და ბელაქანიო,  
5 ვისაც სიმაგრეს მიუდგა,  
სულ ყველას უყო ძალიო.

#### 198. ზედაველაზედ გადმოდგა

ზედაველაზედ გადმოდგა  
ოსმალო და თათრის ჯარი.  
ჯერ დაუშინეს თოფები,  
მერე ამოიღეს ხმალი.  
5 საპირისწამლე უხრჩოლეს,  
ზეცას აღიოდა ალი.  
ქვეითი ბევრი დახოცეს,  
ცხენოსანი მაგრა არი.  
დედას კაცი მოუვიდა,  
10 გადაკიდულ მოგვაქვს მკვდარი;  
ლოყას ხელი ჩამოიკრა,  
ჩამოღვარა სისხლის ღვარი.  
— შვილო, ქორწილს გიპირებდი,  
უნდა მამეყვანა რძალი.  
15 ოქროს ქსოვილზედ დამესვა,  
თვალ-ქუუქუნა თეთრი ქალი.

#### 199. დათუნა ვერიტაშვილი

დათუნი ვერიტაშვილო,  
კახეთ გიქროდა ქარია,  
შაკმანზა ცხენი, წავიდნენ  
სიძე და ცოლი ძმანია,  
5 ყარაღაჩში რომ ჩავიდნენ,  
ვაი, რა დიდი ჯარია?  
კაჭა და კაჭა ოსმალო,  
აღინა სისხლის ღვარია.

#### 200. გიგაის ცოლი

დაგზავნეს ყარაულები, —  
„ჩეთმას დაგვივლე თვალია“.  
ყარაულები დაბრუნდნენ,  
არის შუადღის ხანია.

- 5 მოუტანიათ ამბავი  
 გულსაკლავ-საოხრალია:  
 „თათრებს მოუკლავთ გიგაი,  
 ზედ არ აბია მკლავია“.
- გიგაის ცოლმა გაიგო,  
 10 წელს შემოირტყა ხმალია,  
 შეახტა გიგას ლურჯასა,  
 შავარდენივით მალია.  
 აბა, თუ, ლურჯავ, ნალ გიჭრის,  
 ახლა შენი დრო არია.
- 15 ლურჯაი ეგრე გაფრინდა,  
 წელს მიაქვს ნიავ-ქარია,  
 ძალლებიც გვერდზე მიჰჭროდნენ,  
 ბრძოლა სწადიანთ ცხარია.  
 ძალლებმა სუნით შეატყვევს,
- 20 — აქეთ წასულა ცხვარია.  
 გადაიხედა გორიდან,  
 გამოჩნდა ვაცის რქანია;  
 — სად მიხვალ, ვაცო ტიალო,  
 საით მიგიღის ცხვარია?
- 25 ვაცმა ხმა იცნო პატრონის,  
 სულ შეაგუბა ცხვარია.  
 ქალმა დაჰკივლა თათრებსა —  
 „საით მიგიღით ცხვარია!“  
 გაიძრო თავის ფრანგული,
- 30 გიგას ნაჰერი არია.  
 გაჰკრა, გამოჰკრა თათრებსა,  
 მინდორს გაშალა თავნია,  
 კაფა და კაფა ურჯულო,  
 ქალას ჩაყარა მკვდარია;
- 35 გამოუქეჩა ვაცებსა,  
 ჩეთმას ჩარეკა ცხვარია.  
 ვაცებმა იქით გასწიეს,  
 სადაც გიგაი მკვდარია.  
 ერთ ჩაღრმავებულ ალაგას
- 40 სულ მთლად შეგუბდა ცხვარია.  
 თოხლებმა დასცეს ბაბანი,  
 როგორც მგლოვანი ზარია.  
 მაშინ იფიქრა დიაცმა:

- „აქ ჩემი ქმარი არია“.
- 45 მივარდა და დაეკონა,  
წელს შემოართყა ხმალია,  
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,  
ჩვენ ცხვარ ჩვენ ხელთვე არია.  
ისე ავკეპე ლეკები,
- 50 როგორც ბოლოკა მხალია“...  
თავით დაუდგა ქურანი,  
დასტირის, როგორც ქალია,  
— ჰე, ვაცნო, რაღას უყურებთ,  
გასწით, გაგყვებათ ცხვარია;
- 55 გამოუქეჩეს ვაცებმა,  
თან გაიყოლეს ცხვარია.  
ქალი შეახტა ქურანსა,  
წინ შემოიდო მკვდარია,  
ცხვარი მიუდის, მიტირის,
- 60 ცრემლი ჩამოსდის მწარია,  
სახეზე აწვიმს ვაჟკაცსა,  
სულ დაუბანა ტანია.  
სოფელს რომ მიუახლოვდნენ,  
ატირდა ქალი, რძალია! —
- 65 „ვაჟკაცო, ხალხში განთქმულო,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,  
რა უყავ შენი ხანჯალი,  
ან ეგ მარჯვენა მკლავია“.  
ჩქარა გაუქრეს საფლავი —
- 70 „ცოდოა, დიდხნის მკვდარია“.  
საფლავში რომ ჩაასვენეს,  
ყირაზე დადგა ცხვარია,  
ძაღვები პირზე უდგანან,  
არ ემეტებათ მკვდარია.
- 75 ადგა და ქალმა დაიწყო, —  
ეს მათი წესი არია, —  
„ნუ დაიდარდებ, გიგაი,  
ცხვარი ჩვენ ხელთვე არია.  
ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას, —
- 80 არ მოვაშორო თვალია;  
საცა შემოვხვდე ურჯულოს,  
ფიცხლავ მოვაპრა თავია“.



## 201. ხარანაულნი

- დელეს ატირდა თამარი,  
ლაშარს ლაშარის ჯვარია:  
„ვერ გაიგეთა, ფშველებო,  
წელზედ შეგეკსნათ კმალია!“
- 5 მინდვრით მოვიდა ამბავი,  
გადმაიარა მთანია, —  
იოსებ ხარანაულსა  
საომრად ეტყვის მქარია.  
გიორგის ეტყვის: „წავიდეთ,  
10 იორს დავავლნეთ თვალნია,  
ტინკოც თან წამოიყვანეთ,  
ორნივე წამოდით ძმანია“.  
სამშაბათს დილით წავიდნენ,  
იოსებ წინამძღვარია,  
15 ჩავიდნენ ივრის პირასა,  
აუდგათ ნიავ ქარია;  
ივრისა პირას მდგარიყო  
ურჯულო თათრის ჯარია.  
იოსებმ უთხრა თათრებსა:  
20 „გეძებდით, მქონდა ჯავრია,  
დამპარეთ ჯოგი ცხენები,  
შური მაქვ საძებარია!“...  
გიორგი წამოსცილდება,  
თათრებმ არ მისცენ ზავია,  
25 თოფი დაღრიჯა ურჯულომ,  
იოსებმ მაჰკრა თვალნია,  
კაც არ მომიკლა რჯულ ძაღლო,  
არ შემირცხვინო გვარია!“...  
უპირდაპირეს ერთმანეთს,  
30 თათრებიც კარგი ყმანია,  
იოსებმ თოფ დააქეხნა,  
თათარს დაპგლიჯნა ყბანია,  
დაატრიალა ტყვიამა,  
როგორც ბორბლის ფთას წყალია;  
35 მობრუნვილმ იოსებს დაჰკრა,  
დასჰრა, მოსტეხა მქარია,  
მეორემ გიორგის დაჰკრა,

- დაიძრა მიწა-ცანია;  
 მიწას დაეცა გიორგი,  
 40 აღგომის არ აქვ ძალია.  
 კელთ დაბოძება მოუნდა,  
 ტინკოზედ დაპჩრა თვალია;  
 მაშინ თქვა საწყყალ გიორგიმ:  
 „ვაპ დედა თქვენსა თათრებო,  
 45 ცღისა არ მექნა ხანია.  
 ველარ ჩავეყარე მეორედ,  
 ვერ ვათამაშე კმალია“...  
 თან ტინკო გაუდგებოდა,  
 ძმისა სად მიგაქვთ ვალიო  
 50 ძმის მომკლავს ასე უნდარის,  
 დაპხვია თოფის ალია,  
 პირქე წამაიქცა ურჯულო,  
 მანძილამ დასხნა რქანია;  
 ტინკო მიპვარდა ხანჯრითა:  
 55 „ჩემ ძმას უზიდენ წყალია,  
 თუ ღირსი იყო, რჯულ-ძაღლო,  
 გაუბანდოდი ჯღანია  
 თუ ღირსი იყო, რჯულ ძაღლო,  
 უწმინდე საცხვრის კარია,  
 60 ძაღლებს აჭამე სასვარი,  
 მწყემსებს უბრუნე ცხვარია...  
 მეორეს დღეს შობა გათენდა,  
 გაქსნეს (სამარის) სამოთხის კარია,  
 შიგ მიაბძანეს გიორგი,  
 56 დაუდგეს ოქროს სკამია,  
 დაუნთეს კელაპტარები,  
 ოქროს შანდლებით არია.  
 დაჭრილსა ღმერთმა ულხინოს,  
 შენაც გაცხონოს მკედარია;  
 70 დაჭრილსა, მიცვალეზულსა,  
 ორთავ გეწეროსთ ჯვარია!..  
 ამა ლექსისა მთქმელისა  
 სახლი ნაპირას არია,  
 რომ სთვლიდა, ასრე სტიროდა,  
 75 როგორც ძმა მოკლულ ქალია,

გაიყვეს თათრის ხანჯრები  
და ნაძალავევ კმალია...

## 202. ხვედია გუდამაყრელი

- ოსმალში თათარს აქებენ  
თარაქამაის შვილსაო,  
ცხენსა უქებენ ასეთსა,  
მუხლი აქვს შავარდნისაო.
- 5 ეტყოდა ამხანაგებსა:  
ბაჟი ავილოთ ცხვრისაო...  
დიდ შირაქს დაადგებიან  
ოხერსა მიჯნის პირსაო;  
ხვედიას შემოხვდებიან
- 10 გუდამაყრელი შვილსაო.  
ეუბნებიან იმასა:  
„ფშაველო, მოგვეც ჩიხტაო“.  
— მე ჩიხტას ვერას გაჩუქებთ,  
ფარა მაბარავ სხვისაო.
- 15 შემოეტივა თათარი,  
იმედიც აქვის ცდისაო.  
გაჯავრებული მემცხვარე  
სახეში შაიკვრისაო;  
თათარს დაადვა მაჟარი
- 20 მარცხენა ძუძუს ძირსაო;  
გადაგორდება თათარი,  
პირს სისხლი ამოსდისაო.  
გეძებდით თათრიშვილებო,  
ჯავრი მაქვს წინა წლისაო,
- 25 შარშან რომ თუშებ დახოცეთ,  
იმათას ვიღებ სისხლსაო;  
მიუდი საიქიოსა,  
იმათსამც წყალსა ზიდაო;  
ხომ გაგისტუმრეთ, თათრებო,
- 30 არ გაგიფერეთ სხვისაო;  
ბევრი სხვაც გამისტუმრებავ  
ყაჩაღი თათრებისაო.

## 203. ჭარა-ნამაზი

ბორჩალოს თათრებ გაცვივდნენ,  
ბორნით გამავლენ მტკვარსაო,

- დაჰყვება ყარა-ნამაზი  
 ალგეთის ხეობასაო.
- 5 გაიმობილებს ყორნებსა,  
 ერთურთს უჭერენ მხარსაო,  
 ნუ მიხვალ, ყარა-ნამაზო,  
 ე მანდ ვეფხვი წევს გზასაო,  
 არც მალე გამაგისტუმრებს,
- 10 მოგალეინებს ხანსაო,  
 ბევრ თათარ უნადირებავ,  
 ყაყიჩათ გამიხარდსაო.  
 არ იშლის ყარა-ნამაზი,  
 მიათამაშებს ხმალსაო.
- 15 — რაად მიძოვებ, ფშაველო,  
 მაგ საძლალე მთასაო!  
 — დამეხსენ, ყარა ნამაზო,  
 ნუ მიბოჭირებ ცხვარსაო,  
 ნუ მიტრიალებ ქეჩებსა,
- 20 შირაქში მიმდინარსაო.  
 ან ეგ ბაღლ რაად მოჰკალი,  
 რად მახვევ ცოდვა-ბრალსაო!  
 შენ დაჩვეულხარ, რკულძაღლო,  
 გზაზედ მგზავრების ცრცვასაო,
- 25 ჯიბეში ხელის ჩაყოფას,  
 ხელზე ფულების თვლასაო.  
 გაჯავრდა ფშაველის გაზდილი,  
 თავზე იყრიდა ჯავრსაო,  
 — არ მოგცემ, ყარა-ნამაზო,
- 30 ჩემსა საკუთარ ხმალსაო.  
 არ უბარებავ გამზღელსა  
 მწვეინარ ყაყიჩთ რძალსაო,  
 აიყაროდი თოფიცა,  
 მიაწვდიოდი სხვასაო.
- 35 ოინულ შამაუბრუნა,  
 შამააყოლებს თვალსაო.  
 თოფ დაჰკრა ყარა-ნამაზსა,  
 სისხლ ორკნით იქამს ჩქამსაო,  
 თათარ ცხენს გადმაეკიდა,
- 40 შაშვივით ალებს ყბასაო.  
 ყარა-ნამაზის მამკვლეღსა

- რად არ გაძლევენ ჯვარსაო?  
ეგ რო მაეკლა ყროლ რუსსა,  
გახდიდნენ აფიცარსაო.
- 45 ე მაგის მალექსებელი  
მათრახს ვაკერებ ტარსაო,  
სალექსო გამამიგზავნენ  
ყაყიჩას, თავის ძმასაო.

#### 204. ცხვარ ჩამოვრეკეთ წყალზედა

- ცხვარ ჩამოვრეკეთ წყალზედა,  
დიდ ოთხშაბათი დღე არი;  
ჩამოგვერივნეს თათრები,  
დადგა თოფების ტყრიალი;
- 5 მოვიდეს შიო-დ გლეხაი,  
თათრებმ გაიღეს გრიალი...  
მე და უჭკუა დავბრუნდით,  
სულ ხომ ტკბილია, ტიალი!  
ვაი ჩვენს ვაჟკაცობასა,
- 10 ისევ ქალი გვჯობს თმიანი!..  
შენც ფშავში წადი, გიორგი,  
იყურე ტარის ძგრიალი!..

#### 205. თირუზან

- თქვენს მტერთა აისითაი,  
რო თუშთა — ფშაველთ მოსვლია, —  
გალავან შემორღვევია,  
შირაქში ციხე დაშლია!
- 5 გაუგონავის თათრებსა,  
თირუზან დარჩა ფშავშია...  
ნუ გიხარიანთ თათრებო;  
ნუ იკვებთ ჯამათშია;  
კიდევ ჩამოვა თირუზან,
- 10 სადოლოდ თავის ცხვარშია;  
კიდევ შავალის თირუზან,  
ხმლიანი თათრის ჯარშია;  
თან შაჰყვებთან თუშებიც,  
მორთულნი „ჯვარ-მენდალშია“,
- 15 გაიყვანს უძილაური,  
რაც მაუვალის ჭკვაშია.

- განჯას გადილდა თათარი,  
 სიტყვას იტყოდა ჰკვაზედა:  
 შეიყარენით ახლებო,  
 თულად გავიდეთ ველზედა.
- 5 გადვიდეთ, თვალი დავავლოთ  
 წინა-მხარს ალაზანზედა.  
 დაუშლის ქალი და რძალი:  
 სიტყვა არ მოგდით ჰკვაზედა,  
 შეგიტყობსთ თუშის შეილები,
- 10 არ გატარებენ ჰკვაზედა.  
 არ იშლის თათრის სარდალი:  
 მეტი ვინ იქნებ ჩვენზედა?  
 სარდალმ შეყარა ახლები,  
 გამოუძღვება გზაზედა;
- 15 ძილიჩას გადმოივლიდა,  
 შემოკლებ ალაზანზედა;  
 მანდით დასტაცა ცხენები  
 მზის ჩაბძანების ხანზედა;  
 შემოკლებ შირაქის ქედზედ
- 20 შამგლისფერების ხანზედა.  
 გძელია შირაქის გული,  
 გაუთენდ შუა გზაზედა.  
 თვალი მოჰკიდეს თუშებმა  
 მზისა ამოსვლის ხანზედა.
- 25 ყველამ დაკმაზა ცხენები,  
 ძუა უნასკვენეს ძირზედა.  
 ბელადათ, დაღონდებოდეს,  
 ვინ უნდ გაგვიძღვეს გზაზედა,  
 ველად გასულსა ლაშქარსა
- 30 რიგება გვინდა ჰკვაზედა.  
 დემეტრე ბელადიშვილო,  
 უჯეროდ მოდგნენ შენზედა,  
 ჯიში მოგდევსა მამ-პაპით,  
 ნასახელარი მტერზედა.
- 35 გაჯავრდებ ბელადიშვილი,  
 ქორი შეჯდებოდ ცხენზედა;  
 ლაშქარსა წინ გაუძღვება,

- თულებს მიზდევდა კვალზედა.  
 ნაზარლის ყელზედ გამოჩნდა
- 40 თათრების მუქარაზედა;  
 ნაზარლის ბოლოს ჩადგებოდ,  
 თვალი ეკირა მტერზედა.  
 თულებსა თვალი მოჰკიდა  
 დაბლა თელისის წყალზედა;
- 45 ცხენის გაუშვეს თარეში,  
 დაეწვევიან გზაზედა.  
 დაუბრუნდ თათრის შვილები,  
 ომი გამართეს ძალზედა.  
 ლაშქარს დასძახის დემეტრე,
- 50 დაარიგებდა ჰკვაზედა;  
 დაჰკარით, თუშის შვილებო,  
 სახელ ვის გინდათ მტერზედა!...  
 გოგიმა ყიზილაშვილმა:  
 სახელ მე მინდა მტერზედა.
- 55 ივანე აფშინაშვილსა  
 ხელი ზედ ედო ხმალზედა;  
 თოფს ისროდ შიო ჯანთოს ძე,  
 ტყვია არ ვარდებ ბანზედა;  
 აბდულა, ლეკის გაზდილი,
- 60 უფრო მეტია სხვაზედა;  
 სროლა სცოდნოდა თოფისა,  
 ლამაზად ხმარობდ ცხენზედა;  
 იწევდა შალაფიშვილი,  
 როგორც ნადირი ცხვარზედა.
- 65 ბელადი გაუჩაგრდებოდ,  
 დაარიგებდა ჰკვაზედა:  
 ზედ ნუ იწვევი, მგლის ლეკვო,  
 თავს რასა იკლავ ძალზედა.  
 ნაქებსა ქება რად უნდა —
- 70 ზურაბსა ვანეშვილსაო,  
 ჩავიდოდ ჩაუსვლელშია,  
 ფეხ-ქვეშ გაულის ქარია!...  
 თავ-თავად ვერას შეგაქებთ,  
 ყველანი თავის ცდაზედა.
- 75 ალთეს და ჩალთეს თათრები,  
 მკვდარი დაყარეს მკვდარზედა;

- ემაგ თათრების ტირილი  
 მალლა აღიოდ ცაზედა:  
 განჯას რაც გვითხრა ქალ-რძალმა,  
 80 ახლა გადაგვხდა თავზედა!..  
 გაბრუნდით თუშის შვილებო,  
 ნასახელარნო მტერზედა;  
 თქვენ ხომა კარგნი ყოფილხართ,  
 ნურც აუგს იტყვიო ჩვენზედა...  
 85 ამ ლექსის მომლექსებელი  
 მწყემსი ვარ თრიალეთზედა.  
 დამიდგა ცუდი ამინდი,  
 ღამეს ვათენებ ფეხზედა;  
 გარშემომადგნენ თათრები,  
 90 მოლოდინი მაქვს ძალზედა;  
 ცხვარიც არ მიდგებ ბინაში,  
 მალლა იწევა მთაზედა...

#### 207. მანგლისის მონახირა

- მანგლისის მონახირესა  
 ფეხთ მეცო შავი მეშია,  
 თათრებმა ნახირ დამტაცეს,  
 მოვდივარ, როგორც მეხია.  
 5 რომთენი მოვკალ თათარი,  
 რომთენი დამიჩეხია  
 არც არა მითქომ აქამდე,  
 არც არა დამიკეხნია.

#### 208. ყაყიჩი შავერდაშვილი

- ცხვარი ჰყავ ფშავლის ჩობნებსა  
 ნაპირსა ალაზნისასა,  
 გადმაუცვიდნენ თათრები,  
 ფერს ვერ უცვლიან მგლისასა.  
 5 ყაყიჩი შავერდაშვილი  
 ქორსა ჰგავ მალლის მთისასა,  
 ხმალ და ხმალ გადმაუფრინდა:  
 „ჯავრსა არ შევქამ მტრისასა,  
 რაად მიგიდისთ, ძალღებო,  
 10 ვალსა რად მადებთ სხვისასა?  
 თოფ დაჰკრეს უქშერებელსა



სისხლითა ჰღებავს ქვიშასა,  
ჩობნების ტირილს გაჰკვირდენ,  
კექასა ჰგავის ცისასა:

- 15 „ვინ ჩავა სათათროშია,  
კვალს ვინ ჩაჰყვება ცხვრისასა,  
ვინ გაგვიბრუნებს ბელაღსა  
ურჯულო თათრებისასა!“

## 209. ალოზბა გოდაეთა

შორად წავიდა ამბოვი.  
ქება მა კაი ყმისაო,  
ოსმალჩი თუშის მწყემსებსა  
სანათქმელოდ აქვ ისაო.

- 5 ე მაგისთანა სახელი  
არ გადმოსულა მთისაო.  
იტყვიან სტეფანწმინდასა,  
სოფელი არის გზისაო,  
ორპირად არის ერობა,  
10 მადლი ტრიალებს ღვთისაო,  
მაგათი ბერი კაცები  
სუდნია ქემწიფისაო,  
მაგათ რიგსა და საქმესა  
ყვალაი კაცი ჰკვირსაო.  
15 გამოვლენ ახალგაზრდანი,  
ანგელოზნია ცისაო,  
მაგათ უჭირავს სიმაგრე  
ყუროისა და კდისაო,  
ჩუმად იციან მღვდარი,  
20 წინაის მოვლა მტრისაო.  
ჰკვიანის კაცის ნათქვამი  
სიტყვა ძვირფასად ღირსაო.  
ოჯახს უქდების ქონება,  
ვაჟკაცს სახელი ცდისაო,  
25 შეიკმაზება ცუდაი,  
მოილამაზებს პირსაო,  
მარჯვეჩი კარგი ბიჭია,  
მარკეჩი არად ღირსაო,  
დედამ გაზარდას ეგეთი  
30 ერთი ათასად ღირსაო,

- მოკითხულობა მიართვით  
თათარათ ქალის შვილსაო,  
ალოშკას გოდაეთასა,  
ნუ გეგონებათ ცხვისაო,  
35 სულ თემის საპატოა,  
გორჩი შუქია მზისაო,  
სახელის გულისათვინა  
ჰყრიდა ცოლსა და შვილსაო.  
ქოითით მოსდის ამბოვი
- 40 თავის დაჰკრილის მტრისაო.  
ჩამოდი, თოლი დაავლე,  
ნუ ჰფიქრობ, არა სჭირსაო.  
ეგ რომ ალოშკამ გაიგა,  
სიცილი მოსდის პირსაო,
- 45 დედაი უჯავრდებოდა:  
„ახლაც არ მოგვხვდა ჰკვისაო?“  
„ნუ სჯავრობ, ბეჩავ დედაო,  
— დედა სულ ჰბრალობს შვილსაო, —  
ჩემი ნაქნარი საქმეა,
- 50 ველარ მოვაჯდენ ტყვილსაო,  
ჯერთა თქმა, მერმე გადათქმა,  
ვაუკაცს არ შვენის ისაო;  
იმიტომ წავედ მდევარჩი,  
აგემ მოვასწრო ვისაო,
- 55 სოფელს ვაჰმია სახელი,  
გული გავხეთქა მტრისაო“,  
ემაგან დააყრევინა  
ცხენები მემცხორისაო,  
ამხანაგებიც კარგი ჰყავს,
- 60 არ გაუტეხენ პირსაო.  
ამა ლექსისა მოთქომი  
თუში ვარ, წყემსი ცხვრისაო,  
ზაფხულის თრიალეთზედ ვარ,  
ზამთრის — ალაზნის პირსაო,
- 65 მიყორს ვაუკაცის შექება,  
ეგ ხასიათი მჭირსაო.  
მთქმელსა და გამგონებელსა  
წყალობა გქონდესთ ღვთისაო.

## 210. ალოშპას სიკვდილი

- ძაუგით გამოვიმართე,  
ეს რაი ამბოვ მომხდარა,  
ეხლა დარჩება ამბადა,  
შვილ მამას თოფი ახალა,  
5 ბრალია ალოშპასისი,  
რო შავმა მიწამ დაფარა.  
გივარგის წიგნი მიწერეს,  
შენი ალოშპა მამკვედარა.  
ეს რო გაიგა გივარგიმ,  
10 დროება შავით ატარა,  
დემექცა სახლ-გალავანი,  
აჩხოტიც ოხრად გამხდარა!

## 211. თუშური ლექსი

- ქედში დასტირის ყორანი,  
მალლა ტრიალებს ცაზედა,  
დასტირის, თანაც დაპყფის  
სამგლოიარო ხმაზედა.  
5 ალაზანს გაღმა გავიდა,  
ჩამოჯდებ ჰალის პირზედა.  
იქ ელოდება მიტროსა  
ხელ-ფეხ შეკრულსა ტანზედა.  
ამაჩინეს თათრებმა,  
10 ცრემლებ ჩამოსდის თვალზედა.  
ვამე რა მექნენ მოძმენი,  
გული მტკივანი ჩემზედა.  
მაიყვან ყარაჩაისთა  
იმ ჩამოსაშრობ წყალზედა.  
15 უკან მოზდევენ თათრები,  
აგებენ ხანჯლის წვერზედა.  
— დამპრეს, დამკუწეს თათრებმა,  
სისხლი ჩამომდის ტანზედა,  
ხელებიც დაკუწვილი მაქვს,  
20 ხანჯლებს რო ვიჭერ პირზედა.  
დავსუსტდი, დაბლა დავეცი,  
წავიქე მუხლის კვრებზედა;  
დამეხვეოდენ თათრები,

- ხანჯლებსა ხმარობს ჩემზედა.
- 25 ხუთშაბათს სალამოს ხანზედ  
შუქ დამიბნელეს თვალზედა.  
ხელზე შამაბეს საბელი,  
ჩამიყვან შუა წყალზედა,  
ორ კვირას წყალში ვიყავი
- 30 იმ ალაზნისა პირზედა,  
შამიბრალიდით სწორებო,  
დაკუწვილი ვარ ტანზედა.  
მესამე კვირა გათენდა,  
მალლა ამოვჩნდი მზეზედა.
- 35 მომწყინდა წყალში ყოფნაი,  
გამომიყვანეთ ველზედა,  
მოვიდნენ ჩემი მოძმენი,  
გული მტკივანი ჩემზედა.  
მეძებენ, ვერა მპოულობს,
- 40 დადიან ჰალის პირზედა.  
მამას უთხარი საბავო,  
ჩამოგეშველოს დროზედა.  
ეგ რომ ივანემ გაიგო,  
ცა დაეხურა თავზედა.
- 45 ადგა, ჩამოვიდ ივანე,  
ტირილით მოდის გზაზედა.  
ნუ სტირი მამავ, ნუ სტირი,  
იმედ მაიშორ ჩემზედა,  
ველარა მნახავ მიტროსა
- 50 გახარებულსა ცხვარზედა.  
ალაზანს მამავ უთხარი  
ამბავი ჩემსა თავზედა.  
ჩემი პირისი ნაბანი  
მამავ ჩამოგდის გვერდზედა,
- 55 ალვანსა გამომავზავნეს  
იმ წინამხრისი გზაზედა.  
უკან მომდევდა მამაი,  
ტირილით მომდევს გზაზედა,  
ალვანის მინდორს გავედი,
- 60 დედას მოვუელ კარზედა,  
წინ დედა მიმეგებება,  
ხელეებს იცემდა გულზედა,

- მშვიდობით დედავ, შვიდობით  
 მკვდარი მოგიველ კარზედა,  
 65 მიტირე, ცრემლი მალირსე,  
 მაყარე გულის პირზედა.  
 მეუღლეც მომეგებება,  
 ხელებს იცემდა გულზედა,  
 გულშაღონებულ ბეჩავი  
 70 დაეცა მუხლის კვრებზედა.  
 დამიტროდე მეუღლეც,  
 შავი ჩაიცვი ტანზედა,  
 მუღმივ მოვშორდი სამხევოს,  
 იმედ მაიშორ ჩემზედა.  
 75 ჩემს დებს უთხარი დედაო,  
 მიტრო მოგივიდ კარზედა,  
 უთხარი მალე მოქუჩდნენ,  
 მიტრო გიბარებს დროზედა.  
 მოდის, მოსტირის მაგდანე  
 80 გულით მომტირალ ძმაზედა,  
 ძმაო, მოგიკვდეს შენი და  
 ობლათ დამრჩალი შენზედა.  
 რატომ აღარ მცნობ დედაო,  
 ფერ შავიცვალე პირზედა,  
 85 ორკვირას წყალში ვიყავი,  
 თმაიც არ შემრჩა თავზედა,  
 ჩემი ლამაზი ქოჩორი,  
 წყალი მპარსავდა ძირზედა,  
 მიჰქონდა, არ მემეტებოდ,  
 90 ცრემლ ჩამომდიოდ თვალზედა.  
 ემაგის მოლექსობელსა  
 ბოროტ მეხვევა გულზედა.

## 212. ბერიძე

- შირაქის მეიდანზედა  
 შვიდპირა მადის ცხვარია,  
 ბერიძე ეუბნებოდა,  
 ცხვარო, მაგვწყურდა წყალია,  
 5 ერთ კი მე ჩავალ ბერიძე,  
 ორნ გამამყევით სხვანია,  
 გადაწყვა ტყვია-წამალი,

- თოფს დაუპირა ტალია,  
ჩარეკა ლეკის წყალზედა,  
10 დაალევინა წყალია,  
დახკივლა, გამოაბრუნა,  
ცხვარო, მადოვე ხამია,  
თათრების მოლოდინი აქვ,  
გზისაკე ხქონდა თვალია.
- 15 პატარა ხანა გავიდა,  
თათრებმ მანაწყევს ჯარია,  
ერთმა რჯულ ძალღმა თათარმა  
ბერიძეს დაჰკრა თვალია,  
ისევე ბერიძემ დაასწრო,  
20 მანძილავ, დასხენ რქანია,  
მეორეს მაუყოლებდა,  
სისხლი სვი, კვნიტე ძვალია,  
ომი ას ლეკის წყალზედა,  
სისხლსა წვიმს, ზეით დარია,  
25 ლეკის წყალსა წევს ბერიძე,  
წითლის არაყით მთვრალია,  
ზემოთით რომ უყუდავა,  
ბაღლია უმეცარია,  
ეწადა ჩაშველები,  
30 არ მისცეს ომის ხანია.  
პატარა ხანა გავიდა,  
მავიდა ხანჯრის ხმანია,  
— მაგას რადა ხკლავთ ძაღლებო,  
განთ ეგიც მეომარია!
- 35 — ამას იმით ვხკლავთ ბერიძე,  
შური გვაქთ საძებარია,  
ორ ხელით მე მყავ დაჰრილი,  
სამ ცხენზე გვიკრავ მკვდარია.  
მა მამაშენსა მურღვასა  
40 საწყინოს ეტყვის მქარია.  
შამაქდა მათურაშიგა,  
შახყვირნა ეგ რო ხარია.  
წამეგებნეს უკლონი,  
ქალი ატირდა, რძალია,  
45 სულეთ სათავეს ბერიძეს  
ოქროს დაუღვეს სკამია,

- გვერდით ჩაუსვეს ბაღლიო,  
პირზე სკირთ ნახანჯლარია.  
ამაგის მალექსებელი
- 50 თვითონაც ავად არია,  
პაპი ვარ ტაბლისფეკათი,  
თუ ვინ იკითხვით გვარია.

### 213. ფშაური ფერპინსული

- ჰარალე, ბიკო ჰარალე...  
ჯერ პირველ ღმერთი ხსენდება  
ეკლესიაზე მდგარია,  
მემრე ეგ წმინდა გიორგი
- 5 ფშავლების საკვებარია,  
ახლა ეგ ლაშარის ჯვარი  
ლაშქარში წინამძღვარია,  
ნუმც გაათენდები დილაო  
ორშაბათს საწყინარითა,
- 10 მაშინის გადაამტკრიეს  
ჩენი სამშობლოს კარია,  
სულიდამც დაიკარგება  
ბაგი ჰყავ წინამძღვარია.  
— საწყლებო მეცხვარებო,
- 15 სისხლისა გიდით წყალია.  
ბარში გხოცავენ თათრები,  
მთაში ქისტების ჯარია,  
აგერ, აგერა, ბიქებო,  
ფადლაურაზე ცხვარია,
- 20 ბაჩლიდან შამაემართენ  
ოთხნი ლომივით ძმანია,  
წინ მიუძლოდა ბერიძე  
შვიდი წლის ნაჩობნარია.  
ომია ნათარეულში,
- 25 დაბლა წვიმს, მალლა დარია.  
ველარცა ნახეს საყუჩი,  
ველარცად მოსაფარია.  
იფიქრეს, დავიხოცებით,  
ერთურთზე დარჩათ თვალია.
- 30 ჯნუხასა ხარანეულსა  
ნუმცა — ჰყოლია ცხვარია.

სულ იმათ გამო დაბრუნდა  
ამდევნა ცოდვა-ბრალია.  
მაგისი მოლექსებელი,  
36 თვალცრემლიანი არია,  
სახელად ჰქვია გიორგი,  
ყუარაში მცხოვრებ არია.

#### 214. თათრებთან ომისა

იძახეს შუადღის ხანთა  
„ნაპერავალზე ჰირსაო!“  
სეროდნელთ ახალგაზდანო,  
ნულარ ენდობით ძილსაო!  
5 ყარაულს შაეშველენით,  
მუქლი შაიბით მგლისაო!  
წინ შაკდა ბალათერაი,  
სიკვდილ ღგონდების ძმისაო;  
მეორიადა შამახყვა  
10 ბალლი თოთხმეტის წლისაო.  
შენ, დაჯე — ეუზნებთან,  
— ხანი არა გაქე ცდისაო.  
ესრია, არ დაიჯერა,  
თათარ დაეცა ძირსაო.  
15 მა ბერდიას ვიტონკამ  
ფერი დაიდვა რელისაო.  
შამახვევს ჩოქის კალთასა, —  
„მოდო, შიგ ჩაოლ კმლითაო“...  
გვერდს უდგას ივანეს შვილი  
20 მაგრა მჰკერელი მჰრისაო.  
პატრონა გასთავებია,  
ბრალია კაის ყმისაო,  
ბერდიამ გადაუყარა,  
„ძმაი აქა გყავ ძმისაო“.  
25 აინალ გამაეარდება,  
მზისპირი გასტეხს ჩდილსაო...  
ე, თათრის ბაჯიეები  
ცრემლით იბანენ პირსაო,  
ეუზნებოდენ ცოლებსა, —  
30 — უნდა დაგაძღნათ რძითაო,  
კევსურის საქონ მავლალათ,



ფარა გეგონასთ ცხვრისაო.  
ვერ გაიგითა ძალლებო,  
ძალი გუდანის ჯვრისაო.

## 215. სისხლის აღება

- გახკვირან მემცხვარეები  
პირობას თათრებისასა,  
დღე მუდამ მართვენ თოფებსა,  
ერთ-ურთს უდგამენ ნიშანსა,  
5    საცხენის ხევი ეველო,  
ჩენსა იანოს მთისასა,  
ბეჟიაშვილსა მოუხდნენ  
სალამოს ვახშობისასა.  
ახლოს ვერ მიუდგებოდნენ,  
10   სულსა დაყრიდა მგლისასა,  
შორით ესროდნენ თოფებსა,  
ის აწითლებდა ქვიშასა.  
მძინარს რათ მომეპარენით  
თათრებო, დედა მტრისასა,  
15   თოფს კი მეც გაგიმართავდით,  
ტყვიას დავკრევდი, ისარსა.  
სამნი მეც დამჩენ მოძმენი,  
არწივსა გევანან მთისასა,  
გრცხვენოდეთ ბეჟაურებო,  
20   თუ კი ჯავრს შექამთ მტრისასა.  
შავათ ჩაცმევას ამბობენ  
ქალისასა და რძლისასა,  
ყველამ საწყინოთ მიიღო,  
ნაწნავს იჭრიდნენ თმისასა.  
25   უფროსის ძმისას ამბობენ,  
ფერს დაიდევნებს მგლისასა,  
ბევრგან კი გამაამთხოზდა  
ნადირსა ირმებს ტყისასა.  
შამოხდა იანოზედა,  
30   კვალ დაყვა თათრებისასა,  
ჩავიდა უჯარმაშია,  
ამბავს კითხულობს მტრისასა,  
მოლანლოს ყელში გადახტა,  
მწყემსებს ნახავდა მცხვრისასა,

- 35 დაუჩოქა და ესროლა  
 მომკლავსა თავის ძმისასა.  
 გინდა შენ იყო, გინდა სხვა,  
 ჯავრს ხომ არა ვკვამ მტრისასა.  
 ემაგის მალექსებელი
- 40 ფარას დავსდევდი მცხვრისასა.

216. მწყემსი მწყემსს

- ესე ოხრადამც დარჩება,  
 რაღაც ეს ღორის წყალია,  
 რაც გინდა ნჩქარებოდეს,  
 აქ არ გაივლის მგზავრია.
- 5 ქვემოთ ხარეზე თვალ დამრჩა,  
 იყო სალამოს ზანია,  
 ამ ოხერ ალესილებსა  
 შამაპფენიყო ცხვარია.  
 ამ ჩვენ კორონში ვისა ჰყავ,
- 10 ვის ეერივენ გზანია.  
 თურმე დეიდაშვილია,  
 წინათაც ნამწყემსარია.  
 ღმერთმ შენ სიხარულ ჩავიგდოს.  
 შენ რო მე გამახარია.
- 15 მოუხველ დეიდაშვილსა,  
 თეთრათ გავტეხე ღამია,  
 იქიდან გამოგისტუმრე  
 და დაგილოცენ გზანია.  
 — მშვიდობით დეიდაშვილო,
- 20 მშვიდობით წადი მგზავრია.  
 ეს მამაძალი ზამთარი  
 მშვიდობით გაატარია.  
 აბა, ყოჩაღათ მაიქე,  
 თავს არ დაიდვა ვალია.
- 25 მტრის დედას უნდა გველ ჰკებენღა  
 და ტანზე ეცვას შავია.  
 იმ გზაზე სანამ შაჰყრილხართ,  
 საცა თათრების ცხვარია,  
 გამოგიცვიდნენ თათრები,
- 30 დადგა ჯოხების ჩქამია,  
 ტრიალებს ღუბიანური,

- ტრიალებს როგორც ტარია,  
 არავინა ჰყავ მეშველი,  
 ვინ უნდ უჭიროს მხარია.
- 35 წელაური ჰყავ ბეჩავი,  
 ჰკვიანი, უწყინარია,  
 წაგართვეს ლუბიანურო  
 თეთრი, შიშაქი ცხვარია,  
 მაგან კი იცის ტრაბახი,
- 40 თუ ერთ-ორ ჰიქა დალია.

### 217. მანდ რო ჭალი დავიკარგე

- მანდ რო ჭალი დავიკარგე,  
 განჯას თათარსა ვყვევარო,  
 ქიშმიშით გასუქებული  
 გაბადრულ მთვარეს ვგვევარო.
- 5 მაცვია სიასამური,  
 მაშიეებზე ვდგვევარო,  
 დღისით მიყრია ბორკილი,  
 ღამე შუაში ვწევარო.  
 ტალიყ-ტალიკო ვაუკაცნო,
- 10 მისადევ-მოსადევარო,  
 მოკრიფეთ თითო შაური,  
 მიხსენით, თქვენნი ტყვე ვარო.

### 218. შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო,

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო,  
 არ მილაქიან ქვიშანი,  
 საკმისას ჩამოშვებულნი  
 შუქნი ვნახნოდი მზისანი,
- 5 კოჭლი ვეგონე, უფეკო,  
 კარში არ გამამავალი,  
 გამამიყვანეს, გამშინჯეს,  
 ქალ-რძალი მოდგა მრავალი!  
 პირდაპირ გადმამიფინეს
- 10 თვალ-მარგალიტი სრავალი,  
 დავჯე და ბევრი ვარჩიე,  
 ჯიბეს ვიყარე მრავალი;  
 იქისას გადმოუფრინდი,  
 საცა არ იყო სავალი,

- 15 თან მოყმე გადმამაყოლეს,  
ახალ-წვერ-შამამავალი...  
მე ის ვერ მამეწეოდა,  
მუხლად მე ვჯობდი მავალი;  
გადმამაყოლა ისრები,  
20 ფთეწვრილი, შორა მავალი.  
სუესა მკრა, გულსა მეწივა,  
მუხლი მამილო მავალი.  
ასეთსა კლდესა მივადექ,  
ვეფხვნი ვერ გავლენ ბწკლიანნი,  
25 არწივნი ბუდებულიყვნეს,  
არწივნი ჩვენის მთისანი!  
წავიდეს სანადიროდა,  
ჩამაწითლნეს ქვიშანი.  
ჰამეს და მეცა მაჰმიეს,  
30 ბრალნი ჰქონიყვნეს ტყვისანი.  
გზანიმცა აყოვებულან  
ცხვრისა და მემცხვარისანი,  
წყალს იმათ გამამაყდინეს,  
ხილნი დამისხნეს ხისანი,  
35 თორემ წყალთ ჩავვარდებოდი,  
თევზნი შამჰამდეს წყლისანი,  
თევზთ აღარ დამაჭერებდეს,  
დილნი ვეშაპნი ზღვისანი.

## 219. ბერავ, შე მიგრიაულო

- ბერავ, შე მიგრიაულო,  
დედამც ცხონდება შენია,  
ცხორ გიდგა პალდოს მინდორზე,  
საგარეჯომდე შენია.  
5 თათარმა უთხრა თათარსა,  
ბერას დავავლოთ თვალია,  
ან ცხორი გამოუღალათ,  
ან ჰედილობა ძველია.  
ეგ რო გაიგო ბერამა,  
10 ხანჯარს გაიკრა ხელია,  
ცხორს როგორ გაგალავინებთ  
მიგრიაულის შვილია

- თუ თქვენ ცხორს გამამილაღავთ,  
 შინამც ნუ მივალთ მთელია,
- 15 თოფისა სროლა დაუწყო,  
 ტრიალებს როგორც ქარია,  
 ისე გაფანტა ყაჩაღნი,  
 როგორც რომ მგელმა ცხვარია.  
 ერთი კი მოკლა ბერამა,
- 20 ბელადს მოსტეხა მხარია,  
 მაშინ დასწყევლეს თათრებმა,  
 მწყემსო, დაგეხმოს გზანია.  
 ავად გამხდარა ბერაი,  
 საწყინოს ეტყვის მხარია,
- 25 მგონია კიდეც მამკვდარა,  
 ცხორს გაუნებდა თავია.  
 ქერივი ატირდა მაგისა,  
 თქვეს ეგ ნადიბათ ქალია.  
 თავს დასტირიან მწყემსები,
- 30 დგება ცრემლისა ღვარია,  
 შვილ კარგად გამამიზარდეთ;  
 არ დასდვათ ობლის ფერია,  
 ლურჯასაც კარგად მიკმივეთ,  
 არ შაიცვალოს ფხანია,
- 35 გაუშვით წიბარბათზედა,  
 მიწას აღინოს მტვერია.  
 ემაგის მალექსებელი  
 ბიძაშვილია შენია.  
 განა სილაღით ალექსებს,
- 40 ცრემლი ჩამოსდის ცხელია.

## 220. ჭალმა თორხილთა

- ქალმა თორხილთა ლამაზმა  
 ქმარს დანა დასცა მკლავშია,  
 მამავ. რათ მიმეც თათარსა,  
 რათ ჩასდექ ცოდვა-ბრალშია.
- 5 მეშოვებოდეს თუშები,  
 შავნი ქოჩორან თავშია;  
 გადმოვიდოდნენ ვაჟკაცნი,  
 ცხვარს დამირჩევდეს ცხვარშია,  
 სახარეს გადავალევდეს,

- 10 სახარეს ვაკე მთაშია,  
ჩქარ-ჩქარა შემომხედავდეს  
ჩემ ჩასირმულა თვალშია.

221. ზღაპრად დამრჩალა ბერბებში

ზღაპრად დამრჩალა გერგეტში  
ძველ ხალხის ნაომარია;  
ერთხელ მეც მითხრეს ბებრებმა  
იმაზე ნაუბარია.

- 5 ეხლა რომ მოსჩანს გერგეტით  
თათრების ნასოფლარია;

\* მაღალი ციხე კლდეზედა  
კერპივით წამომდგარია,  
ცალ მხარე ჩამონგრეული

- 10 დღემდისინ ისე მდგარია;  
იქ თურმე იყვნენ თათრები,  
მცხოვრებნი დიდი ხანია.  
მოხევე ხალხი ეტანჯა,  
ეპარა თხა და ცხვარია.

- 15 ყველა სოფლიდან ეტაცა,  
რაც მოეწონა ქალია.

მათ დაეპირა სუყველა  
ბახნო, ჯიმარას მთანია,  
ლიჯე, სალუდის კართანა

- 20 ყველა ცხვრის საძოვარია.

მათა ჰქონიათ ქვენამთა,  
და მათი რუეისთავია,  
სასმელად აღარ მიეცა  
გვერდს მომდინარი წყალია.

- 25 შეწუხდეს მოხევეები  
მათი ძლიერი ძალითა,  
ფიცი ქნეს თემმა ერთი ხმით:  
უნდა გავსწყვიტოთ მტერია.  
მარიამობას გადადევს,

- 30 ეს დღე არს შესაფერია,  
ტყეებზე გადაეპარა  
ბეკურაულთა ვაჟია.  
გმირობას იჩენს ვაჟკაცი,  
ციხის აღება სწადია.

- 35 ქვევითით ესმის თათართა  
 ძალა, რომ მოსჩანს ძნელია,  
 ჭისტაურს ჩამოუთვალეს,  
 მათი იღბალი მხდარია:  
 — მოდი და ძროხა გარეკე,  
 40 თუ რომ გსურს პურის შენახვა;  
 მაგრამ ამავე დროს ციხეში  
 ბეკურაული შავარდა.  
 უეცრად დადგა ციხეში  
 გლოვისა დიდი ზარია.  
 45 გერგეტლებს ციხე აეღოთ  
 და შეეკონათ გზანია.  
 მთლად ხევი მათ დასეოდა,  
 მათზედ ეყარათ ჯავრია.  
 სუყველა ამოეწვიტა  
 50 მამაკაცი და ქალია,  
 წიოკით გადაუვლია,  
 მალლა სამეზბის მთანია —  
 ეხოცა ურჯულოები —  
 ღისხლით შეღება მთანია,

## 222. მემხვიარ შერბელად

- შერგელაჲ ესლრი ლთხვჲართე,  
 ზაგრუმ ესლრი, ისგიდრალე,  
 ქა ლნჲსგიდა თვეთოლნართე:  
 „მი ლნჲხალდა კვიცრანჲ ბარგილდ,  
 5 მი ლიქვსგინანლ კურ მიბინა,  
 ესნარ ლემარხ თათრიჲ ლაშგარ.  
 მინდ ლიდვკინანლ კურ ლნჲმბინეხ,  
 ვეშგიმ ამლეიქხ, ცხუვარს მანფვშდეხ,  
 დაგრა ხაკუხ, მამ მახარეხ.  
 10 ესვეტხ ვეშგმავ, ცხვიგლდ ოხვაფვშდ,  
 ეშხუ მარე გიმეი ესვაფშედ,  
 აშ მიბინა აჲად ლიჩედ“.  
 დარ ხაჲენა, ჩუ ხაჩედა  
 ლამარინაში სვიფათე:  
 15 ალა ფადანს იმწანდჲელე,  
 მუჲალს დეშიარ იმქერი.  
 ქრისდეს ეშუ ჩუ ოთმანრა

- ბიმურზაშა, მინე ბლიულდ!  
 მახად ლაყვიფხ ჭურ ვეკხანქა,  
 20 შდიმილდ ლაღე ლექვა ლახხელ,  
 ლექქანისგა მამგვეშ ისმი;  
 მერმე შდიმილდ ლეჟა ლახხელ,  
 ლეჟანისგა ჟი ანმეკრე:  
 „თათრიშ ლაშგარ ამქედელი!“
- 25 მეთხვიარ იტვილიაღე,  
 ფადასს ლალ იმწაღდაღე.  
 მგლახ-მგჟალს აშ ხობინა,  
 ხობინახ ლიზ-ლიჩედი.  
 ტოტა ჭაახან მახად ამქედ,  
 30 მახად ამქედ ლათხვიარხან,  
 ჩუ ლალ აყვრე ი იშემინე,  
 ღორი ლახხვა ჭანს ალ(ე)თეხ.  
 „ოჲ, ლგჩიეღ ლი ბედი გუშგვეჲ!“  
 მომ ანმეკრას ჭაშვემ გუშვეჲ!“
- 35 ტოტა ჭაახანდ ჟი ანპურნე,  
 გარგლა ლახხვეშ ჟი ანსიძნე,  
 ჟი ლაშპერლი ლაყვრაისგა.  
 — ლახხვა მიშგუ, იმ ლალ გარგლიდ?  
 ქ'ე დომ მპქენიდ, კინჩხარს ჭიშდე!
- 40 — ჰამა იმ მოდ გარგვლუნიდ როქ,  
 ლაშგარ ამქედ თათარიშე,  
 მპგ მეჩდეღი ხალხ ი მარე...  
 — მიშგვან ხოჩამდ იმნარ აღრიხ?  
 მიაჲ ღური, ამხეარ ანრიხ!
- 45 ცხემად მიჩა ჟი ხოკიდა,  
 ლიზ-ლიჩედი ჭურ ხობინა.  
 მეშმაღ მარე მპგ ვეშგდ ლახცვირ,  
 სგვებინ ოთჩაშ, თხუმ ესოგან.  
 თათრიშ ლაშგარ სგვებნავ ანკეარხ,  
 50 მაშელანთე ჩუ ჭურ ანკეარხ,  
 გვარითისგა მინ ესგგანხ,  
 უშხვარ ლიშიალ ოხგაცხდეხ.  
 — თათარიშ თხვიმ ღარ ხიროღე?  
 — მე ხვიროღე თუმჯაყიანი
- 55 შეანეშ თხუმას მაჲ ჭეჟხოღე?  
 — მი ხვიროღე ტოტა ჭაახან.



- მანკეიმ მეშიაღ ნაჲ ლირიდ!  
 სამ ლიფეშდეჟი უშხვარ ლეგნიდ,  
 ხედვაჲ ეჩქას ჟი ალწინიდ,  
 60 ლანგაჟი ჭიშხს დემ ალქუთენიდ,  
 შიყმიშ მგსგემ ეჯა ლირიდ.  
 თუმჯაყიანად იშგემინე:  
 „მანკეი ხეკვეს სი ემიგენ,  
 თათარ ონღერი ჭვედიანეშ!“
- 65 გეამილდ ლოხხელ, ჩუ ესოგან,  
 უმყალვალა ტოტა ჭამხან.  
 დემ აზარე, ცხვის იმარე  
 თათრიშ მახეში თუმჯაყიან,  
 განხან ხაყა მგნჯარი მარე.
- 70 მანკეი ცხვილდ ქა ხოფიშვდა,  
 ტოტა ჭამხანს თხუმ ხეხოლდა,  
 ჭიშხ მად ანკიდ, თხვიმ ჩუ აღნიკვ,  
 ალა მიჩი ქავ ხოქადა.  
 ახფიშვდ მერამე, ბარჯას ხეხვა,
- 75 ტოტა ალას მარჯულდ(დ) ხეხვა:  
 ჟი ესსიპვნან, ესხგრსველან,  
 ჭგუხარხან ღალ მად აღქუთნან,  
 მესმე ცხვილდ ქად ხოქადა.  
 მესმე ცხვილდ ქად ხოფიშვდა,
- 80 ნამწვინს ანღრი, გვამას ხეხვა,  
 ტოტა ალას ენასდ ხედვა:  
 ჩუ ღალ ესნაკვ, ჯაჭარქ' ანნაკვ,  
 ცხვილდ ქადქად, ბაჩვიენ ანნაკვ.  
 ათხე ხაშგემინ თუმჯაყიანს,
- 85 თუმჯაყიანს, თათრიშ თხვიმილდს:  
 „ათხეშ მეგნე სი ხიროლე!“  
 ქა ხოფიშვდა ტოტა ჭამხანს,  
 გვამას ხაჯიდ თუმჯაყიანს.  
 თათრიშ ლაშგარს შიყ ლახსგამნეხ,
- 90 ჩუ ხოკვარახ კარაღელითე,  
 ნესგა ხოკვარხ, ხოზიხ დემთე,  
 დარ მოშ ხოზიხ ცხეკთე, ღერღთე,  
 კარაღელისგა ჟი ჯიხვიტახ,  
 ამახე ისგვემ მამ ჯიზარახ.

95 ედიშ ლუნჩუჲ ჭურ ხაჩვდახ,  
ჰაღურდ ეელარს ჭურ ხაჯონდიხ.

მონადირე შერბელად

შერგელაჲ მიდის სანადიროდ,

მთით მიდის, იცქირება,

გაიხედა თვეთოლარისკენ:

„მე მეგონა შუნის ფარა,

5 მე მიპარვა დამიწყია,

თურმე ყოფილა თათრის ლაშქარი.

მათ დევნა დამიწყეს,

უკან გამომეკიდნენ, ისრებს მესვრიან,

მოკვლა უნდათ, არ მზოგავენ,

10 მოვბრუნდი უკან, ისარი ვესროლე,

ერთი კაცი მიწაზე დავეცე,

კვლავ დამიწყია წასვლა“.

ვერავენ დასწევია, გაჰქცევეია

მარიამის მოედნისკენ.

15 ეს მდევარს ითხოვს საშველად.

მუჟალში ვერვინ იგებს.

ქრისტეს ისემც დაულოცავს

ბიმურზაანთი, მათი მუნჯი!

ახლახან გამოაძვრინეს ბზინდან,

20 ქვემოთ ყური დაუგდო,

ქვემოდან არაფერი ისმის;

მეორე ყური ზემოთკენ დაუგდო,

ზემოდან კი გაიგო:

„თათრის ლაშქარი მოსულა! —

25 მონადირე იძახოდა,

მდევარს ითხოვდა საშველად.

მულახ-მუჟალს ასე დაუწყია,

დაუწყიათ სვლა-წასვლა.

ტოტა ჭახანი ახლახან მოსულა,

30 ახლახან მოსულა სანადიროდან,

წევს და ისვენებს,

ორი ცოლი კი კანაფს რთავს.

„ო, ნეტი ჩვენს ბედს,

არ გაიგოს ჩვენმა ქმარმა!“

35 ტოტა ჭახანმა გაიგონა,

- ცოლების მუსაიფი მოისმინა,  
 წამომხტარა საწოლიდან,  
 — ჩემო ცოლებო, რას ამბობთ?  
 თუ არ მეტყვით, თავებს გაგაყრევიანებთ!
- 40 — როგორ თუ რას ვლაპარაკობთო,  
 ლაშქარი მოსულა თათრისა,  
 ყველა წასულა — ხალხი და კაცი...  
 — ჩემზე უკეთ როგორ წავლენ?  
 მეც მივდივარ, მტრები მოდიან!
- 45 თავისი მშვილდ-ისარი აულია,  
 სვლა-წასვლა დაუწყია.  
 მეომარი კაცი ყველა უკან დასტოვა,  
 წინ გაუსწრო, თავში მოექცა („დაუდგა“).  
 თათრის ლაშქარი წინ გამოიდგეს,
- 50 მაშელანში მოაგდეს („ჩამოაგდეს“),  
 გვარიშში თვითონ დადგენ,  
 ერთმანეთს ომი გამოუცხადეს.  
 — თათრის მეთაური ვინ ხარ („იქნები“)?  
 — მე ვარ („ვიქნები“) თუმჯაყიანი!
- 55 სვანეთის მეთაურს რა გერქმევა?  
 — მე ვარ („ვიქნები“) ტოტა ჭახანი.  
 პირველად მეომარი ჩვენ ვიქნებით!  
 სამ გასროლაზე ერთმანეთს დავუდგეთ,  
 რომელიც მაშინ მოვერევეთ,
- 60 სადგომზე ფეხს არ გავანძრევთ,  
 ზურგშემქცევი ის ვიქნებით.  
 თუმჯაყიანმა ითხოვა:  
 „პირველად შენ უნდა დამიდგე,  
 თათარი მოვდივარ შორიდან!“
- 65 მკერდი მიუშვირა, დაუდგა  
 უშიშარი ტოტა ჭახანი.  
 არ ზოგავს, ისარს იმზადებს  
 თათრის უფროსი თუმჯაყიანი,  
 გვერდში ჰყავს მხლებელი.
- 70 პირველი ისარი გაუსვრია,  
 ტოტა ჭახანს თავში ხვდებოდა,  
 (მაგრამ) ფეხი არ დაძრა, თავი დახარა,  
 ეს (ისარი) მას აუცდენია.  
 ესროლა მეორე, ბეჭში ხვდება,

- 75 ტოტა ამას მარჯვედ ხედება:  
 შეტრიალდა, შებრუნდა,  
 ფეხებში არ დაიძრა,  
 მეორე ისარი ისევ აუცდენია.  
 მესამე ისარი კვლავ უსვრია,
- 80 პირდაპირ მოდის, მკერდში ხედება,  
 ტოტა ამას სწრაფად ხედება:  
 დაიხარა, წელში მოიხარა,  
 ისარი აიციდინა, ქვაზე დაილუნა.  
 ახლა სთხოვა თუმჯაყიანს,
- 85 თუმჯაყიანს, თათრის მეთაურს:  
 „ახლა მდგომი უენ იქნები!“  
 უსვრია ტოტა ჭახანს,  
 მკერდში მოახვედრა თუმჯაყიანს.  
 თათრის ლაშქარს ზურგი შეაქცევიენს,
- 90 ჩამოუყრიათ კარიელში,  
 შუაში მოიგდეს, ვერსად წაუვათ,  
 ვერვინ წაუვათ ტყე-ღრეში.  
 კარიელში ამოგიწყვეტიათ,  
 მტერი თქვენი არ დაგიზოგავთ.
- 95 ძალთაპირებიც თურმე ერივენენ,  
 მთლად ძაღლებს ჰგვანდნენ თურმე.

### 223. წოვეთში გიგის ციხეო,

- წოვეთში გიგის ციხეო,  
 ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!  
 მოგიხდეს ჭარელთ შვილები,  
 ალი ავხვიეს თავზედა;
- 5 გამაგრდი გიგის ციხეო,  
 ჯაჭვი გადიცივი ტანზედა!..  
 გიგი ცოლს ეუბნებოდა:  
 — წამალი მიწყე წამზედა,  
 რომ შემოგვაკლდეს ტყვიანი,
- 10 ღილი აიჭერ ტანზედა;  
 თოფი მიარტყეს გიგისა  
 მარცხენა ძუძუს თავზედა,  
 გიგის სიათა წაიღეს,  
 დაჰკიდეს ციხის თავზედა...
- 15 ხელიც მოაჰკრეს გიგისა,

- დააკრეს ციხის თავზედა.  
 გიგის სიათა ნუ მიგაქვთ,  
 ნუ აკრავთ ქავის კარზედა,  
 პალაზედ ნუ ვინ წაიღებთ,  
 20 დაჩვეულია მთაზედა;  
 ნადირზედ ნურას ვინ დასცლით,  
 დაჩვეულია მტერზედა.  
 ემაგ ლექსაის მომთქომსა  
 ქალს ცრემლი მამდის თვალზედა,  
 25 გიგის ხელების ნაწვეთი  
 მალლით ჩამომდის თავზედა...

224. რამ აბაშენა, წოვატაშ

- რამ ავაშენა, წოვატავ,  
 ემაგრე ბედიანიო,  
 სათქმით გასულხარ ხმელეთსა,  
 მეომარ თუ გყავ ავიო.  
 5 გამრავლებულა ინდურთა  
 საქონლითა და ხალხითა,  
 გაღმა-გამოღმა ციხეებს  
 ლიბო ჩაუდგეს რკინისა;  
 ხატიც დიდი ჰყავს — სამება,  
 10 გამარჯვებული უფლითა;  
 ტანზე ჩაუცვამთ ვეფთარი,  
 მორთული იარაღითა;  
 არ გამილახოს მტერმანა,  
 მუდამ წინ უძღვის ყმასაო!..  
 15 მაცნე მოვიდა დაღისტინით,  
 შეყრას ამბობენ ჯარსაო:  
 წაეიდეთ, გადავიაროთ,  
 წოვატას დავცეთ ცანიო;  
 დავლა ხომ ბევრი გვერგება,  
 20 სოფლებ მოესთხაროთ ძირითა;  
 ნება ხომ ჩვენი იქნება,  
 ხელით ვარჩიოთ ქალები.  
 ზოგნი უშლიან: ნუ წახვალთ,  
 მეომარი ჰყავთ მრავალი,  
 25 სოფელში შესვლა ძნელია,  
 მუქით უყრიათ წამალი.

- სოფლის თავს სამი ციხეა,  
გალავან ახლავ შავარი,  
გამოღმით, მინდის ციხეო,
- 30 ტანთ თუ ჩაგაცევეს ჯაჭვიო.  
არ დაიშალა ბელადმა,  
წინ გამოუძღვებ გზაზედა,  
დიდ-გვერდი გამოიარეს,  
გადმოვ ალაზნის თავზედა;
- 35 სამშაბათ საგათენებლოთ  
ინდურთას დასცეს ცანიო;  
ინდურთის გაღმით ჩამოდგნენ  
დიდ ბუსურბნისა ჯარიო.  
გაიგეს ინდურთელებმა,
- 40 აისხეს იარალიო.  
გამოღმივ, მინდის ციხეო,  
ჯერ შენა გიყვეს ძალიო.  
სოფლის თავს, სამო ციხეო,  
მემრ შენ დაგხვიეს ალიო.
- 45 ომი ასტეხეს უწყალო,  
ატირებულა მთანო.  
თოფის ალი ზდგას ინდურთას,  
ჩამოქცეულა მთანო.  
ციხიდან გამოჰკვივიან
- 50 ახლები ინდურთისაო:  
„ხლმით გადავიდეთ ჯარშია,  
დრო მოგვივიდა ცდისაო;  
ვინც კაცი არის — გამოჩნდებ,  
სისხლით დაიბანს პირსაო;
- 55 ბევრი კაცია ქალური,  
კვეხულობს ბიჭობასაო;  
ვაჟკაცი ჩამოჩნდებიან,  
თუ ვინ არ არის ქალიო!..“  
გადმოდიანა ციხიდან,
- 60 ქალნო, გაგვიდეთ კარიო.  
ინდურთის არე-მარეში  
დამდგარა სისხლის ტბანიო.  
ერთმანეთისა ჯაბრზედა  
ბევრმა მოიკლა თავიო;

- 65 სისხლის სულისგან ითვრება  
ინდურთის მეომარიო.  
გაწყვიტა დაღესტნის ჯარი,  
მოამბეთ დარჩა სამიო;  
სამსავე დააქრეს ხელები,
- 70 გაგზავნეს დაღესტანშიო.  
— წადით, დაღესტანს უამბეთ  
დახვედრა წოვათისაო,  
როგორიც სეირი ნახეთ,  
დახვედრა ახლებისაო.
- 75 გაკვირვებულა დაღესტან  
წოვათის მეომრისაო,  
ზედ მოდის შუბლ-შეკრულები,  
არ ერიდება ტყვისაო.  
ემაგის ფრანგულების
- 80 ცამდის წვდებოდა ალიო.  
ინდურთის მანდილოსნები  
ნიჩფით ხვეტავდნენ ტყვიასა.  
მე მაგის მოლექსებელი  
ინდურთის გაღმით ვარიო,
- 85 სეირი დიდი ვიხილე,  
მეტათ არს შესაზარიო.  
წოვათის მენახირე ვარ,  
ჩაღმა ვარ გომეწრელიო.

## 225. დილას გოგოთურმ ეხვეწნა

- დილას გოგოთურმ ეხვეწნა  
ჯვარს ემა ხახმატისასა:  
მტერს რომ მივდეგდე, მიმწიე,  
ნაქნარს ვიქ მამპაპისასა,
- 5 ხმლითა სცა ლეკის ბელადსა,  
სისხლით მიჰბასრავს მიწასა.  
— ძაღლო, არ წაგაღებინებ  
ხელსა მაგ ჩემის ძმისასა,  
შენს ხელსაც აიქ მივაკრავ,
- 10 თიანეთს კუთხსა ქვისასა!  
ნუ მირბი, ალი-მამპადლო,  
არ გაგიფერებ სხვისასა,

- დაგიხოც ამხანაგებსა,  
შენც დაგდებ თოფის ლიშანსა!
- 15 დედის ერთაის სიკვდილი,  
არა ჰგავ სხვა-და-სხვისასა;  
დებსა ნუ შაატყობინებთ,  
დებსა იმ მოკლულასა;  
დებისგან ძმისა ტირილი
- 20 დაქცევასა ჰგავ ცისასა..

## 226. ახალა

- ახალა მგელაის შვილი  
კაც დაიბადა რაფერი?  
დაბადების დღეს გამახყვა  
ოქროს პერანგი საცმელი.
- 5 არხოტში, არხოტივნებო,  
ქალ აურჩიეთ საფერი!  
ცოლო, დაუცხვენ საგძალნი,  
ვაქმ რო დალაქნას მთა-წვერნი!

## 227. ახიელ არწივ გაზდილა

- ახიელ არწივ გაზდილა  
შაუარდენტ ნაბიჰვარია.  
უწოვავ ქრისტის დედაი,  
არ თუ ქორციელთ ქალია.
- 5 ახალას მგელაის შვილსა  
პირად უბძანებს ჯვარია.  
უშიშრად ჩამაუვლავის  
იწრო არხოტის წყალია.

## 228. ხმისშრებ, არხოტივნებსა

- ქვესურებ, არხოტივნებსა  
ხალიზს რად უღვეთ ცდისასა?  
სათავეს რად არ დაისხამთ,  
კოშს რად არ აძლევთ რვლისასა?
- 5 ახალა მგელაის შვილი  
სიზმარს ღნახევდა ცდისასა,  
ცოლი დაუცხოვს საგძალთა,



- წავიდა ვაჟი მთისასა.  
 ხამხას ჩავიდა სოფლადა,  
 10 დისწულ რო დედი-ძმისასა,  
 თოფსა შალრევდა ფეხონსა,  
 ელვას ხკრავს კირიმისასა.  
 ამანდით გამაბრუნდების,  
 წამავა ვეფხვი მთისასა.  
 15 აუტყდა მძიმე მდევიარი,  
 კვალს ვერ მახკელვენ მგლისასა.  
 შინ მასულ ცხვარსა დახკლევდა,  
 რიგს იქამს პირი-კსნისასა,  
 მეზობლებს გააგებიებს,  
 20 სულს კი აქსენებს მკვდრისასა.

### 229. ჩარბალელი გმირი

- ვინა სთქვა, ენამც გაუხმო,  
 ჩარგალში ცუდნი ყმანია,  
 აფხუშო, კიკახევაზე  
 სამასს ლეკს მასკრეს თავია.  
 5 აფხუშურაზე გამოჩნდა  
 სისხლისა ალაზანია,  
 წინ მააქვ ფარი და ხმალი, —  
 უკვენ ლეკების თავია.

### 230. ხარხელაშრნი

- არწივნო ხარხელაურნო,  
 წინითგე მოზღით ცდაზედა:  
 გივმა გაღმართა მაჟარი,  
 თეთრ გადაიცვა ტანზედა,  
 5 ნადირამ კმალი გალესა,  
 შაიბა ლერწმის ტანზედა.  
 საქალაქოდ წამავლენავ  
 ლეკების მუქარაზედა;  
 ქალაქი შამოვიდიან,  
 10 ბატონს მიუდგეს კარზედა.  
 წყალობა უყო ბატონმა,  
 ხალათ დააცო ტანზედა.  
 ქალაქის კიდს რო გამოტდეს,

- სამტეროს შადგეს გზაზედა.
- 15 გივ ეტყვის ამხანიგებსა:  
 „გულ ნუ გაქვთ დაქცევაზედა!  
 საჩქაროვ მითხრა ლიშანმა,  
 მტერ აგვიდგების გზაზედა“.
- გადმოეშალნეს ლეკები,  
 20 ხალიზ-ნაჭმევი სხვაზედა;  
 ბელადი გამოსჰარბდების,  
 საკლებ შეეკრა მკარზედა.  
 ნადირამ დაძრა ჩახმახი,  
 ბელად დაყუდა თავზედა;
- 25 მეორეს გივმაც დაუკრა,  
 ძმათ გაუქდ დასწრობაზედა.  
 გივს დაუმზადეთ საქსარი,  
 შასთვალეთ სიბერეზედა.  
 შანდობა ნადირას უთხართ,
- 30 სადც იყვნეთ ღვინის სმაზედა!  
 წინაც ავად მეექცნეს  
 ყმაწვილის დაქერაზედა.

### 231. ილტოზედ ყარაულეზმა

- ილტოზედ ყარაულეზმა  
 დასწურეს ილტოს წყალიო,  
 ისრე დიოდა თევზები,  
 როგორც მთებზედა ცხვარიო;
- 5 ჩავიდეს ქცეულაშია,  
 დაბრუნდა ცეცხლის ალიო;  
 შალვასა, ბოიგარასა  
 საწყინარ ეტყვის მხარიო,  
 იმ საუბრებში დაეცა
- 10 სამის ბელადის ჯარიო;  
 დაექცნენ ამხანიგები,  
 ერთურთზედ დარჩა თვალიო.  
 ბოიგარ ეტყვის შალვასა:  
 — ძმაო, მიჭირე მხარიო,
- 15 ჩვენ მაინც ნუ დავიქცევით,  
 აუგს დაგედებენ სხვანიო...  
 შალვაო-დ ბოიგარაო,

- ღმერთმა გაცხონოსთ მკედარნიო;  
 მალევე მაისწარ მეორე,  
 20 ბელადს მასტეხე მხარო...  
 ბეჩაო ბოიგარაო,  
 თოფმ დაგატანა ძალიო,  
 კიდევ კი დასდეგ ფეხზედა,  
 წვერ წალმ იხმარე ხმალიო;  
 25 გულს ნურას შამოგეყრება,  
 წინ გაიმძღვარე სამიო...  
 თქვენგან დაჭრილებს ლეკებსა  
 სისხლისა მისდევეს კვალიო,  
 იმ თქვენმა ამხანიგებმა  
 30 ჩამაიწნოდენ თმანიო...  
 ჯუბა ჩაიცივან ტანზედა,  
 ხელში აიღონ ტარიო.  
 ყველასამც ისრივ წაუვა  
 შინ მოყვანილი ქალიო...

### 232. ჯარების მოსვლას ამბობენ

- ჯარების მოსვლას ამბობენ,  
 გატეხას ჩაღმის მთისასა;  
 დადგომას ჟველურთის სოფელს,  
 უკულმ ჩახდომას მზისასა;  
 5 გადმოსვლას ქვათენთის მთაზედ,  
 ზედ დახურვასა ცისასა.  
 ქანქანით შესვლას ამბობენ,  
 გატეხას გალავნისასა;  
 შიგ დატანასა ამბობენ  
 10 სამოცის ვაუკაცისასა.  
 ჩახედვედიან ალაზანს:  
 პირ-აღმამც ამოღბრუნაო,  
 ამ ჩვენებს მეთოფეებსა  
 თოფებიმც დაუგრილაო...  
 15 ანამც ვინ წყლითა დაგვაძლო,  
 ან ძილი დაგვაძინაო.  
 შორი-შორს სრევას ამბობენ  
 ქუროეთ სიათისაო,  
 ციხის კარ არ მოშვებასა  
 20 ნანაის ხიზიერისაო.

ბრალი ღართ, ხევსურთ ბიჭებო,  
ადგილსა ხკედებით სხვისაო,  
თვარ თუშეთის ქვეყნის ვაჟკაცი  
ადგილს არს მამ-პაპისაო.

- 25 ქვათენთის ციხე მალალო,  
ქავით ქვედ ჩამოღებულო,  
შიგ შესრულთ დიაცთ, ყმაწვილთა  
გზა უკულმ გამომღებულო.  
ხმლითა გამოსვლას ამბობენ
- 30 ქოთილათ განაისაო,  
გაფრინდეს გოგრულთის ჩრდილზე,  
მგელი შემოღკრავს პწკალსაო.  
შენდობა ქვათენთას ნახოცთ,  
სად დასხდნენ სწორნი სმაზეო.

### 233. ხმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა

- გარა გოთლასძე გაუძღვა,  
სარდალი თუშებისაო;  
ქავთრის მთა გადაიარეს,  
კვალ გაღიტანეს მგლისაო;
- 5 დაგოს სოფლის პირს შაუკრეს  
სადენი ლეკებისაო.  
ლეკი წამუა თორმეტი,  
მძებნელი თუშებისაო.  
— ჩამოდიო, წულიანანო,
- 10 თუშები დაგხვდებისაო.  
ჩვენის დაჯოცით, ლეკებო,  
გან თუშებ გასხლტებისაო?  
კმლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა,  
— სისხლი მკლავთ გადადისაო,
- 15 შვიდი მაუკლავ ორათა,  
ხუთ წავიდ თორმეტისაო.  
ემა ქართულის მათქომი  
ქალი ვარ ბაგოზლისაო.  
გოთლასძევ, გამამილაღე  
ყაწიმი შენის კმლისაო.
- 20 ფარაგზე არ დავიკრავდი,  
მგლოვიარე ვარ ქმრისაო.

შენთან მამიკლეს ლეკებმა,  
ყორნებს ამააქვ მწკლითაო.

234. ბანა ჭოთილიძემ  
თოვლი თოვლს ვესტმის მთაზედა,  
დაბლა სოფლადა შრებაო,  
ავათ არს ქოთილთა განა,  
გულს უწადინოთ კვდებაო.  
5 ნუ მოჰკლავ, დამბადებლო,  
სოფელსა ეტლი ჰხდებაო;  
განასა დედა ბეჩავი  
ბერი ბნელეთსა ჯდებაო.  
ბრალია განას დიაცი  
10 სანთელივითა დნებაო.  
გამართეს დასამარხავათ,  
წინ ცხენი ჩაუძღვებაო,  
ფეხს იცემს, შეიჭიხვიენებს,  
შეჰხედავს — ატირდებაო!..  
15 დამარხეს მელეკე განა,  
კუბო გამართეს რვლისაო,  
მოქარგეს ოქრომკედითა,  
შუქნი ადგება მზისაო.  
ოქროს შუშუტებ ჩაუშვეს,  
20 შუქნიმც დადგება მზისაო,  
ცხრა დაუყენეს ხუცესი,  
ცოდო მოჰხადონ მტრისაო.

235. თუშთ ბიჭვით დაუბარებავ  
თუშთ ბიჭვით დაუბარებავ,  
ლექთ ბიჭვითანა ქადინი;  
თუ მოვლენ, მალე მოვიდნენ,  
თვარ მოგვეწყინა ლოდინი.  
5 ცხენებ გვიდგანა კარზედა,  
დატყვრიმეს ლაგმის ტარები;  
ჩვენც მაგათ მოლოდინზედა  
ალარ მოგვეწონდა ხმალები.

236. ალაზნის თავსა კლდის თავსა  
ალაზნის თავსა, კლდის თავსა  
სისხლის წყარონი დიანა.

არა სმენ მონადირენი,  
აროდის დაშრებიანა.

- 5 ეგ ურჯულონი ლეკები  
სასმელად გადმოდინა,  
დალევენ, დაითვრებიან,  
ერთურთს თავებსა სჭრიანა.

### 237. კაბლიდგან მოდის კანონი,

კაბლიდგან მოდის კანონი,  
წინ მოუძღვის კასიანი,  
ფიჩხის ბოგირზედ მოვიდა,  
იქ მაილო პატა ქარი.

- 5 საგარეჯულმა ნინომა  
თოფსა გაუტება თვალი,  
ლეკებს ბელადი მოუკლა,  
მაშინ წახდა იმათ ჯარი,  
ბიჭებო, გაიხარენით:  
10 გამარჯვება ჩვენი არი!

### 238. ანთა წიქაროშვილი

ანთაო წიქაროშვილო,  
თუშო, რად გახყევ სიზმარსა?  
ჯერ გულსა რად არ ერჩიე,  
მემრ ხკითხე მკითხავ-მისანთა?

- 5 ასტოტი დასჯედ, საზრავდი  
ფარას ლულანტელთ ცხვრისასა,  
კოხიოს წამალლაღვდი,  
მუქლს შაუთელიდი მგლისასა.  
კოხიო მალე მაგივა,  
10 ზვავს მაიყოლებს მთისასა:  
ჯარსა კოხიო მაიყვანს  
ლურჯ-ჩოკა თუშებისასა.  
დაეცნეს, არ დაიჭერეს,  
ფარას ლულანტელთ ცხვრისასა.  
15 ნაფარეულჩი შულლ იქნა  
დილას, ამაეს მზისასა.  
თუშნი კმლით, ლეკნი ხანჯრითა,  
არწივებ ერცხვას თრიდესა.

- ბრალს ზღებენ წიქაროშვილსა:  
20 „ადგილს ჩაგვყარენ მტრისასა,  
თავ-თავებ ჩაგვიტოციე,  
ვინ ჩივის ცუდებისასა“...

### 239. ანთა

- ლეკი გადილდა ლეკეთსა,  
მძიმედ აბიჯებს ბანზედა;  
აიწყობს სამკლავეებსა  
მარცხენა-მარჯვენაზედა;  
5 წამავა თუშეთისაკე,  
შამაქდა მალალს მთაზედა.  
ხუის ანთაიცი მანდ იყვა,  
თოფი ეკიდა მქარზედა.  
„მენა ვარ ხუის ანთაი,  
10 ნუ მხედავ სხვადასხვაზედა“.

### 240. ჩავხედენ ართანაშია

- ჩავხედენ ართანაშია,  
ლურბელი არეულია,  
შიგა დგას ლუის ანთაი,  
კმალ სისხლში გარეულია.  
5 თუ მოკვდა ლუის ანთაი,  
ერთ მამა დალეულია.

### 241. სჩივიან თუშის შვილები

- სჩივიან თუშის შვილები:  
მართალია, არ სტყუისაო,  
ჩამოქცევასა ამბობენ  
არქალოს შავის კლდისაო.  
5 გარს შემოხვევას ამბობენ  
მაგ ჭარელთ შვილებისაო,  
ქვეშ დატანებას ამბობენ  
სამ-სამის წოვაისაო.  
თოფის სროლა გაჰკვირებიათ  
10 მაგ ჯანლას მიქაისაო.  
თოფს გვესვრის ჯანლას მიქაი,  
მანძილზე გვიწვენს მკვდარსაო.

- ბრალი ხარ საგის ანთაო,  
 მარტოს გეხვევა რვანო;  
 15 ხმალდახმალ ანთამ შაბედა,  
 ტყვიამა უყო ძალიო:  
 მამადიმ შააისშვილმა  
 ყმაწვილმ დასცადა თავიო.  
 ამხანაგთ ეუბნებოდა:
- 20 ფერ ვილოთ ლეგა მგლისაო,  
 სასაცილოთაც გვიგდებენ  
 ჩალმ-გომეწრელთა ყმანო;  
 სიცილსაც აღარ დაგვაჯერებენ,  
 დაგვშაირებენ ქალნო.

## 242. მთიულეზის ომი ლეკებთან

- მთიულნი ქალაქს მიდიან  
 ცქავატელი და მრევლნია,  
 ამბობენ გუდამაყარსა  
 თითო-ორორი რევია.
- 5 თქვენ ვაჟნო გუდამაყრელნო,  
 ადრე ვერა გეჯობთ მტერია,  
 ადღექით, ქალაქს წახვედით,  
 მალლად შაიბით კმალთა.  
 ნაოზას გალავანთანა
- 10 დღე გაგითენდათ ცხელია.  
 მანდ ჭყვივის ბერაის თოფი,  
 ლეკებ თქვეს, — ზარბაზანია.  
 გვერდსა ყავს გივი ნაცვალი,  
 მკლავს მუუარა ძალია.
- 15 მოკლესა ლეკის ბელადი  
 საჯელ შაყრილი ვაჟია.  
 შენ ჩემო ძმაო, ადამო,  
 შენ გენაცვალოს ბერიო,  
 ვინც ნახე გამოქცეული,
- 20 რომელსდა მოჰყვა ფერიო?  
 მურყნოსა დადგი ხუნჩანი  
 შაშანდობარი ჩემია.  
 მანდ მოვლენ გუდამაყრელნი  
 შიგ არჩეულნი თემნია.
- 25 მანდ ბეგონ ტყვია-წამალი,



მიწას ადინონ მტვერია.  
ბევრჯერ სამ გამოიარე,  
მალა მალლაწის მთანია,  
ბევრჯერ მოკალი ირემი,  
30 შინ მომიტანე რქანია.

### 243. ჩილოს დალაშქვრა ლეკების მიერ

- ითირას ღმერთი გაგიწყრა,  
გზა ვინ გასწავლა მთისაო?  
შახყარე მძიმე ლაშქარი,  
შახვიე ჩილოს ძირსაო.
- 5 შინ არ-ა ჩილოელები:  
ციხეებს ეშინისაო.  
გიორგის ცოლი ეტყოდა:  
„ცუდაო, გადი კმლითაო,  
თორ გავალ, გამავერევი,  
10 ქალ ლურჯის პერანგითაო!“  
იწყინა, გამაუფრინდა,  
გამაერია კმლითაო,  
სისხლი ვადათით ნადენი  
მკლავებზე გადასდისაო.
- 15 ხთისო ცოლს ეუბნებოდა:  
„რად მეფერები პირსაო?  
თუ ლეკებს წაგაყვანია,  
ქალ-ზალიმც ნუ მტირისაო,  
ტყვია თუ შამამაკლდება,  
20 ფარაგთით აგჭრი ღილსაო.“  
შეთემ თქვა ქუმელაურმა:  
„დღეს დღე არ მირჩევ ცდისაო;  
მიაც კმლით გამავერევი,  
ჯავრი მჭირს ლეკებისაო;  
25 ხუთამდი თვალეთ სახელი,  
მემრ ვერ ვიც კმლის გაჭრისაო“  
ლეკთა გიორგის ნაქოცთა  
თუშთ შვილებ კვირობდისაო...  
ამაგეებს რო ვამბობდი,  
30 და ვიყავ გიორგისაო.  
ცოლადაც წაუვიდოდი,

- წეს თუ იყვ და-ძმობისაო.  
 არცარას საქმარეს ვწუნობ  
 წოვიკურაის შვილსაო:  
 35 ბევრჯერ შაყარა ლაშქარი,  
 ჩახვია ჩილოს ძირსაო;  
 ბევრჯერ ჩატკიცა ლურჯაი  
 დაბლა, საყორნის ძირსაო,  
 ბევრჯერ ატირნა დედანი  
 40 ჭანთეს-ტერელოს პირსაო.

#### 244. ლეკის ლაშქარი ჰემსურეთში

- საძელეს გარმადიოდა  
 მძიმე ურჯულოს ჯარია;  
 დასცნიან უხანოს ხანთა  
 ქმოსტში, როშკაში ცანია.  
 5 როშკას ადგილის მჭერელთა  
 დააყრევიეს მკედარია.  
 ბერდიამ ბასილის ძემა  
 თოფს გამუცვალა ტალია;  
 ვაკისას არ გარმაუშვნა,  
 10 ვაკის ძირ დასხნეს გზანია;  
 წინ-წინ მასულსა ლურჯასა  
 არ მისცა რბოლის ხანია;  
 ზედა ნაჯდომსა მკედარსა  
 წითლა უღება ტანია.  
 15 ლულით მავიდეს წინ-წინა  
 ჭრელაიშვილნი ძმანია.  
 აფშინაისა ლურჯამა  
 მალლა მაილა თავია.  
 აფშინას ჭრელაიშვილსა  
 20 არ მისცეს ომის ხანია.  
 ფარს ქვეთი შამაატოლეს  
 თოფის ტყვიანი ჩქარია.  
 გუნდი ლიქოკით გამასქდა-  
 ქორის, შავარდნის ჯარია.  
 25 ლოხაურის ძე გამუძღვა,  
 ას ყვირილობის ხანია.  
 ვაყებმა გუდანელებმა

- წამოაბედეს თავია.  
წელთ გზაზე წამაეწივნეს,  
30 დააყრევით მკვდარია.  
ჯარიამ ვეფხვიას ძემა  
სისხლით დაფერა კმალია;  
ორ მოკლა ლეკის ბელადი,  
ჩამააგორა მკვდარია.
- 35 ჯოყოლიკათა სტანავის  
ვინც უფრო მეომარია.  
ამაგ სიმღერის მათქვამი  
ქვესურის შვილი ვარია.

#### 245. არწივო, საით მიხვალო

- არწივო, საით მიხვალო  
დაღლილ-დამშვრალო გზაზედა?  
იქნებოდ ჩეთათ გორგაი,  
ცხენს მოაგოგებდ ნალზედა.
- 5 შეყელეს ანწუხელები  
გორგაის თაობაზედა:  
დანდობით მოგკლათ გორგაი,  
თვარ თუშ გაგვიდგებ განზედა-  
ეგ რომ შეიტყო ბაკურიმ,  
10 თუშ აღარ დაჯდებ ჯარზედა;  
ადგა, წავიდა დაღისტანს,  
ღურუჯის დაჯდა წყალზედა.  
ღურუჯში ანწუხელები  
დასხდნენა ღვინის სმაზედა.
- 15 წავიდ და ბაკურ კითხულობს:  
მოლლა რომელ ზის ჯარზედა.  
— მოლლა მანდა ზის ჯარზედა,  
ქუდი რომ ხურავს რქაზედა;  
თუში ხარ ჭირის პატრონი,  
20 გეტყობა ლაპარაკზედა.  
ასრია, გამოაგორა,  
წამააწვინა ბანზედა.  
ახლ ეგ გეყოფათ, ლეკებო,  
ხომ შაეყრებით გზაზედა.
- 25 ვაჟკაცმა ყველამ აგრე ქნას,  
გულ რომ სტიოდეს ძმაზედა!..

## 246. ლანიში ბორძიკიძის ამბავი

- მთას იქით არწივთ გაგზდიან,  
მთას აქეთ განადირებენ,  
ლანიშო ბორძიკისძეო,  
ორხევით არას გიშვეებენ;
- 5 სახმლეთაც ვერას გაგბედვენ,  
ტყვიას დაგკრიან ჩქარსაო;  
თან გახლდა თუშის შვილები,  
გათქმულნი ლაშქრობაშიო.  
შეთეი ზივინის ძეი
- 10 სულსაც აყრიდა მგლისაო;  
თოფ დახკრა ლეკის გაზდილსა,  
ნაპირ აწითლა წყლისაო!..  
ლეკეთს შეიტყვეს ლეკებმა  
სიკვდილი ლანიშისაო,
- 15 სამახარობლოდ გაიდეს  
სამოცდასამი ცხვრისაო.  
მოუკლავ ბორძიკიძეი,  
სრულ მკერულ ჩვენის გზისაო.  
მთაში შეიტყვეს შუნ-ჯიხვებთ,
- 20 გულდიდად სძოვდეს ჩრდილსაო.  
მოუკლავ ბორძიკიძეი,  
არცვის მოგვტაცებს გზებსაო!..

## 247. ქალიშ ვინ მოხვედ ჰეშოსა

ქალიშ ვინ მოხვედ ჰეშოსა,  
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო,  
ლეკი მოკალი ბელადი,  
მედროშე დაღისტნისაო.

## 248. აშაპანიძის ლაშქარი

- აშაპანიძის ლაშქარი  
თავს ყიდურს გროვდებისაო,  
გაგვიძებს, ბეჭურის ძეო,  
შენ უფრო იცი გზისაო.
- 5 გაუძღვის ბეჭურის ძეი,  
გზა ჰირკვან შეჰხარისაო;

- აქვერის მთაზე გადადის,  
 ხმალს სწუნობს, გაუცვლისაო.  
 თოფსა სწუნობდა, შამხანსა,  
 10 კრელს დაზღვევდ კირიმისაო.  
 ბექურის ძისი ლაშქარმა  
 ფიცი ჰქნა მეუფისაო:  
 ნუ ვულალატოთ ერთურთსა,  
 დროშის ქვეშ ფიცავდისაო.  
 15 თუშნი ჩაცვივდნენ სისხლშია,  
 ფშავლებ შორთ ხედავდისაო;  
 ემაით დაბრუნებულნი  
 შინ ცოლებს რას ეტყვისაო.  
 შინ ცოლებს მოატყუებენ,  
 20 გარეთ სწორთ რას ეტყვისაო?!  
 თუშნი და ლეკნი ომობენ,  
 აქვერის სოფლის პირსაო;  
 სისხლისა ღვარი დაბრუნდა,  
 დადგა სოფლისა ძირსაო.  
 25 ლეკთ ხოცავს მანქარაული,  
 მარჯვენას არა სჭრისაო,  
 აქვერელთ დიაც-ყმაწვილნი  
 ბელლით გამოუდისაო;  
 აქვერელთ ცხვარ-ქაროვანი  
 30 თუშეთში გადმოდისაო;  
 მოსდევენ დიაც-ყმაწვილნი,  
 ცრემლით იბანენ პირსაო!..

#### 249. ანჯარ

- ანჯარ, დასტურთა მაურავ,  
 არწივს ღვავ მალლის მთისასა.  
 შაიბნენ ლეკებ-ფშავლები,  
 ჩამოქცევას ღვავ ცისასა.  
 5 გაძვირდა ტყვია-წამალი,  
 კმლით აპირობენ მისვლასა.

#### 250. ლეკების დაცემა ლულსა და სნოჯი

დღეიმც ნუ გათენებულა  
 დღე ხუთშაბათი მზიანი!

- ნაკარვებ გადმადიოდა  
ურჯულო დოლბანდინი.
- 5 ცხენნი ლულის თავ მოვიდეს,  
ალამს გადმააქვ პრიალი.  
ათათა, ღუღელთ შვილებო,  
ღღე გაგიტენდათ ცდიანი.  
სიმაგრეთაქე წახვედით,
- 10 ვითამ ჭიკვნი ხართ რქიანნი.  
ნუ გეშინიანთ ქალ-ზალო:  
ვეფხვიაი გყავთ კმლიანი.  
თათარაისა თათარა  
ბულა ბუბუნებს რქიანი:
- 15 ქუნჩალეთ ივანეური  
გლებ აზნაური ყმიანი;  
ქორია თოთელიშვილი,  
სიმაგრის კარზე მკივანი;  
სიძე ხყავ ხახიკაური,
- 20 ბასრის კმალია ფხიანი;  
იღუა ციხელიშვილი  
სიათის ტყვია-მტკივანი;  
პვეტი-ა მგელიშვილი  
ჯუმალა სინათლიანი;
- 25 გამახარეთა იმელა  
გვერდს უდგას იმედინი;  
სიმაგრით გამადიოდა  
თეთრის სიათის ჟრიალი;  
ქორწილ აქვ-ვეფხვიაისა,
- 30 ნაწევი მიუდიოდა,  
კოდნ უდგან ლუღით სავსენი,  
სისხლ პერად მოუდიოდა,  
ლეკებ გულკადარეები  
უწევლად მიუდიოდა;
- 35 ღუღელთ შვილების ნაკოცი  
მკვდარი კლდეთ გადმოდიოდა;  
წყალნი ლულის ძირ დაწურნა,  
ორ-წყალში აღარ დიოდა;  
გახკვირდა მშავლიშვილები:
- 40 „ეს წყალ ქვე სად მიდიოდა?“  
სიმაგრით ღუღელთ ქალ-ზალი

ტირილით გამუდიოდა;  
სულეთშიც, ღუღულთ შვილები  
ჩივილით შამოდოდა:

- 45 „მქარ არ გვიჭირეს ქვესურთა,  
მარტოთა არ გადიოდა“.  
დაიქცნეს ქვესურთ შვილები,  
მთა-წვერზე მიღ-მოდოდა.  
ხუთშაბათ თენებაზედა
- 50 ქვეის მთას გადადიოდა;  
სნოს ღუღულშაურთ ციხესა  
თავს ალი გადასდიოდა.  
თოფს ისრეცს ჯაბანის პაპი,  
მქედრები ჩამადიოდა,
- 55 უსუფათსა მამკლავსა  
პაპს მლოცავ მიუდიოდა.

#### 251. ჩაბმირილა

- ჩაგვირილაის ლაშქარი  
გამოქრის კაკმატისასა,  
წინ-წინ ჭორმეშავს მაუდგეს,  
სიმაგრეს შავის კლდისასა.
- 5 ომს უზმენ მისურაულნი  
მარტია ბებრის მგლისასა,  
შუბსა ხკრავს, გააგდებებს  
ბელადსა ლეკებისასა.  
მოხქადდეს კიე-გუდანსა,
- 10 ღულს უზამს თავის ჭკვისასა.  
ღულს უზის ვეფხვი ციხის კარ,  
არ დაგანებებს ხიზანსა.  
თათარაისა თათართა  
ქელთ გაძლევს თქვენის ჭკვისასა,
- 15 ცხრა-ათს კლდეთ გადაუძახებს,  
წყალთ აწურვიებს მთისათა  
ამბობენ ფშავლიშვილები:  
„წყალ სად წავიდა, ხთის მადლსა?“  
წყალნიმც მიართმენ ამბავსა
- 20 ნაცადსა ქვესურისასა!

252. ბიჭური

- თუშეთს ვინა ხარ მოყმეო,  
 თმა ჩამოშვებულ ძმაზედა.  
 ჭირით დალიე ზამთარი,  
 ზაფხულს მოელი ძალზედა.
- 5 ბარათ ჩამოხვალ, კითხულობ,  
 ლეკებ სად დადის გზაზედა?!  
 თუ მკითხავ თუშო, გიამბობ,  
 ჩაუჭექ სტორის წყალზედა!
- 10 თუ უსახელოთ მოგკვდები —  
 ნურც მიგულევენ ცხვარზეო!“

253. ვაჟიკა მარტოშვილი

- სასწორ ჩარექთამც დაზდგამდეთ  
 ასაწონელთა ძალთასა,  
 კიდევ მეტს მაუმატებდეთ  
 კაცს შაწუხებულს ჭირთასა.
- 5 ვაჟიკა მარტოშვილი  
 გაჰხედავს დილის ცისკარსა,  
 მალედ ამოდი ტიალო,  
 ძალიანა ლევ დიდხანსა.  
 ბორბალა გამაიარა,
- 10 თავს გაქდა ალაზნისასა,  
 გორის პირს ჩადგა საყურით  
 მუქარას ლეკებისასა.  
 გამაემართნეს ლეკები.  
 მოდიან ფშავის გზისასა,
- 15 წინ მიუძღვება ბელადი,  
 უამბობს თავის ცდისასა,  
 ვაჟიკა ფშავლის გაზდილი  
 მარცხნივ გახედნებს ლიშანსა,  
 თოფი ჰკრა ძმისა მამკლავსა,
- 20 წყალს მისცა დაღისტნისასა.  
 გაგერშილს ჯოგის მგელსა ჰგავ  
 ვაშლოვანაის ტყისასა,  
 ვეფხვსა გვანილა პწყლიანსა  
 სპეროზიანის კლდისასა.



## 254. ბარხუდაშვილი გოგია

- ბარხუდაშვილი გოგია  
მტრის დამწურავი ღონეა,  
ორშაბათ დილა გათენდა,  
მუშა შეჰყარა ბლომია,  
5 წავიდა ყანის სამკალათ,  
ძნა დააყუდა სველია.  
მხარზე ჰკიდია სიათა  
თავით ბოლომდე ჰრელია,  
დაჯდა, ნამგალი გალესა,  
10 ფხაზე აუსვა ცერია.  
ტახტის გორს შემოუარა,  
იქ შველი შემოსჩვევია,  
დიდ გუბის ტბაზე მივიდა,  
წამაეშალა მტერია.  
15 მიკუწ-მოკუწა ლეკები,  
როგორც წალამი, წკნელია,  
ლეკებში ერთი ნაიბი  
კოხტა ბელადი ერია,  
გოგიას დასცა დამბაჩა,  
20 ზედ მოეკიდა გენია.  
გოგიას ასე ჰგონია,  
რწყილსაც არ გაუკბენია!  
გოგია დაუტრიალდა  
მთის შავარდენის ფერია.  
25 გადუდვა თავის სიათა,  
ცივათ მოსწყვიტა წელია,  
მოუსპო კოხტა ბელადსა  
თავის გამირობის დღენია,  
მაგრამ გოგიას უღვაშიც  
30 იმ არე-მარეს ჰფენია.

## 255. შატილ მოვიდის ლაშქარი

შატილ მოვიდის ლაშქარი,  
ლეკისა ბუსურბნისაო,  
ვაკესა დადგის ლაშქარი,  
ზურმას დაუკვრენ, სტვირსაო...

იკითხვენ ჯალაბაურსა,  
შულლ მამად მაუდისაო,  
ჩუას ლაგაზას იკითხვენ,  
გმირია წინიემისაო.

## 256. ბერიძე მკვდლურიშვილი

- აღგეს — წავიდეს მშავლები,  
შადგეს სამტერო გზაზედა.  
გადმეშლება ლეკები,  
ნასახელრები სხვაზედა.
- 5 ბერიძე მკვდლურიშვილსა  
გული ხქონიყო ცდაზედა.  
სიათას ეჩურჩულება:  
„გავარდი გუნებაზედა  
ორწყეს დაგაყრი წამალსა,  
10 თოფო, შენც გინდა გაძლება“.  
ეგ თქვენი ალი მამადი  
ბერიძემ წითლად შალება.

## 257. ამოვა ჩეკილისშვილი

- ამოვა ჩეკილისშვილი,  
ირემს ამოჰყვა რქანიო,  
ილტოზედ ამოსეესა  
ლეკმა მოჰკიდა თვალიო.
- 5 ლეკებსა უთხრა ბელადმა:  
„საჩვენო არას არიო“.  
არ დაიჯერეს ძალლებმა,  
არა აქვს სამართალიო.  
დაუსხდენ გზის თავ, გზის ძირსა.
- 10 არ დაანებნენ გზანიო.  
დექცნენ ამხანიგები,  
— ღმერთო, რა დიდი ბრალიო!  
დაბრუნდა იარაღშია,  
დააბობინა თვალნიო:
- 15 „დამექცა ამხანიგები,  
თოფო, მიჰირე მქარო“.

- დაუჯდა თოფის ლიშანსა,  
 — „ლეკო, დაგეძრას ტანიო!“  
 გამააგორა ბელადი,  
 20 სისხლისა მიდის წყალიო.  
 იმასაც დაჰკრეს მეჟარი,  
 მემრე იხმარეს კმალიო:  
 ...შე რო მოგვიკალ ბელადი,  
 ეხლა უზიდენ წყალიო!“  
 25 ატირდეს წვრილი მასკვლავნი  
 ცამა დაყარ: ნამიო,  
 მთვარემა ხუთმეტისამა  
 შემამიტვრიენა რქანიო,  
 ემაგ ლექსაის მათქომი  
 30 ალვანში თუშის ქალიო,  
 სალექსო გამამიგზავნეთ  
 თითო შიშავი ცხვარიო,  
 ან თითო საყურ-ბეჭედი,  
 აყრიალეზდეს ქარიო.

## 258. სვიმონი

- გაჯავრდა ბიჭი სვიმონი,  
 პირიდგან ცეცხლსა ჰყრისაო,  
 საჩქაროთ ჯარი შეყარა  
 ცხინვალის ხეობასაო.  
 5 ჩამოიარა ღრელშია,  
 მეხივით გაჰკივისაო:  
 — სულ ქულზედ კაცი გამოდით,  
 ძალიან საქმე ჭირსაო,  
 უნდა ჩაუხტეთ ხიიცას,  
 10 იმათი ჯავრი გვჭირსაო,  
 აჰყარეთ გზაში ხიდები,  
 ლექს გამოადგებისაო.  
 მოგროვდნენ თამარაზედა,  
 ზედ გამოდთან ხიდსაო,  
 15 ქართლი შუა გადმოთელეს,  
 დადგნენ იმ ქალის პირსაო,  
 დაფი, ნალარა გამართეს,  
 ნავალი იყო გზისაო,

- კვირაცხოველშიც ავიდეთ,  
 20 მაღლი ვახსენოთ ღვთისაო.  
 გეგელაშვილსა კაკოლას  
 ღვინოს უქებენ ტკბილსაო,  
 ვეწვიოთ სახლში იმასაც,  
 გვიჩვენებს კაი ღვინსაო.
- 25 ქალებმა შეჰქმნეს კივილი,  
 აბა ვინ გვიშველისაო.  
 — არიქა, ჯარი მოვიდა  
 ურჯულო დაღისტნისაო!  
 აბა, თქვენ, ცხინვალელებო,
- 30 გული გაქვთ მამაციასაო,  
 დახვედრა კარგი იცოდით  
 მოყვროსა, მერე მტრისაო.  
 ხმალ-და-ხმალ მოვლენ, არ მალვით,  
 თავს სისხლი ჩამოსდისაო.
- 35 შეუტიეს, გააქციეს,  
 როგორც რომ ფარა ცხვრისაო.  
 ლეკნი გავიდნენ წყალ-გალმა  
 და იქ ფიქრს ჩაცვინდისაო;  
 სხვა ვერა მოიგონეს რა,
- 40 სროლა ასტეხეს ქვისაო;  
 ჩვენებს კი ასე ჰგონიათ,  
 პურებს უსვრიან თბილსაო;  
 ზოგი იჭერდა ხელშია,  
 ზოგი უღებდა პირსაო.
- 45 ამ ეამათ ბევრი დაობლდა,  
 დედა იტირებს შვილსაო,  
 ბევრი გდია უპატრონოთ,  
 თავს სისხლი გადმოსდისაო.  
 შველა უნდა ქვრივს და ობოლს,
- 50 საწყალს ცოლსა და შვილსაო,  
 ნეტა ვინ უხნავთ გუთანსა,  
 ან ვინ მოუტანთ ფქვილსაო?!

#### 259. გიორგის შასანდობარი

დალიე შასანდობარი  
 ლამაზის გიორგისაო,  
 ძაღლისა ლეკის ტანზედა

- ხანჯარი იცნო ძმისაო,  
5 შარაში წამაეგება,  
ორსავე კელებსა სკრისაო!

260. არშის ციხეს

- არშისა ციხევე მაგარო,  
ნაშენო თლილის ქვისაო,  
თოფების სროლა მაისმის  
აღელვებული მტრისაო.  
5 მოხევეთ ხალხის დამცველო,  
მაგრა მპირველო გზისაო,  
შენის ციხობის სიმაგრით  
მტერი მკვდრად გდია ძირსაო.  
ბევრს დარჩა შენგნით სახელი.  
10 ერთ საბაურის შვილსაო,  
უნაგირაზე ასულსა  
ქვა თავჩი დაჰკრა გამირსაო.  
ზაითით ჩამოვარდნილმა  
კენესა დაიწყო ძირსაო,  
15 შეშინებული მტრის ჯარი  
ქოით ჭალაში რბისაო.  
ციხიდან კენესა მოისმის  
ორის დაჰრილი ძმისაო,  
შორიდან გამონასროლი  
20 ისარი მოხედა მტრისაო.  
ბევრჯელ გვიხოცავს ლეკები,  
მტერს კიდევ ვაჰმევეთ ჭირსაო,  
სუყველა რომ დააეიწყდეს  
სამშობლო თავის გზისაო.  
25 ეს ლექსი ცხვარჩი დავწერე,  
ციხისკენ მქონდა თვალია,  
სახელი გითხრათ ნადირა,  
ლაზარეს მწყემსი ვარია:  
ვწერდი და მაგონდებოდა —  
30 მშვივრად არ დამრჩეს ცხვარია.

261. გულადნო ომალოელნო

გულადნო ომალოელნო,  
რად ენდობოდით ძილსაო;

- რად არ იცოდით დიდონ დაგლევედათ.  
 არ გენდობოდათ პირსაო?!
- 5 თუშთაც ვერ შავატყობიეთ  
 ნაცადი სიათისაო.  
 ბრალი ხარ, იჭირაულო,  
 ღვინისა ძალი გჭირსაო.  
 ხუნჩალე იჭირაულთა
- 10 ძმათ უარესად სცდისაო:  
 თავიცა სცადა, ძმებიცა,  
 თავს იოგისასა სცდისაო.  
 ხუნჩალეს ცოლის ნაცადსა  
 დაღისტან გაჰკვირდისაო.
- 15 ბრალი ხარ, თურქოს ღვთისიავე,  
 ვერ დაერჩიე ძილსაო.  
 ვიჩალე გოჩიკაიძე  
 დათვის სოროში ზისაო;  
 დღეიმცა გაგვთენებიყო
- 20 ჩვენის და თქვენის ცდისაო;  
 ან თუშებ ჩამოგვიჩინდენ,  
 მორთულნი ცხენ-აბჯრითაო.  
 ხვედეგსა თიბელაიძეს  
 ჩეხვევიან გმირსაო;
- 25 ვაჟ დედას ხვედეგისასა,  
 ფრანგულიც აღარ სჭრისაო.  
 ჩივიან ხვედეგის ძენი:  
 რალა ჩვენის ცდისაო,  
 ერთი რა მოსაკლავია
- 30 ბელადი ლეკებისაო;  
 აქ დავიტანეთ ხუტური,  
 ნამტვრევი ფოლადისაო;  
 ვაჟ დედას ხუტურისასა,  
 ვადა არ ეჭირ ხმლისაო.
- 35 ფშაველაიძის სიათა  
 გვიანათ გამოდისაო,  
 მოუკლავს თავის მომკლავი,  
 სულეთს წინ შაუძღვისაო.  
 იკითხვენ თათრულაიძეს,
- 40 ჯავრი მაგისა გვჭირსაო.

- .შინ აღარ დახვდათ დავითი,  
 შვილ მამასავით სცდისაო.  
 გადაერივნენ მოზათ სახლს,  
 ალი თასს გადაჰხვიესო;
- 45 შინ აღარ დახვდათ პატრონი,  
 დავლათი თქვენი სქრისაო.  
 თურქია ინაურიძე —  
 ვაჟკაცი კარგა სცდისაო,  
 ზიდონა ნაბაიძე
- 50 ლამაზს იბრუნებს პირსაო.  
 მთვრალაი თორხილაიძე  
 ხედავდა მიწა-წყალსაო,  
 ადგილსა გაოხრებულსა,  
 საბნებსა გადმოყრილსაო.
- 55 შეყარეს დიაც-ყმაწვილნი,  
 ცრემლ წყაროდ ჩამოდისაო;  
 წვრილთა ყმაწვილთა ცოდვენი  
 ცის ნამად ჩამოდისაო.  
 შენდობა ომალოს ნახოცთ,
- 60 სად ლუღებ იდგნენ სვისაო.

## 262. ჰრიელას სისხლი იძიეს

- ემზადებიან ჯან-რჩანნი:  
 „შური გვაქვ საძებარიო“.  
 საგულდაგულოდ გაბანდეს  
 კარის გავაის ჯღანიო:
- 5 „კახეთ მაგვიკლეს ჭრელი,  
 ლეკებს მიგვიდევს ვალიო“.  
 მიუვლენ ჯაბუშანურსა:  
 „მგელავ, იცნოდი გზანიო“.  
 ადგიან, გაემართნიან,
- 10 გახყვა არხოტის ჯვარიო.  
 წავიდეს, გარდაიარეს  
 მალალ არხოტის მთანიო,  
 წყალსა გავიდეს წმინდასა,  
 დაკრნეს კრიახის გზანიო;
- 15 ლეკსა ასძრახდეს ლეკურად,  
 ერთმანეთს მისცეს ზავიო.  
 — „მაგათ ზავ არ იქნებოდა,

— შუ უდის სისხლის წყალიო“.

მგელამ იკმარა ხანჯარი:

- 20 „გუგუასადამც ხარო!“  
ყმაწვილმა ნისლაურამა  
კარგა უჭირა მკარიო;  
ბათირავ, ნუმც შაგეკსნების  
ძმისა კრელაის კმალიო!

- 25 ნუმც მაგიკვდება ელგუჯა!  
ვეფხვი გყავთ მეომარიო.

### 263. ლეკები და თუშები

ლეკებო, მკედარს ქვე რად სტირით?

თუშებს მიგიდევსთ ვალია;  
ერთხან ვერ ვნახე გასული  
მე თქვენი მეკობარია.

- 5 ბაგოს ძირ თუშიშვილებმა  
მთელ ლეკებს მაგდვესთ ზარია,  
ჩამაგერიენესთ ხმლებითა,  
ქალას ჩაყარეს მკედარია.

### 264. ბელაქანი წავახდინე

ბელაქანი წავახდინე,  
მინდა წავიდა კარშია,  
ცხენი მგელმა შამიქამა,  
კვიცი ჩაქეფლა ფშაშია.

### 265. კახეთში ყივის გუგული

- კახეთში ყივის გუგული,  
ყივილით სქდება ველარავ;  
ავად არს შველად კოქაურ,  
კვდების, მორჩება ველარავ.  
5 მთებს შემოჰხედავს თუშეთის:  
მთანო, დაგლახავთ ველარავ.  
დედის ჩაყრილო საგძალო,  
ველად გაგიღებ ველარავ;  
ცოლის დაკერილ ჩითანო,  
10 გუდას მიგიკრავთ ველარავ;  
თუშეთში, თუშთა ბიჭებო,



- წინ გაგიძღვებით ველარავ;  
 შილდის თავს, გრილო წყაროვო,  
 თავსთან დაგიჭდებ ველარავ;  
 15 ჭარშია, ჭარელთ ბიჭებო  
 თვალსა მოგავლებთ ველარავ.  
 შენდობა შევლათ კოჭაურს,  
 სადაც გარიგდეს ჯარიო.

#### 266. ნასკვაშურისძე

- ჩაეალის, ჩაეუბნების  
 როშკას გაზდილი სალარსა:  
 „თუ თავი გეზუბუქება,  
 მძიმეს დაგიდებ ლაგამსა;  
 5 თუ რომ გეშინის, ის მითხარ,  
 გულს მე ჩაგიდებ მაგარსა;  
 ჩაგიდებ გორ-გურიანსა,  
 ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა.  
 ყიდოს აქებენ ყანებსა,  
 10 დაგადებინებ ნალარსა.  
 თავს დაგანებებ, ტიალო,  
 რას ვსწყალობ ლეკის ყანასა?!  
 დამკვლევენ ყიდუელეზი,  
 შუბს ღნახვენ ტარით მაღალსა.  
 15 სწორებ დაიწყებს კითხვასა:  
 „ნასკვაურისძე სად არსა?“  
 — ომშია ნასკვაურისძე,  
 მაგის გამოსვლა გძლად არსა,  
 კაცებს, კოცს, კელს კი არა სჭრის:  
 20 „კევსურის წესი არ არსა“.  
 ჯელ მასქერ, ნასკვაურისძევე,  
 — უქელოდ სახელ არ არსა.

#### 267. ლემების ღაცემბა კისტანში

- კისტანს მოვიდა ლაშქარი  
 ლეკისა აქვაისაო.  
 აბულეთაურთ ციხესა  
 კარი არ შაქსნან ხისაო!  
 5 შიგა შავიდა ხოლიგა,  
 თეთრი მანძილა ტყისაო.

- მამისაურად ვაჟებსა  
 თესლი აქვ არწივისაო.  
 აქებენ ბაბკიაურებს,  
 10 ცდა მამად მაუღისაო.  
 კაცი კვესურეთს გააგდეს:  
 „გვიშველეთ!“ ეძახდისაო.  
 წინ-წინ ჯაკმატით მოვიდეს,  
 ეტლ მოხყვა გიორგისაო;
- 15 გაგვიგებზეთ გულანსა,  
 ბრალ მისწვდა მამის ძმისაო;  
 ბაცალიგოელთ ვაჟებსა  
 იმედ აქეს ცხენებისაო:  
 მოუქრეს წინჯადღეულებმა
- 20 მოკლე საყენი მთისაო;  
 გუნდი ლიქოკით გამასტყვრა  
 ქორისა, შავარდნისაო;  
 დათვისჯვარ გადაიარეს,  
 ნამ გადაბერტყეს მთისაო;
- 25 სალაშქროს ჰალას ჩაგროვდეს,  
 ელვა დგას ჩაჩენებისაო.  
 დოლათა გაიდაურსა  
 მკარი მასტეხეს მგლისაო.  
 ნუ იტყვიო ჩალხის სიკვდილსა,
- 30 საწყენ ას მალლის ღთისაო.  
 მზემა გაიგა, იწყინა,  
 ცა წმინდა ნამსა ყრისაო,  
 მთვარემა ხუთმეტისამა  
 შავი შაიცვა პირსაო.
- 35 მგელათ უთურგას აუგით  
 ეკალდამაი რვლისაო,  
 შინ შააწვინეთ უთურგა,  
 ანგელოზია ღთისაო;  
 ოქროს დაუდგით სარკმელი,
- 40 შუქი ჩაადგას მზისაო;  
 გვერდით ლეკ დაუწვინიღით,  
 მამკლავი ოროლისაო:  
 — „ლეკო, ოროლის მამკლავო,  
 დედა გაგიწყრა ღთისაო!

45 მგელიათ ბულო მოგაბამს  
თეთრი სიათის პირსაო.

#### 268. ნაკუდა გამაროშვილი

ნაკუდავ გამაროშვილო,  
კახეთ რა გქონდა სავალი,  
ვერცხლი შინ გედგა, ოქროი,  
მთას ცხვარი გედგა მრავალი.  
5 ცოლად (გ)ყავს გოისძის ქალი,  
მზეი გორის პირ მავალი.  
გზაი შეგიკრეს ლეკებმა  
ტყის პირზე შენი სავალი,  
ვერ შემოგწონეს სახმალედ,  
10 თოფებს უმატეს წაძალი.  
ნაკუდავ, შენსა მომკლავსა  
ლეკმა ლეკს მისცა სალამი.

#### 269. ნაკუდა გამაროსა

ნაკუდავ გამაროსაო,  
თუშო, მოკლე ხარ ენითა.  
ნახა წავალის ლაშქარი,  
გამოგიყვანენ ქელითა.  
5 ვერ გაძღა თუშიშვილები,  
ვაჟკაცო, შენი ცქერითა.

#### 270. ვირ მაშინებინ ლეკებრი

ვერ მაშინებენ ლეკები,  
არა ვარ მშიშარათაო,  
მე არ ჩამოვალ კახეთში,  
ვინც გინდა ჩახვიდნეთაო,  
5 ჩემ მამა-პაპა გმირთ საფლავთ  
ვერ დავანებებ თავსაო,  
ვერცა ჩვენ სალოცავებსა,  
წმიდა გიორგის ჯვარსაო,  
ვერცა გმირთ ნაცავ საზღვრებსა.  
10 ვერ ჩავყრი მტრისა ხელსაო,  
ვერცა მშვენიერ მთის კალთებს,  
სისხლით ნარწყავსა გზებსაო,  
ვერცა ყინულის ნაწურებს,  
ცივებ კამკამა წყლებსაო.

- 15 მე უნდა მოვეკვდე დიკლოში,  
 აღარ ვიცოცხლებ ბევრსაო,  
 ჩემ მამა-პაპა გმირებსა  
 უნდა ვეახლო გვერდსაო,  
 მე იმათ სახელს ვლოცულობ,  
 20 იმათ სისხლიან ხმლებსაო.  
 თურმე ჩვენ მამა-პაპანი  
 ხმლებს უჩვენებდნენ მტრებსაო,  
 უწყალოდ თავებს აჭრიდეს  
 და ატირებდეს ბევრსაო,  
 25 სამშობლოს ხმლითა იცავდეს,  
 არ მოუხრიდეს ქედსაო,  
 ებრძოდეს თავის მებრძოლთა,  
 მტრის გამქცევს ხგმობდეს პირსაო,  
 ნეტა ჩვენ რა დაგვემართა,  
 30 რო აგრე ვარცხვენთ ერსაო,  
 მტრისაგან დაშინებულნი  
 სოფლებზე ვიღებთ ხელსაო.  
 დიაცნიმც გაუცინებენ  
 მტრის შიშით გამქცეველსაო,  
 35 ნუმც იტირებენ დედანი,  
 ნუმც მოაგდებენ ცრემლსაო,  
 ნუმც დაადგება ხუცესი  
 სამშობლოს შემრცხვენელსაო;  
 დღესაცა ვხედავთ ყველანი  
 40 მტრის ნანგრევ ციხეებსაო,  
 შიგადან გმირთა ნამაგრებს,  
 გარშემო სათოფრებსაო,  
 ჩვენაც კი გვმართებს, თუშებო,  
 არ შეუშინდეთ მტრებსაო,  
 45 მოვლენ და გაუმასპინძლდეთ,  
 ვერაფერს გვიზმენ ბევრსაო.

## 271. მურთაზის ლაშქრობა თუშეთში

მურთაზმა ჯარი შაყარა,  
 დაიძრა დაღისტანიო,  
 გაბედა სათუშეთოდა,  
 შამაიმოკლა გზანიო.

- 5 შაშინდა თუშის შვილები,

- ფშავში ჩაყარნეა კმანო,  
წამოვლენ ფშავლის შვილები,  
არ უნდა საუბარიო,  
გვერდს უდგა ლაშარელი,  
10 ბედისა უქრის ქარიო,  
ჩამოიდეს და შაუკრნეს  
მატნის სალეკო გზანიო.  
მოსავლისაკე დაუჭდა  
ქვესურის შვილი ხარიო,  
15 გადმოჩენილებს ლეკებსა  
ვაჟიკამ დაჰკრა თვალიო.  
სიათას ჩაეუბნება:  
თოფო, ჩაიხვენ კმანო,  
ჩამააქადლა ყელკრელი,  
20 ტყვიავ, გამოხარ ძვალიო.  
მემრე კმლით ჩამეეტია  
წოწკურაული ვარიო,  
კმალმა დაყარნა ვადანი,  
სისხლმა მომალნა ფხანიო.  
25 გაიქცა მურთაზის ჯარი,  
ჩატირის როგორც ქალიო,  
მურთაზს ცოლ შამეეგება:  
— „მურთაზ რა უყავ ჯარიო?“  
მქარზეით თოფი მაჰკადა,  
30 წელთით შამაჰქსნა კმალიო,  
გუგუდამ ბორჯაის გერმა  
თოფს დაუპირა ტალიო.  
მგლურად შამაჰყევა ლეკებსა,  
„ბიძა მყავ საძებარიო“,  
35 ლერენა დიაკონათი  
ყმაწვილი მეომარიო.  
ამაგის მალექსებელი  
თიანეთს სოფლად ვარიო,  
გვერდს მიწვეს ნაჰრევიანი  
40 ჩემის კმლის ნაომარიო.

## 272. ხორნაულთ ახალგაზრდები

ხორნაულთ ახალ ვაჟები,  
ჯღანს იწროდ ბანდევდიანა.

- გიორგის ეხვეწებიან,  
საკარგუმოს უთქვემდიანა.
- 5 ჩადიან ჩაუვალშია,  
საცა გორგალა ჰქვიანა.  
ლეკნი ხორნაულთ შიშითა,  
გზებზედაც ველარ დიანა,  
მაუკლავ ჯარიახელი,
- 10 მანძილას რქანი სხიანა.  
მაგის მოკლიას ფრანგულსა,  
იმისივ ტანზე სცდიანა.  
ჯერ სული არ გარჩევია,  
ტანზეით ჯაჰესა ჰყრიანა.
- 15 აჰყრიან სამკლავებესა,  
ქელი-ქელ გაიცვლიანა.  
მანამდი გეყვათ სახელი,  
სანამდი წყალნი დიანა.

### 273. გიორგი ავთიაშვილი

- გიორგი ავთიაშვილო,  
შევარდენი ხარ მთისაო,  
კარგო მხვნელო და მთესველო,  
მსახურო ერისთვისაო,
- 5 სახლ-კარი მომართული გაქვს,  
კოშკი გიდგია ხისაო,  
ახვალ და შიგ დაიძინებ,  
არ გეშინია მტრისაო.  
ხურვალეთ ჯარი მოსულა,
- 10 ლეკია დაღისტნისაო,  
შენ ჯარი შემოიხვიე  
პატარა ლიახვისაო.  
გამოგვინიშნეს, მოგვიკლეს  
გიორგი ალვის ხისაო.
- 15 იმედა ბურღიაშვილო,  
შენა ხარ ჩვენი ხნისაო,  
ეს იარალი აჰყარე,  
ნუ დაუკარგამ შვილსაო,  
ტახტი დავდგი და დავადგი
- 20 გუმბათი კამარიანი,  
ზედა დავუწყე ლოდები,

ვერცხლია ანუ ხიანი,  
გვერთა უსხედან მთვარენი,  
ქალნი პირმარეხიანი.

#### 274. ამ ძალსა მელესიშვილსა

- ამ ძალსა მელესიშვილსა  
უქებენ ხელსა, ფეხსაო,  
შამკობილობა უხდება,  
თოფ-იარაღი წელსაო,  
5 კისერი ბუღას მიუგავს,  
თვალეზი შავარდენსაო.  
აშალა დაღესტანი და  
წინ წამოუძღვა ლეკსაო,  
შემოესია ყვარელსა  
10 ფერიცვალობა დღესაო,  
ქალი და რძალი არჩიო,  
გადაუყენა მთებსაო,  
სულ ფეხშიშველა გარეკა,  
ქოში არ ეკრა ერთსაო,  
15 ერთ სასახლეში ამყოფა  
შვიდ ლამესა და დღესაო.  
ეს ძალლი მელესიშვილი  
სიტყვას ამბობდა ძნელსაო:  
საბელადოში ავიყვან,  
20 შიგ ამოვარჩევ ერთსაო,  
მოვიდა, გამოარჩია —  
ლამეს ანათებს ბნელსაო.

#### 275. ომანა ხაჩაშვილი

- ეს ომანა ხაჩაშვილი  
ტანწვრილი და სუფთა არი,  
ნადირობას გეეჩვია,  
ყვირილობას ხოცა ხარი.  
5 თანდათან ქვეით წავიდა,  
შაისწავლა ბელექანი,  
ბელექანს შემოუარა,  
ბახჩა ნახა დასამალი.  
შვიდი კამეჩი დათვალა,  
10 შვიდივ ზაქიანი არი:

- „ზაქები რო წავიყვანო,  
 კამეჩები ცოლო არი,  
 კამეჩები წავიყვანო,  
 — ზაქები ხო ცოლო არი.
- 15 შენი ომანი მოგიკვდეს,  
 ვერ გიჩვენო გურჯაანი!“  
 წამოუარა, გარეკა,  
 — ომან მოყაზახე არი!  
 შვიდი ლეკნი დედღვენენ,
- 20 შვიდივ იარალიანი,  
 შვიდსა წაართვა ცხენები,  
 შვიდივ ულაყები არი.  
 ერთი ბატონსაც მიართო,  
 რომელიც რომ კარგი არი,
- 25 ბატონმა მამული მისცა,  
 სავენახოთ კარგი არი.  
 შაფათ წასული ომანი  
 კვირას დილით შინავ არი,  
 გურჯანელნი კითხულობენ:
- 30 „კამეჩები ვისი არი?“  
 — შენ რა გინდა, გურჯანელო,  
 ომან მოყაზახის არი!

## 276. ომანს კაცი მოუვიდა

- ომანს კაცი მოუვიდა:  
 ლიახვზე დგა ლეკის ჯარი.  
 „აბა, ბიჭებო, დაკმაზეთ,  
 რომელიც რომ კარგი არი!“
- 5 ომანსა ასრე გონია,  
 — „ყველა ჩემისთანა არი“,  
 ის კი არ იცის ომანამ,  
 ყველა ქალაჩუნა არი.  
 ომანა ჯარში შევიდა,
- 10 ომანს ის არ დააცალეს,  
 ძირში გადმოაჭრეს თავი,  
 ლეკში გადვიდა ამბავი:  
 ომანი ხომ მკვდარი არი!  
 „იმის მომკვლელი გვაჩვენეთ,
- 15 ჩვენი მურთუზ ალი არი!“



კარზე მწარი პანტა უდგა,  
ხანჯლით გამოსახეს ჯვარი.

### 277. ხემსურთ საშობარი

- დასხდენ, დარიგდენ ხეესურნი,  
არიგულ-ჩამორიგულნი,  
თითო თასი რო იხმიეს,  
ყველას მოუვიდა გული.
- 5 ლეკებზედ იშუქრებოდენ:  
„მათგნითა ვართ დაჩაგრული“, —  
ერთმანეთს ეუბნებოდენ  
და ზოგს მოსდიოდა გული, —  
„ავდგეთ, ავისხათ ფარ-ხმალი,
- 10 რად ვართ ერთურთის ორგული?  
ლეკებს კრიკაში ჩაუსხდეთ  
და მით გაუხეთქათ გული.  
ფარსა ვჰკრათ, თოფი ვაქექათ,  
ბელადს გაუხვრიტოთ გული,
- 15 ლეკების მდინარ სისხლითა  
ყორნებს მოუკლათ წყურვილი,  
მათი ნახოცი მძორებით  
რო მთაში დაძღნენ ნადირნი“.

### 278. აბრე ბაჰებ და ბადიდებ

- აგრე გაქებ და გადიდებ,  
აგიყვან მალლა ცაშია,  
საომრად დაგიბარებენ,  
უნდა წახვიდე ჯარშია;
- 5 ხოცო და ხოცო ლეკები,  
მინამ ძალა გაქ მკლავშია.  
შინ შეიდობით მოჰსულიყვე  
შენი ოჯახის სახლშია,  
მოწყალემ გაგაძლიეროს
- 10 გვარსა და ნათესავშია.

### 279. მე რომ წაველ კოთელიას

მე რომ წაველ კოთელიას  
სიზმარი ვნახე ძნელიო,

- შვიდრევანტას რომ აველი,  
იქ დამხვდა ჩემი მტერიო.
- 5 შემომირბინეს ლეკებმა,  
უკან გამიკრეს ხელიო,  
წამართვეს თოფ-იარაღი,  
შაშხანი მქონდა ჭრელიო.  
თოფო, შენც დარჩი ოხრადა,
- 10 არ მომაშორე მტერიო.  
თოფმა სთქვა: მე რა ბრალი მაქვს,  
არ გამოიღე ხელიო.  
წამიყვანეს თოკის გზაზედ,  
აღმართი ჰქონდა ძნელიო,
- 15 წერაკუნტას რომ აველი,  
ვერანა დამხვდა ბევრიო,  
მაშინაც მითხრეს ლეკებმა,  
უნდა გამოვჭრათ ყელიო.  
მათოს გულს შემოეყარა,
- 20 პირზედ გადაჰკრა ფერიო,  
ნეტავი მკვდარსა მნახევდეს  
ეს ბერი დედა ჩემიო.  
დაჯდეს და გვერდით მიტიროს,  
გულზედ მაყაროს ცრემლიო.
- 25 მუსხური წმინდა გიორგი  
მამხმარო არის ჩემიო.  
ქამად ოღლი გამოგზავნა,  
ქვეშ ყვანდა ლურჯი ცხენიო,  
იმხელად იმან დამიხსნა,
- 30 მას მოემართოს ხელიო.  
თითონა ღმერთმა აცხონოს,  
შვილებს მიუცეს დღენიო.  
წამიყვანეს ოშოროსა,  
თოკი მამაბებს გძელიო,
- 35 დაუძახა ოშორლებსა,  
— რა ამბავია ჩვენიო,  
მოდი, ე ბიჭი დავიხსნათ,  
მეზობელია ჩვენიო.  
ასე უთხრეს ოშორლებმა,  
მაგათ რომ ლეკი მოგვიკლეს,  
ღვიძლი ძმა იყო ჩვენიო.

- 40 ქამალი ძრიელ გაჯავრდა,  
 თოფ ჩამოავლო ხელიო.  
 წავიდა, გამოიყვანა  
 ლომა მოზვერი ჩვენის,  
 მაშინ გამიხსნეს ხელიო,
- 45 მოდის ღილღველა მათოი,  
 თვალზედ ჩამოდის ცრემლიო.  
 აღარც აცვია პაჭიჭი,  
 არცა წინდები ჭრელიო,  
 არცა აქვს თოფი შამხანი
- 50 მოქარგული და ჭრელიო.  
 ე ლექსი მაშინ გამოვსთქვი,  
 ტყვეობა ვწიე ბევრიო.  
 ამ ლექსისა გამგონელსა  
 ღმერთმა თქვენ მოგცეთ ღლენიო.

#### 280. ბაცალიგვის თავ ლუზმი წევს

- ბაცალიგვის თავ ლუზმი წევს  
 ურჯული დოლბანდიანი,  
 დაიქცნეს ბაცალიგველნი,  
 ხვადებმ წაილა დგრიალი,
- 5 იძახიან: მაგვეშველენით,  
 ვაჟი ვინა ხართ კმლიანი,  
 მავიდეს ზეისტეჩოთა  
 ვაჟნ ნარჩევ-ნარჩევიანნი.  
 კმლითა სცეს ბაცალიგველთა;
- 10 ბორტვი აწითეს ცვრიანი.  
 ხელაის ხელას მოუკლავ  
 ურჯულო დოლბანდიანი.

#### 281. კახეთით დაუბარებავ

- კახეთით დაუბარებავ  
 შვილსა მა კარეთლისასა  
 ეგ ბოჭორმელი თოთია  
 ვადას ჩახედავს კლმისასა.
- 5 გასწმენდდა თოფის ჩახმახი,  
 თოფისა სიათისასა,  
 მარტუა გამაემართა  
 იმედსა მუკლებისასა.

- წალმა გამამყევე პეტრეო  
10 შენ ყმასა, განა სხვისასა.  
ბატონსაც გაუხარდება;  
ჩაუძღვა ნაქერლისასა,  
ბელადს მოგვიკლავს თოთია,  
ბელადსა ლეკებისასა.

#### 282. ათილაშვილი ივანე

- ათილაშვილი ივანე  
არაგვს ყანასა მკიდა,  
დედას ამბავი დაუგდო,  
სადილი მომართვითა.  
5 დედამ სადილი მიართო,  
ლვინო აქ ბადაგისა.  
გადმეესიენენ ლეკები  
თორმეტი დაღისტნისა.  
დედა ხელიდან დაგლიჯა,  
10 შინასკენ გაგზავნისა.  
ზოგსა ჭრა ნამგლით თავები,  
ზოგი ფეხებით სრისა.  
იმი დაჭრილი ლეკები  
მთას ველარ გადადისა,  
15 დედა ვაცხონე ბიჭისა,  
ნათელი აღგა პირსა.

#### 283. დათუა ხუციშვილია

დათუა ხუციშვილია,  
ჯარში კანჯრულეზრ ხტისაო,  
ბევრი დახოცა ლეკები,  
ბელადებს თავსა სჭრისაო.

#### 284. ხახონთ წიქა

...ყმაწვილი ხახონთ წიქაი,  
თვალნ ჭალას მიუდიანა:  
რაქლა ვქნათ, მამავ ხახონო?  
'ლეკნი ჩვენს შად-გადიანა...

285. ხმა გატყდა ბაცალიგოსა

კმა გატყდა ბაცალიგოსა,  
ხვადნი თავაღმა რზიანა,  
ბორბალ ლეკნ გარმაიბრუნნეს,  
დახკართ, იძახდიანა.

286. ის მამაძალლი ლეკები

ის მამაძალლი ლეკები  
ალაზან ჩამოდიანო,  
ჩამოივლიან სოფლებში,  
ცოცხივით ჩამოგვეიანო.

287. თრიალეთის ყარაულებსა

თრიალეთს ყარაულებსა  
ლეკები დახვედრიანო,  
თითოს მათუკლავ შვიდ-შვიდი,  
ბიჭობაც ამას ჰქვიანო.

288. თქმულება ლეკებზე

- სულ მიწას ჩასცქერს პირკუპრი,  
სახე აქვ რკინის ფერიო,  
ტანით მცირეა, დაბალი,  
გაწყდომაზე აქვს წელიო.
- 5 ჩხუბჩი ავნია რჯულ-ძალღნი,  
იარაღს უძეს კელიო,  
თუ გააჯაერე, ერიდე,  
ტყვია იციან ცხელიო.
- 10 სატევარს ენით გაღლოკვენ  
გაქდება უფრო მჭრელიო,  
ბალლი რო დეებადება,  
უნდა შაუკრან წელიო;  
სწორი გამახყვეს მკარ-ბეჭი,  
არ დასცინოდეს მტერიო.
- 15 თოშიან წყალჩი გაღბანენ,  
ჯანი ექნება მთელიო,  
უყორდეს თავის სამშობლო —  
ომჩი თოფი და ცხენიო.

- ვინა სთქვა, ჩემას ბალახი  
 ცხვრისათვის საძოვარია?  
 ვინა სთქვა, ენამც გაუხმეს,  
 ჩემმაში თუშის ცხვარია?
- 5 ლეკში გავარდა ამბავი,  
 ჩემმაში თუშის ცხვარია.  
 შემოუარეს სოფლებსა,  
 ჯარს მოუყარეს თავია,  
 ათარეშებენ ცხენებსა,
- 10 ყველა ვაჟკაცი არია.  
 — გათენებისას დაეცნენ,  
 შავად დაჰხურეს ცანია.  
 ასტეხეს თოფის ქუხილი,  
 აღინეს სისხლის ღვარია,
- 15 სულ ერთმანეთში არიეს  
 თორმეტი ფარა ცხვარია.  
 აგრე აივსო ხევები,  
 როგორც რომ ნიაღვარია.  
 გიგა მოვარდა სოფლადა,
- 20 შუბლზე გადასდის ღვარია,  
 გიორგის შეატყობინა:  
 — ძმაო, წაასხეს ცხვარია,  
 — აქ რალა მოგარბენინებს,  
 იქ არ ჩაიკალ თავია?
- 25 მაშ აქვე მოკვდეს გიორგი,  
 ცოცხალმა მისცეს ცხვარია,  
 ნულარ მინახავს მთა-გორი,  
 თუ არ მოგაბას მხარია.  
 შეკმაზა გიგამ ლურჯაი,
- 30 ცხენია ნაომარია,  
 გიგა რომ ლურჯას მოახტა,  
 ძირიდან უქრის ქარია,  
 გიგას თან გაჰყვა გიორგი,  
 მხარზე ჰკიდია ხმალია,
- 35 ხელში უჭირავს მათრახი,  
 შვიდეკეცი, შვიდი მხარია,  
 გადაჰკრა ლურჯას ბარკალზე,

- ბარკალს ააძრო ტყავია.  
 გაიწი, ლურჯავ ტიალო,  
 40 სანამ მიჰკრიდეს თვალია,  
 დამწივე ლეკის შვილებსა,  
 საით მიუდით ცხვარია?  
 მოკლენი გაარბენა,  
 იპოვა ცხვრისა კვალია,  
 45 გაპხელდა ბექის თავებსა,  
 ვაცებს შაასწრო თვალია,  
 დაუტყეციათ ვაცებსა,  
 ეუენებს მიჰქონდა ჩქამია.  
 სად მიხვალ, ვაცო ტიალო,  
 50 საით მიგიდის ცხვარია?  
 ერთმანეთს ეუბნებიან,  
 აგერ ა ჩვენი ცხვარია,  
 ყელშავი ვაცი ჩვენია,  
 რქაზე ჰკილია ზარია.  
 55 წინა-წინ ვაცები დავხოცოთ,  
 ვაბორიალოთ ცხვარია.  
 გიგაის თოფი გავარდა,  
 ვაცსა დასწყვიტა რქანია.  
 დაბრუნდა ვაცი ბედშავი,  
 60 ცხრა-პირად შედგა ცხვარია.  
 ასტეხა თოფის ქუხილი,  
 ადინა სისხლის ღვარია.  
 გიორგის გიგა მოუკლეს,  
 მოსწყვიტეს საწყალს მხარია,  
 65 დაღონებულმა გიორგიმ  
 მხრებში მოიცა ძალია,  
 გადარწყო ტყვია-წამალი,  
 თოფს გაუსწორა ტალია,  
 ლურჯას სადავე გადასდო,  
 70 შენამც წასულხარ ფშავშია,  
 არ მილალატო, გენაცვლე,  
 იქ შეგეყაროს ჯარია,  
 ომშიაც მომშველებოდე,  
 არ გაერეკოთ ცხვარია.  
 75 ასტეხა თოფის ქუხილი,  
 ადინა სისხლის ღვარია,

ოცდათექვსმეტსა ბელადსა  
მარტომ შაუკრა გზანია.

შვიდი შასწირა გიგასა:

- 80 — იყავით მაგის ყმანია,  
იმ გრძელსა სოფელს გაპყევით,  
ლიტრით უზიდეთ წყალია.  
თითო შასწირა მწყემსებსაც:  
— უკან უბრუნეთ ცხვარია,
- 85 თითო შასწირა ფარეხსა:  
— დახვეტეთ გომის კარია,  
თითო ძალლებსაც შასწირა:  
— უკეთეთ სალაფავია,  
შვიდი თითონაც იმძლოლა:
- 90 — მეც მომინდება ყმანია.  
როცა მობეზრდა გიორგის,  
იშიშვლა თავის ხმალია,  
ხმალდანხმალ გადმოერია,  
ლეკმა დაუგდო გზანია,
- 95 აგრე დაკაფა ლეკები,  
როგორც ნადირმა ცხვარია.  
რო დაიღალა გიორგი,  
დაჰვარდა თავის ხმალია.  
დასპრეს, დაკაფეს ლეკებმა
- 100 როგორც საქადე მხალია,  
ლურჯასა ფშავში გასულსა  
ჩამოეშალა მხარია.  
რადას უყურებთ, თუშებო,  
წაასხეს თქვენი ცხვარია.
- 105 — გიგა-გიორგი არ არი,  
როგორ წაასხეს ცხვარია?  
— გიგაც მოკლეს და გიორგიც,  
არც-ერთი აღარ არიან.  
დასხდნენ, დალაგდნენ თუშები,
- 110 წავიდნენ როგორც ქარია,  
ამოსაეღეთის მხარშია  
მალალი ლეკის მთანია,  
აგრე გაღუდით იქ ცხვარი,  
როგორც რომ ღარზე წყალია.
- 115 წამოეწივნენ თუშები,



- როგორც რომ ნიაქპარია,  
წინ-წინ მოუკლეს ბელადი,  
დაარტყმინეს მხარია,  
აგრე გაწყვიტეს ლეკები,  
120 მოამბე აღარ არია.  
წამოუარეს ვაცებსა,  
უკან უბრუნეს ცხვარია,  
დაითამაშეს ვაცებმა,  
ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია.
- 125 რა გათამაშებთ, ოხრებო,  
გიგა-გიორგი მკვდარია.  
ფშავმა ჩაიცო შავები,  
ყველამ შასწყვიტა ჩქამია,  
აგრე დატირის ქურანი,
- 130 როგორც საყვარელს ქალია,  
სამი დღე და სამი ღამე  
ვაცმა არ გასძრა რქანია,  
ძალღებიც აგრე ჰგლოვობენ,  
თითქო შვილი ჰყავთ მკვდარია.
- 135 ამოსთქვა ლეკის ქალმაცა,  
ცრემლით აივსო თვალია,  
— ვინა სთქვა, ენამც გაუხმა,  
ჩეთმაში თუშის ცხვარია,  
თუშებმა ქმარი მომიკლეს,
- 140 კაი ბელადი არია —  
ამოსთქვა თუშის ქალმაცა,  
ცრემლით აივსო თვალია,  
— ლეკებმა ქმარი მომიკლეს,  
კაი ვაჟკაცი არია.
- 145 ე მაგის გამამლექსები  
ალვანში თუშის ქალია,  
სალექსო გამომიგზავნეთ  
თითო შიშაქი ცხვარია,  
წინ ვაცი გამააყოლეთ,
- 150 რქაზე დაჰკიდეთ ზარია!  
გულდათუთქული დავდივარ,  
მეც იქ მამიკლეს ქმარია.

## 290. ნარჩემი ხალხი

- მითხოს ალდი ჯობ მამაცად,  
მშავლებს ჯობ კუკუმაური,  
თუშებსა ლუის ლუხუმი,  
გუდამაყრელთ ბუბუნაური,  
5 მოქევეთ ლუღუშაური,  
კევესურებს ხოშურაული.  
კმლის ქნევად, ფარის ფარებად  
მარტია მისურაული.  
ამაგის გვერდი სადგომლად  
10 იმედა მინანაური,  
ცხვარს ვინ მოზვერავს მითხოსა?  
ახალა შუქიაური.  
ვინ ჩივას მოზვერულზედა?  
გამახელთ თემროზაული.  
15 კაცსა ვინ მოხკლავს მითხოსა?  
ჩააცვეთს ბაბურაული.  
ხუთ-ხუთს ვინ ჩახკოცს მარტოი?  
— ძაღლიკა ხიმიკაური.  
ვინ გაღმეტდების ლაშქართა?  
20 — ლულელი არიშაული.

## 291. ლეკეთში ლეკი გადიდდა

- ლეკეთში ლეკი გადიდდა,  
უშიშრათ დადის მთაზედა:  
აქაც შემყარა ზეზვაი,  
აქედან შუა გზებზედა,  
ან შემყარ კვირტის ლუხუმი,  
5 მძიმედ მოღბიჯევდ გზებზედა.  
ეგ რომ შეიტყო ლუხუმმა,  
ალარ დაგვიჯდებ ჯარზედა;  
ეუბნებ თუშის შვილებსა:  
გავიდეთ ლეკის მთებზედა.  
10 თუშთ მოემზადნენ სალაშქროდ,  
წინ ლუხუმ გაიმძღვარესა.  
მაცნე წაუა ლეკებსა:  
თუშნი მოგდიან ცხვარზედა:  
ეგ რომ შეიტყო ლეკთ ხაწემ,

- 15 ქუდს დაიხურევდ რქაზედა,  
 მხარს გადიკიდა ხირიმი,  
 წელს შემოირტყა ხმალიო:  
 ახლ მომივიდნენ თუშები,  
 ხაწე დაეხვდები პწკალზეო.
- 20 ჯერ არ ქნილ შუალამეი,  
 თუშთა მოისმის ჩქამიო.  
 შეუვარდ ჰვერიტის ლუხუმი,  
 ხელ დაავლ ხაწეს მხარზეო,  
 წელიდან ხმალი შეუხსნა,
- 25 მხარზე აუგდო თოფიო,  
 გააბრუნ ლეკის ხაწეი,  
 ცხვრითვე მოჰყავისთ გზაზეო.  
 ნეტავ შენ, ჰვერიტის ლუხუმო,  
 დაჯდომა გიღირს ჯარზეო,
- 30 ყველამ აგრ მოიხდინოსა,  
 ვინც დაიკვებოს ქალშიო.

## 292. ღაზი და ლუის ლუხუმში

- „ამ ზამთარ“, — თქვა ლუის ლუხუმმა,  
 — „ჯდომა არ მწადის ჯარზედა,  
 ნასახელარნი თუშები  
 ფეკს აცურებენ ლამზედა;  
 5 ერთხელ მოვიდეს ზაფხული,  
 ღაზის დავეცნეთ ცხვარზედა“.  
 დაჰხედეთ ლუის ლუხუმსა:  
 ღაზის კელ ხკიდავ მქარზედა.  
 კელად წამოდი, ღაზიო;  
 10 თავს ნუ მაიჰკრი გზაზედა“.  
 — „ვაი თქვენს ღაზის, თუშებო,  
 წყემსებ არ შამჩა ცხვარზედა.  
 თუ წყემსებ აქ ყოფილიყვნენ,  
 გაგვიქდებოდა ცდაზედა.  
 15 ვიცი წყემსებოს ამბავი,  
 — არ გაგიშვებდნთ გზაზედა“.

## 293. ლეკების ჯარი მოვიდა

ლეკების ჯარი მოვიდა,  
 გზა მოიტანეს კლდიანი.

- არ იყო შუა ღამეი,  
 კეროს დაიწყეს გრიალი.
- 5 ბოთლა თქვეს ბეკვესის ძეო,  
 თოფ მხარზე ედვა ხმიანი,  
 სოფელ თავს შემოირბინა,  
 ადრე ვერ შევიტყე ტიალი.  
 ესროლათ, გამოაგორა
- 10 ბელადი ლეკებისაო,  
 მურგვლივად შემოგირბინეს,  
 გომში შეყარეს მტირალნი...  
 ქალი ციხიდან ქვას ისვრის,  
 ლეკებს გარეთ ედგ გრიალი.
- 15 ჯარ მანდით გაბრუნდებოდა  
 ლეკისა — სირცხვილიანი...  
 საკეცეებიც გააწყვეს,  
 გზა მიდის სისხლ ტიგრიანი.  
 ლეკნის ბელადებ ჩივიან,
- 20 ქალმა უფრ მოგვცა ზიანი,  
 რადამ მოგვინდა მღვეარი,  
 გზა მოდის სახვევრიანი...  
 პირველ შუქურაის ძე მოგვივა,  
 ლადის არწივის ფრთიანი,
- 25 ლუხუმაი შენაქოელი  
 შავარდენ მოფრინდ მხრიანი,  
 თავთავად თუშებს ვერ გაქებთ,  
 ყველან მოსდინხართ სახელიანი...  
 ჩითებ მე გამოგიგზავნე,
- 30 ქალო, ვინ გაქო თმიანი...

#### 294. ლუხუმი

- მზირი შაყრილა მზირზედა  
 თუშისა, ლეკებისაო.  
 დეექცა ამხანაგები,  
 მჭერ აღარ დაშჩა მკრისაო.
- 5 ლუხუმის ამხანიგებსა  
 მანდელიმც გხურავთ დიაცისაო!  
 მესამედ გამოხტომაში  
 ლუხუმს მუტლ მასტყდა მგლისაო.  
 კმალი ახკადეს ფრანგული,

- 10 კალდომ გადუგდეს სხვისაო;  
 თოფი წაართვეს კირიმი,  
 ჯარა გადუგდეს სხვისაო;  
 კელი მარჯვენა მააქრეს,  
 წესიც არ იყო მთლისაო.
- 15 დაჩენა თოფის კონტახი,  
 შაიკრა არტახითაო;  
 სიმშილით დაღონებულმა  
 ქუჩი მოძოვა მთისაო;  
 წყურვილით დაღონებულმა
- 20 ცვარი ალოკა ცისაო.  
 ლუხუმს გველ შამეეჩვია  
 მუკლს ულოკს, უკურნისაო.  
 ორი კვირა რო წავიდა,  
 ლუხუმს მუკლ ექნა მგლისაო.
- 25 ჰალაისაკე წამუა,  
 ყელი დაიღბო წყლითაო.  
 წყლის პირზე დათვი მოვიდა  
 დიდის კახეთის ტყისაო;  
 ლუხუმისაკე წავიდა,
- 30 სულ დაიყარა ყმისაო.  
 „ღმერთო, მაგას რადაღ დამწერე,  
 კელ არ მაღირსე მტრისაო?  
 დათვი წყალმ გამაიბრუნა,  
 წაიღის, დახკარგისაო.
- 35 ლუხუმი წყალში გამუა,  
 ცურვა სცოდნია წყლისაო.  
 დაგლიჯა ქერის თავთავი,  
 ემაგით შანაყრდისაო.  
 მეორედ მგზავრი შამაჰხვდა
- 40 ლეკისა ბაგოზლისაო.  
 წამაიყვანეს ლუხუმი,  
 ტირის და ცრემლსა ღვრისაო.  
 მარჯვენა არ აქვ ლუხუმსა,  
 მარცხენას კმარობდისაო.

#### 295. ლუის ლუხუმი

დაისტველქმელა ზამთარმა  
 ნეტარ ვის თუშის კირადა?

- ბოსელთას არს ლუის ლუხუმი,  
 ავით თუ მაგის ჰირადა,  
 5 მთით ლეკის მონადირემა  
 ლუხუმს მოჰკიდა თვალია,  
 შეუღეს შუალამის ხანს  
 ლუხუმსა ბოსლის კარია.  
 გამაიძიეს ბოსელი,  
 10 ლუხუმ მოქელეს ვაჟია.  
 „ვაი დედას ლუხუმისასა!  
 თოფმ დამიმტვრია ტალია.  
 აღარც გადმომყევა ხანჯალი,  
 მედინა სისხლის ღვარია“.
- 15 გამაიყვანეს ლუხუმი.  
 ვიწროდ შეუკრეს მკარია,  
 გამართეს სალექეთოდა,  
 წინ დაუყენეს ცხვარია,  
 ჩამაიყვანეს ლექეთში,  
 20 შამაეხვევა ჯარია.  
 „ეს თუ იყო ლუის ლუხუმი,  
 ეს ჩვენი ნიაგ-ღვარია?“  
 იყიდა ჰირის პატრონმან,  
 სულ გაიტანა რვალია.
- 25 საფლაგზედ შემააჯდინეს,  
 როგორც ნაკურთხი ჯარია.  
 შექდა, შეშუპრდა ლუხუმი:  
 „წელთამც შემარტყა კმალია!“  
 ქალმა შეხედა, ატირდა,  
 30 — „ლუხუმს ნუ მოჰკლამთ, ბრალია!“  
 — „ქალო, შენც თუში, მეც თუში,  
 ჩემ სიკვდილ არა ყამია.  
 კიდენ დარჩება თუშეთში,  
 მალე შემოირტყას კმალია,  
 35 შორად წაიღოს საგძალი,  
 მტრისა არ ჰამოს ჯავრია“.

## 296. თილისძე

თილისძე ლოპოტაშია  
 ჟოლსა სჰამს, მაყვალს ახდურებს.

ან შინ მოგიღებ, სახელო,  
ან, თავიო გადაგახდურებ“.

297. ნეტარ არ გამახყიდღესა

- ნეტარ არ გამახყიდღესა.  
თილისძენ გორგის კმალსაო?  
თუ გამახყიდღეს, ვიყიდი,  
მისცემდი ცხვარსა-დ' რვალსაო.
- 5 ჩაეღებდი ციხის ლიბუში,  
გაიმაგრებდა ქაესაო.  
ლიბუში რო იქნებოდა,  
ლეკებს მისცემდა ზარსაო.  
ლეკეთის მთაზე ყორანი
- 10 ერთ რასამ უძახს სხვასაო:  
„გორგი ველობას წასულა,  
გავხყვათ ემაგის კვალსაო,  
გორგი დაგვაძღებს ლეშითა,  
თუ შავხვდით ნაომარსაო.
- 15 ბაგოს ჩავიდა სოფელში  
თვალ შუადღისა ხანსაო;  
ტანს ეცვა ჩოქა ლეკური,  
აპრიალეზდა კმალსაო,  
ქვითყირის კარზედ გასწირავს
- 20 აკაფულს ლეკის მკვდარსაო.  
ემანდით გა- მობრუნვილსა  
ყორნებ ეყრების გზაზედა.  
გორგის კითხევდეს ყორნები,  
გორგი არ ეტყვის წარზედა,
- 25 — „შე რაღას მკითხავთ, ყორნებო?  
ჩაედით ნაომარზედა.  
სისხლი სვით, კორციით დაძელდით,  
ნულარ შაარჩენთ ტანზედა.  
კმლის მამქნევ დალოციდით, ყორნებო,
- 30 ნაჭრევ თუ სჭირდეს ძვალზედა“.  
შაბალის ვეშაგური ჩიოდა:  
„ჯორ ვერ გავყიდე კმალზედა“.

სხვით მოკლეს ოროლ-სამსამი,  
მე დავრჩი მარტუაზედა.

## 298. თუშები ლეკების წინააღმდეგ

ჭალაში თუშნი ჩავიდეს,  
ნისლი თან ჩახყვა ცვრიანი,  
ერეკლე შეწუხებულა:  
„გზა ვერ გავიგე ტიალი“.

- 5 შამაუძახა თუშებსა:  
„ალარვინ ხართ კმლიანი?“  
ცხენს შაჯდა თილისძეთ გორგი,  
ლურჯამ გაილა გრიალი;  
მაგას ბილოსძე გამუდვა,  
10 მაჟარს გახქონდა პრიალი;  
გოთლას ჩალის ფერამა  
ნაცხვრევზე იწყვა ფხვრიალი,  
ბილოსძის მაჟარ გავარდა,  
ლეკ დარჩა სისხლ-ტიგრიანი.

## 299. თუშთ მოურავი

თუშეთში თუშთ მოურავმა  
სუ დაიარა ცხენითა,  
მძიმე შაყარა ლაშქარი,  
თუშნ აარჩივნა კელითა.

- 5 გადმოდგენ აწლოვანაზე,  
ნისლ ზედ დაედვა ცვრიანი.  
შასწუხდა თუშთ მოურავი,  
გზა ვერ გაიგო ტიალი.  
შამაუძახა თუშებსა:  
10 „თუშნო, ვინა ხართ კმლიანი?“  
ცხენს შაჯდა თილისძეთ გორგი,  
მაჟარმ გაილო პრიალი.  
გონიოს ცხენმა ფეკ-თეთრმა  
გზა ბერტყა მალახვრიანი.  
15 მესამ ალაჩა გაიქცა  
მორთული ნალ-ლუსმნიანი.  
თამაშობს ჯიმშელის ცხენი,  
ლაგამ აქვ ოქროიანი.



- გათენებისას გაწირეს  
20 ხულანტრის ქალა წყლიანი,  
ქოთაის ჩალისფერამა  
ბაკზე დაიწყო ფხვრიალი,  
ქოთაის თოფი გავარდა,  
წყემს დარჩა თეჟაიანი.

### 300. ხელეზზე სამკლავიანსა

- ხელეზზე სამკლავიანსა  
თილისძეს ხქონდა შვენება,  
ეს კი თქვის: ქალში მკვეხრისა  
კაცი არ მინდა ჩვენება,  
5 კაცი ნუ გინდათ, რომენმაც  
იცის ქალების ხსენება.

### 301. ერთსა მე ვიტყვი საქმესა

- ერთსა მე ვიტყვი საქმესა  
ქალ ომალოში ძისაო,  
შავაქათ თუშის შვილები,  
მოდის ამბავი ცდისაო,  
5 შაქება გორგის უხდება,  
დღის თავ ამამლეს ხმლისაო.  
სისხლ გადაიწყნა აქასა  
თავის ლამაზის ძმისაო.  
ბულმა ხარ ცინელისძეო,  
10 მხედარი წითლისაო.  
ცხენი შუ ლილლოს მიაგდო,  
გზა იცი ტანიისაო.  
თორღვავ — შე ქეჭეგის ძეო,  
შუ ქანთეს გამტეხ ხმისაო,  
15 წინ ქანთლის წამამგდებელო,  
გამშობ არა ხარ მთლისაო.  
ბუთლა ხარ სალთაკრულიძე,  
ნიავი გერგეტისაო,  
დალლიენ დიდნი ჯალაფნი,  
20 ხოცა არ გიკვირს მტრისაო.  
გორგივ, შენ გენუკვებოდი,  
სკამს იჯე ჩემის დისაო,

ქალას მიხსნიე კვეთილი,  
მზეს ვფიცავ შენის ხმლისაო.

### 302. თუშეთით კაცი მოვიდა

- თუშეთით კაცი მოვიდა:  
„გვიშველეთ, მოდის ჭარიო“.  
დალადღეს ფშავლის შვილები,  
ყველამ გალესა ხმალიო.
- 5 დაიმზადიან საგძალი,  
დაიბანდიან ჭლანნიო;  
წაეიდეს დალაღებულნი,  
ღმერთო, დასწერე ჭვარიო...  
დაირიდნიან ხევსურნი, —
- 10 არ გვინდა თქვენი ხმალიო...  
უკანვე გააბრუნოდით  
თქვენი გუდანის ჭვარიო:  
იქისას ჩაიაროდით,  
სადაც წისქვილის კარია;
- 15 თუშო, გაგვიძღვე, წოვაო,  
მურთაზს საღ უდგა ჭარია;  
ჩვენ თავად ვიცით ფშავლებმა,  
შორით გვიჭირეთ თვალიო,  
ხმალს ქნევით დასცდეს ვადანი
- 20 სისხლმან, დამალნა ფხანიო.  
თუშთა ქნეს სამღთო, წოვათა,  
საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო;  
ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი  
ფშავში ხოშარის გზანიო.
- 25 ცხენთა ხოშარის ჩასულთა  
არაგვ დალიეს წყალიო,  
ხოშარით კაცმა იძახა, —  
მუქუს ვინა ხარ ხმლიანი?  
მოვიდა წოწკურაული
- 30 სუმელჯი სურო-ღვიანი;  
მააწყენა ისრის ქოჯონი;  
ლალის არწივის ფთიანნი;  
ესროლის, გამააგორის  
თუშები ფეხ-ჩითიანი...
- 35 — მოხვედა, თილის ობოლო,

ამბავი მაიტანეა?

- მე კი მოგივედ, დედაო,  
სხვა ბევრი ვერ მოდიოდა, —  
დაგვლივა ხოშარის გორმა,  
40 იქ წყლის არ გამოდენამა,  
იწრო-იწრომა ხევებმა,  
ფშაველების მოკლედ დენამა,  
წოწკურაულის ისარმა,  
სანათაურის ენამა,  
45 ქიჩოთ მოსულთა ობოლთა,  
იმათ სახელის დებამა...  
ატირდა თუშის ქალები,  
— აღარ მოგვივა ქმარები;  
რა ვუყვათ იმათ ცხენებსა,  
50 რით დაუქიროთ თავები!..  
ზოგთა თქვეს, გომში შავრეკოთ,  
წელთით დავკეტოთ კარები;  
ზოგთა თქვეს, ტყეში გაუშვათ,  
დაგალონ ნალ-ლურსმანები;  
55 ზოგთა თქვეს, უკულმ დავკმაზოთ,  
ზედაც ჩვენ შავსხდეთ ქალები;  
ზოგთა თქვეს, კახეთს ჩავიდეთ  
და იქ შავირთოთ ქმარები...

303. ლაშარს მოვიდა თილისძე

- ლაშარს მოვიდა თილისძე,  
გულდიდად დაჭდა ხარო;  
შემოეხვივნენ ფშავლები,  
როგორც ბატონსა ყმანიო.  
5 — შენ აქ არ მოგვეალოდა,  
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო...  
ჩამოხვე ხოშარაშია,  
ცისაკ აუშვი ალიო;  
შაჰყარე დიაც-ყმაწვილი,  
10 კალოდ გალეწე მკვდარიო;  
ნაკვეთაურის ქერხოსა  
შენ შეხსენ რკინის კარიო,  
სალუდე დასქერ ქობები,  
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო.

- 15 — დაიცათ, ლაღნო ფშაველნო,  
 მალოცეთ თქვენი ჯვარიო,  
 სამხვეწროდ მაძიყვანავის  
 თეთრი ქორაი ხარიო;  
 ზოგ გავარიგოთ მაშინა,  
 20 როცა გამოვლენ მთანიო;  
 ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,  
 ვის უფრო სჭრიდეს ხმალიო;  
 უბის თავს დააყენოდით,  
 ფშავლებო, თქვენი ცხვარიო;  
 25 უბის თავს დანათლებიან  
 თილისძის ცხენის ნალიო...

#### 304. თილისძემ უთხრა მამასა

- თილისძემ უთხრა მამასა:  
 — მამავ, შავყაროთ ჯარიო,  
 ჩავიდეთ უკვენა ფშავსა,  
 ამოვირეკოთ ცხვარიო.
- 5 — ვერ ჩავალთ უკვენა ფშავსა,  
 ეგეცა ჩვენნი არიო.  
 — მაშ ხოშარაში ჩავიდეთ,  
 ვარჩიოთ ქალი-რძალიო...
- ვერც ჩავალთ ხოშარაშია,  
 10 ეგ არის ჩვენი მხარიო;  
 სხვისას არ გაგვიფერებენ,  
 ლაშარის ჯვარის ყმანიო.  
 — მაშ მათურაში ჩავიდეთ,  
 მოკლედ ჩაუვლენ გზანიო;
- 15 გოგოლაურთას ჩავიდეთ,  
 ჩაკიბული ჰქონ გზანიო.  
 — კიბურთ არ ჩაგვაცილებენ  
 ლომ-ხუზაურა ძმანიო...
- მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ,  
 20 ვამტვრიოთ ბელლის კარიო...  
 ჩავიდეს ცაბაურთასა,  
 ამტვრიეს ბელლის კარიო;  
 პირ და პირაით გადმოჩნდეს  
 ლომ-ხუზაურა ძმანიო,  
 25 ესროლეს პირდაპირითა,

- ბედელს აკერეს მკვდარიო;  
 თილისძე გამაიპარა,  
 გადმაიარა მთანიო;  
 როცა თუშეთში მოვიდა,  
 30 გამოეგება რძალიო:  
 — „მამათილ! შვილი რა უყავ,  
 თინიბექ, ჩემი ქმარიო?“  
 — თინიბექ ფშავში გავწირე,  
 სისხლისა ღვინით მთვრალიო.
- 35 ქალი ცხეში შავიდა,  
 წელთით დაკეტა კარიო;  
 სანამ წელ შესრულდებოდა,  
 სამჯერ დაიჭრნა თმანიო...  
 მამამთილმ გამაუგზავნა
- 40 სამხვეწროდ ერთი ხარიო:  
 — „გთხოვ გამოხვიდე, ლელაო,  
 ციხეში ნულარ ხარიო...“  
 მამამთილს შემოუთეალა:  
 — წელზედ შემარტყი ხმალიო,
- 45 იქისაკ წამავალი ვარ.  
 მასწავლე ფშავის გზანიო;  
 თუ თინიბექ ვერ ვიძიო,  
 ლელაიმც ნულარ ვარიო ...

### 305. ჩამაგივლავის გორგიო

- ჩამაგივლავის, გორგიო,  
 ყარაბალზედა, ჰარზედა,  
 ადვილად ვერვინ გაივლის,  
 გორგივ, შენს განავალზედა.
- 5 დადიან მენადირენი,  
 გორგივ, გიცნობენ კვალზედა.  
 ჩილოს ძირ დაგძინებიყვა,  
 მაშერალო, გრილსა ქვაზედა.  
 ყელს გველი გადმაგზვევიყვა,
- 10 თავი დაედვა თავზედა.  
 მე რომ არ მავსულიყავი,  
 წამალს გაყრიდა ტანზედა.  
 დახედე თუშთა საქმესა,  
 არ თუ გირევენ ჰარზედა,

- 15 მაშინ კი მაგიგონებენ,  
რო მივლენ ომის კარზედა,  
მოციქულობდან ტყვიანი,  
შუბნი ბრუნავდან თავზედა.

### 306. ცხპარ ღაფრთხვა

- ცხვარ დაფრთხვა საყორნის თავსა  
დილაზე თვირთვილიანი,  
ზენათ ჩობანმა იძახა:  
— კაცი რამ მოდის კმლიანი.
- 5 თილიძის ობოლ იქნება,  
ბევრი სხვა უქნავ ზიანი,  
ბევრისა ბინა გაწირა,  
სისხლია ნაწინდრიანი,  
ბევრისა დედა ატირა,
- 10 ბევრისა — ცოლი თმიანი,  
ბევრისა თოფი წაილო,  
ბევრისა — ხმალი ფხიანი.

### 307. გორბი.

- რა ამბავია შატილსა,  
რა წყრომა ბრუნავს ღთისაო?  
მაცნე მოვიდა შატილსა:  
„ჯარ მოდის დაღისტნისაო“.
- 5 შატილივინებსა ვაჟებსა  
ფათვლად არ გააჩნდისაო, —  
თითო თოფი აქვ თითოსა,  
თითო საკსარი ტყვისაო.  
მაცნე მოვიდა მეორე:  
10 „მოდის და არ იშლისაო“.  
გორგის ლუდ ჩამააწვადეთ  
მკვერტლიან კათხაითაო, —  
ჩამაიარის გორგიმა,  
ჩაუჯდის ციხის ძირსაო;
- 15 ბოლი მასწივის ბოლზედა,  
გარჩევ არ იყვის კმისაო;  
ესროლის აღდამიშვილსა,  
ოთხი გაწირის ჩდილსაო,

ქანთას ჩაუდგით ფაცერი,  
20 თავ-ფეკი ჩაუღისაო.

### 308. გორგის ნუ მაჰკლავთ

გორგის ნუ მაჰკლავთ, ქისტებო,  
ბრალია კარგი ყმისაო!  
არ დაიჭერეს ქისტებმა:  
— გორგიმაც ეგრე ქნისაო!...  
5 ჩაუხსდეს მთის თავს, მთის ძირსა,  
ფერ ვერ უცვალეს მგლისაო!  
ვაი, თქვენს გორგის, ქისტებო,  
ხანი არ მექნა ცღისაო!  
თუ შამხვედროდით პირდაპირ,  
10 ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!

### 309. ხალიასძის ხირიმი

ხალიასძის ხირიმი  
ბორკილაშია ტყვრებოდა,  
გორებს გაჰქონდა გრიალი,  
ხე-ქვა ერთურთსა ხვდებოდა.

### 310. ყველა ქალისას გაიმბობს

ყველა ქალისას გაიმბობს,  
ხალიაისძე ცღისასა,  
სუყველას ამბავს გაიმბობს,  
სუყველას გამოცღისასა.

### 311. ხალიაისძე

ვინა სთქვა, — ენამც გაჰხმება —  
ქისტეთში ბევრი ცხვარია.  
გაიგო ლაშარის ჭვარმა,  
მალლა შაირტყა ხმალიო;  
5 შამაუარა საყმოსა,  
შაყარა მძიმე ჭარიო;  
გამაარჩივნა თარეშნი,  
ღმერთო, დასწერე ჭვარიო;  
ხალიაისძის ხირიმმა,

- 10 ქისტო, დაგიძრა ტანიო.  
 მითხოში ქისტებს დაეცნეს,  
 გამაარჩიეს ცხვარიო;  
 გამაუძღვარეს ქეჩები,  
 გამააყოლეს რვანიო.
- 15 ერთმანეთს ეუბნებიან:  
 — უკვენ გეჭიროს თვალიო,  
 ქისტისა ცხვარი გავრეკოთ,  
 ვასმიოთ ფშავის წყალიო;  
 შავრეკოთ ფშავლის ბაკშია,  
 20 სწველავდეს ფშავლის ქალიო...

### 312. მიქელ ხალიაიძე

- მიქელმა სთქვა ხალიაიძემ:  
 ბევრჯელ გავსულვარ ველადა,  
 ნაბად მქონია მსუბუქი,  
 მძიმე მიტარებ გულაო;
- 5 სადილიც ბევრჯელ მიქამავ  
 შილდის თავს გრილ წყაროზეო;  
 ბევრჯელ მეძინა, ტიალი,  
 ქარის თავს ცივსა ქვაზეო;  
 ლეკებიც ბევრი ვხოცენი
- 10 გუთანის თავის მთაზეო;  
 მოჯერე ბევრი მომიკლავს,  
 მოჯერე ბაკის კარაო.  
 ბინისკენ მოვბრუნებულვარ,  
 გულდიდად მივლი მთებზეო.
- 15 არცა ვარ კონტა აბუჩი  
 არც ქული მხურავ რქაზეო!...

### 313. ხალიაიძე

- მიხა თქვეს, როშათის შვილი,  
 შაყარა ფშავლის ჭარიო,  
 გაღვიდა ბორკილაშია,  
 უკვენ გადაჰყვა ცხვარიო.
- 5 სამშაბათ დილას იძახის:  
 ქისტებ დალაღეს ცხვარიო“.  
 ხალიაისძეც იქ არის,



- არწივ თქვეს მეომარო:  
 „კიდეც მოსულხართ, ქისტებო,  
 10 კიდეცა მქონდა ჯავრიო,  
 ბევრი მაქვს ტყვია-წამალი,  
 ცხრა-ათ ოსმალს ტალიო“.  
 ხალიაისძის ხირიმმა,  
 ქისტო, დაგიძრა ტანიო,  
 15 მესამე დაჰკრა ეხლაო,  
 შაშჩეს სათოფე თვალიო.  
 შენც დაგკრეს, ხალიაისძე,  
 მასტყდა ფშავის ხეც მხარიო,  
 მათურელ-გოგოლაურთა  
 20 გამეეთხარა თვალიო,  
 მათურაშია ქალ-რძალმა  
 არ ჩაიცივასა შავიო,  
 შენ ცოლმა გადმოყოლილმა  
 არ შაირთოსა ქმარიო;  
 25 რაი ქნას, ვინლა შაირთას,  
 შენფერ კაც აღარ არიო.  
 სასუფეველსამ დაგადგამს  
 ლალი ლაშარი ჯვარიო,  
 რო წახვე სამოთხისაკე,  
 30 წინ წაიმძღვარენ სამნიო,  
 ზოგთ კი წყალს აზიდვინებდი,  
 ზოგთ აბანდვინე ჯღანნიო.  
 ე მაგ ქართულის მათქომი  
 ცალხელით ხაიბარიო,  
 35 თოფი მეცა მკრეს თათრებმა,  
 მტრისა მეცა მაქვ ჯავრიო,  
 სალექსოთ დამიმზადოდით  
 რომელიც კაი ქალიო.

#### 314. ბეჩავო ხალიაისძე

- ბეჩავო, ხალიაისძე,  
 ღმერთმა გაცხონა მკვდარიო,  
 ანდაგში დააყრევიენ  
 ფშავლების შვილის ცხორიო;  
 5 ქავთარა წიქაისშვილო,  
 დიდხან ცოცხალიმც ხარიო,

შორათ არ დაათრევიან  
ხალიაისძე მკვდარიო.  
ხალიაისძის მაჟარმა,

- 10 ლეკო, დავიძრა ტანიო,  
გიტირა შავმა დედამა  
ხალიაისძე მკვდარიო:  
„ბევრჯელ დაგმალე საგზარნი,  
ბევრჯელ მოგპარე ხმალნიო,  
15 არა ხქენ, არ დაიშალე,  
ვა დედიშენის ბრალიო!“

### 315. ხალიაისძის სიკვდილსა

ხალიაისძის სიკვდილსა  
ნუ იტყვიტ ლეკებსთანაო!  
თუ გკითხანტ, ა ის უთხრიდით:  
„ქალაქ ას ბატონსთანაო“.

- 5 ბატონმ თუ გკითხასტ, უთხრიდით:  
„ომში ას სწორებსთანაო“.  
სწორებმ თუ გკითხანტ, უთხრიდით:  
„სულეტ ას იაღთანაო“.

### 316. ხუთშაბათს თენებისასა

ხუთშაბათს თენებისასა,  
პირია ბინდობისაო;  
დიკლოს შუ უბან ჩამოსტყდა  
პირი ლურჯისა ცისაო!..

- 5 ზე უბანს შემოხკივიან,  
ქვე უბან დახკვრენ ზარსაო.  
ზე ადგებ ხიოს დართლოელ,  
ტანტ აისხამდა აბჯართო,  
მოდგულავს ციხის კარებსა,  
10 ყამი არა აქვს მტრისაო:  
„შინალ შამოდით, ლეკებო,  
ხანი მომეცით ცდისაო!“  
შუ უბანს მოდის თოფის ხმა,  
ქურაიძისა არსაო.  
15 ჯერ ომობს ქურაიძის შვილი,  
მემრ დაეცემა მუხლზეო.  
დაი ასტირდებ ნანაი,

- შუქ ჩამოზნელებ მზისაო:  
 გზასა როგორღა გაიღებ
- 20 ცოდვით ორ-ორის დისაო!..  
 ზე უბანს რა ამბავია,  
 პირი შემოდგა ზღვისაო...  
 ზე ადგებ ხაჩოს ნაკუდა,  
 ჭარებს უბრუნებს პირსაო;
- 25 ნატყვიარ არ ეტყობოდა,  
 ნაქერ ძალს ატანს ხმლისაო.  
 ნეტარ თათარა რა იქნა,  
 ხმა იყო ციხის კარზეო?  
 თათარა ქერხოსა ბრუნავს,
- 30 ვეფხვი გმინვასა ჰყრისაო:  
 „თოფსა ვინ მომცემს მორთულსა,  
 ან ვადას კარგის ხმლისაო,  
 ჭალაბნიც ლეკებმ გარეკეს,  
 როგორც ნოტოი ცხვრისაო“.
- 35 თათარაისა ნათელმა  
 ნაწნავ ჩამაიღ თმისაო.  
 მოუკლავს ჩვენი ნაკუდა,  
 მოვლა მინდ დაღისტნისაო,  
 დაი თან მამღვეს ბეჩავი,
- 40 ორნ წინ მიდგ მამის ძმისაო;  
 ბერდელა აქვე მამიკლეს,  
 ხელ არ იკადრა მტრისაო...  
 ომობდა ბუწუნაიძე —  
 ვეფხვი სალისა კლდისაო.
- 45 თოფი დაგვიკრა ხითაძემ  
 ლეკსა ბეჭისა პირსაო;  
 ცალ-ცალკე ვერას ვაჭებდეთ,  
 ორნივე თავსა სცდისაო.  
 მხარ-გვერდზე სვენავ ხაპარი,
- 50 დღეს ხელავ სიკვდილისაო.  
 ასტირდა იჩოს ზობაი,  
 ცას ცვარი ჩამოზღისაო:  
 ეს ქნილა, გაგონილაი,  
 უკულმ გაღება გზისაო.
- 55 ბერომა კახიძის შვილმა  
 ხმლით მხარი დაუქირაო,

- გვერდს სტანავ ცოლი თამარი,  
ერთგულად უჭირ მხარიო;  
ლექსა ბერომა გააყოლ
- 60 ნაქერი ფრანგულისაო,  
მალა მთის წვერზე დააწვინ  
მსახური თავის ძმისაო:  
„მანდ დაჯე, ლეკო, ვერ წახვალ,  
მანდ ჭამე საგძალ გზისაო“!..
- 65 ომობდა მოზას ივანე,  
ლეკვი გაზდილი მგლისაო,  
სოფლის ნაპირას დააწვინ,  
მიწა აქმია მტრისაო:  
ლეკო, იქნები ხაპრისთვინ,
- 70 სულეთს მიმტანი წყლისაო,  
დიკლოსა თავსა ვინ მოხკალ  
უფროსი დაღისტნისაო?  
შვიდ მამამდ გეყოთ სახელი  
შვილთა და შვილის-შვილთაო.
- 75 ამ ამბის გამლექსებელი  
დიკლოში ქალი ზისაო.

### 317. დიკლოს დაღევა ვინა სთქო

- დიკლოს დაღევა ვინა სთქო,  
ან განრისხება ღვთისაო,  
კოგიძის ციხის დაქცევა,  
შედება ქანქანისაო?!
- 5 შიგა ზის თისო კოგიძე,  
ვეფხვია სალის კლდისაო.  
ეუბნებოდა ბიჭებსა:  
ტირილ მაწუხებს დისაო;  
ცოლს ამას უჩავრდებოდა;
- 10 რას მეფერები პირსაო,  
ტყვია თუ გამითავდება,  
ფარგულს აგაჭრი ღილსაო.  
შეთემ სთქვა ქუმელაურმა:  
დღეს დღე არ მირჩევს ცდისაო.
- 15 ხმლით გავალ, გადავერევი,  
ჯავრი მჭირს ლეკებისაო;  
ხუთამდინ თქვიდით ნახოცი,

- გაქრა ვინც იცის ხელისაო.  
 დიკლოს შამოვლენ ლეკები
- 20 ახალ წელისა დღესაო:  
 ხელშია დიკლო, შენაქო,  
 ომალოს დარეკ ზარსაო!..  
 ომალოს, ბროლის ციხეო,  
 შიშით გაქანებს ქარიო;
- 25 შიგ სხედან თუშის ბიჭები,  
 პირს ასდის თოფსა ალიო.  
 ღმერთმან გაცხონოს, საბედო,  
 სულ იალადმთაც არიო!  
 მანდილი უქან გაიქრა,
- 30 წელს შემოირტყა ხმალიო;  
 გამეერია ლეკებსა,  
 ჩალად დაყარა მკვდარიო;  
 თანაც გამოჰყვენენ ბიჭები,  
 დააყრვეინეს მკვდარიო;
- 35 ეშველებ წასნის გიორგი,  
 ლეკებს შაუქრა გზანიო;  
 არ შამოუშვეებს ომალოს,  
 დაბრუნდა დაღესტანიო...

### 318. შენაქოს მოვიდ დიდოი

- შენაქოს მოვიდ დიდოი,  
 დენგამ შაყარა ჯარიო;  
 არ სჯერან შენაქოელებს,  
 თეთრად დათოვლნა მთანიო.
- 5 ოთხშაბათ თენებისასა  
 შენაქოს დასცეს ცანიო.  
 ქვე უბანს შემოუქიჟღეს,  
 ზე უბანს დახკრეს ზარიო;  
 ხელაიძისა ციხესა
- 10 ცამდინ აუშვეს ალიო.  
 ბეროსა ხელაიძესა  
 ჩაეხვევიან ცხრანიო;  
 დასტრიალდ ხელაიძეი,  
 მგელმა დაფანტა ცხვარიო.
- 15 ახალს უბანსა გადვიდეთ,  
 ელანს მოვაელოთ თვალიო.

- კარათ გამოდი, ელანო,  
ხელთ გამოიყოლ ხმალიო.  
— მე გარეთ ვერას გამოვალ,  
20 კვდარი ბევრ მიყრი კარზეო.  
კარად გამოვიდ ელანი,  
შუა გახია ჯარიო,  
მომკლავს-კი, გარეთ მოვხკლავდე,  
ვადაზე გაწყდა ხმალიო.

### 319. დიკლოს მოიდა დიდოი

- დიკლოს მოიდა დიდოი,  
დენგემ შეხყარა ჯარიო,  
გადმოდის ხუშეთის ლელეს,  
როგორც ნაგუბარ წყალიო,  
5 ამოდის წისქვილოანა,  
თვალიწ არ გადასწედებო!  
ქვეობან შემოხკივლიან,  
ზეობან შეზდვეს ზარიო.  
ციხითამ ელანაეიზემ  
10 შორით მოხკიდა თვალიო,  
ასრია-დ' გამოაგორა  
ლეკის ბელადი ძაღლიო.  
ზე ადგა ხიქოს დართლოელ,  
შეალო ქავის კარნიო.  
15 ჩადიან ქვეობნისაქე,  
დათოს მოავლო თვალიო.  
დათოსა ორაეიქესა  
ჩაეხვევიან ცხრანია;  
ქვათარაყ ქერხოს ბრუნევედა,  
20 ვეფხვევით გმინვას ხყრიდაო:  
— წამისხეს ჯალაობაი,  
როგორც ნოტოი ცხვრისაო,  
ბერდედა აქავ მომიკლეს,  
ქელ არ იკადრა მტრისაო.  
25 მქარ-გვერდზე იღვა ლაპარი,  
დღეს ხედვედ სიკვდილისაო.

### 320. კუშპანღალი

- დიკლოს ატირდეს დედანი:  
— ძალი ვიკადეთ ღვთისია,  
ჯარ დაგვეც დანღობაზედა,  
ძალია კუშპანღლისია;
- 5 ამოდის წისქვილოანა,  
ბინდია რიქრაჟისია,  
ღვინიაც ელანიჟისძე  
— ქორი ციხეში ზისავ,  
ქელთ უქერავის სიათა,
- 10 კონდახს უკვენით ზისავ.  
ზეუბნის თოფებ გამოდს,  
შვილია ქურაზისავ.  
ლეკები გახკვირებიან  
ნაცადსა ბეყოზისაო.
- 15 ბიჭებგორ შემოგვეწია,  
ფასი ქნა ადგილისაო.  
ქალაყო, სულითამ სცხონდები,  
ბაქი, შენ ჯაჩივრისაო,  
არ გადახყევი ლეკებსა,
- 20 კელი არ იკადრ მტრისაო,  
სულიმც იალად გექნება,  
საც ქრისტე პურად ზისაო.

### 321. მზაველ-ქავსურთ მიზველება თუშეთში

- ჰელოს ატირდა დედანი:  
„მტერმან ჩვენ შეგვაშინაო.  
კარზედ მოგვდიან სტუმარნი,  
ძალით მოდიან შინაო.
- 5 ამა ჩვენს მეთოფეებსა  
ძილიმც ვინ დააძინაო!  
პირიმც წყლით გააღბობინა,  
თოფებიმც დაუგრილაო!  
ნეტავი ფშაველ-ქვესურნი
- 10 აქამც ვინ შე მოშჩინაო!  
ქვესურთა ფარ-კმალ-ყაწიმნი  
ელოს თავს შემობღღვინაო!

გულ-მძიმე წოვით შვილები  
თოფებით ჩემოწვინაო!“

- 15 სამციხელების თოფებმა  
ელოს ძირს შემოკვივლაო.  
ქავთარმან ზურაბის ძემან  
კმა-წვრილად შემოჰკვივლაო.  
მიქელამ ზურაბის ძემან
- 20 რა საქმე მაიკდინაო:  
დაჯოცა თავის ცოლშვილი,  
სულეთიც წაიკდინაო.  
ღღენიმც მიერგეს ეგეთი,  
ვინც მიქელს გაუცინაო!

### 322. ჯარი იყრება დაღისტანს

- ჯარი იყრება დაღისტანს.  
დაღუპვა ღგულავს დიკლოსი,  
გადმოდის ხუშეთის ლელეს,  
ნამ არ დასწვდება ცისაო.
- 5 შემოდის ბიჭეხის პირსა,  
პირ დახკრა თენებისაო,  
ოთხშაბათს თენებისასა  
დიკლოს ჩაგვეცნეს ცანიო;  
ხელ-უქცევს სიკვდილს ამბობენ
- 10 ნარჩევის ვაჟეაცისაო.  
ომობდა ოსურაიძე,  
სანგალს იხვევდა კვდრისაო;  
ხეცო და ცოტო ამბობდნენ  
ერთმანეთ მეტობაზეო:
- 15 ძმისწული მტერმა მოგვიკლა,  
მზე წითლად ამოდისაო.  
რადამ გვიანად ამოდის  
სიათა ქურაძისაო?  
მტრისა ხოცვასა ამბობენ
- 20 ვარდიძის ჯამრულისაო,  
გიოი მოზაიძეი —  
ვაჟეაცი თავსა სცდისაო,  
თავიც იძია, სხვაცაო,  
სულს იხსნის მამ-პაპისაო.
- 25 სულეთს აძლევენ საღამსა



- გიოსა მოზაშვილსაო.  
 დაო, ამბობდა ქოთაძე,  
 სისხლისა ტბაში ზისაო.  
 სულეთში ღვთისოს იჩუა
- 30 ჩივილით შემოდინაო:  
 „ხანჭლით დავხოცენ ცოლ-დანი,  
 სულეთს არ მომესვლებო“.  
 ომობდა კახიძის შვილი,  
 თოფის ხმა გამკვირდისაო.
- 35 ბეროს ნახოცთა ლეკებსა  
 დალისტან გახკვირდისაო.  
 ბარაქალ, კახიძის შვილო,  
 სახელ ხქენ ადგილისაო;  
 დალისტანს ქარუმიშვილი
- 40 ტირილით შამოდისაო:  
 ჯარი გავსწირე დიკლოში,  
 სამ-სამი ნაიბისაო.  
 შენდობა დიკლოს ნახოცთა,  
 სად დაახდეს ხალხი სმაზეო!

### 323. თუში შალვანის ძალი

- აღვანში სანაქებოა  
 თუში შალვანის ქალია.  
 ქმარი მოუკლეს ქურდებმა,  
 ძალით გალალეს ცხვარია.
- 5 ეს რო გაიგო დიაცმა,  
 შამაიხვია თმანია,  
 აისხა იარაღები,  
 წელზე შაიბა ხმალია,  
 თავზე დაიდგა ჩაჩქანი,
- 10 საომრად მიდის ქალია.  
 შაჰკმაზა თავის ლურჯაი,  
 ცხენი ჰყავ ნიაგ-ქარია,  
 ზედ შაჯდა, გამაამალა,  
 გამაიარა გზანია,
- 15 ალაზნის პირზე მივიდა,  
 მაზლი შამოჰხვდა ჩქარია.  
 — მაზლო, რა უყავ ივანე,  
 შენი ძმა, ჩემი ქმარია?

- კოდის წყაროსთან გავსწირე,  
 20 წითლის არაყით მთერალია.  
 ქურდებს მეეკლათ რჯულძაღლებს,  
 გზის პირთ გავსწირე მკვდარია.  
 თავით დაესკვათ ალამი,  
 შავის ყორანის ფრთანია,  
 25 თავად კი გაქცეულიყვნეს,  
 ველარ უნახე კვალია.

### 324. ივანე აბაშიაშვილი

- ივანე კაკიაშვილი,  
 ივანე იყო ხნიანი;  
 საჯდომი ქურანი ჰყავდა,  
 ქურანიც იყო ხნიანი.  
 5 საითაც რომ გაუქროლა,  
 ასტეხა ქარი, ნიავი.  
 — ივანეც, გელოდებოდი,  
 ლურჯა მომგვარე მხრიანი.  
 — მე შენი დარდი არა მაქვს,  
 10 კობალჩოში კამეჩობის  
 ჩამივარდა იმათ ჯავრი!  
 ასე წუმწუმად გახადა,  
 თავის საყვარელი ხმალი.  
 — შენც ხომ იცი, ჩემო ლურჯავ,  
 15 როგორა სჭრის ჩემი ხმალი,  
 ისე ჩამიყვა კობალჩოს,  
 არ დაახამხამო თვალი.  
 გადაახტა თავის ლურჯას,  
 ლურჯამ წაიღო სრიალი;  
 20 კობალჩოში რომ ჩავიდა,  
 გათენების ხანი არი.  
 კამეჩებს წამოუარა,  
 ეინჯლიანი დილა არი.  
 ყველა ივანეს დაედო  
 25 ღარქალის და მწყემსის ჯარი.  
 ივანემ შემოუტია:  
 — ჰერი, დამიგდევით განი!  
 ბევრი კი ვერ გაიმეტა,  
 ხუთ ვაჟკაცს დააჭრა თავი.

- 30 დაიხედა თავის ფეხთით,  
მიდიოდა სისხლის ღვარი,  
კამეჩობა გამორეკა,  
შავი მელანივით არი.  
ოზანაში რომ მოვიდა,
- 35 შიმშილობის ხანი არი,  
ყველა იმან დააოხა  
ქალწული და პატარძალი.  
ყველა ღმერთს ეხვეწებოდა:  
— ღმერთო, შეარჩინე ჯანი!
- 40 — ივანევ, გელოდებოდი,  
ლურჯა გამიხდა ხნიანი,  
ერთი ქურანი მომგვარე  
შენ ლურჯასავით ფრთიანი!  
ჯიბეში ფული ჩაგიწყო,
- 45 როგორც საბძელში ბზე არი.  
ივანემ ტაში შემოკრა:  
ეგ, ბიჭობა ჩემი არი!  
გადაახტა თავის ლურჯას,  
ლურჯამ წაიღო სრიალი.
- 50 საცხენოში რომ ჩავიდა,  
შუალამეც კი არ არი.  
ივანემ გაჰკრა ქამანდი,  
თოკმა წაიღო წკრიალი,  
ხუთნივე ერთად გააბა,
- 55 ხუთნივე ხუთ-ხუთ წლიანი,  
ადგილიდანაც ვერ დასძრეს,  
ხუთმა დაიწყო ხრიალი.  
ნაცვლის წისქვილთან მოვიდა,  
მარიამობის თვე არი.
- 60 სოფლელები იძახიან  
— ცხენოსანი ვისი არი?  
— თქვენ რა გინდათ სულელებო,  
წუხებელ ივანემ მორეკა,  
ის ასეთი ბიჭი არი.

325. მთასა უავხედე — მშრალია

მთასა შავხედე — მშრალია,  
ქალას ჩამოწვა ზეავია.

- ყველამ გამართა აბჯარი,  
 თუშთა გაღესეს ხმალია,  
 5 კაცი გაგზავნეს სოფლადა:  
 თუშნო, გავიდეთ ველადა,  
 მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა,  
 ახლა ველობის ხანია.  
 სოფლად შეყრილან თუშები,  
 10 ლაბარაკობენ ჭკვაზედა:  
 წინა გაგვიძებ, ქავთარო;  
 თუშო, გაგვილე გზანიო;  
 ქვევითა ჩვენა ჩავიდეთ,  
 ლეკთ მრავალ უდგა ცხვარიო.  
 15 წინა გაუძღვა ქავთარი,  
 თუშთა ნარჩევი არიო.  
 ჭარის თავს თუშნი ჩავიდნენ,  
 მთა-მთა ჩაიღეს გზანიო.  
 ჭარის თავს ჩაითარიშეს,  
 20 დილა ბინდისა ხანია.  
 ცხვარი ბევრი მოაქუჩეს;  
 ექვსასი ფაროვანია;  
 წყემსებიც ბევრი დახოცეს,  
 ბაკებს გაუღეს კარია,  
 25 ცხენი და ძროხა მოაქუჩეს,  
 მრავალი საშოვარია,  
 გამართეს თუშეთისაკენ,  
 ღმერთო, მოგვმართე გზანია!..  
 თილისძემ — დედის ერთამან,  
 30 სიზმარი ნახა ძნელია;  
 თუშებო, გელიშნებოდესთ,  
 დღე გაგვითენდებ ცდისაო.  
 თუშების მუქარაზედა  
 შეყრილ დაღისტნის ჯარია,  
 35 მაღლა ანწუხის მთაზედა  
 თუშებს მოუჭრეს გზანიო.  
 შორიდან ლეკებმ იძახეს:  
 თუშნო, გაწირეთ ცხვარიო!  
 უარს არიან თუშები,  
 40 ლეკნო, დაგვიგდეთ გზანიო!  
 ძალზედა დგანან ლეკები,

- თოფისა დადგა ალიო...  
 ბაჩოი, თუშის გაზდილი,  
 წოვა თუშების თვალია,  
 45 ბაჩომან ლილის ფრანგულსა  
 ნაქებს უშინჯა ფხანია:  
 — ფრანგულო, გასქერ, გამიძეხ,  
 ახლ გაპირების არია!..  
 ხმალ და ხმალ თუშნი ჩავიდნენ,  
 50 ღმერთო, დასწერე ჭვარიო!..  
 ხმლის ქნევას ეცილებიან,  
 წკრეზე დაყარეს მკვდარიო;  
 დახოცეს ლეკის შვილები.  
 ჩალათ დაყარეს მკვდარიო;  
 55 ლეკო მანდავე დალიეს —  
 დიდი დაღისტნის ჯარიო;  
 ცხვარიცა თუშეთს გარეკეს,  
 მაგ ლეკთა მონაგარიო...  
 ეგე შეიტყვეს ლეკებმა,  
 60 თავზე დავცათ ცანიო:  
 — თუშნო, თქვენცა ნუ იქნებით,  
 ნურც თქვენი სახლის ქვანიო.  
 მოკუთი რადათ მოკალით,  
 ეგ დაღესტნის სარდალიო;  
 65 უფროსი იყო დაღისტნის,  
 ვინდა გაგვილოს გზანიო!..  
 ქარის თავს დაჰკრეს მილარი,  
 თუშთა დაიგდეს მთანიო;  
 მთებს ჩამოითარიშებენ,  
 70 წინ დამდგომ ვინდა არიო!

### 326. ვერხოვანის ციხე

- ვერხოვანს, წვრილო ციხეო,  
 ქვაი ვინ გაწყო ქვაზედა,  
 ექვს ოთახზედა ავაგეს,  
 სიპი დაგხურეს თავზედა?  
 5 პირდაპირ ჯარის ჩამოსვლა,  
 რა-კი არ გაგიხარდება,  
 ქვეთარაი და პაპაი  
 ყმანი გიდგენან ძალზედა.

- თოფს ესერის ჯობინობაზე,  
 10 ტყვია გავგერწოთ ტანზედა.  
 ვერხოვანს, ბუჩაის თოფო,  
 წამალი დაგიობდება,  
 მუქით გაყრიან საწყაოს,  
 გან ტყვია გაგივარდება;  
 15 შენი ნასროლი ტყვივისა  
 ქება არს დალესტანშია...

### 327. ხუთით ძავთარი

- ორ-ხევში მემცხვარეები  
 სანგალსა ხვევენ ცხვრისასა...  
 ერთის მოყმისას ამბობენ, —  
 ხავილს გაჰყვება შელისასა...  
 5 გადმოეშლება ლეკები,  
 გულს ვერა ჰხედვენ ყმისასა.  
 თორმეტ შუაში დაბრუნდა,  
 პირს დაიბრუნებს მგლისასა.  
 — „ნუ მაკლავ, ალი მაჰმადო,  
 10 ვერ იქამ სიმართლისასა;  
 დაგიხოც ბიძა, ძმისწულთა,  
 არ გაგიფერებ სხვისასა...“  
 ქარში გაჰკვირდეს ლეკები  
 ცდას ხუთით ქავთარისასა,  
 15 თოფის სიმართლეს უქებდეს,  
 ნაჭრევსა ფრანგულისასა;  
 თიანეთს თიანელები  
 ცოდვა-ბრალს მაგის დისასა:  
 ჩამოსდგომიყო ჭალასა,  
 20 გულზედ იყრიდა ქვიშასა...

### 328. ტირიან თუშის ძალები

- ტირიან თუშის ქალები,  
 არ მოგვივიდნენ ქმარები.  
 ნეტავი შეგვატყობინა,  
 დასჭრა თუ ვინმემ თავები?  
 5 — ქალნო, თრიალეთს თქვენ ქმრებსა  
 ლეკები დახვედრიანო,  
 თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,  
 ბიჭობაც ამას ჰქვიანო.

### 329. ფუნჩა ღა მანგია

- კახეთს რად ღბრუნავ, ფუნჩაო,  
გან სპილენძი ხარ ცვრიანი?  
ერთხელ ფშავშიაც წამოდი,  
ბაკი მანდ გიდგა ცხვრიანი;
- 5 შაჰხედენ ნაქერლის გორსა,  
ვაც-ვერძ შაგიფთხვა თხიანი.  
ძილს უჩიოდა მანგია,  
ლეკებმ მაიღეს გრიალი.  
ძალღების იმედი მქონდა,
- 10 ოკრებმ არა ქნეს ჟრიალი.  
„ამიშვით“, — იტყვის მანგია,  
— ხანჯრისა ვნახე პრიალი“.  
მანგია წამაუფრინდა,  
ზედ აზის ვეფხვი ბწკლიანი;
- 15 გულს უგლის ღამის სიბნელე,  
უნათებს ხანჯრის პრიალი.  
ხუთი მაუკლავ მანგიას,  
თავათ წევს პირ-სისხლიანი.

### 330. ღავითი

- ყორანო ჟაეარიანო,  
მთაჲ ჩაავლე თოლიო,  
ღავითი თუ არცა ღნახე,  
თრიაღეთს ეღგა ცხორიო.
- 5 წყლის პირზე მაკლეს თათრებმჲ,  
გზის პირს დააღღეს მკვღარიო,  
სამი ღღე ყორანი ხავის,  
პატრონი არცად არიო.  
მეოთხეს ღღეზე მოუღღეს
- 10 ღავითსა თავის ძმანიო,  
მისვლაზე თათარი მაკლეს,  
ღავითს შასწირეს მკვღარიო,  
ღამაზ გასარჯე რჯულძაღლი,  
აზიღვინიღი წყალიო,
- 15 მწყემსებჲა ნუ შააწუხებ,  
აბრუნებინე ცხორიო.  
ქალმა გაიგა, შასტირა,

- ლურჯას დააკრა ნალიო.  
წელ შამაირტყა კმალიო.
- 20 შაჯდა და ეგრე წავიდა,  
როგორც დაღბეროს ქარიო.  
შემეყარნეს თათრები,  
ისენი სამნი ძმანიო,  
ისენი სამნი გაწყვიტნა,
- 25 იქ ეერივნეს გზანიო,  
დაჯდა, დაიწყო ტირილი:  
ვაჟ დედიჩემის ბრალიო!  
თავით დაუცეს ალამი,  
უბრიალებდეს ქარიო,
- 30 ფეხთით დაუბეს ლურჯაი,  
დასტირის როგორც ქალიო.

### 331. დავსწუხდი ჩემის ქმრისაჲმ

- დავსწუხდი ჩემის ქმრისაჲმ,  
როგორც მუში წყლისაჲმ,  
დილაზედ გამოვალიჲე,  
ვიცქირებიჲე გზისაჲმ,
- 5 მგზავრიც არცად დავინახე,  
თოლნი ამომშრა მისაჲმ,  
არ ვიცი, მოკლეს ლეკებმა,  
არ ვიცი მიდის მთისაჲმ.  
მურდლად ლეკნი ვერ მოჰკლავდეს,
- 10 კელს წაიღებდა კმლისაჲმ,  
სულ დაჰკაფავდა ლეკებსა,  
არ მიუშვებდა ცხვრისაჲმ.  
უფროსი მაზლი გავგზავნე  
ბაზარზედ ფაიტვნისაჲმ,
- 15 შავაბმევინე ცხენები,  
კმანი დავყარე ღვთისაჲმ.  
დავჯექ, დავსწერე წერილი,  
გავგზავნე საყორლისაჲმ:  
რით არ მოგინდა სახლობა,
- 20 ან არ დასწუხდი ვისაჲმ,  
ან შენი ძმანი არ გინდა,  
ან შენის მეუღლისაჲმ,  
ან შენი მაზლი-წულები,



- ან შენის კაის რძლისაკენ?
- 25 ეხლა ბეჭითად გეგონოს,  
 მოვდივარ შენის ცხვრისაკენ,  
 მთაჩი ნუ მომილოდინებ,  
 ჰალაზედ მოვალ წყლისაკენ,  
 დავიდგამ წითელს კარავსა,
- 30 კმას დავჰყური მეცხორისაკენ,  
 მზემდენ კი მოგილოდინებ,  
 მემრე კი წავალ წყლისაკენ,  
 გარდავარდები წყალჩიგა,
- 35 წამილებს დიდი ზღვისაკენ,  
 ან სად გამიტანს რიყეზედ,  
 პირი დამრჩება მზისაკენ.  
 მაშინ კი არას ვინაღვლი,  
 თუ მოვკვდი ჩირდილისაკენ;  
 ან გველი შამქამს, ან ფსვენნი,
- 40 ან თევზი დამთრის წყლისაკენ,  
 ან მომთხრის ყორანი თოლსა,  
 ან დიდ არწივი ხისაკენ.  
 რად გინდა ჩემი ზიანი,  
 ქალი ვარ გიშრის თმიანი,
- 45 რომ იცნობთ ჩემსა ლაწვებსა,  
 მთორეზედ მთავარი არი.  
 მეც მენანები მაგითა,  
 ღონე გაქვს დიდი ძლიარი,  
 ვაჟკაცი გამოსავალი.
- 50 სულყველგან იმედიანი.  
 ტანი გაქვს ალვის ხესავით,  
 გულისპირ ჯვარ-მედლიანი,  
 შენ რომ შახოლკე ომჩიგა,  
 ლომივით იცი ტრიალი.
- 55 კმალს რომ შემოჰკრავ ლეკებსა,  
 შინ მოდის მაგის წკრიალი,  
 ლეკი რომ იდგეს ფეხზედა,  
 თავი მიგორავს თმიანი.  
 ეგ შენი უმრავი ფარა
- 60 ცხოსთან გაქდება ზიარი.  
 ბევრი გაძლება ნადირი,  
 პირ-მურა, მუცელ-მშვიარი,

- ბევრი ყორანი გაძლება,  
სულ შავი ნისკარტიანი,  
65 ეგ ქმალი გატიალდება,  
ფრანგული ცხრა-ლარიანი,  
ეგ თოფიც გატიალდება,  
სიათი პირ-კომლიანი,  
ეგ ცხენიც გატიალდება.  
70 ლურჯი ნალ-ქაფიანი,  
დავიქოცებით ორნივე,  
პირი წაგვეყვება წყლიანი,  
არც ვინ ობოლი დაგვრჩება,  
არც ვინ გვეოვს დედმამიანი.

### 332. ჰვანთანას მიცხვარებმა

- ჯერ შუა ღამე არ ქნილა,  
ქვანთანას მეცხვარებმა  
ვასშამი ჰამეს გვიანი.  
ლაშქართ მოიღეს გრიალი.  
5 მანგიას უთურგაიძეს  
ხანჯალ წელთ არტყავ ფხიანი.  
ამას ჩიოდა მანგია:  
თოფ ვერ ავიღე ხმიანი,  
ქოფაკთა მქონდის იმედი,  
10 ოხრებთ არა ქმნეს ყუფანო.  
მამას მითქვიდით უთურგას,  
ჩემიდ ნურა სწყინს ზიანი,  
ცხვარი მთას გადამირეკეს,  
მე ვწევარ მკლავსისხლიანი.  
15 სამისა დედა ვატირე —  
იჩუში ქალი თმიანი;  
მეოთხე თან გავაყოლე,  
მიჰყავისთ ნაჭრევიანი.  
კახეთში შამიტყობიეთ,  
20 მიყვარდის ცხენთა გრიალი,  
ზეზვი გაფრთხდაული  
გორ-გორ ამოდის ხმლიანი,  
თუ ლეკებ შამოგეწივნეს,  
გულის მოგივათ ფრიალი;

25 თუ სახმლეთ საქმე გავიდეს,  
მემრ ნახეთ ხმლისა კრიალი.

### 333. ამბობენ, არა სტუშიან

ამბობენ, არა სტუჟიან,  
ლეკეთში ჯარებს ჰყრიანო:  
დიდო დიდოზე გადმოდის,  
დაიძრა დაღესტანიო.

5 ჩამომდგარ ხისოს ლაეში,  
როგორც ნაგუბარ წყალიო;  
ამბობს და ლაპარაკობენ:  
საით გავიღოთ გზანიო.

ზოგთა სთქვეს, მთაზე გავიდეთ,

10 გვეყოფა ხაროვანიო;  
ზოგთა სთქვეს, ცხვარზე დავეცეთ,  
შემოვათეთროთ მთანიო.

მემრე სთქვეს, სოფლად ჩავიდეთ,  
ხისოს ჩავლენწნოთ ქაენიო...

15 მეორე დილა გათენდა,  
ხისოს დახურეს ცანიო.

შინ დახვედრიან ვეფხვები —

გამარონ სამნი ძმანიო,

ასრე უხოცავ ლეკები,

20 როგორც რომ ნადირს ცხვარიო.

დავნატრე დამბადებელსა

ომანს ბაკურისაო,

დედამ რომ შვილი გაზარდოს,

გულ უნდ დაუდოს ქეისაო.

25 მოუკლავ მებაირახე,

ბაღმა რა იცოდ ცდისაო.

ჩივიან ლეკის ნაიბებ:

მეომართ გვიყო ძალიო.

მუქით უყრია წამალი,

30 ტყვია რამ მოდის ჩქარიო,

იძახის ნაციხრითაი

ქუმელაურთას ხმაიო,

თოფის ხმა ქუმელაურთას,

მანდაც შამოსულ ჯარიო.

35 გიოსა ბეჭურაიძეს

- ტყვიით მოსტენეს მხარით,  
ციხე გამრჩალა უკაცოთ,  
მეომარ არ ვინ არიო.  
ძალიან გარჯას ამბობენ
- 40 ბექურათ ერთი რძლისაო:  
გადმოდის მარილის ქვაი,  
ციხის კარ უყრავს მკვდარია,  
ჯაოი ბერიკაიძე  
ცით ჩამოსული ჯვარია,
- 45 იგრე მიდიოდ ტყვიი,  
როგორც რომ სეტყვა-ცხარო.  
მარტოკა ბერიკაიძემ  
შუა ჩახნია ჯარო.  
— ჯაო ვარ, ბერიკაიძე
- 50 ქალო, გამიღე კარო.  
ციხეში შაუვარდებოდ  
ბერიკაიძე ხარო;  
ესროლა, ჩამოაგორა,  
ბერიკაიძე ვარო.
- 55 მეორეს გამოულიშნა,  
ტყვიავ, გამოხარ ძვალიო;  
მესამეც თან მიაყოლა:  
ლეკებ, ეზიდეთ მკვდარო.  
უკანა თვალი ევლებოდ,
- 60 ახლ წოვათ მოსვლის ხანია.  
ლააში იყრებიანა  
წოვა-გომეწრელთ ყმანია.  
მხარი აუკრეს ლეკებსა,  
ჩალად დაყარეს მკვდარო;
- 65 ზოგმ ერთი მოკლა, ზოგმა ორ,  
ბევრ ჩემისთანამ სამიო.  
ჰარამ სახელის წამლებსა  
რისხვიდეს ხახმატის ჯვარო,  
კულავ ნუ გაამარჯვინოს
- 70 საცა წავიდეს ჯარშიო!..  
მანდ რო ლეკები დახოცეს,  
სამასს დააკლდა სამიო.  
მე მაგის მოლექსებელი  
კახეთში ცხვარში ვარო,

- 75 თავადებს ჰქონდათ ლაპარაკი,  
 ხმა შორს გავ კაი ყმისათ:  
 „ჩვენ რომ არ გყვანდნენ თუშები,  
 ქათმებ ვართ ლეკებისათ,  
 შუა დაღესტანსა დგანან,
- 80 გალავანს გვანან ქვისათ“.  
 თუ მაგით ვერას მინიშნებთ,  
 ჩუნთიანთ გიო ვარიო;  
 შენდობა ჩუნთიაიძეს,  
 საც რომ დარიგდეს ჯარიო!

### 334. მეითის სიმღერა

- ციდან წამოვა ღრუბლები,  
 დაწვება დაბლა ბანზეო,  
 ნეტაი რა დრო იქნება,  
 წვიმა რო წვიმდეს დარზეო.
- 5 მეით ემზადებ შირაქში,  
 იარალს ისხავს ტანზეო;  
 ქალიც უშლიდა შავბნელი —  
 „მეით, ნუ წახვალ ცხვარზეო!  
 წუხელი ვნახე სიზმარი, —
- 10 ხელიც მოგექრა მკლავზეო,  
 შენ ცხენი შავად შემოსნა,  
 სატირელ მედგა კარზეო“:  
 არ დაიშალა მეითმა, —  
 „ფიქრიც არ არის მტერზეო!“
- 15 გათენდა ორშაბათ დილა,  
 დადგა ბელექნის გზებზეო;  
 სამშაბათ ჭარში ჩავიდა,  
 „ლაზბორი“ ჰქონდა ლეკზეო,  
 ჭარიდან გამობრუნდება,
- 20 წავა შირაქის გზებზეო.

### 335. ამბოგენ დაღესტანშია

- ამბოგენ დაღესტანშია:  
 ახლა დავლობის ხანია,  
 მოვიდა შუა ზაფხული,  
 თუშთა დავლახნოთ მთანია.
- 5 სპეროზას შეიღი ფარა ზდგას,

- იქით გავიღოთ გზანია;  
 ცხვარ-წყემსებ შემოვაცოლოთ,  
 ადვილი საშოვარია.  
 დაიძრა, გამოიმართა
- 10 დიდი ბუსურბნის ჯარია,  
 პარასკევს, შუალამის ხანს  
 სპეროზას დაპხურ ცანია.  
 დაწიოკა ცხვარ-წყემსი,  
 ვაი რა ცოდვა-ბრალია.
- 15 ვინც დაპხვდა გულის მტკივანი,  
 ცხვარზე მოიკლა თავია...  
 სულ ერთად შემოაქუჩეს  
 შვიდივე ფარა ცხვარია;  
 გზა შორს ჰქონდ სახვევრიანი,
- 20 კლდიან ხორაჯის თავია.  
 კაცი მოვიდა წოვათას:  
 ლეკის დაგვეცა ჯარია;  
 სპეროზით ცხვარი წაიღეს,  
 შავად დაბლერტეს მთანია,
- 25 გაჯავრდნენ წოვათ ბიჭები,  
 აბჯრის გამოდის ჩქამია;  
 სწრაფ გადიარეს მთის წვერი,  
 ღმერთო, დასწერე ჯვარია.  
 წინ უძღვის ბერი სამება,
- 30 უნდა გავლახო მტერია.  
 თან გაჰყვა ჩალმა პირიქით:  
 ძმურათ ვუჭიროთ მხარია.  
 სადილობისას ნაქერალს  
 ლეკებს მოსტაცეს გზანია.
- 35 ნაქერლის თავსა, ვაკეში  
 შემოდგა ლეკის ჯარია;  
 შემოდგა, შემოიწიეს,  
 როგორც მძოვარი ცხვარია.  
 თუშთა ჩასძახეს ლეკებსა:
- 40 ახლა უნდ ვცადოთ თავია,  
 ხმალ-ხანჯლის ფხანი გავშინჯოთ,  
 ვის უფრო დარჩებ მკვდარია.  
 მამაძალ ლეკის შვილებმა  
 არც მაგათა თქვეს არიო;

- 45 დეერვეიან ერთმანეთს,  
მზეო, გეჭიროს თვალიო!..  
ომია აღელვებული,  
ცამან დაყარა ნამიო.  
ხმალ-ხანჯლის ჩქამი გამოდის,
- 50 იტყვი, დაიძრა ზვაგიო.  
იმდენი დარჩა ნახოცი,  
როგორც რიყეზე ქვანიო.  
ხელი დაგრიათ, ლეკებო,  
სისხლით შეღებეთ მთანია!...
- 55 ტიროდა ლეკის ბელადი:  
ვაი დედა ჩვენის ბრალია,  
ამდენი ხალხი აქ დარჩა,  
დალესტანს როგორ ჩავიდე.  
ნუ სტირი, ლეკის ბელადო,
- 60 დავლობისაე წესია.  
ოთხასი ლეკის მარჯვენა  
შემოაქუჩეს თუშებმა!..  
მე მაგის მომლექსობელი  
წოვათას თუშის ქალია.
- 65 ლალიცა არ ვის გეგონოთ,  
ტირილით ვიმჯავრ ჯავრია.  
შვიდმეტი შემოგვიჩინეს  
საკაცით წოვათაშია,  
ოცდათორმეტიც დაჭრილი
- 70 ნაქერლის ომობაშია.  
ჩალმა-პირიქით ვინ იცის  
მომკვდარი ლეკის ხელითა...  
ახლანდელ თუშის ტანჯვაში  
ნუ ჩავარდება მტერიცა:
- 75 არა გვაქვს შინ მოსვლის ხანი,  
მუდამ ვართ სისხლის ღვრაშია.  
გვაწუხებს ლეკი, ჩაჩანი,  
ვართ მუდამ ლაშქრობაშია;  
ალარ უხარის დედასა
- 80 გაზდილი ვაჟიშვილია.  
წავალის სადმე მდევარსა,  
შინ მოიყვანენ მომკვდარსა.

- ცოტალა გვაკლავ დიაცებს,  
 აბჯარ ავისხათ ტანზედა...
- 85 ცოტა ვართ თუშის შვილები,  
 გარს გვიდგა ბუსურბანია,  
 ხმალ-ხანჯლის ძალითა ვცხოვრობთ,  
 რაც ვაყვაცობის წესია.  
 კანეთს აწუხებს თათარი,
- 90 ბეგრათ იღებენ ქალებსა;  
 ტახტის ბოგირთან თათრები  
 ახლად მართავენ ქალაქსა;  
 საზაფხულოთ ბახტრიონზედ  
 ციხეს აგებენ მაგარსა!...

### 336. ვანია

- სოფლისთავ ქორი ტრიალებს,  
 გადავლა უნდა მთისაო,  
 შამიტყობინეთ ქოსელთა  
 სამუკეთ ქალისშვილსაო.
- 5 ყიზლარჩი ცხორი გავშალეთ,  
 ნიავე ქროდა ზღვისაო,  
 მარტო ვანიას დეეცა,  
 ურჯულო დადესტნისაო.  
 უწინ ესროლა ვანიამ,
- 10 ბელადი დასცა ძირსაო,  
 ეხლა ვანიას ესროლეს,  
 უნიშნეს გულის პირსაო.  
 „თოფო, მიშველე ტიალო,  
 იმედო მოხვეისაო,
- 15 გაჭირვების დროს მინდიხარ,  
 განა ჯოხი ხარ ხისაო, —  
 ვეღარ მაგივალთ სწორებო,  
 ჯავრი გამყვება მტრისაო.

### 337. გორბიწვილის გმირობა

საწყალსა ჰილურტელებსა  
 თავს დაეცა ლეკის ჯარი,  
 ზოგსა მძინარეს მოასწრეს,  
 ზოგმა დაუკეტა კარი.



- 5 ძროხა და ღორი გაწყვიტეს,  
 რიყესავით ყარეს ცხვარი,  
 თან წაასხეს ქალი, რძალი.  
 მუხრანში რომ ჩაიყვანეს,  
 დაუცალეს ზარბაზნები,
- 10 მუხრან ქვევით გორგიშვილმა  
 სასიკვდილოთ დასდო თავი,  
 ლეკს დამბაჩა გამოსტაცა,  
 სისხლით შაუღება მხარი.

### 338. ბუი ბუბუნებს მთაზედა

- ბუი ბუბუნებს მთაზედა,  
 ჩვენს იქით გალავანზედა,  
 მოყმევე, შე ცოდვის მოთქმეო,  
 ლეკნიც დაგხსმიან თავზედა,
- 5 წაერთოთ ცხვარი, ძროხანი,  
 ტყვიას გარტყავდნენ თავზედა...  
 სწორებს დაედვე ნაბაღზე,  
 გზაშიაც გიბინდდებოდეს,  
 წყაროს გასმევდნენ სტვირითა,
- 10 ყელშიაც გეჭინძებოდეს,  
 გივლიდეს დაი, დედაი,  
 ლოგინიც გისუნდებოდეს.  
 შენ დაწუნებულ მოყმეო,  
 ველს გავალ, გავნიავედები.
- 15 უშენოთ თავსა მოვიკლავ,  
 შენ ჩემ ცოდოში ჩადგები.

### 339. პაპაძვი

- ყარავლობაა ჩვენზედა  
 დამდეგ აპრილის თვეზედა,  
 პაკაციმ ხმალი გალესა,  
 ცერი აუსვა ფხაზედა,
- 5 ცხენს შეჭდა ბედაურზედა,  
 ნიავექარივით ქრისაო,  
 ამხანაგსა გაურბინა  
 ომან ბადალაშვილსაო,  
 ომან შინ შეიპატიჟა,

- 10 ტურფად გამართვენ ლბინსაო;  
 აღგნენ, ქვევითათ წავიდნენ,  
 — დააცემინა ცხვირსაო:  
 „ეს ცხვირი რას გვეუბნება,  
 — ლეკები დაგვხვდებიანო“.
- 15 ჭიან ტყესთან რომ ჩავიდნენ,  
 ლეკებმა შექნეს ჯიღჯიღი,  
 ერთმანეთს უთხრეს: „ვალო,  
 იქ რო ორი კაცი მოდის,  
 ისინი ჩვენი დავლაო“.
- 20 პაკაციამ გაიგონა:  
 „ჩვენ დაგვცინიან განაო?“  
 ზევიდან ჩამოუქროლა,  
 ცხვარივით გაილალაო.  
 ერთი წუწკი გულხადარა
- 25 უბელო ცხენსა მჯდარაო,  
 პაკაცის თოფი მოარტყა  
 მარჯვენა მუხლის ძირსაო,  
 პაკაცი ძირს ჩამოვარდა,  
 შუქი ბნელდება მზისაო.
- 30 პაკაცის თოფი გავარდა,  
 ხმა ქონდა ზარბაზნისაო,  
 ერთი პაკაცი მოუქლა,  
 თვალთა ბელაქნისაო.  
 პაკაცი ეუბნება ცოლსაო:
- 35 „ნუ გეშინიან, მარიამ,  
 ნუ გაიტეხამ გულსაო,  
 იქნება კიდევ მოგირჩე,  
 არ გაგირიო ქვრივისაო“.

### 340. წარუველთ გოგი

- ცხვარი დიქს ჩემეფთინა  
 პატარ ნაქერლის ძირსაო,  
 გართაის ჯარი დეეცა  
 პატარა ხმელეთისაო,
- 5 წარუველთ გოგი წამოსწვდა  
 პატარა ხუფრის ძირსაო,  
 ისე გაკაფა ლეკები,

- როგორც ტოტები ხისაო,  
 ისე დადგება ღვარები,  
 10 როგორც ელღვარი მცისაო.  
 წარუველთ გოგი შინ მოდის,  
 თოფები მააქვს მტრისაო,  
 ას თოფი, ას იარაღი,  
 ას ხელი გულხადრისაო,  
 15 ისე მორეკა ის ფარა,  
 ბეწვი არ დააკლდისაო,  
 ისე გაივლის ლეკებში,  
 როგორც პაქარნი ღვთისაო.  
 ისე დაჰხოცავს ლეკებსა,  
 20 როგორც ბიგაი ღვთისაო.  
 გამოვიდოდა ჯარჯუი,  
 როგორც ბელადი ღვთისაო.  
 ჯარჯუი ამოივლიდა  
 ავჭალას დილაობითა,  
 25 აქ ტვერ ნარჩევი ბიჭები  
 წინ შაუკრავენ სანგალსა,  
 გამოვარდება თოთას ხირიმი,  
 იაკობ ჯარჯუი იქ დარბის,  
 ცხრანი მოგვიკლა ხელდახელ,  
 30 მეთეს თავი მოგვიჭრა,  
 ათ ხელი, ათ იარაღი,  
 შინ მოსვლა მშვიდობითაო.

### 341. თუშის ცხენი

- ცხენი ეტყოდა პატრონსა:  
 ცხენტ წინ ნუ დამაყენებო,  
 ცხენტ უკან დამაყენიდი,  
 ვითომც დაგივარდ გზაზეო.  
 5 ცხვარსაც ნუ გამაყოლიდი:  
 ჯანგ არ მომკიდოს ნალზეო;  
 სველია ცხვრისა ბილიკი,  
 ფეხი დამიცვლებ ნამზეო.  
 თუშთ რომ გაუშონ თარეში.  
 10 ლაგამ დამადევ თავზეო,  
 ვძელსა შარასა დამაყენ,

- მაშინ დავგოგდებ ნალზეო;  
 წინ წამიყვანე ბაკის კარ,  
 თვალ მქონდეს მოჭერეზეო;  
 15 მოჭერე ღმერთმა არ მოგცეს,  
 მწყემსებს გაუვლოთ განზეო.  
 სახელსაც მოგატანინებ,  
 სწორებ არ დაგივიწყებენ,  
 ლეკურს გავიდნეთ მთებზეო.  
 20 ქალებ შაირში გათვლიან,  
 თუშეთს მბრუნავნი ბანზეო.

### 342. დიდოს გამეფდა შადური

- დიდოს გამეფდა შადური,  
 არა დგას თავის ტანზედა,  
 გამოუძღვება ლაშქარსა  
 არხოტის ქარავანზედა.  
 5 ქალას ჩახედა ვაცებსა,  
 გული დარჩება ცხორზედა,  
 შუალამის დროს დაეცნეს  
 მაგათ დიდ-ფარა ცხორზედა.  
 სულ გამაიქცნეს მწყემსები,  
 10 ერთი არ დარჩა ცდაზედა,  
 გაგზავნეს კაცი ჭილოსა,  
 ლაშქარ მოვიდეს წამზედა.  
 თოფი ქუხდა და ელავდა  
 თავის ყირიმულ ხმაზედა,  
 15 დააყრევინეს საქონი,  
 გამაგზავნეს გზაზედა, —  
 გარეკეთ თავის საქონლის  
 საცხოვრებელი ყმაზედა.

### 343. ინდურთას ხუცის ციხეო

- ინდურთას ხუცის ციხეო,  
 ქვამც ნუ გდებია ქვაზედა.  
 მუცალამ ჯარი შეყარა,  
 ციხევ, შენს მუქარაზედა.  
 5 ზავ მისცეს აღმა სამციხელთ,  
 გზა ნებას დარჩათ ტიალი.

- წავიდეს წოვათ მინდორში,  
 ციხეს დაუწყოთ ომია;  
 წოვათ უნოცოთ ბიჭები,  
 10 ცამდინ აუშვათ ალია.  
 წოვათით დაგვრჩეს ქალ-რძალი,  
 გადვაკვალინოთ მთანო,  
 გადვიდეთ ალაზნის თავსა,  
 იქაც მოვავლოთ თვალიო.
- 15 დავბლერტოთ ალაზნის მთანი,  
 ცხენ-ცხვრიან-ხაროვანია.  
 წოვათ ავილოთ ცხენ-ძროხა,  
 გზა-გზა გვიკვლიონ კვალია.  
 ციხევ, შენ ველარ გატეხენ,  
 20 მუქარით გაშინებენა.  
 ყანკიავ ყანკიაურო,  
 ხმლით ცემას გიპირობენა;  
 სახმლეთაც ვერას გაგბედვენ,  
 ყმაწვილ ხარ, გაშინებენა.
- 25 შემოდის ჩაღმთა ლაშქარი,  
 გზა არ სცალდებათ ტიალი.  
 შეიბნენ შუა ღამისას,  
 ბორტვი შებლერტეს ცვრიანი.  
 მაშინ გაიქცა მუცალი,  
 30 ქალი მისტიროდ თმიანი.  
 შეხედვენ, მაკერის მთაზე  
 თოფების დადგა ტყრიალი.  
 შეხედვენ, მზე ჩასვლის ღროსა  
 ხმლებისა დადგებ პრიალი.
- 35 მუცალის ცოლი ტიროდა:  
 მუცალს ყვავი სჯობდ ჰკვეითაო.  
 ადგა, წავიდა თუშეთსა,

#### 344. თუშები საქორაოდ

- თუშები საქორაოდა  
 კიდუს თავ გროვდებიანო,  
 ელიან უშაკალასა,  
 წინამძღვარს ღონდებიანო.
- 5 თავში სკირს ლეკის ნაკმლევი,

- მუქლნი მით გვიანდიანო.  
 გაუძველ, ბექურიშვილო,  
 ლურჯასა გიქებდიანო.  
 ცხენს შაჯდა ბექურიშვილი,  
 10 შარანიც შახანდიანო,  
 აქორას კაცი გაგზავნეს,  
 ლეკნ სიცილს ჩაწყდებდიანო:  
 „ბევრი გვოქვ ტყვია-წამალი,  
 ახლოს ვერ მადგებდიანო“.
- 15 შუალამის დროს თუშები  
 აქორას დაეცნიანო,  
 ციხეს იმ აქორელთასა  
 ლიბუთით გამაშლიანო,  
 წყემსებს იმ აქორელთებაა  
 20 ჩარდახთით ჩამაწყრიანო,  
 ვაც-ვერძსა აქორელთასა  
 ბაკის კარს გაუქსნიანო.  
 ზოგებ ქავეს გარეთ ომობენ,  
 ზოგნ ქავეში გარდადიანო;
- 25 ამანდით დაქცეულები  
 ლეკნ ერთუცს არ უცდიანო:  
 „მავეკლიდით სამ-სამ, ოთხ-ოთხი“.  
 მკვდარ თვალით ვერ ნახიანო.  
 შინ ცოლებს მათუყუებენ:  
 30 კარში სხვათ რას ეტყვიანო.  
 თუშებმ დახკარგეს მგელაი,  
 ამხანიგნ იძევდიანო.  
 წინ ლეკი, უკენ მგელაი  
 ირმებულ მაფრინდიანო.
- 35 „აღარ გაგიშობ ცოცხალსა,  
 თუშები გამგმობდიანო“.  
 კმლისას გახკვირან გაქრასა,  
 ნაქრევენ შაყარნა ქვაზედა,  
 საკარგემოდ გამაბრუნვილი,  
 40 ყოჩო, მაგიჟკლევს რქაზედა.

345. ამბობენ, არა სტაჟვიან

ამბობენ, არა სტყუვიან,  
 უსუფი ჭარებს ყრისაო;

- სანადიროში ჩაუვლენ  
ლომსა მას ფილაურსაო.
- 5 „ვა დედას ივანესასა,  
ბინდი მებურა პირსაო,  
თორემ შინ ვერას გაგიშვებდ,  
სარდალო უსუფისაო“,  
ახლ ყველას გეყურებოდეთ,
- 10 მათს ნუ ენდობით ძილსაო.  
გადადის დიდგვერდისაკენ,  
ფარა დაზვერეს ცხერისაო;  
შუ ლამეს ჩაეხვევიან  
მეშელის გიორგის-გმირსაო;
- 15 ხუთთ სცემდის მეშელის გაზდილი,  
ვადა უმღერის ხმლისაო!  
გიგოლე ვანოს გაზდილმა  
ყავლი გაათავ ცხერისაო.  
იძახეს გომეწერის უბით:
- 20 ფარა წაიღეს ცხერისაო.  
ჩალის-ფერ მგელაურიძეს  
ირემს ღგავს, გაფრინდებოა;  
ზედ იჯდის მგელაურიძე,  
თუშმა იცოდა ცდისაო;
- 25 მთის ძირზე მიეწეოდა;  
საით მირეკავთ ცხვარსაო?  
თოფ დახკრა მგელაურიძეს,  
ცისკარი ჩაქრა დღისაო.  
სანგლითა ვინა ომობდი,
- 30 სახელ თქვის ზურაბისაო;  
თოფ დახკრეს გორგის ზურაბსა,  
ნაპირი მოსტყდა ცისაო!..  
წიწო ომობდი, დარქიზან  
ბიძაშვილთ მეტობაზეო;
- 35 წიწო, ვინ მოხვალ ხადიძე,  
ვალ ვინ დაიდევ მგლისაო  
მოგწონდა იარალზედა,  
ქება შორს წავა მტრისაო.  
სამდევროთ ჩაღმათ ბიჭები —
- 40 არწივენ მოხკივინ მთისაო,  
ზეთავ დათამაშდ თუშები;

- დღე გათენდ ჩვენის ცდისაო.  
 მტრის გუნდი მიუდიოდა  
 დავით ბილოძის შვილსაო,  
 45 დედაცა ბევრის ატირე,  
 ცოდო დაიდევ მტრისაო.  
 ომაი კელესაური —  
 ქორი მოხკივის მთისაო,  
 აქის მოუშვით, თუშებო,  
 50 ნარჩომი თქვენის ხმლისაო!..  
 ხუთნ ჩაეხვივნენ იმასა,  
 მომკლავ ხარ ორ-ორისაო,  
 ლეკნი ჩივიან უსუფთან  
 თავის და თუშთა ცდისაო:  
 55 თუ ჩვენ თუშთ მთანი დავლახნოთ,  
 შვილს დავსწყევთ შვილის-შვილთაო!..

#### 346. რჯულიანსა და ურჯულოს

- რჯულიანსა და ურჯულოს  
 შუაზედ უსხენ მთანიო;  
 გადმიაარეს ლეკებმა,  
 გადმოავლიან თვალიო,  
 5 პანკისის ქალას ჩაპხედვენ:  
 რა ადვილ საშოვარია;  
 ქალაზედ შემოფენილა  
 ფშავლის ძროხა და ცხვარია;  
 თან მაპყეებიან მწყემსები,  
 10 ფშავლის ქალი და რძალია;  
 დაბნელდა ღამე ტიალი,  
 ქათმის ყიულის ხანია;  
 სამგან დასჰეხეს თოფებმა,  
 სამგან ავარდა ალია...  
 15 დავითავ გახუათაო,  
 ღმერთმა გაცხონოს მკედარია,  
 თოფიმც გჰერიყო ხელშია,  
 ანა ხმალი და ფარია,  
 ანამც გყოლიყვნენ გვერდითა  
 20 ფშავლები შენი ძმანია.  
 თათარამ ცხვირისის შვილმა  
 მარტომ შაყარა ჯარია,



- ლეკებს გაუდგა მდეერადა,  
 ღმერთო, დასწერე ჭვარია!
- 25 ისახელებენ თავებსა,  
 ყველა მამაცი არია...  
 საყორნეს მიეწევიან,  
 თან მისდევს სისხლის კვალიო,  
 თავს ადგა წმინდა გიორგი,
- 30 თავის ლაშარის ჭვარიო;  
 უწინაც ბუსურბნისადა  
 არ შაურჩენავ ვალიო;  
 ყველა ესროდა თოფებსა,  
 არც ვინ დაზოგა თავიო;
- 35 არც მისცეს ტყვედა ლეკებსა  
 თავის ქალი და რძალიო.  
 ამა ლექსისა მოთქომი  
 ვარ რაიბულის ქალიო,  
 ხელში მიკირავ ჩხირწინდა,
- 40 ცრემლით მევსება თვალიო!...

#### 347. ლეკნი წამოვლენ ლეკეთით

- ლეკნი წამოვლენ ლეკეთით,  
 საისკე მიმდინარნია.  
 ჩამოიარეს პანკისი,  
 ილტოზე დასხნეს გზანია.
- 5 მოდიან, მაკითხულობენ:  
 „ფშავლებს სად ედგა ცხვარიო?“  
 დასციან უხანოს ხანსა  
 ხორშან-ჩიკოვლებს ცანიო.  
 თათარამ ყორიაულმა
- 10 ქოხო, შაგაბა რკინის კარიო.  
 დაუხვდა შიგა გულბათი,  
 ყმაწვილი უმეცარიო...  
 ღმერთმა გაცხონოს გულბათო,  
 მოგცნას იაღნი გზანიო!
- 15 მარჯვენა მოგქრეს ლეკებმა, —  
 მარცხნით მოუკალ სამიო.  
 ამა ქართულის მათქვამი  
 აბა ჩალხური ვარიო.  
 მანდამანც გტანებიყავ, გულბათო,

20 ბაწარაულიმც მქონიყო ხმალიო.  
მხარს თუ ვერ გიჭერდი, გულბათო,  
შორითაც მეგო თვალიო!

### 348. ბიჭო, ვინ მოხვალ შინიღამ

ბიჭო, ვინ მოხვალ შინიღამ,  
დედის ხარ გაჯავრებული,  
ჩამოხვალ ნაქერალშია,  
ცხვრისა იქნები ჩობანი,  
5 ქვათანის გორზედ ჩამოშალ  
თეთრი შიშაგი ცხვარია.  
ცხვარს წინა ჩამოუძღვები,  
როგორც ირემი ხარია,  
ტანზედ შეგშვენის აბჯარი,  
10 როგორც ხარ-ირემს რქანია,  
კიდუკის მთიდან შეგასწრო  
ოლოხანამან თვალია.  
ზოგმა თქვეს, მოდი დავეცნეთ,  
თუშის გავრეკოთ ცხვარია.  
15 ზოგთა თქვეს, ნუ დავეცემით,  
თუშ გულად მეომარია!  
არ დაიშალეს, შუალამ  
ნაპირზედ შეფთხვა ცხვარია,  
შესძახა, ახლოს მოდექით,  
20 შველათ ხვთისავარ ვარია.  
მე ხომ არ მოვეცდებ, უძევარ,  
თუ ხელში შემრჩა ხმალია,  
ლეკებს მოუკალ ბელადი,  
მსახურ წინ გაიმძღვარია.  
25 ახლ დაიკვებთ ლეკებო,  
თუ როგორ გქონდათ ომია.  
აღარ გყავთ ოლოხანაი —  
სისხლის შეღება მთანია.  
მადლობა შენთვის, უფალო,  
30 მეც ხომ აქ დავრჩი მკვდარია,  
მარჯვენა ხელიც ხო მომჭრეს,  
სისხლმან შემიღებ ტანია.

- ვებუში უშიძის შვილი  
 ჩილოელია ცხვარზეო,  
 უშიში, გულადი თუმი  
 ფარას აძოვებს მთაზეო.
- 5 ქვიშა ლეიბად უგია,  
 ცა ახურია თავზეო.  
 ხელში უჭირავს ბერდენკა,  
 მტერს ელის ყოველ წამზეო.  
 ლეკი გამოჩნდა მთის წვერზე,
- 10 ფაფახ ახურავ თავზედა.  
 იობი ეტყვის ამხანაგთ:  
 ა, ის ვინ გაჩნდა მთაზედა,  
 აბა წავალ და გავიგებ,  
 აბჯარ აისხა ტანზედა,
- 15 შორიდან შემოუძახა,  
 ლეკო მომიცა გზაზედა,  
 მაიცა, ერთად ვიუბნოთ;  
 რისთვის მოსულხარ მთაზედა.  
 ლეკი გაქცევას გაბედავს,
- 20 იობ გაჰყვება კვალზედა.  
 წამოეწია იობი,  
 იმ ოღრო-ჩოღრო მთაზედა.  
 მიუახლოვდა იობი,  
 ლეკი მობრუნდებ წამზედა.
- 25 ორთავ შემართეს თოფები,  
 გაუხდებ დასწრობაზედა.  
 ორთავ მოარტყეს ერთმანეთს,  
 სისხლი გადმოსდით ტანზედა.  
 მეორეს ვინლა მოასწრებს
- 30 საბედისწერო ცდაზედა.  
 მეორე იობას უსწრო,  
 კეფხა ახგლიჯა თავზედა.  
 წაიქცა დაღისტინის ლეკი.  
 სისხლი ჩამოსდის ტანზედა.
- 35 მაიცა ლეკო, ნუ სწვალობ.  
 ველარ წახვ ჯაპათზედა.  
 სამი დღის პურით მოსულო

- აქვე შევეკამოთ მთაზედა.  
 მეც აქა ვრჩები ძმობილო,  
 40 მძიმედ დამკერი ტანზედა.  
 ნეტა ვინ გააგებინებს  
 ჩილოელიძის შვილსაო,  
 მწყემსი მოგიკლეს დავითო,  
 ჩობანი შენი ცხვრისაო.  
 45 ვინ უპატრონებს ვებუში  
 იობის თუშის შვილსაო.

### 350. აგარდა ირთი ურჯულო

- ავარდა ერთი ურჯულო  
 ლეკ იყვა დოღბანდიანი.  
 მითხოვლებ ეუბნებიან:  
 „შატილი ქონებიანი,  
 5 ცხვარ-ძროხა შატილ ბევრია,  
 ქალნი სხენ ოქროს-თმიანნი ...  
 მავიდეს ქუდ-საქდელასა  
 ლაშ-ართხმულნ ცხენნი ტიალნი...

### 351. ბელაქნიდამ წამოვიდა

- ბელაქნიდამ წამოვიდა  
 სამი დიდი ჯარია,  
 საქობოს ბოლოს მოვიდა,  
 იქ რო დიდი წყალია.  
 5 ბელადები დაიქიდნენ,  
 დადგა დიდი ღვარია...  
 ჭარში ბიჭი დაიკარგა,  
 ყაყაჩოა—მთვარეა. —  
 — ლეკო, ბიჭი დამანებე,  
 10 — დაგანებებ წამია,  
 ესროლა და გადმოაგდო  
 ის ბელაქნის თვალია.

### 352. იარე, ბიჭო წაუდეთ

- იარე, ბიჭო წაუდეთ,  
 გზა შევეკრათ ჩვენი მტრისაო,  
 ტყვეები დავაყრენით,  
 მადლი გვეყოფა სხვისაო.

### 353. ტყვეების დაპყრობის

- ლოპოტას ჩამოდიოდეს  
ლეკები წულიანები,  
მიუდიოდათ კახები  
ტირილით, ცრემლიანები.
- 5 ლეკებს მგზავრ შამეყარათ  
თუშები თოფიანები.  
„ლეკო, გიკვებნავ ლეკეთსა:  
„თუშეთსა შავისწავლიო“;  
ის აღარ მოგიგონებავ,
- 10 მზას გვაქ ნაკუდა კმალიო“.  
კახებ შინისკე გაიქცენ,  
ლეკ-თუშთ დაუწითდ ცანიო,  
ლეკთაცა აქორველათა  
კარგა უჯერებს კმალიო.
- 15 ლეკმ მარჯვე გააწყვეტინა  
ფარსმანლის თუშის ძვალიო.  
საშველად შახვდა ახლოსა  
თუშის ლეოის კმალიო.  
ლეკი დაკაფა ლეომა:
- 20 „მაუტანიდით წყალიო!“  
თუშების ნაკოც ლეკებმა  
მკვდარმ დააგუბა წყალიო.

### 354. ლეკეთში არი ყრილობა

- ლეკეთში არი ყრილობა,  
ნეტა სად მიმდინარია?  
ადგეს და შამაიარნეს,  
ე დიდოეთის მთანია;
- 5 ჩამოხდეს ყვარის ქალასა,  
არ დასწვდა წვიმის ცვარია...  
შემოხდა ქუდიელზედა  
შვიდის'ბელადის ჯარია,  
წინ უდგა კოშკაიშვილი,
- 10 ლამაზი უდგა მხარია,  
იქით მზევერავებ დაგზავნეს,  
ხაშარს დაავლეთ თვალია...  
მაუვლენ დალადებულნი,

- ადვილი საშოვარია;
- 15 არა ჩანს ფშავლიშვილები,  
არცა იმათი ჯარია.  
ორმაბათს თენების ხანსა  
ხაშარს დაგვეცა ჯარია,  
მძინარე გამამალვიძეს,
- 20 თავში დამარტყევს ხმალია;  
ვერ აქრევიწეს რჯულ-ძალღთა,  
რომ გაეხეთქა თავია...  
დარჩია ბურღიაული,  
ღმერთმა აცხონოს, მკვდარია!
- 25 მარჯვენა მასკრეს ლეკებმა,  
მარცხნით იხმარა ხმალი!..  
მეშვიდეს წასცა წვერითა,  
ველარ იარა გზანია.  
აიხვენეს საბელადოში
- 30 ე დარჩიის ქალწილი:  
— ძმანო, აღარას გვიშველთა,  
ჩვენ დაგვაღწიან თვალიო?  
სტამბოლ-მისრეთში გაყიდეს  
ჩვენი ქალი და რძალიო;
- 35 მე არ მიყიდეს რჯულ-ძალღთა  
თათრის ბაზარზედ მდგარიო...

### 355. ნუმც იხდის

- ნუმც იხდის ხევსურთ შვილები  
ნახადსა ბადაისასა,  
ორჯერ დიდოეთს გაპყიდეს,  
მესამედ დაღისტნისასა.
- 5 იქილამ გამაიპარა,  
კვალს ვერ გაიგებს გზისასა,  
წინ კაცი შემოეყარა,  
ზულს ამქრევს ბუსურბნისასა.  
ნეტავ ღლე არი თუ ღამე,
- 10 კაცო, მიაპზე ღთის მადსა.  
— ღლეც არი, გურჯო, მზეც არი,  
ძალს უქნავ შიმშილისასა.  
პატარა პური მომეცი,  
ცხონებას შენი მკვდრისასა.

- 15 დასვა და ჰურიც აკშია,  
 დანდობას დახე მტრისასა.  
 ახლა გზას გამოასწავლის,  
 — საბძანოს დაჰყე შზისასა,  
 წითელ კლდეს მარცხნივ დასცილდი,  
 20 ბუდესა ვეფხვებისასა.

### 356. ოი შენ კი განაცვალე

უი შენ კი გენაცვალე,  
 ჩემო ანდრია მკვედლო!  
 შენ რო ხმალი არ მოგეცა,  
 ლეკები დამიპერდენო.

### 357. ნინია გობლიაშვილი

- რჯულძალი დაღისტნელები  
 რას მაიხოცენ თავსაო,  
 გადმოვლენ კოტორაშია,  
 დააღლევენ ილტოს წყალსაო.
- 5 ბობლიაშვილი ნინია  
 გამაახანებს გზასაო.  
 დილაადრიან წამოვა,  
 მეუფესა თხოვს ძალსაო.  
 დაიჭიყჭიყა ბელადმა:
- 10 — შამოვხვივნეთ გარსაო;  
 ნეტავი კმალი აქ მომცა,  
 დავაბრუნებდი ჯარსაო.  
 შენ კმალი ვერა გიშველის,  
 ურჯულო მოგქრის თავსაო.
- 15 ნეტა ვინ მიუსამძიმრებს  
 იმ ჩემ მთიულის ქალსაო,  
 მუტლებში ხელებს დაირტყამს,  
 თავში დაიციემს ქვასაო.  
 ობლები კარგა გაზარდე,
- 20 დაამჯობინე სხვასაო.  
 დილით რო წყალზე გაგგზავნო,  
 გადაუქცევდე თავსაო,  
 მალიმალ ჩამაიღებდე  
 მაგ სატილო კმალსაო,

25 მალიმალ დამიტირებდე,  
დაჯკრავდე ქვითინასაო.

### 358. ტჰველ ჴანიჰვანის

წავედი ციხსა მინდორსა,  
კურდღელი მოვკალ ბევრია,  
ასე გაველი ლიახესა,  
ფეხი არ დავისველია.

5 კარბი შევირთე ცოლადა,  
ტყვიავე ჩემი გერია.  
ის მაჰაძალი მარანა,  
ისიც სოფლებში სწერია!  
ერთი ძმა იქ დამეკარგა,  
10 მე დავრჩი მარტოხელია.  
მეც ლეკებმა დამიჰირეს,  
უკან გამიკრეს ხელია.  
ვეცადე, გამოვიპარე,  
ლამე გავტეხე ბევრია,  
15 ერთსა ჩალას მოვადექი,  
ჩალა იყო თუ ლელია,  
მე იმის ელდამ გამტეხა,  
გველი ცურამდა ბევრია.

### 359. გიგლია

ვინა ხარ, გულ-ჰირიანი  
დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზედა?  
ჰირით ჩამოლეე ზამთარსა,  
ზაფხულს მოელი ძალზედა...

5 საბუელებსა ჰკითხავდა...  
— ლეკნი სად დიან გზაზედა?  
— თუ მკითხავ, გურჯო, გიამბობ:  
ჩაუჯე ყორნის წყალზედა;  
მოდიან ლეკის შვილებნი,  
10 ნასახელებნი სხვაზედა,  
ფშავით მაუდის ტყვეები,  
ქალნი ტირიან ძალზედა;  
ნატრობენ კაცსა ქართველსა,  
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.



- 15 — ნუ სტირით, ქალნო ბეჩვენო,  
 გიგლია გიზისთ გზაზედა!...  
 თუ ლეკებს წაგაყვანინოსთ,  
 წვერ ნუ დაესხას ყბაზედა!  
 ნუმც იტირებენ დედანი,
- 20 სწორნიმც ნუ დასმენ ჯარზედა!  
 წინ-წინ მიარტყა ბელადსა,  
 ცეცხლი დაჰხვია თავზედა;  
 მეორე სარქალს მიარტყა,  
 ვისაც ქალნ ებნენ ჯღანზედა;
- 25 მერე ხმლით გადაეტია,  
 ხუთნი შეაპრნა ხმალზედა.  
 ქალებ შინ გამაისტუმრა:  
 — „მშვიდობით, დებო, გზაზედა!  
 მე თუში, თქვენაც ფშავლები,
- 30 ნუ გამცვლით სხვა-და-სხვაზედა!  
 ნუ იტყვით ჩემსა სახელსა,  
 ვიყვნოდეთ და-ძმობაზედა!..

### 360. ნანა თორღვანის ქალი

- ჩილოს წისქვილში ატირდა  
 ნანა, თორღვანის ქალია,  
 ჩონგურსა კარგა უკრავდა,  
 მთელი თუშების თვალია,
- 5 უკრავდა, თან დასძახოდა:  
 — ღმერთო, მიცოცხლე ქმარია.  
 შენ მამაჩემო თორღვაო,  
 წელს ნულარ გერტყას ხმალია,  
 ნულარც გიხოცავ ლეკები,
- 10 ნურც გაგეკვლიოს გზანია.  
 მომერგო მეწისქვილობა,  
 ორშაბათ ღამე არია,  
 იქავ მომიხდენ ლეკები,  
 თავს დამაქციეს ბანია.
- 15 იქავ მომიკლეს ძმა ლევან,  
 სისხლისა დადგა ტბანია,  
 დავჯექ და ბევრი ვიტირე,  
 ზედ დავაფარე თმანია,  
 ხელ მოსპრეს, უბეს ჩამიდეს,

- 20 გადამატარეს მთანია.  
ავედით სალეკო მთაზე,  
უკულმა ბრუნავდ ქარია,  
ქარია, არცა ქარია,  
ლევანის ცოდვა-ბრალია,
- 25 სულ ფეხშიშველა მატარეს  
ის დათრთვილური მთანია.  
ავიხსენ საყურ-ბეჭედი,  
იმით დავნიშნე გზანია,  
მკლავით ვიყარე ზალტები,
- 30 — მღევართ გაიგონ კვალია.  
— სადა ხარ, ჩემო გიორგი,  
რით ვერ გაპკვლიე გზანია,  
ადექი ჩქარა, წამოდი;  
მალლა შეიბი ხმალია,
- 35 აისხი ტანზე აბჯარი,  
მხარს გადიკიდე ფარია,  
ხელთ დაიჭირე სიათა,  
გადმოიარე მთანია,  
ჩამოდი დაღესტანშია,
- 40 ნახე რა დღეში ვარია,  
ჩონგური ხელში დამეწვა,  
ვაი აწ ჩემი ბრალია.  
ქალი, ქმრის უნაწილოი,  
ურჯულოს ვრჩები ცალია,
- 45 თუ მალე არ მომეშველე,  
უნდა მოვიკლა თავია.  
სოფლად თუ ვერას ჩამოხვალთ,  
მთიდან წაასხით ცხვარია,  
ტყვის სახსარს ნულარ მომძებნით,
- 50 სათქვენო აღარ ვარია.  
რჯულია ხელუხლებელი,  
ურჯულოს ნებას ვარია,  
მაჭმევენ ცხენ-კვიცის ხორცსა.  
ქალი ბუსურბან ვარია.
- 55 გიორგი მისული იყო,  
ესმოდა ქალის ვაია,  
ვერ მოითმინა გიორგიმ,  
ცრემლით აევსო თვალია,

- გიორგი ბანით ჩაეშვა,  
 60 როგორც შურდულის ქვანია,  
 სანამ ლექსს დაათავებდა,  
 ლექებს დაჰკრა თავია,  
 ქალი ცხენზე შემოისვა,  
 გამოატარა გზანია,
- 65 დასთვალეთ ლექის შვილები,  
 გიორგის ნახანჯლარია.  
 ეს დალესტანმა გაიგო,  
 შეყარა დიდი ჯარია,  
 ათამაშებენ ცხენებსა,
- 70 კაი ბიჭებიც არიან.  
 ბელადი ეხვეწებოდა,  
 კარგათ მონახეთ კვალია,  
 მღევარსა გემართებს სიფრთხილე,  
 თუ რომ გიორგი არია,
- 75 ბევრჯელ მინახავს ჩხუბშია,  
 მაგარი აქვის მკლავია.  
 ცხენსა და კაცსა ჰყვეთამდა,  
 მიწას ესმოდა ხმალია.  
 ქალი ეტყოდა გიორგის,
- 80 — ვაი აწ ჩვენი ბრალია,  
 მღევარი მოგვდევს დიდძალი,  
 არა გვაქვს შესაფარია,  
 სამარედ გადაგვექცევა  
 ეს დათოვლილი მთანია, —
- 85 ჩაიცინა და გიორგიმ,  
 არ შეიხარა წარბია.  
 — იქნებ არ იცი, გენაცვა,  
 როგორ სჭრის ჩემი ხმალია.  
 თუ შენ მაგათ გაგატანო,
- 90 მხარზე ნუ მებას მკლავია,  
 მაცალეთ, ლექვის შვილებო,  
 ხუროთ აგიგოთ მკვდარია,  
 კაფა და კაფა ლექები,  
 მიდის სისხლ ნიაღვარია,
- 95 — ქალო, მომეცა განზედა,  
 შენც არ მოგაჰკრა თავია.  
 ეგრე გაწყვიტა ლექები,

- მოამბეც აღარ არია.  
 ქალი ცხენზე შემოისვა,  
 100 გადმოატარა მთანია,  
 კიდევ დალახა ქალამა,  
 ხომარელთ დიდი მთანია,  
 კიდევ ნახა დედ-მამა,  
 კიდევ შეალო კარია,  
 105 ნამტირალევსა დედასა  
 გადაუწმინდა თვალია,  
 — ნულარ იტირებ, დედილა,  
 შენი ქალ ცოცხალ ვარია,  
 ღმერთმა მიცოცხლოს გიორგი  
 110 და შეარჩინოს მკლავია,  
 ეგრე გასწყვიტა მდევარი,  
 მოამბეც აღარ არია,  
 გუშინწინ დაღესტანს ვიყავ,  
 ეხლა კი სახლში ვარია.

### 361. მიჰა

- თუშთა ქალი ვარ წოვათი,  
 სიტყვას ვერ ვამბობ. — მცხვენისა:  
 წამამიყვანეს ლეკებმა,  
 გზანი მავლიენეს ცრემლითა.  
 5 დამთვრალეებმ თუშიშვილებმა  
 ერთურთ აღვიძეს კელითა.  
 გავხედენ, — ჩამოდოდა  
 თუში მიქაი ფრენითა.  
 თავი სჭრა ლეკიშვილებსა,  
 10 კალთა ამივსო კელითა.  
 ნეტავი, თუშო მიქაო,  
 შვილი გქნა მამის-ჩემისა!  
 ლეკებ რო დაგატყვევებდენ,  
 გიქანნიდი მამის ცხენითა.  
 15 თუ ცხენით ვერ დაგიქანნიდი  
 — საყურ-ბეჭდითა ჩემითა.

### 362. მიღელაურის ლექსი

გველ-ხუჯას იყო ვაჟოძე,  
 ლეკი ღვთისაგან წყეული,

- ის იყო გამარჯვებული,  
ტყვების ტაცებას ჩვეული.
- 5 ემზადებოდა ვაჟოძე,  
დრო, თიბათვისა ხანიაო,  
ტყვეების მოსატაცებლად  
გული არ მოუფხანიაო.  
წავიდენ მუქარაზედა
- 10 ლეკის შვილები რვანიაო.  
ჟინვანის ხიდზე ჩავიდენ,  
თორის ამოსვლის ხანიაო,  
მაილაზრება არაგვი,  
მაანგრევს არე-მარესაო.
- 15 — ესრე წავიდეთ ბიჭებო,  
შავყვეთ არაგვის მხარესაო, —  
ჯერ არ გეველო ვაჟოსძეს  
ე მაგ ლომისის მთაზედაო.  
იმ დღესა ჰქონდა მთიულთ
- 20 დღეობა ხატის კარზედაო.  
ქვეშეთის გამოსავალსა,  
ლეკები ჩასხდენ გზაზედაო.  
ჯანს უზმენ ვაჟოძის ცხენსა,  
ალარა დგება გზაზედაო.
- 25 ცხენს შასვეს გიორგის ცოლი,  
დალისტანს წავა წამზედაო.  
სწრაფად ავიდა ამბავი  
ხატში ლომისის კარზედაო:  
იფიქრეთ, ახალგაზრდებო,
- 30 მტერ დაგვეცემია თავზედაო —  
გიორგი მილედაური  
ლუღსა სვამს, იჯდა ჯარზედაო.  
ჯერ მძიმედა ზის ვაჟაკი,  
ჩქამსაც არა ძრავს ჩქაშზედაო.
- 35 დასცლის ლუდიან ჯამასა,  
მელვინეს აწვდის წამზედაო.  
სწრაფად ჩააწყდა ყურშია:  
— ცა გატეხილა რისხვისაო...  
ამბის მიმტანთან მივიდა,
- 40 — გული აქვ ანათრთოლარი:  
— ნეტარ ვინ იყვნენ ქალები,

- ლეკებს რომ წაუყვანიაო?  
 — ერთი შენი და სოფიო,  
 მეორე, შენი ცოლიო, —
- 45 საწყალო, ვეღარ გელირსოს,  
 მასთან წოლა და ძილიო. —  
 ეგეთი ამაიგმინა,  
 თითქო გველმა ჰკრა კბილიო.  
 ხატის წინ მიდგა მთიული,
- 50 ჩოქსა და სალამს ჩვეული:  
 — მეგესალმები ლომისავ,  
 შენს ყმაჩი გამორჩეული.  
 მარტო მას გელით, ღვთისშვილნო,  
 მისმინოთ თქვენსა მონასა:
- 55 გზა-კვალს ნუ ამარეინებთ,  
 დამწივეთ ლეკის ფარასა. —  
 ესა სთქო, გადმოფრინდება  
 — ეხლა ხანია ცდისაო!  
 მაშინ ინატრა სალარი
- 60 მუქლად გამვლელი გზისაო.  
 სწრაფად ავიდა ჯადაში  
 ბნელობა იყო ცისაო,  
 მოესმა დედის ტირილი,  
 ხსენება თავის დისაო,
- 65 ყელში მოადგა ტირილი  
 და გაიმავრა ყბებია,  
 გიორგი კმაზავს სალარსა  
 გულზე ცეცხლ მონადებია.  
 — მივდივარ ჩემო დედაო,
- 70 მეც იმათ კოლზე ვკვდებია. —  
 სეფეს გავალის სიმამართან,  
 გული აქვ ანათრთოლია...  
 — გმარებებს მიშველო, ცოლის ძმავ,  
 მიძმო, მიჭირო მკარია.
- 75 — მე დილასავე გელოდი,  
 წამლით გავავსე მათარა.  
 შენსა ლოდინში, სიძეო,  
 გულმა ათასად გამდარა.  
 ცხენმა რო დაიჭიხვინოს,
- 80 შენი მეგონა სალარა. —

საპი დღის გადასავალი  
გიორგიმ წუთზე გალღარა.  
გადაეწივა ლეკებსა  
თოფმა გაიღო ჩქამია.

- 85 ესროლა, მოხვდა ვაჟოძეს,  
მოსწყდა მარჯვენა მქარია...  
შვიდ მოკლა, ერთი გაექცა,  
ისიც ტყვიით მთვრალია.  
ცხენდაცხენ გადაეწივა,  
90 შემოათალა თავია.  
შინვე მოასხა ქალები,  
როგორ რჯული და წესია.

### 363. მთიულეთი გახლდათ ჩოჩქოლი

- მთიულეთ გახლდათ ჩოჩქოლი,  
ტერი დაგვეცენ თავზედა.  
გიორგი მიდელაური  
ლომისასა ზის ჯარზედა.
- 5 ავსებულ თასი გასტყორცნა,  
აი ხატის მეიდანზედა.  
— ებრაელიძე, წავიდეთ,  
პური-ქორც ვქამოთ ჯარზედა.  
ქალები დაუტაცნია
- 10 მა ქვეიშეთის გზაზედა, —  
გავარდა გიორგის თოფი,  
პირ ცეცხლი გაიყოლაო,  
მკრებში ააჩნდა კუნელი,  
ნისლივით აიყარაო.
- 15 ბურთივით დაიტრიალა,  
ყირაზე გადაიარაო,  
დედა გენაცვლოს, გიორგი,  
არ მახველ ცარილაო,  
სიმღერით ჩამავლივე
- 20 ფშავ-ქვესურეთის ქალაო.  
დედამ იშრომოს ეგეთზე,  
გაზარდოს შენისთანაო!  
კადელსა მიდელაურსა,  
ქოხი აუგავ კმლისაო,

25 წინ დერეფანი დაუდგავ  
სამკლავე საფუხრისაო.

### 364. მარო წავიდა წყალზედა

მარო წავიდა წყალზედა,  
კოკა ეკიდა მხარზედა,  
შამოეყარენ ლეკები  
და შეაყენეს შარზედა.

5 — მომეტალენით ლეკებო,  
ნუ შემაყენეთ შარზედა. —  
მარო წავიდა წისქვილში,  
თან წაიყვანა ძმანია,  
მარო შავიდა წისქვილში,

10 დაეცა ლეკის ჯარია.  
მაროს, მაუკლეს ძმანია,  
ცხვირში ადინეს ძმარია.  
თან მარო წაშიყვანეს,  
მარო ლამაზი ქალია.

15 სამი მთა გადმოაველივეს,  
სამი მთა თოვლიანია.  
იგლიჯა საყურ-ბეჭედი,  
ამით დანიშნა გზანია.  
— აგრე მიპოვოს გიორგიმ,

20 ჩქარა მომავნოს კვალია.  
მეორ-მესამე დღეზედა,  
ლეკმა მოთხოვა თავია.  
— ლეკო მოიტა ჩონგური,  
დაეძახო ბაიათია...

25 — სადა ხარ, ჩემო გიორგი,  
რით ვერ მამაგნე კვალია,  
ან ბიჭობა არ გივარგა,  
ან აღარ გიქრის ხმალია... —  
იმ ბაიათის თქმაზედა

30 გიორგიმ უგლო ყურია.  
ერდოდან ჩამოერივა,  
ამოაწივლა ხმალია.  
მარო მივარდა ბელადსა  
და ამოაძრო ხმალია.

35 მიკათ-მოკათა ლეკები,



არ დარჩა მეომარია.  
იქეთ მიდექი, გიორგი,  
შენც არ მოგაქრა თავია.

### 365. ჰერხოშინ დედან ატირდეს

- ჰერხოშინ დედან ატირდეს,  
ქალმა შასწყევნა ძმანო:  
— ან უპატრონეთ მამულსა,  
ან ქალს შემარტყით ხმალიო?..
- 5 ჩემსა უთხარით საქმროსა,  
ბარემ მაიკლას თავიო,  
კახეთში მაინც ჩავიდეს,  
იქით მორეკოს ჯარიო.  
საშველად ეგებ მოვიდეს
- 10 ხევსურეთი და ფშავიო.

### 366. ტყვე ქალის მოთქმა

- ტანად ალვი ვარ, პირად მზე,  
ქალი ნაქები თემისა;  
კარზე მიდგენან მთხოვარნი,  
ვირჩიე ლერწამ ტანისა.
- 5 ვაყია სახელოვანი,  
მებრძოლი დაღესტანისა.  
საქორწილეთ მოგვამზადეს,  
რაც ქრისტიანის წესია;  
ველოდით შაბათ დილასა,
- 10 უნდა დაგვეწერონ ჯვარია.  
შულამის ხანს გაგვიღეს  
ლეკებმა ციხის კარია;  
გამომიყვანეს საბრალო,  
ნაქები თუშის ქალია.
- 15 გადამავლიეს მთის წვერი,  
ცრემლით ვასველე გზანია;  
ჩამიყვანიან დაღესტანს,  
ლეკის მეხვევა ქალია;  
„ნეტავ კიდევ-ლა იქნების,  
20 თუშში შენისთან ლამაზი?“  
საქრმო იქ ამომირჩიეს,

- ლალ დაღესტნელთა ყმანია,  
 მომნათლეს, როგორც უნდოდათ,  
 დამაკარგვინეს რჯულია;
- 25 ტირილით ვერა ვიშველე,  
 ქალმან მოვიკლა თავია.  
 ვაბარებ ჩემსა საქრმოზე:  
 თუშო, რად გინდა ხმალია?  
 გადმოდის დაღესტანშია,
- 30 მტრისა იყარე ჭავრია;  
 სოფლად თუ ვერას ჩამოხვალ,  
 მთაში უტაცე ცხვარია.

### 367. ნანოზი მგელოძის ამბავი

- ახვას შუ უბან ასტირდა  
 ნანა მგელოძის ქალიო.  
 ქალო, ნუ სტირი, ნანაო,  
 ნულარ იბარებ ძმასაო,
- 5 ნულარ ძმაილა, ველარა,  
 ნულარ იშავებ თავსაო;  
 მთასა რო ცხვარი გადმოდის,  
 ფარა არს შენის ძმისაო.  
 გზათ ნანა მიეგებება:
- 10 ხელი მიჩვენეთ ძმისაო,  
 თუ მომიკალით ძმაილა,  
 პირი გაგიწყრეთ ღვთისაო!..  
 — ჩვენ ხელი ვერ გამოვიღეთ.  
 ხანი არ გვექნა ცდისაო;
- 15 კაცი მოგვიკლა ივანემ,  
 შიში ჰქონდ ნანოზისაო.  
 ივანესა და ნანოზეს  
 მზე წითლად ამოუდისო;  
 მთის ძირზე შემოგვეწია,
- 20 მგელოძის ნადირ ვარიო,  
 დაღვივლ და ჭარი დაგვიფთხვინ-  
 საით მიგიდისთ ცხვარიო;  
 უერთოდ აღარ დაბრუნდებ,  
 უნდა ვაწითოთ გზანიო.
- 25 მალევე დავაბრუნდიოთ,  
 შაუშოკლიდით გზანიო;

- დიკლოსა მთაზე გავსწირვია,  
 არწივს მოვსტეხეთ მხარიო,  
 — მე თუშეთს ველარ მოვღაღარ,  
 30 დიკლოს გავსწირავ წილსაო,  
 შვიდ წელს ვიწყემსეთ სამ ძმათა,  
 ვერ მოვიხმარეთ თავსაო;  
 ვერც დავიხსენით ტყვენია,  
 ვერც მოვახმარეთ კვლართაო!..

368. ნიკუა ნარიმანიძე

- ბიჭებო, მთიულთ შვილებო,  
 შაიბით ყველამ ხმალია,  
 ლეკებსა გაუტაცნიათ  
 ბუჩუკურთ შიოს ქალია.
- 5 სახლიდან გამოიყვანეს,  
 ძალით გატეხეს კარიო  
 და თანაც გამოირეკეს  
 შვიდასი სული ცხვარიო.  
 საურმე ხიდზე გავიდენ,
- 10 გამოიარეს წყალიო,  
 ნალორევში რო მოვიდენ,  
 ცხენზე შაისვეს ქალიო...  
 ნარიმანიძე ნიკუამ  
 წელზე შეიბა ხმალიო,
- 15 — ქალს არ შეგარჩენთ ლეკებო,  
 ნურვინ გგონიათ მხდალიო!  
 თორმეტი უკან მოდიან,  
 წინ წამოვიდენ ცხრანია.  
 მაგ ჩაბარუხის ხევზედა
- 20 ნიკუამ შაკრა გზანია,  
 დაუახლოვდენ ლეკები,  
 თოფმა მიიღო ჩქამია,  
 ზეზე წამოდგა ნიკუა,  
 ამოიწვადა ხმალიო,
- 25 გაჰკრა, გამოჰკრა ლეკებსა,  
 გაუშო სისხლის ღვარიო.  
 დანარჩენები გაიქცენ,  
 თუთხმეტი დარჩა მკვდარიო,

დაბრუნდა გამარჯვებული,  
30 წამოიყვანა ქალიო!

### 369. რაც გინდა ცამა იქექოს

რაც გინდა ცამა იქექოს,  
ღრუბელთა იბუქიროსა,  
ლეკებს არ წაგაყვანივებ,  
თავ არ მოუკვდეს ილოსა,  
5 მაინც გაგიყვან ქალო,  
საჩვენო სანაპიროსა.

### 370. ლეკების თარეში

კახეთს მოვიდა ლაშქარი,  
სამი ბელადის ჯარიო.  
აქით ტყვე წაუყვანია,  
დედუკა ჩვენი რძალიო.  
5 ნეტავი, დაო დედუკავ,  
მამცნა სამ-სამნი ძმანიო,  
რო გული აპტივდებოდა,  
ეკვლია შენი კვალიო!  
ანამც მაქცია ვაჟადა,  
10 მამცა თოფი და ხმალიო,  
კი საით მამაკლენა  
ი ლეკი — შენი ქმარიო.  
ერთ ქალად დაფასდებოდენ  
ლამაზნი შენნი თმანიო!  
15 მზექალავ გახუათაო,  
შენამც იალი ხარიო.  
საქმის საკეთოდ დამჯდარხარ,  
ქათმის ყიულის ხანია,  
საგრეხელაში მოვხელეთ  
20 შენი ნართავი ტარია.  
ქავთარო პაპისშვილო,  
შენი დაკარგვა ბრალია!  
კი მაინც დაპრჩა პატრონი,  
ღმერთო, დასწერე ჯვარია!  
:25 სუ ტიალ-ოხერს იტყვიან,  
ბეჩავი გორგის ქალია!  
ნუ დამგმობთ, ჩემო სწორებო,

- დამნანდენ მამის ძმანია!  
ამ თავის სიუქკოვითა  
30 სულ ავიშურენ სწორნია.

### 371. ქალაქიდან გამოვთხოვდი

- ქალაქიდან გამოვთხოვდი,  
ქალი ვიყავი თინაო,  
მცხეთოს ხიდთან რო მოვედი,  
ლეკმა შემამისტვინაო,  
5 მაყრები ისე დამიფთხვა,  
როგორც წყალში კიკყინაო.  
უხეირო ჩემმა ქმარმა  
მუხრანამდე ირბინაო,  
დალოცვილმა ჩემმა ძმამა  
10 გარე შამამირბინაო.

### 372. მურზაბები

- სააი-ჰოდი და... მურზაბეგსი დარ ხოჩანდა,  
სააი-ჰოდი და... იმარალე, ო, შევანათე;  
სააი-ჰოდი და... შევანა ჰაყრას კურ ჯიგენა  
ალა სიამნოვ ლაქსედა!  
5 მან ლეთიში ბასმანთარე,  
სგა ჯინქერდაბ აფხენეგ-მარე,  
ებწანხანქა ქა ხაგენად.  
„ბაზიო გუშგვედ სადგომ ირა  
ლუმურიშიო ბაჩარისგა“.  
10 მერმა ძინარს ეივ იგნალეხ,  
თვითი ისნავს მან ინჩღლებ:  
ეშხვი ლანშან ალა გვერა,  
გზავრობ ხოჩა მამა გვერა!  
ოგვად თოფრეშ ლიკვჭურალენე,  
15 ჩის ხოჩანდა თოყიშ თოფა.  
ჩუ გვაბეკვეა თოყიშ თოფა:  
მერმე ლანშან ალა გვეჩრა,  
გზავრობ ხოჩა დეშ დალ გვერა!  
აშ გვიბინა ლიზ-ლიჩედი,  
20 შყაევიში ქარვან სგა ლოგხვიდდა:  
მესმე ლანშან ალა გვერა.  
სგევიბინ ლიზის ლილეშგალედ,

- უივ გვაფეშა, ლიგნურძალედ;  
 სგეებინ ლიზის ლიმქირვალედ:
- 25 მეშთხვე ლანშან ალა გვერა.  
 თანალ-ზაგარე ამქედელიშ(დ),  
 კვიცრა ლოგ(ე)ხვიდ მასარდ ფედმას,  
 ოთცადუნედ თოფარ გუშგვემ,  
 ფათულდ ამნარ დეშ გვიკიჩა.
- 30 ქა ხვაგენად შეანაშ კოჯარს,  
 მურზაბეგსა ჰერ ხასგმდა,  
 გვიმლდსი ხოძგარ, ჰელ ესდგდდა,  
 ნაგანვეი ლგგ, შდიმილდ ხოხლა,  
 ლუშენუ გარგლა ჰურ ხესმოლდა.
- 35 დეცემუ კამრამხ გარ ჰურ ლოსგდიდ,  
 ლუშენე ნინეი გვიშელდალიხ:  
 „ეშხვი, ღორი, სემი, (ვ)ოშთხვე,  
 (ვ)ოხვიშ(დ), უსგვა, იშგვიდ...“ ისმი...  
 იშგვიდ მარე ლიროლედ ნამ.
- 40 ეი პგეშგლდნეს ამხენარედ გუშგვემ,  
 სსაი-ჰოდი და... ესნარს ყარელარ ხოგდახ,  
 გუშგვემდ თემლდ ღალ ქა ჰურ ხორკახ:  
 თაზილ ლგმარ, ივსელმანი,  
 ჯახულ ლგმარ, ომ, გიგანი.
- 45 ლექვა ამქედხ მუჟალათე,  
 ლაყვრან-ლაყვრან აბჟინალიხ;  
 ნაკარისგა ინზორალეხ,  
 უფგოშ-უფგოშ ივზირალეხ.  
 სგეებინ მუჟოლდ ბალუ ანთიშ(ხ)
- 50 ბატუ ანთიშ(ხ) ნავერმანი.  
 ბატულდ ხაქვე აფხნეგ-მარა:  
 „მი ხვინქრინე იშგვიდ მარა,  
 იშგვიდ მინ ლიხ, იშგვიდ ნამ ლესვდ“.  
 ქა ხაგენად მუჟალანქა,
- 55 უშხვარ ლახ(ხ)ვიდხ წანერისგა.  
 — იმავ ესლრი, მურზაბეგა?  
 — მგლახ-მეჟალდ ლამამხვალთე.  
 ს' იმავ ესლრი, მეშხე ბატუ?  
 — მი ებწანთე ლამამხვალთე.
- 60 ამეინ უშხვარ დეშ ლოქაბიდ!  
 დაშნილ ანცხეპ მუშხა ბატულდ,

- მურზაბეგას ბარჯგლდ ახქვიც,  
მერმე ლახტიხ, შდიმილდ ახქვიც.  
მურზაბეგას ჟივ ხოსიპა,  
65 ჟივ ხოსიპა დაშნილ მიჩა,  
ბატუს ჰეშნაეირ ხოჩიშა,  
მურზაბეგს დაშნილ ხაყევიჩა,  
ბგღეთესგა სგალალ ხოსკინა,  
ბგღე ბაჩვან ხოგვაშილახ.  
70 — აჯალ ანშიდლ, აჯალ ანშიდლ,  
ქვინილდ მიამ მამა მიზი! —  
ხატულინე მურზაბეგა.  
მერმე სწემარ ჟი ჭიხვიტახ,  
ეშხვი მარე დარ ჭიცივირახ.  
75 ო, ბოყვარე მუჟალვარე,  
თოყიშ დაგრას დეშ ახქიხედ!  
ოდ, საბრელა მურზაბეგა,  
ჟორი ნაგნი ბღეისგა ჭად.  
სააი-ჰოდი და... ეჩუნლო ღალ ჟი მეტხელხი.  
80 მუჟალითე ლექენ აშქედხი,  
ქერთბიშერთე სგა მეჩღელხი,  
ალიარდ ბეფშ(ვ) ქავ ჭიქვითა,  
ამჟი ებწანდ სგა მეჩღელხი.

### ბურზაბეგი

- სააი-ჰოდი და... მურზაბეგს ვერვინ სჯობდა;  
ემზადება, ო, სვანეთისაკენ;  
სააი-ჰოდი და... სვანეთი აყრაზე მიგიყენებია,  
ეს შენ ნუმც შეგარჩენია!  
5 ყველა რჩეული ბასიანთლები  
თან გახლდათ ამხანაგებად,  
ებწანიდან გამოსულხართ.  
„ამალამ ჩვენი სადგომი იქნება  
ლუმერიშის ქეებში“.  
10 მეორე დილას დგებიან,  
სათითაოდ ყველა სიზმარს ამბობს („ჩივიან“),  
ერთი ნიშანი ეს გვექნება.  
მგზავრობა კარგი არ გვექნება!  
შეგვექნა თოფების გამოცლა (გასინჯვა)

- 15 ყველას სჯობდა თოყის თოფი.  
 გაგვსკდომია თოყის თოფი:  
 მეორე ნიშანი ეს გვექნება,  
 მგზავრობა კარგი ვერ გვექნება!  
 ასე დაგვიწყია სვლა-წასვლა,
- 20 მწყურის ქარავეანი შემოგვხვდა:  
 მესამე ნიშანი ეს გვექნება,  
 წინ სვლაში.(ერთმანეთს) ვეცილებით  
 დავლილვართ, (ალაგ-ალაგ) ვჩერდებით  
 წინ სვლას ვზარობთ:
- 25 მეოთხე ნიშანი ეს გვექნება,  
 მთის ქედზე ამოვსულვართ,  
 შუნი შეგვხვდა ძალიან ახლოს,  
 რიგ-რიგ ვესროლეთ ჩვენი თოფები  
 ამით ბეწვიც ვერ გავაყრევინეთ (აგვიგლეჯია)
- 30 გავსდგომივართ (გზას) სვანეთის კლდეებში,  
 მურზაბეგს ხმა ესმოდა,  
 გულში მოხვდა, ელდა ეცა,  
 ნადგომზე დგას, ყური დაუგდია,  
 თითქოს სვანური ლაპარაკი ესმოდა.
- 35 ცის კაპარასლა ვხედავთ,  
 სვანურ ენაზე გვთვლიან;  
 „ერთი, ორი, სამი, ოთხი,  
 ხუთი, ექვსი, შვიდი...“ ისმის...  
 შვიდი კაცი ვართ (ვიქნებით) ჩვენ.
- 40 დაგვევალეს ჩვენმა მტრებმა.  
 სააი-ჰოდი და... თურჰე სვანებს ყარაულები  
 ედგათ,  
 ჩვენთვის თვალი მოუკრავთ:  
 თაზილ ყოფილა იოსელიანი,  
 ჭახულ ყოფილა, ოჲ გიგანი,
- 45 ქვევით წამოსულან მუჟალისკენ,  
 მძინარათ („საწოლ-საწოლ“) ატყობინებენ,  
 ნაკარში იკრიბებიან  
 ჩუმ-ჩუმად თათბირობენ.  
 წინამძღოლად ბატუ აირჩიეს,  
 წინამძღოლად ბატუ აირჩიეს ნავერიანი.
- 50 ბატუ აირჩიეს ნავერიანი.  
 ბატუმ უთხრა ამხანაგებს:  
 „მე ვიახლებ შვიდ კაცს,



- შვიდნი ისინი არიან, შვიდნი ჩვენ ვიყვნეთ“.
- გზას გასდგომიხარ მუჟალიდან,
- 55 ერთმანეთს შეხვდნენ წანერში.  
საით მიდიხარ, მურზაბეგ?  
— მულახ-მუჟალში სამტროდ.  
შენ საით მიდიხარ, შავო ბატუ?  
მე ებწანში სამტროდ (შევსცილდებით“).
- 60 მაშ ერთმანეთს გვერდს ვერ ავუხვევთ,  
დაშნა იშიშვლა შავმა ბატუმ,  
მურზაბეგს მხარი მოჰკვეთა,  
მეორედ მოუქნია („შეუბრუნა“), ყური მოსჭრა  
მურზაბეგს მოუქნევია,
- 65 მოუქნევია თავისი დაშნა.  
ბატუს ბეგთარი მოუფარებია,  
მურზაბეგს დაშნა გასტეხია,  
ნაპრალში ჩამხტარა,  
ნაპრალი ქვეთ ამოუვსიათ.
- 70 კიდევ ჩამოყარეთ, კიდევ ჩამოყარეთ,  
სული მე არ მძვრება! —  
ეძახის მურზაბეგი.  
სხვა სავები ამოგიხოცავთ,  
ერთი კაცი არავინ დაგიტოვებიათ.
- 75 ო, ხოკრებო მუჟალელებო,  
თოყის სიკვდილს ვერ მოინელებთ!  
ო, საბრალო მურზაბეგ,  
ორი კვირა ნაპრალში დაჰყავი.  
სააი-ჰოლდი და... შემდეგ ამოსულხარ  
(„ამობრუნებულხარ“)
- 80 მუჟალში ჩამოსულხარ,  
ქერთბიანთსას (გიგანებისას) შესულხარ,  
ამათთვის ბავში მოგიტაცებია („მოგიპარავს“)  
ასე ებწანში დაბრუნებულხარ („შესულხარ“).





ნახილი მეორე

უნივერსალი

და

პროფესორი





## აზორიზმები

### 1. ვაჟაყასა გული რკინისა

ქართლი. ქართ. სიმღ. I, გვ. 168, 175. გავრცელებული სასიმღეროა. აქვს სხვადასხვაგვარი მელოდიები.

### ქ ა რ თ ლ უ რ ი

#### ბ

ვაჟაყასა გული რკინისა,  
ხანჯარი თუნდა ხისაო,  
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას,  
მოყვრებს უწყვედეს ლხინსაო.

მთქმელი თედო გულბათაშვილი. ქართლი. ივ. 1893 წ., № 208; შან., გვ. 502; კოტ., გვ. 225; ახ. გამოც., გვ. 246; ქრესტ., II, გვ. 7. ასეთივეა დ. მაჩხანელის წერილში „ხალხის ცხოვრებიდგან“ საილუსტრაციოდ მოყვანილი ტექსტი. ივ. 1895, № 157.

#### გ

მთქმელი ალექსანდრე სონდულაშვილი. მეჩონგურე და მომღერალი. სოფ. დიღომი. ჩამწერი ჯ. სონდულაშვილი. მასალ. I, № 7, გვ. 8. ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვავებანი: სტრიქ. 2 — ა ბ - ჯ ა რ ი ც; სტრიქ. 3 — ქ ო რ ე ბ ნ ი.

#### დ

მთქმელი მაქსიმე შარეულიშვილი. ს. დიღომი. ჩამწერი ჯ. სონდულაშვილი. 1951 წ. მასალ., I, № 10, გვ. 8. ემთხვევა კახურ ე ვ ა - რ ი ა ნ ტ ს. განსხვავება: სტრიქ. 4 — უ ყ ვ ა რ დ ე ს — მ ო ს წ ო ნ დ ე ს.

#### ე

ქართლი. ჩამწერი სოსიკო მერკვილაძე. თტრ. 1895, № 19.

3

ვაჟაკსა გული რკინისა,  
 აბჯარი უნდა ხისაო,  
 ხარი, კამეჩი თავისი,  
 ცოლი უყვარდეს სხვისაო.

კახეთი, სოფ. პატარძეული, ჩამწერი ზ. ბილანიშვილი, 1883—1887 წლ. თაყ., I, გვ. 131. ეს ტექსტი კონტამინაციის ნიმუშია. 3—4 სტრიქ. ვარიანტია № 2. კონტამინაცია ამკრთალებს საგმირო იდეალს. მეორე სტრიქონში უნდას ნაცვლად თუნდა უნდა იყოს. ახლა ძნელია დადგენა, სიტყვის ამგვარი შეცვლა, რაც აზრს უკარგავს ტექსტს, მთქმელს ეკუთვნის თუ — ჩამწერს.

ზ

კახეთი, ს. პატარძეული, ჩამწერი ზ. ბილანიშვილი, თაყ., I, გვ. 131. შან., გვ. 502. პირველი სამი სტრიქონი იმეორებს ვ ვარიანტს. სტრიქ. 4 — იკითხება: ცოლი რად გინდა სხვისაო?

აკ. შანიძემ სტრიქ. 2 — ზევ. უნდას ნაცვლად დაბეჭდა გ ინ და.

შ

ვაჟაკსა გული რკინისა,  
 აბჯარი უნდა ხისაო,  
 თვალნი ქორულებ მკვრეტელი,  
 ხელ-მუხლი შავარდნისაო,  
 5 ხარი, კამეჩი თავისი,  
 ცოლი უყვარდეს სხვისაო.

ჩამწერი ილია ქავკავაძე. 1871 ;, უმიკ. № 1317. დაბეჭდილია აგრეთვე „კრებ.“ № 3, 1873 წ., შან. გვ. 501. ტექსტს ახლავს შენიშვნა „ბარში გაგონილი“. განსხვავება: სტრიქ. 3 — ქორულებ; სტრიქ. 4 — სიმარღე შავარდნისაო; სტრიქ. 6 — ცოლი უყვარდეს. კონტამინაციის ნიმუშია. 5—6 სტრიქონები ვარიანტია № 2 თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსის 3—4 სტრიქონებისა. (თაყ., I, № 174, გვ. 217). თუ თედო რაზიკაშვილის ჩაწერილი ტექსტი მთლიანად სავაჟაკო კოდექსის გამომხატველია; ამ ვარიანტის 6—7 სტრიქონები არ შეეფერება ქართულ საგმირო იდეალს. რაკი ბარში გაგონილი აწერია შეგვაქვს კახურ

ვარიანტებში, თუმცა როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე ქართლშიც იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

## ფ შ ა უ რ ი

### თ

ვაჟკაცსა გული რკინისა,  
აბჯარი უნდა ხისაო;  
თვალნი ქორებულ მხედავნი,  
მუხლები შავარდნისაო!..

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს. გვ. 210, აგრეთვე — ივ., № 202, 1887.

### ი

ვაჟკაცსა გული რკინისა,  
აბჯარი უნდა ხიანო;  
თვალნი ქორებულ მხედავნი,  
ზედ მუხლნი შავარდნისანი.

ფშავი. ჩამწერი ვაჟა-ფშაველა, მოყვანილია საილუსტრაციოდ წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით. ტ. V, გვ. 73. ასეთივე ტექსტი ვაჟას მოყვანილი აქვს აგრეთვე წერილში „ძველი და ახალი ფშაველების პოეზია“, ვაჟა-ფშაველა, თბზ., ტ. VII, 1956, გვ. 1, ადრე დაიბეჭდა — მმბ., № 6, 1896. ფშავში უნდა იყოს გაგონილი აგრეთვე ასეთივე ტექსტი ფიქსირებული ბაჩანას მიერ. მოყვანილია მის ფელეტონში „მთათა ქალისა და ადამისგანის სიყვარული. „ივ.“ № 144, 1890 წ. მცირე განსხვავება. სტრიქ. 2 — უნდათ; სტრიქ. 3 — მხედველნი.

### ია

ვაჟკაცს გულ უნდა რკინისა,  
აბჯარი უნდა ხისაო,  
თვალნი ქორებულად მხედვარნი,  
მუქლ უნდა შავარდნისანი.

ფშავი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 502.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### იბ

ვაჟკაცსა გული რკინისა,  
აბჯარი უნდა ხისაო,

ოვალნი ქორებულ მხედვნი,  
ველ-მეკლი შავარდნისაო.

ხევსურეთი. ჩამწერი ნიკო ურბნელი. „ივ.“, № 23, 1888; შან.,  
№ 287, გვ. 124; ქრესტ., II, გვ. 7.

### მ თ ი უ ლ უ რ ი

#### იზ

ვაჟაკსა გული რკინისა,  
ქელ-მეკლი უნდა მგლისაო.

მთქმელი გძაბა ივანეს ძე ბუჩუკური, 90 წლის უსინათლო.  
სოფ. გვიდაქე. ჩამწერი ელენე ვირსალაძე, 1946 წ., ვირსალ., მთ.,  
№ 6, გვ. 111.

#### იღ

ვაჟაკსა გული რკინისა,  
ქვეშ მუხლნი უნდა მგლისაო,  
თვალნი ქორებულ შექმნილნი,  
ზედ მხარნი შავარდნისაო.

მთიულისაგან გაგონილი, ჩამწერი ილია ჭავჭავაძე, უმიკ., გვ.  
605; აგრეთვე „კრებ.“, № 8, 1872; შან., გვ. 501; სიხ. ქრესტ., II,  
გვ. 6.

საინტერესოა ამ ტექსტისადმი აკ. შანიძის შენიშვნა: „ამ მთი-  
ულში უფრო მთის კაცი, მთიული უნდა იგულისხმებოდეს საზოგა-  
დოდ (მაშასადამე, ფშაველიც, ხევსურიც, მოხვეცი და სხვაც), ვიდ-  
რე ერთი ტომის კაცი მცხოვრები მღეთე-ფასანაურს შორის, მით  
უფრო, რომ იქვე ამ ვარიანტს მეორე უპირისპირდება „ბარში გაგო-  
ნილიო“, შან., გვ. 501.

#### იი

ვაჟაკსა გული რკინისა,  
აპარნი უნდა ხისანი,  
თვალნი ქორებულ მხედველნი,  
ზედ მეკლი შავარდნისანი

ხევი. ჩამწერი ალექსანდრე ყაზბეგი. ყაზბეგ., მოხ., შან., გვ.  
502. იგივე ვარიანტი დაცულია H 1926-ის სახით. განსხვავება მხო-  
ლოდ ერთია — მ ხ ე დ ვ ე ლ ნ ი — მ ხ ე დ ა ვ ნ ი. ამ სახით გამოქვეყ-  
ნდა 1940 წელს სასკოლო სახელმძღვანელოში (ხალხური სიტყვიე-  
რება შედგენილი მიხ. ჩიქოვანის მიერ, სახელგამი, 1940, გვ. 32).



ვაჟაკსა გული რკინისა,  
 აბჯარი უნდა ხისაო,  
 თოლნი — ქორებლივ შეყრილნი,  
 სიმარდე — შევარდნისაო.

ხევი. ჩამწერი ალექსანდრე ყაზბეგი. ყაზბეგ., მოხ.; შან., გვ. 502.

## თ უ შ უ რ ი

### იზ

ვაჟაკსა გული რკინისა,  
 აბჯარი ხქონდეს ხისაო,  
 ცხენი და აბჯარ თავისი,  
 ცოლი მოწონდეს სხვისაო.

მთქმელი საბა ითიურიძე. ზემო ალვანი. ჩამწერი ვანო ბუთლაშვილი. ლიტმუზ. 20019—ხ, ყ—331, გვ. 1. დათარიღებულია XI—1934. წაბმულია ლექსზე „ვაჟაკს არ გამოადგება“ და წაბმული აქვს „კარგი ყმა მაშინ კარგია...“.

დანარჩენი ჩანაწერები მთქმელისა და ჩაწერის ადგილის აღუნიშვნელად (ცვლ., № 45, 1890 — ი. ნაკაშიძე, ვაჟა-ფშაველას პოეზია; ივ., № 9, 1893 — შემკრები მეთვალყურე) რაიმე თავისებურებას არ იჩენენ.

### 2. ვაჟაკსო გულო ჯამარდო

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 174, გვ. 217. შეტანილია ლექსების ციკლში „ზნეობრივ შეხედულობის გამომხატველი ლექსები“. ლექსის მეორე ნახევარი ემთხვევა № 1-ის ზოგ ვარიანტს (შდრ. № 1 ე, ვ, ზ). მიზეზი ტექსტის ერთ წრეში ტრიალი უნდა იყოს (ქართლი, კახეთი).

### 3. კარგი ყმა მაშინ კარგია

ხევი, სოფ. სტეფანწმინდა (ახლანდელი ყაზბეგი). ჩამწერი ილია ჭავჭავაძე. 1871 წ., 22 მარტი. უმიკ., გვ. 606.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

### ბ

მაშინ კარგია კაი ყმა,  
 ხმალი რო იზამს ელვასა,

მოციქულობდეს ისარი,  
შუბი აგდებდეს ენასა.

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 65, გვ. 190.

ბ

ზამთარი ვარდსა დააქნობს.  
ფურცელი შეიქმს დენასა,  
მაშინ კარგია კაი ყმა,  
ხმალი რომ შეიქმს ელვასა.  
ისარი მოციქულობდეს,  
შუბი აგდებდეს ენასა.

მთქმელი ცნობილი მოლექსე, მდიდარი რეპერტუარის მქონე,  
78 წ. მაქსიმე დიპიტრის ძე მზარეულაშვილი. ყოფილი მწყემსი და  
გზირნაცვალი. სოფ. დილომი, ჩამწერი ჭუნანშერ სონღულაშვილი,  
1950 წ., მასალ. I, № 2, გვ. 7.

კ ა ხ უ რ ი

დ

კარგი ყმა მაშინ კარგია,  
ხმალი რომ შეიქს ელვასა,  
მოციქულობდეს ისარი,  
შუბი აგდებდეს ენასა.

კახეთი, სოფ. პატარძეული. 1883—1887 წ., ჩამწერი ზ. ბილა-  
ნიშვილი. თაყ., I, გვ. 131; ხალხ. სიტყვიერება, 1940, გვ. 119.

ასეთივეა კახეთში ჩანაწერები: ე) უპასპორტო—უმიკ. № 1338;  
ვ) ს. მარაბლა. ჩამწერი ნინო ბარათოვი.

თ უ შ უ რ ი

ე

მთქმელი საბა ითიურიძე, ზემო ალვანი. ჩამწერი ვანო ბუთლი-  
აშვილი ლიტმუზ. 20019—ბ, ყ—331, გვ. IX. დათარიღებულია  
XI—1934. ემთხვევა კახურ — დ ვარიანტს. განსხვავება — სტრიქ.  
2 — შე ჰქ მ ნ ის. წაბმულია ტექსტებთან „ვაჟკაცს არ გამოადგე-  
ბა“ — და „ვაჟკაცსა გული რკინისა“.

4. მაშინ კარგია კაი ყმა

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 498; ხალხ.  
სიტყვ. XII, № 83, გვ. 49. ასეთივეა ილია ჭავჭავაძის მიერ ვაჟიკა

არაბულის თქმით ჩაწერილი ტექსტი. კოტ., გვ. 68. ახ. გამოც. გვ. 87. განსხვავება სტრიქ. 4-ზევ. — ომს ვიქამ; სტრიქ. 2. ქვევ. — ეთოთქროვებდეს. ტექსტს ახლავს განმარტებანი, მათ შორის სტრიქ. 2 ქვევ. ეთოთქროვებდეს — ამშვიდებდეს, იჭერდეს.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

მაში კარგია კაი ყმა,  
დილა რომ ბინდი დგებოდეს,  
იცევდეს ჭაჭვის პერანგსა,  
„ომს ვიქამ“, ემზადებოდეს,  
5 ცხენი რომ ხრევდეს ლაგამსა,  
წალმა-უკულმა ხტებოდეს.

მთქმელი ვაჟიკა არაბული. მმბ, № 5, 1895; შან., № 276, გვ. 122. ვაჟიკა არაბული ორი ერთიმეორისგან განსხვავებული ვარიანტის მთქმელია.

### ბ

მაშინ კარგია კაი ყმა,  
რა დილა-ბინდით დგებოდეს;  
იცვამდეს გრილსა რკინასა,  
„ომს ვიზამ“ — ემზადებოდეს,  
5 ცხენი კი ჰხრავდეს ლაგამსა,  
ჰყიოდეს, ტოტზედ დგებოდეს.

ხევსურული. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „რამე-რუ-მე მთისა“, — თხზ., ტ. V, გვ. 129, იქვე გამოქვეყნებულია ორი ლექსი, „მაშინც კარგია კაი ყმა“, „მაშინ რალა ჰჯობ კარგ ყმასა“, რომელთა მიმართ რედაქტორი პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ „ხალხური არ არის“-ო, ტ. VII, 1956, გვ. 213. ეს აზრი მართებული არ არის.

### დ

მაშინ კარგია კა ვაჟი,  
დილა რა ბინდი დგებოდეს,  
ხვადი რა ხრევდის ლაგამსა,  
წალმა-უკულმა დგებოდეს!

მთქმელი ლევან გოგოჭური. თეთრწყლები. ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი. 1961 წ., ფ. არქ. კ. 15, გვ. 248.

## ე

მაშინ კარგია კაი ყმა,  
რა დილა ბინდი დგებოდეს.  
იცემდეს გრილსა რკინასა,  
ომს ვიზამ იმუქრებოდეს.

5 ლურჯა რო ხრავდეს ლაგამსა,  
წადმა-უკულმა დგებოდეს,  
იხარებოდეს კაი ყმა,  
ცხენი ტიალად რჩებოდეს.

მთქმელი ვანო გივის ძე ჩარბოლაშვილი. კახეთი, სიღნაღის რ.,  
სოფ. ქვემო ქედი. ჩამწერი მათე წიკლაური, 4.VI.1962 წ., ფ. არქ.  
კ. 114, გვ. 43.

### 5. ვაჟაბაცს რას გამოაღებებ

ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., № 288, გვ. 124. სასიმღეროა. აქვს  
მელოდია. ქართ. სიმღ., 1, გვ. 174.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

## ბ

ემთხვევა ძირითად ტექსტს. აკლია 3—4 სტრიქონები. ქართლი.  
ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 209, გვ. 221. ასეთივეა  
გრ. ჩხიკვაძის მიერ ქართლში ჩაწერილი ტექსტი. ქართ. სიმღ., I,  
გვ. 174.

## ბ

ახლა თქვენია ბიჭობა,  
სოფელს შეენება თავისა,  
ხმალს უნდა აჭრევენებდე,  
იმედი გქონდეს მკლავისა.

ქართლი. ჩამწერი — თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 72, გვ.  
193; შან., გვ. 502.

## დ

ვაქკაცს არ გამოადგება  
მინდორს სიმშენე თავისა,  
ან უნდა ხმალი უჭრიდეს,  
ან იმედ კქონდეს მკლავისა.

მთქმელი მაქსიმე დიმიტრის ძე მზარეულიშვილი. 78 წ. ყოფილი მწყემსი და გზირ-ნაცვალი.

სოფ. დილომი. ჩამწერი ჯ. სონლულაშვილი. 1949 წ. მასალ. I, № 5, გვ. 8.

### ე

ვაჟაკს არ გამაღგება,  
სოფელს მეტო(ბა) თავისა,  
უნდა ხმალს აჭრევინებდეს,  
იმედიც ქონდეს თავისა.

მთქმელი დავით ჩოხელი, 1870 წ. დაბადებული. ყოფილი ტყის მცველი, მენახშირე, მეწისქვილე, ჩამწერისათვის უთქვამს: „ათას ქვას ვარ დახლილიო“. მცხეთა, რ. სოფ. კილაანთკარი. ჩამწერი მათე წიკლაური. 6.VII—1961 წ. უთქვამს სხვა ლექსებთან ერთად და წაუშმღვარებია „როსტომ უთქომ“. დანარჩენი ლექსები („როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ“; „როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს“ და სხვ.) როსტომის ციკლისაა. ფ. არქ. ქ. 72, გვ. 129.

### კ ა ხ უ რ ი

### 3

კახეთი, ს. პატარძეული. ჩამწერი ზ. ბილანიშვილი, 1883—1887 წლ. თაყ. I, გვ. 131. იმეორებს ქართულ ზ ვარიანტს. განსხვავება: სტრიქ. 1—ზევ. არ — რას.

### მ ო ხ ე უ რ ი

ხევი, ს. სტეფანწმინდა. ჩამწერი ილია ქავჭავაძე, 1871 წ. უმიკ., № 1331; კრებ. № 3, 1873 წ. იმეორებს ქართულ ზ ვარიანტს, განსხვავებით სტრიქ. 1—რას.

### ზ

ვაჟაკს რად გამოაღგება  
სოფელს შვენება ტანისა,  
ხმალს უნდა აჭრევინებდეს,  
სიმარღე ხქონდეს მკლავისა.

მთქმელი ალექსი (ალუშკა) შადური. ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი ივანე შადური. 1884 წ. ფ. არქ. უმიკ. № 1331.

## თ

ვაჟკაცს რას გამოადგება,  
სოფელს შვენება თავისა,  
ხმალ უნდა აკრევინებდეს,  
ჰქონდეს იმედი მკლავისა,  
5 შეხედება შაჟი ღღეები,  
გამოსაცდელი თავისა.

ხელნაწ. ინსტ. H—1992. მიწერილი აქვს „გიორგი სამხარაძე“. არ ჩანს მთქმელია თუ ჩამწერი.

## თ უ შ უ რ ი

### ი

ვაჟკაცს არ გამოადგება  
სოფლად შვენება თავისა,  
უნდა ხმალს აკრევინებდეს,  
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

მთქმელი საბა ითიურძე. ზემო ალვანი. ჩამწერი ვანო ბუთლა-  
შვილი. ლიტმუზ. 20019—ხ. ყ—331, გვ. 1. დათარიღებულია XI.  
1934. წაბმული აქვს ლექსები: „ვაჟკაცსა გული რკინისა“ და „ვაჟ-  
კაცს არ გამოადგება“.

კიდევ არის ჩანაწერები უმნიშვნელო განსხვავებით ახალქალა-  
ქის მიდამოში ნ. ხუციშვილის მიერ „ივ.“, № 204, 1888 წ., ივ.  
№ 212, 1893 წ., ფ. არქ. კ. 26, გვ. 219.

## 6. შავს ლულსა

ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები, ნაკადული, 1963,  
გვ. 10.

## 7. მთას ვიყავ

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „გმირის იდეა-  
ლი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“. ტ. V, გვ. 74 — ქრესტ. II,  
№ 16, გვ. 11. ასეთივეა თედო რაზიკაშვილის ფშავში ჩაწერილი  
ტექსტი. განსხვავება: სტრიქ. 2—ჩამოველ. ხალხ. სიტყ., III, № 75,  
გვ. 47.

## 8. ღვინო კი მათრობელი სჯობ

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 509; ხალხ.  
სიტყვ. III, № 122, გვ. 62.

უკანასკნელი ორი სტრიქონი საერთოა ლექსისა „ომის კარ დამ-  
კეხნებელსა“, რის გამოც აკ. შანიძე შენიშნავს, რომ ეს ლექსები  
(მისი დანომვრით № 299 და № 320) „ერთისა და იმავე ლექსის ნა-  
წილები უნდა იყოს“. შან. გვ. 510. საერთო ადგილები დამახასიათე-  
ბელია ზეპირსიტყვიერებისათვის. ამდენად, ჩვენის აზრით, არ არის  
სავარაუდო ვარიანტებად ცნობილი ამ ლექსების ერთი ტექსტის ნა-  
წილებად მიჩნევა.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ღვინო კი მათრობელი სჯობს,  
ძალდი თეოზე მყეფარი;  
ვაჟკაცი დინჯი სჯობია,  
რო გაჰირდება-მკეხარი.

5 ჩაღად არა ღირს ვაჟკაცი,  
ღიაცთ მიმყოლი, მკეხარი.

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „გმირის იდეა-  
ლი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“. ტ. V, გვ. 74, ქრესტ., II,  
№ 15, გვ. 10.

### ბ

ღვინო-კი მათრობელი სჯობს,  
ძალდი თეოზედ მყეფარი;  
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,  
რო გაჰირდება, — მკეხარი;

5 არც ვარგა ქალთა მიმყოლი,  
ჩაღად არა ღირს მკეხარის..

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 209; ქრესტ.,  
II, გვ. 11. ტექსტს ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 2—ზევ. — თ ე ო —  
ცხვრის ბინის გარშემო ალაგია, სადაც ძალდი ჰყარაულობს. ქრესტ.  
II, გვ. 11.

### ღ

ჩაწერილი ფშავში კაწალხევში ვ. ხორნაულის მიერ. კოტ. გვ.  
67. ახ. გამოც. გვ. 85. ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვავება:  
სტრიქ. 3 — მ წ ყ ნ ა რ ი; სტრიქ 3 — ჩ ა ღ გ ე ბ ა.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### 2

ეს ლუდი მათრობელი ჯობ,  
ძალდი — ბაკებზე მყეფარი;  
ყმა სოფელს სულ-ღებული ჯობ,  
ომის კარ-მალლა მკვებარი.

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 320, გვ. 129. აქვს სა-  
თაური „ლუდი, ძალდი და ყმა“. ეს ვარიანტი ყველაზე მეტ თავისე-  
ბურებას იჩენს. ბეს. გაბურს თავისებურად გადაუკეთებია ტრადი-  
ციული ლექსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ღვინო შეცვლილია ხევ-  
სურეთში გავრცელებული სასმელით ლ უ დ ი თ.

### 3

ე, ღვინო მათრობელი ჯობ,  
ძალდი თეოზე მყეფარი,  
ვაშაკი დინჯი სჯობია,  
რო გაქირდების მკვებარი!...  
5 ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი,  
ვაჟი სოფელ-კარ მკვებარი...  
რაზა გაქირდას, — დადგების,  
როგორც უღელში მკლე ხარი.

მთქმელი თაია ადიას ას. გოგოქური. თელავის რ. ს. თეთრ-  
წყლები. 1961 წ. ივლისი. ჩაწერილი ნ. გოგოქურის. ფ. არქ. კ. 18,  
გვ. 133.

## თ უ შ უ რ ი

### ზ

ჩაწერილია თუშეთში გ. ნათაძის მიერ. ნათ., № 152, გვ. 95.  
ემთხვევა ფშაურ ვარიანტს. განსხვავება: სტრიქ. 1 — მ ა თ რ ო -  
ბ ე ლ ა ს ჯ ო ბ ს.

#### 9. ჯარანი რო დაჯარღებიან

ფშავი. ჩამწერი გიგი ხორნაული. ქართული ხალხური საგმირო  
აფორიზმები, გვ. 12.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

პირველი ოთხი სტრიქონი იმეორებს ძირითადი ტექსტის და-  
საწყისს. 5—6 სტრიქონები ასე იკითხება:



თუ სახელის ქნა გინდოდეს,  
ლაშქარს წინასწარ წასდგოდი.

აკლია 7—8 სტრიქონები.

მთქმელი ივანე (ბუქია) მოკვერაშვილი. სოფ. ჭიჭეთი. ჩამწერო  
ვ. ხორნაული. 1944 წ. ფშ. ხევის., გვ. 112.

10. როსტომ თჳვა: გმირი მც ვიჳავ

ფშავი. ჩამწერი დავით ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 213

11. როსტომ თჳვა: სიბერაკაბითა

ქართ. ხალხ. საგმირო აფორიზმები, გვ. 12.

12. როსტომ თჳვა: თუ კი შაიხმანთ

ქართ. ხალხ. საგმირო აფორიზმები, გვ. 13.

13. კიდეჳაც დაიზრდებინან

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, გვ. 190, კოტ.,  
გვ. 148; ახ. გამოც., გვ. 164. ქრესტ., II, გვ. 8, აქვს მელოდია.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

### ბ

ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 2—ნაცვლად  
ა ლ გ ე თ ს არის ქ ა რ თ ლ უ ი.

ჩაწერილი ქართლში, ქართ.. სიმღ., I, გვ. 177.

### ბ

კიდეჳაც დაიზრდებინან  
აღგეთ ლუკვები შგლისაო —  
ჯავრი არ შემოკამია  
ჩემზე მოლაღე მტრისაო.

არაგვ-ქსნის ხეობა. ჩამწერი იაკობ ნათაძე. ხელნაწ. ინსტ. H—  
1992, 3.

14. ის უზუნია ღუზმანსა

ჩაწერილი ვაჟა-ფშაველას მიერ. ქრესტ., II, № 5, გვ. 8.

ის უუბნია ღუშმანსა:  
 „ალარ არიან, წახდესო!“  
 ის არ იციან ბეჩავთა,  
 თუ ლომს ლეკვები დაპრჩესო,  
 5 აისხეს იარაღები,  
 მამის კერაზე დასხდესო!

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ. III, № 66, გვ. 45.

15. მბარო, ღამჩაბრე, არ ვბირი

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 66, გვ. 191. ლექსი გვხვდება ალექს. ყაზბეგის ჩანაწერებში (თხ. III, გვ. 115). 1920 წელს გამოაქვეყნა მ. კელენჯერიძემ, ქართული ლიტერატურა, ქრესტომათია, გვ. 36. ქრესტ.. II, № 19, გვ. 11.

16. სმა უმღვრალი არ ვარბა

ქართლი. ჩამწერი გრ. ჩხიკვაძე. აქვს მელოდია სხვა ტექსტებთან საერთო — ფარინას ხმაზე. ქართ. სიმღ., I, გვ. 239. ეს ტექსტი აზრობრივად ყველა სხვა ვარიანტზე უფრო სწორია. სხვა ვარიანტებში პირველი სიტყვა არის ყ მ ა.

ფ შ ა უ რ ი

იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 1 — ნაცვლად ზ მ ა — არის — ყ მ ა.

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ., ლექს., გვ. 211., ქრესტ., II, 49. გვ. 17, ასეთივეა ფრ. წიკლაურის თქმით უკანაფშავში ვ. ხორნაულის მიერ 1927 წ. ჩაწერილი ტექსტი, ფშ. ხევს., გვ. 109, განსხვავება. სტრიქ. 2—3 — ზევ. ჭ ა ბ ზ კ ი — ვ ა ქ კ ა ც ი.

17. ბაგვიძველ, ბარო მინდიავ

ხევი. ჩამწერი ილია ქავჭავაძე, 22. III. 1871 წ. უმიკ. № 113, გვ. 83. წამძღვარებული აქვს ეპიგრაფის სახით ილიას „ქართლის დედას“ (თხზ., I, 1951).

18. თუზნო, ფშაველნო, ხევისურნო

მთქმელი წიქა ლიქოკელი. ჩაწერილი სოფ. აკუშოში, 1925 წ. ფშ.-ხევს., გვ. 114.

ეს ვრცელი ვარიანტი დაკავშირებულია კონკრეტულ ამბავთან — ხევის დალაშქვრასთან. ჩამწერმა ვ. ხორნაულმა ტექსტს დაურთო საინტერესო შენიშვნა: „ძველად ფშაველ-ხევსურნი, როდესაც სალაშქროდ გაემზადებოდნენ, ოთხ დროშას მიაბძანებდნენ ბზიანაში (მალაროს კარში), ლაშარის ჯვრის, გუდანის ჯვრის, კარატის ჯვრის და ქაქმატის ჯვრისას. იქ ამჟამადაც არის სადროშე, სასანთლე. მათ სწამდათ, რომ აქ, გაქადაგებული ხევისბერის მყოლი ჯვრების პირით, რასაც გამოუცხადებდნენ ანგელოზები, დროშის იქითყენაც წავიდოდნენ. საქართველოს ომებშიც აქედან მიემგზავრებოდნენ თუშ-ფშაველ-ხევსურნი. ხშირად, ხალხის რწმენით, თუ ჯვარი ბრძანებდა, ლაშქრობა დაშალეთო, დაბრუნდებოდნენ სახლებში. ამ ლექსში მოხვევების დალაშქვრაა გადმოცემული“. იქვე, გვ. 115.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 3 — ერთმანეთს მხარი უჭიროთ.

მოყვანილია ვაქა-ფშაველას წერილში „კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“, ტ. III, გვ. 455.

### ბ

ფშაველ-ქვესურნო შაყრილნო  
ლაშქარი გავაზიაროთ.  
ერთმანეთ ნუ უღალატებთ,  
დუშმანი დავაზიანოთ!

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, № 110, გვ. 58.

## მ ო ხ ე უ რ ი

### დ

მოდით თუშნო და ფშაველნო,  
ლაშქარი შავაზიაროთ,  
ჩვენ ერთმანეთს ნურას ვერჩით,  
ცხო მტერი დავაზიანოთ.

ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. 1881 წ. უმიკ., № 108, გვ. 83.

## კ ა ვ კ ა უ რ ი

### ე

მაით თუშნო და ხევესურნო,  
ლაშქარნი დაეზიარნეთ,  
ჩვენ კი ნუ ვერჩით ვრთურთსა,  
ცხო მტერი დაეზიანნეთ.

მთქმელი მოხევე გარბანელი. კავკავი, 1873 წ., უმიკ., გვ. 561.

### 19. ბიბაოზა არხობის მთაო

მთქმელი გიორგი გუტიას ძე ხუციშვილი. ხოშარა. ჩამწერი აკ. შა-  
ნიძე. შან., № 313, გვ. 128.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ეტყობა გადანავალი,  
ვეფხო, შენ ნატოტარია,  
დაუნამეის ღურბელსა,  
დამდგარა ნაგუბარია.  
5 საკრეფლად წამოსულიყო  
წმინდა მარიამ ქალია.

მთქმელი თამარ მოიდანაშვილი. ჩარგალი. ჩამწერი მაყვალა მრევე-  
ლიშვილი. 1929 წ., შან., გვ. 507.

### 20. ბითლეშის კარზე ჰაილია

ხევი. ჩამწერი ალ. ყაზბეგი. ივ., № 8, 1885 წ.;  
კოტ., გვ. 11, ქრესტ., II, № 23, გვ. 12. ამ ტექსტს იმეორებს ჩა-  
ნაწერი სნჯ. I, გვ. 374. განსხვავება — სტრიქ. 3 — წ ა დ ი ლ ი — ხ ა -  
ლ ი ს ი; სტრიქ. 4 — ხ ა ნ დ ი ს ხ ა ნ.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

მიქეელის კარს შახკიდეთ  
ბალათერაის ფარიო,  
მაუელის ომის წადინი,  
დასძრავს ხანდახან ქარიო.  
5 შამდინარ-გამამდინარმა  
სწორებმ დაუდგან თვალიო.

მთქმელი ივანეურ ოჩიაური. ჩამწერი აკ. შ ა ნ ი ძ ე. სოფ. ახიელა. 6/VIII—1913 წ. შან., № 73, გვ. 29. ლექსი კონტამინაციის წესით დაკავშირებულია ბალათურ ჯაბუშანურის სახელს. ბალათურ ჯაბუშანურზე ლექსების ციკლია შექმნილი.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ბ

ხევი. ჩამწერი ალ. ყაზბეგი. ივ. № 8, 1885 წ., შან., გვ. 383. ემთხვევა ძირითად ტექსტს. ასევე ემთხვევა ძირითად ტექსტს ხევშივე ჩაწერილი, მოხ., გვ. 57. განსხვავება: სტრიქ. 3 — წ ა დ ი ლ ი — წ ყ უ რ ვ ი ლ ი; სტრიქ. 4 — ხ ა ნ დ ა ხ ა ნ.

### დ

ლაშარის ჯვარსა ჰკილია  
ლადის ჯურხაის ფარიო,  
მოუელის ომის სურვილი,  
ხანდიხან შესძრავს ქარიო.

ხევი, სოფ. სტეფანწმინდა (ახლანდელი ყაზბეგი). ჩამწერი ილია ქავკავაძე. 1871 წ., უმიკ., გვ. 605. სტრიქ. 7. დაბეჭდილია ჯ უ რ ხ ა ი ს. შევასწორეთ — ჯ უ რ ხ ა ი ს.

### ე

ალაზნის პირსა ჰკილია  
ეჟის ჯურღაის ფარიო,  
მოუელის ომის წადილი,  
ხანდიხან შესძრავს ქარიო.

მთქმელი ალ. შადური. ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი ივ. შადური. 1884 წ. უმიკ. № 1321. იქვე სია გიგაურის თქმით 1890 წ. ჩაწერილია ასეთივე ტექსტი.

## 21. კ ა ნ ი ყ მ ა კ მ ა ლ ს ა ჩ ა ხ ე ლ ა ვ ს

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 286, გვ. 124. ქრესტ., II, № 52, გვ. 18.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

მთქმელი მამისწვერა არაბული. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 90, 1891 წ., შან., № 286. ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვა-

ვება: სტრიქ. 3 უ ბ ე ს ა — ფ ა რ ა გ ს ა; სტრიქ. 4 — შ ა მ ი ხ ვ ე ვ ს —  
მ ა მ ი ხ ვ ე ვ ს.

### ბ

კაი ყმა კმალსა ჩაჰხედავს,  
გამიჭრისა, თუ არაო.  
ცუდაი-ქალის უბესა,  
გამიხვევს, თუ არაო.

მთქმელი ვაჟიკა არაბული. მმბ, № 12, 1900 წ.; შან., გვ. 501;  
კოტ., გვ. 70. ახ. გამოც., გვ. 88.

### ღ

კარგი ყმა კმალსა ჩაჰხედავს:  
გამიჭრისუა, თუ არა?  
ცუდაი — ქალსა ლამაზსა:  
შამახვევსუა, თუ არა?

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 501. ტექსტს  
ახლავს ჩამწერის განმარტება: სტრიქ. 4 — შამიხვევსუა — თავს მომ-  
ცემსო.

### მ ო ხ ე უ რ ი

### ე

კარგი ყმა კმალსა ჩასძახის:  
„—კმალო, გამიჭრი, თუ არა?“  
შინ მოვა, ლამაზ გოგოსა:  
— გოგოვ, ჩამიხვევ, თუ არა?“

ხევი. ჩამწერი ალექსანდრე ყაზბეგი. ივ., № 8; 1885 წ., შან.,  
გვ. 501.

### ვ

კაი ყმა ფრანგულს ჩახედავს,  
ნეტავ, გამიჭრის, თუ არა?  
გონჯაი-ქალის უბესა,  
ნეტავ, ჩამიხვევს, თუ არა?

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 13.

### 22. ააი ყმა ლაშქარ მოკვდება

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „გმირის იდეალი  
ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“, ტ. V, გვ. 74. ქრესტ., II, № 53,  
გვ. 18.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 500. იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 1 — კ ა რ გ ი ყ მ ა ლ ა შ ქ ა რ ს. ასეთივეა ხოშარაში ჩაწერილი ტექსტი. ივ., № 148, 1890 წ.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

კაი ყნა ლაშქარ მაკედების  
სწორების მჭობინობასა;  
ცულაი საცხერის ყურესა,  
ქალებში ლოგინობასა.

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბურთი. შან., № 284, გვ. 124.

### ღ

კაი ყმა ლაშქარს მოკედება,  
სწორების მჭობინობასა.  
ისრევ დარჩება ცულაი  
ქალებში ლოგინობასა.

მთქმელი ვაჟიკა არაბული. მმბ., № 12, 1900. შან., გვ. 500; კოტ., გვ. 70. ახ. გამ. 88.

## მ ო ხ ე უ რ ი

### მ

კარგი ყმა ლაშქარს მოკედება,  
სწორების ჯობინობაზედ,  
გონჯად კი ბოსლის კარებზედ,  
ქალების ლოდინობაზედ.

ხევი. ჩამწერი ილია ჭავჭავაძე, 1871 წ., უმიკ., № 1337. ასეთივეა — მოხ., გვ. 12. განსხვავება სტრიქ. 1 — ო მ შ ი მ ა კ ე დ ე ბ ა ; სტრიქ. 2 — მ ჯ ო ბ ი ნ ო ბ ა ზ ე .

### პ

კარგი ყმა ლაშქარად მოკედება,  
სწორების მჭობინობასა;  
გონჯაი-ბოსლის კარებზედ.  
ქალების ლოდინობასა.

ხევი. ჩამწერი ალექსანდრე ყაზბეგი. ივ., № 9, 1885 წ.; მან.  
გვ. 500.

## თ უ შ უ რ ი

### ზ

ციხეს ჩაზღისა ჩარდახნი,  
ლიბო ირღევეა მითაო,  
რად არ მოკვდება დუყაი  
ქალებთან ლოგინობასა.  
5 კაი ყმა მაშინ მოკვდება,  
სწორებთან მჭობინობასა,  
დალალებულნი ცხენები  
რომ გადიოდნენ გან-განსა!...

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 51.

### 23. ვაჟი ბეგრია, ვაჟებო

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 318, გვ. 129.

### 24. ჰმალ ზანა ყველა ერთია

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყ.; შან., გვ. 509.  
ჩამწერის განმარტება: სტრიქ. 6 — დ ა ლ უ რ ბ ლ ე ბ უ ლ ი — ღ რ უ -  
ბ ე ლ ი ვ ი თ პ ი რ ქ უ შ ი ო .

### 25. უმადვილი ბაწინიკაო

ხევსურეთი. ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., № 310, გვ. 128.

### 26. ცხენ-კარგის ღედას დავენატრი

ჩამწერილი ფშავში დ. ხიზანაშვილის მიერ, ფშ., ლექს., გვ. 138.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ცხენ-კარგის იღბალს მივენატრი,  
ლაშქარ წინდაწინ წადგება,  
მემრე ცოლ-კარგის იღბალსა —  
ქმრის სწორთ ლამაზად დახედება.

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ძველი და ახალი  
ფშავლების პოეზია“, როგორც ნიმუში ძველი ლექსისა. ტ. V,  
გვ. 143.



იეტამც ცოლ-კარგის დედასა,  
ქმრის სწორთ ლამაზად დახედება.  
ნეტამც ცხენკარგის დედასა,  
ჯარში წინდაწინ წადგება.

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშაველი დედა-  
კაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულე-  
ბით“, ტ. V, გვ. 94.

27. ნუ ააღელვებთ

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 12.

28. რად უნდა ბევრი დედასა

მთქმელი ისაკო გონაშვილი. სოფ. კოტაანი. ჩამწერი უ. გონაშვი-  
ლი. ქიზიყ., გვ. 180. ასეთივეა ქართლში, სოფ. დილოშში, ჯ. სონღულა-  
შვილის მიერ 1951 წ. ჩაწერილი ტექსტი. მთქმელი მოლექსე და მომ-  
დერალი, ყოფილი მეურმე 70 წლის ანტონ ლაზარეს ძე სონღულაშვი-  
ლი. მასალ. I, № 6, გვ. 8. განსხვავება — სტრიქ. 2-ზევ. ს ა ხ ე ლ დ ე -  
ბ უ ლ ი — ს ა ხ ე ლ ქ ე ბ უ ლ ი.

29. ჰმალსა სიმოკლე არ უშლის

მთქმელი აბა გიგაური. ხევსურეთი, ხახმატი, ჩამწერი აკ. შანიძე,  
22.VIII—1913 წ., შან., № 306, გვ. 127. ჩამწერის ცნობით იმავე  
მთქმელის ვარიანტია სტრიქ. 4 „ომის კარ გაიზრდების“, იქვე, გვ. 506.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ხმალსა რას უშლის სიმოკლე,  
ფეხს წადგამ, წაემატება,  
არცა ვაჟკაცსა — სიდაბლე,  
თუ თავი გაემეტება.

მთქმელი გიორგი თაბაგარიძე. ჩაწერილი მცხეთის რ. სოფ. მისაქ-  
ციელში 1/VII—1961 წ., ფ. არქ. ქ. 68, გვ. 2.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ქელისა რას გიშლის სიმოკლე?  
ფეჟი წინ წადგი. დასწედება.

ვაჟკაცს რას უშლის სიდაბლე?  
ომის დროს გამოგვაღებდა.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 506; ხალხ. სიტყვ., III,  
№ 151, გვ. 72.

### ხ ე ს უ რ უ ლ ი

#### დ

კმალსა სიმოკლე არ ერჩის,  
ბიჯი წადგი და წაგებდა.  
ვაჟკაცსა — სიმდაბაღი,  
ომის კარ გაიზარდება.

ჩამწერი გიორგი წერეთელი, 1925 წ., შან., გვ. 506.

#### ე

კმალსა სიმოკლე არ უშლის,  
— ფეკს როცა წარდგამ, წაგებდა.  
მეომარს — სიდაბლავე,  
— ომის კარ გაიზარდება.

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ. შან., გვ. 506.

#### ვ

კმალსა არ ერჩის სიმოკლეი,  
ფეკი წარსდგი და წაგებდაო.  
ოშკაცსა — სიბატარეი,  
ომის კარს გაიზარდებაო.

მთქმელი ხირჩლა ნისლაურის ძე წიკლაური. 93 წლის. ახალგაზრდობაში გმირობით განთქმული. მის გმირობაზე ლექსიც კი არის შექმნილი (იხ. შან., № 251). არხოტი — აძლა. ჩამწერი ქს. სიხარულიძე, VII—1944 წ. ჩართულია თქმულებაში ამირანის შესახებ. (მინ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947 წ., გვ. 343). ახლა ძნელია დადგენა, წარმოშობით ეს აფორიზმი დამოუკიდებელია და შემდეგ შეერთო ამირანის თქმულებას, თუ პირიქით — თქმულებას მოწყდა და გავრცელდა დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით. ზეპირსიტყვიერებაში ორივე შემთხვევა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. საერთოდ კი იმავე ხევსურეთში ეს ლექსი, როგორც ბ და გ ვარიანტებიდანაც ჩანს, ისევე როგორც მთის სხვა კუთხეებში, დამოუკიდებლადაც არის ცნობილი.

## მ თ ი უ ლ უ რ ი

### ზ

კმალსა არ უშლის სიმოკლე,  
ფექს წადგამ, წაემატებაო,  
არც ვაჟკაცს — ტანადაბლობა,  
თუ იგი გაემეტებაო.

მთქმელი გიორგი გამეზარდას ძე ბუჩუყური, 70 წლის. წ. კ. მც. მცოდნე, სოფ. ქიმბარიანი, ჩამწერი აპ. ცანავა, 1946 წ. ვირსალ., № 4, გვ. 111.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ზ

კმალსა არ უშლის სიმოკლე,  
ფექ წადგი, წაემატება,  
არც ვაჟკაცსა — სიდაბლე,  
თუ თავი გაემეტება.

სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი დიმ. ყაზბეგი. უმიკ. № 1332.

### თ

ვაჟო კაცო, მშვენიერო,  
ღვინის ფერო მცინარეო,  
კლმის სიმოკლე რას დაგიშლის,  
ფეხი წადგი წინარეო.

სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი დიმ. ყაზბეგი. უმიკ., № 606. სტრიქ. 3—ზევ. დაბეჭდილია: კ მ ლ ი ს, დ ა მ ი შ ლ ი ს, დედანშია: კ ლ მ ი ს, დ ა გ ი შ ლ ი ს. ვბეჭდავთ დედნის მიხედვით. ასეთივეა კოტი, გვ. 224. ახ. გამოც., 244. განსხვ. სტრიქ. 1 — ზევ. მ შ ვ ე ნ ი ე - რ ო — გ უ ლ ო ვ ა ნ ო.

## 30. ნუ გაუტყდები მოხმეო

ჩამწერი გიგი ხორნაული. ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები „კ ა ი ყ მ ა“, შეადგინა ქს. სიხარულიძემ. „ნაკადული“. 1963, გვ. 18.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

პირველი ორი სტრიქონი ემთხვევა ძირითადს. აკლია 3—4. უკანასკნელი ორი სტრიქონი აკითხება:

გავლა-განოვლას ეცადე.  
ჩიგებას სოფლებიასა.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., 111, № 90, გვ. 52;  
ქრესტ., 11, № 18, გვ. 11.

31. მშვილდი გაგიტყდა, ვაჟათ

ქართ. ხალხ. საგმირო აფორიზმები, გვ. 19.

32. ტირილითა და ვიშითა

კახეთი, სოფ. პატარძელი. ჩამწერი ზ. ბილანიშვილი. თაყ., I,  
გვ. 130.

მ ო ხ ე უ რ ი

ბ

თითქმის იმეორებს ძირითადი ტექსტის პირველ ოთხ სტრიქონს.  
განსხვავება: სტრიქ. 1 — ვ ი შ ი თ ა — გ ლ ო ვ ნ ი თ ა.

ჩამწერი ილია ქავკავაძე, 1871 წ. უმიკ., № 1324. იგივე  
ტექსტი გამოქვეყნებული აქვს მ. ჩიქოვანს მცირე განსხვავებით:  
„და ა გ ვ წ ვ ე ნ — და გ ვ ლ ე წ ე ნ“. (ხალხური სიტყვიერება, 1940, გვ.  
119).

გ

არ გათეთრდები ყორანო,  
რაც უნდა გხეხონ ქვიშითა,  
მტერნი არ შავვიბრალებენ  
ტირილითა და ვიშითა,  
5 კმაღლთ კი არ შეეუბოები,  
შუბნი გამხეთქენ შიშითა.

უმიკ., № 1323.

დ

არ გათეთრდება ყორანი,  
თუნდა რომ ხეხო ქვიშითა,  
მტერნი არ შავვიბრალებენ  
ტირილითა და ვიშითა.

ჩაწერილი ილია ქავკავაძის მიერ. ფ. არქ., კოლ. უმიკ., ყუთი  
№ 5.

მთქმელი სერაფიონ მაქავარიანი. წ. კ. უცოდინარი — 1874 წ. დაბ., ჩაწერილი სოფ. თუზში შ. ჩანტლაძის მიერ. 2.VIII—61 წ. ფ. არქ. ი. 89, გვ. 95.

34. ბაბახილისა ვაჲისა

წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად ვაჲა-ფშაველას პოემას „სულა და კურდღელა“, ტ. III, გვ. 59.

თ უ შ უ რ ი

ბ

გატეხით, გამაგრებითა  
ხმალმა ბედენათ არ გასკრა.  
გატეხილისა ვაჲაკაცის  
ლეში ყორანმა არ ჭამა.

მთქმელი საბა ითიურისძე. ჩაწერილი ვ. ბუთლიაშვილის მიერ. ლიტ. მუზ. 20005—ხ. ყ—329. გვ. 66. დათარიღებულია 1—1935. წაბმული აქვს მეორე ლექსი „რა ცუდი ზნე გაქვთ ყორნებო“.

35. ღათჲო სთჲვი

ფშაური. მოყვანილია ვაჲა-ფშაველას წერილში „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“, ტ. V, გვ. 73; ქრესტ., II, № 42, გვ. 16.

ფ შ ა უ რ ი

ბ

ღათეო, თქვი, შენსა რაჲულზედა.  
ვინ უფრო გეომებოდა?  
— ვაჲაკაცი შაგვრემანაი  
ტოტდატოტ მეტანებოდა,  
5 ვაჲაკაცი, ქალის პირაი.  
გორის პირს ეფარებოდა.

ჩაწერილი ვაჲა-ფშაველას მიერ. თაყ., I, № 31, გვ. 494.

36. ცინხ ვირ ბასტმის ვაჲჲაჲა

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 11.

## ბ

ციხე ვერ გასტეხს ვაჟაცა,  
ციხე კლუქაა გმირისა,  
ატირებს თოქს და ბეჩავსა,  
ვინც არ მცნობია ჳირისა.

ყაზბეგის რ., სოფ. აჩხოტი (მალსაგიანი), ჩამწერი მიხ. მალსაგი-  
შვილი. 1936 წ., ფ. არქ., № 5093.

### 37. საღამოთი მოშაბაბას

მთქმელი ალექსა გოძიაშვილი. ჩაწერილი სოფ. გრემისხევში.  
უმიკ., № 1349, ტექსტს აქვს მინაწერი „მკაში“, რაც იმას ნიშნავს, რომ  
იგი გამოყენებულნი ყოფილა, როგორც სამკალი სიმღერა.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ბ

სალამოზედ მიმბატებს  
კარგი მუშა და მძლე ხარი,  
გადაბრუნდება, მოკვდება  
გადათრეული მკლე ხარი.

მთქმელი ეფრ. გოძიაშვილი. ჩაწერილი 1882 წ. ფ. არქ., კოლ-  
უმიკ., ყუთი № 5.

### 38. ვინა თჳვა მთავრის ჳორისად

ჩაწერილი ხევსურეთში. თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 296,  
გვ. 125.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

ვინა თჳვა მთავრის ჳორისად:  
„ბეჭენი, გეზელიაო?“  
ან „შვილი კარგის მამისა  
უჳკო და რეგენიაო?“

ჩაწერილი შატილში. ჳინ., გვ. 346.

### 39. ანი ყმა მაჳინ გატყდების

ჩაწერილი ხევსურეთში. ბეს. გაბურის მიერ. შან., № 285, გვ. 124.  
ღვინას ხსენება ხევსურულ ლექსში ბარის გავლენაა. უფრო ბუნებრი-  
294

ვია სხვა ვარიანტებში ლუდის ხსენება, როგორც ეს აღნიშნული აქვს აკ. შ ა ნ ი ძ ე ს. შან., გვ. 500.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

კაი ყმა მაშინ გატყდება,  
ნახან ლუდ გაბეერდება.  
ცუდაი მაშინ გატყდება,  
ომი რომ გაკვირდება.

ჩაწერილი ხოშარაში. ივ. № 146, 1890 წ.; შან., გვ. 500.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

კარგი ყმა მაშინ გატყდება,  
ლუდ როცა გაკვირდება.  
ცუდაი მაშინ გატყდება,  
საქმე რო გაკვირდება.

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 500.

## 40. თუში ვარ

ჩაწერილი თუშეთში. ივ. ბუჭურაულის მიერ., თაყ., I, გვ. 49;  
ქრესტ., II, № 35, გვ. 14.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

### ბ

მთიული ვარ, მთას გაზრდილი,  
ბარო, არ შეგიშინდები.  
ქუდმობდილ ქვეყნად არ ვივლი,  
კლდეზედაც გადაფერინდები.

მთქმელი მომღერალი მიხეილ თეოფანეს ძე სონღულაშვილი, 66 წლის, ჩაწერილი სოფ. დილომში 1953 წ. ჯ. სონღულაშვილის მიერ. მასალ., 1 № 9, გვ. 8.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ბ

მთიულ ვარ, მთურად ნაჩვევი,  
მტერო, ვერ შეგიშინდები.

შეიღს ვარჩევ, შეიღწერ სიკვდილსა,  
ხელში არ ჩაგვიარდები,  
5 ქუდმოხდილ ქვეყნად ვერ ვივლი,  
კლდეზედვე გადავვარდები.

ჩაწერილი ხევში ალ. ყაზბეგის მიერ. კოტ., გვ. 213. ახ. გამოც.,  
გვ. 233.

#### 41. ბატონისა ვარ ლალი უმა

ჩაწერილი ილია ქავჭავაძის მიერ. 1871 წ., უმიკ., № 1355.

### ქ ა რ თ ლ უ რ ი

#### ბ

ბატონის იალაღზედა  
მტერო, რას შეგებუები,  
მოგიბრუნდები, ხმალსა გკრავ,  
ტყემლად არ შეგებუები.

ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 56, გვ. 190.

#### 42. მთიელო, მთაში გაზდილო

ჩაწერილი ილია ქავჭავაძის მიერ. კოტ., გვ. 68, ახ. გამოც., გვ. 86.

### ქ ა რ თ ლ უ რ ი

#### ბ

მთიელო, მთაში გარდილო,  
ხმალს როდის მოგიშვიდება?  
ომში შეხვალ და გამოხვალ,  
გული არ შეგიშინდება,  
5 არ იცი უკან დახევა,  
გული რო გაგიხურდება.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. თაყ., I, № 57, გვ. 190, .ქრესტ.,  
II, № 7, გვ. 8. თედო რაზიკაშვილის მიერ იქვე ჩაწერილია ოღნავ  
განსხვავებული მეორე ტექსტი: სტრიქ. 1—ზევ: მ თ ი ე ლ ო, მ თ ა შ ი  
გ ა ზ რ დ ი ლ ო. სტრიქ. 5 — ა რ ც ი ც ი. სტრიქ. 6 — შ ა გ ი ხ უ რ -  
დ ე ბ ა. თაყ., I, № 73, გვ. 193.



## მ თ ი უ ლ უ რ ი

### ბ

მთის შვილო. მთაში ვაზრდ-ლო,  
ქმალს როდის მოგიმივდება?  
ომში შეხვალ და გაპოხვალ.  
გული არ შეგიშინდება.  
სისხლისა ნაკუბარზედა  
ფეხი არ გაეკანება.

მთქმელი ილო გვრიტიშვილი. ჩაწერილი სოფ. სოდევეს აპ. ცანა-  
ვას მიერ, 1946 წ. ვირსალ., № 2, გვ. 111.

## მ ო ხ ე უ რ ი

### დ

მარტიავ მამსურის შვილო  
ქმალს როდის მოგიმივდება,  
ომში შახოლ და გაპოხოლ,  
გული არ შავიშინდება,  
5 სისხლისა ნაკუბარზედა  
ფეხი არ მოგიკურდება.

მთქმელი სია გიგაური. ჩაწერილი სოფ. სტეფანწმინდას. სიმ. შა-  
ღურის მიერ. 1890 წ., უმიკ., № 30, გვ. 40.

## 43. ომის კარ დამყვანებელსა

ჩაწერილი ხევსურეთში ბეს. გაბურის მიერ. შან., № 300, გვ. 126.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ომშია დამპყვებელსა  
არ დაიეწყებს სწორები,  
სოფელში ამო-გემოსა  
გულმდულრად ტირის ქალები.

მთქმელი გ. ხორნაული. ჩაწერილი სოფ. კაწალხევში ვ. იორნაუ-  
ლის მიერ 1924 წ. ფშ.-ხევს., გვ. 111. ტექსტს ახლავს შენიშვნა.  
სტრიქ. 3 — ა მ ო - გ ე მ ო ს ა — ტ კ ბ ი ლ კ ა ც ს.

## 44. ნადირი რომორ მაიკლას

მთქმელი გიორგი ბერას ძე აფციაური. ჩაწერილი სოფ. ათნოხში  
ელ. ვირსალაძის მიერ. 1950 წ. ვირსალ., № 8, გვ. 111.

#### 45. ომში უმყოფელს ვაჟაბაცსა

ფ. არქ. კ. 5, გვ. 588. მთქმ. ი. არჩემაშვილი. ჩამწ. დ. წერედიანი.

#### 46. კა ვაჟი

ჩაწერილი სოფ. თეთრწყლებში. კინ., გვ. 347.

#### 47. ჯავრო, არ მოგვიმ ნებასა

ჩაწერილი ფშავში დავით ხიზანაშვილის მიერ. ფშ. ლექს., გვ. 121. ასეთივეა ხევსურული. შან., № 322. დაბეჭდილი ნ. ურბნელის მიხედვით, ივ. № 238, 1888 წ.

### ფ შ ა უ რ ი

#### ბ

გულო, არ მოგცემ საგონსა,  
თავო, არ დაგაშავებო,  
მტერო, არ დაგიშინდები,  
ქმალო, შენ გაგაფხავებო.

ჩაწერილი სოფ. შარახევში ივ. ბოძაშვილის მიერ. ივ., № 55, 1899 წ., შან., გვ. 510.

### ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

#### ბ

გულო, არ მიგცემ საგონთა,  
თავო, არ დაგაშავება,  
მტერო, შენ ზავსა არ მოგცემ,  
ფრანგულო, დაგაფხავება.

მთქმელი ვაჟიკა არაბული. ჩაწერილი ხევსურეთში. მშბ., № 12, 1900 წ., შან., გვ. 510; კოტ., გვ. 70. ახ. გამოც., გვ. 88.

#### 48. მალღაით მოვლენ ღურბელნი

ჩაწერილი ფშავში, დ. ხიზანაშვილის მიერ. ფშ. ლექს., გვ. 154. ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 10 — ა რ გ ა ნ ი — უ ძ ლ უ რ ი ს ა თ ვ ი ს —  
ყ ა ვ ა რ ჯ ე ნ ი. ასეთივეა სოფ. მალაროსკარში მარო ლომნაას ას. წიკ-  
ლაური-ქენჭაძის მიერ ჩაწერილი ტექსტი. ნათ., გვ. 9, № 6.

#### 49. ხან შასმა უნდა ღვიწროსა

ჩაწერილი ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ. თაყ., I, № 45, გვ. 499.

ბ

ხან-ხან სმა უნდა ღვინოა,  
ხანდახან შამღერებაო,  
ხანდახან ომი ქალაქსა,  
ხანდახან შასვენებაო.

სნჯ. I, გვ. 235.

50. თქვენი რიგია ახლაგო

ჩაწერილია ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ, I, № 60, გვ. 190. აქვს. მელოდია.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

თქვენი ჭერია, ბიკებო,  
ხელი დაიდეთ ხმალზედა,  
თორემ ყორნები სძლებიან  
წინაპართ ნაომარზედა.

ჩაწერილი გრ. ჩხიკვაძის მიერ. ქართ. სიმღ., I, გვ. 177.

51. ახლები ომადი

ჩაწერილი ხევსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 272, გვ. 121.

52. ვაჟაბანი მთაში ნაზარდნი

ჩაწერილი ქართლში. აქვს მელოდია. ქართ. სიმღ., I, გვ. 177.

53. კანი ყმა გავინ კარგია

ჩაწერილი ხევში, მოხ., გვ. 12. სტრიქ. 6 დაბეჭდილია შ ა მ ა ს -  
დ ი ო დ ე ს, უნდა იყოს ჩ ა მ ა ს დ ი ო დ ე ს.

54. ვაჟასა უნისთანასა

მთქმელი აფშინა გიგაური. ჩაწერილი ნიკო ურბნელის მიერ. ივ. № 90, 1881 წ.; შან., № 268, გვ. 120.

55. ყაფვილო, არშის ციხესა

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 13.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

არშის ციხეში ჩამსვლელი  
განა შენფერი ყმა უნდა?! —  
ჩაეის-ჩამტანი ფარისა,  
ამამტანელი სხვა უნდა!

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 2. გვ. 23.

#### 56. წახველ და არ წამიხვანო

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 71, გვ. 193.

#### 57. ძველი დრო

ჩაწერილი ხევში. მოხ., გვ. 11.

სტრიქ. 2 — დაბეკდილია შვილი; შესწორებულია შვილიდნი.

ასეთივეა 1936 წ. სოფ. აჩხოტში მიხ. მალსაგიშვილის ჩაწერილი ტექსტი. ფ. არქ. № 5097. განსხვავება: სტრიქ. 2 — შვილიდნი რო შვიქდა რქისაო.

#### 58. ცოტა ხანია მოისა

ჩაწერილია ფშავში გიგი ხორნაულის მიერ. ქართ. ხალხ. საგმირო აფორიზმები, გვ. 28.

#### 59. ვინაც რა უნდა ისა თქვას

მთქმელი ქიტე ჯოლბორდი. ჩაწერილი სოფ. ძევერში (გორის რ.) გ. ყაბანაშვილის მიერ. 27.VII—61 წ., ფ. არქ. ქ. 61, გვ. 248. ხალხური ვარიანტია აკ. წერეთლის ლექსისა „მუშური“.

#### 60. ვინც რომ კაცია

უმიკ., № 1333.

### ბ

ვინცა კაცია,  
ჩოხა აცვია,

ჩოხა ჯაჭვისა,  
გული ნაბდისა,  
5 მუზარადისა.

უმეკ., № 1334.

61. როსტომ თქვა: მიწა გრილია

ჩაწერილი თუშეთში ალ. ხახანაშვილის მიერ. უმეკ., გვ. 606.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

როსტომ სთქვა: მიწა გრილია,  
მტერსა არ უნდა რბილობა,  
ქარგია ეაქაცისათვის  
ომშია გამოცდილობა.

ჩაწერილი ქართლში. კოტ., გვ. 205. ახ. გამოც., გვ. 225.

ქ ა ხ უ რ ი

ბ

როსტომ თქვა: მიწა გრილია,  
სიტყვას არ უნდა რბილობა,  
შიში არ იხსნის სიკედლისა,  
კუღია დაღრეჯილობა,  
5 რაც ომში კაცი დეესწროს,  
გარჯა უნდა და ცდილობა.  
ათასათ გვარი დაფასდა,  
ორი ათასათ ზრდილობა,  
თუ კაცი თითონ არ ეარგა,  
10 კუღია გვარიშვილობა.  
ერუ კაცი წყალა წაილოს,  
— აქოს, ადიდოს — გაქვიშოს,  
უბრალოთ ლაყაბს დაიწვევს,  
გუშინწინდელი არ იყოს.

ჩაწერილი სოფ. მარაბდას ნინო ბარათოვის მიერ., უმეკ., № 1348.  
საინტერესო კონტამინაციის ნიმუშია. შეიცავს რუსთაველის სახელ-  
თან დაკავშირებულ სტრიქონებსაც.

62. ვაჟაჲ, რას მავულდიღვბი

ფშაური. მოყვანილია ევა-ფშაველას წერილში „ფშაველი დედა-  
კაცის მდგომარეობა და იღვალადი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით“,  
ტ. V, გვ. 90.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

- ვაჟავ, რას მეთავდილები,  
რა მეტობაი გიქნია?  
შენი ცხენი და აბჯარი  
ლაშქარს როს წაგიტანია?  
5 კაცი როს მახკალ ჰარელი?  
ქელი როს მოგიტანია?  
ქალი მოკვეთილებული  
ცოლად როს მოგიყვანია?  
ქევსურთი დიდი ქებაო  
10 მეტად როს აგიტანია?

ჩაწერილია ხევსურეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. შან., № 273, გვ. 121. სათაურად აქვს „მეტობის ქნა“.

### გ

- შენ ქვე რა გიქნავ, ვაჟაო?  
სახელ რა მაგიტანია?  
კაცი როს მახკალ ჰარელი?  
ქელი როს მაგიტანია?  
5 ქალი კვეთილში ნაჯდომი  
ცოლად ვინ წაგიყვანია?

ჩაწერილი ხევსურეთში ბეს. გაბურის მიერ. შან., გვ. 495.

### 63. ბასპირი ხმალო

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 62, გვ. 196. ასეთივეა ალ. ხახანაშვილის ჩაწერილი ტექსტი: ც. არქ., ფ. 1446. № 198<sup>3</sup>, გვ. 3. განსხვავება: სტრიქ. 1. ხ მ ა ლ ო ა მ ო მ ყ ე, ა მ ო მ ყ ე.

### 64. ჩვენ ბივრის ხმალი გვექაღნის

მთქმელი ს. ბურწელიშვილი. ჩაწერილი ხევში სოფ. სტეფანწმინდას დომ. ყაზბეგის მიერ, 1875 წ. უმიკ., № 1327. სტრიქ. 4 — ძ ა ნ — ძ ღ ი ა — შეიძლება იყოს გ ა მ ძ ლ ე ა. დედანშია „ძანძლია კაცისა“— ფ. არქ., უმიკ., № 2077.

### 65. შენ ბივო აზამბურალო

ჩაწერილი კახეთში. უმიკ., № 1356.

შენ ბიკო აზამბურელო,  
 შენი ხმა ჩამოდიოდა,  
 შენი ნახოცი ლეკები  
 არაგვი ჩამოდიოდა,  
 5 არაგვი სისხლმა შეღება,  
 ცხეთაში ჩამოდიოდა.

ჩაწერილი ალ. ხახანაშვილის მიერ. ც. არქ. ფ. 1446, № 198<sup>3</sup>, გვ. 3. ვარიანტები სამკალი სიმღერისა:

შენ ბიკო აზამბურელო,  
 შენი ხმა ჩამოდიოდა,  
 შენი ნამგლისა ზრიალი  
 წყალგალმა გამოდიოდა.

ქრესტ., I, № 6, გვ. 28.

66. ვინც იცნობს

ჩაწერილი ხევსურეთში გ. ნათაძის მიერ. ნათ., № 164, გვ. 98.

67. ხან ვიბჰვი

მთქმელი ბაბაღე ხორნაული. ჩაწერილი 1930 წ. ვ. ხორნაულის მიერ. ფშ.-ხევს., გვ. 112.

68. კარბისა ჟმისა მცემელო

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ. III, № 68, გვ. 46.

69. მაშინ იხარე ლურჯაო

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ, ხალხ. სიტყვ., III, № 82, გვ. 49.

70. მბარო, ნუ მთხოვ მუჰარასა

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 87, გვ. 50.

71. ვინამც სთქვა

ჩაწერილი თუშეთში ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., I, გვ. 54.

## 72. ობოლსა სწყვიცნა უორნაზი

ჩაწერილი ხეცსურეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 315, გვ. 128. ასეთივეა, ფშაური ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 169, გვ. 79. იხ. აგრეთვე ჩაწერილი ხოშარაში. ივ. № 148, 1890 წ.

## 73. აი მსია, მსია

მთქმელი მიხეილ თეოფანეს ძე სონღულაშვილი. ჩაწერილი 1951 წ. სოფ. დიღომში, ჯ. სონღულაშვილის მიერ. მასალ., I, № 9, გვ. 8.

## 75. კაცთა დიდი ლიახვისა

ხეცსურული. ჩაწერილი თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., № 304, გვ. 127.

## 75. კაცთა დიდი ლიახვისა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 74, გვ. 193. დაბეჭდილი იყო კაცნი დიდნი, შევასწორეთ კაცთა დიდი.

## ბ

კაცი დიდი ლიახვისა,  
თოფები აქვთ ხორასნისა,  
მტერსა მტრულად დახედებთან,  
მოკეთეს მოსკაშენ კირსა.

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 75, გვ. 193. ქრესტ., II, № 34, გვ. 14.

## 76. სამაისტლოებს ბიჰებსა

მთქმელი ხთისო ჩარწოშვილი, სოფ. გოგოლაურთადან. ჩაწერილი 3.VII—1911 წ. აკ. შანიძის მიერ ფშავში, სოფ. ხოშარაში. შან., გვ. 507.

## ფ შ ა უ რ ი

## ბ

სამაისტლუებს ბიჰებსა  
ბაკნით გვისმიეთ ლუდია.  
გძელია მაისტის თავი,  
ყმა იქ ვერ ჩავა ცუდია.



- 5 გან იქაც ქალებია,  
გადაიმრუდოთ ქუდია?  
იქ არი ქისტიშვილები,  
ხანჯრით იციან ჩხუბია.

ჩაწერილი ფშავში ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 508.

ბ

- სამაისტუებს ვაეებსა  
ბაკნით ასმიეთ ლუდია.  
დიდია მაისტის თავი,  
ყმა იქ ვერ ჩავა ცუდია.
- 5 გან იქაც ქალები არი,  
გადაიმრუდონ ქუდია?  
გზაში სხედს ქისტის შვილები,  
ტყვია გამოდის ლურჯია.

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 508.

დ

- სამაისტლოებს ვაეებსა,  
ბაკნით გვისმიეთ ლუდია.  
არ არის მამიდებები,  
გადაიმრუდონ ქუდია,
- 5 გძელია მაისტის კალა,  
ყმა იქ ვერ ჩადის ცუდია.  
ურჯულო ქისტის შვილებმა  
თოფით იციან ჩხუბია.

ჩაწერილი სოფ. შუაფხოში. მთქმელი ლეკია თვარელაშვილი.  
ჩამწერი ივ. ხორნაული. 1939 წ. ფშ. ხევს., გვ. 95.

ხ ე ს უ რ უ ლ ი

ე

- სამაისტნელებს ვაეებსა  
ბაკნით გვისმიეთ ლუდია.  
გძელია მაისტის კალა,  
ყმა იქ ვერ ჩავა ცუდია.
- 5 განა იქაც ლაშარის გორია,  
გადაიმრუდოთ ქუდია?  
იქ არი ქისტის შვილები,  
ხანჯრით იციან ჩხუბია.

ჩაწერილი შ. ბეწუკლიშვილის მიერ. შან., გვ. 508.

სამაისტლოებს ვაუებსა  
 ბაკნით ასმიეთ ლუდია!  
 განთ იქაც ქალებია,  
 გადაიმრუდან ქუდია?  
 5 იქ არის ქისტის შვილები,  
 თოფით იციან შულღია.

თვით ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 316, გვ. 128.

77. ლურბელათ ქალის გავრდილი

ჩაწერილი ფშავში თ. რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 174, გვ. 80.

78. ჰმალს ეტყვის შაბილიონი

ხევსურული. ჩაწერილი ალ. ოჩიაურის მიერ. შან., № 307, გვ. 127. ბეს. გაბურის ვარიანტის მიხედვით სტრიქ. 4 — ჩ ვ ე ნ ი—შ ე—  
 ნ ი. შან., გვ. 506.

79. ღაკაკრით, ნულარ გაუვამბთ

ჩაწერილი ფშავში თ. რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 27, გვ. 31.

80. თუში ბიროდა მთაზადა

„ივ.“ № 204, 1889 წ. ასეთივეა — ხელნაწ. ინსტ. H—1999, გვ. 25.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ბ

თუში ტიროდა მთაზედა,  
 თავი ძმის ნაოზარზედა,  
 მოეკლა ძმისა მომკლავი,  
 დასტრიალებდა თავზედა.

მთქმელი ვასილ ზაქაიძე, ჩაწერილი სოფ. წკერეში ელ. ვირსა-  
 ლაძის მიერ. 1934 წ. ვირსალ. № 50, გვ. 127. არის კიდევ ჩანაწერი—  
 ფ. არქ., № 6110, რომელიც რაიმე თავისებურებით არ ხასიათდება.

81. თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე

უმიკ., № 1335.

## ქართლური

მთქმელი მერაბიშვილი. ჩაწერილი ნიჩბისში. კოტ., გვ. 121. ახ. გამოც., გვ. 136. იმეორებს ძირითად ტექსტს. ძირითად ტექსტს იმეორებს აგრეთვე ქართლში ჩაწერილი მეორე ტექსტი. ქართ. სიმღ., გვ. 174. განსხვავება: სტრიქ. 1 — გ ი მ ო ყ ვ რ ე ბ; სტრიქ. 3 — შ ე - მ ა ტ ყ ო ბ ი ნ ე — შ ე მ ო მ ი თ ვ ა ლ ე, აქვს საკუთარი მელოდია.

## 82. თეთრი ცხენი და წითელი

ჩაწერილი ხევში. სნჯ., II, გვ. 209.

## 83. კაი ყმა, მგელი, არწივი

ხეცსურული. მთქმელი ვაჟიკა არაბული. ჩაწერილი ილია ქავჭავაძის მიერ. კოტ., 69., ახ. გამოც., გვ. 87, თარგმნილია რუსულად. ა. ტარკოვსკის მიერ. Поэзия Грузии, მ.-ლ. 1949, გვ. 30.

## ფშაური

კაი ყმა, მგელი, არწივი,  
 არც ერთ არ გაიწურთნება  
 მგელი არ მაჰშლის მგლობასა,  
 არწივი — ნადირობასა,  
 5 კარგი ყმა — მამაცობასა.  
 მგელი გაიელის მთის წვერთა,  
 — ნაში ნაბერტყი დარჩება,  
 დაიხულუზნებს არწივი,  
 მთით ბარად ჩამუარდება,  
 10 მზად უნდა იყოს კარგი ყმა,  
 რა ამბავ შამუარდება!

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ, შან., გვ. 497; ხალხ. სიტყვ., III, № 72, ახლავს შენიშვნები:

სტრიქ. 2. „მე-2 ვარიანტი: — არცერთ არ დაიზავება“,

სტრიქ. 8 — დაიხულუზნებს არწივი — არწივი როცა მადლიდან ძირს მოქრის რამეზე დასაცემად. ხალხ. სიტყვ., III, გვ. 46.

## 2

მგელი არ მაშლის მგლობასა,  
 კარგი ყმა მამაცობასა.  
 ბერი არწივი ყუჩაი  
 — ჰიუხჩი ნადირობასა.

ჩაწერილი ფშავში ვ. ტუქსიშვილის მიერ. შან., გვ. 497.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### დ

- კა ვაჟი, მგელი, არწივი  
 — არც ერთ არ გაიწურთნება:  
 მგელი არ მაშლის მგლობასა,  
 კაი ყმა მამაცობასა,  
 5 არწივი არწიობასა,  
 მთის ყურეს ნადირობასა.  
 მგელი გაივლის მთაზედა,  
 ნამ დაბერტყილი დარჩება.  
 არწივი დაიხულება,  
 10 მთით ბარად ჩამოვარდება,  
 დაიქერს შუნის თიკანსა,  
 ქორცი ძვალადავ დაშჩება.

კომპინირებული ტექსტია. აკ. შანიძემ დაბეჭდა ბეს. გაბურისა და ვაჟიკა არაბულის (მმბ, № 25, 1895 წ.) მიხედვით. შან., № 275, გვ. 122, ქრესტ., II, № 37, გვ. 15.

### ე

- კაი ყმა, მგელი, არწივი  
 არც ერთ არ გაიწურთნების:  
 მგელი არ მოშლის მგლობასა,  
 კაი ყმა — მამაცობასა;  
 5 არწივი ბერი, ყუჩაი  
 — მთის ყურეს ნადირობასა.  
 დაიგრუზების არწივი,  
 მთით ბარად ჩამოვარდების,  
 დაიქერს შუნის თიკანსა,  
 10 ქორცი ყორანთა დაშჩების.

ჩაწერილი ხევსურეთში, როშკაში — აკ. შანიძის მიერ, 1911 წელს. შან.: გვ. 496.

### 3

კა ვაჟი, მგელი, არწივი  
 — არც ერთ არ გაიწურთნება.

მგელი არ მაშლის მგლობას,  
კა ვაჟი მამაცობასა.

- 5 ბერი არ მაშლის არწივი  
მთის ყურეთ ნადირობასა.

ჩაწერილი ხევისურეთში, ვაჟა-ფშაველას მიერ. ივ., № 9, 1889 წ.,  
შან., გვ. 497.

### ზ

კაი ყმა, ბერი არწივი,  
ერთუცის მუქარანია:  
კაი ყმა ომში მოკვლების  
სწორების მჭობინობასა.

- 5 არ მოშლის ბერი არწივი  
მთის ყურეს ნადირობასა.

ჩაწერილი ხევისურეთში გიორგი წერეთლის მიერ. შან., გვ. 497,  
კონტამინაციის ნიმუშია, 3 და 4 სტრიქონები № 22 ლექსის დასაწყის-  
ისის ვარიანტია. ეს გარემოება აღნიშნული აქვს, აკ. შანიძეს, იქვე.

### ყ

დააგრეზება არწივი,  
მთით ბარად ჩამავარდება.  
მზას უნდა იყოს ოქიაცი,  
კმა რამე შამაღვარდება.

ჩაწერილი ხევისურეთში, ბეს. გაბურის მიერ. შან., № 291, გვ.  
125. ქრესტ., II, № 25, გვ. 12, აკ. შანიძე, შენიშნავს „ეს ლექსი თით-  
ქო ნაწყვეტი უნდა იყოს 275 ნომრისა“. (იგულისხმება შან., № 275.  
ქ. ს.), შან., გვ. 503. აკ. შანიძის სავარაუდო შენიშვნა, შეიძლება მი-  
ვიღოთ უტყუარ ფაქტად.

### თ

კაი ყმა, მგელი, არწივი,  
არც ერთ არ გაიწურანება,  
მგელი არ მოშლის მგელობას,  
კაი ყმა — მამაცობასა.

- 5 არწივი — არწივობასა,  
მზის ყურეთ ნადირობასა.  
მგელი გადიელის გზაზედა,  
ნამ გაბერტყილი დარჩება,  
ფრთას დაახუვლებს არწივი,  
10 ერთბაშად ჩამოვარდება,

დაიქერს ჟიხვის თიანსა,  
ხორცი ძვალადვე დარჩება.

მთქმელი ვანო ჩარბოლაშვილი. ჩაწერილი ქვემო ქედში მათე  
წიკლაურის მიერ, 1962 წ. ფ. არქ. კ. 114, გვ. 43.

## მ ო ხ ე ვ უ რ ი

### ი

მგელი არ მოშლის მგლობასა,  
ლალი ყმა მამაცობასა,  
არც მოშლის ბერი არწივი  
წვერის ძირს ნადირობასა.

მთქმელი ალ. შადური. ჩაწერილი ხევში, სოფ. სტეფანწმინდას.  
ივ. შადურის მიერ, 1884 წ., უმიკ., № 1340; ივ. № 2, 1885, „მთაში  
შეკრებილი“; — შან., გვ. 497. ასეთივეა ღია გიგაურის თქმით 1890  
წ. ხევში, სოფ. სტეფანწმინდას სიმ. შადურის ჩაწერილი ტექსტი. ფ.  
არქ. კოლ. უმიკ. ყუთი № 5. განსხვავება: სტრიქ. 2 — ლ ა ლ ი —  
კ ა რ გ ი.

### ი ა

სამი არ გაიწურთნება:  
მგელი, არწივი, კაი ყმა.  
მგელი არ მაშლის მგლობასა,  
ვაშკაცი მამაცობასა.  
5 არწივი — ფრინველთა მეფე  
კიუხჩი ნადირობასა.  
დაბლა აპირობს დაწვეას,  
მწყეცებთან სადილობასა.

ჩაწერილი 1936 წ. ყაზბეგის რ. სოფ. აჩხოტში, მის. მალსაგიშვი-  
ლის მიერ. ფ. არქ., № 5090. ასეთივეა — მოხ., გვ. 6. განსხვავება —  
სტრიქ. 6 — ჭ ი უ ხ ჩ ი — ჭ ა უ ხ შ ი.

## თ უ შ უ რ ი

### ი ბ

მთას იხუილა არწივმა,  
მთით ბარად ჩამუარდება,  
ტყეს ჩამაილის არწივი,  
ტყე დაბეგრილი დარჩება;

5 შუნსა მასტაეებს ციკანსა,  
სადილად სადმე დაჭდება,  
გულს და ღვიძლს შასქამს თვითონა,  
ლეში ყორნებსა დაპრჩება.

ჩაწერილი თუშეთში თედო რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 497;  
ხალხ. სიტყვ., III, № 22, გვ. 283.

84. მოვალ, მოვზუზი

ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, № 80,  
გვ. 193.

85. ხევისურ ვარ აპარეპაი

ჩაწერილი ფშავში, თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ.,  
III, № 149, გვ. 72. კერძო პირზე ნათქვამი ლექსი გამოხატავს გმი-  
რობის განზოგადოებულ თვისებებს.

86. ჩემო ნარმის ჩიქილარო

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ.,  
III, № 135, გვ. 68. პარალელიზმით შეკრული იუმორული ლექსია.

87. ვაჟაცასა სულით სიძვირე

ჩაწერილი 1936 წ. ყაზბეგის რ. სოფ. აჩხოტში, მიხ. მალსაგიშვი-  
ლის მიერ. ფ. არქ., № 5094.

88. არწივის ბოლო მოვკაღე

მთქმელი გოგოთურ ხორნაული. ჩაწერილი სოფ. გრძელ ქალა-  
ში (ყვარლის რ.), 1939 წ. ფშ.-ხევს., გვ. 125.

სტრიქ. 3 დაბეჭდილია — ვ ა ე უ ს ძ ე ბ. შევასწორეთ — ვ ა  
ე უ ს ძ ე მ.

89. ლომისა ტაჰვსა ჩაიცივე

მთქმელი მეჩონგურე და მომღერალი ალექსანდრე სონღულაშვი-  
ლი, 55 წლის. გარდაიცვალა 1952 წ. ჩაწერილი სოფ. დილომში 1951  
წ. ჯ. სონღულაშვილის მიერ, მასალ. I, № 4, გვ. 8. ქრესტ., II, № 12,  
გვ. 10. ეს ლექსი პოეტური კონსტრუქციითა და განწყობილებით მოგ-  
ვაგონებს ვეფხისტყაოსნის 435 სტროფს.

ჩაწერილი ხევეში. მოხ., გვ. 71.

91. მებახს რო ჳარი მიუხტა

ჩაწერილი ქართლში თედო რაზუკაშვილის მიერ. თაყ., I, № 78, გვ. 193.

92. ესა არ იცი, ჳაბან ააცს

უმიკ. № 1318.

93. ჳივსურო, კმალი ბალაღვს

ჩაწერილი ხევსურეთში ერასტი ბალიაურის მიერ. ორი უკანას-  
კნელი სტრიქონის გამოკლებით დაბეჭდილია — შან., № 33, გვ. 127.

კ ა ხ უ რ ი

ბ

ხევსურო, ხმალი გაშვენებს,  
ფშაველო, ენა გრძელია,  
გუდამაყრელო, მაყარი,  
ტყვია გამოდის ცხელია  
5 მთიულო, ქადის კვერანი,  
თუ გული უძეს სქელია.

მთქმელი ნ. გორელაშვილი. ჩაწერილი კახეთში გ. არაბულის  
მიერ, 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 205.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ქევსურო, კმალი გალაღვს,  
ფშაველო — ენა გძელიო,  
გუდამაყრელო — მაყარი,  
ტყვია გამადის ცხელიო.  
5 ქევსურო, ქოცე ერთურთი,  
სხვა არაი გაქე ქელიო.  
ფშავით ადინე ძროხები,  
თუშეთით — ბევრი ცხენიო.  
ადეგ, შაყარე ჳარები,  
10 რუსი მყავ დასაცდელიო.



შენი ჭარბით აავსო  
თვალის ყელი გველიო.

ჩაწერილი ხეცსურეთში ნიკო მაკალათიას მიერ, შან., გვ. 505.

#### 94. ხმალს ნუ ჩახედავ მოყვირო

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „ფშაველები“, როგორც ნიმუში ძველი, ფეოდალიზმის ხანაში შექმნილი ლექსისა. ტ. V, გვ. 18. სასიმღეროა, აქვს მელიქია, ქართ., სიმღ., I, გვ. 168, ასეთივეა სნჯ., III, გვ. 180.

### ქ ა რ თ ლ უ რ ი

#### ბ

თითქმის იგივეა, რაც ძირითადი ტექსტი. განსხვავებანი: სტრიქ. 1 — ხმალს ნუ უყურებ, ვაჟკაცო; სტრიქ. 3 — გაგახალისებს, ჩაწერილი ქართლში, ქართ. სიმღ., I, გვ. 168.

#### ბ

ხმალს ნუ უყურებ. ვაჟკაცო,  
ხმალი მშიერი მგელია.  
გაგიქრის, წაგიხალისებს,  
ბოლოს საფლავის მთხრელია.

ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ. შან., გვ. 658.

### ფ შ ა უ რ ი

#### ღ

ემთხვევა ძირითად ტექსტს.

ჩაწერილი ფშავეში ვაჟა-ფშაველას მიერ. ივ. № 141, 1886 წ., შან., გვ. 494. ასეთივეა დავ. ხიზანაშვილის მიერ ფშავეში ჩაწერილი ტექსტი. ფშ. ლექს., გვ. 198. განსხვავება: სტრიქ. 2 — მ შ ი ე რ ა — მ შ ი ე რ ი. სტრიქ. 3 — გა გ ი ხ ა ლ ი ზ ე ბ ს — გა გ ი ხ ა ლ ი ს ე ბ ს..

### ხ ე ც ს უ რ უ ლ ი

#### ი

ქმალს ნუ ენდობი, ვაშკაცო,  
— ქმალი მშიერი მგელია.

გაგიკრის, გაგიხალიზებს,  
ბოლოს დროს ლიბუს მთხრელია.

ჩაწერილი ხეცსურეთში ალ. ოჩიაურის მიერ. შან., გვ. 494.

3

ქმალს ნუ დაენდობ, ოშკაცო,  
— ქმალი შშიერი მგელია.  
გაგიკრის, გაგიხალიზებს,  
ბოლოს კი ლიბუთ მთხრელია.

ჩაწერილი ხეცსურეთში ბეს. გაბურის მიერ. შან., გვ. 494.

მ თ ი უ ლ უ რ ი

ზ

მთქმელი გიორგი აფციაური. ჩაწერილი ათნოხში. ელ. ვირსალა-  
ძის მიერ. 1950 წ. ვირსალ. № 9, გვ. 111.

განსხვავება: სტრიქ. 1 — უყურებ — ჩაჰყვები; სტრიქ. 2 —  
შშიერი—შშიარი; სტრიქ. 3 გაგახალისებს—გაგიხალისებს.

95. ხმალმა სთჰვა

ჩაწერილი ქართლში ია კარგარეთელის მიერ. კოტ., გვ. 136, ახ.  
გამოც., გვ. 152. ქრესტ., II, № 30, გვ. 13. ასეთივეა 1953 წ. სოფ.  
ქვემო ხვითში თამარ მაჩაბლის ჩაწერილი ტექსტი. მასალ. 1, № 12,  
გვ. 9. განსხვავება: სტრიქ. 1 — დაჟანგდა; სტრიქ. 2 — ჩამიგ-  
დო.

ხ ე ც ს უ რ უ ლ ი

ბ

ხმალმა თქვა: ჟანგმა შემქამა,  
მოყუმე ვერ ამამაღერა.  
ცუდამ ჩამაგა ქარქაჩი,  
ჩამაგა, ჟვარი დამწერა.

მთქმელი ხეცსური ი. გოგოკური, ჩაწერილი თეთრწყლებში,  
1961. შ. კონსტანტიდის მიერ, 1961 წ. ფ. არქ. კ. 15, გვ. 236.

თ უ შ უ რ ი

ბ

ხმალმა თქვა: ჟანგმა შემქამა,  
ჯაბანმა რამამ ჩამაგდა,

ნეტავინ პირშიშველასა  
წვერ უხვეველ ყმასთან შამაბა,  
5 რო შამიტანოს ოშშია,  
სისხლის მორევში ჩამაგდა.

ჩაწერილი თუშეთში გ. ნათაძის მიერ. ნათ., I, № 156. გვ. 96.  
ასეთივეა — სნჯ., II, გვ. 224. განსხვავება: სტრიქ. 3 — წვერ უხ-  
ვეველ ყმას; სტრიქ. 5 — შამიტანდა. ეს ვარიანტი კონტამი-  
ნაციის წესით იწყება სხვა დამოუკიდებელი ლექსის („ხევსურო,  
ხმალი გალადებს“) ოთხი სტრიქონით.

#### 96. კვალ ბაზმირ

მთქმელი გიორგი წიკლაური, 120 წელზე გადაცილებული. წ. კ.  
მცოდნე. ჩაწერილი 1934 წ. სოფ. ზანდუქში ელ. ვირსალაძის მიერ.  
ვირსალ. № 5, გვ. 111.

#### ბ

თუშმა ივანემ ხმალს უთხრა:  
გასჭერი ხმალო, ტიალო,  
გასჭერი, თორემ გაგყიდი,  
ვაჰარი შამიჩენია.

5 — რისთვის გამყიდი, პატრონო,  
ნეტავ რა შაგიმჩნევია.

ჩაწერილი ი. სიღამონ-ერისთავის მიერ კახეთში, სოფ. ველის-  
ციხეს. უმიკ., № 504, გვ. 267.

#### თ უ შ უ რ ი

#### ბ

პატრონ თქვა: ხმალო, გაგყიდი,  
ვაჰარი ამიჩენია!  
ხმალმა თქვა: პატრონ, რად მყიდი,  
რა წუნი შაგიმჩნევია?

5 მამიკლავს შენი მამკვლედი,  
სხვა რა დამიშაგებია!

ჩაწერილი თუშეთში ილია ჭავჭავაძის მიერ, 1871 წ. უმიკ., № 1347.

#### დ

თითქმის იგივეა, რაც ძირითადი ტექსტი. განსხვავებანი: სტრიქ.  
3 — რისთვის გამყიდი: სტრიქ. 6 — შემირჩენია—შემიკმევია.

მთქმელი ხვთისო ბურდული. ჩაწერილი ზემო ალვანში იოსებ ლონგიშვილის მიერ. 21 ივლისი, 1961 წ. 21. VII—1963; ფ. არქ., კ. 23, გვ. 430. ჩანაწერი იხ. აგრეთვე, კრბ. № 10, 1873.

97. ხმალს უთხრა ივანეურმა

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 150, გვ. 72.

98. გასვარი ჩემო ხმალო

ფ. არქ. კ. 23, გვ. 437.

მთქ. გულქანა რაზიკაშვილი. ჩამწ. იოსებ ლონგიშვილი, დუშეთის რ-ნი, სოფ. ფუძნარი, 1961 წ.

99. ხმალსა ჯილაბად იკითხვან

მთქმელი დ. გოგოჭური. ჩაწერილი თეთრწყლებში შ. კონსტანტინიძის მიერ. 1961 წ. ფ. არქ. კ. 15, გვ. 247. სათაურად აქვს „შაირი“.

100. სანაგის სანაგი

მთქმელი ალუდაური. ჩაწერილი ხახმატში, ალ. კინქარაულის მიერ. კინ., გვ. 398.

101. თუზ-მოურავმა ხმალს უთხრა

ივ. № 204, 1889 წ. ჩამ. ნ. ხუციშვილი. ახალქალაქი.

102. მთიბელავ, უანი ფანებული

ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ. ხალხ. სიტყვ., III, № 81, გვ. 49.

103. აბიან, ნიკოს წვრილო

მთქმელი ბ. ალბუთაშვილი. ჩამწერი ილო ბეჟანიშვილი. ლიტ.  
მუზ., 20022—ხ. ყდა დათარიღებულია XII—1934 წ.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

- იოსებ ხარანაულსა, ეტყვის საჩქარო მკარია,  
გიორგის ეუბნებოდა, იორს დაევაღათ თვალია,  
ტინკოსაც გაეაგებინათ, სამნივ წავიდათ ძმანია.  
იორზე შამამდგარიყვა, თათრის შვილების ჯარია,  
5 თოფი დაღრიჯა თათარმა, იოსებმ დახრა თვალია,  
თოფი არ დამკრა, რჯულძაღლო, არ მამიყივლა გვარია.  
იოსებმ შამაუბრუნა, თათარმ დაყარნა ყბანია.

მთქმელი ხევსური ტ. კინქარაული. სოფ. გამარჯვება, ჩამწერი  
გ. ხორნაული. 1961 წ., ფ. არქ., კ. 17, გვ. 330. სათაურად აქვს „იოსებ  
ხარანაული“.

## მ თ ი უ ლ უ რ ი

### დ

- სამ ძმათა ხორანაულთა საომრად ეტყვის მკარია,  
ორშაბათ დილა გათენდა, ადგეს, დაკმაზეს ცხენები.  
— იოსებმ გიორგის უთხრა: შირაქ დაეაღლოთ თოლიო.  
— მოდი, ნუ წავალთ ტინიკო, წუხელ ვითრევე მკვდარიო.  
5 — ნეტავი ტინკო დედაშენს შენ გასჩენიყავ ქალია. —  
იერისა პირზე ჩამოღვა თათრის ურჯულო ჯარია.  
იოსებმ გადაუძახა:  
— გეძებდით, შაგვეყარენით, შური გვაქვს საძებარია.  
ჯოგში ცხენები დაგვაკლეს, ვართ იმის მძებარია.  
10 წინ წინ დაგვიტყეს გიორგის, მოასწყდა მარჯვენა მკარია.  
დაქრილმა ისევ მოასწრო, დააგლეჯინა ყბანია.  
თათარმა თოფი მაღრიჯა, იოსებმ შაასწრო თვალია.  
გარბის ნაომარ თათრები, თან გაადევს სისხლის კვალია.  
ტინიკომ გადაუძახა: — სად მიგაქვთ ჩვენი ვალია?  
15 — გაეარდა ტინკოს მაყარი, ყურბანამ დასცა რქანია.  
საჩქაროს კმალით აკათა ჩემ ძმას უზიდე წყალიო.  
ძალღებს სალაფავ უღუღე, ხვეტე ფარეხის კარია.  
გიორგი, შენი სიკვდილი ციდან რეკია ზარია,  
გაიგეს შავეთელეებმა, გახსნეს სამოთხის კარია.  
20 დელეს ატირდა თამარი, თამარ ლაშარის ჯვარია:  
— ქისტეთით ვეღარ მოვასწარ, დამიზარალდა ყმანია.  
ვესროლე ჯაჭვის კალთანი, მაგრა ვერ მოვაგვარია.  
კელთა მეტანა თეთრია, ფეკთ ეკრა ოქროს ნალია,

კელში მეჭირა მათრახი, შეიდ პირი, შეიდი მკარია.  
25 წინ მიშლის ოქროს ნაწნაეი, გაღაეყარე თმანია.

მთქმელი ს. ნალიბაიძე, სოფ. ნალიბაანთკარი, ჩამწერი ელ. ვირ-  
სალაძე, 1934 წ., ვირსალ., № 49, გვ. 126—127.

## 2

გიორგიმ უთხრა ტინკოსა, იორს ღაეავლოთ თოლია,  
თან წაეიყვანოთ იოსებ, წაეიღეთ სამნი ძმანია.  
გადმომღგარიყენენ გორზუნა ღევათნელები რვანია.  
ათამაშებენ ცხენებსა, თათრები კაი ყმანია.

- 5 თათარმა თოფი დაღრიჯა, გიორგიმ გაჰკრა თოლია,  
გიორგიმ თოფი ესროლა, თათარს მოგლოჯა ყზანია.  
— ვაი თქვენს იოსებს, თათრებო, ცლისა არ მექნა ხანია,  
არ მეათამაშნა თქვენზედა ჩემი ფრანგული კმალია.

მთქმელი ბუჩუკური სიმონ ადამის ძე. სოფ. ქიმბარიანი. ჩამწე-  
რი ელ. ვირსალაძე, 1934 წ., ვირსალ., გვ. 453.

ვარიანტი ჩაწერილი სიმონ ნალიბაიძისაგან 12 წლის შემდგომ  
1946 წ. ექსპედიციის წევრის ა. ცანავას მიერ.

## 3

სამთავე ხარანეულთა საომრად ეტყვის მკარია,  
ორშაბათ დილა გათენდა, დაქნეს შირაქის გზანია,  
იოსებმ გიორგის უთხრა: — მოდი, ნუ წაეალთ, გიორგი,  
წუხელ სიზმარში ვითომდა, ავითრიოდი მკარია.

- 5 იოსებმა ტინკოს უთხრა:  
— ნეტავ ტინიკო ღედაშენს, გაჩენილიყავ ქალია. —  
იერისა პირსა შამოდგა, თათრის ურჯულო ჭარია.  
გეძებდით, შაგეყარენით, შური გვაქვ საძებარია.  
ჯოგში დაგვტაცეთ ცხენები, ვართ იმის მოძებარია.
- 10 დატყვრა, დაქალდა თოფები, დაბრუნდა კუბრის ალია.  
წინწინ გიორგის დაგეირტყეს, მოტუნდა მარჯვენა მკარია.  
ვაჟ ღედას გიორგისასა, არ მექნა ომის თავია.  
ვერცა ვესროლე მეორე, ვერც მოვიქნიეე კმალია.  
თათარმა თოფი დაღრიჯა, იოსებ მოასწრო თოლია.
- 15 გაეარდა ტინკოს მჟარი, ყურბანას დახსნა რქანია.  
ცოლი გამორბის, ტიროდა:  
— ტინიკო, რატომ მომიკალ ყურბანა, ჩემი ქმარია.  
ღელეს მოსტირის თამარი, ლაშარ-ლაშარის ჭვარია.  
ქისტეთით ვეღარ მოვასწარ, დამიზარალდა ყმანია.
- 20 კელთა მეტანა თეთრაჲ, ფეკთ ეკრა ოქროს ნალია,  
კელში მეჭირა მათრახი, შეიღპირი, შეიდი მკარია.  
— გიორგი, შენი სიკედილი ცით დარეკილი ზარია —  
გაიგეს შაეეთელეზმა, გახსნეს სამოთხის კარია.

ქელთ მისცეს წყვილი სანთელი, — ჩაინათლოდე გზანია,  
25 აქაც კაი კაცი იყავ, იქაც ნათელი შენია...

ფ. არქ., № 32304. — დაბეჭდილია ვირსალ., გვ 453—454.

### ზ

- მინდორში ლაშქარს ამბობენ, გადაუვლია მთანია,  
გიორანეულის შვილებსა, საომრად ეტყევის შქარია.  
გიორგიმ უთხრა ტინკოსა: იორ ჩავევლოთ თვალია.  
თან წაიყვანათ იოსება, სამნი წაივლეთ ძმანიო —
- 5 იორზე როცა ჩაივლენ, წინ დახვდათ თათრის ჭარო.  
თათარმა თოფით დაღრიჯა, თათრებს დარჩება თვალიო.  
— ამას თოფ არ ჰკრა ურჯულო, არ შავვირცხვინოთ თავიო.  
დასწრო ისევ იოსებამ, თათარ დახვივა ბოლიო,  
გიორგის თოფი დაგვიკრეს, მოსწყვიტეს მქარის ძოლიო.
- 10 — აი დედას გიორგისასა, ცდისა არ მექნა ხანია.  
თქვენზედ მეთამაშებინა ჩემი ფრანგული კმალია, —  
ძმის მომკლავს, მოაკლავს ტინკოი, გვერდ გადმოუდო მკედარია.  
— შენც ემანდ ეგდე, ურჯულო, ჩემ ძმას უზიდე წყალია.  
ძალღებს უდღულე სალაფა, მწყემსებს უბრუნე ცხვარია.
- 15 გიორგი, შენსა სიკვიდისა, ზეცას გაელოთ კარია.  
თვ დაგაყენე აქიმი, მილიონ მისცეს ქრთამია,  
ე მაგის გამლექსებელი, ალვანში თუშის ქალია.  
სალექსე გამომიგზავნეთ სამოცი მანგე ცხვარია.  
თუ ცხვარს არ გამოგიგზავნით, გიორგის თოფი, კმალია.

მთქმელი ლეგა ქავთარაძე, სოფ. ჩადისციხე, ჩამწერი ელ. ვირ-  
ზალაძე, 1940 წ., ვირსალ., № 48, გვ. 126. მთქმელის შენიშვნა: „ფერ-  
ვისაში სათქმელია“, იქვე, გვ. 453.

### თ უ შ უ რ ი

### ჭ

- იოსებ ხარანაულსა საწყინარს ეტყევის მხარო.  
ძმასა ეტყოდა გიორგის, იორს ჩავევლოთ თვალიო  
წინ ნიკო გავიმძღვაროთა, ვიქნებით სამნი ძმანიო.  
იორიც შამოიარეს ხარანაულნი სამნიო.
- 5 მოუკლავ ღორის ბურვაი იმას გახადეს ტყავიო.  
ჩაივლენნ საფონოზედა, წინ დახვდათ თათრის ჭარო.  
კიდევ გეძებდით, რჯულ ძალწო, ჭავრიც რო გევირდა თქენიო.  
ჯოგში ცხენები დაგეტაკეთ, ველარ გავიგეთ კვალიო.  
ფონზე მოვიდა გიორგი, უნდა დავლიო წყალიო,
- 10 თათარმა თოფი მოღრიჯა, იოსებმ შეაწრ თვალიო,  
ძმა არ მაიკლა რჯულ ძალწო, არ შამირცხვინო გვარიო.  
იმას იოსებმ დასწრო, თათარს დაგლიჯა ყბანიო.



- ასე დაბრუნდა თათარი, როგორაც ბორბალს წყალიო.  
 მობრუნდეს, იოსებს დაკრეს, მოსტეხეს წინა მხარით.
- 15 მხარში ტყვიასა ჩოთირობს, არც იმტელ ქქონდის ძალიო.  
 ახლა გიორგიმ ესროლა, მოსტეხა წინა მხარით.  
 მობრუნდეს, გიორგის დაკრეს, დაიძრა მიწა პყარიო.  
 ხელდაზოძება მოუხდა, ტინკოზე დარჩა თვალიო.  
 ვი დედას თქვენსას, თათრებო, კარგად ვერ ვცადეთ თავიო.
- 20 ვერც დავაყარე საწქაო, ვერც ვაფქვევინე ძვალიო.  
 უკან გაბრუნდა თათრის ჭარ, თან გაყეებ სისხლის კვალიო.  
 თან ტინკო გაუდგებოდა, ძმისა სად მიგაქვს ეალიო,  
 მაგრე უნდ ძმისა მომკლავსა, თავს შახვი თოფის კვალიო.  
 ახლა ხანჭლითაც ზედ მივა: ჩემის ძმის მსახურ ხარით.
- 25 თუ ღირსი იყო, რჯულ ძალო, დაუბანლოდ ჭლანითო..  
 თუ ღირს არ იყო, რჯულ ძალო მწყემსებს უბრუნე ცხვარიო,  
 უზიდე გულა-ნაბადი, ცივი უტანე წყალიო.  
 ძალღებს უქმეი სასუარი, უხვეტ ფარების კარიო.  
 ოთხშაბათს გათენებისას გააღეს სამოთხის კარიო,
- 30 შიგ შეიყვანეს გიორგი, მოთხის რომ გახსნეს კარიო!..  
 ხელში მოგციან კელაპტრებ, რომ შეინათო გზანიო!  
 შიგ შაგაბძანეს, გიორგი, ოქროს მოგიდგეს სკაპიო.  
 შავეთის მეუფეროსემან სამჭერ დაგიკრან თავიო.

თუშეთი. ჩამწერი გომელაური, 1892 წ., ტ. არქ., ფ. 1446, № 682,  
 83. 67.

თ

- იერის ბოლოში ჩავიდნენ ხარანაულთა ყმანია,  
 გიორგი ეტყოდ იოსებს, იორს დავაელოთ თვალია.  
 თან გაიყოლეს ტინკოი, მათი უმცროსი ძმაია.
- იერის ბოლოს რო ჩავიდნენ, იქ დახვდათ თათრის ჭარია.
- 5 თათარმა თოფი მოღრიჯა, იოსებმ ასწრო თვალია,  
 ისევე იოსებმ დაასწრო, თათარს დაგლიჯა ყბანია.  
 მობრუნდნენ, დახკრეს იოსებს, არწივს მოსტეხეს მხარია,  
 ძმაიც ხომ იმასთან მოხკლეს, გიორგი წინამძღვარია.  
 ტინკოს ვერ დაიჭირიან, ამაამღერა ხმალია,
- 10 ჭერ თოფის სროლით თათრებსა თავს დახვიე თოფის ალია.  
 ახლა ხელდახელ წავიდა, კარგა გასაჯა ხმალია,  
 შეემთხვევიან ტინკოსა რჯულ ძალი თათრის ყმანია.  
 — აბა ეცადეთ, თათრებო, მე ერთი, თქვენ კი ცხარანია,  
 ყველა მხალივით აკუნა, დედა გიცხონოს მკედარია.
- 15 მეათეც იმათთან დანუა, ლეკების წინამძღვარია,  
 ფშვლის მთას გადმოიხედა, შეპყვირა, როგორც ხარია.  
 — გიორგი, იოსებ მომყავს. გააღეთ სამოთხის კარია,  
 საყდარსაც გააღებინებს, შიგ შეიყვანეს მკედარანია.  
 თავით დაუნთეს სანთელი, ფეხთან დაუდგეს ცხვარია.
- 20 ორსა ვაჯკაცსა ცხარედა დასტირის ქალი-რძალია.

მთქმელი გურამ ბაიხოდე. ზემო ალვანი, ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. XI—1961 წ., ფ. არქ., კ. 24, გვ. 61.

0

- მინდვრით მოვიდა ამბავი, გადმოიარა მთანია,  
ვერ გაიგეთა ფშავლებო, შეგესსნათ რკინის კარია.  
იოსებ ხარანაულსა საწყინარ ეტყვის მხარია,  
იოსებ უთხრა გიორგის, იორს დაეაღოთ თვალია.
- 5 ტინკოც თან გამაიყოლეს, წამოვლენ სამნი ძმანია.  
ჩაიღნენ ივრის პირზედა, აუტყდათ ნიავეკარია,  
იორზე ჩამოსულიყო ურჯულო თათრის ჯარია.  
დაბრუნებულა ფონზედა, მოსწყურებია წყალია,  
გვინდოდით, კიდევ შემოგვხვდით, შური გვაქეს სამებარია.
- 10 თქვენ დაგვირეკეთ ცხენები, არ უნდა ეკამოთ ჯავრია,  
უპირდაპირეს ერთმანეთს, თათრებიც კარგი ყმანია.  
თორმეტ-ცამეტი თათარი, ხარანაულნი სამნია.  
დაუწყეს სროლა ერთმანეთს, დაბლა წვიმს, მალა დარია,  
წინწინ იოსებ მოარტყეს, დაწვა მანძილა ხარია.
- 15 ყურმანამ თოფი დაღრიჯა, გიორგის უთხრა განია,  
თოფი არ დამკრა რჯულძალლო, არ შემირცხვინო გვარია.  
წინწინ გიორგიმ დაასწრო, თათარს დაჰგლიჯა ყბანია,  
ბობოქრობს იოსებაი, ცხელის ტყვიისგან მთვრალია.  
ახლა გიორგის მოარტყეს, არწივის მოსტეხეს მხარია,
- 20 ცოტაიმც დამცალეზიყო, ცოტაის ხანის, ხანია.  
ჩინი ხირიმის ტყვიითა მემტვრია თათრის ძვალია.  
ტინკომ კი ვერაფერი ქნა, ძმას ძმაზე დარჩა თვალია,  
გიორგიმ კედომა დაიწყო, ზეცით დარეკეს ზარია.  
შენი სიკვდილი გიორგი ვაი, რა ცოდო-ბრალია,
- 25 დელეს ატირდა თამარი, ლაშარს — ლაშარის ჯვარიო,  
იწყინა ლაშარის ჯვარამა, წელთით შეიხსნა ხმალია,  
უკუღმა გადაიყარა ოქროს მათარახის ტარია,  
რა შეგაწყინე უფალო, რათ დამიღოე ყმანია,  
ემაგის მამლექსებელი ახადში ხევის ბერია,
- 30 სალექსოდ გამომიგზავნეთ ფეხზე ნაცვამი ჭლანა,  
ან ერთ მუნთან ციკანი, არ გაგითავდეთ ცხვარია.

მთქმელი პავლე ობგაიძე. ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 12.VII—1961 წ., ფ. არქ., კ. 23, გვ. 382.

0ა

- დელეს ატირდა თამარი, ლაშარს — ლაშარის ჯვარიო,  
მოდინ ხარანაულნი, ღმერთო, დასწერე ჯვარიო.  
— ჩაიღნენ ივრის პირზედა, იქ დახვდათ თათრის ჯარო.  
გიორგიმ ტინკოს უბრძანა: ძმაო წაგვისხეს ცხვარიო.
- 5 ჩვენს ყარაბაღულ ქეჩებსა — ექვნებს გაქონდათ ჩქამიო.

თათარმა თოფი დაღრიჯა, იოსებს დარჩა თვალიო.  
 ძმა არ მამიკლა რჯულძაღლო, არ შამირცხენო გვარიო.  
 წინწინ გიორგიმ დასწრო, დაამტერეუინა ებანიო.  
 გამოსტყვერა თათრის მაჟარი, იოსებს მასტყუდა მხარიო.  
 10 ბობოქრობს იოსებაი, — ცხელი ტყვიით მკრთალიო.  
 ეს ბაღლი რაღად მაჰკალით, არ იყო მეომარიო.  
 ეგ ბაღლი იმით მოვკალით, შვილ გეყავის საძებარიო.

ჩამწერი ი. როსტომაშვილი. ლიტ. მუხ., 8283—ხ. ყ—92. ელ. ვირსალაძემ აღნუსხა ამ ლექსის სხვა ხელნაწერი ვარიანტები: ხელნაწ. ინსტ. H—1990ა; № 22: H—1990ბ, № 45; H—1941. № 10—14; ფ. არქ. № № 10398; 12870; 13832 (ამონაწ. გზ. „კოლმეურნის ხმა“, 1935 წ. № 49), 17138, 17575, 18350, 22398, ვირსალ., გვ. 454.

### 202. ხვედია გუღამაჰალი

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 51—52. ეს და № 195 (ივანე აქიმშიშვილი) ერთი ციკლისაა. შეიძლება მათი თანმიმდევრულად დაბეჭდვაც.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- გაღმა თათარსა აქებენ, თარაქამაი შვილსაო,  
 ცხენასაც მაგას უქებენ, მუხლი აქეს ნიაჭრისაო.  
 ჩამავლენ ფშავლი შვილები, ნისლი ძეს იმათ ცხერისაო,  
 ეტყოდა ამხანაგებსა, ბაჟი ავიღოთ ცხერისაო.
- 5 ჩავიდნენ, ჩაყვეს გრილებსა, ოხერ გრანიცის პირსაო,  
 გიორგი შამეყარეს, აქიმთ ივანეს შვილსაო,  
 შორის ეძახის თათარი, ბიჭო, მაიტა ჩიხტაო,  
 — ვერა, მე ჩიხტას ვერ მოგცემ, მონარევი ვარ სხვცსაო,  
 შამაუტია თათარმა, იმედი ჰქონდა ცდისაო,
- 10 — დაიცა, რჯულძაღლ თათარო, ჭავრი მკირს წინა წლისაო,  
 გიორგიმ ნიშან დაადვა, მარცხენა ძუძუს პირსაო,  
 გავარდის თოფი ბერდენკა, თათარ პირქვე დეცისაო,  
 ტირილი მოდის ქალისა, ქალისა თათრის ძისაო,  
 ნეტა ვინ მოკლა ჩემი ძმა, მხოცავი ფშავლებსაო.
- 15 ჩემ ძმას გულ ეღდა რკინისა, მკლავები — სპილოს ძელისაო,  
 გიორგის ვერ სცნობთ, თათრებო, აქიმთ ივანეს შვილსაო. —

მთქმელი გ. ბეროშვილი. თელავის რ., სოფ. ლეჩური, ჩამწერი დ. წერეთლიანი, 17.VI—1961. ფ. არქ., კ. 5, გვ. 569.

- მოდი, ლექსი ვთქვათ, ბიჭებო, ლექსი კაისა ყმისაო, ხვედიას გუდამაყრელსა ერთი არა სჯობს ცდითაო. ოსმალში თათარს აქებენ, თარაქამაის შვილსაო, აქებენ მაგის ლურჯასა, მუხლი აქეს ნიაჟქრისაო.
- 5 ეტყოდა ამხანაგებსა, დაუყვეთ ალაზნის პირსაო, მეცხვარეები მოდიან, ბარჯი ავილოთ ცხვრისაო. ხვედიას შემოეყარნენ, გუდამაყრელის შვილსაო: — ეგ ცხორი მოგვე, ხვედიავე, თორე მსხვერპლ გაგხდი ხმლისაო. ხვედია შემოუბრუნებს მგელივით ლეგა პირსაო,
- 10 დაადვა თოფის ლიშანი მარჯვენა ძუძუს პირსაო, ლეგაის თოფი გაუარდა, თათარი დასცა ძირსაო. „თორმეტი მახკალ, თათარო, ახლა ხომ მოგხვდა ჭკვიისაო!“ მალლა ღმერთს ეყურებოდა ტირილი მაგის დისაო, ჩვენ ყარამანი ვინ მახკლა, ხელი ვინ კაღრა გმირსაო!

ფშავი, ჩამწერი გიორგი ნათაძე. ნათ., № 12, გვ. 14.

## დ

უცვლელად იმეორებს ძირითად ტექსტს. თელავის რ., პანკისი. ჩამწერი ვანო ბუთლიაშვილი. 1935 წ. ლიტ. მუზ., 20024—ხ. ყ. 332, გვ. 179, იგივეა, ლიტ. მუზ., 20075—ხ. ყ. 342, გვ. 12.

## ე

- განჯაში თათარს აქებდნენ თარაქამაის შვილსაო. ცხენსაც უქებდნენ ლურჯასა, ფეხი აქ ნიაჟ-ქრისაო. სანამ აჯობა მამასა, სანამ იცელიდა კბილსაო. ეუბნებოდა სწორებსა: — წავიდეთ ივრის პირსაო.
- 5 შამაიელიან ფარები, — ბაჟი ავილოთ ცხვრისაო. შამახედნენ ხვედიაურსა გუდამაყრელის შვილსაო. თათრულად დაუჩიყიყიეს: — მოგეაწოდევით ჩიხტაო! — მე თქვენ არ მოგცემთ ჩიხტასა, არცა მაქვს ნათხოვრისაო. ხვედია გუდამაყრელმა ფერ შაიდენა მგლისაო.
- 10 თოფის ლიშანი დაუდო მარცხენა ძუძუძ ძირსაო. იქექა ხვედიას თოფმა, თათარი ღვრიდა სისხლსაო. — დედაც გიტირე, თათარო, იყავი მაგის ლირსაო. შარშან რო თუშებ დახოცე, იმათთან წყალსა ზიდავო. იახდნენ ქისტის შვილები: — ვინ არ შააბედა გმირსაო?
- 15 მაჟღავდნენ ფშავლის შვილები, გული აქეს სპილენძისაო. ეგ რო მეეკლათ რუსებსა, გაახდიდნენ ჭარის თავსაო.

მთქმელი სიკო აბრამიშვილი, თიანეთის რ-ნი, ს. ახალსოფელი.  
ჩამწერი არ. შიშმანაშვილი. ფ. არქ., კ. 26, გვ. 135.

## ზ

- თათარში თათარს აქებენ, მაგ თარიქამის შვილსაო.  
სამჭერა სჯობდა მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო.  
შამაუარეს იერი პირს. გადმოშლილია ცხვარიო,  
წამოუტეეს ჩობანსა, ნოტო გასხლიტეს ცხვრისაო.
- 5 ვეფხვია გუდამაყრელი, ფერი დაიდო მგლისაო.  
თოფი ასწორა ნიშანში, დასცა ბელადი ძირსაო.  
წადი და ეხლა გარევე ვგ ნოტო ჩემი ცხვრისაო'

მთქმელი — ს. მიკირტუმაშვილი. თელავის რ., სოფ. ქისტაური,  
ჩამწერი გ. არაბული, ფ. არქ., კ. 27, გვ. 53.

## თ

- ოსმალში თათარს აქებენ, თარაქამის შვილსაო,  
სანამ აჯობა მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო,  
ეძახდა ამხანიგებსა, — გაეხყვათ გრანიცის პირსაო.  
დაკაზმეს ფაიტონები, გამაუყენეს ჩრდილსაო,
- 5 გადაიხედეს შირაქსა, გუნდი წეეს ფშავლის ცხვრისაო.  
ქვედიას ჭალაბაურსა ცხვარნი ხყეან გვერდის პირსაო.  
თათარ ეძახდა რჯულ ძალი, — ჩქარა მიტა ჩიხტაო,  
— შენ ჩიხტას ვერას მაგეყმდი, ცხვარი მამარაე სხვისაო.
- 10 თათარ კმლით შამაეტია, გული ვერ იცნა ყმისაო,  
ქვედიამ ჭალაბაურმა პირ დაიბრუნა მგლისაო,  
დაზღუდა ლამაზად ლიშანი მარჯვენა გულისპირსაო,  
შარშან დახტოცენ თუშები, წყალსამც იმათსა ზიდაო  
ქვედიაე ჭალაბაურო, დედამც შენ ცხონდებისაო.  
შენ მახკალ თარაქამია, კელ როგორ შაზღუე გმირსაო.

მთქმ. პ. წიკლაური, ჩამწერი გ. ხორნაული. ფ. არქ., კ. 32, გვ.  
240.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ო

- ოსმალში თათარს აქებენ, თარაქმანის შვილსაო:  
„სანამ აჯობნა მამისა, სანამ იცვლიდა კბილსაო!“  
ცხენსა უქებენ ტიალსა: „მუქლი აქე ნიაე-ქრისაო!..  
დილა დახკაზმეს ცხენები, შამაუყენეს ჩდილსაო.
- 5 ერთმანეთს ეუბნებიან: „დაეხყვათ გრანიცის პირსაო“.  
შირაქის-ყელი შამაქდეს, შუქ დეფინა მზისაო.  
ჩახენეს შირაქის ველსა, გუნდ ნახეს მშავლის ცხვრისაო.  
ღვედრისა გუდამაყრელსა ცხვარან ხყეან გორის პირსაო.

- შამეყარა თათარი: „ბაჯ უნდა მამცა ცხერისაო!“
- 10 „მე ბაჯს ვერ მაგცემ, თათარი, ცხვარი მზარაეის სხვისაო!“  
თათარ კმალდაკმალ წავიდა, გულ კი ვერ გასცნა ყმისაო.  
ბერდენკის ლიშან დაადვა მარცხენას გულისპირასაო —  
ცხენს დაეკიდა თათარი, აღებს შაშვივით პირსაო...  
„შარშან რო ჯოგებ გალალე, წელს აისრ ნულარ გინდაო!“
- 15 „შარშ რო გვიტოცე წყემსები, აიმათ წყალსამე ზიდაო!..“  
ღვედრიავ გულამაყრელო, შენ ღედამე ცხონდებისაო,  
შენ მახკალ თათრის ბელადი, როგორ დასწონე გმირსაო?

მთქმელი ლ. კინჭარაული. შატილი. ჩამწერი ა. კინჭარაული.  
კინ., გვ. 404. სათაურად აქვს „ღვედრია გულამაყრელი“.

### კ

- ქვედია ჭალაბაურსა, ცხვარან ხყვან წვერის ძირსაო,  
ნუ მიტრიალებ ქეჩებსა შირაქში მიმდინარსაო.  
ქვედია, ჭალაბაურო შენ ღედამე ცხონდებისაო,  
შენ მოხკალ თათრის აღლარი, კელ როგორ ხკადრე გმირსაო.
- 5 თათარ ცხენს ჩამაეკიდა, შაშვივით აღებს პირსაო.

მთქმელი ურჯუკა ქისტაური, თეთრწყლები, თელავის რ., ჩამწე-  
რი ნუნუ სახელაშვილი. ფ. არქ., კ. 11, გვ. 314.

### კა

- ოსმალში თათარს აქებენ აბდულ ზეინარ-ოღლისა.  
სცარცვამს მდიდარს და ღარიბსა, ამტირებელი ოღლისა.  
ლაშქრავს თუშ-ფშაველთა ფარებს, ცხრამეტ თავი სძე ჩობნისა,  
ცოლმა დაუწყო აბდულას სიტყვა ნაზი და წყლიანი.
- 5 — რალაცა ხასიათზე ვარ, ხორცი მამინდა ცვრიანი.  
ამ ყაღმა გული გამოკლა, სჯობდა ბატყანი რძიანი,  
ესლა თრიალეთ იქნება საესე მთა-ყურე ცხვრიანი.  
მზარ-თემოზე წვეს აბდულა, პირშ შირავე ყალიონ გრძელია.  
პირი გაალო, გამოჰკრა იქიდან ბოლი ცხელია,
- 10 ყალიონ გვერძე გადადო, ხმალს მიაწოდა ხელია.  
— აქ მოდი ჩემო ფრანგულო, გურჯების ძვალთა მჭრელია.  
შაკაზმა, გამაფრინა თავის მიმინო ცხენია.  
თან გაიყოლა თათრები დავლის გამტანი ორნია.  
ავერ გახედა შორადა, ფარას მისდევენ ორანი.
- 15 ლურჯუნასა და ხვედიას მოუდიოდნენ ცხორანი,  
გამაემართა მერანი, მოვა, მანჯრეც მინდორსა,  
ზედ თითონ მაეზაყება, ხმლისას მაიქნევს ვადასა,  
ამხანაგთ უთხრა აბდულამ: — ყურ მიგდით, გეტყვით მე რასო:  
წუხელის ვნახე სიზმარი, კაცს ვისზე ვკლავდი ქერასო,  
20 მას თუშის ფერი არ ჰქონდა, არც ჰგვანდა ფშავლის ქალასო,  
წინ მიდგებოდა ამაყად, არ მანებებდა ფარასო,  
წარბშეუდრეკიც რამ იყო, თოფს აბრუნებდა ხარასო!

ამ საუბარში აბღულა ზედ წააწყდების ფარასო.  
ჩობანს ასძრახდა აბღულა: — საით რას მწყემსო ცხვრისაო,  
გამაარჩიე მსუქნები კედილეები წლისაო.

ხვედიამ გასცა პასუხი, დაუფერებდა პირსაო,  
— ვიზედაც გაგიმარჯვებავ, მე არ გეგონო ისაო.

რა დაინახა ხვედიამ, პირს გადიწერა ჭყარია,  
ახსენა თავის პირიმზე, მარიგის კარზე მღვარია,

30 კილით კიდემდე მეშველი ხახმატს გიორგი მგზავრია.

დაცინებით უთხრა თათარმა, რა დაიწერა პირკვარი:

— აქ არც ღმერთია, არც ხატი, არც ეკლესია, სიძღვარი.

ვინც მკლავს გაიქნევს, დარჩება, საქმე ცდაზეა მიმდგარი.

რა გაიგონა ჩობნისა სიტყვა ბრიყვი და ტიალი,

35 ხელი ჰკრა ფრანგის ნაჭედსა; ფრანგულმა შექნა ბრიალი.

მემცხვარემ თოფი გაშიშვლა, ხარაი პირ-კომლიანი,

შამაუტია თათარსა: — ქალ არ გეგონო თმინი.

აბღულამ გაცხარებულმა მკლავი გაბერტყა განადა,

გადააწოდა ფრანგული, უნდა გაეკრა ორადა;

40 ხვედია გულამაყრელმა, თოფი იხმარა ფარადა.

ერთის მოქნევით გადურჩა, უკუნ გავარდა ველადა,

დაბარუნდა გირგალივითა ბრანზმორეული ჩობანი,

სასხლეტს ჰკრა სალოკელ თითი, დართნა სიჩაჩის ნებანი.

ჩახმანმა ტალი კვესსა ჰკრა, ფალიას გაადგენ თქეფანი,

45 ფალია ცეცხლი ლულასა ტყვიამ ტუჩში ქნა ტყეპანი.

აბღულას გულისპირიდან, სისხლმა დაიწყო ჩქეფანი...

თან მიაძახა — ხვედიამ, — ვერ დაგვხდა დედის გარდლი?

რა დაიპყვილა ხარამა, მთა-გორმ დაიწყო ქუხილი,

არ იყო ცოდვით საცქერი აბღულას გულისწუხილი.

50 ცხენზეთ ჩამეეკიდა, შაშვივით აღებს პირსაო;

თან მიაძახა — ეგა ვარ, გულამაყრელის გზრდილი,

ავ მსაპინძელი დაგიხვდი, ავად გაქმეი სადლი.

წინათაც ჰხოცე ჩობნები, იმათ მსახურიმც ხარაო,

ერთი ემონე ცხრამეტსა, წყალ მიართომდი ჩქარაო...

55 მემრ ჩაღვა ნაბდის ბუდეში ი თავის თოფი ხარაო.

მარცხნივ გადიგდა გვერძედა, სასწრაფოდ გადგენ ჩხარაო.

მთქმელი ძალიკა გოგოჭური, თელავის რ-ნი, სოფ. თეთრწყლები,  
ჩამწერი შ. კონსტანტინილი, ფ. არქ., კ—15, გვ. 187.

გაუშართავი ტექსტია. ეტყობა იგი გავრცობული და თავისებურად  
გაკეთებულია მთქმელის მიერ. სათაურად აქვს „გულამაყრელ  
ხვედიაზე“.

### კვ

ღვედიას გულამაყრელსა, ცხვარან ხყვან გორის პირსაო,  
შამეყარა თათარი, ჩიხა მსთხოვა ცხვრისაო,  
ჩიხა-ჩუხისა არ ვიცი, მე ცხვარი მბარავ სხვისაო.  
ღვედიას გულამაყრელსა, იმედ აქვ ბერდენკისაო.

- 5 მაგაბა თოფის ლიშანი, მარჯვენას გულის პირსაო,  
თათარ ცხენს გარმევიდა, ალებს შაშვივით პირსაო.  
შარშ რო გაღრეკეთ ცხენები, წელსაჲ აისაჲ გინდაო?  
შარშ რო ჩახტოკეთ ქისტები, იმათ წყალთამეა ზიდაო.

მთქმელი ტრიხი ჭინჭარაული, ხევსურეთიდან სამგორში ჩამო-  
სახლებული, ტექსტი ჩაწერილია სამგორში, გ. ხორნაულის მიერ.  
1961 წ., ფ. არქ., კ—17, გვ. 329.

### კვ

- ოსმალში თათარს აქებენ თარქამაიშვილსაო,  
ცხენსა უქებენ ლურჯასა, მუხლი აქვს შავარდნისაო.  
ეტყოდა ამხანაგებსა: — ჩიხტა ავილოთ ცხერისაო,  
აისხეს იარაღები, დახყენეს ალაზნის პირსაო.  
შემოხვდებიან ხვედიას გუდამაყრელის შვილსაო,  
თათრულად შეაგინებენ, ხევსურო, მოგვე ჩიხტაო.  
მე ჩიხტას საიდან მოგვემთ, მწყემსი ვარ სხვა კაცისაო.  
თათარმ ხმლით შემოუტია, ახლა შენ საქმე ჭირსაო.  
გაჯავრდა ხევსურიშვილი, სახეში შაიკერისაო.
- 10 კარგად დაადვა ლიშანი მარჯვენა ძუძუს ძირსაო.  
თათარ ცხენს გაღმოევიდა, შაშვივით ალებს პირსაო.  
ნახალისარო სხვაზედა მე დაგხვდი შენის ჭყვისაო.  
გახსოვთ, დახოცეთ წყემსები მაგ ჩვენი თუშებისაო?  
იმათ უნცროსიმე იქნები, შენ იმათ წყალსამე ზიდაო.  
არ დააცალა ხვედიამ, თოფები გამოღისაო.  
ომია ალაზნის პირსა, რისხვა დაეცა ხეთისაო.  
დაიქცნეს თათრის შვილები, სოფლისკე იზმენ პირსაო.  
გაწირეს თავის ბელადი აივსნენ სირცხვილითაო.  
ხვედიაჲ ხევსურის შვილო, დედაშენ ცხოვდებისაო.
- 20 შენ მოხკალ თარქმანაი, ჯავრი არ ჰამე მტრისაო.

თიანეთის რ., სოფ. ღულელები, ჩამწერი გ. ჭინჭარაული, ლიტ.  
მუზ., 20053—ბ, ყ—338, გვ. 11.

### მ თ ი უ ლ უ რ ი

### კლ

შიშინაობას ამბობენ, თათარი მოდევს ველსაო,  
ცხვარში მოუხდა ხადიას, ურჩევენ ნაბერწლებსაო.  
— დაიცათ, ურჯულოებო, რაზე მიქსაქსაეთ ცხვრებსაო,  
ან პატრონს არა ჰკითხავთა, ან იქ ვინ უღგას გვერდსაო?! —  
გამოქანდება თათარი, კმალზე გაიკრავს ჭელსაო:  
მაგვდინს არ გალაპარაკებ, გაგავდებიან თავსაო, —  
— გამცილდი, გირჩეე, თათარო, ძილ დაგაძინავ ხშირსაო,  
ტყვიას გაგავლებ გულსაო, სისხლით ავივსებ პირსაო. —



ამოუბრუნა კორაი, მკრებში ააღწენ ბოლსაო.

- 10 ამხანაგს ეუბნებოდა: — ტყეიას ვერ ვართმევ თვალსაო, არ ვიცი, გააცილებია, არ ვიცი, ყინჩად სჭრისაო. — შირაქში მოკლეს ალლარი, უთხარით მაგის ქვირისაო, ნულარ მოელის საშოვარს, ნულარც ალლარის შვილსაო. —

მთქმელი ნინია აფციაური. ს. დუმაცხო ჩამწერი ელ. ვირსალა-  
ძე. 1934 წ., ვირსალ., № 46, გვ. 124.

### კმ

ოსმალში თათარს აქებენ თარაქამაის შვილსაო  
ცხენსაც უქებენ ოხერსა, მუხლი აქვს ნიაქრისაო.  
ჯოჯოლ რა საით რას მიხვალ, რაით მიარბენ ვირსაო,  
ეგ თოფი აქ მამაწოდე, თორემ თავს მოგპრი ხმლითაო.  
თოფის გულისათ ნუ მამკლავ, ძაღლო, ამა თუ გინდაო,  
ხვედია მ გუდამაყრელმა პირ მიიბრუნა მგლისაო,  
თოფ დაქარა აშამ ოღლისა, უბას სისხლი გადმოდისაო.  
ხვედია გუდამაყრელო, შენამც მოგპარავ კირსაო,  
მოგვიკალ მეცხვარეებსა ყასაბი ფშავლებსიაო.

- 10 შენი რამი იმითა გეჯერა, რო თოფს ნახლმევი სკირსაო.

ჩაწერილი დუშეთის რ., ფასანაურში, ირ. კვიციანიის მიერ. ლიტ.  
მუზ., 20074—ბ, ყ. 342.

### კპ

— მოდი, ლექსი ვთქოთ ბიქებო, ლექსი კაისა ყმისაო,  
ხვედიას გუდამაყრელსა ერთი არა სჯობს ცლითაო.  
ოსმალში თათარს აქებენ თარაქამაის შვილსაო.  
აქებენ მაგის ლურჯასა, ზეხლი აქვს ნიაქრისაო.  
5 ეტყოდა ამხანაგებსა, დაყვეთ ალაზნის პირსაო,  
მეცხვარეები მოდიან, ბარჯი ავილოთ ცხერისაო.  
ხვედიას შამაყარენ გუდამაყრელის შვილსაო:  
— ეგ ცხორი მაგვე ხვედია, თორე მსხვერპლ გაგხდი ხმლისაო.  
ხვედია შამაუბრუნებს მგელივით ლეგას პირსაო.  
დაადე თოფის ლიშანი მარჯვენა ძეძუს პირსაო.  
მაგისი თოფი გავარდა, თათარი დასცა ძირსაო.  
თორმეტი მაკალ თათარო, ახლა ხომ მაგხთა კვიცისაო,  
მალლა ლმერთს ეყურებოდა ტირილი მაგის დისაო,  
ჩვენ ყარამანი ვინ მაკლა, ხელი ვინ კადრა გმირსაო.

მთქმელი დიდება ჩოხელი, 100 წლის. სოფ. მალრანი, ჩამწერი  
ლეო სიმონიშვილი. 29.VI—1934 წ., ლიტ. მუზ., 20021—ბ, ყ—332,  
გვ. 31. სათაურად აქვს „ხვედია გუდამაყრელი“.

## გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

### კჳ

ამბობენ ყაჩაღობასა, თათარი მოადევს ველსაო,  
ხვედიას ცხვარში მუუხდენ, ურჩევენ ნაბერწლებსაო.

— დაძვადეთ ურჯულოებო, რაზედ მიფანტავთ ცხვარსაო?

— მაგდენს არ გალაპარაკებთ, გაავადებინებთ თავსაო. —

5 ხვედია თავის გულშია შეეხვეწება ღმერთსაო:

— მიშველე დიდო პირიმზევე, ნუ ჰკარგავ შენსა ყმასაო, —

გადაუბრუნა ტამბოლი, მხრებში ადენს ზოლსაო.

თათარი ჩამოუგდია, თავთაქვე მოსთრევე(ს) ცხენსაო.

მალა ღმერთს ეყურებოდა ტირილი თათრის დცსაო:

10 — ვინ მოკლა ჩემი ღუშუღლი, მხოცელი თუშებისაო?

არვინ მეგონა მამრევი, ძმის ჩემი ღუშუღლისაო,

მთიდან რამ ჩამოვარდნილა გაზრდილი კიუხისაო.

გული აქვ გაუტეხარი, მკლავები სპილოს ძვლისაო.

მთქმელი აფციაური პელო ნინის ასული. გუდამაყარი. ჩამწერი  
ელ. ვირსალაძე, 1950 წ., ვირსალ., გვ. 451.

### მ ო ხ ე უ რ ი

### კთ

ოსმანში თათარს აქებენ თარაქამაის შეილსაო,

მანამ აჯობა მამასა, მანამ იცვლიდა კბილსაო.

ცხენსაც უქებენ ლურჯასა, მუხლი აქვ ნიაჭქრისაო,

დილით შეკაზმავს ლურჯასა, გასდევს გრანიცის პირსაო.

5 შირაქის ყელში აღმოჩნდა, შუქი დაადგა მზისაო.

გადაიხედა თათარმა, გუნდი დგას ფშაველთ ცხვრისაო.

გადაუძახა მეცხვარეს: — მთიელო, მომე ჩიხტაო,

მე ვერას მოგცემ ჩიხტასა, ცხვარ მაბარია სხვისაო.

ხმლით მიიწოვა ცხენ და ცხენ, გული ვერ იცნა ყმისაო.

10 გავეარდა ხვედიას თოფი, ბრძანება იქმნა ხთისაო.

თათარი გადმოვარდება, შაშვივით აღებს პირსაო.

ხვედიამ დასდგა ნიშანი მარჯვენა ძუძუს ძირსაო.

ატირდეს თათრის ქალები, ცრემლით იბანდენ პირსაო.

ვინ მოკლა ჩვენი გმირთ გმირი, ხელი ვინ დასდო გმირსაო.

15 ხვედია ჭალაზაურმა დედა ატირა მტრისაო.

სოფ. გერგეტი, ყაზბეგის რ., ჩამწერი სუჯაშვილი. ლიტ. მუზ.,  
8480—6, ყ—918. სათაურად აქვს „ხვედიას ლექსი“.

### 203. ჰარა-ნამაზი

მთქმელი პ. ოზგაიძე. ჩაწერილი თიანეთში. კოტ., გვ. 206. ახ.  
გამოც., გვ. 226.

- ღელით გამოხთა თამარი, ლაშარს ჩამოჭდა სკამსაო,  
 ევედრებიან ღელის შვილთა, დღე მუდამ რეკენ ზარსაო.  
 ღმერთო, ნუ მისცემ ძალასა, დაგვიღონებენ ყმასაო,  
 აბუნტებულან მთიულნი, პირ უქნავე დაღისტანსაო.
- 5 ბორჩალოს ბიჭებ გაცივიდნენ, ბორნით გავიდნენ მტკვარსაო,  
 ორშაბათ დილით შამაპყვენ ალგეთის ხეობასაო.  
 გაკუწეს ყარანამაზი, ყორნები ხრავენ ძვალსაო,  
 შაპს წყევლის ერთი თათარი, შენაც ნუ ნახავ კარგსაო,  
 შენამც დაგხვიან ფშავლები, გაგხვევენ თოფის ალსაო,
- 10 ბორჩალოელი იკითხავს, ქვევით ჩამავალ ცხვარსაო.  
 ხუთშაბათ დილით მიუვა, ლაშარის ჯვარის ყმასაო,  
 ვინა ხარ, დაიარები, წინ რომ დაუძღვი ცხვარსაო.  
 რად გვითელვინებ, ძმაოჯან, საიალაღე მთასაო.  
 ბალღი ჰყავთ ხუთმეტწლისაო, ჯერ ხან არა აქვს ცდისაო,
- 15 მუჯლა ბალღი საწყალსა, სისხლით უპოხვენ თმასაო,  
 თოფ მამე, ფშაველის ქალო, თორემ ხმლით მოგჭრი თავსაო.  
 დედას არ დაუბარებავ, დედასა, მზევინარსაო,  
 იარად აიყაროდე, ჩაბაროდე სხვასაო.  
 — დაჩვეული ხარ, ბაცაცავ, ოქრო-ვერცხლისა რთმასაო,
- 20 დაწიოკებას მგზავრისას, ხელზე ფულების თვალსაო.  
 შემოუბრუნებს ოინალს, შამააყოლებს თვალსაო.  
 თოფსა ჰკრავს ქურდსა, აყვიას, სისხლი ღორთქს იზამს ჩქამსაო,  
 რო იყოს წინანდელი დრო
- 25 ყარანამაზის მომკვლელსა, გახდიდენ აფიყარსაო,  
 ამისი გამალექსები მათრახს უკეთებს ტარსაო,  
 ჩარგალულია ყაყჩა, თუ ვინ იკითხავთ გვარსაო.

ჩაწერილი: კახეთში: სნჯ., I, გვ. 368. სათაურად აქვს „ყარანამაზი“: ასეთივეა 1935 წლის ოქტომბრით დათარიღებული ტექსტი — ლიტ. მუზ., 20049—ხ. ყ—337, გვ. 14. სათაურად აქვს „ლეკების აბუნტება და ბორჩალოელ თათრის სიკვდილი“. განსხვავებანი: სტრიქ. 7 — ა ბ უ ნ ტ ე ბ უ ლ ა ნ ლ ე კ ე ბ ი; სტრიქ. 9 — თ ა თ რ ე ბ გ ა ც ვ ი ვ დ ნ ე ნ; სტრიქ. 21—მ ო ყ ვ ა; სტრიქ. 25 — რ ა დ გ ვ ი თ ე ღ ვ ი ნ ე ბ რ ჯ უ ლ ძ ა ღ ლ ო; სტრიქ. 37 — დ ა ჩ ვ ე უ ლ ი ხ ა რ რ ჯ უ ლ ძ ა ღ ლ ო; სტრიქ. 43 — თ ო ფ ს ა ჰ კ რ ა ვ ს ბ ო რ ჩ ა ლ ო ე ლ ს ა. ხელნაწერში არ არის ბოლო 48—52 სტრიქონები.

- წინ უძღვის ყარალამაზი, თორმეტ იყოლებს სხვასაო, დაჩვეულია რჯულძალი ხელზე ფულების თვლასაო.
- 5 ბევრისა დედას ატირებს, ბევრს აქვრივებენ ქალსაო, ჩამაღლეს თუშის ბინებსა, ფშავლებს დაავლებს თვალსაო, კითხულობს გლეხაშვილებსა, იმათ ტურსიკის ცხვარსაო, რათ გინდა ყარალამაზო, იმათ ვეფხვი ჰყავთ გზასაო. თათრებზე გარგეშილია, მარჯვედ არ მოგეცემს ზავსაო,
- 10 არ დაგიფერებს სხვისასა, შავიცვლის კბილის ფხასაო. გაჯავრდა ყარალამაზი, რაად მიმატებ დარდსაო, არ დაიჭერა, გაუდგა ალგეთის ხეობასაო. მათოტავეებს ლურჯასა, მააწკრიალებს ხმალსაო, მაღლად სერებზე ამუა, ქორულად ავლებს თვალსაო.
- 15 რად მითელვინებთ, რჯულძალდნო, ჩემ საქარავნო მთასაო, აბა, მახარე ვინა გყავთ, საით აძოვებს ცხვარსაო. ვე ყარალამაზს ვერ იცნობს, გავაცნობინებ თავსაო, წინწინ მაქლავენ ბაღლასა, ბაღლას — იმ პატარასაო. ხმალს დაჰკარავს ყარალამაზი, დაავლებინებს თავსაო.
- 20 მაშინ მახარე ფიქრობდა, მოიხმარებენ ძალსაო. საით მიდიხართ, თათრებო, საით მიბრუნებთ ცხვარსაო. ამ ბაღლას რაღადა ჰკლავდით, რად მაყრით ცოდეა-ბრალსაო. მარტულია დამრჩალი, არავინა სჯერს მხარსაო. წინწინ კი გამეექცევა, ამააფარებს თავსაო,
- 25 აინალს შამაიბრუნებს, შამააყოლებს თვალსაო, გავარდის მახარეს თოფი, ორკნისკენ აქნევს კარსაო, სისხლს აბნევს ყარალამაზი, როგორც ბორბალი წყალსაო, ცხენზეით გადმოკიდული, შაშვივით ალებს ყბასაო. მახარე ფშავლიშვილი ვარ, ნურავის იტყვით სხვასაო,
- 30 ნუ დაიქცევით თათრებო, ნუ დაანებებთ თავსაო, აქ დაგორჩათ ყარალამაზი, გერჩივნათ თავის ძმასაო, ისე გაძლებდათ ლეშითა, ველარ ალებდით ყბასაო.

მთქმელი გ. ბეროშვილი, თელავის რ., ს. ლეჩური. ჩამწერი დ წერედინი, 13.VI.61. ფ. არქ., კ. 5, გვ. 570.

ტექსტს ახლავს შენიშვნა — სტრიქ. 1. ვ. მახარე — ყ ა ყ ი ჩ ა შ ვ ი ლ ი ი ყ ო. სათაურად აქვს „მახარეს თათრის შვილები“.

## დ

- ბორჩალოელი თათრები ბორნით გამოვლენ მტკვარზედა: შამოძევა ყარალამაზი ალგეთის ხეობაზედა. ვისაც ასწრობდა მინდორში, ყველას აქრიდა თავებსა. ერთ დაღეთელმა დასწყევლა იმის განაევალ გზასაო.
- 5 — შენამც შეგყარა მწყემსებსა, გაგხვედნენ ცეცხლის აღსაო. ედემის მთაზე ამოჩნდა, ქორივით ავლევს თვალსაო, გამოჩნდა ყარალამაზი, მოაპრიალებს ხმალსაო. მოატოტავეებს ლურჯასა, მოაშუქებდა გზასაო. — ნურც მოხვალ, ყარალამაზო, ვეფხვი წვეს შუა გზასაო.

- 10 ნაგეშიც არის თათრებზე, გაგიყრის გველის ფხასაო.  
შირაქშიც მოდის მახარე, წინ მოუძღვება ცხვარსაო.  
ამხანაგები შორს დაგვრჩნენ, ვილა დაგვიკერს მხარსაო.  
თან ერთი ბალლი ეკირა, უკან ის მოსდევს ცხვარსაო.  
— ნუ მოხვალ, ყარალამაზო, ნუ მირიალებ ცხვარსაო.
- 15 შენ დაჩვეულ ხარ რჯულძაღლო, გზაში მწყემსების ცრცხასაო.  
— ეგ თოფიც აქ მამაწოდე, თორემ მოგაკრი თავსაო.  
— დედას არ დაუბარებავ, ნათათრალაის ქალსაო.  
იარად აიყაროდის, გადაუყროდეს სხვასაო.  
ჩიქილაც დაიხუროდეს, დაემგზავსოდეს ქალსაო.
- 20 გვერდში ჰყარავს ბორჩალოელსა, სისხლი ორგან იქმს ჩქამსაო.  
გადმოეკიდა ცხენიდან, შაშვივით აღებს ყბასაო.  
— რა გაყრანტალებთ, ყორნებო, რას დატრიალებთ თავსაო.  
გიყვარდათ ყარალამაზი, გერჩივნათ თავი თავსაო.  
დაძებით მაგით ლეშითა, ვეღარც აღებდეთ ყბასაო.

მთქმელი სიკო აბრამიშვილი, თიანეთის რ., სოფ. ახალსოფელი.  
ჩამწერი არ. შიშმანაშვილი. ფ. არქ., კ—26, გვ. 136. სათაურად აქვს  
„ბორჩალოელი თათრები“.

## ფ შ ა უ რ ი

### ე

- გაცვივდნენ ბორჩალოელები, ბორნით გამოვლენ წყალსაო.  
ალგეთზე შამივლიან ალგეთის ხეობასაო.  
ვისაც კი შემოხვდებიან, გზაზედა სწირვენ მკედარსაო.  
ამბობენ, ჩამომდგარია გონხარში ფშავლის ცხვარსაო.
- 5 მახარეს შემოხვდებიან ლამარის ჭვარის ყმასაო:  
— ე მანდ ნუ მიხვოლ რჯულძაღლო, ე მანდ ვეფხვი წვეს გზასაო.  
რისთვის მიძუებ რჯულძაღლო საიალაღე მთასაო.  
იარადნ მომკენ ფშაველო, თორო კმლით მოგკრი თავსაო.  
ასე არ დაუბარებავ დედასჩემს მზეინარსაო,
- 10 თოფი სხვას მიეც, მახარე, თითონ წამოდი ფშავსაო.  
რისთვის მიბრუნებ ვაცებსა შირაქში მიმდინარსაო,  
ან ეს ბაღდ რისთვის მომიკალ, ცოდვას რად მახვევ თავსაო.  
გადაუფრინდა მახარე, ამოეთვარა ქვასაო,  
გამოსტყვარა მახარეს თოფი, სისხლ ორკნით იზამს ჩქამსაო,
- 15 ბუსურბან გადმოვარდება, შაშვივით აღებს ყბასაო.  
დაჩვეული ხარ რჯულძაღლო იარადების ყრასაო,  
ჯიბეში ჰქელის ყოფასა, ჰელზე ფულების თელასაო.  
დაეწვის საწერ-კალამი ესეთა სამართალსაო.  
რო მახკალ ყარალამაზი, რად არ გაძღვევს ჭვარსაო.
- 20 ეს რო მეეკლა სტრაჟნიკსა, გახდიდნენ აფიყარსაო,  
მე მაგის მალექსობელი შირაქს ვაძუებ ცხვარსაო,  
ჩარგალელია ყაყინა, მიტომ არ ვამბობ გვარსაო.

სოფ. ლუღელები, თიანეთის რ., ჩამწერი უ. ცინდელიანი, 9.VII.  
61. ფ. არქ., კ—47, გვ. 99.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### 3

- თათარში ყარალამაზსა აქებდნენ, კიდევ იყო.  
ცხენსაც უქებდენ ოხერსა, მუხლი აქ ნიავე-ქრისაო.  
ყარალამაზი შამაყუა ალგეთის ხეობასაო.
- 5 ვისაც მასწრობს ხეე-ხუეში, ყველას მაჰქრიდეს თავსაო.  
აქაფ-დაჰაჰა რჭულძალი, ყორნები ხრავენ ძვალსაო.  
ეგ კი სადილი, ყორნებო, ვახშამ გიმზადებთ სხვასაო.  
ყარალამაზი დადგება გზასა ზედ ჭყარადინსაო,  
დაგელოდება რჭულძალი ფშაელების ჩამოსვლასაო.  
მახარე, ეგრე ნუ წახვალ, ვეფხვი წევს შუა გზასაო.
- 10 მახარემ არ დაიშალა, გაუძღვა წინა ცხვარსაო.  
ყარალამაზი შამოინდა, მაპრიალებს ხმალსაო,  
მატოტავებს ლურჯასა, მზეც უბჭყვრიალებს ნაღსაო.  
მახარეს უკან ცხვარშია ძმისწულ ეტანა თანაო,  
უკან ცხვარ გადაულაღეს, ჭერ იმას მაქრის თავსაო.
- 15 წინა ცხვარ გამოუარა და შაუჩერებს ცხვარსაო.  
რას დაივლები რჭულძალო, ჩემსა იალალ-მთასაო,  
რათ მითელინებ ბალახსა, რათ გამიწყვეტავ ცხვარსაო.  
ი ბაღლი რაღათ მამიკალ, რათ მადებ ცოდო-ბრალსაო.  
ე თოფ აქ შამამაწოდე, თორო შენც მოგჭრი თავსაო.
- 20 დაჩვეული ხარ, რჭულძალო, გზებზე მწყემსების ცრცვასაო,  
ჯიბეში ხელის ჩაყოფას, ხელზე ფულების თვლასაო.  
ღედას არ დაუბარებავს, ნათთრალაის ქალსაო,  
აბჯარი აიყაროდე, ჩააბაროდე სხვასაო.
- 25 ამანაც შამაუბრუნა, თან შააყოლებს თვალსაო.  
გვერჩი კრა ყარალამაზსა, ცხენიდან ვადმოეკიდა ძაღლივით აღებს ყბასაო.  
ყარალამაზის მამკლავსა რატომ არ დასწერთ ჭვარსაო,  
საჩუქარ გამაუგზავნე ამირან მზევინარსაო.

მთქმელი რევან ღობაძიშვილი, თიანეთის რ., სოფ. თოლენჯი,  
ჩამწერი დ. წერედინი, ფ. არქ., კ. 27, გვ. 135. ტექსტში დიალექტ-  
ტები შერეულია.

### ზ

ბორჩალოს თათრებ გაციევდა, ბორნით გამოხდენ წყალსაო,  
წამოვლენ, შამაყუებიან ალგეთის ხეობასაო,  
ვისაც შეხვდება გზაზედა, მინდორზე სწირავს მკედარსაო,  
ჩამოვა უცხო ფრინველი, წყლებურად უქამს სმასაო,

- 5 კითხულობს ფშავლის ფარებსა, სად აყენებენ ცხვარსაო? ასწავლის ერთი რაჭულძალი, ჩინარში ჩამამდგარსაო, ნუ წახვალ ყარალამაზო, ე მანდ ვეფხვი წევს გზასაო, დიდხანს არ დაგალიენებს, შეგაქრის გვერდის ფხასაო, მწარესაც გაქმევს ვახშამსა, გაგირევს გველის შხამსაო.
- 10 გაჯავრდა ყარალამაზი, გულზე რად მაყრი ჭაერსაო, ყაყიჩიშვილი მახარე წინ მაუძღვება ცხვარსაო, ან ბაღდ რაისად მამიკალ, რად მახევე ცოდვა-ბრალსაო, ან ვაცებს რაად მამრუნებ, შირაქში მიმდინარსაო.
- 15 გადაუფრინდა მახარე, ამეფთარა ქეასაო, თოფი ჰკრა ყარალამაზსა, სისხლ ორიპი იქამს ჩქამსაო, ე მაგის მამლექსებელი, მათრახს ვუკეთებ ტარსაო, ციხელად ყაყიჩაი ვარ, მაგრამ ვერ ვაშობ გვარსაო, ეგ რო შეეკლა სტრაჟნიკსა, გახლიდნენ აფიცარსაო.

მთქმელი ისაკ ბუწანკალური. სოფ. ბაყილოვანი. ჩამწერი გ. ხონაული. ფ. არქ., კ—25, გვ. 62.

### ვ

- შენ რომ იარალ იყარო, როგორღა მივალ ფშავსაო, დედას არ დაუბარებავ, დედაჩემს მზევინარსაო. იარალ აიყაროდი, გადუყაროდი სხვასაო, ჩიქილა დაიხუროდი, დემსგავსოდი ქალსაო.
- 5 ან მწყემსი რაზე მამიკალ, რადა მღებ ცოდვა-ბრალსაო. აინალ შამაბარუნა, — შამამასროლებს თეაღსაო, თოფი ჰკრა ყარალამაზსა, ტყვიით ჰკენეტდა ძვალსაო, ცხენიდან გადმეერია, ძალივით აღებს ყბასაო.

მთქმელი შ. ი. წიკლაური, ახმეტა. ჩამწერი თ. გოგოჭური. 27/VII—61 წ., ფ. არქ., კ. 30, გვ. 387. ტექსტს ახლავს მთქმელის განმარტება: „ფშაველი აძოვებს ცხვარს. მას ქისტი დაესხმება თავს, ცხვრის მოსატაცებლად და ასე მიმართავს ფშაველ მწყემსს:

„იარალ აიყარე, ფშავლის ქალაო,  
თორო მოგაქრი თავსაო“.

ჩამწერის განმარტება: სტრიქ. 15 გადმეერია — გადმოვარდა; სტრ. 13 — ყარალამაზსა — ქისტის სახელია.

### 204. ცხვარ გამოკრეპით წყალწადა

ფშ. ლექს., გვ. 99. გადმოცემულია თათართა აგრესია საქართველოში. ლექსი საგულისხმოა არა მხოლოდ თავისი სიუჟეტით, არამედ — საგმირო იდეალითაც.

ფშავში ჩაწერილი. დაბეჭდილია უსათაუროდ. ფშ. ლექ., გვ. 256.

## ბ

ღუშმანთა ეგეთაიო, რო თუშთა, ფშაველთ მამსელია შირაქსა, ტარიმანასა შუაზე ციხე დაშლია.

გაუგონავის თათრებსა, დარჩა თირუზან ფშავეშია.

გაგზავენს მახარობელი, ნუხშია, ყარაბალშია —

- 5 — გზა შავკრათ აღმა და დაღმა, ამბავ გვაგვდოთ ქარშია, ნულარ ჩაუშვებთ ფშაველებსა სასმელად ლეკის წყალშია. ნუ გაგზიხარდათ რჭულძალნო, ნუცა ჰკეხთ ჭამათშია. თირუზან კიდე ჩამოვა სადოლოთ თავის ცხვარშია.

კიდევაც ჩავა ეჯაი, კმლიანი სამართალშია.

- 10 უკენ შაპყევა თუშები (მ)ართული ჭვარ-მენდალშია.

გაიყვანს უძილაური, რაც მუხხდება კვეაშია.

თუ შენ მაკედები თირუზან, მზეიმც ნუ დადგება მთაშია,

მთვარე ჩაბრძანდეს უკულმა, ჩავარდეს შუა ზღვაშია.

ჩამოიხომნენ მასკვლავნი, ჩაცვივდნენ მურღვას წყალშია.

- 15 ვაიმე, ველარა გნახო, სახატეთ მოსულ ფშავეშია.

ეყუდო დოინჯიანი, თავს იბრუნებდე ხალხშია,

გიწყენდნენ თოფის მასრები მა შაშვენებელ ტანშია.

მიიპატიეოს სწორები, გადუხტეს ზემო თავშია.

ლხინი სთქვა ნელა-ნელადა, ხალხს მასდოლდეს კვეაშია.

- 20 მახარობელიც მოვალის, თირუზან მოდის მთაშია,

სამახარობლოს მიეცემდი, ნიშა კვიცი მყავ ცხვარშია.

ზედ სართსაც დაუტანებდი, ხუთ თუშან მივე კმალშია.

ე მავ ქართულის მოთქომი უკლო ვარ მათურაშია.

შენსამც მაგივრად შე მამკლა, ჩამსვა შვილების ჭარშია.

- 25 შენამც გამყოფა ცოცხალი, ჩემსამც სატირლად გავლია.

მთქმელხ ფუნჩია ხუციშვილი. თიანეთის რ., ომარიანი. ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი, ფ. არქ., კ—21, გვ. 73—75.

## ბ

ჩვენსა მტერსა იგეთასა რაც თუშთ-ფშაველებსა მოსვლია შირაქში, ტარიმანასა — შუაზე ციხე ჩაშლია.

რად გაგიხარდათ თათრებო, თირუზან დარჩა ფშავეშია თირუზან გარეე ჩამოვა სადოლედ თავის ცხვარშია.

- 5 ჩვე თუ თირუზან აღარ გეყავს, მზეიმც ნულარ გვაქვს ცაშია, მთვარეც უკულმ დაგიბრუნდებათ, ჩაგიბრუნდებათ აღაზანშია. ჩამოიხომნეს ვარსკვლავნი, ჩაცვივდეს მირღვას წყალშია. შენზეამც წინ-წინ მე მომკლა, ჩემსამ სატირლად გავლია.



ეგ შენი ცრემლი კორკოტი გულზეამც ჩამომაღინა,  
10 ანამცე შენი ტუბილი ხმა, გულზე ქვად დამადებინა.

მტკმელი ს. ითიურძე. ჩამწერი ვ. ბუთლიაშვილი. ხელნაწერს სათაურად აქვს „თირუზანის ლექსი“. ლიტ. მუზ., 20053—ხ. ყ—338, გვ. 133.

#### 206. ბანჯას ბაღიღლა თათარი

თუშური. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 97. № 75.

ლექსს მეორე ტექსტთან („დაიძრა, გამოიძარა“) ერთად აქვს სათაური „თუშების შეტაკება შირაქში ქარგლებთან და თათრებთან“. იქვე, გვ. 96. ლექსის ავტორი მწყემსია.

#### 207. ბანგლისის მონახინა

მოხ., გვ. 99.

#### 208. ყაყიჩი შაჰერაშვილი

(ცხვარი ჰყავ ფშავლის ჩობნებსა)

ჩაწერილი ფშავში ვაჟა-ფშაველას მიერ. თაყ., I, გვ. 492. ასახულია ბრძოლა მეცხვარეებზე მომხდურ თათრების წინააღმდეგ, ყაყიჩი შავერდაშვილის გმირობა და დაღუპვა. ლექსს სამგლოვიარო ხასიათი აქვს.

#### 209. ალოვა გოდანთა

მტკმელი სია გიგაური. ხევი. ჩამწერი სიმ. შადური, 1890 წ. უმიკ., გვ. 62, № 69. ტექსტს ახლავს განმარტებანი.

სტრიქ. 18. ყ უ რ ო და ქ დ ე მ თ ე ბ ი ა, სა და ც ნ ა ქ უ რ და ა ლ ი ც ხ ე ნ ე ბ ი და ს ა ქ ო ნ ე ლ ი მ ი უ დ ი ს თ“.

სტრიქ. 33 — ა ლ ო შ კ ა გ ო დ ა ე თ ა შ ა დ უ რ ი გ ო დ ე ა ნ თ გ ვ ა რ ი ს ა გ ი ო რ გ ი და დ ი მ ი ტ რ ი ყ ა ზ ბ ე გ ე ბ ი ს მ ო უ რ ა ვ ი, თ ა ვ ი ს ი პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი თ გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი მ თ ე ლ ს ხ ე ვ შ ი, გ ა რ და ი ც ვ ა ლ ა 1 8 8 8 წ ლ ი ს მ კ ა თ ა თ ვ ე შ ი.

სტრიქ. 36. გ ო რ ხ ი — გ ვ ა რ შ ი.

სტრიქ. 39. ქ ო ი თ ი თ — ქ ი ს ტ ე ბ ი დ ა ნ.

ვარიანტები ჩაწერილია იქვე—ხევში. „ბ“ ჩაწერილია სია გიგაურის თქმით სიმ. შადურის მიერ. 1890 წ. „გ“ გიორგი ჯამარჯიშვილის თქმით. აქვს პ. უმიკაშვილს შენიშვნა: „იოსებ გიგაურის (ბრმის) გამოთქმულიო“, რაც, თითქოს არ ეთანხმება ლექსის ბოლოს, სადაც ნათქვამია: „გამომტკმელი თუში მწყემსი ვარო“. უმიკ., 557. შდრ. ფ. არქ., უმიკ. № 69.

- შორად წავიდა ამბოვი, ქება მა კაი ყმისაო,  
 ოსმალჩი თუშის მწყემსებსა სანათქმელოდ აქვ ისაო,  
 კარგი მოხევე გაზილა, ზარის მიმცემი მტრისაო,  
 რად ვარგა ზოგი კაცაი მამობრელი მშობლებისაო.
- 5 ამბობტარა, კიდევ ასთბტება გამჩენი კაი ყმისაო,  
 ქალს სილამაზე ამშვენებს, ვაშკაცს სიმაგრე ხმლისაო.  
 უბნობენ სტეფანწმინდასა, სოფელი არის გზისაო,  
 მაგათ უქირავ სიმაგრე ყუროსა და ხდისაო.  
 მაგათი ბერი კაცები „სუდნია“ ხელმწიფისაო,
- 10 სწორად იტყვიან სამართალს თავისისა თუ ცხვისაო.  
 მაგათი ახალგაზრდები რისხვა არიან ხთისაო,  
 მაგათ ლამაზი ქალები ანგელოზია ცისაო.  
 მღევარჩი ჭელი წაველის კითხულად მოხუცისაო,  
 ალოშკამ დააყრევინა ცხენები მეცხორისაო;
- 15 ქიშტეთით მაზღის ამბოვი, თავის დაქროლის ტყვისაო:  
 ჩამოდი, თოლი დამავლე, ნუ ამბობ არა შპირს რაო.  
 ალოშკას დედა ეშულლა, — არც ეხლა მაგხედა ჰყვისაო?!  
 — ნუ შკავრობ, ჩემო დედაო, დედა სულ შკავრობს შვილსაო.  
 იმიტომ წავე მღევარჩი, აგრემც მოვასწრო ვისაო,
- 20 სოფელს ვაქმია სახელი, გული გავგალა მტრისაო.

ეს ლექსი ცხორჩი დავთოლე, ვიჭეგ ჰაუხის ძირსაო,  
 გადავხუტრებდი ხოყანას, ნიავე ხქროდა მთისაო.  
 მაკითხულობა მიერთოს თათარეთ ქალის შვილსაო.

მობ., გვ. 96. საინტერესოა მეცხვარეებში მოლექსეობის ტრადიციის თვალსაზრისით.

210. ალოშკას სიკვდილი

მობ., გვ. 98.

211. თუშური ლეჰსი

მთქმელი ალექსი წიკლაური. ჩამწერი „ქართველი ოსებში“, ფ. არქ., № 3017. სტრიქ. 4. წერია: ს ი მ გ ლ ო ი ე რ ი. შევასწორეთ — ს ა მ გ ლ ო ი ა რ ო; სტრიქ. 8. წერია: ა მ ა ჩ ი ნ ე ს თ ა თ რ ე ბ ა მ, შევასწორეთ — ა მ ა ა ჩ ი ნ ე ს თ ა თ რ ე ბ მ ა; სტრიქ. 10. წერია— ვ ა მ ე რ ა მ ე ქ ნ ე ნ, შევასწორეთ ვამე რა მექნენ; სტრიქ. 22 ქვევ-წერია: ა მ ი ტ ი რ ო დ ე — შესწორებულია — დ ა მ ი ტ ი რ ო დ ე.

კ ა ხ უ რ ი

ბ

ქედში დასტირის ყორანი, მალა ტრიალებს ცაზედა,  
 ეძახის, მიტოს ეძახის სამგლოვიარო ხმაზედა,

- ალაზან დაბლა ნაშუში ცხვარი ჩავრეკე წყალზედა,  
 იქაც დამიხდნენ თათრები, ურჯულო ისხდნეს გზაზედა.
- 5 ხელები დაკუწული მაქვს, ხანჯლებ ხმარობენ ტანზედა.  
 ეძახის, მიტოს ეძახის სამგლოვიარო ხმაზედა:  
 — ძმავ, უთხარი მამასა, დღელამ იაროს გზაზედა,  
 ველარ მოგივა ვაჟაკი, გაუხარელი ცხვარზედა,  
 დავ, შავით შეიმოსევი და დაითალზე ტანზედა,
- 10 გამამისტუმრეს წინადღეს იმ წინამხარის გზაზედა.

მთქმელი ა. ქევციშვილი. სოფ. კალაური, გურჯაანის რ., ჩამწერი  
 გ. შეთეკაური. 9.VIII.62. ფ. არქ., კ. 116, გვ. 163.

## 212. ბერიძე

მთქმელი ა. არაბული. სოფ. არხილოს კალო. ჩამწერი გ. შეთე-  
 კაური. 1962 წ., ფ. არქ., კ. 118, გვ. 7. საფიქრებელია ლექსში მოხ-  
 სენებულ თათრებში ლექები იგულისხმებოდეს.

## ბ

- შირაქის მეიდანზედა სამპირად იღვა ცხვარია,  
 ამბობენ თუშის ქალები, ვისია ბევრი ცხვარია,  
 ცხვარ იყო მათურლებისა, დილით გეელო კარია.  
 გადმოხტა ბიჭი ბერიძე: ბევრია ჩემი ცხვარია,
- 5 ტყვია-წამალი გადაწყო, ცხვარ გაუშტერა თვალთა.  
 თრმა პური გამააცხეთ, ერთი თან გამამევეითო,  
 ურჯულოს მოლოდინი მაქ. გზისკე მივირავ თვალთა.  
 ლეკი წყაროზე ჩავრეკეთ, ცხვარო, დალიე წყალთა.  
 გაეიხედე და გამოჩნდა ურჯულო დაღისტანთა.
- 10 წამაურბინა ბერიძემ, არ მამაჟა ხანთა.  
 წინწინ ბერიძე მოგვიკლეს, დაგვიღვა ორივ თვალთა.  
 თუშებში კაცი აფრინეს, წაახსეს თუშის ცხვარია.  
 ცხვარი და როგორ წაახსეს, ბერიძე საღდა ართა.  
 ბერიძეც მოკლეს, ორი სხვაც, ეგრე წაახსეს ცხვარია.
- 15 სამნი ძმანი წამოვიდნენ, ერთი ხო ფეხით ართა.  
 მეორე დილა გათენდა, ცხვარსა მოჰკიდეს თვალთა,  
 გახედეს ლეკის მთაზედა, ვაცმა გადაყო, რქანთა.  
 ესროლეს, ბელადს მაარტყეს, გაატეხინეს რქანთა.  
 გადაურბინეს ვაცებმა, უცბად აგუბეს ცხვარია.
- 20 მოგვიდის უკვენ, მოგვიდის უკლებლივ ჩვენი ცხვარია.  
 დაითამაშეს ვაცებმა, სულ ათამაშეს ცხვარია.  
 რა გათამაშებთ, ოკრებთ, ბერიძე აღარ ართა.  
 ჰედილობამ პირი შაკრა, აღარ ამოვა ხამთა,  
 ძალღებოც ეგრე ტიროდნენ, ცას მიდის იმთ ხმანთა.
- 25 ამ შაირის გამომთქმელი ალვანში თუშის ქალთა.  
 საჩუქრად გამოუგზავნეს სამასი სული ცხვარია.

მთქმელი ტუხა ჯიმშიტაშვილი, თიანეთის რ., სოფ. ბადანი, ჩამწერი დ. წერედიანი, 1962 წ., ფ. არქ., კ—27, გვ. 155.

## კ ა ხ უ რ ი

### 3

- შირაქის ბოლოს გაეხედე, სამპირათ მოდის ცხვარიო,  
ბერიძის ბინას მაიღვა, ბაკსაც შეელო კარო.  
ბერიძემ უთხრა ბიქებსა: ცხვარს მოგვიწყურდა წყალიო,  
გადვიდეთ კასრის ხეეზედა, დავაღვინოთ წყალიო.
- 5 კასრის ხეეზე გადარეკეს თორმეტი ფარა ცხვარიო.  
ცხვარ ზევით შემოაბრუნეს, ცხვარო, დალივე წყალიო,  
თათრების მოლოდინი მაქ, გზაზე მიჭირამ თვალიო,  
ერთმა რჯულძაღვმა თათარმა უკან გვიბრუნა ცხვარიო.  
თათარმა თოფი მოღრიჭა, ბერიძემ მოკრა თვალიო.
- 10 ერთი ესროლა თათარსა, დაასხმინა რქანიო.  
ბერიძეც განზე გორავდა, როგორც ღვინისგან მთვრალიო.  
ამ ბაღს რაღაზე მიკლავდით, გან ეგეც მეომარიო.  
ერთი მოყვანდათ დაჭრილი, სამ ცხენს ეკიდა მკვდარია.

მთქმელი შ. სეფაშვილი, ყვარელი, ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ., ფ. არქ., კ—27, გვ. 93.

ტექსტს ახლავს გადმოცემა შენიშვნის სახით: „თუშებს წყალო შორსა ქონდათ, თათრების ადგილში. თათრები იქ ცხვრის ტარებაზე საბალახეს სთხოვდენ. თუშები არ აძლევდენ. ბერიძემ გარეკა ცხვარი, ერთი პატარა ბიჭი წაჰყვა და ორი მწყემსი სხვა. თათრები დაუხვდენ, დახოცეს და ცხვარი კი გარეკეს“.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### დ

- მინდორჩი ამბავ დავარდა: „ოკრად ვისა დგას ცხვარია?“  
მათურელთ ბინას მაიღვა, გააღებოვის კარია.  
ბერიძემ უთხრა მურღვასა: „ცხვარსალ ვასმიათ წყალია“.  
„აქალე, შეილო ბერისძევე, ჭერ ხო ადრეი-ე ხანია“.
- 5 არ დაუჭერა მამასა, თავისწვერისა არია, —  
იარაღს წამლით დაავსნა, თოფს დაუპირა ტალია.  
„თქვენ გამამიციხით საგძალი, ორნი გამამყვან სხვანია“.  
ჩაღალა ლეკის წყალზედა: „ცხვარო, დალივე წყალია“,  
ჩახვია წყლის ნაპირზედა — „ეხლა მამოე ხამია“.
- 10 ვისრა-რა მალოდინი აქვ? — სრუ გზისკე ხქონდა თვალია.  
გამავა ბატარა ხანი, მაღვა თათრების ჭარია.  
თათრებ ცხვარს შამაუარეს, არ დაანებეს ცხვარია.

- გაქავრდა მურღვის შვილი: „მე ხო ბერისძე ვარია!“  
 დღორიჭა თოფის ჩახმახი, გულჩი არ ქქონდა მწყარია.
- 15 დაგატრიალა, თათარო, როგორც თბე-ბორბალს წყალია;  
 მეორე ჩქარად მისწვრა: „ტყვიავ, გამახარ ძვალია!“  
 შამაწვა მქარ-თეძოზედა, შამააყოლნა თვალნია:  
 ევა, თქვენს ბერისძეს, თათრებო, არ მქონდა ომის ხანია...  
 ორ ქელით მიგყავთ დაქრილი, ორ ცხენით მიგაქეთ მკვლარია“.
- 20 მურღვასა ძალიკათასა ეტყვის საწვენი მქარია;  
 ვა, თუ ბერიძე მამიკლეს, თათრებმ თუ დამცნეს ცანია!“  
 წამადგა, წამეემზადა, ველარ გაიგნა კარნია.  
 ამანდით გამამართულმა გადმიიარნა მთანია,  
 მივიდა მათურაჩია, დედი დვას ცოდო-ბრალია,
- 25 მათურელთ ქალმა და ზალმა ყველამ ჩაიცვა შავია...  
 „ბაღლსა რად მახკლავთ, თათრებო, ბაღლი, განთ მეომარია?“  
 „მავხკლავდით, იმით მავხკლავდით, ბაღლიც ბერისძის მქარია!“  
 ბაღლო, შენ სახელ ვერ ვიცი, დედას, რო დასცენ ცანია,  
 საწყალსა მამას მგელასა გამაუქარე ვარია.
- 30 დაგდი შუას გზაჩია, ცხვარს დაუნებე თავია.  
 ბერისძევ, შენი სიკვდილი ცით დარეკული ზარია —  
 დელეს დედუფალ ატირდა, ლაშარს — ლაშარის ჭვარია,  
 წინწინ რო შახვალ შევეთსა, თავად გაალი ვარია,  
 წამაგეგებნეს უკლონი, ქელთ მაგცეს კელაპტარია,
- 35 სათავეს გადაგაქდინეს, დაგიდგეს ოქროს სკამია,  
 ბერისძევ, ლიშნებს მაგცემდეს, ქოოც ჩაგიდევს ჭვარია,  
 ჭამაგირს გაგიმწესებენ, იქნები აფიცარია.  
 ამაგის მალექსებელი თავდაც ავად ვარია,  
 ლექსი ვერა ვთქვი საფერი, გონ-უგონთ ნაუზბარია.
- 40 დელა გვერდს შიძის მტირალი, ცრემლი ზღის როგორც წყალია...

მთქმელი ლ. მინდიკაური. ს. ხახაბო. ჩამწერი ა. კინჭარაული.  
 ჰინ., გვ. 406.

## 2

- ბერიძე მურღვას ეტყოდა, „ცხვარს მამიწყურდა წყალია“,  
 „დაიცა შვილო, ბერიძევ, ჭერ ხო აღრევი ხანია“,  
 ჩაახხა თათრის წყალზედა: ცხვარო, დალიე წყალია.  
 დახვივლა, შამაუბრუნა, „ეხლა მამოვეთ ხამია!“
- 5 თათრების მლოდინასა, გზაზე უკულმ ხქონ თვალთა,  
 გახედულ შამადიოდა, თათრის შვილების ჭარია.  
 წინავე ბერიძემ დაასწვრა, მანძილამ დასხნა რქანია,  
 მეორე ზედ მააყოლა: „სვი სისხლი, კენიტე ძვალია“.  
 „აი, დედაშენსა, ბერიძევ, შვილო პატარა ხარია;
- 10 ე ბაღლი რაად მახკალით, მაგისი რალა ბრალია?  
 — ე ბაღლი იმით მავხკალით, ეგიც ბერისძის მქარია,  
 — მაგის მამასა, მგელასა, რად დაუქარეთ ვარია,

გვერდით ჩამუსვეს ბალაი, პირზე შვირს ნახანჯრალიო,  
კელხი ლვინიან სტაქანი, სტაქანზე კელაპტარიო.

მთქმელი ტ. კინჭარაული (ყოფილი ხევისბერი). გარეუბნის რ.  
ჩამწერი გ. ხორნაული. 1961 წ., ფ. არქ., კ—17, გვ. 327. ჩამწერს  
ტექსტი ასე დაუსათაურებია: „ბერიძე — მურღვას ლექსანი“.

## თ უ შ უ რ ი

### 3

- ბერიძემ უთხრა გიორგის: „ცხვარს მოგვიწყურდა წყალიო,  
ჩაერეკოთ ლეკის წყალზედა, თოფს დაუპიროთ ტალიო“.  
ერთი მე წავალ ბერიძე, ორნ გამომყვენიო სხვანიო.  
ჩარეკეს ლეკის წყალზედა, შვიდ ფარად მიდის ცხვარიო.
- 5 გამოაბრუნეს, დაღვედეს, ცხვარო, მოძოვე ხამიო.  
სანამ ცხვარ ბალახს მოსძოვდა, მწყემსებმ გაჩხრიკეს ხალიო.  
გიორგიმ უთხრა ბერიძეს: „მოვიდა ფეხის ჩქამიო“.  
— ნუ გეშინიან გიორგი, არ შეარცხვინო გვარიო.  
ა შავის საუბარშია გამოჩნდა ლეკის ჯარიო.
- 10 წინწინ ურჯულომ ესროლა, ბერიძეს მოხვდა მხარშიო,  
ბერიძეს თოფიც გაეარდა, ლეკსა დაჰგლიჯა უბანიო.  
ვამ თქვენს ბერიძეს ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარიო,  
ველარას ვხდები თოფითა, წელზე არა მაქვს ხმალიო.  
ე ბალღი რაღად მოქალით, ეგ არას მეომარიო.
- 15 ეხლა სად გინდა აღინეთ, ეგ უპატრონო ცხვარიო.

სოფ. ერწო, ჩამწერი ი. ბურდული, 1934 წ., ლიტ. მუზ., 20014—  
ბ, ყ. 330, გვ. 105. სათაურად აქვს „მეცხვარე ბერიძე“.

### 4

- ბერიძე ეტყოდ მწყემსებსა: ცხვარს მოგვიწყურდა წყალიო,  
ჩაერეკოთ ლეკის წყალზედა, ცხვარმა დალიოს წყალიო!  
ჩარეკეს ლეკის წყალზედა, ცხვარმა დალია წყალიო,  
დაკივლა, შემოაბრუნა. ცხვარო, მოძოვე ხამიო!
- 5 მოლოდინი გვაქვს თათრების, გზებზე გვიქირავს თვალიო.  
ცოტა ხანი კი გავიდა, შემოჩნდა თათრის ჯარიო.  
ბერიძემ თოფი ესროლა, ტყვიავ, გაკვნიტე ძვალიო!  
ბერიძეს თოფი დაგვიკრეს, არწივს მოსტეხეს მხარიო.  
იწვეს და ელარა დგება წითელ არაყით მთვრალიო.
- 10 ბერიძე, შენმა სიკვდილმა გადაიარა მთანიო.

ჩამწერი ქ. ლუხუმაიძე, ლიტ. მუზ., 20069—ბ, ყ—341, გვ. 85,  
სათაურად აქვს „ბერიძის სიკვდილი“.

213. ფაშური ფერანისული

მთქმელი გ. აფციაური. მთიულეთი, სოფ. ცხვედეთი, ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1946 წ., ვირსალ., № 60, გვ. 130. ამ საფერხულო ლექსში მოხსენებული ბერიძე ვარიანტებად ცნობილი წინა ნომრის (№ 215) ლექსის აღრესატი უნდა იყოს.

214. თათრებთან ომისა

მთქმელი მართა გოგოჭური. ს. ვერონა, თიანეთის რ. ჩამწერი ნ. გოგოჭური, 1961 წ., ფ. არქ., კ—19, გვ. 356.

215. სისხლის აღება

სოფ. გავაზა, ჩამწერი შ. საფაროვი, ხელნაწ. ინსტ., H—1992ა.

216. მწყემსი მწყემსს

მთქმელი ბასილ ძამუკაშვილი. სოფ. საკობიანო, ახმეტის რ., ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 21, გვ. 156—157.

217. მანდ რო ქალი დავიკარგა

ქართლი, ხიდისთავი, ჩამწერი ნინო ასათიანი, კოტ., გვ. 60. ახ. გამოც., გვ. 79.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

მანდ რომ ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყვეარო,  
ქიშიშით გასუქებული გაბადრულ მთვარეს ვგვეარლო  
მაცეცია სიასამური, მაშიეებზე ვდგვეარო.

5 ლამაზ-ლამაზნო ვაეკაცნო — სულ ჩემო მოსადგეარო,  
თითო თუმანი მოკრიბეთ, დამიხსენო, თქვენი ტყვე ვარო!

ქართლი, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი, თაყ., I, № 24, გვ. 182.

ბ

შენ დირბო აშენებულო, თავით ბოლომდინ სამსეო.

მთად რომ ქალი დავიკარგე, განჯელ თათარსა ვყვეარო.

კარგო და კარგო ვაეკაცნო, სულ ჩემო მოსადგეარო,  
მოკრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო.

5 თუ დამიხსენით, — დამიხსენით, თუ არა, თან მიყვეარო.  
წინ მიდგეს ვერცხლის ლანგარი, ზედ მიდგეს კვიცის თავია.  
ვითლი და ვერ მიქამია, ვერ დამიგდია რჯულია.

ხელში მიჰიარავს შუბია, ბრინჯაოს თავი უყრია,  
დღისით ბორკილი მიბია, ღამე ბნელაში ვყევარო.

ქართლი. თედო ჟორდანიას არქივიდან. ხელნაწ. ინსტ. A—  
1268-ი, გვ. 1.

## ღ

შენ ღირბო აშენებულო თავით ბოლომდინ სამსეო.  
მანდ რომ ქალი დაეიკარგე, განჯით თათარსა ვყავარო.  
მოკრიფე თითო შაური, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო.

ჩაწერილი ქართლში, ვ. ბ. დავითაშვილის მიერ, 4.IX.1885 წ.,  
ხელნაწ. ინსტ., A—1268-თ. გვ. 5.

## ე

შენ, ღირბო, აშენებულო,  
თავით ბოლომდინს საესეო!  
მანდ რომ ქალი დაეიკარგე,  
განჯელ თათარსა ვყევარო.  
5 დღისით მიყრია ბორკილი,  
ღამე ჭინჯილში ვდგივარო.

ჩაწერილი ქართლში, ს. დოდაევის მიერ. ხელნაწ. ინსტ., S—  
5293, გვ. 19.

## ვ

მანდ რო ქალი დაეიკარგე,  
განჯას თათარსა ვყევარო,  
აკრიფეთ თითო თუმანი,  
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.  
5 წინ მიდევ ოქროს ლანგარი,  
ზედ მიდევს კვიციხის ხორციო.  
მშია და არ მიჰამნია,  
რჭული არ დამიგდიაო.

მთქმელი შ. სიღამონიძე. ქართლი, ს. მისაქციელი. ჩამწერი ა.  
ასანიძე. 1961 წ., ფ. არქ., ქ. 70, გვ. 4.

## გ

ქობორტის მამასახლისო,  
უწინ თათრების მდევარო,  
მანდ რომ ქალი დაეიკარგე,  
განჯას თათარსა ვყავარო.  
5 თუ მალე არ გამამხსნი,



უკვე ქვევით მივეყვარო.  
წინ მიწყევია კვიცის ხორცი,  
მეტს არას დამიგდიანო,  
მშია და ვერ მიკამია,  
10 რჯული ვერ დამიგდიანო.

მთქმელი ვასილ ჭინჭარაული. სოფ. გალაგანი, მცხეთის რ., ჩამწერი ც. კაციაშვილი, 5.VII—1961 წ., ფ. არქ., ქ. 63, გვ. 48.

### ფ

მე რო ქალი დავიკარგე,  
განჯელ თათარსა ვეყვარო.  
შაკრიბეთ თითო მანათი,  
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.  
5 თუ დამიხსენთ, გენაცვალეთ,  
თუ არა და მივეყვარო.

მთქმელი ლუკა სოზიაშვილი. ს. ახალციხე, ჩამწერი ც. კაციაშვილი. 10.VII.1961. ფ. არქ., ქ. 63, გვ. 95.

### თ

მანდ რო ქალი დავიკარგე,  
გალმა ლეკებსა ვეყვარო.  
დღისით ბორკილი მიყრია,  
ლამე ორ შუა ვწევარო.  
5 მოკრიფეთ ათი თუმანი  
ჩვენებურებო, დამიხსენთ თქვენი ტყვე ვარო.

მთქმელი ვ. ირემაშვილი, კავთისხევი. ჩამწერი თ. კუკავაძე, 1961 წ., ფ. არქ., ქ—67, გვ. 110.

### ი

მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯის თათარსა ვეყვარო,  
დილით დამსვამენ სკამზედა, ლამე შემიკვრენ ხელფხვსო,  
მომიტანებენ ცხენი ხორცს, მარხვა ვერ მიკამიანო,  
ჩემიანებო, მიშველეთ, რჯულიც ვერ დამიგდიანო.  
5 მოკრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.

ქართლი, ჩამწერი დარ. მამაცაშვილი, 1872 წ., უმიკ., № 324, გვ. 191. სათაურად აქვს „ტყვე ქალი“.

### კ ა ხ უ რ ი

### ია

შილდელო მამასახლისო, ქვეითა უბნის მდევარო,  
შარშან რომ გადმამიტაცეს, დიღო ლეკებსა ვეყვარო;

კავკასის მთები მატარეს, დაღესტანს გადაეყვარო.

სალი კლდის კედლები მარტყამს, შამბის ლოგინზე ვწევარო.

- 5 შაკრიფე სამი სოფელი, დამიხსენ, ქალი ტყვე ვარო.

მთქმელი გ. მიქელაძე. ჩაწერილი კახეთში. ლიტ. მუზ., 29053—  
ბ, ყ. 338, გვ. 49. სათაურად აქვს „ტყვე“.

### იზ

მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯელ თათარსა ვყევარო.

დღისით ბორკილი მიგდია, ღამე ჭინჯილში ვგდევარო.

წინ მიდგა ოქროს ლანგარი, ზედ კეციის ხორცი მიწყვია,

მშინ და ვერ მიჰამია, რჯული ვერ დამითმია.

- 5 ბიჭებო, ჩვენ სოფლელებო, მოკრიფეთ ძალა-ღონე,  
არ მომკლათ ურჯულს ხელში, წამიყვათ ჩვენ სოფელში.

მთქმელი თედო ჩიბუხაშვილი. ზემო მაჩხაანი, ჩამწერი ვასო  
ყოჩიაშვილი. ლიტ. მუზ., 20023—ს, ყ. 332, გვ. 53. ყდა დათარიღებუ-  
ლია. დეკემბერი, 1934 წ., იგივე ტექსტი დაცულია იქვე, 20063—ბ,  
ყ. 340; გვ. 1.

### იზ

მარტყოფო, დიდო სოფელო, აღიხევო და ტევალო,

მანდ რო ქალი გაეზარდე, განჯელ თათარსა ვყევარო.

მოკრიფეთ კომლზე შაური, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო,

თუ დამიხსნით, დამიხსენით, თუ არა შორს მივეყვარო,

- 5 დღისით მიყრიან ბორკილსა, ღამით ორ შუა ვწევარო.

მთქმელი ბაგაშვილი ანტონ პეტრეს-ძე, 59 წლისა. ყოფილი  
მწყემსი. ჩონგურზე უკრავს. ს. დიდი ლილო. ჩამწერი უჩა ცინდ-  
ლიანი. 26.V—1961. ფ. არქ., კ—2, გვ. 135.

### იღ

გაშენებულხარ მარტყოფო, ნორიოს ყურძნის მტევანო,

მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყევარო.

ტანზე საამურ მაცვია, წითელ ქოშებზე ვდგევარო,

დღისით ბორკილი მიყრია, ღამე ორთშუა ვწევარო.

- 5 შაკრიფედ თითო მანეთი, მიხსენით თქვენი ტყვე ვარო.

მთქმელი ვ. მიგრიაული. ნოსტე. ჩამწერი გ. გობრონიძე. 1961.  
ფ. არქ., ქ. 65, გვ. 259. გადაბმული იყო ლექსის „ნანა თორღვანის  
ქალის“ გ ვარიანტთან, როგორც გაგრძელება.

### იმა

მარტყოფო, დიდო სოფელო, საყდარო გუმბათიანო,

ქალო და რძალო ლამაზო, ვაჟაკო ილეთიანო.

მანდ რო ქალი დავიკარგე, განჯასა თათარს ვყევარო,  
მოკრიფეთ თითო შაური, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო.

მთქმელი სონა ყურთარაშვილი. სოფ. ნორიო. ჩამწერი ნანა კო-  
ტეტიშვილი, V.1961 წ., ფ. არქ., კ. 12, გვ. 27.

### 03

ალიხევო და ტევალო, შეკრულო ყურძნის მტევანო,  
მანდ რომ ქალი დავიკარგე, განჯას თათარსა ვყევარო.  
მოკრიფეთ თითო შაური, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.  
დღისით ბორკილი მიყრია, ღამით ორშუა ვწევარო.

მთქმელი მქედლიშვილი მირონ ბასილის ძე, 54 წლისა. მარტ-  
ყოფი. ჩამწერი უ. ცინდელიანი. 20.V—1961 წ., ფ. არქ., კ—2. გვ. 20.  
ამავე მთქმელს იგივე ტექსტი უთქვამს და პირველი სამი სტრიქონი  
ასე შეუცვლია:

„მარტყოფო, დიდო სოფელო,  
ალიხევო და ტევალო  
მანდ რო ქალი დავიბადე...“

### 08

ქალი ვარ ბაგრატიონი, განჯას თათარსა ვყევარო,  
შილდა, ყვარელო, გავაზო, სულ ჩემო ვასადევარო.  
ლამაზ-ლამაზო ქალ-ვაყო, სულ ჩემო მოსადევარო,  
შეკრიფეთ თითო მანათი, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო,  
5 დღისით მადგანან დარაჟნი, ღამე თათართან ვწევარო.

მთქმელი მარკოზ ნადირაშვილი. ლაფანყური. ჩამწერი გ. გობ-  
რონიძე. 1961 წ., ფ. არქ., კ. 9, გვ. 56.

### ფ შ ა უ რ ი

### 08

ქალი ვარ ბაგრატიენისა, განჯას თათარსა ვყევარო,  
დღისით მიყრიან ბორკილსა, ღამით თათართან ვწევარო.  
ჯერ რჯული არ გაღმიგდია, თავის რჯულზედვე ვდგევარო.  
ქალო და რძალო ლამაზო, სუ ჩემო მოსადევარო,  
5 შაკრიფეთ თითო შაური, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!  
სირცხვილი თქვენთვის ვაყებო, თორო მე კარგა ვყევარო.  
ტანთა მცევე სიასამური, წულა-ქოშებზე ვდგევარო...  
ნეტარ ველარა განახავა, შე საქართველოს მძღვევარო!

ფშავი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, № 21. გვ.

- იმერეთის თავ გადადის აქლემის ნატოტარიაჲ,  
წვიმი უწეიმაჲ აედარსა, დადგება ნაგუბარიაჲ,  
შიგ ამოსულა ფურცელი, მალღამდინ დაბურულიაჲ,  
საკრფელად შემოშჩევეია, ბაგრატიონთა ქალია.
- 5 იმ ქალს თათარ შემოჩევეია, გულქადარაჲ კდალიო,  
შილდა-ყვარულო, გაეაზო, სულ ჩემო მოსადეეარო,  
შეკრიფეთ თითო შაური, დამიკსენთ, თქვენი და ვარო,  
დღისით მიყრიან ბოკილებს, ღამ თათრის ბიწსთან ვწეეარო,  
მშიან და ვერცა კი ვკამ, რჯულიც ვერ გამიტეხიაჲ,
- 10 წინ მიღგა ოქროს ღამბაჲი, ზედ კვიცის ხორცი მიწყვია.  
ღანა ზედ მიღვეს ჯავარი, ტარი გიშრისა აგია.

მთქმელი ხეცსური დავით ჭინქარაული. გომბორი. ჩამწერი ნ. სა-  
ხელაშვილი, 8/VII—61 წ., ფ. არქ., კ. 28, გვ. 3.

კ

- შავი ვარ, შავი ცხენი მყავს, შავი თექალთო მიღგია;  
სახლი მაქე ნაპირისაი, კარი ჯავრისა მიზია;  
ლოგინი უძილობისა, შიგ ნარ-ეკალი შიგია;  
ტაბლანი ზარაეანდისა, ზე კიცივის კორცი მიწყვია.
- 5 ღანა დავეაგი ჯავარი, ზე გიშლის ტარი შიგია.  
მაველი ხთის ბრძანებასა, მიწამა, ვერ გამიგია.

ხეცსურეთი. ჩამწერი სიმ. გაბური. შან., № 127, გვ. 47. თავისე-  
ბური ვარიანტია. შეიძლებაოდა ცალკე ნომრადაც შესულიყო კრე-  
ბულში. საგულისხმოა აკ. შანიძის შენიშვნა:

„გავრცელებული ლექსია, სულ სხვადასხვა გვარად გადაკეთე-  
ბული მთასა და ბარში. ასეთი სიტყვები ტყვე-ქალს მიეწერება. შო-  
რეული მსგავსება აქვს ერთს, კარალეთში ვ. ბიბილაშვილის მიერ ჩა-  
წერილ ლექსსაც (ივერია, 1890, № 6). კვიცის ხორცი და ჯავარი და-  
ნა ამ წიგნშიც არის მოხსენებული ერთგან (შან., № 64 ე, 4—5), კვი-  
ცინ ხორცი და გიშრის ტარიანი ღანა კი ნანას ტყვეობის ერთს თუ-  
შურს ვარიანტში გვხვდება“. შან., გვ. 410.

კბ

ქალი ვარ დარჩიასი, დიდუეთსა ვარ ციხესა,  
დიდუეთს დიდი ციხეა, წვერ ცისად მიუზნეჲია,  
შიგ მიღგა ტაბტი, ლოგინი, ქვეშ ნარ-ეკალი შიგია.  
წინ მიღგა ოქროს ღანგარი, ზედ კვიცის ხორცი მიწყვია.

- 5 ზედ მიძევ დანა აღმასი, ჭავარი ტარი შიგია.  
საკმელად ველამუნები, რჯული ვერ გადამიგლია,  
აბა, თუ კარგი ბიჭი ხარ, წამოდი, წაპიყვანია.  
პირდაპირ მიზის ლეკია, ჩემი საქმარო არია.

სნჯ., III, გვ. 149. ეს ტექსტი თუმცა ლეკიანობის ამააზველია, მაგრამ იგი ვარიანტია თათართაგან გატაცებული ტყვე-ქალის მოთქმისა. საგულისხმოა ისიც, რომ მოლექსენი (და საერთოდ ხალხი) ხშირად აიგივებენ ლეკებსა და თათრებს. ეს გარემოება თათართა ხანგრძლივი აგრესიის ერთგვარი გამოხატულებაა.

### კბ

- მარტყოფო, აშენებულო,  
ნორიოჲ კატარღლიანო,  
მანდ რომ ქალი დაეიკარგე,  
განჯას თათარსა ვუეუარო,  
5 თითო გროში მოძიკრიდეთ  
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.

ქართული სახალხო სიმღერები შეგროვილი და შეკრებილი ზაქ. კიკინაძის მიერ. ნ. I, თბილისი, 1877, გვ. 15. არსებობს კიდევ ვარიანტები და ჩანაწერები (ნაბეჭდი: ივ., № 144, 1887 წ.; მშბ., № 3, 1895 წ.; ახ. გაზ., № 457, 1911 წ.), რომელნიც განსაკუთრებულ თავისებურებას არ იჩენენ.

### 218. შვიდ წელს ტყვე ვიყავ

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 22—23 ან ივ., № 144, 1887. შან., გვ. 487—488. ემთხვევა კოტ., 219. ახ. გამოც. გვ. 239. ოღონდ აქ ჩამწერად პ. ოზგაიძეა მოხსენებული. ამ ლექსის მხოლოდ ერთ ახალჩაწერილ ფშაურ ვარიანტშია მოხსენებული ტყვის მფლობელი ყვენი და მისი ადგილსამყოფელი თეირანი. ერთ მთიულურ ვარიანტში (ვირსალ., № 43) ქისტებთან შულღია ასახული. მეორე მთიულური ვარიანტით (იქვე, № 42) — თათრებია ქალის გატაცებლები. დანარჩენი ვარიანტებით არ ჩანს ვისი ტყვეა ლექსის ადრესატი. ჩვენ ეს ლექსი პირობით შეგვჯავს თათართა აგრესიის ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში. იგი თანაბრად ახასიათებს აგრეთვე ლეკიანობას, ქისტებთან შულღსა და სხვ.

### ფ შ ა უ რ ი

### ბ

შვიდს წელს ტყვედ ვიყავ, დედაო, არ მილაქიან ქეიშანი,  
საკმისას ჩამამავალნი შუქნი ვნახნოლი მზისანი.

- კუტი ვეგონე, უფეკო, კარჩი ვერ გამამავალი.  
 გამუე, გამამიყვანეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი.
- 5 იქისაჲ გადაუფრინდი, სადაც არ იყო სავალი.  
 თან მოყმე გადმომაყოლეს ახალ წვერ-შამამავალი.  
 თან ისარ გადმადაყოლა, წვერ-წვრილი, მარდა მავალი;  
 მქარს მამხვდა, გულსა მეწია, მუტლი მამელო მავალი.  
 ასეთას კლდეზე გადაველ, შუქნი ვერ ჩავლენ მზისანი.
- 10 არწიენი ბუდებულიყვენეს, არწიენი მალღის მთისანი,  
 დეველა შველთა თიკანი, ეწითლებინნეს ქვიშანი,  
 ჭამეს და მენაც მაჭამეს, ბრალნი სცოდნიყვენეს ტყეასანი,  
 გზანიმცა აყოვდებთან ცხვრისანი, მეცხვარისანი!  
 წყეშებმა გამამაქდინეს, ჭიღნი გამისხნეს სხლისანი.
- 15 იმათ არ გამუეჭდინე, თეეზნი შამქამდენ წყლისანი.

მთქმელი მარიამ ბუჩუკური, ს. ზენა-მკარი. ჩამწერი ვ. ტუქსი-  
 შვილი. შან., გვ. 488.

## ბ

- შვიდ წელს ტყვედ ვიყავ დედაო, არ მილახნია ქვიშანი,  
 საკმისას ჩამოშვებული შუქნი ვნახოდი მზისანი.  
 სულ ბრმა ვეგონე, სულ კუტი, სულ კარს არ გამომავალი,  
 გამომიყვანეს, გამსინჯეს, ქალ-ვაჟი მოდგა მრავალი.
- 5 პირდაპირ ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტი სრავალი,  
 დაკვე და ბევრი ვარჩივე, ჯიბეს ვიყარე მრავალი.  
 გადაუფრინდი ხეეშია, საითაც იყო სავალი.  
 თან მოყმე შამამაყოლეს ახლად წვერ შამომავალი,  
 თან ისარ შამამაყოლეს წელწვრილი, შორად მავალი.
- 10 წყურვილის მაწყურებულმა ნამნი ელოკნოდი ცისანი.  
 ისარ ვერ მამხვდა, გავექე, მუხლი გამეჭრა მავალი.  
 შიმშილით შაწუხებულმა, ქუჩნი ეძოვნოდი მთისანი.  
 გზანიმცა აყოვდებთან, ცხვრისანი, მეცხვარისანი,  
 დამიკლეს მამალ ციკანი, ჩამააწითნა ქვიშანი,
- 15 ჭამეს და მენაც მაჭამეს, ბრალნი ჰქონიყვენ ტყეისანი.  
 გზაც იმათ გამამასწავლეს, ხიდ გამიკეთეს მსხლისანი.  
 თუ იმათ არ გავებდინე, თეეზნი შამქამდენ წყლისანი.

მთქმელი თ. სულხანიშვილი. სოფ. ლიშო. ჩამწერი თ. გოგოქუ-  
 რი. 1961. ფ. არქ., კ. 30, გვ. 321. სათაურად აქვს „გამოპარული  
 ტყეე“.

## დ

შვიდ წელს ტყვედ ვიყავ დედაო, არ მილახნია ქვიშანი,  
 საკმლისას ჩამოშვებული შუქნი ვნახოდი მზისანი.  
 კოკლი ვეგონე, უფეხო, გარეთ ვერ გამამავალი,  
 გამამიყვანეს, გამსინჯეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი.

- 5 იქისკენ გადაუფრინდი, სადაც არ იყო სავალი, თან მოყმე შამამაყოლეს, ახლად წვერ-შამამაველი, ტანად, პირადა ისა მკობ, მუხლად მე ვჯობნი მავალი, შვილი მკრა, გულსა მეწია, მუხლი მამილო მავალი.

მთქმელი ნიკოლოზ გრიჭულოვი. სოფ. მაგრანეთი, თიანეთის რ., ჩამწერი თამარ გოგოჭური. 20.V—1961 წ., ფ. არქ., კ. 29, გვ. 26—27. სათაურად აქვს „ტყვეობაში“. თ. გოგოჭურის ამავე მთქმელი-საგან 27.V—61, ჩაუწერია იგივე ტექსტი — ოლონდ პირველი თქმ-ესმეტი სტრიქონი. განსხვავება — სტრიქ. 3 — საკმლიდან ჩამონადენი, ფ. არქ., კ. 29, გვ. 29.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### 2

- შვიდს წელს ტყვე ვიყავ, დედაო, არ მილაქიან ქვიშანი. საკმისას ჩამოშობილნი შუქნი ვნახნიდი მზისანი. ბრმაი ვეგონე, კოკლაი, კარჩი ვერ გამამაველი; გამამიყვანეს კარჩია, ქალ-ზალ ამოდგა მრავალი,
- 5 პირდაპირ ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტი სრეველი. ვარჩიე მთავარ-მთავარი. ჭიბეს ვიყარე მრავალი. აიქაც გადაუფრინდი, საც რო არ იყვა სავალი. გამამაყოლეს მოყმეი ახალ-წვერ-შამამაველი. ვიღინეთ, ვერ დამეწიეა, მუქლი ჩემ ჯობდა მავალი.
- 10 თან ისარ გამამაყოლა თბე-წერილი, ჩქარა მავალი, სუქსა მკრა, გულსა მიწივა, მუქლი მამკვეთა მავალი. გადავე ბურვილთ ძირჩია, აღარ-ა გადასავალი. ე გზანიმე აყუაუდებიან ცხვრისანი, მემცხვარისანი წყალთ მაგათ გამამაქდინეს, კიდნი დამისხნეს სხლისანი,
- 15 თორ მანდით გადავარდნილსა ქაჭნი ჩამთქმედეს წყლისანი. ქაჭნი თუ ვერას მიზმოდეს, ვეშანი ზღვის პირისანი.

მთქმელი თათარა წიკლაური, 10 წლის. ხევსურეთი. ჩამწერი აკ. შანიძე. 20.VII—1911 წ., შან., № 255, გვ. 114—115. სათაურად აქვს „ტყვეობიდან გამოქცეული“.

### 3

- შვიდს წელს ტყვე ვიყავ, დედაო, არ მინახიან ქვიშანი. ბრმაი ვეგონე, კოკლაი, კარში ვერ გამამაველი. გამოვედ მეშვიდეს წელსა, შუქნი მე ვნახენ მზისანი. ავილი ორი არგანი, არ ვიყავ გამომავალი.
- 5 გამოვედ მეშვიდეს წელსა, ქალ-ვაჟი ვნახე მრავალი, პირდაპირ ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტის სრეველი. გავიარე და მივეუჭე, ვარჩიე მთავარ-მთავარი.

- ვარჩიე, ჭიბეს ვიყარე, ბევრ იქა დამჩა, მრავალი.  
 აგეთზე გამოუფრინდი, არ იყო ჩამოსავალი.
- 10 ქაჯთ მოყმე გამამიყენეს ახალ-წვერშამამავალი.  
 ვიღინეთ, ვერ მამეწივა, — მუქლით მე ვჯობდი მავალი.  
 ისარი წამამაწივა თბე-წერილი, შორად მავალი,  
 სუქსა მკრა, გულსა მიწივა, მუქლი მოჰკეთა მავალი.  
 ზე პნელი ღამე დამეცა, შიბნ, ვერ გავიგე კლდისანი,  
 15 არწიენი ბუღობილიყენეს, ქუშნ იყვენეს, ჩვენის მკრისანი.  
 ნაპიკლეს შუნის თიკანი, ჩამამიწითნეს ჭეიშანი.  
 თაოდაც ქაქეს. მეც ვქაპე. ბრალნი სცოდნიყენეს ტყვისანი.  
 მემრ გზანი ჩამამსწაულ(ნ)ეს, ნადენნი შუნ-ჭიკვისანი.  
 გზას ვეფხვი შამაპეყარა, თვალნი მარცხნა ხთისანი.  
 20 გაზით გაპართუნა კალთანი ჯაქვისა, ჯაქშანისანი.  
 საში თვე წყლის პირ დავლიე, ქიღნი ვერ ვნახენ წყლისანი.  
 ე ვზანიმც აყვავდებიან მემცხეარისანი, ცხვრისანი  
 წყალს მაგათ გამამიყენეს, ქიღნი ჩამისხნეს სხლისანი.  
 მაგათ არ გამოვეყენე, თეფხნი ჩამნთქევედეს წყლისანი.  
 თეფხთაც არ დამანებებდეს ვეშაპნი ზღვის პირისანი.

შან., გვ. 485—486. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა:

„ეს ლექსი ჩაუწერია გ. ლომთათიძეს, რომელიღაც ხევსურის სიტყვით, ტფილისში და გადაუცია ვ. კოტეტიშვილისათვის. უკანასკნელმა მე გადმომცა, — 1 არ მინახიან/არ მინახნია (ლომთ.); 3.5 გამოვედ/გამოველ (ლომთ.); 20 გაზით გაპართუნა/გაზიდ-გაპართნა (ლომთ.); ჩამწერი ამის შესახებ შენიშნავს: „ვეფხვი დაჭრილი ყოფილა: ფეხში ქვა ხქონია შერკობილი. კალთანი ტყვისა იმიტომ გაუზიდავ, რომა ანიშნა: შველა მჭირიაო... ტყვეს ფეხიდანა ქვა ამაულია და ფეხი შაუხვევია ვეფხვისთვისა. ვეფხვს სიკეთე იმიითი გადაუხდია, რომა ასულა მალლა კლდეზე და იქიდანა ჭიხვები გადმოუყრია ტყვისთვისა. ტყვეს ჭიხვის ხორცი უჭამავ ცომად და ასე გაუტანია თავი“ (გ. ლომთ.), 24 ჩანთქედეს/ჩამნთქევედენ (ლომთ.).

ვეფხვთან შეყრის ამბის გამო შდრ., № 519, რომელსაც ორიოდე მუხლი საერთო აქვს ამასთან. (ამ შემთხვევაში აკ. შანიძე გულისხმობს ლექსს „მოყმე და ვეფხვი“, რომელიც ამ ნომრით არის წარმოდგენილი მის წიგნში. (შან., გვ. 208). მართლაც, კონტამინაციის წესით ლექსში შესულია სამონადირეო ლექსის სტრიქონები. ქ. ს.).

ძველი ამბავი იმის შესახებ, რომ მონადირემ დახმარება აღმოუჩინა დაჭრილ ვეფხვს, გალექსილი აქვს ვაჟა-ფშაველას („დაჭრილი ვეფხვი“, თხზულებანი, ტ. III, გვ. 1930). მონადირედ თვარელია დასახელებული“. იქვე, გვ. 486.



- შვიდ წელს ტყვედ ვიყავ, დედაო, წინით კარს გამოვალა,  
 შვიდ წელს მემრ გაიბიჯე-ნეს. კოპლი ვეგონე, უვალი.  
 ისეოზედ გაღვფრინდი ასე არ იყე გაღასავალი.  
 თან მოუბე გამოჩაოლეს ძლად წვერ-ამომავალი.
- 5 ვირბინ მე, ირბინ იმანა. ბუქლად მე ვკობდი მავალი.  
 ისარი გამომაყოლა ფთე-წვერილი. ჩქარად მავალი.  
 ბეჭთ მომბედა. სუქსა უწია. ბუქლი მომილო მავალი.  
 კლდესა მივადეჟ ასეთსა. არსაო ჰქონდა სავალი.  
 იქ არწივს ბუღე ჰქონოდა. ბუღეი ბუშბულისაი.
- 10 შვილი შეჭივლდა დედასა: „აქენ მომლის კორციელისაი“.  
 — „ოცთა ხანაც მოიცადეო. კოცთ ვაჰამ შუნ-ჭიჭვისაი“.  
 ეზანიმცა აყვადებთან ცხვრისა და მემცხეარისანი!  
 წყალს იმათ გამომიყვანეს, კლდნი გამოდეს ხისანი.  
 თვარ წყალში ჩავევარდნოდი, თვეზნი შემქამდნენ წყლისანი.
- 15 თუ თვეზნი ვერას შემქამდნენ, ვეშან ხო ზღვის პირისანი.  
 ახლ დავჭეჟ მუხის ძირადა, შტო დავითარე ფარადა,  
 დავჭეჟი, წიგნი დავწერე, მტრედსა შევაბი მქარადა.  
 ეს ჩემსა დედას წაუღე, სახლსა-ლ შეუგდე კარადა.  
 არცა-რა მტერი შეუვა, არცა-რა მოძალეო.
- 20 მითქვიდით ჩემსა დედასა: იყდოს ჩემი თაიო.  
 არცა-რა ნავრე გრძელა, შვიდ-კეკი შვიდი მჭარო.

ჩაწერილი სიმ. გაბურის მიერ. შან., გვ. 486—487. აკ. შანიძის შენიშვნა:

„უკანასკნელი ნაწყვეტი თითქო სხვა ლექსის ნაწილიაო. ამ ნაწყვეტის ბოლო რამოდენადმე მოგვაგონებს 722 ნომრის თუშურ ვარიანტს. (ჩემ მიერ ჩაწერილს“. იქვე). სტრიქ. 16—18. „ავთანდილ გადინადირას“ ეკუთვნის. კონტამინაციის წესით დაკავშირებია ამ ლექსს. აქვე საინტერესოა სტრიქ. 20, რომელიც გამოხატავს რწმენას თმის პარციალური სულის შესახებ. ეს სტრიქონი კონტამინაციის წესით შემოსული უნდა იყოს ვარიანტებად ცნობილ საყოფიერო ლექსიდან (შდრ. ფშ. ლექს., გვ. 207; ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI, გვ. 66 და სხვ.).

10

- შარემბან უთხრა დედასა სურგულად ჩასადებეო:  
 — შვილო საღ იყავ, შარემბან, საღ საუკუნის შედებე?  
 — შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო, არ მილახიან ქეიშანი.  
 სარკმელს არ გადმოშობილი შექნი ვნახიდი მზისანი.
- 5 მეშვიდე წელ რო გათავდა. დამიდგა კიი ლაშანი:  
 გამომიყვანეს კარზედა, ვნახე ქალ-ვაჟი მრავალი.  
 მე ბრმაი, კოპლი ვეგონე, კარზე ვერ გამამავალი.

- ჩამამიტანეს გვერდზედა თვალ-პოგალიტის სრუვალი,  
დამისხეს ყარაულადა, ვარჩიე მთავარ-მთავარი
- 10 აგეთზე გამოუფრინდი, არ იყო გამოსავალი.  
გამამაყოლეს მოყმენი, ახალ წვერ-შამამაველი.  
მე ის ვერ მამეწყოდა, მუხლი ჩემი ჯობ მავალი.  
გამამაყოლა ისარი თბე წვრილი, ჩქარა მავალი,  
დამკრა და ველარ წამოვე, მუხლი მემეკრა მავალი.
- 15 ა იქა ბუღობილიყენენ არწივნი ჩვენი მთისანი,  
ხელ მივაროდე, თბე მამცეს, მუხლი მეწება მავალი.  
ჯიხესა თოფ დაეკარ ბერხენსა. ქალათ ჯახნ იქნეს რქისანი.  
სამი დღე ტყისპირ დავლიე, ხავსნი ავწოვე წყლიანი.  
ე გზანიც აყოლებიან ცხვრისან და მეცხვორისანი,
- 20 წყალს მაგათ გამამახდინეს, ხილნი დამისხნეს ხისანი.  
მაგათ არ გამოვეხდინე, მესხნი ჩამთქვედნენ წყლისანი.  
მესხთაც არ დამანებებდნენ ვეშაპსნი ზღვის პირისანი.  
პურიცა მაგათ მაკმეეს, გამამიწველეს ზისცვარი,  
გზანიცა მაგათ მასწავლეს ნადენი ცხვარ-მწყემსისანი...
- 25 ქვე რაი ხარ, რა ხელ დახვალ. გზა ხომ არ გაქ არეული?  
არც მე ვიცი, სად რა დავალ. ტყვე ვარ შორით წამოსული.  
მიგაგამსე თავის დასა, ძაზე ყოფილხარ მოსული,  
ამდამ კი შამინახე, თუ გწამს საქართველოს ოქული:  
თუ დასავეთ ვერ გიწამო, ხმალნი გამჭრის გაღესული.
- 30 რახან მოვეკვდე. ჩავარდების ჯოჯობეთში ჩემი სული.

მთქმელი ა. ქისტაური. სიონი, თიანეთის რ., ჩამწერი ა. შიშმა-  
ნიშვილი, 1961 წ., ფ. არქ., კ. 25, გვ. 85. სათაურად აქვს „შარიმბა-  
ნის ლექსი“. სხვა ვარიანტებში ტყვის სახელი არ არის ცნობილი. ამ  
ვარიანტშიც კონტამინაციის წესით შესულია „მოყმე და ვეფხვის“  
სტრიქონები (სტრიქ. 17). უკანასკნელი სტრიქონებიც კონტამი-  
ნაციის წესით არის დაკავშირებული ამ ლექსთან. ახლავს განმარტე-  
ბა — სტრიქ. 21 — მესხნი — ქაჯნი. ლექსში შესულია ზღაპრუ-  
ლი მოტივი — სტრიქ. 15—16 — ქომაგი არწივის ფრთით ჭრილო-  
ბის განკურნება.

## თ

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ დედაო, არ მინახია ქვიშანი,  
სარკმლიდან ჩამოშვებული, შუქნი ენახოდი მზისანი.  
კოჭლი ვეგონე, უფეხო. კარში არ გამოშავალი.  
წინიდან ჩამამიფინეს თვალ-მარგალიტი მრავალი.
- 5 გამამიყვანეს, გამშინჯეს, ქალ-ვაენი მოყვა მრავალნი,  
გადაჰყე ბევრი, ვარჩიე, ჯიბეს ვიყარე მრავალი.  
იქისა გადაუფრინდი, საცა არ იყო სავალი,  
თან მოყმე ჩამომაყოლეს ახლად წვერ-შემომავალი.  
თან ისარ ჩამომაყოლა ფრთა წვრილი. მალა მავალი,

- 10 სუკსა მკრეს, გულსა ეწია, მუხლი მამილო მავალი.  
ისეთ ხეე-ხუეში ჩაეარდი, სვაენი არ ჩაელენ კლდისანი,  
იქ ვილაც ბუდებულიყო, არწიენი ჩენის მხრისანი.  
გზანიმცა აყუევდებთან ცხერისა და მემცხვარისანი,  
წყალს მაგათ გამამახდინეს, ხილნი დამისხეს სხლისანი.
- 15 იმათ რო არ გამოეხდინენ, თეგზი შეშქამდა ზღვისანი,  
თეგზსა არ დამაჯერებდენ, კაქკაქნი ზღვის პირისანი.

მთქმელი ვ. მიგრიაული. ნოსტე. ჩამწერი გ. გობრონიძე, 1961 წ.,  
ფ. არქ., კ. 65, გვ. 258. სათაურად აქვს „მოტაცებული ქალის ლექ-  
სი“.

## ი

- დელასა ჩანთელისასა თოფში ჩამსელიყო წყალიო,  
დამსველებიყო წამალი, ტყვიას არ შიაქ ძალიო,  
გამასტყვრა რაჯულძალღის თოფი, ჩანთელს გაარტყა მხარზედა,  
აჲა შე ჩემო პატრონო, ვინ გაგიჩერებს მკლავზედა.
- 5 მოგიკვდი ჳირის პატრონო, ჳირის გონება ძნელია,  
ჳირს კი არ უნდა გატეხა, თუ კაცი გონიერია.  
შვიდ წელს ტყვე ვიყავ დედაო, არ მილახია ჳვიშანი,  
სარკმლისას ამოეხდნოდი, შუქნი ვნახოდი მზისანი.  
გამიგონოდიო სწორებო, დამიტეროდიო დედაო.
  - 10 სწორებო, თქვენის ნდომითა ცეცხლი მწვავს, ალი მედაო.

მთქმელი ქავთარა ზურაბაული. ომარიანი. ჩამწერი შოთა კონ-  
სტანტინიდი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 21, გვ. 87. სათაურად აქვს „ჩანთე-  
ლისა“. ტექსტის პირველი ნაწილი სხვა ლექსია, რომელიც კონტამი-  
ნაციის წესით შერწყმია ამ ვარიანტს.

## მ თ ი უ ლ უ რ ი

### ი ა

- აქ რო ქალი დავიკარგეო, განჯას თათრებსა ვეყვარო.  
შვიდი წელია ტყვეთ ვიყავ, არ დამელახა ჳვიშანი,  
მარტო მზეს ვნახავ დედლაგ, სარკმლიდან ჩამომავალი,  
გამომიყვანეს, გამჩხრიკეს, ქალ-რძალი მოდგა მრევალი.
- 5 პირდაპირ გადმომიფინეს თვალ-მარგალიტი სრევალი...  
დავჯე და ბევრი ვარჩივე, ჳიბეს ვიყარე მრავალი.  
აუდექი და გადმოვფრინდი, საით გზა მქონდა სავალი.  
თან მოყმე გამომავოლეს, ახალწვერ შამოუვალი.  
მომდივა, ვერ მომეწივა, მუქლად მე ვკობდი მუალი.
  - 10 დაჯდა და შვილდი მესროლა, ფთეწერილი, შორად მუალი.  
მქარს დამკრა. გულსა უწია, მუქლი მამწყვიტა მუალი.  
აგეთსა კლდესა გადმაგღო, ნამნი არ ჩადის ცისანი.  
არ ჩამყოლია საგძალი, წავძოვე კლდისა ჳვიშანი.

წყალი მოწყურდა დედაო, ნამნა წაესრუტე ცასანი...

- 15 ყორანიმც დაილოცება, ყორანი თავის მკრისანი მოეკლა შელისა ციკანი, ჩამოეწითნა ქვიშანი, მიმიპატიჯეს, მაჰამეს, ბრალი ჰქონიყოთ ტყვისანი. გზანიშეა აყოვდებიან ცხვრისა და მემცხვარისანი, იმათ წყალს გამომაცილეს, ხილი ჩამიდგეს სხლისანი,
- 20 თორემ წყალ ჩავვარდებოდი, თევზნი შემქამდნენ წყლისანი... ახალ-ახლო ვაეებო, მამიმშათ მისადევარო, აკრიფეთ თითო თუმანი, მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო.

მთქმელი ივანე ზაქაიძე. სოფ. წყერე. ჩამწერი ელ. ვირსალაძე-1946 წ. ვირსალ., № 42, გვ. 122—123. ეს ვარიანტი სხვადასხვა ლექსის კონტამინაციის ნიმუშია. დასაწყისი და დასასრული სტრიქონები ეკუთვნის თათართა აგრესიის ამსახველ ლექსს „მანდ რო ქალი დავი-კარგე“.

### იზ

აყრილი მიდის ლაშქარი, მცხოვრებთა ბელობაზედა,  
— ერთი მე წყალ ჭარშია, — ჯიხურ გადაჭდა ცხენზედა.  
წავიდა თამაშობითა, ლურჯა, გაკვერილ გზაზედა.  
— უწინ შენ ჩხველ ჯიხურო, ქისტების დამდგარ ცხვარზედა!

- 5 თოფი მოგეირტყეს ჯიხურსა, მარჯვენა ძუძუს თავზედა.  
ჩამოუვლია ჯიხურსა, ჩამოწოლილი არსზედა.  
— ისეთ ადგილზე გადმავდეს, საცა არ იყო სავალი,  
არჩინენ ბუდებულიყენენ, ხოხობი ჩვენი მთისანი.  
დამიკლეს შურთი ბატკანი, იმით მიწითეს ქვიშანი.
- 10 გზანიშე კი აყოვდებიან ცხვრისა და მემცხვარისანი.  
წყალთ იმათ გამამახდინეს, ხილნი გამიდეს მსხლისანი.  
იმათ არ გამოვეხდინე, თევზნი შემქამდნენ წყლისანი,  
თუ იმათ გადავრჩებოდი, — გველესაბ ზღვის პირისანი.  
მშვიდი ტყვე ვიყავ, დედაო, არ მილახია ქვიშანი.
- 15 შეკუმში ჩამოშავალი შექნი ენახონი მზისანი,  
კუტი ვეგონე, უღებო, კარშია გამოუვალი.

მთქმელი გარგლელი მთიული. ქართლი. ჩამწერი ანეტა კაპანაძე. ვირსალ., № 43, გვ. 123. ლექსის პირველი ნახევარი ეხება ჯიხურის ბრძოლას ქისტებთან. მეორე ნახევარი-კი ვარიანტია ლექსისა „შვიდ წელს ტყვე ვიყავ“.

### იზ

— თოლად ის მკობდა, ტანადა, მუქლად მე ვკობდი მავალი,  
ერთი ისეთ კლდეზე მივაგდე, შექნი არ სწუდენ მზისანი,  
დაეკლა შვიდი თიკანი, ჩამაეწითნა ქვიშანი.  
დამსვენს და მეცა მაჰამეს, ბრალნი ჰქონიყო ტყვისანი.

- 5 გზანიმცა აყვავდებიან ცხვრისა და მემკვებარისანიო,  
გზა იმათ ვამომასწავლესო, — ხილნი ჩამისხნეს სხლისანიო.  
თორო წყალს ჩავგორდებოდი, თევზნი შამკამდნენ წყლისანიო.  
ახალ-აზალი ვაეებო, მიმიძიმათ მისადეეარო,  
აყრიფეთ თითო თუმანი, მიხსენით, თქვენი ტყევი ვარო.

მთქმელი სისოური ხოშია. სოფ. წყერე. ჩამწერი ელ. ვირსალა-  
ძე, 1946 წ. ვირსალ., გვ. 450.

## იღ

- დედათა, მამათ მილებთა, გაჰყიდეს სიმდიდრისთვისა,  
აილეს ჩემში ნავაკრი, შექაშეს შიმშილისთვისა,  
სამ წელს ვიყავი პატიმრად, გარეთა გამოუვალი,  
არც გამოვსულეარ კარზედა, არც დამილახავს ქვიშანი,  
5 ბანიდგან ჩამოსულისა, შუქნი თუ ენახნი მზისანი,  
გამომიყვანეს, გამსინჯეს, ქალ-ვაენი მოდგნენ მრეეალი.

მთქმელი გარგლელი მთიული. ქართლი. ჩამწერი ანეტა კაპანაძე.  
ვირსალ., № 41, გვ. 122, ეს ვარიანტი თავისებურია, ჩვენი ქვეყნის  
წარსული ტრაგედიის დამახასიათებელი ინტერპრეტაციაა ტყვეო-  
ბისა.

## გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

### იზ

- აქ რო ქალი დაეკარგეო, განჯას თათრებსა ეყევარო,  
შეიდი წელია დედაო, ქვიშნი არ დამილახაო,  
შუქუშში ჩამოუშვია, შუქნი ჩამოდგა მზისაო.  
გვერდითი ჩამამიფინეს, თვალ-პარგალიტის სრეეალიო.  
5 ვარჩიევი ბეერი, ვარჩიევი, ჭიბეს ვიყარევი მრეეალიო.  
თან ბიჭი გამამაყოლესო, ახალწვეერ შემომავალიო.  
თვალადა, ტანად მე ვკობდი, მუხლად ის მკობდა მავალიო.  
ისარი გამომაყოლაო, ისარი სწორად მუალიო.  
სულს მოხედა, გულსა უწიევაო, მუხლი მომწყევიტა სავალიო.  
10 ასეთსა კლდესა მივარდით, არ ჩაქსწედებოდა მზის შუქიო.  
შიგ უბუნდნია არწიეთაო, არწიეთა მალის მთისასაო.  
დაუკლავს შელისა თიკანიო, ჩამეეწითა ქვიშანიო.  
ქამეს და მენაც მაქმიესო, ბრალი ქონიყო ტყვისანიო.  
გზა მავათ გამამასწავლესო: — გზას დაჰყევი საბძანისასაო.  
15 საგათენებლოდ გადახევალო, სიმძღვარსა კახეთსასაო.

მთქმელი ჩოხელი ეფრემ შულლას ძე. სოფ. ჩოხი. ჩამწერი თ.  
ოქროშიძე. 1950 წ. ვირსალ., გვ. 449.

## იზ

- თან მოყმე გამამაყოლეს, ახალწვერ შამომავალი,  
თოლად მჯობდა, ტანდა, მუქლად მე ეჯობდი მუალი,  
თან ისარ გამომამყოლეს, შვილდის ისარი ფრთიანი.  
მკრებ დამკრეს, გულსა უწივეს, მუქლი მამეკრა მუალი,  
5 ერთსა ისეთს კლდეს გადმაგდო, ნამნი არ მივა ცისანი,  
შვიდი დღე ვიყავ დედაო, არ დამილახავ ქვიშანი.  
საკომლში ჩამონადგომი, შუქნი ვნახევე მზისანი.  
პური მამშივდა დედაო, ქვიშა წავძოვე კლდისანი.  
წყალი მომწყურდა დედაო, ნამნი წავსრუტი ცისანი.  
10 გზანიკა აუვაედებიან, ცხერისა და მეცხვარისანი.  
იმათ არ გამოვეცილე, თევზნი შამკამდნენ ზღვისანი.  
რა თევზედ გადავჩრომიყავ — ვეშაპი ზღვის პირისანი.

მთქმელი აფციაური ნინია. ს. დუმაცხო. ჩამწერი ე. ვირსალაძე.  
1934 წ., ვირსალ., გვ. 450.

## თ უ შ უ რ ი

### იყ

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო, შინათ კარს გამოუვალი.  
შვილდის წლის გამომიყენეს, ქალ-რძალი მოდგა მრავალი.  
შუაში ჩამომიყარეს მარგალიტისა სრავალი,  
კოკლი ვეგონე, უფეკო, აღარსად წამამავალი.  
5 ასეთს კი გადაუფრინდი, აღარსად ჰქონდა სავალი.  
ჭერ ბიჭი გამამიყენეს ახალ წვერ-შემომავალი.  
ვირბინე, ვერ მომეწი(ვა), — მუქლად მე ეჯობდი მავალი.  
მემრ ცხენი გამომიყენეს წინ-და-წინ დოღში მავალი.  
ვირბინ(ე), ვერ მომეწივა, გზა მქონდა სახვევიანი.  
10 გემრისას გამომამყოლეს თბე-წერილი შორად მავალი,  
ზურგთა მკრეს, ბეკთა მიწია, მუქლი მამიხენეს მავალი,  
წყალთა აგეთსა მივადექ, არსადა ჰქონდა სავალი.  
გზანიკამ დაილოცება ცხერისანი, მეცხვარისანი!  
წყალს იმათ გამომიყენეს კილნი დამისხნეს ხისანი.  
15 ხისანი, არცა ხისანი, ნედლისა კიკყოტისანი.  
აგეთსა მთასა მოვადექ, ყორან დაჰყუფდეს მთისანი.  
იმის ძირს ჩუჩილაობდნენ ქუჩნი არწიენი ცისანი.  
დედამ შვილს გადაუძრხა; „სულ მამდის კორციელისანი“.  
— „ტყვეია, დედავ, ბეჩაეი, შიმშილით შეწუხებული.“  
20 ცოტა ხანს შემოიციადოს, შუნის მივართმევ ციკანსა,  
გზასაც მე გადავასწავლი მას თავის ადგილისასა“.  
პატას ნუ ჩახვალ, მთვარეო, ნუ ჩამიბნელებ გზათაო!  
შინ აგევ ჩაუვიდოდე, ჩემ თვალ-ცრემლიან დათაო.

ჩამწერილი დ. როსტომაშვილის მიერ. მმბ, 1895, № 3. შან., გვ.  
488—489. აკ. შანიძის შენიშვნები: „ვ შუაში... (შუაში ჩამომიყენეს  
398

მარგალიტისა მრავალი Ro; 10 თბე-წერილი) ამას მოსდევს ახსნა: ისარი; 11 მუჭლი მამიხვენეს მავალი (მოსალოდნელია: ან მუჭლი მამი-  
დეს მავალი, ან კიდევ: მუჭლნი მამიხვენეს მავალნი; 16 ყორან დაჰყეფ-  
დის მთისანი) მოსალოდნელი იყო: ყორანნ დაჰყეფდეს მთისანი-ო.  
იქვე.

## ით

- მე რო ტყვედ დამიპირესო,  
პირდაპირ ჩამამიფინეს, მარგალიტისა სრავალი.  
მივე და ბევრი ვარჩივე, ჭიბეს ვიყარე მრავალი,  
მემრ გადმოფრინდი, ჩამოველ, საცა გზა ვნახე სავალი,  
5 გაიგეს, გამამიყენეს კაცი მუჭლ-გამამავალი.  
მამდივა, ვერ მამეწივა, — მუჭლად მე ვჯობდი მავალი.  
დადგა და შეილდი მესროლა, ისარ გზა-გამამავალი.  
გზანიმცა აყევადებიან ცხერისა და მემცხვარისანი!  
წყალზედა გამამიყვანეს, კიდნი გამიდეეს მსხლისანი.  
10 მათ რო არ გამოვეყვანე, თევზნი შემკამდეს ზღვისანი.  
ან ზღვისა თევზნი შემკამდეს, ან ვეშნი ზღვის პირისანი.  
მთქმელი შიო კობაიძე. ჩამწერი შალვა დოლაჟიძე. შან., გვ. 489.

## კ

- შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო, კარში მე გამოუვალი.  
ადგენ და გამომიყვანეს, ქალ-რძალი მედგა მრავალი.  
პირდაპირ ჩამომიფინეს თვალ-მარგალიტი (სრევალი),  
ვარჩივე, ბევრი ვარჩივე, ჭიბეს ჩავიწყე მრავალი,  
5 ავდექ და გადაუფრინდი, საითაც მქონდა სავალი,  
თან მოყმე გამომაყოლეს, ახალ წვერგამომავალი.  
მომყუა და ვერ დამეწია, მუხლად მე ვჯობდი მავალი,  
ისარი გამამაყოლა, ისარი ოთხზედ მავალი.  
ბექს დამკრა, გულსა უწვდინა. მუხლი მომწყვიტა სავალი.  
10 ისეთსა კლდესა გადვარდი. ნამნი არ ჩაულენ ცისანი,  
წყალი რო მომწყურდებოდა, ნამნი ავლოკენ კლდისანი,  
პური რო მომშიედებოდა, ქუშნი აუძოვნი მთისანი.  
გზანიცა აჰყევადებიან, ცხერისა და მეცხვარისანი,  
მათ რომ არ გამოვეყვანე, თევზნი შემკამდენ წყლისანი!

სნჯ., III, გვ. 207.

219. ბერაჰ ში მიზრიალელო

მთქმელი შ. წიკლაური. ს. ახმეტა. ჩამწერი თ. გოგოჭური. 26.  
VII—1961. ფ. არქ., კ., 30; გვ. 373.

მთქმელი სოფიო ოქორული. ჩაწერილი თუშეთში ლაზ. იმედაძის მიერ. კოტ., გვ. 195. ახ. გამოც., გვ. 214.

221. ზღაპრად დამრჩალა გერგაბო

მოს., გვ. 50.

222. მონადირე შერგალად

მთქმელი დავით დავითის-ძე მარგიანი. ს. ჩვაბიანი (მუყალში). ჩამწერი მ. ნიგურაიანი. 1936 წ., სვან., I, № 14, გვ. 52.

223. წოვათში გიგის ციხაო

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს. გვ. 48. ლექსი საგულისხმოა საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით. ამ ტექსტს საეცებით ემთხვევა ხელნაწერი — ლიტ. ბუზ., 20024—ხ, ყ—332. გვ. 185.

კ ა ხ უ რ ი

ბ

წოვათის სამო ციხეო, ლამაზად დგეხართ გორზეო.

შეიყრებიან ქისტები, გასალაშქრავად შენზეო.

გადმოდის ქისტის ლაშქარი, მზისა ამოსვლის ხანზეო,

ბელადი წყალში გადმოდის, უნდ მოგიტხარის ძირიო.

5 ხმლით გადავიდეთ ბიჭებო, ცდისა დაგვიდგა ხანიო.

სამი დღე-ღამე იომეს, თავ აყრევინეს მტერსაო.

სამი დღე-ღამეს ვაჯკატთა შუქ არ უნახავთ მზისაო.

თოფისა ჭანდი ჩამოწვა, წვერებ აღარ ჩანს მთისაო.

გაწყვიტეს ქისტის ლაშქარი, მოამბე დარჩა სამიო,

10 სამთავ დააქრეს მარჯვენებ. გაგზავნეს დაღესტანშიო.

წადით, უამბეთ დაღესტანს, დახვედრა წოვათისაო.

ამაგი მოაღუქსობელი წოვათას წოვის ქალიო.

ლადი არავის გეგონოთ, გულჭავრიანი ვარიო,

ქალსა გათხოვის დღიდანა სამ წელს არ რჩება ქმარიო.

მთქმელი ილიკო შავხელიშვილი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 1961 წ. ნოემბერი. ფ. არქ., კ. 24, გვ. 15.

მთქმელი ურევს ქისტებსა და ლეკებს. ხან ქისტებზე ლაპარაკობს, ხან კიდევ დაღესტნელებზე. თუმცა წოვათზე ქისტების თავდასხმაზედაც არის შექმნილი გავრცელებული ლექსი „წოვათას ციხეს აგებენ“.



- წოვათას გიგის ციხეო, ქეაც ნუ გდებია ქვაზედა:  
ქაჩუს გადმოდის ჭარები, ციხეე, შენს მუქარაზედა;  
თუშეთი შემოამტერია, თუშო, მოგლიან კაზედა!  
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი: წამალ ამიწყე ხანზედა:  
5 ტყვია თუ შემოგაკლდება, ღილი აიქერ ტანზედა;  
თუ ლეკებს წაგაყვანინო, წვერიმც ნუ მესხას ყბაზედა;  
ამიშურებენ სწორები, არც მიმიშვებენ ჭარზედა,  
არც მიტირებენ დედანი, მკედარი რომ ვეგლო გზაზედა...  
ციცხალი ციხეს არ მივეცემ, ცაც რომ დაშეკეცს თავზედა...  
10 რომ მომკლან, ჩემი სიათა მაღლა დაქიდონ ქაზედა;  
დაურთონ ტყვია-წამალი, რომა დაყარონ ტანზედა.  
ნადირზე ნუ ვინ იხმარენ, ნაჩვევი არის მტერზედა.

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 26, გვ. 58. საერთო სათაურით „გიგის ლაგაზის გმირობა“ დაბეჭდილია ეს და მომდევნო ვარიანტი. სტრიქ. 10 — დაბეჭდილია „ქვაზედა“, შევასწორეთ ქ ა ვ ზ ე დ ა.

დ

- წაროს თავს, გიგის ციხეო, ნაგები ხოხი ქვისაო,  
ქისტეთს იყრება ჭარები, ციხეე, შენს მუქარაზედა.  
გადმოდის წაროსა თავსა, გადმაშავეს მთანიო,  
პირდაპირ ჩამოგივალის ციხეე, შაგენ რა ტანიო,  
5 შამოგეხვიენენ ქისტები, ციხეო ლაგაზისაო  
შიგა ზის გიგის ლაგაზი, ყამიც არა აქვს მტრისაო.  
ოფს ესერის გიგის ლაგაზი, ქისტი მოგორავს კლდეზედა,  
ცოლს ეტყვის გიგის ლაგაზი: წამალ ამიწყე წაზედა,  
თუ ქისტებს წაგაყვანინო, ნულარ მიტირებთ მკედარზედა.  
10 ტყვია თუ შემოგაკლდება, მძიე ხომ ბეჯერ გასხავ ეულზედა!..  
მარტოკა გიგის ლაგაზი — ვეფხვი გვიმაგრებს ციხესა.  
გაკვირვებულან ქისტები ლაგაზის თოფის სროლასა:  
ტყვია რომ მოდის უწყალო, არც სცდება გულის პირასა.  
იღებდა მთელსა გომეწარს წაროსი თოფის ჩქამიო.  
15 ტყვია გაუთავდ ლაგაზსა, ცოლს აქრის ვერცხლის ღილსაო.  
გაიგეს ქისტის შვილებმა, ლაგაზს გაუთავდ ტყვიაო.  
ავიი შე, გიგის ციხეო, დღე გაჭითენეს შვიო!..  
მოიღეს შეშის სანგალი, გაგხვიეს ცეცხლის აღშიო.  
შიგად ატირდა ქალ-რძალი: ვაი, დაგვეცა ცანიო,  
20 ჩაიქცა ციხის ბანები, დაბრუნდა ცოდო-ბრალიო:  
სამოცდაშვიდი ჩაიწო თუშის ქალი და რძალიო!..  
დაღონდა გიგის ლაგაზი, დაბლა დ:სარა თავიო:  
რა ღიდი ცოდო ვიხილე ამ სიბერისა ხანზეო,  
ცეცხლში დაღევა ხალხისა, გაუგონარი მზეზეო.

- 25 ციხიდ გადმოფრინდ ლაგაზი, არწივმ გაშალა მხარნიო.  
ქისტებთ ვერ დაიმორჩილეს, მხარმა გაილო გზანიო.  
ბოლოში ხუცის ციხეო, ქვაი ნუ გედოს ქვაზედა!..  
შიგა ზის ქალი თმიანი. ცრემლი ჩამოზღის თვალებდა.  
ძმა მოჰკვდომია საბრალოს. მტრალი უზის გვერდზედა;
- 30 ვაიშე, ძმაო, რად წამიხველ. მარტოკა მყვანდი მზეზედა,  
წაროს თავს ჯარი ჩამოდგა, ვინ მიეგებოს გზაზედა...  
შინ არ არიან წოვანი, პელოს წასულან ომზედა,  
ქალ-რძალი შემოეთარა ამ ოხერ ჩვენსა ციხესა.  
შენი იპედი კიდევ აქესთ, მებრძოლიც იყავ მტერზედა;
- 35 მანდილი უნდა გადვიგდო, ქალმანა ვცადო თავიო.  
ძმის იარაღი აისხა, ქალი ეომა ქისტებსა,  
ციხე არ ჩაატეხინა, ღვთისგან რა ჰქონდა ძალია...  
წითლად შეღებეს ქვიშანი ქალის ნახოცმა ქისტებმა...  
მე მაგის მოლექსებელი გომეწრის ქალი ვარია,  
40 პირდაპირ სეირს ვუყურე, წაროს დახვიეს ალია..

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 27, გვ. 58—59. ეს ვარიანტი ორი ლექსის კონტამინაციის ნიმუში უნდა იყოს. 27 სტრიქონიდან „ბოლოში, ხუცის ციხეო“ სხვა ლექსი უნდა იყოს მიბმული. აღსანიშნავია, რომ ივ. ბუქურაულის მიერ თუშეთში ჩაწერილ ამ ლექსის ვარიანტებში ერთ შემთხვევაში გიგის ლაგაზი ლექების წინააღმდეგ იბძვის, მეორე შემთხვევაში-კი ქისტებისა. ამ ვარიანტის მიხედვით გიგის ლაგაზი ხანდაზმული ებრძვის მტერს.

#### 224. რამ აბაშენა წოვათავ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 75—76.

#### 225. დილას გოგოთუბო მხვადნა

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 95.

#### 226. ახალა

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 234, გვ. 108.

#### 227. ახიელ არწივ ბაზდოლა

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 235. გვ. 108.

#### 228. ხვესურაბ, არხოტივინებას

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 236, გვ. 108.

#### 229. ჩარგალელი გმირნი

ფშაური. მოყვანილია ვაჟა-ფშაველას წერილში „აფხუშობა“.

## ბ

ვინა თქვა, ენამც გახშვება, ჩარგალში ცუდნი ყმანია,  
აფხუშოთ ჰიქახევამდე სამოც ლეს მოვსვერ თავია!  
ჰიქახევაზე გამოჩნდა სისხლისა ნიაღვარია,  
წინ მაქვე ფარი და ქმალი, უკან — ლეკების თავია.

ჩაწერილი 1940 წ. შუაფხოში ლ. თვარელაშვილისაგან. ფშ.  
ხეცს., გვ. 85.

## 230. ბარხლაშენი

მთქმელი გოგოთურ ჰინჰარაული. ხეცსურეთი. ჩამწერი გიორგი  
წერეთელი. 16.VIII—1925 წ., შან., № 256, გვ. 115.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- არწინი ხალხელური მამით მოდიან ცდაზედა,  
გივიმ გამართა მაჟარი, გადაიკიდა მხარზედა.  
ნადირამ ხმალი ვალესა, შვიბა ლერწამ ტანზედა.  
ადგნენ და გამოემართნენ, შადგნენ სამტერო გზაზედა.
- 5 გადმოეშალნენ ლეკები, ძმას თოლი დარჩათ ძმაზედა.  
გივიმ დაცეცხლა მაჟარი, ლეკი დაყუდა თავზედა.  
ნადირამ ხმალი გაიძრო, ცოცხლებ დაკაფა ტანზედა.  
უთხროდეთ ხალხელურთა, შავი ჩაიცონ ტანზედა.
- 10 აღარ მოგიყათ ნადირა, აღარ ჩავივლით კარზედა,  
აღარც გივს გამაუშვებენ, იცნობენ ვაჟობაზედა.  
აღარც თოფს გამაატანენ, იცნობენ მაჟარობაზედა.

ძველი ვავაზა. ჩამწერი შ. საფაროვი. ხელნაწ. ინსტ., № 1992ა.  
სტრიქ. 2 და 6 იყო გ ი მ, შევასწორეთ გ ი ვ ი მ.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- დაპირდა ორი ვაჟაკი ერთი ჰეიტკირის კარზედა.  
გივიმ გამართა მაჟარი, გადაიკიდა მქარზედა;  
ნადირამ ქმალი ვალესა, შაირტყა მარცხენაზედა.  
წაივლეს საქალაქოდა, დადგეს ლეკების გზაზედა.
- 5 გივიმ უთხრა ამხანიგებსა: „ქელ გქონდეს ქმლის ხე-ტარზედა.  
გულ-ტყუად ნუ დეეთრევით, გულ ნუ გაქეთ გაქცევაზედა“.  
გადმეშალა ლეკები აიშის საუბარზედა.  
დეექცა ამხანიგები, ორნი-ლა დარჩენ ცდაზედა.  
წინ მოსულს გივიმ მიარტყა, მკედარ დაქუდა თავზედა.

10 მეორეს ნადირამ დაპყრა, გაუქდათ დასწრობაზედა.  
გივ კი აიქვე მოკლიან, ნადირა მოკლეს გზაზედა.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 489. ახლავს აკ. შა-  
ნიძის შენიშვნა: „ამ ვარიანტით ისე გამოდის, რომ გივი და ნადირა  
ორივე მოუყლავთ, მაშინ როდესაც ა ვარიანტით (იგულისხმება ძი-  
რითადი ტექსტი ქ. ს.) გივი დაუტყვევებიათ, ნადირა კი მოუყლავთ“.  
იქვე.

## თ უ შ უ რ ი

### დ

გივმა აიღო მაჟარი, გადაიკიდა მხარზედა.

ნადირამ ხმალი გალესა, შიბა ლერწამ ტანზედა.

საგარეჯოში წავიდნენ, ლეკების მუქარაზედა.

ვერანა გადაიარეს, ჩავიდნენ მღვრიე წყალზედა.

5 გივმ უთხრა ამხანაგებსა, თვალ ნუ გაქვთ გაქცევაზედა.

აეი რამ მეტყვის ლიშანი, მტერი რამ გვიზის გზაზედა.

წამაიშალნენ ლეკები, გივს თვალი დარჩა ძმაზედა.

გივმა დასხლიტა მაჟარი, ბელად დაჰყუდა თავზედა.

ნადირამ ხმალი მაიძრო, შვიდ ლეკს თავ მასკრა წამზედა,

10 გაქცეულს ლეკის შვილებსა მისდ-მაზღვედიან კვალზედა.

თუშეთი. ჩამწერი ვასილ ობგაიძე. ლიტ. მუზ., 8482—6. ყ—92,  
რვ. 123. რაკი ობგაიძეა ჩამწერი, ჩვენ ეს ვარიანტი თუშურად მივიჩ-  
ნით. ქ. ს.

### 231. ილტოზედ ჰარაუღვებსა

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 75—76. სტრიქ.  
7 — დაბეჭდილია ბოიგალა — შევასწორეთ — ბოიგარა: სტრიქ.  
32 — დაბეჭდილია აილო — შევასწორეთ აილონ.

### 232. ჯარბის მოსვლას ამოგობნ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუჭურაული. თაყ., I, გვ. 81—82. ჩამწერს  
ლექსისათვის შენიშვნის სახით დაურთავს გადმოცემა: „თუშების  
გარდმოცემით, დიდი უბედურება სწვევია თუშეთს. დალისტინის ჯარი  
შემოსევია და მიწასთან გაუსწორებია თუშების სოფლები და  
მისი ავლა-დიდება. ხალხი შეჩიზნულა ციხე-კოშკებში და სიმაგრეებ-  
ში. სამოცი ვაჟაკი თავიანთ დიაც-ყმაწვილებით შეჩიზნულან ქვა-  
თენთის ციხეში, რომელიც განთქმული ყოფილა იმ დროს მთელ თუ-  
შეთში თავის სიმაგრით. დროთა ვითარებით მოსულა თუშეთში რამ-  
დენიმე ხევსურიც და მომწყვდეულან ციხეში. ლეკებს ალყა შემო-  
ურტყამთ ციხისთვის, მიუციათ ნაღმი და აუღიათ. ციხის უფროსი,  
განა ქოთილაიძე, გამოსულა, სანამ ნაღმს მისცემდნენ ციხიდან ღია-

ცურად ჩაცმული (ქოსა ყოფილაო), მოუკლავს რამდენიმე ლეკი და გავარდნილა „გოგრულთის ჩრდილზე“. ქვათენთის ციხის ნანგრევები ეხლაც მოსჩანს“ (იქვე, გვ. 82). ლექსიცა და გადმოცემაც წარმოგვიდგენს იმ დიდ უბედურებას, რაც ლეკიანობის მომძლავრების შედეგი იყო. ეს ლექსიც ისეთივე ამბავზეა შექმნილი, რომელიც გადმოცემულია ლექსში „ქვანანას მეცხვარეებმა“, და თარიღდება 17 საუკუნით. ლექსი საინტერესოა აგრეთვე ხალხური პოეტიკის თვალსაზრისითაც. ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის — სხვათა ნათქვამის აღმნიშვნელი ამბობენ, რომელიც ტრაგიკული ამბის მომენტებს თავისებურად კრავს ხოლმე, აძლიერებს ლექსის ემოციურობას.

233. ახლითა თუშთ, ხანჯრით ლეკებმა

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 138. გვ. 55.

### ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

#### ბ

ერთ-ორს მეც ვიტყვი სიტყვასა. ქალა ომალის ძისაო.

გუებენ, არ დაიშალე, ქალამ გაქარბე კვიითაო:

-ცულაჲ. ნუ წახვალ სამზირსა, არცად ვინ დავხედას კმლითაო“,

არ დადგა, არ დაიშალა: „სხვათ არ ვაყინებ მზირთაო,

5 წინ გარას გავიძლოლებავ, სარდალი თუშებისაო“.

გოთლასძეს გარა გაუძლეა, მსწავლე არ უნდა გზისაო.

შაუკრეს სალექეთოი, სადაც რო ლეკებ დისაო.

წამავა ლეკი თორმეტი მძეველი თუშებისაო.

„ჩამოდით, წულაიანნო, აქ თუშებ დავხედუბისთაო!

10 ჩენი(თ) სიკვდილით ააქა რა თუშეთ წაქლებისაო?

ეჟა კიდევ ვინ დარჩების გაოს ამაძლე კმლითაო“...

კმლით თუშთა, ლეკთა ხანჯრითა. მკლავთ სისხლი გადაზდისაო!

შვიდ მაკლეს თუშთა ოროლთა, ხუთ მივა თორმეტისაო,

ვარ შაგაქენი(თ), თუშებო, საფერ ვერა ვთქვი ცდისაო.

15 გოთლასძე, გამამიტანე ყაწიმი შენის კმლისაო,

ფარაგზე არას დავიკრავ, მგლოვიარე ვარ ქმრისაო:

ამ ზამთარ ლეკემ მამიკლეს, ყორნებს გადამაქვ მწკლითაო.

მთქ. ლ. მინდიაური. ხახაბო. ჩამწერი ა. ჭინჭარაული. ჭინ.,

გვ. 368.

234. ბანა მოთილავ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუჭურაული. თაყ., I, გვ. 54. ლექსი საგულისხმოა საგმირო ლექსებისა და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ მასში კარ-

გად არის გადმოცემული სამგლოვიარო წესები: 1. პირისუფლის  
ჯდომა საბნელს (ბნელეთს). 2. ცხენის შეკაზმვა. 3. კუბოს მორთვა.

235. თუშთ ბიჰვატ დაუზარაბავ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 71.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

თუშ ბიკებს შემოუთვლიათ  
ლეკ ბიკებთანა ჭადინი:  
„თუ მოხვალთ, მალე გადმოდით,  
თუ არ — მოგვწყინდა ლოდინი.

5 კარზედ გვიდგანან ცხენები,  
დატყვირბეს ლაგამთ რვალები;  
ჩვენც თქვენსა მოლოდინშია  
ალარ მოგვწონან ხმალები!“

ჩაწერილი ქართლში. აქვს მელოდია. ქართ. სიმღ., I, გვ. 173.

236. ალაზნის ტავსა

მთქმელი თ. წიკლაური. სოფ. არხილოსკალო. ჩამწერი ი. ძამია-  
შვილი. 27.II—1962. ფ. არქ., კ. 111, გვ. 65.

მ ო ხ ე უ რ ი

ბ

არაგვის თავსა კლდეს შიგა  
სისხლის წყარონი დიანო.  
თუშნი და ლეკნი დიდონი  
ერთურთზე გარდადიანო.

ხევი. ს. გერგეტი. 1871 წ. უმიკ., № 121, გვ. 84.

237. კაბლიღბან მოღის კანონი

ს. ველისციხე. ჩამწერი სიდამონ-ერისთავი. უმიკ., № 114,  
გვ. 83.

238. ანთა წიჰაროშვილი

მთქმელი ხევსური ა. კინჭარაული. წითელწყაროს რ. ს. გამარ-  
კვება. ჩამწერი ალ. კინჭარაული. კინ., გვ. 366.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 115, გვ. 45.

240. ჩაპხაძენ ართანაშია

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 116, გვ. 45.

241. სკივიან თუზის შვილავი

თუმეთი, ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 73. ანახულია ლექთა თარეში. ლექსი იმითაც არის საგულისხმო, რომ აღნიშნულია ქალების როლი სატირული ლექსების შექმნაში. ვინც გმირობას არ გამოიჩენდა მშობლიური კუთხის დასაცავად. იგი ქალთა გაიკაცხვის საგანი იყო. ლექსის დასაწყის სტრიქონს უძღვის არქალოსა.

242. მთიულავის ომი ლაქავთან

მთქმელი ნ. კობაიძე. წინკობანი. ჩამწერი ავ. ცანავა. 1946 წ. ვირსალ., № 121, გვ. 155.

243. ჩილოს დალაშქრა ლაქავის მიერ

მთქმელი ლ. მინდიკაური. ხევსურეთი, ს. ხახაბო. ჩამწერი ალ. კინქარაული, კინ., გვ. 367.

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

ბ

ჩილოს ჩავიდა ლაშქარი, ჰეხა ჩილა ცისაო.

შინ არა ჩილოლები, ციხეზე ტიროდისაო.

გიორგი მთვრალიშვილი, მარტო ციხეჩი ზისაო.

5 თოფი დაუხედა მამული. ქალივით ტიროდისაო  
ეუბნებოდა დედაი: — შვილო. გაემაგრადო ქეთისაო.

გიორგის ცოლი ეტყოდა, ცუდავ. გაჰყვებ ქლითაო

თორო მე გამოვიდოდი, ქალ ლურჯის პერანგითაო.

გიორგი გამოდიოდა. თავის ფრანგულის კმლითაო.

გიორგის ციხის ძირითა. აჰოდის ჩქამი კქლისაო.

10 ნაქოცსა გიორგისასა, გიორგის ცოლი ჰქვისაო.

არა ყოფილა ცუდაი, სდებია გული ქვისაო.

ქალამ გიორგის დაღნატრა. — ნეტაეი გიორგისაო.

წაუვიდოდი ცოლად, წეს იყვას თავის დისაო.

საქმარეს არას ვწუნობდი. წოვით ჯერაის შვილსაო.

15 ამუღვა ბევრჯერ ლექებსა, ჰეროგოს ველს ჰირსაო.

ბევრჯერ ჩაყარა ძალები დაბლა საყვარნის ძირსაო.

ბევრჯერ ჩაქოცა ლექები, აწითა ფხაი კმლისაო.

ბევრჯერ შაილა აბგაი, საესეი ქელებითაო.

ბ

- გიორგი მთვრალიშვილი, თოფო. გიკეთებს პირსაო:  
თოფი დაუხედა მაშლილი, ქალებურ ტირის ხმითაო.  
დედა ეტყოდა გიორგის. — შვილო, დავმაგრდეთ ქვითაო,  
ტყვია თუ შამოგძვირდების, ფარაგს ავიკრი ლილსაო.
- 5 ცოლი შეუგმობს გიორგის: — ცუდავ, გამეე ხპლითაო!  
თუ არა, თაოდ გამოვალ. ქალ ლურჯის პერანგითაო.  
ვაფი გამოხტა ჩარდახით, გამეერია ხპლითაო,  
გამეერია ლაშქართა, მკედარს ჩალასავით ყრისაო...  
უკვირდა გორგის ცოლასა: „გული სდებია ქვისაო!“
- 10 ამაგ ქართულის მათქემი დაი ვარ გიორგისაო,  
ვატარებ ლილ-სამკაულსა გიორგის ციხის ძირსაო.  
ცოლად შენ წამოგივიდი. წესი თუ იყო დისაო.  
არც რას კი თაოდ ვსწუნობდი წამიკურაიშვილსაო.  
ბევრჯელ ჩახოცა ყველნი, გზა ჩაიწითა ხპლითაო.
- 15 ბევრჯერ ატირა დედანი კანთეს, ტერელის ხპითაო.  
სნჯ., III, გვ. 57.

244. ლაპის ლაშპარი კვსუართში

ხევესურეთი. ჩამწერი აპარეკა რკინული. შან., № 162, გვ. 63—  
64. ტექსტს ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „მომეპოვება ერასტი ბა-  
ლიაურის გადანაწერი პირიცი. — ავტორად დასახელებულია ქევე-  
სურიშვილი, რომელიც შეიძლება თიკუნიც იყოს, მაგრამ მგო-  
ნია, რომ იგი უბრალოდ ქვესურს უნდა აღნიშნავდეს. ალბათ მას  
მოსდევდა სხვა სტრიქონები, რომლებიც უფრო ზედ-მიწევნულობით  
განსაზღვრავდა ავტორის ვინაობას“. „სიმღერეს“ უსათუოდ აკლია.  
დაცემა მომხდარა საძელის მხრიდან, ასე რომ ეს „ლექები“ შეიძლება  
ლილვლებიც ან სხვები ყოფილიყვნენ“. შან., გვ. 426: აკ. შანიძეს  
აღნიშნული აქვს ისიც, რომ „ამ ლექსის მე-12 მუხლი არსებითად  
იგივეა, რაც № 155, 11“. იქვე. ეს გარემოება ჩვეულებრივი მოვლენაა  
ზეპირსიტყვიერებაში. გარდა ამისა, ჩვენის აზრით, „სიმღერე“  
ნაკლული არ უნდა იყოს. იგი შინაარსობლივად და კომპოზიციურად  
დასრულებულია.

245. არწივო, საით მოხვალ

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 73.

246. ღანიში გორქიკიშის ამაპვი

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 57. ღანიში ბორ-  
ძიკიძე, როგორც ჩანს, ლექების წინააღმდეგ მებრძოლი და ამავე  
დროს კარგი მონადირე ყოფილა.



თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 49.

## 242. აზაპანამის ლაშქარი

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 67, გვ. 89.

## 249. ანჯარ

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 70, გვ. 28.

## 250. ლეკების დაცემა ლულსა და სნოვა

მტკმელი ლულელი მინდია ქისტაური. თვალივი. ჩამწერი აკ. შანიძე. 10.VIII—1913 წ. შან., № 183, გვ. 76, დართული აქვს ჩამწერის განმარტებანი და შენიშვნა: „აქ ჩამოთვლილი პირები ყველა ლულელი ყოფილა, გარდა ჯაბანის პაპისა, რომელიც სნოველი იყოვო.“

აქ აღწერილია ჩაგვირილას ლაშქრობა, რომელსაც ეხება აგრეთვე ლექსი № 168“. შან., გვ. 446.

## ბ

ჩივილით ლულელთ შვილები სულეთი შამადიოდა:

„მქარ არ გვიქირეს კევსურთა, მარტოთა არ გადიოდა“.

ქორწილ აქვ ვეფხვიანისი, მაკეთე მუდიოდა

კონ ედგას ლულიო სავსენი, პერ ზედით გამუდიოდა.

5 ლულელთ შვილების ნაპოცი მკვდარ კლდეთა გარმოდიოდა,

ლულის ძირ წყალი დაწურა, ორ-წყალში აღარ დიოდა.

მშავლის შვილები კვირობენ: „ის წყალნ საისკალ დიანა?“

ჩაწერილი ხევსურეთში თ. რაზიკაშვილის მიერ. შან., გვ. 447.

## ბ

როშის გორ იჯდა ჩაგვირილი. კმა ჰეხით გაუდიოდა:

„სად ივენეს კევსურთ შვილები? მუქარა აქ მამდიოდა“.

ლულის კლდით ლულელთ შვილებსა სიმღერე გამუდიოდა,

ქორწილ აქვ ვეფხვიანისა, ნაწეე შინ შამუდიოდა.

5 კონ ედგეს ლულით სავსენი, სისხლ პერად მუდიოდა.

ლულის კლდით ლულელთ შვილებსა თოფის კმა გამუდიოდა.

ლულელთ შვილების ნაპოცი მკვდარი კლდეთა გარმოდიოდა.

წყალი ლულის ძირ დაწურა, ორ-წყალში აღარ დიოდა.

სულეთში ლულელთ შვილები ჩივილით შამდიოდა.

10 „კევსურთ მქარ აღარ გვიქირეს. მარტოთა არ გადიოდა“.

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან., გვ. 446—447. ერთ-ვის ჩამწერის შენიშვნა: „ლეკიანობა რო ყოფილა, მაშინ რომეკი და

ქმოსტი სამჯერ დაუღევავის. ბოლოს რო როშკას დასცემია ჩაგვირილაის ლაშქარი და სრუ მთელ წაუსხამ ტყვეებ, აღარავინ დამჩალას. ბოლოს ერთ დიაცი ლეკეთით ტყვე გამოპარულას. ის დიაცი უღონო უმრეცხო ქნილას. ამ დიაცს ვაჟი გაუჩენია. როშკა ეხლა იმაზედ არი გათესლებული. როშკას აღარავინ არი და გაუწირავის. გირაულთას მოუსწვრავის ხიზნისად, სხვა ყველა დაუქერავის, ერთ ქალ წყალში გახფრინდომიას. წყალს დაუღევავის. ერთ კაც სტანეზიას, ერთ ქელი მოქრილი ხქონიას. იმ დროს მოუსწვრავის, წყალში შასულან, წყალს უნდა გავიდენ. იმ კაცს კმლისად კელ მოუვლავის, მოუქნევავის, უწყვეტავის ლეკისად. მეორეს ლეკს თოფი დაუქრავის იმ კაცისად. ის კაციც წყალს წაუღავის, სხვა ხიზან წამაუსხამის, როშკის გორ შაუქდენიან. სულხანი-დ' ბათაჟ ყვანიან მეუფროსენი. იმათთან მიუსხმინ ის ტყვეები. მემრ ლულს დასცემიან“. შან., გვ. 447.

## ღ

ლულის კლდით ლულელთ შვილებსა სიმღერე გამუღიოდა:  
 „ქორწილ გოქე ვეფხვიასა“, სისხლ პერად მოუღიოდა.  
 კოდნ უღგან ლუდით სავსენი, უწევ სტუმარი მოუღიოდა.  
 ქირიმი ვეფხვიასა ზედიზე გამოღიოდა.

- 5 შუ-შუ ლეკი. შუ-შუ ლულელი. სიმაგრეთ გარმოღიოდა.  
 ლულის ძირ წყალი დაწურეს, ორ-წყალში აღარ დიოდა

ჩამწერი აპარეკა რკინული. შან., გვ. 446. აკ. შანიძისათვის მისი ჩანაწერები, სულ ორი რვეული; გადაუცია ე. ბალიაურს. ერთი რვეულის ბოლოს მიწერილი ყოფილა „ხელს ვაწერ მე აპარეკა რკინული“. აკ. შანიძე აღნიშნავს: „რკინული“ ალბათ ფსევდონიმი, ნამდვილი გვარი არაბული უნდა იყოს“. შან., გვ. 681.

## ღ

ლულის თავ ცხენნი მავიდეს, აღამს გაქონდა ბრიალი,  
 ნეტავი, ლულელთ შვილებო, დღე გაგიოთენდათ მზიანი!  
 წამახვალთ სიმაგრეთაჟე. ვითამ ჩიქენი ხართ რქიანნი.  
 თათარისა თათარა ვეფხვი ას ქიბოშიანი.

- 5 ლულის კლდით ლულელთ შვილებსა სიმღერე გამუღისაო.  
 ქორწილ აქე ვეფხვიასა, უწევ შინ გადუღისაო.  
 კოდნ უღგან, ლუდით ას სავსენი, სისხლ პერად გადუღისაო.  
 იღუაისა ქირიმი ნელ-ნელა გაპადისაო.  
 „ვეფხვიასამც იქნები“, ვეფხვიას ყურთ მისდისაო.
- 10 ლულის ძირ წყალი დაწურა, ორ-წყალშიგ აღარ დისაო.  
 ჩივილით ლულელთ შვილები სულეთშიგ შამადისაო:  
 „შქარ არ გვიქირეს ქვესურებმ. ჩვენგნივაც არ გადისაო“.

ჩამწერი აბიკა. შან., გვ. 446. მისი ჩანაწერები ერთი პატარა რვეული გარეკანზე მინაწერით „ხელს ვაწერ აბიკა“. ე. ბალიაურს გადაუცია აკ. შანიძისათვის. ჩამწერის შესახებ აკ. შანიძე შენიშნავს: „თუ ეს აბიკა წიკლაურია, როგორ მოხდა, რომ არც ერთი საკუთარი ლექსი არ მოაქცია შიგ“. შან., 673.

### 3

ლულის კლდით ლულელთ ვაეებსა  
დილილა გაჰოდიოდა.

ქორწილ აქე ვეფხვიასა,  
უწეე შინ შეუდიოდა.

5 მქარ არ უჭირეს ქვესურთა.

მარტოთგან არ გადიოდა...

ლულელთ ვაეების ნაქოცი

მკედარი კლდეთ გადმადიოდა.

მთქმელი ხევსური მ. გოგოჭური. ს. ახბანი (თიანეთის რ.). ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ახლავს მთქმელის შენიშვნა: „ლულს ლეკის ლაშქარ დასცემივ. ლულელნი სიმაგრეში — ლულის კლდეში შამდგარან, იქით უქოცავ ლეკის ჯარი“. სათაურად აქვს: „ლულელთ ვაეები“. ფ. არქ., კ. 27, გვ. 69.

### ზ

ლულის კლდეს ლულელთ შვილებსა  
სიმღერა ვამოდიოდა.

ქორწილ აქე კრელაიშვილთა,

უწეე სტუმარ შეუდიოდა,

5 ნახოცი ლეკის შვილები

მკედარივ კლდეს გადმოდიოდა.

მთქმელი ხევსური ლ. გოგოჭური. თეთრიწყლები. ჩამწერი შ. კონსტანტიდი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 15, გვ. 233.

### ც

შავი წამოვა ღრუბელი, ლულის თავს წაქოდეგებისა.

ლულჩივ იქცევის ციხეი, ქვა ქვაზე აღარ დგებისა.

წუხად თქვეს კრელაიშვილი. აფშინა აღარ რჩებისა.

მოკედეს თუ მოკედას აფშინა, იღუა იქვე რჩებისა.

5 მარტო რას იზავს იღუა, ვეფხე თუ ტობ მოუკედებისა.

სულეთში ლულელთ შვილების ჩივილი შამოდიოდა.

მხარ არ გეიჭირეს ხევსურთა. მარტოთა არ გაკედოდა.

მკედარ ლულელთ შვილებთ ნახოცი ა იმ კლდეთ გადმოდიოდა.

ლულის ძირ წყალი დაწურა, ორწყალში აღარ დიოდა.

10 ამბობდა ფშავლის შვილები: — გუშინაჲ ქვე მოდიოდა.

მთქმელი ახალა მინდიას ძე ქისტაური. დ. სიონი, თიანეთის რ., ჩამწერი არჩ. შიშქანაშვილი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 25, გვ. 75.

#### 251. ჩაზვრილა

მთქმელი ბაბუკა არაბული. ჯუთა. ჩამწერი აკ. შანიძე, 3.VIII—1915 წ., შან., № 168, გვ. 68. თუ ლექსში მოხსენებული მარტია მისურაული, იგივეა, რომელიც ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ იბრძოდა, მაშინ ლექსის დათარიღება XVII საუკუნით შეიძლება და იგი საისტორიოდ ჩაითვლება.

#### 252. ბიჭური

მთქმელი მიტო უჯირაული, ზენოაღვანი, ჩამწერი ვ. ბუაღიაშვილი. 26.II—1930. ფ. არქ., № 3007.

#### 253. ვაჟია მარურიშვილი

ჩამწერილია 1945 წ. სოფ. გოგოლაურთას შეთე ხოხონაშვილისაგან. ფშ., ხევს., გვ. 84.

### ფ შ ა უ რ ი

#### ბ

ბირმანა მადურიშვილი გახედავს დიღის ცისკარსა,  
ცისკარო, მალე ამოდი, მთვარე გვიანობს დიდ ხანსა.  
შურის საძებრად მივალის, გზას ირჩევს დაღესტნისასა,  
თუშეთზე ჩამოიარა, ხმას იგდებს საირმისასა.

- 5 გარდითა ჰკითხავს თუშებსა ამბავსა ლეკებისასა:  
არ დაღისა თუშებო ლეკები თქვენის მთისასა,  
თოფ დაჰკრა ძმისა მომკლავსა, წყალს მისცა დაღესტნისასა.  
ჭოგის დაგეშის მგელსა გავს ვაწროვანის ტყისასა.  
ვეფხვსა გავს პწკალ სისხლიანსა სპეროზიანის კლდისასა.

ჩამწერილი სოფ. ხომში, ა. უკონურაშვილის მიერ. ლიტ. მუშ. 20053—ბ, ყ—338, გვ. 64.

#### ბ

ელიან გაბიღოური დაბძანებასა შვისასა.  
მეკოპარს წვერჩევიან, გზას შაჰკრვენ საყორნისასა;  
ქელ-მუქლზედ ჩამოსხდებიან, გახედვენ თოფის ლიშანსა.  
— დაგარესა, თოლექსაო. სისხლსა სთხევ ცხვირპირისასა!..

მთქმელი შუშანა ხარანაული. ფშავი. ჩამწერი ი. ბოძაშვილი. 1897 წ. ივ. № 189, 1899 — ხელნაწ. ინსტ. I—1968. ახლავს განმარ-

ტებანი: სტრიქ. 1 გაბილოურნი თემია; სტრიქ. 2 მეკოპარი — წინა ქარი, რჩეული; სტრიქ. 4 — თოელექა — ქისტის სახელია.

## დ

- სასწორსამე ჩამოკიდებდენ ასაწონელსა ძილთასა.  
ცოტასამე მუმატებდენ დალონებულსა კირთასა...  
ვაეიკა მაჩურიშვილი ახხედავს დილის ცისკარსა.  
შენ მაინც მოდი, ცისკარო, მთვარე გვიანობს დიდხანსა!..
- 5 შამადგომისა ლამეო, მალე გათენდი, რეთის მადლსა,  
აწყვეთ დააყრის წამალსა, თოფსა გაძაბრთავს ყინჩაღა.  
მათურას შამაიარა, წყალთ თავის ბორბლის მთისასა;  
თუშეთზე ჩავლილს აბობენ, ნამს მიპბერტეს ბალახისასა,  
ჩაველის გამეწარშია იმედსა ძმობილისასა.
- 10 ძმობილ დაუცხოებს საგძალთა, ეტყოდა ერთის თვისასა;  
მაგთვენ არ გინდა, ძმობილო, მაგთვენს არ დავლევთ დიდხანსა,  
მალედავ მოგაკლევინებ მომკლავსა თავის ძმისასა.  
ძმობილთ დაქმართეს თოფები, ერთმანეთს უღგვენ ლიშანსა.  
საყორნეს გამაახედავენ, სანგალს იქ ჩავდგამთ ქვისასა.
- 15 ეხლა მოდიან ლეკები, მოაჩქამებენ ქვიშასა,  
სითას გადაეხვიან: „გულს ნუ მაიცინებ მტრისასა“.  
თოფს ცეცხლში აახვეინებს მამკლავსა თავის ძმისასა,  
ზედ გადაავდო კლდეზედა, წყალს მისცა დალესტისასა.  
ქელს კი ნუ მომჭრი, ვაეიკავ, მომკლავსა თავის მშისასა,  
20 ან ქუჩათ დააბანდიინებს, ან იმსახურებს წყლისადა!..

ხელნაწ. ინსტ., H—1968.

### 254. ბარხუდაშვილი გობია

მთქმელი ვ. ველიჩანაშვილი. ჭავახეთი, სოფ. ხიზაბავრა. კოტ., გვ. 211, ახ. გამოც., 231. ლექსში მოხსენებული კოხტა ბელადი არ უნდა იყოს ასპინძის ომის მონაწილე, რადგანაც ხალხური პოეზიის მიხედვით იგი თითქოს ერეკლეს ხელით განიგმირა.

### 255. შაბილ მოვიდის ლაშქარი

ჩაწერილი ხევსურეთში. აქვს მელოდია. ქართ. სიმღ., I, გვ. 14.

### 256. ბერიძე მვადლურიშვილი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 188, გვ. 79. შეიძლება ეს იგივე ბერიძე იყოს, რომლის შესახებ ლექს-სიმღერები თათართა აგრესიის ამსახველ ლექსთა ციკლშია წარმოდგენილი.

### 257. ამოვა ჩაპილისშვილი

მთქმელი ბაბალე მინდოლაური. ფშავი, 1886 წ., უმიკ., № 36, გვ. 43. არტანელი ბაბალე მინდოლაური ნიჭიერი მოლექსე ქალი იყო.

მისი ლექსები გამოქვეყნებული აქვს დავით ხიზანაშვილსაც. ფშ. ლექს., გვ. 259—261. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 3 — ილტო — მთა ფშავში. იქვე — ამოსეესა — ამოსულს. სტრიქ. 14 — დააბობინა — დააბრიალა.

## ბ

- ბერიძე ჩეკელისშვილი ქორ-შევარდენი ჩქარია,  
შამუა ქაროლაზედა, მაყას შამაქქონ რქანია,  
შამამავალსა ბერიძეს ლეკებ მაასწრეს თვალთა.  
შაუკრეს გზის ძირ, გზის თავი, არ დაანებეს გზანია,
- 5 ეუბნებოდა ბელადი, ლეკების წინამძღვარია,  
თავ დავანებოთ მაგასა, საჩვენო არა არია,  
შუბლი უგავის სინასა, ეტუობა გულ-არჯალია,  
არ დაიჭერეს ლეკებმა, არა აქვს სამართალია,  
გაღმევეალეს ვაშკაცსა, ვერ შეუცვალეს ფერია,
- 10 ხელზეთ შამაუქაღლა, ლეკო, დაგეძრას ტანია.  
მეორეც ჩქარა მისწვრა, ლეკო, მოგტეხა მხარია,  
შორ-შორა გამოუფრინდა, ამამღერა ხმალია,  
თორმეტნ ისენი დავხოცენ, თვითონაც დავწევ ხარია.

მთქმელი ფშაველი გიორგი ხარებას-ძე ბეროშვილი, 73 წლის-  
შერქმეული სახელით „ქრელა“. ლეჩური. ჩამწერი დ. წერედიანი,  
13.V—1961. ფ. არქ., კ—27.

## 258. სპიომონი

მთქმელი ქვემო-ხანდაკელი გიგლო კაკალაშვილი. თბილისი. ჩამ-  
წერი ია კარგარეთელი. თაყ., I, № 6, გვ. 410. ტექსტს ახლავს შენიშ-  
ვნა: სტრიქ. 25. ა რ ი ქ ა — ვ ა რ ი ა ნ ტ ი თ — დ ა ხ ე დ ე თ .

## 259. გიორგის უსანდლობარი

მთქმელი ფ. წიკლაური. უკანა ფშავი. 1929 წ. ფშ. ხევის., გვ. 86.

## 260. არშის ციხეს

მონ., გვ. 111. ასახულია მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძო-  
ლა. ლექსის დასასრულის მიხედვით მისი ავტორია მეცხვარე ნადირა.  
არშის ციხეზე არსებობს თქმულება, რომელსაც წამძღვარებული  
აქვს ლექსი:

ყმაწვილო, არშის ციხესა  
არ შენისთანა ყმა უნდა;  
ჩავეს ჩამტანი აბჯართა,  
ამომტანელი სხვა უნდა.

ჩამწერი ა. ლუღუშაური. ივ., № 209, 1888 წ.; ხალხური სიპრ-  
ძნე. III, 1964, გვ. 236.

261. გულადნო ომალოელნი

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 71. გვ. 93. ლექ-  
სში ასახულია ლექების თავდასხმა ომალოზე. ლექსს სამგლოვიარო  
ხასიათი აქვს.

262. ვრალას სისხლი იძიეს

მთქმელი ბადია ბალიაური. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი.  
ივ., № 80. 1888. შან., № 199, გვ. 82. ახლავს ჩამწერის განმარტე-  
ბა: სტრიქ. 18 შუ უდის სისხლის წყალიო — „დიდის ხნის მტრო-  
ბა აქეთო“. შან., გვ. 456.

263. ლეკები და თუშები

ხევსურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 244, გვ. 110.

264. ბელაჰანი წავახდინო

კახეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 10, გვ. 375.  
ლექსს წაბმული აქვს სახოტბო და ერთგვარი სატრფიალო ხასიათის  
სტრიქონები:

ტანად დაბალო, ლამაზო,  
მანათებელო ცაშია,  
მახედულობა კარგი გაქვს,  
თუ უნარი გაქვს მკლავშია.

265. კახეთში ყივის გუგული

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 54.

ლექსი თუშ გმირზეა ნათქვამი. იგი ლექების წინააღმდეგ მებ-  
რძოლი ყოფილა. ლექსის სტრიქონები ნათქვამია აგრეთვე ფშაველ  
გმირ ლაქაურაზე, რომელიც ფშაური გადმოცემით თათრების წინა-  
აღმდეგ მებრძოლი ყოფილა და რომლის სახელსაც მოკრძალებით  
იხსენიებდნენ რიტუალში, აფხუშოობას (იხ. ვაჟა-ფშაველა, ტ. V,  
გვ. 32—33).

ახლა ძნელია დადგენა იმისა, ლექსი პირველად ფშაველ გმირ-  
ზე გამოითქვა თუ თუშზე, მაგრამ ფშაველიც და თუშეთშიც ლექსი  
გავრცელებული ყოფილა. ამგვარი კონტრამინაცია — ციკლიზაცია  
კანონზომიერი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. ლექსი საგულის-

ნმოა აგრეთვე საგმირო და სამგლოვიარო პოეზიის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისითაც.

## № 2

- კახეთს ყიოდეს გუგული, ყივილს გასქედბის აღარა.  
ავად არს კოჭაურთ შველა, მოკვდებ, დარჩების აღარა;  
დედის ჩაყარალო საგზალო, ველად გაგიღებ ველარა,  
ცოლის ნაქსოვო ჩითებო, ფეხზე ჩაგიცვამ ველარა,  
5 შილდის თავ გრილო წყაროო, თავთან დაგიჭდებ ველარა.  
ამდინ-ჩამდინარ ლეკებო, ვზას დაგიხობაეთ ველარა.  
მიწის მითხრიან კუბოსა, ბორტ ბალიშად დადებულსა,  
უთხრიდით მამის ძმის ცოლსა, სახელ ჩენი სჯობს სხვისასა,  
10 იჭდეს, ზარდოსა ობოლი, ძე არის სამის ძმისასა.

ჩამწერი პ. ოზგაიძე. კოტ., გვ. 185, ახ. გამოც., გვ. 203.

## 256. ნასკვაურძე

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 99, გვ. 38.  
თუ ამ ლექსის ფშაურ (ბ) და თუშურ (ზ) ვარიანტებში მოხსენებულ  
ლი გაფრინდაული ბანტრიოინის გმირია, მაშინ ნასკვაურძისძეს XVII  
საუკუნეში უცხოვრია.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- ცხენს ჰქმანზავს ნასკვაურიძე, რომკას გაზდილსა, სალარსა.  
ამბობს თუშთ შეყრილ ლაშქარი: იქ აგებ გავერიგნეთა.  
აქებენ გაფრინდაულსა, ეგებ ვაჯობოთ იმასა.  
ცხენო, ფექს მთარახუნებ, როგორც ბერიკა დაფასა.  
5 ცხენო, გეტყობა, გეშინის, ბექს ველარ ხტები მალალსა.  
ბოსლის კარს ყანას აქებენ, დაეგდებინებ ნალარსა.  
გათენებინას იძახეს: „ნასკვაურიძე სად არსა?“  
— ომშია ნასკვაურიძე, ჭერ გამოსვლის ხან გძლად არსა.  
ლექსა ჭოცს, კელსა არა სჭრის, — ქევსურის წესად არ არსა.  
10 — კელ მოსკერ, ნასკვაურძისძე, უქელოდ სახელ არ არსა.

ფშავი. ჩამწერი გელოვანი. შან., გვ. 399.

### ბ

ჩავლის, ჩაეუბნების ლაქიანაი სალარსა:  
„ცხენო, გეტყობა, ჰშინდები, გულს მე ჩაგიღებ მაგარსა.  
რა ფექებს მთარახუნებ, როგორც ბებერი არგანსა?  
თავი თუ გემზუბუქება, მძიმეს დაგიღებ ლაგამსა,



- 5 გადგიყვან საქარავნოსა, შუქი გადმოგყვეს მთვარისა,  
ჩაგვიღებ გორ-გურიანსა, ბექს არ გააფრინდღ მალალსა,  
გათენებისას დაგაბამ მიქეშლოს ქოჩის ბაგასა,  
კიდურს აქებენ ქერებსა, დაგადებინებ ნალარსა,  
შენც იქ გაგვიღებ, ლურჯაო თავსაც იქ დავღებ ქალარსა“.

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 399—400.

## ღ

ჩავალის, ჩაუბნება ტუნკით ივანე სალარსა:  
„ლურჯავ, გეშინის, გეტყობა, გულს მე ჩაგიღებ მაგარსა.  
მითხოს აქებენ ქერებსა, ჩაგატანიებ ნალარსა,  
შენაც იქ მოგკლავ, ლურჯაო, თავსაც ზედ დავღებ ქალარსა“.

ფშავი. ჩამწერი ვ. ტუქისიშვილი. შან., გვ. 400. ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა:

„მეორე ფშაური ვარიანტი ტუქისიშვილისა ამასთან შედარებით ასეთ განსხვავებას გვიჩვენებს: 2 ლურჯავ ცხენო; 3 მითხოს აქებენ ყანებსა. მითხოს ყანებზე ჩაგავლევ; შენაც იქ მოგკლავ, ლურჯაო, თავსაც ზედ გაგაის კარძე დაგაბამ, თავსაც იქ...“. იქვე.

## ქ

ჩავალის, ჩაუბნება ტუნკით ივანე სალარსა:  
„ცხენო, გეტყობის, გეშინის, გულს მე ჩაგიღებ მაგარსა,  
ჩაგავლევ თერეთეგორსო, ჩაგატანიებ ნალარსა,  
შენაც იქ მაგკლავ, ტიალო, თავსაც იქ დავღებ ქალარსა“.

ფშავი. ჩამწერი მაყვალა მრეველიშვილი. შან., გვ. 400.

## ჭ

- ჩავალის, ჩაუბნება ტუნკით ივანე სალარსა:  
„გეტყობა, ცხენო, გეშინის, გულს მე ჩაგიღებ მაგარსა.  
ჩაგავლევ თერეთეგოსა, ჩაგათეღვინებ ნალარსა.  
თუ ვერ ჩასწონე, მაშინა ამოგკრავ მაგარ-მაგარსა,  
5 შენაც იქ მოგკლავ, იცოდე, თავსაც ჩემს იქ დავღებ ქალარსა“.

ფშავი. ჩამწერი შ. ბეწუკლიშვილი. შან., გვ. 400. ჩაუწერია გ. ლეონიძის დავალებით. აკ. შანიძისათვის გადაუცია გ. ლეონიძეს შან., გვ. 674.

## თ უ შ უ რ ი

### ყ

ცხენს ხკაზმებს ნასკვაურიზე, რომკათ გაზდილსა, სალარსა  
უქებენ ბოსლის კარ ყანას, დავაგდებინებ ნალარსა.

სავათენებლოდ იძახეს: ნასკეაურიზე სად არსო?”

— „ნასკეაურიზე ოშშია, ჭერ გამოსვლაი გრძლად არსო,

5 ლეკსა კოცს, კელსა არა სკრის, ქევსურეთ წესად არ არსო.

— ქელ მოსკერ, ნასკეაურიზე: — უქელოდ სახელ არ არსო.

ცხენო, გეტუობად, გეშინის: ბექს ველარ ხფრინხე მალალსა.

რას ფეკთა მაარახუნებ, როგორც ბერი-კაც არგანთა?

გაფრინდაულის ნიკორმა არშის მთა გადაიარა,

10 არშას ჩაეიდა ციხის კარ, კუნელმან აიარო.

უშინჯვენ ძუა-ფაფაროს: „ეს აქ რამ მაიყვანაო?“

— რად გიკვიროთ, არშაელებო? გზა ეხლა შეისწავლაო.

ხუნჯირს უძ ორის მარჯვენა, სატირლად მიიტანაო.

მთქმელი საბედო როსტომ კეციოიძის ასული სისვაურისა. (და-  
დიკურთიდან) ს. ომალო. ჩამწერი აკ. შანიძე. 7.IX, 1913 წ. შან.,  
გვ. 399.

### 267. ლეკების ღაცემა კისტანო

მთქმელი ალუდა ზვიადაური. ჩამწერი ნ. ურბნელი. ივ., № 264,  
1887 წ.; შან., № 155, გვ. 62. ხელნაწერი დაცულია ხელნაწ. ინსტ.,  
S—5298, გვ. 38.

### ბ

კისტან მოვიდა ლაშქარი, ქისტისი აქეაისაო,  
აბულეთურთ ციხესა კარი არ შახსნათ ხისაო!  
მწუხარეი ას ხოლიგა, ურჩოდ ნაქრევებ სკირსაო.  
გაიგეს ქევსურთ შვილებმა, დათვის ჭვარ გადადისაო.

5 აუგით სიხოს გაზდილსა ეკალდამი რვლისაო,  
უთურგი შამააწვინეთ, ანგელოზია ხთისაო,  
ოქროს ჩაუდგით საკვამი, შუქ რო ჩაადგეს მზისაო.

გვერდს ლეკი შამოუწვინეთ მკოცელი ოროლისაო.

ლეკო, ოროლის მკოცელო, დედა გაგიწყრა ხთისაო!

10 მგელიათ ბულომ მოგაბა წვერ თეთრი სიათისაო,  
ურჯუკამ ქავთარიშვილმა შაშარ ჩამოგკრა კმლისაო,  
დოლაბთა გაიდაური მანძილა დასცეს ტყისაო.

მაგას არ დაშჩა პატრონი, მძებნელ რო იყვას მკვდრისაო.

მთქმელი მინდია ქისტაური. თვალივი, ჩამწერი აკ. შანიძე,  
11.VIII—1913 წ. შან., გვ. 424.

### 268. ნაკულა გამაროშვილი

ხევსურეთი. ჩამწერი ბერდია ყულაკისძე გამღივარაული. 1876  
წ. უმიკ., № 27, გვ. 39.

ნაკუდა, გაჰარის ძეო, კახეთს რა გქონდა საეალო, ვერცხლი შინ გქონდა, ოქროი, ცხვარი მთას გედგა მრავალი, შინ გეჭდა გოიის ქალი, მზე ზღვაზე ამოშავალი.

- 5 მოგტაცეს ტყის თავის ცერი, ვიწრო გაქეს ამოსავალი.  
სახმლთაც ვერას გაგბედვენ, თოფებს უმატონ წაშალი.  
ნაკუდაე, შენსა მომკლავსა, ლეკებთ აძლიონ სალამი.

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 58.

269. ნაპულა ბამაროზა

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 98, გვ. 37.

270. ვერ მაშინებან ლეაბი

მთქმელი თისო ბალადაძე. თუშეთი, დიკლო. ჩამწერი დ. იმედაძე, 1932 წ., კოტ., გვ. 124. ახ. გამოც., გვ. 140.

271. შურთაზის ლაშქრობა თუშეთში

მთქმელი გამახარე ხორნაული. ფშავი, ს. კაწალხევი. 1923 წ. ფშ. ხევს., გვ. 83.

272. ხორნაულთ ახალგაზღვები

მთქმელი ტუჩა ქეთელაური. ს. ბისო — 1930 წ. ფშ. ხევს., გვ. 83. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 4 — ზეე — საკარგუმო — პატივისცემა თემის სახელის მომხვეჭისადმი; სტრიქ. 13 — გარჩევია — ამოსვლია.

275. გიორგი ავთიაშვილი

მთქმელი ბესო საძაგლიშვილი. ქართლი, სოფ. საწისურო. ჩამწერი იოსებ ამირაჯიბი. 1870 წ., უმიკ., № 72, გვ. 65.

ი მ ე რ უ ლ ი

გიორგი აფთიაშვილო, შევარდენი ხარ მთისაო, კარგა მხენელი და მთესველი, მსახური ერისთვისაო ოჯახი კარგი გიდგია, კოშკი გიდგია ხისაო.

- 5 ახელა შიდა, დეიძინებ, არ გეშინია მტრისაო.  
ტყვი-წაშალი ბევრი გაქ, თოფები ხეარუნისაო.  
არ მოგრაჩა ტყეში ნადირი, არც ორაგული წყლისაო.  
დეეხსნათ და ჭარს წვეიდეო, ბრძანება არი ხეთისაო.

- გამოგვინიშნეს, მოგვიკლეს, გიორგი ალვის ხისაო.  
 გიორგი მარჯვეთ იყავი, ნუ დევქარგვი შეილსაო.  
 10 ღმერთი მოგცემს ბარაქსა, ქამანჩასა და შტვირსაო;  
 გინდა დოვუქრავ ქამანჩას, გინდა — პატარა შტვირსაო,  
 მიღლემჩი ნურა სტყივარა თქვენი დედ-მამის შეილსაო!

იმერეთი, ს. წევა. ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. თაყ., I, გვ. 5.

274. ამ ძალსა მელესიშვილსა

ფშავი, კაწალხევი. ჩამწერი ვ. ხორნაული. კოტ., გვ. 123, ახ. გა-  
 მოც., გვ. 139.

კ ა ხ უ რ ი

ბ

- ამ ძალსა მელესიშვილსა, უქებენ ხელსა, ფეხსაო:  
 შემკობილობა უხდება, თოფ-იარაღი წელსაო.  
 კისერი ბუღას მიუგავს თვალეზი უგავ წყერსაო.  
 დაღესტანი დაიბარა, წინ მოუძლოდა ლეკსაო.  
 5 ყვარელში ჩამეხსია ფერიცვალობა დღესაო:  
 ყვარელი დაწო, დადაგა, მკვდრებს ვერ უქცევენ ფეხსაო.  
 ქალი და რძალი არჩივა, გადაუყენა მთებსაო;  
 სულ ფეხშიშველა წაასხა, ქოშიც არ ეკრათ ფეხსაო.  
 ერთ სასახლეში შარეკა შეიდ ღამესა და დღესაო...  
 10 ე ძალი მელესიშვილი სიტყვას ამბობდა ძნელსაო:  
 საბელადოში ავიყვან, შიგ ამოვარჩევ ერთსაო.  
 შავიდა, გამოარჩია, ღამეს ანათებს ბნელსაო.

ჩამწერილი კახეთში. ივ., № 275, 1889 წ.

ბ

- ამ ძალსა მელესიშვილსა უქებენ ხელსა, ფეხსაო:  
 ისე ხმარობდა ხელ-ფეხსა, ვით შავარდენი მხრებსაო.  
 ყვარელში ქალსა ენუკრის წმინდა გიორგის ყმასაო.  
 ისე წაიყვან იმ ქალსა, წვერსაც არ მოვტებს ხმალსაო.  
 5 ყვარელში ჭარი შავიდა ფერიცვალობის დღესაო,  
 ქალი და რძალი წაასხა, გადაუყენა მთებსაო;  
 სამი დღე-ღამე ატარა, ქოში არა ჰკრან ფეხსაო;  
 ერთ სასახლეში შარეკა შეიდ დღესა და ღამესაო.  
 ლეკებსა ეუბნებოდა: მე გიბელადეთ დღესაო,  
 10 საბელადოში ავიყვან, შიგ ამოვარჩევ ერთსაო.  
 შავიდა, ამოარჩია.

ტანი მოუგავს ლერწამსა და პირის სახე მზესაო:  
 — მოდი, ლამაზო, დაბძანდი, ნუ მოიგონებ ძმებსაო,

მიჰყვანდა მოახლეები, შამოუსხამდა გევრდსაო.

- 15 მიჰყვანდა პირისფარეში, დაუყენებდა თავსაო,  
შე ძალლო მელეშიშვილო როგორი სიტყვის თავია?  
მამას გამომიქერ ყელი, ძმებსა მიცემე ხპალაო,  
როგორ არ მამაგონდება ჩემი ვაჟკაცი ქმარია,  
მელეშიშვილო გაგიწყურეს წმინდა გიორგის ჭვარიაო

გაგონილი ყვარელში. ხელნაწ. ინსტ., H—1992, № 164. სტრიქ.  
9 მოსალოდნელია მე გი ბ ე ლ ა დ ე ბ თ.

## დ

- აქებენ მელეშიშვილსა, უქებენ ხელსა, ფესსაო,  
ყვარელში დაიარება, ვერა შოულობს ტყვესაო.  
დაბრუნდება, უკან წავა, მუხლებში იცემ ხელსაო.  
ეს ჩვენი (წმინდა) გიორგი არ უმართამდა ხელსაო.  
ყვარელში ჭარი შაუშვა ფერიცვალობის დღესაო.  
დაწვა, დადაგა ყვარელი, ფეხს ვერ აუქცევს მკედრებსაო.  
ქალი და რძალი წაახსა, ქოში არ ეკრა ერთსაო.  
ცხრა მთა გადაატარა, საბნელეთშიაც შარეკა,  
ცხრა დღესა და ღამესაო, ეს რჯულძალი მელეშიშვილი
- 10 სიტყვას ამბობდა ძნელსაო. ლეკებსა ეუბნებოდა,  
მე ვიბელადე დღესაო. საბელადესაც ავიღებ,  
ქალს გამოვარჩევ ერთსაო, შვიდა, გამოიყვანა,  
ღამეს ანათებს ბნელსაო, ქვეშ გაუშალა ხალიჩა,  
„მოდი დაბძანი ღამაზო, გადაგეხეიო ყელსაო“,
- 15 შე რჯულძალო მელეშიშვილო, ეგ როგორ სიტყვის თავია,  
როგორ არ მამაგონდება ჩემი ვაჟკაცი ქმარია.  
შენ ცოლად როგორ დაგიჯდე, ვიყავ ყვარელის თვალთ,  
თუ ისიც მოგეხსენება, იმ მგალობლიანთ ქალია.

კახეთი. ჩამწერი ვ. კარბელაშვილი. ხელნაწ. ინსტ., ვ. კარბელა-  
შვილის არქ., № 18, გვ. 72.

## ე

- მელეშიშვილსა აქებენ ყაზახსა მეტი მეტსაო,  
კახეთში დაიარება, ვერა შოულობს ტყვესაო,  
ე ჩვენი წმინდა გიორგი არც უმართამდა ხელსაო,  
ყვარელებსა ემუქრება წმინდი გიორგის ყმებსაო.
- 5 წვიდა და გამოუძოვა შარიგებულსა ლეკსაო,  
ჩამოერივა ყვარელში ფერიცვალობის დღესაო,  
სახლები დაწვეს, დაბუვეს, კვდრებ ვერ აუქცევ ფეხსაო,  
ქალ-რძალი ბევრი წაახსნეს, გადაუყენეს მთებსაო,  
ერთსა ციხეში შერეკეს შვიდ ღამესა და დღესაო.
- 10 მელეშიშვილი ბძანდება, სიტყვას ამბობდა ბრძენსაო.  
„საბელადოსა ავიღებ, ბელადიც ვიყო დღესაო,

- საბელადოში ავიყვან, ქალს ავიყვან ერთსაო".  
 შავიდა, გამაარჩიეა, — ღამეა ანათებს ბნელსაო,  
 კისერი ბულას მიუგავ, თვალები მინდვრის მწყერსაო.
- 15 ქალები მელეშიშვილსა ჩაპოუწყარიცდნენ გვერთაო.  
 „ქალო; ნუ მოგაგონდება შენი ვაჟკაცი ქმარიო“.  
 — ჭულძალღო მელეშიშვილო,  
 ქმარი და მაზლი მამიკალ, ბიძას მიცემე ხმალიო,  
 მე შენ როგორ დამინდობდი, ვიყავ ყვარელის თვალიო.
- 20 საქრისტიანო დააგდე, ბოზბაშ ირჩიე, ფლავიო.

მთქმელი ალმატელია. კახეთი, ჩაწერილია ენისელში. 1863 წ.,  
 უმიკ., № 38, გვ. 45.

### 3

- აქებენ მელიქიშვილსა: ტანი მიუგავ ბულასა,  
 თვალები მინდვრის მწყერსაო;  
 დაიარება ყვარელში, ბევრსა შოულობს ტყვესაო.
- 5 გაჭავრებული წავიდა, მუხლზედ იცემდა ხელსაო.  
 ჯარები შემოუსია ფერისცვალობა დღესაო;  
 დაწვა, დადაგა სახლები, მკედრებს ვერ აუქცევ ფეხსაო.  
 ქალი და რძალი წაახხა, გადაუყენა მთებსაო;  
 სულ ფეხშიშველნი ატარა, ქოში არ ეცეა ერთსაო,  
 ერთ სასახლეში შეუძღვა შეიდი დღე-ღამე დღესაო.
- 10 ლეკებსა ეუბნებოდა: „შიგ გამოვარჩევ ერთსაო“.  
 შევიდა, გამოარჩია, სახლს ანათებდა ბნელსაო.  
 ქვეშ ორხუა გაუშალა თავისა ორხუაზედა.  
 — მოდი, დაბძანდი, ღამაზო, გადაუსვამდა ყელზედა.  
 — შე წუწყო მელიქიშვილო, შენ როგორ გადაგებვიო,
- 15 უკულმა იწერ პირჯვარსა, ქმარი და მაზლი დახოცე,  
 მამა აჩეხე ხმალითა;  
 კიდევაც მამაგონდება ვაჟკაცი ჩემი ქმარია.  
 ღმერთო და წმინდა გიორგი, მანჯენე შენი ჯვარაა,  
 ბელადსა ყელი გამოსჭრა, წავიდა სისხლის ღვარია.  
 ადგა ქალი, წამოვიდა, სამშვიდობოში არია!

კახეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. თაყ., I, № 7. გვ. 375. სათაუ-  
 რად აქვს „ტყვე ქალმა ბელადს ყელი გამოჭრა“.

### 4

- სულძალღი მელიქიშვილი დაიარება მთებსაო,  
 ყვარელში ჩამოჩვეულა ფერისცვალობა დღესაო,  
 დაწვა, დადაგა სოფლები, ბევრსა უტირა დედაო.  
 ქალი ჯარი დაარჩია, გადაუყენა მთებსაო,
- 5 საბელადოში გამოვდებ, შიგ გამოვარჩევ ერთსაო.

კახეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. თაყ., I, № 8, გვ. 375.

ვ

ურჯულო მელესიშვილსა უქებენ ხელსა, ფეხსაო, შემკობილობა უხდება, თოფ-იარაღი წელსაო. კისერი ბუღას მიუგავს, თვალები უგავს მწყერსაო. დალისტანი დაიბარა, წინ მიუძღოდა ლეკსაო.

- 5 ყვარელსა შემოესია ფერიცვალობის დღესაო. ქალი და რძალი არჩია, გადაუყენა მთებსაო, სულ ფეხშიშველი გარეკა, ქოში არ ეკრათ ფეხსაო. ერთ სასახლეში შერეკა შვიდ ლამესა და დღესაო. ეს ძალლი მელესიშვილი სიტყვას ამბობდა ძნელსაო,
- 10 საბელადოში ავიყვან, შიგ ამოვარჩევ ერთსაო. შავიდა, გამოარჩია, ლამეს ანათებს ბნელსაო.

ჩაწერილი კახეთში. ჩამწერი ზაქ. ჩხიკვაძე. სათაურად აქვს „ბე-  
ლადი მელესიშვილი“. ხელნაწ. ინსტ., H—1992, ჰ, გვ. 198.

თ

შე ძალლო მელეშიშვილო, გულზედ იცემდი ხელსაო, იარებოდი სოფელში, ვერ შოულობდი ტყეესაო, ეს ჩვენი წმინდა გიორგი არ უმართავდა ხელსაო. შილდაში ჭარი შევიდა ფერიცვალობა დღესაო.

- 5 ქალი და რძალი წაასხეს, გადაუკენეს მოუბსაო. სულ ფეხშიშველა ატარეს, ქოში არ ეცვა ფეხსაო. ერთს სასახლეში ამყოფეს, შვიდს ლამესა და დღესაო, შავიდა, გამაარჩია,
- 10 ტანი მიუგავს ლერწამსა, პირი მიუგავს მზესაო, ჭერ ხალიჩები დაჰფინა და ორხოებიც ზედაო. მოდი ლამაზო, დაბრძანდი, გადმოგეხვიო ყელსაო. — შე ძალლო, მელეშიშვილო როგორ მაკარებ ხელსაო, ვაჟკაცი ქმარი მომიკალ, მამას მიჭრიდი ყელსაო.

ჩაწერილი კახეთში, ალექსანდრე რაზიკაშვილის მიერ, სათაუ-  
რად აქვს „ლეკიანობისა“. ხელნაწ. ინსტ., H—1992—კა.

ო

დიდო დიდოზედ მოვიდა, დაიძრა დალისტანია; ორშაბათ დილა გათენდა, შილდას ჩამოგდა ჭარია. ბერიაშვილმა ომანმა ციხეს გაუღო კარია. თორმეტი მოკლა მამა-შვილ, თორმეტს დააქრა თავია!

- 5 აქებენ ბელესნიშვილსა, ვაჟკაცი უფრო მეტია, დაიარება კახეთში, ვერსად იშოვნა ტყეენია, დაწვეს, დადაგეს ყვარელი, ფერისცვალების დღესა, ვაჟკაცი ბევრი დახოცეს, ვერ აუქცევდი ფეხსა,

- ქალ-რძალი ბევრი გარეკეს, გადაუყენეს მთებსა,  
 10 სულ ფეხშიშველა გარეკეს, ქოში არ ეცვა ერთსა.  
 ახლა ჰკეხეს ბელესნიშვილი, — მე ვიბელადე დღესა,  
 საბელადოსაც ავიღებ, შიგ ამოვარჩევ ერთსა!  
 შაიდა, გამოარჩია, ღამეს ანათებს ბნელსა,  
 შენი ჭირიშე ლამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსა,  
 15 ყელამდინ ჩავსვამ ოქროში, მარგალიტს ნახავ ბევრსა!  
 უყურე წუწყსა ალიას, — სიტყვა გამოსდის მყარალია,  
 ძმებსა დამიჭრა თავები, მამას მიცემა ხმალია,  
 რა ვქნა, რო არ მოვიგონო საწყალი ჩემი ქმარი!

ჩაწერილი კახეთში. ხელნაწ. ინსტ., H—2017. სტრიქ. 8, ხელნაწერშია ა უ რ ჩ ე ვ დ ი, შევასწორეთ ა უ ქ ე ე ვ დ ი.

## ი ბ

- დიდო-დიდოზე ჩამოდის, შილდაში დგება ჭარიო,  
 საბუეს გამოგვიყვანეს, გამოდის თოფის ალიო.  
 სისხლისა ღვარი წავიდა ალაზნებსა და ტბებსაო.  
 რძალი და მახლი გაგვრეკეს, გადაგვაცილეს მთებსაო,  
 5 საჭეროს გადავიხედეთ, ქოში არ გვქონდა ფეხსაო.  
 აბელაშვილი წამოდგა: მეც ვიბელადე დღესაო.  
 საბელადოში ავარჩევ ერთსა ლამაზსა ქალსაო.  
 ქალი ტირიდა ლამაზი, ზომორას ყრიდა ცრემლსაო.  
 — ქალო, ნუ სტირი, ნინუავ, ნუც მაიგონებ ძმებსაო,  
 10 თვალ-მარგალიტით აგავსებ, ოქრო და ვერცხლსა ბევრსაო.  
 — რას ამბობ, პილწო ალიო, სიტყვა ამოგდის მყარალიო,  
 რა ვქნა, რო არ მოვიგონო ჩემი პატარა ძმანიო,  
 ძმები თოფით დამიხოცე, მამას მიცემე ხმალიო,  
 ურჯულოს არა გნებდები, რჯულიან ნება არიო.  
 15 ვწერე და ვწერე ქალადლი, საყვარელ ჩემი ქმარიო,  
 შაყარე შენი ტოლები, წელთ შამაირტყი ხმალიო.  
 გადმოდგენ თუშის ბიჭებო, გადმაბანელეს მთანიო,  
 ალიას მკლავი ჩამოგჭრეს... ისიც გულდაში ჩაუგდეს,  
 ამ ღამის ვახშამ არიო.  
 20 კაფეს და კაფეს ლეკები, უკან ისროლეს თავიო,  
 ბევრი ბიჭი იქაც მოკვდა, შინათკენ მამაგალიო.  
 შილდაში რო ჩამოედით, იქ დაჯერეს წირვივ ზარიო,  
 შაველ და შიგაც ვილოცე, ვალოცე ჩემი ქმარიო,  
 ამის მოლეჭე, ბიჭებო, ალვანში ქალი ზაფთარიო.  
 25 სალექსო გამომიგზავნეთ თითო ბატკნიანი ცხვარი,  
 დაჯიღეთ საყურ-ბეჭედო, აჯრიალებდეს ქარიო,  
 მე უჭრმო კი არ გეგონოთ, მანდ მოკლეს ჩემი ქმარიო.

მთქმელი შ. სეფაშვილი. ყვარელი. ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 98. სათაურად აქვს „ლეკებთან ბრძოლა“. ახლავს განმარტება: სტრიქ. 11 — აბელაშვილი — ლ ე კ ი ყ ო ფ ი ლ ა.



## იზ

- რჭულძაძე ბელადიშვილი, დიარები მთებსაო,  
ყვარელში ჩამოჩვეულა, ფერისცვალების დღესაო.  
რძალი და მული აქყარა, გადაუყენა მთებსაო,  
შვიდი დღე-ღამე ატარა, თოვლიანებსა მთებსაო.
- 5 ნურას იდარდებ ლამაზო, ნუ გაითეთრებ თმებსაო,  
ჩაგაძმევ, კარგსა დაგზურავ, დაგამჭობინებ სხეებსაო,  
რჭულძაძე ბელადიშვილი, სიტყვა გაქვს მეტად მწარეო,  
ძმებსა ყელეზი დამიკერ, მამას დამირტყი ხმალიო,  
მეც კი აქ წამამიყვანე მთელი ყვარელის თვალიო.

მთქმელი ქისტა კუპატაძე. ს. კაკაბეთი. ჩამწერი გიორგი პაპუა-  
შვილი, 1961 წ. სათაურად აქვს „ლექსი ბელადიშვილზე“, ფ. არქ.,  
კ. 1, გვ. 41.

## იზ

- მუსალის ბიჭი ვიყავი, კიდევ მეძახდნენ ბეგსაო,  
კახეთშიაც გადავედი ფერისცვალობის დღესაო.  
ვხოცე და ვხოცე ვაშკაცნი, ფეხი ვერ ვუქეც მკვდრებსაო,  
ქალი და რძალი ვარჩიე, შაუყუნევი მთებსაო.
- 5 სულ ფეხიშვლები ვატარე, გადავრეკავდი დეგსაო.  
საბელადოში ვარჩიენე, რომელიც გაედა მზესაო.  
ლამაზო, სახში მობრძანდი, ნურც მთიგონეფ მკვდრებსაო,  
ჩემი ხათრი იქონიე, ნურც მთიგონეფ მკვდრებსაო.  
დახე ამ რჭულძაძე ალიას, პირიც ქონია მყარალია,
- 10 მზღლები ამამიწყვიტა, მამიკლა კობტა ქმარია.  
რათ მინდა ჩემი ქალობა, მტერს შავარჩინო ჭავრია.  
ვიბრძოლუეფ, რამდენსაც შევძლუეფ, როგორიც ვიცი თავია.  
გამომეღვიძა დამისას, ხმალ-ხანჯალ ხელი მოვავლუე  
და გადავწყვიტე ერთბაშათ, ალიას დედას შავებ ჩავაცემე.
- 15 წადი და უთხარ ჩემსა ალექსის, ე რა ჰყოლია მარია,  
ხელათ დამაქრა თავია.

მთქმელი რ. გივიშვილი. საბუე. ჩამწერი ნ. შაქრიაშვილი, 1961  
წ., ფ. არქ., კ. 46, გვ. 654.

## თ უ შ უ რ ი

## ილ

- გვიქებენ ბელეშიშვილსა, ყაზიზე მეტის-მეტსაო,  
დიარება კახეთში, ვერა შოულობს ტყვესაო.  
დაწვეა, დადაგა ყვარელი ფერისცვალობის დღესაო.  
ბევრი დახოცა ვაჟკაცი, მკვდარს ვერ აუქეცეფ ფეხსაო;
- 5 გარეკა ქალი და რძალი, გადააყენა მთებსაო;

სულ ფეხშიშველა გარეკა, ქოში არ აცეის ერთსაო.  
იკეხის ბელეშიშვილი, ნე ვიბელადე დღესაო,  
საბელადოსაც ავიღებ, შიგ ამოვარჩევ ერთსაო.  
შევიდა, გამოიყვანა, ღამეს ანათებს ბნელსაო.

- 10 — შენი ქირიმე, ღამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსაო,  
ყელამდინ ოქროში ჩაგსვამ, მარგალიტს ნახავ ბევრსაო.  
— დახედე, წუწკსა ალიას, სიტყვა გამოდის მყარლიო;  
ძმებსა დამიჭრა ყელეები, მამას მიცემა ხმალიო;  
როგორ არ მომაგონდება საწყალი ჩემი ქმარიო.

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 82, გვ. 102. ლექსის სათაურად აქვს „შამილისაგან ყვარელის ალება“.

### ი

შილდა, ყვარელი დადაგეს, ფერისცვალობის დღესაო,  
ქალ-რძალი ბევრი გარეკეს, გადაუყენეს მთასაო.  
სულ ფეხშიშველა აავლეს, არც ერთს არ ეცვა ქოშანი,  
კეხულობს ბელეშაშვილი, ერთ მე მერგება შროშანი.

- 5 ამოარჩია ქალებში, ღამეს ანათებს ბნელსაო.  
შენი ქირიმე ღამაზო, ნუ მოიგონებ ძმებსაო.  
ყელამდი ჩაგსვამ ოქროში, მარგალიტს ნახავ ბევრსაო.  
დახედე წუწკსა ალიას, სიტყვა ამოსდის მყარლია,  
ძმებსა დამიჭრეს ყელეები, მამას მიცემეს ხმალია.
- 10 სანამ მე შენთან დავწვები, უმაღლე მნახე მკვდარია,  
რას არა მომაგონდება საწყალი ჩემი ქმარია.

მთქმელი ლაზარე ლონგიშვილი. ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი, 24 ივლისი, 1961 წ., ფ. არქ., კ. 23, გვ. 400.

### ი

დაიკეხს ბოლესაშვილო, ყაჩაღზე, მეტისმეტსაო,  
დაიარები ქმელეთზე, ვერა შოულობ ტყვესაო,  
დაწვა, დადაგა ყვარელი ფერისცვალების დღესაო,  
დაქოცა ბევრი ვაჟკაცი, მკვდარს ვერ უქცევენ ფეხსაო,

- 5 გარეკა ქალი და რძალი, გადაუყენა მთებსაო,  
სუ ფეხშიშველა მიუდის, ქოში არ ეცვა ერთსაო,  
დაიკეხს ბოლესაშვილო. დღეს ვიბელადებ მეცაო.  
საბელადოიც მერგება, შიგით ავარჩევ ერთსაო,  
შავიდა, გამოიყვანა, ღამეს ანათებს ბნელსაო,
- 10 შენი ქირიმე ღამაზო, ნუც მაიგონებ ძმებსაო,  
ყელამდინ ოქროში ჩაგსვამ, მარგალიტს ნახავ ბევრსაო,  
— დახედე, წუწკსა ალიას, სიტყვა ამაჟდის მყარლია,  
ძმებსა ყელეები დამიჭერ, მამას მიცემე ქმალია,  
როგორ არ მამაგონდება, ღამაში ჩემი ქმარია.

მთქმელი შაქრო ფიროსმანიშვილი. წითელწყარო, სოფ. გა-  
მარჯვება. ჩამწერი გ. შეთეკაური, II.VI.62. ფ. არქ., კ. 118, გვ. 171.

### იზ

- აქებენ მელიქიშვილსა, უქებენ ხელსა, ფეხსაო.  
წელი მიუგავ ბულაურ, თვალები უგავ მწყერსაო.  
ყვარელში ქალსა ემუქრის, წმიდის დავითის ყვანასაო.  
ასე გახალა ყვარელი, ფეხ ვერ აუქცევ მკედარსაო.
- 5 ქალი და რძალი გალალა, გადაუყენა მთასაო.  
შვიდი დღე-ღამე ატარა, ქოში არ ეცვათ ფეხსაო.  
ქეთვირის სახლში შელალა სამ ღამესა და დღესაო.  
ლეკებსა ეუბნებოდა, მე გიბლადეთ დღესაო.  
საბელადოში მერგება, შიგ გამოვარჩევ ერთსაო.
- 10 შვიდა, გამოარჩია, სახლს ანათებდა ზნესაო,  
გაშალა დროშა, ხალიჩა, დაბრძანდი შენსა მხესაო.  
მე ჩემი მზე რათ მინდა, მამას მიცემე ხმალია,  
საყვარელსა ჩემსა ძმებსა შენ გამომიჰერ ყელია.

ჩამწერი მატვეევი. 1885 წ., თ. ყორდანიას არქივიდან. ხელნაწ.  
ინსტ., A—1268—3, გვ. 1.

### იშ

- ყვარელს ჯარი შეესია ფერისცვალების დღესაო.  
ღწევა, დადავა ყვარელი, ფეხს ვერ უქცევნ მკედრებსაო.  
ქალი და რძალი წაახხეს, გადაუყენეს მთებსაო.  
სარები გადაგვიგლიჯეს, ვაზებს უქრიან ძირსაო.
- 5 ორმოები დაგვიხადეს, ვირებს ჰკიდებენ ფქვილსაო.  
თიავ გიორგი, მიშველე, ურჯულო მაწევს პირსაო.  
გივი ისე დატრიალდა, როგორც ბორბალი წელისაო.  
ისე დაკავა ლეკები, როგორც ტოტები ხისაო,  
იმას რომ თოფი უქირავს, ის არის ხორონისაო.
- 10 თოფია კარგის ჭიშისა ვერცხლი უელია პირსაო.  
იმან რომ თოფი დაცალა, ქექა მეგონა ცისაო.  
გალმა ფერდაში გაქონდა, ნამტვრევი შუა ძელისაო.  
ჩენნი პატარა გიორგი წყალ-გალმა ჩამორბისაო.  
გიორგი აქა მობრუნდი, ჩენნი ხარ, განა სხვისაო.
- 15 შენი ხმალა: რომ მეგონა, ჩემშიც ხომ კარგა ჰსჯრისაო.  
რკინა ფოლადით ნაქცევი, ტარი კაპეჩის რქისაო.

ჩამწერი მატვეევი, 1885 წ., თ. ყორდანიას არქივიდან. ხელნაწ.  
ინსტ., A—1268, გვ. 4. ლექსის მეორე ნახევარი გელა ნათელაშვი-  
ლის ციკლის საისტორიო ლექსის ვარიანტია.

### 275. ომანა ხაჩაშვილი

ჩაწერილი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, პეტრე უმიკაშვი-  
ლის მიერ. უმიკ., № 81, გვ. 69.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

სოფ. თოხლიაური. ჩამწერი ლ. ჩერქეზიშვილი. 1871 წ., ფ. არქ., უმიკ., № 81.

### გ

სოფ. ვაჩნაძიანი. ჩამწერი ალ. ჯანდიერი. 1870 წ. ფ. არქ., უმიკ., № 81.

### დ

კახეთი. ფ. არქ., უმიკ., № 81.

### ე

ჩამწერი ა. ნ. ფერაძე. 1871 წ. ფ. არქ., უმიკ., № 81.

### ვ

ფ. არქ., უმიკ., № 81.

ძირითად ტექსტსა და ბ, გ, დ, ე, ვ, ვარიანტებს ფ. გოგიჩაიშვილი შენიშნავს: „ამ გმირის (ომანის — ქ. ს.) გვარი ვარიანტებში სხვადასხვაგვარად იკითხება“. უმიკ., გვ. 558.

## ი მ ე რ უ ლ ი

### ზ

ეს ომანი ხაჩიშვილი, ტანწერილი და სუფთა არი.  
ბელეჯანს შამოუარა, ბახჩა ნახა სამალავი.  
შაფათს წასულა ომანი, კვირეს სადილათ შინ არი.  
რას კითხულობთ, გურჯანლებო? ომანი ყაზახი არი:  
ასი კამბეჩი მოასხა — ოცი ზაქის დედა არი!

ზემოიშვრეთი, სოფ. წევა. ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. თაყ., I, გვ. 4—5. ომან ხაჩიშვილზე არსებობს პოემატ. ჩამწერილია 288 სტრიქონიანი პოემა. იხ. ფ. არქ., № 30431.

### 276. ომანს კაცნი მოუვიდა

მთქმელი გრემელი ჩაბარაშვილი. უმიკ., № 82, გვ. 69. სტრიქ. 9. აქვს შენიშვნა: „აქ სიტყვები აკლია“.

სოფ. ხუმელაგა. ჩამწერი ნ. ბაკურაძე (ქართველი ოსებში), 1887 წ., უმიკ., № 84, გვ. 70.

## 278. აბრა ბაჟაძე

მთქმელი ჯიკმათიძე. ხელნაწ. ინსტ., H—1992. ია., № 155. ლექსი სადღეგრძელოა.

## 279. მე რიგ წაველ კოთილიას

მთქმელი გიორგი ინასარიძე, 60 წლის. სოფ. ანდრიაწმინდა. ჩამწერი ალ. ხახანაშვილი. 1890 წ. ხელნაწ. ინსტ. ალ. ხახანაშვილის არქივი, № 72, უბის წიგნაკი, № 11, გვ. 60. პირველ სტრიქონს კოთილიას გამო მიწერილი აქვს ფრჩხილებში „ს. ჯავახეთი“, ე. ი. სოფელი ჯავახეთში.

## 280. ბაცალიზვის თავ

მთქმელი ხევსური ლ. არაბული. კახეთი. ქორუბანი. ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ახლავს მთქმელის შენიშვნა: „ლეკის ლაშქარ ჩამოსულ ცხრა მამათ (ადგილია ბაცალიგოს მთაში). სათიბზედ დაქცეულ ხალხი, კმლებ არ ხქონივ, ცელებით უქოცავ ლაშქარი“. ფ. არქ., კ. 27, გვ. 88.

## 281. კახეთით დაუბარებავ

მთქმელი ხევსური რ. წიკლაური. თიანეთის რ. სოფ. თრანი. ჩამწერი უ. ცინდელიანი. 8.VII—1961. ფ. არქ., კ. 47, გვ. 51. ახლავს მთქმელის განმარტებანი: სტრიქ. 2. ჭარელი — ლეკი; სტრიქ. 3. თოთია — მთქმელის პაპა, 17 წლისამ ლეკების ბელადი მოკლა, სტრიქ. 11. პეტრე — ხატია არხოტში. ვფიქრობთ ხატის სახელი მთქმელს შეეშალა. ქ. ს.

## 282. ათილაშვილი ივანა

მთქმელი გ. ფოთოლაშვილი. სავარჯჯოს რ., სოფ. ახალსოფელი. ჩამწერი გ. გობრონიძე. 1961 წ. ფ. არქ., კ. 65, გვ. 36.

## 283. დათუა ხუციშვილია

ქართლი. ჩამწერი ანეტა კაპანაძე. ხელნაწ. ინსტ., H—2449, № 18.

მთქმელი ლ. ჰინჰარაული. შატილი. ჩამწერი ალ. ჰინჰარაული.  
ჰინ., გვ. 399.

285. ჰმა გატჰდა გაცაღიზონა

მთქმელი ხევსური დ. არაბული. კახეთი, ჰორუბანი. ჩამწერი უ-  
ცინდელიანი, 1961 წ. ფ. არქ., კ. 3, გვ. 459.

286. ლეკაზი

ჩამწერი ნიკო კარიჰაშვილი. 1883 წ. ხელნაწ. ინსტ., H—2454.

287. თრიალეთის ჰარაულეზს

ივ., № 204, 1889 წ.

### ი მ ე რ უ ლ ი

#### ბ

თრიალეთის ყარაულეზს  
ლეკეზი დახვედრიანო,  
ზოგს კი მოუკლავს ორ-ორი,  
ზოგს კი არ შახვედრიაო.

მთქმელი სანდრო ივანეს ძე ჩამბრაძე, 89 წლის, წ. კ. უცოდინა-  
რი. სოფ. ღონა, საჩხერის რ., ჩამწერი ნანსი გომელაური. 25.VII—  
61 წ. ფ. არქ., იმერეთის ექსპედიცია.

#### ბ

თიანეთს ყარაულეზსა  
ლეკეზი შახვედრიათო,  
თვითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,  
მეტი არ შახვედრიათო.

ჩამწერი ალ. ხახანაშვილი. ც. არქ., ფ. 15446 — № 198, გვ. 3-

288. თჰმშულეზა ლეკაიზჰ

ხევი. მოხ., გვ. 122.

289. გიზა და გიორგი

მთქმელი ბრმა მეჩონგურე ილო მათიაშვილი. კახეთი, მარტყო-  
ფი, კოტ., გვ. 92, ახ. გამოც., გვ. 108. საგულისხმოა ამ ლექსისადმი

ვახ. კოტეტიშვილის შენიშვნა: „ამ ლექსში განსაკუთრებით საგულისხმო არის ის პირველყოფილი რწმენის ნაშთი, რომელიც დღემდე შენახულია და შეიცავს იდეებს საიქიოს შესახებ. ამ რწმენის მიხედვით, სიცოცხლე ამ ქვეყანაში კი არა თავდება, იგი გრძელდება საიქიოსაც და მათსადამე მიცვალებულს იქაცა სჭირდება იარაღი, ტანისამოსი, საჭრელი და ცოცხალი არსებანიც, სხვადასხვაგვარი მომსახურებისათვის. ის გარემო, რომელიც აქა ჰქონდა მიცვალებულს, უნდა ჰქონდეს იქაც, საიქიოს. აქედან წარმოსდგა ადამიანთა საფლავზე დაკვლის ის წესი, რომელიც ძველად ყველგან იყო გავრცელებული და ზოგან დღესაც არსებობს“. აქ მკვლევარი მიუთითებს ამგვარ წესებზე პოლინეზიაში, ახალი კალედონიის მცხოვრებთა შორის, ამერიკის ტომებში, როგორცაა: ჩინუკები, კარიბები, ლაკოტები აფრიკაში: კონგოს მოდგმას, ზანგებში და სხვა. აღნიშნულია ისიც, რომ „ილიადას“ მიხედვით (XXIII, სტრ. 155—185) ეს წესი ჰქონიათ ძველ ბერძნებს. აღნიშნულია აგრეთვე ცხენის შიკრიკად გაგზავნის მსგავსი მოტივი უკრაინულ სიმღერაში. კოტ., გვ. 341—342. ახ. გამოც., გვ. 369. ლექსი მისი ვარიანტების უმრავლესობის მიხედვით თუშური წარმოშობისაა. მისი ავტორი, ისე როგორც ბევრი საგმირო ლექსისა, ქალია. ლექსი თარგმნილია რუსულად ვ. დერჟავეინის მიერ. Поэзия Грузии, გვ. 30—43.

## ქ ა რ თ ლ უ რ ა

### ბ

- ჩეთმაში ჩამომდგარია თორმეტი ფარა ცხვარია, ყარაულები დალაღეს, ჩეთმას დაველეთ თვალია, დახედე რჭულძალ ლეკებსა, ჰყავთ ცხვარი ადილ საშოვარია. პატრონი თოფით მოუკლავთ, გიგას მოსტეხეს მხარია.
- 5 გორზე იბრძვიან ძალღები, დიდია ცოდო-ბრალია, წადი თქვენც ე მანდ ოხრებო, საცა წაასხეს ცხვარია. არიქა თუშის ბიკებო, ლეკთა წაუსხამთ ცხვარია, პატრონი თოფით მოუკლავთ, გიგას მოსტეხეს მხარია. დახედეთ თუშის ბიკებსა, იარაღში ჩამსხდარია,
- 10 წინიდან წამოუარეს, საით მივიდით ცხვარია. სად მიხვალ ვაცო ყელშაო, სად მიგაქ გრძელი რქანია, პატრონი თოფით მოვიკლეს, გიგას მოსტეხეს მხარია. იქვე ჩახოცეს ლეკები, ადინეს სისხლის ღვარია. ამ ლექსისა გამომთქმელი ალვანში თუშის ქალია,
- 15 ყურში ეყარა საყურე, უფლრიალებდა ქარია.

სოფ. საგურამო. ჩამწერი ვანო ბერიძე. ლიტმუზ., 8481—6. ყ—918. რვ. 50.

შირაქში გამორეულა თუშის ბიჭების ცხვარია, ყარაულეები დაგზანენს შირაქს დაავლენ თვალთ, ათი თორმეტი ბელადი იქ არი ლეკის ჭარია.

- 5 გიგაი შინ არ დაუხვდა, მთაზე წაუსხამ ცხვარია, როცა გიგაი მოვიდა, შაკაზმა ლურჯა ცხენია, ლურჯაი შენ გაუმატე, თუ გსწამდეს საომარია. ამ ლურჯამაც გაუმატა, ფეხქვეშა უქრის ქარია, უკან ძაღლები მიდევნენ, ეყვანს გაქონდა ჩქამია, საჩინეთში რო ჩავიდა, იქა დგას გიგას ცხვარია,
- 10 სად მიხვალ ცხვარო, ტიალო, სად მიგაქ ძველი რქანია. გიგამ ატეხა ომები, დაბლა წვიმ, მალლა დარია. გიგას მოუკლეს გიორგი, ვაი რაც ცუდი ბრალია.

მთქმელი შაქრო სიდამონიძე. სოფ. მისაქციელი. ჩამწერი ა. ასანძიძე. 2/VII—1961 წ. ფ. არქ., ქ. 70, გვ. 7.

დ

შვიდი თვის დანიშნული ვარ, ალვანს თუშის ქალიო, მეც იქ მომიკლეს ქმარიო.

მინდა ძმებოჯან მეც იქ მოვიკლა თავიო.

ხელში მიკირავს მათრახი შვიდ კეცი მინაგვარიო,

- 5 ლურჯა რომ მთაზე ავიდა, დაატრიალეს ცხვარიო. გიგამ გაჰკივლა გიორგსა, მაგრა შაიქარ გულიო. გიგაჲ მოკვდა, გიორგიცა, აღარც ერთი არ არიო.

საგურამო. ჩამწერი ვანო ბერიძე. ლიტ., მუზ., 8481—ხ. ყ. 918, რვ. 67.

კ ა ხ უ რ ი

ე

თითქმის იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავებანი: სტრიქ. 17. სისხლი წავიდა ხევებში: სტრიქ. 24 — რათ არ შეაკალ თავია? სტრიქ. 30 — ისარივითა ჩქარია; სტრიქ. 34 — მხარზე — წ ე ლ ზ ე; სტრიქ. 48 — მიჰქონდა — გ ა უ ღ ი თ; სტრიქ. 68 — ტარია — ტ ა ლ ი ა; სტრიქ. 71 — შ ე გ ვ ი ყ ვ ა რ ე; სტრიქ. 89 — იმძღვარა; სტრიქ. 93 — გადაერია; სტრიქ. 99 — დაკაფეს ლეკებმა — დ ა კ ა ფ ე ს გ ი ო რ გ ი; სტრიქ. 103 — თუშებო — ფ შ ა ვ ლ ე ბ ო; სტრიქ. 105 — არ არი — ი ქ ა რ ი ს; სტრიქ. 108 — ცოცხალი არც ერთ არია; სტრიქ. 111 — აღმოსავლეთ მხარეშია; სტრიქ. 128 — მისწყვიტა,



სტრიქ. 131 — სამს დღეს და სამსა ღამესა, სტრიქ. 134-სა და 135-ს შორის არის:

მამა მოუცდის შეილებსა,  
მათენ უჭირავს თვალთა.  
გიგაე მოკლეს და გიორგიც,  
ცოცხალი აღარ არიან.

სტრიქ. 145 (ვარ. 149). გამლექსებელი; სტრიქ. 149 (ვარ. 153) — გამოაძლოლეთ; სტრიქ. 150 (ვარ. 154) — ეკიდოს;

მთქმელი ელ. ბეგიაშვილი. კახეთი. ჩამწერი ქ. მღებრიშვილი. ლიტ. მუზ., 20066—ბ, ყ. 340. გვ. 125. მთქმელს ლექსისთვის სათაურად მიუცია „თუშური ლექსი“, რაც ამ ლექსის სადაურობაზე მიუთითებს.

### 3

ღაიძრა. გამოიშართა დიდი ბუსურმნის ქარია,  
გულხადარო ბელადად ჰყავს, ალაზანს ჩამომდგარო.  
გადმოუგზავნა მზვერავნი, ჩეთმას მოაღლეს თვალთ.  
ჩეთმასა ჩამომდგარიყო თორმეტი ფარა ცხვარიო.

5 გადმოვიდ. ბელადს ეს უთხრეს — ადვილი საშოვარიო.  
შემოიარეს ქედზედა, შემოაპრელეს მთანიო,  
ჩეთმის თავს გადმოდიოდა მსიძე ურჯულო ქარიო.  
გიორგისა და გიგასა ღმერთო, დასწერე ჭვარიო.  
ორშაბათ დილა გათენდა, ჩეთმას დახურეს ცანიო:

10 დაქრეს, დახოცეს მწყემსები, დიდი არს ცოდვა-ზრალიო.  
ჩვენ ჩვენს ცხვარზედა ვილევით, ვაი, მწყემსებ, თქვენი ბრალიო.  
გიორგიმ უთხრა გიგასა: ძმაო, წაგვისხეს ცხვარიო,  
მეფრები თან გაიყოლეს, თითო ვაჟყაყის ფასიო.

15 ადექი, ძმაო გადავეყეთ, ერთ-ურთს უჭირით მხარიო,  
თითო მწყემსებსა შაფიროთ, სულეთს უბრუნონ ცხვარიო.  
თითო ჩვენთვისაც იქნება. სულეთს მზიდავი წყლისაო.  
ეგ რა იცოდნენ ბეჩაეთა, წერა დაპბუით თავზეო.  
წინა-წინ გიგას დაქრიან. გიორგს მოსტეხეს მხარიო.  
ჩამოდგა მულალოს ხიღზედ თორმეტი ფარა ცხვარიო.

20 გამოუჭავრდნენ ვაცებსა, ეყვანს გაჰქონდა ჩქამიო.  
ლუიან ტიალ ძალღები, საით წაგვივოდ ცხვარიო.  
იქით გაპყევიით ტიანო, საითაც სისხლის კვალიო,  
იქნება შემოგყვაროსთ, გზაზე გიგა წევს მკედარიო.  
ლაგოდახს შამოჩნდებოდა გიგაის ვაცის რქანიო.

25 იქამდ მოიდა გიორგი, იქ დაანება თავიო...  
ახლა საც გინდა, ატარეთ ეგ უპატრონო ცხვარიო.  
დაბრუნდა უკან გიორგი,  
შაჭდა ... ლურჯაზე ალვანს დაყარა ჩქამიო.  
მე მაგის მალექსებელი ალვან თუშეთის ქალიო,

ხელში მივირამს წინდაი, ცხარე ვაყარე ცრემლიო,  
30 უძმით გამზარდა ღელაპა, მეც მანდ მომიკლეს ქმარიო.

მთქმელი გაბრიელ ყოდორიშვილი. კახეთი. ჩამწერი გომელაუ-  
რი ც. არქ., ფ. 1446, № 689, გვ. 81.

ზ

- ვინ აქო ჩეთმას ბალახი, ცხერისათვის სამოვარია,  
გიგამა და გიორგიმა, ჩეთმას ჩარეკეს ცხვარია.  
აბა ცხვარო, იბალახე, ეს კაი სამოვარია.
- 5 ლექში ამბავი გასულა, ჩეთმას დგას თუშის ცხვარიო,  
ამდგარა და წამოსულა, სუ მთელი დაღისტანიო.  
სალამო ხანი მოვიდა, ცამ მოიხვია ბურიო,  
გიგამც უთხრა გიორგის; კარგად შეიკარ გულიო.  
გიგავ, მოგიკედეს გიორგი, თუ ვერ მოგიზბას მხარო,  
გინდა საომრად მოვიდეს ქარი და ბელაქანიო.
- 10 შუალამისას დაეცნენ, მტერმა დააგო რკალიო,  
ასტეხეს თოფის გრიალი, შავად დახურეს ცანიო.  
გიგას მოუკლეს გიორგი, საწყალს მოსწყვეტეს მხარო,  
გაჩაფრებულმა გიგამა, მკლავში მოიცა ძალიო,  
ერთი იმანაც მოუკლა, იქ დასჭირდება ყმანიო,
- 15 კახეთსა შეატყობინეთ, მათ გასაქირი არიო.  
კახეთ რჩეულმა ბიქებმა შეკრიბეს კოხტა ჭარიო,  
კახეთის ბიქებს სარდლობდა აბაშიძეა გვარიო.  
გადაჭდა თავის ლურჯაზე, ააძრო ბოლთა ტყავიო,  
გადაჰკრა ბრტყელი მათრახი, ქვეშ უქრის ნიავ-ქარიო,
- 20 გაფრინდი ოხერ-ტიალო, თორემ მომეჭრა თავიო.  
საგათენებოს მოგვწიეს, საღ მიღის თუშის ცხვარიო,  
ბელაქანს რომ გადახედეს, ნელა მიუღის ცხვარიო,  
წინ აბაშიძემ ესროლა, ვაცსა მოსწყვეტა რქანიო,  
მერე მივიდა ლეკებთან, კისრებზე მოსჭრა თავიო,
- 25 წაღი და ლეკებს უთხარი, ჭიშიანი გვაქვს გვარიო,  
უკანვე მოატრიალა ათი ათასი ცხვარიო,  
ვაცებმა დაითამაშეს, ჩვენი მინდორი არიო,  
რასა თამაშობთ ვაცებო, გიგა, გიორგი მკედარიო,  
შვიდი ღლე-ღამე ვაცებმა არ გაანძრიეს რქანიო,
- 30 ძალღუბიცი ისე ღმუოდნენ, როგორც შვილმკვდარი ქალიო.  
ამ შიარის გამომთქმელი, ალვანში თუშის ქალიო,  
შვიდი თვის ნაქორწილარსა მე იქ მომიკლეს ქმარიო.

მთქმელი ნინო უერთაშვილი, ნორიო. ჩამწერი ნანა კოტეტიშვი-  
ლი, მაისი, 1961 წ., ფ. არქ., კ. 12, გვ. 45. სათაურად აქვს „გიგა და  
გიორგი“. ამ და 8 ვარიანტში სტრიქ. 1 მოსალოდნელია ვინა თქო  
ან ვინა თქვა. ტექსტების ასე შეცვლა თუ ჩამწერთ არ ეკუთვ-  
ნის, მაშინ ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელ ვარიაციასთან  
გვაქვს საქმე.

- ვინ აქო ჩათმას ბალახი, ცხვრითვინაც სამოვარია,  
 გიგაიმა და გიორგიმ ჩათმას ჩალაღეს ცხვარია.  
 ლექში გასულა ამბავი, ჩათმაი დვა თუშის ცხვარია,  
 კარზე მამდგარა ცხოვრება, ადვილი საშოვარია.
- 5 ამდგარან და წამოსულან სუ მთელი დაღესტანია,  
 საღამო ხანი მოვიდა, ცამ დაიხურა ბურია,  
 გიგაიმ უთხრა გიორგის: მაგრათ შვიკრათ გულია.  
 გიგავ, მოვიკედეს გიორგი, თუ ვერ მოვიბაი მხარია.  
 თუნდა მოვიდეს საომრათ ჯარი და დაღესტანია.
- 10 შუა ღამისას დაეცნენ, ადინეს სისხლის ღვარია,  
 გააქონდა თოფსა ხუილი, ცამ დაიხურა ბურია.  
 გიორგი შუა შაფრინდა, მტერმა დაუგლო განია,  
 კაფა და კაფა ბიჭები, როგორც ნადირმა მცხვარია.  
 გიგას მოუკლეს გიორგი, მოაწყვიტეს მარჯვენა მკლავია.
- 15 გაჭაგრებულა გიგაიმ მკლავში მაიცა ძალია.  
 ორი მოუკლა გიორგის, იქ დაქირდება ყმანია,  
 ერთი მოუკლა მოსულთა, ურიოს სალაფეია.  
 გიგაიც სგრე ჩაეპეს, როგორც საბაღზე მხალია.  
 გიგაც მოკლეს და გიორგიც, ისე წაახხეს მცხვარია.
- 20 კაცი გადასვეს ცხენზედა, ქვე უქრის ნიავ-ქარია,  
 შაატყობინეთ თუშებსა, წაახხეს თქვენი ცხვარია.  
 ჩვენ ცხვარ როგორ წაახხამენ, გიგა, გიორგი არიან,  
 გიგაც მოკლეს და გიორგიც, ისე წაახხეს მცხვარია.  
 ბაბურაული ტრიალებს, მხარზედ შვეწონდა ხმალია,
- 25 შაატყობინეთ კახეთსა, მთა გასაქირში არია.  
 კახთა რჩეულმა ბიჭებმა შაკრიფეს კობტა ჯარიო,  
 კახეთის ჯარსა სარდლობდა, აბაშიძეა გვარიო.  
 ცხენსა მათრახი გადაადო, აავარდა შოლტი ტყავიო,  
 გაფრინდი ოხერ-ტილო, თორემ მოგვერი თავიო.
- 30 საგათენებოს მომწივე, საღ მიდის თუშის ცხვარიო.  
 ბელექანს რო გადავხედეთ, ნება მუღლით მცხვარიო.  
 ბაბურაულის თოფმა გააქექა, ვაც მააგლიჯა რქანიო,  
 წინ წინ აბაშიძე მოაგვარდა, თავზე გადაადის ღვარიო.  
 იმათ მოუკლათ ბელადი, კისერზედ მოაქრათ თავიო.
- 35 დეე ყველამ გაიგოა, ჭიში გვაქ გვაროვანიო.  
 შინისკენ გამააბრუნეს ათი ათასი მცხვარიო,  
 ვაცებმა დაითამაშეს, მინდორი ჩვენი არიო.  
 რაა გაითამაშებთ ტიელნო, გიგა, გიორგი მკედარიო.  
 შეიღსა დღე-ღამეს ვაცებმა არ გაანძრის რქანიო.
- 40 ძალღებიც აგრე უმუღონენ, როგორც შეილკედარი ქალიო.  
 ამ ლექსის მამლექსებელი აღვანში თუშის ქალიო,  
 ყურში უყრია საყურე და უბრიალებს თმანიო.  
 საჩუქრათ გადადიოდა ხუთასი დედა მცხვარიო.  
 ეს ლექს იმიტომ გამოვთქვი, მეც იქ მამიკლეს ქმარიო.
- 45 ამ ლექსის მამლექსებელსა თქვენც გაგინათლდეთ მკედარიო.

მთქმელი ი. იმედაშვილი. ხოდაშენი. ჩამწერი ნ. შაქრიაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 45, გვ. 597. სათაურად აქვს „თუში მწყემსების ლექსი“. საინტერესოა ამ და ზ ვარიანტში აბაშიძის ხსენება, როგორც დიდგვარიანისა.

## თ

- ამბობენ: არა ტყუიან, დაიძრა დაღესტანია,  
გულქაღარა ყავთ ბელადი, ალაზან ჩამამდგარია,  
სასმელად არა ყოფნით მტკვარი და ალაზანია,  
სადგომლად არა ყოფნით შირაქის მეადანია,
- 5 ჩეთმას გაგზავნეს მზევრავი, ჩეთმას დაავლე თვალთა,  
მზევრავმა ბელადს ახარა:  
ჩეთმასა ჩამამდგარიყო თორმეტი ფარა ცხვარია,  
წავიღეთ და გამოვლალთ, ადვილი საშოვარია.  
ორშაბათ დაღამებდა ჩეთმას დალეწეს ცანია,
- 10 დაქოცეს ბევრი მწყემსები. გარეკეს ცხენი, ცხვარია,  
წამაიწია გიორგიმ, თან წამაიყოლ კმალთა,  
გიორგიმ გიგას უძახა: ძმაო მიჰიკრე მქარია,  
თუ ცხვარ გარეკეს დიდოელთ, ნულარც მიტირებს ქალია,  
ეგრე გაფხავდა გიორგი, როგორც ნადირი ცხვარშია,
- 15 კმალდაქმალ ბევრიც დაქოცა, მადღევდა სისხლის ღვარია,  
გიორგის თოფი დაგვიკრეს, გიგას მადტუდა მქარია,  
მანამდი სღია გიორგიმ, სანამდი ჰქონდა ძალია.  
გარეკეთ რჯულძაღლო, გარეკეთ, თქვენ დაგრჩათ მთელი ცხვარია.  
ჩვენ ცხვარზე თავებს ვიკოცავთ, მწყემსებო, თქვენი ბრალია,
- 20 მწყემსი თუ გულიანია, მწყემსი ამასთან მკვდარია,  
შაფირა ორი მწყემსები, უზიდეთ შეშა-წყალია.  
გადაჯდა გიორგი ლურჯაზე, ალვანს დაატყო ჩქამია,  
ვაიგო წოვა თუშებმა, მძიმედ იყრება ჯარია,  
წინ გაუძღვება ბელადად გიგაი, შამილაია.
- 25 თუშებმა გზანი მოუქრეს ბელაქან ჩავლენ წინაო.  
ბელაქანს შამოაჩინა გიორგის ვაცმა რქანია.  
წინა ბელადი მოუძღვის, ეყენებს გააქონდა ჩქამია,  
ტილო ვაცო სად მიხვალ, საით მიგიდის ცხვარია,  
ჯერ ხო დაქოცეს ვაცები, ახლად აბირდა ცხვარია,
- 30 აგრე დაქოცეს ლეკები, ერთიც აღარსად არია.  
მაგ ლექსის მომლექსებელი ალვანში თუშის ქალია,  
გულლალი ნურვის გეგონოსთ, მეც იქ მომიკლეს ქმარია,  
სალექსოდ გამომიგზავნეთ თითო ბატკანის ტყავია.

მთქმელი შაქრო იაკობაშვილი. წითელწყაროს რ., ს. გამარჯვე-  
ბა. ჩამწერი გიორგი შეთეკაური. 10.VI—1962 წ. ფ. არქ., კ. 118, გვ.  
163, სათაურად აქვს „ჩეთმა“.

ჩეთმაში ბალახს აქებენ, ცხვრისათვის საძოვარია, გადმოვიდა ლეკის ბიჭი, ჩეთმას დააელო თვალია, ამბავი გადაიტანა, ჩეთმაში ბევრი ცხვარია.

ჩეთმაში ბევრი ცხვარია, ადვილი საშოვარია.

- 5 ჩამაიარეს სალევო, მოკრიფეს ბევრი ჭარია, საგათენებოს დეეცნენ, ადინეს სისხლის ღვარია, ხუთ წუთში შამოურჩეს, თორმეტი ფარა ცხვარია, ისე დაივსო ხეუბი, როგორც რომ ნიაღვარია. გიგაც მოკლეს და გიორგიც, ისე გარეკეს ცხვარია.
- 10 ლურჯა გავგზავნე საფშავლოდ: ლეკმა გარეკა ცხვარია. ჩამაიარეს ფშავეთი, მოკრიფეს ბევრი ჭარია. მიუძღვის ბაბურაული, ბელადიც ის რომ არია. გადაიხედეს მთაზედა, ლეკებს მიუძღის ცხვარია. ესროლა ბაბურაულმა, ვაც მოამტვრია რქანია,
- 15 — სად მიხვალ, ვაცო ოხერო, სად მიგყავ ჩვენი ცხვარია. ხოცეს და ხოცეს ლეკები, მოამბე აღარ არია. თითო ძაღლებს გადაუგდეს: აქმიეთ სალაფაია. შვიდიც თანა წაიყვანეს, იყავით ჩვენი ყმანია. ჩეთმაში ცხვარი ჩარეკეს, ჩაითამაშეს ვაცებმა,
- 20 — რა გათამაშებთ, ვაცებო, გიგა-გიორგი მკვდარია, შვიდი დღე და შვიდი ღამე ვაცმა არ დაძრა რქანია, არცა მოძოვა ბალახი, არცა დალია წყალია, ძაღლებიც ისე ყმუოდნენ, როგორც შვილ-ღედა მკვდარია.

მთქმელი ოთარ შაქროს ძე ახალკაციშვილი. დაბად. 1936 წ., ტრაქტორისტი. ჩაწერილი მარტყოფში. ჩამწერი დ. წერედინი. 20.V—1961 წ. ფ. არქ., კ. 4, გვ. 1.

8ა

საწყალსა წოვა თუშებსა, საწყინარ ეტყვის მხარია, საგათენებლოდ დაეცა, სამი დაღისტნის ჭარია.

გიორგიმ უთხრა გეგასა, ძმაო, წაგვისხეს ცხვარია, ადგა, შაკმაზა ლურჯაი, ზედ შაქდა ორბის მხარია.

- 5 საგათენებლოდ მამწიე, სად მიღის ჩემი ცხვარია, მისწივა საგათენებლოდ, სად მიღის იმის ცხვარია. ესროლა ქეჩის ბელადსა, მოაგლეჭინა მხარია. მალე მოუკლეს გიგაი, გიორგის მოსტყდა მხარია. შვიდნი შასწირა გეგასა, იყვენით მაგის ყმანია.
- 10 თითო შასწირა წყემსებსა, მოუბრუნოდეთ ცხვარია. ერთი შასწირა წყემსებსა, მოუბრუნოდეთ ცხვარია. ერთი შასწირა ძაღლებსა, გაუკეთოდე ჭერია. არც თითონ მოკვდა უთათო, წინ გაიძღვარა ცხრანია, ეგრე დაკაფეს გიორგი, როგორც საქალდე მხალია.
- 15 ამისი გამამლექსები, აღვანში თუშის ქალია,

სამი თვის პატარძალი ვარ, მეც მათ მამიკლეს ქმარია,  
სალექსოდ გამამიგზავნეთ თითო შიშაჟი ცხვარია.

მთქმელი დავით იმერლიშვილი, ნორიო. ჩამწერი ნანა კოტეტი-  
შვილი. 21.V—1961 წ. ფ. არქ., კ—12, გვ. 6.

### იბ

- ვინა თქვა, ენა გამხმარმა, ჩეთმაში ბუერი ცხვარია?  
ორშაბათ დილა გათენდა, ჩეთმას დაახურეს შავია.  
დახოცეს გიგა, გიორგი, ისე გარეკეს ცხვარია.  
ეს რო ნიკალამ გაიგო, ძაან მოუფა ჭაერია.
- 5 შეკმანძა ლურჯი იაბო, ქვეშ გადის ნიაე-ქარია,  
ხელში უჭირავ მათრახი, შვიდკეცი, შვიდი მხარია.  
ერთი დაარტყა ლურჯასა, ბარკალზე აძეგრა კარია.  
გათენებამდე მიმწიე, სად მიდის ჩენი ცხვარია,  
ლეკის წყაროზე გადადგა, ვაცმა გადმოყო თავია.
- 10 — მოდი, ვესროლოთ ვაცებსა, აგებ შეფერხდეს ცხვარია.  
დაუჩოქა და ესროლა, ვაცსა შოატეხა რქანია.  
კაფა და კაფა ლეკები, წაეიდა სისხლის ღვარია.  
დაითამაშეს ვაცებმა, მალა ააწიეს რქანია;  
— რა გათამაშებთ, ოხრებო, გიგა, გიორგი შეკდარია.
- 15 ეს რო გაიგეს ვაცებმა, დაბლა დახარეს რქანია.  
ცხრა დღე და ღამე იგლოვეს, აღარ გაუძრავთ რქანია.  
ამისი გამომლექსავი ალვანში თუმის ქალია.  
სალექსოთ გამამიგზავნეთ თითო შიშაჟი ცხვარია.  
ან კიდევ საყურ ბეჰედი აჟრიალებდეს ქარია.

მთქმელი ი. ლევერაშვილი. თიანეთის რ., სოფ. სიმონიანთხევი.  
ჩამწერი ა. შიშმანაშვილი. ფ. არქ., კ—25, გვ. 31.

### იბ

- ნატამც არ გათენებულა ოთხშაბათ საწყინარია,  
ხათხურაზე ამოჩნდა გიორგის ვაცის რქანია.  
— მოდი, ვესროლოთ ვაცებსა, შებორიალდეს ცხვარია.  
წინ-წინ გიორგიმ ესროლა, ვაცს დაამტერიენა რქანია.
- 5 ზედოზედ დატყვრა თოფები, ღმერთო, შენ დაგვეხმარია.  
ავერა ქისტის ბელადი, თავქვე მიგორავს შეკდარია,  
ტყვისა მიაქვის წიელი, სჩქეფს სისხლის ნიაღვარია.  
მიწა ვშლუბა თავზედა, ტყეიისგან მონათხარია.
- 10 უკვე მოარტყეს თეიფანს, დაწვა მანძილა ხარია,  
გახხედნა თავის სამშობლოს, მთებს გაუსწორა თვალია.  
ახლა ალექსის მოარტყეს, მიწავ, გააღე კარია!  
ან ვინ მოგიყა, ტიალო, ალექსის შესადარია.  
ვაჰმე, გიორგი მოგარტყეს, ველარ გშველს ქვისა ფარია.  
ერთოლა ვრჩები მე ტინკო, ღმერთო, შენ დამეხმარია!

- 15 გავარდა ტინკოს ვინტოვკა, ქისტს დაუნგროვა ყბანია,  
 გაიქცა, ხანჯლით მიჰვარდა, — შენ მოქალ თეიფანია?!  
 ამოსწყდეს თქვენი ჭილაგი, თავზე დაგეცესთ ცანია!  
 მწყემსებს უბრუნე საქონი, ჩემ ძმთ უზიდე წყალია,  
 ჭერიც შენ მოუშადლოდი, გაუბანდლოდი ჭლანია,  
 20 ვაი, რომ შენი სიკვდილით გული ვერ მოვიფხანია!

მთქმელი პ. კენკიშვილი. წიკვლიანთკარი. ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ., ფ. არქ., კ—27, გვ. 18. თავისებური ვარიანტია. სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებით თავდამსხმელად აქ ქისტებია გამოყვანილი. სათაურად აქვს „ძველი ამბავი ახლად გალექსილი“.

## იღ

- ვინა სთქვა, ენა გაუხმეს, თუშეთ გაბევრდა ცხვარია,  
 ბელადი გულხადარაი ალაზნის ველზე არია.  
 შუა ღამისას დაეცნენ, ჩემის დახურეს ცანია,  
 გარეკეს თორმეტი ფარა, სამოც კაცს მოსკრეს თავია.  
 5 გიორგიმ უთხრა გიგასა, ძმო მიჭირე მხარია,  
 გიორგიმ ყური დაუგდო. ზანზალაკს გააქვს ჩქამია.  
 გიგაც მოგვიკლეს, გიორგიც, მოსკრეს მარჯვენა მკლავია,  
 გიგავ, მოგიკვდეს გიორგი, თუ ვერ მოგაბა მხარია.

მთქმელი გიორგი ივანეს ძე კენკიშვილი. სოფ. საყდრიონი. ჩამწერი მიხეილ სოლომონის ძე კასრაძე. ლიტ. მუზ., 20074—ხ, ყ—342, გვ. 15. არსებობს აგრეთვე სხვა კახური ვარიანტებიც, რომელნიც საინტერესო თავისებურებით არ ხასიათდებიან:

## იი

მთქმელი ს. ბალათრიშვილი. ნასამხრალი. ჩამწერი ე. შალიკაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 42, გვ. 61. თითქმის იმეორებს ზ და ც ვარიანტებს.

## იზ

მთქმელი ვანო მამულოვი. სოფ. ახაშენი. ჩამწერი ვანო გეთიაშვილი. ლიტ. მუზ. 20057—ხ. ყ—339, გვ. 5. არასრული და გაუმართავი ტექსტია.

## იხ

ჩამწერი ალ. კობალეიშვილი. ლიტ. მუზ., 20051—ხ, ყ—334, გვ. 91. არავითარ თავისებურებას არ იჩენს სხვა ვარიანტებთან შედარებით.

## იჭ

მთქმელი ელ. ბეგიაშვილი. მეჯვრისხევი. ჩამწერი ქიტა მღებრი-  
შვილი. ლიტ. მუზ., 2007—ხ, ყ—329. მოლიანად ემთხვევა ძირითად  
ტექსტს.

## იო

ჩამწერი რაჟდენ ლათიბაშვილი. ლიტ. მუზ. 20037—ხ, ყ—335.

## კ

ჩამწერი შურა იმერლიშვილი. ლიტ. მუზ., 20005—6, ყ—329, გვ.  
5. ფრაგმენტულია და არავითარ თავისებურებას არ იჩენს.

## კა

მთქმელი იოს. ფეიქრიშვილი. ჩამწერი ივ. მეტრეველი. ლიტ.  
მუზ., 20038—ხ, ყ—335, გვ. 62, ერთმანეთში უთავბოლოდ არის შე-  
რეული რამდენიმე არასრული ვარიანტი.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

## კბ

ჩათმაში ჩამასულიყო, თორმეტი ფარა ცხვარია.

იყრების ბელანქარშია მძიმე ურჯულოს ჯარია;

მანდ გუვანდეს კარელთ შვილები, იგიც ბელანქარის მქარია.

გულქადარი ყავ ბელადი ალაზანს გამაჰქდარია.

5 დაგზავნეს ყარაულები: „ჩათმას მოგვივლი თვალია“.

მოვიდეს გალაღებულნი: „ადვილა საშოვარია“.

საწყალსა თუშიშვილებსა ეტყვის საწყენსა მპარია“

დაეცა შულამის დროსა მძიმე დაღისტნის ჯარია.

ზედიზედ შამამდგარიყვა თორმეტი ფარა ცხვარია.

10 აქამდი არ ჩამასულა ჩათმაში თუშის ცხვარია,

ჩვენ ჩვენს საქონთან ვილევით, წყემსებო, თქვენი ბრალი!

წინ გაუმძღვარეს ვაცები, მიდის ზარების ჩქამია.

გახყვა ყუილით ძაღლები, მალლა ცას შაზღვეს ზარია.

გიორგიმ უთხრა გიგასა: „რად მოწყენით ხარია?“

15 — „მოწყენით რაგო არ ვიყევა? ძაღლებმ წამისხეს ცხვარია.

არც მოგვევალის თუშეთსა, ჩვენი კაცობა რ' არია?

დაგვეკეთების სამძახი, არ მოგვეცემის ქალია,

არ დაგვესხდომის ჯარზედა, დასხდას ალუდის ჯარია.

— „ყმაწვილადა ხარ, გიგაო, რო ვერ მიჰირავ მქარია?“

20 — მქარს თუ ვერ გიჰერ, გიორგი, დამარჩევი კახის ქალია.

ჩომანდახისას წავიდეს, მარცხნივ აართვეს მქარია.



- შუას ჩათმაში მასწერეს, არ დაანებეს გზანია.  
 ცხენებს დახყარეს ლაგები, გამაანებეს გზანია.  
 ჭარის შუაზე გადადგეს, ორად გაწყვიტეს ჭარია.
- 25 ომობენ უთურიშილნი, დალისტანს შაზღვეს ზარია,  
 ჩათმის ბოლომდე მოზდიეს, შადვეს ზედიზედ მკედარია.  
 გათენდა, გასცნეს თუშები, — შორ-ახლოდ უყვეს ძალია.  
 თოფი დაუკრეს გიგასა, გიორგის მოსტყდა მჭარია.  
 — ეა შენ გიორგის, გიგაო, წუურეილდი ხარია!
- 30 ხუთი შასწირა გიგასა: „მაუტანიდი წყალიო!“  
 ოთხი თავის თავს შასწირა: „იყენით ჩემი ყმანიო!“  
 თითო-ორილი წყემსება: „დაუბრუნდილთ ცხვარიო!“  
 ერთი შასწირა ბინასა: „დაიჭირიდი თვალიო!“  
 თითო-ცხვრისა ძალღებსა: „გაუცხელიდი წყალიო!“
- 35 თოფ დახკრეს უთურეშილსა, დასხნა მანძილამ რქანიო.  
 გიორგის ბალთა-ყაწიშსა სისხლმ შაუცვალა ფეოო.  
 გიორგის ცხენო საღარო, დიდხანამეა ხარ მთელიო!  
 შამაიარენ ლამითა მარტომ ქიზიყის გზანიო.  
 პირით მოგქონდა ლაგამი, გიხანდებიან გზანიო.
- 40 ალვანჩი ამბავ დაავდი: „ჩათმაში დაგვენეს ცანიო“.  
 ცხენებ დახკაზმეთ, თუშებო, რომელნიც უფრო ჩქარიო.  
 შამოჩნდეს ბელანქარშია გიგაის ვაცის რქანიო.  
 ქარელთ დალადდეს ქალები: „მაუდის თუშის ცხვარიო“.  
 „რად გიხარიან, ქალებო? ეა ეი არ გვედგა დარიო.“
- 45 ბევრას დედაი იტირებს, ბევრა დაქერიედა ქალიო“.  
 ამავის მალექსებელი ალვანში თუშის ქალიო;  
 ავხყარე საყურ-ბეჭედი, ძირით დავიჭრენ თმანიო.  
 გან თუ რა შორიელ იყენენ? — ბიძაშიელ იყენენ, ძმანიო.

მთქმელი ბათაეა ქინჭარაული. ბარისაზო. ჩამწერი აკ. შანიძე.  
 17.VI—1911 წ. შან., № 211, გვ. 89—91. სათაურად აქვს „ქისტების  
 დასხმა თუშების ცხვარზე“. ლექსში კი ლექების თავდასხმის ამბავია  
 გადმოცემული.

ცნობილია სხვა ხევსურული ვარიანტები:

### კბ

მთქმელი შიშია ქერაული. ხევსურეთი. ჩამწერი გიორგი წერეთე-  
 ლი. 14.VII—1925 წ. შან., გვ. 463—464. აკ. შანიძეს შესაძლებლად  
 მიაჩნია ენის დაწყველით დაწყება ლექსისა სხვა ნაწარმოებიდან იყოს  
 გადმოსული, რადგანაც იგი მარტო გ. წერეთლის ვარიანტში არისო.  
 შან., გვ. 465. უნდა აღინიშნოს, რომ ენის დაწყველით სხვა ვარიანტე-  
 ბიც იწყება, როგორცაა: კახური — ე, იგ, იგ; ხევსურული წ.

### კდ

ჩამწერი ალექსი ოჩიაური. შან., გვ. 463.

### კე

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 465.

### კვ

მთქმელი ტ. ჭინჭარაული. ქიაურა. ჩამწერი ა. შიშმანაშვილი. 1961 წ., ფ. არქ., კ. 26, გვ. 140—142.

### კზ

მთქმელი ხევსური ა. თეთრაული. ახმეტის რ., ს. ახაშენი. ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 77.

### კძ

მთქმელი ხევსური გიორგი ბექაური. ქორუბანი. ჩამწერი უ. ცინდელიანი. ფ. არქ., კ. 3, გვ. 495. ახლავს განმარტებანი. სტრიქ. 1 და 7 მითხოვ, მიკული — ადგილთა სახელებია; სტრიქ. 11. მოუყვავიან — მოუხარიან; სტრიქ. 18. ბაგრატაულსა — იგულისხმება ხევსური, რომელიც წინამძღოლად ჰყავდათ.

### კთ

მთქმელი ხევსური ლელა აშას ასული ალუდაური, 65 წლისა. გადმოსულია ასხაზრიდან ქისტაური, ჩამწერი უ. ცინდელიანი. 4.VI—1961 წ. ფ. არქ., კ. 3, გვ. 253.

### კი

მთქმელი ხევსური ი. წიკლაური. ნორიო. ჩამწერი ნუნუ სახელაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 11, გვ. 40.

## გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

### ლ

ალაზანს გადმოსწოლია გულხატარაის ჯარია, სასმელად არ ეყოფიან ალაზანი და მტკვარია. საკმელად რას გაუხდება ბუქურაულის ცხორია? დაგზავნეს ყარეულები, ჩეთმას დაგვივლეთ თოლია.

- 5 ჩეთმაში ჩამომდგარიყო თორმეტი ფარა ცხორია. — ჩეთმას რას გვემართლებიან, ჩეთმა ხო ჩვენი მხარია? — ძალღებსაც ეუბნებოდნენ: — ძალებ გაკარით ჩქამია. ან ჩვენ რისთვი გვლევთ ელდითა, ან თქვენ რისე გძლევთ თავია? — გიგასთან კაცი გაგზავნეს, რომელიც იყო ჩქარია:

- 10 — ჩქარ მოდი მახარებლო, ხოდმა ამტკირვოს ნალია.  
 გიგაი დუქანს იქნება, წითელის ლეინით მთვრალია.  
 გვიშველე, ძმაო გიგაო, წაიღეს ჩვენი ცხორია!  
 — კაცი არ იყავა, გიორგი, რად გაანებე თავია?  
 — მეც მამკლეს ძმაო გიგაო, მარჯვენაე მამტეხს მქარია.
- 15 გიგამ შაკმაზა ლურჯაი, ფეკებში გაადის ქარია:  
 — გაიწი ჩემო ლურჯაო, თუ გეტყვის საომარია.  
 საგათენებლო(ს) დამწივე, სად მიდის ჩვენი ცხორია,  
 ახლა კი ახლოს მიესულვართ, აქ მოდის ჩვენი ცხორია.  
 წინ მიუძღვება ვაცები, ეყოსა მიაქე ჩქამია. —
- 20 შირაქის ყელში ამოჩნდა გიგაის ვაცის რქანია.  
 ჩამოუსროლა გიგამა, ვაცმა დაწუდა რქანია.  
 გადაუფრინდა ყოჩებსა, მარტუამ შაუკრა გზანია.  
 — სად მიხოლთ, ჩემო ყოჩებო, სადით მიგიქრით ქარია?  
 ტიალო ჩემო ვაცებო, საით მიგიღით ცხორია?
- 25 ერთმა ბატარმა ჩობანმა ძმასავით მისცა მქარია.  
 შა და შასხლიტეს ლეკები, ასი თორმეტი ქარია.  
 უკან აბრუნა გიგამა თორმეტი ფარა ცხორია.  
 ერთსა რჭულძალსა ბელადსა მჟეარი ქონდა კრელია.  
 ჩამეესროლა გიგასა, ჩქარ წაუქცია ცხენია.
- 30 ეგრე დაკაფეს გიგაი, როგორც საქადე მხალია.  
 გიგამ გადმოჰკრა მათრახი, ლურჯას, მათრახის წვერია.  
 — ადე და წადი ლურჯაო, შენ მაინც მიდი მთელია.  
 უამბე ჩვენი ამბავი, გადანაყარი ჩვენია.  
 ჩვენ, ჩვენ საქონში ვილევით, ვაი, მწყემსნო, თქვენი ბრალია,
- 35 მწყემსი აღასთან მოკედება, ეს არის სამართალია?  
 ე მაგის გამლექსებელი ალვანში თუშის ქალია.  
 ქალი ვარ უძმით გაადილი, მე იქ მამიკლეს ქმარია.

მთქმელი ლევან აფციური. დუმაცხო. ჩამწერი ე. ვირსალაძე,  
 1934 წ. ვირსალ., № 47, გვ. 125.

ცნობილია სხვა გუდამაყრული ვარიანტები:

### ლა

მთქმელი ნინო გვრიტიშვილი. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1946  
 წ., ვირსალ., გვ. 451.

### ლბ

მთქმელი გიგო ალექსის ძე აფციური, ჩამწერი გრ. ჩხიკვაძე.  
 1934 წ., ვირსალ., გვ. 451—452.

### ლგ

მთქმელი ნინია აფციური. ჩამწერი ელ. ვირსალაძე. 1950 წ.  
 ვირსალ., გვ. 452—453. მოყვანილია მთქმელის შენიშვნა: „ვინც გა-

გამალექსებდა,, დიდი პატივისცემა ჰქონდა. ვითომ მკვდარი გაცოცხლებოდა, — ფერკისაში რო დაიძახებდენ იმის ლექსს“. იქვე.

## ლ ლ

მთქმელი როსტომული, სოფ. მუგუდა. ჩამწერი შ. თათარაშვილი. სნჯ. III, გვ. 37. ავტოგრაფი დაცულია ლიტ. მუზ., 20027—6. ყ. 333, გვ. 65. სათაურად აქვს „მდევარი“.

## თ უ შ უ რ ი

### მ

- დაიძრა, გამოიმართა დიდი ბუსურბნის ჯარიო;  
ჰყავ გულხადარა ბელადათ, ალაზანს ჩამომდგარო.  
გაგზავნეს მაგათ მზვერავი: ჩეთმას დაავლეთ თვალიო.  
ვალალებულნი მოვიდნენ, ადვილი საშოვარია,  
5 შევზვერეთ ჩეთმის მინდორზედ თორმეტი ფარა ცხვარიო.  
გადავიდნენა ქედზედა, გადააპრელეს მთანო;  
ორშაბათ დილა გათენდა, ჩეთმას დაჰხურეს ცანიო.  
რად არ გვეხსნებით, ძალლებო, ჩეთმა ხომ ჩენი არიო...  
წინ-წინ გოშპარას ეწვიენენ, მასპინძლად დაზღო თავიო;  
10 წინ მომავლსა თოფი ჰქრა, ნაწიდარს დაწვა მკვდარიო,  
თვითონ თეფეებს შემოურბინა, თოფის ავიდა ალიო.  
— მეეშველენით, თუშებო, ბევრთანა მარტო ბრალია!..  
ქავთარმა ოსმალიძემა ფერი დაიდვა მგლისაო:  
— აცალეთ, ჰარელთ შვილებო, დაპრილ არ გაგყვეთ ტანიო;  
15 მანდ ორნი ძმანი ომობენ — უთურის ძენი ორნიო.  
გიორგი ეტყოდ გიგასა: — ძმაო, აილე თავიო,  
რალა დრო არის წოლისა, მტერმა წაგვიღო ცხვარიო;  
ჩვენ ვაცებს ყური დაუგდე, ეყენის გამოდის ჩქამიო;  
ჩვენ ჩვენ ცხვარზე დავილევით, წყემსნო, ვაი თქვენი ბრალიო!..  
20 — თუ თქვენ თქვენ ცხვარზე ილევით, თქვენთან ჩვენც გვეთმოს თავიო...  
წამოიწია გიგამა, წამაიყოლა ხმალიო,  
დაერია და ჩააფრთხო, როგორც ნადირმა ცხვარიო.  
წინ-წინ დაგვიკრეს გიორგის, გიგას მოსტენეს მხარიო,  
თოფს დაუმატა წამალი, ტყვიას გაჰყვება ძალიო.  
25 შვიდი გიორგის შესწირა, სულეთს უზიდეთ წყალიო,  
თითო წყემსებსაც შესწირა, აბრუნებინეთ ცხვარიო.  
მერ ბელად გამოიმეტა, გულზე დაჰხვია ალიო.  
შენ ჩემი უმცროს იყავი, თუ მეც აქ დავსთმო თავიო!..  
მულანლოს ფონზე ჩამოდგა თორმეტი ცხვრისა ფარიო,  
30 დაატრიალეს ვაცები, დაბორიელდა ცხვარიო.  
გაქჩეს გიგას ვაცები, ეყვანს გაჰქონდა ჩქამიო;  
ბელაქანშია ამოჩნდა გიგაის ვაცის რქანიო.  
გიგაის ბალთა-ყაწიმსა, სისხლის დაედვა ფერიო;

- ე მაგის ნაომარშია შვიდ წელს არ მოვა ბალახი;  
 35 თუ მოვა, მწვანეთ არ მოვა, სისხლის ამოჰყვებ ფერიო.  
 გიგამა ცხენი შეკმაზა, ლაგმის ჩაუდვა ტარიო.  
 — იარე, ლურჯავ, იარე, ალვანს დაეგდოთ ჩქამიო...  
 ემაგის მოშაირეი ალვანს თუშის ქალ ვარიო,  
 ხელში მიჰირავს ჩხირ-წინდა, ცრემლი მზდის, როგორც წყალიო;  
 40 უძმოთ გამზარდა დედამან, მეც იქ მომიკლეს ქმარიო!..

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 74, გვ. 96. სათაურად აქვს „თუშების შეტაკება შირაქში ჭარელებთან და თათრებთან“.

ცნობილია სხვა თუშური ვარიანტებიც:

### მა

მთქმელი ლაზარე ლონგიშვილი, ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 24.VII—1962 წ. ფ. არქ., კ. 23, გვ. 493.

### მბ

ჩამწერი ალვანში. ლიტ. მუზ. 20017—6. ყ. 331, გვ. 138. სათაურად აქვს „გიგა და გიორგი“. ახლავს შენიშვნა: 15 სტრიქ. ჩამატებულია“.

### მგ

მთქმელი ვ. ელანიძე. ხელნაწ. ინსტ., II—2653. სათაურად აქვს „გაგონილი“ და აქვე ახლავს შენიშვნა: „მეცხვარემ მასწავლა ეს ლექსი“. დასასრულსაც ახლავს შენიშვნა „ჩერ მასწავლა ლექსი ზეპირად, და შემდეგ ამ ლექსის ამბავი მიაგებო მეცხვარემ მთაში, ერთად ვაძოვბდით ცხვარსა“. ახლავს აგრეთვე ადამიანთა და ადგილთა სახელების განმარტებანი.

## მ ო ხ ე უ რ ი

### მდ

- ალაზანს გადმოსწოლია გულხოკერაის ჭარია,  
 სასმელად აღარ ჰქმიანობს ალაზანი და მტკვარია.  
 ყარაულები გაგზავნეს, თერკმალს დაავლეთ თვალია,  
 თერკმალჩი ჩამამდგარიყო თორმეტი ფარა ცხვარია.  
 5 გიგლას კაცი გაუგზავნეს, რომელიც იყო ჩქარია.  
 გიგლაი იყო სოფელჩი, წითელი ღვინით მთვრალია.  
 გიგლამ შეკმაზა წითლაი, ფეხებჩი გასდის ქარია.  
 — აბა, გაფრინდი წითლაო, თუ შეტყვის საომარია.

- ახლა მოვედით ახლოსა, აქ არის ჩენი ცხვარია.
- 10 შირაქის ველში გამოჩნდა გიგლის ვაცის რქანია.  
 ზედით ესროლა გიგლამა, ვაცმა დაჰყუდა თავნია...  
 — ტიალო, ჩემო ვაცებო, საით მაგიდისთ ცხვარია.  
 გადმოუფრინდა ყოჩებსა, მარტომ შაუკრა გზანია.  
 — ტიალო, ჩემო ყოჩებო, საით მიგიდისთ ცხვარია.
- 15 ერთსა რჯულ-ძაღლსა ბელადსა მკაერი ერთუა ჳრელია...  
 შემოუქნია გიგლასა, წვერმა უწია ქვიშასა,  
 დასჳკრეს საწყალი მეცხვარე, სისხლით ლებავდა მიწასა.  
 ისე აუუწეს გიგლაი, როგორც საქადე მხალია,  
 ზედით დახუურებს გივარგი, ცრემლი ჩამოზღდის ცხარია.
- 20 — მეც მომჳლეს, ძმაო გიგლაო, მომჳრეს მარჯვენა მხარია,  
 ტიალად გვრჩება ოჯახი, ჩენი ბინა და ცხვარია.

მობ., გვ. 125. სათაურად აქვს „გულხოკერაი“. არსებობს კიდევ მოხუერი ვარიანტი:

## მე

მობ., გვ. 118.

## რ ა ქ უ ლ ი

## მზ

- ატირდა თუშის ქალიო, არ მომივიდა ქმარიო.  
 ვაი, თუ დახედენ ლეკები, მოავღებინეს თავიო.  
 ვინ აქოს ჩათმას ბალახი, ცხვრის საძოვარი არიო,  
 გიგამა და გიორგიმა ჩათმას ჩადენა ცხვარიო.
- 5 ლეკებს ამბავი მისვლია, ჩათმას დგას თუშის ცხვარიო,  
 ამდგარან და წამოსულან ავაზაკთ მთელი ჳარიო.  
 შუალამე რო შეიქნა, აღინეს სისხლის ლვარიო,  
 გიორგი მტრებში შეეარდა, როგორც რომ ნიაე-ქარიო.  
 კაფა და კაფა ლეკები, როგორც ნადირმა ცხვარიო,
- 10 გიგას გიორგი მოუკლეს, საწყალს მოსწყვიტეს მკლავიო.  
 გამარჯვებულმა გიგამა კლავში მოიცა ძალიო,  
 ხუთი მოუკლა გიორგის, იქ დაგჳირდება ყმანიო.  
 ათი ლეკებსაც მოუკლა, ურიეთ სალაფავიო.  
 გიგაც მოკლეს და გიორგიც, ისე გადენეს ცხვარიო.
- 15 სხვა მეცხვარეთა გაიგეს, ლეკმა გასდენა ცხვარიო,  
 კაცი გადასეეს ცხენზედა, გაუდის ნიაე-ქარიო.  
 სოფელსა შეატყობინეს, ლეკმა გასდენა ცხვარიო,  
 ცხვარსა როგორ გასდენილენ, გიგა, ვიო იქ იყოო.  
 გიგაც მოკლეს და გიორგიც, ისე გასდენეს ცხვარიო,
- 20 ბაბურაული ტრიალებს, წელზე შეენოდა ხრმალიო.  
 სად მიხვალ ოხერ-ტიალო, სად მიგყავს ჩენი ცხვარიო.

ფირუზი მტრებში შეეარდა, როგორც რო ნიაე-ქარიო.  
ქაუა და ქაუა ვაჟკაცი, როგორც ნადირმა ცხარიო,  
ისე გაქაფეს ლეკები, მოამბე არვინ არიო.

- 25 შინისკენ გამოაბრუნეს ათი ათასი ცხარიო.  
ამ ლექსის გამომგონები, ალვანში თუშის ქალიო!  
შვიდი თვის ნაქორწინარსა მე იქ მომიკლეს ქჳარიო,  
ოვაც მართალი გიამბე, ისე მიცხონდა კედარიო.

მთქმელი ვახტანგ გერასიმეს ძე გობეჯიშვილი, 14 წლის მოსწავ-  
ლე. სოფ. ლები. ჩამწერი ნონა ლამბაშიძე. 19.VII—62 წ. თსუ — ფ.  
არქ., № 279. მთქმელს ლექსი უსწავლია მამისაგან. ლექსებში კონ-  
ტამინაციის წესით შესულია სხვა ნაწარმოებთა ადგილები. ასეთია  
მაგალითად შესავალი ლექსისა.. ლექსი მესტვირეთა მიერ უნდა იყოს  
შეტანილი რაქაში.

ცნობილია აგრეთვე უპასპორტო ტექსტი:  
ფ. არქ., № 3137.

#### 290. ნარჩივი ხალხი

მთქმელი მინდია ქისტაური. ხევეურეთი. ჩამწერი აკ. შანიძე,  
11.VIII—1913 წ. შან., № 47, გვ. 17. ლუის ლუხუმი ამ ლექსში მოხ-  
სენებული ერთ-ერთი გმირია მხოლოდ. ეს ლექსი ასეთივე უფლებ-  
ებით შეიძლება შეტანილი იქნას მარტია მისურაულის და აქვე მოხსენ-  
ებულ სხვა გმირთა ციკლში. საგულისხმოა, რომ ლექსში იხსენიება  
ასპინძის ომის გმირი ძალღიკა ხიმშიაური.

#### ფ შ ა უ რ ი

#### ბ

- მითხოს აღდი სჯობ მამაცად, ქევსურებს ხოშურაული,  
თუშებს სჯობ გაფრინდაული, მშავისკვე კუკუშაური.  
გუდამაყარ სჯობ დიდება, მახევეთ ლუღუშაური,  
კმლის ქნევით, ფარის ფარებით — ბერდია მამუქაური.
- 5 კაცზედ ვინ მივა პირდაპირ? — მარტია მისურაული?  
კაცსა ვინ მოკლავს ფიცხლად? ქირჩლაი ბაბურაული!  
კაცსა რა გასქრის ორად? — აბაის ბაწარაული!  
ჩაზვერავს ცხვარსა, ცხვარ-მწყემსსა ახალა შექიაური.  
ცხვარზე ვინ ჩავას პირდაპირ? — გამახელ თემროზაული!

მთქმელი ს. ყამიაშვილი. ჩარგალი. ჩამწერი ვ. ხორნაული. 1935  
წ. ფშ. ხეცს., გვ. 120.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

მითხოვლებს აღლიზიძეი ჯობ, მშველებს ჯობ ქუყუმაური,  
თუშებს ჯობ გაფრინდაული, ქვესურებს ხომურაული,  
გულამაყრელებს დიდება, მაქვეთ ლუღუშაური.

- 5 ლაშქართა საწინამძღვაროდ — იმედა მანანაური,  
კმლის ქნევად. ფარის ფარებად — მარტია მისურაული.  
ზურაბის ლაშქართ ვინ ჩახყვა? — ჩააცვეთს ბაბურაული.  
საბაკეს წინ-წინ ვინ ჩავა? — გამახელთ თემროზაული.  
ოსეთს ვინ დაზღებს ბეგარსა? — ბერდია მამუკაური.

- 10 დილღველთ და ქვესურთ ვინ იკერს? — გაბურთ აღუღაური.

ხევესურეთი. ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 356. ცნობილია სხვა  
ნევესურული ვარიანტები:

### დ

ჩამწერი სიმ. გაბური. შან., გვ. 356, ახლავს ჩამწერის განმარტე-  
ბანი: სტრიქ. 6 — ჩააცვეთს (ცააცვეთს: სტრიქ. 10 ცაბაურთ (ჩაბა-  
ურთ (ჩაბაურთ; სტრიქ. 11 კყვივის/წყვივის).

### ე

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 356.

### ვ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 367

### ზ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 367.

### თ

ჩამწერი ლევან რაზიკაშვილი. შან., გვ. 367.

### თ

ჩამწერი ა. კინჭარაული. კინ., გვ. 346. სათაურად აქვს „ვინ  
სჯობია“.



## მ ო ხ ე უ რ ი

### ი

- ქიშტებს სულთი სჯობს ბიჯობით,  
ხევსურებს — ხოშარაული,  
გულამაყრელებს — დიდება,  
მოხევეებს — ლუღუშაური,  
5 ფშავლებსა — ლუის ლუხუმი,  
თუშთ — ზეზვა გაფრინდაული,  
მთიულებს — დაუღეგარი  
მამათა აშუკაური.

ხევი. მოხ., გვ. 9. სათაურად აქვს „სად ვინ სჯობია“.

### კ

ყაზბეგის რ. ს. აჩხოტი. ჩამწერი მიხ. მალსაგიშვილი, 1936 წ.,  
ფ. არქ., № 5118.

#### 291. ლაქათში ლაქი ბადილდა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I № 44. გვ. 72—73.  
გადმოცემულია თუში გმირის ლუხუმის ჭვრიტის ძის მიერ ლეკთა  
გმირის ხაწეს დამარცხება. თუ ლექსში მოხსენებული ზეზვა ბახტრი-  
ონის გმირია, თუ მისი მოხსენება მხოლოდ ლექსისათვის საგმირო  
იერის მიმცემი არ არის, მაშინ გადმოცემული ამბავი შეიძლება 17  
საუკ. დაუკავშირდეს.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- ქისტეთში ვაჟი გაითქვა, სახელად ჰქვიან ხაძეო;  
აისხამს იარაღებსა, სამჯერ შახდება მთაზეო:  
ნეტავი ზეზვას შამყარა ემ სასწოროსა გზაზეო!  
ანა ჭვრიტისა ლუხუმსა ნათქომსა ვაჟობაზეო!  
5 გაიგო ჭვრიტის ლუხუმმა, მალა მოხედება ცაზეო.  
თუშებმ საკარგ-ყმო დალიეს, წინ-წინ ვინ მივალთ ჯარზეო;  
მიუსწრეს ფშავლის შვილებმა, გათქმულთა ვაჟობაზეო.  
ხაძესაც მაცნე მიუვა: ფშავლებ მოგივლენ წამზეო...  
მივიდნენ ფშავლი-შვილები, ხაძეც დახედება მზაზეო;  
10. მივარდა ფშავთ წინამძღვარი, ხელი გაჰკიდა მხარზეო;  
თავზეთ ჩაჩქან მოჰგლიჯა, ჯაჰვ დაავლიჯა ტანზეო!..  
— ხელად გამოგვეყვ, ხაძეო, თორემ თავს მოგვკრით წამზეო.

ნეტავი თქვენა, ფშავლებო, თქვენს დასხდომასა ჯარზეო!  
ხელად მოგყავისთ ხაძეი, გათქმული ვაჟობაზეო...

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექ., გვ. 81. ამ ვარიანტით ხაწე, ე. ი. ხ ა ძ ე, ძირითად ტექსტისაგან განსხვავებით ქისტია. საერთოდ ლუხუმს უდაოდ მოუხდებოდა შებმა ლეკებთანაც და ქისტებთანაც, მაგრამ ერთი და იმავე გმირის სხვადასხვა ტომის წარმომადგენლად გამოყვანა კონტამინაციის შედეგია. ტექსტს ერთვის განმარტება სტრიქ. 8. ს ა კ ა რ გ ყ მ ო - ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო.

#### 292. ლაზი და ლუის ლუხუმი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 142, გვ. 57. სტრიქ. 8. ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „წინათ მტერს რო მოჰკლავდნენ, გამარჯვების ნიშნად მარჯვენას მოსპობდნენ და წამოიღებდნენ“. აკ. შანიძის შენიშვნით „მეოთხე (ჩვენი დაყოფით 7—8 ქ. ს.) ზუხლი წესით ბოლოს უნდა იყოს მოქცეული, და არა იქ, სადაც ახლა არის“. შან., გვ. 419.

#### 293. ლეკების ჯარი მოვიდა

ცენტრ. არქ. ფ. 1446, № 689, გვ. 74. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 4. ჰ ე რ ო — ს ო ფ ე ლ ი ა; სტრიქ. 18. ტ ი გ რ ი ა ნ ი — ა ტ ა - ლ ა ხ ე ბ ა — უნდა იყოს ატალახებული. ქ. ს. სტრიქ. 24-ს ფრჩხილებში მიწერილია — თ ბ ი ა ნ ი.

#### 294. ლუხუმი

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 91, გვ. 35. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. „ერთმანეთს წაჰწყდომიან მოთარეშე თუშები და ლეკები“; სტრიქ. „ლუხუმსა“; სტრიქ. 14 — „წესი არ იყო, რომ ცოცხალი კაცისთვის მარჯვენა მაეჭრასთო“; სტრიქ. 22 — „უკუ რ ნ ის ა ო — უკანონოდ დაჩაგრულს ისევ ბუნებამ აღმოუჩინა შემწეობა: წყლული გველმა განუკურნა, ხოლო იმის შესაქმელად წამოსული დათვი მდინარემ დანთქა“; სტრიქ. 24 — მუხლი „მაურჩაო“. იქვეა აკ. შანიძის შენიშვნა ვაჟას მიერ „ბახტრიონში“ ლუხუმზე არსებული თქმულების გამოყენებაზე. შან., გვ. 393—394.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი, მცდენელი ვაჟკაცისაო!  
კლდეთ გადმუარდა ლუხუმი, ფეკ მაიტუხა მგლისაო.  
დაჩეხა თოფის კონტახი, შაიკრა არტახითაო.  
ლუხუმს მეკობარ შაჰვარდა ურჯულო დაღისტნისაო.
- 5 პირდაპირ დათვი ჩამუა ბაბრი მადრანის ტყისაო.  
„მაგის საქმელად ნუ გამქდი, კელი მალირსე მტრისაო!“  
დათვი პირ-ალმა შაბრუნდა, ბჰანება იქნა ღთისაო.  
ექიმად დაუყენებავ დიაცი ბუსურბნისაო.  
დაასაფლავეს ლუხუმი, კუბო დაადგეს რელისაო,
- 10 შიგ ოქროს ლულებ ჩაუშვეს, შუქი ჩავიდეს მზისაო.

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 394—395.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

- ეშმაკიმე დაიწყევლების, მამცდენი ოშკაცისაო,  
კლდეთ ლუხუმ გამამფრინდალა, მუქლ მათუტხავ მგლისაო.  
ლუხუმის ამხანიგებსა თას ჩამახყარეთ რელისაო!  
გაქეჩა თოფის ყონდაყი, მუქლი შაიკრა ხითაო.
- 5 გარმუჩინდეს ლეკები, თორმეტი, დაღისტნისაო,  
არ შაშინდების ლუხუმი, ფერი დაიდო მგლისაო.  
„არ გინდ, ლუხუმო, არ მოგკლავთ, ბრალია კაის ყმისაო!“  
თოფი წაართვეს კირიმი, კარა გადუგდეს სხვისაო.  
აქიმად დააყენიან დიაცი დუსურბნისაო.

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 394.

ცნობილია მეორე ხევსურული ვარიანტი:

### ღ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 394.

### 295. ლუის ლუხუმი

თუშეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 421. აკ. შანიძემ ტექსტი აღადგინა და დაბეჭდა ხელნაწერის მიხედვით და არა ისე, როგორც ეს დაბეჭდილი იყო „მოამბეში“ 1897 წ., № 3. იქვე აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს საფლავზე სისხლის აღების ამბის გამოყენება ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში“. შან., გვ. 419.

ბ

გაისთველქმელა ზაფხულმა, ნეტავ ვის თუშის ჰირადა?  
საბოსლოს იჯდა ლუხუმი, ნეტავ თუ შავის ჰირადა?  
გაულეს შუაღამის დროს ლუხუმსა ბოსლის კარიო.  
გამაიარეს ბოსელი, ნაწოლ მოქელეს კარიო.

- 5 „ვაი თქვენს ლუხუმს, ძალღებო, თოფმ დამინაყა ტალიო;  
აღარც გადმამყვა ხანჯარი, მედინა სისხლის წყალიო“.  
იქერენ, ვერ დაიპირეს ლუის ლუხუმსა ცხრანიო.  
ძლივ სადამ დაიმორჩილეს, წინ დაუყენეს ცხვარიო.  
შამაჰდინეს მთაზედა, თუშეთს დასწერა ჯვარიო.
- 10 „კა იყავ, ჩემო თუშეთო, მასავალ აღარ ვარიო“.  
სოფლებში ჩამაველიეს, სრუ შამაველა თვალიო,  
მიხყიდეს ჰირის პატრონსა, სრუ გამაართვეს რვალიო,  
შამაჰდინეს საფლავეზედ სანთელ-დაკრული ჰარიო.  
თუშის ქალმ იცნა, შასტირნა: „ლუხუმს ნუ მახკლავთ, ბრალია!“
- 15 „ბევრჯელ უტირენ დედანი, ცხვარ-წყემსს გაუქერ თავია“.  
საფლავეზედ გამათამაშდა: „ქელშიამც მამცა კმალია!“  
ზედავ გასწირა ლუხუმმა ხვედეგი მეომარია.  
ხვედეგმ გასწყვიტნა ჯალაფნი, ცეხლთ მიუღვარა წყალია,  
თავად მშვიდობით წავიდა, გამაუჭარა კარიო.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 143, გვ. 57. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნები განმარტების ხასიათისა, რაც გადმოცემებს ემყარება. ასეთებია მაგალითად — სტრიქ. 12. „მიხყიდეს ჰირის პატრონსა — „ჰირისუფალსა, ვისაც ლუხუმმა მოუკლა ძმა, ან შვილი, ან მამა, ვისი სისხლი ემართა“; იქვე, „სრუ გამაართვეს რვალიო — „ლუხუმში სულ სპილენძი აიღესო ფასად“; სტრიქ. 14 — თუშის ქალმ იცნა — „ეს თუშის ქალი ტყვე ყოფილა“. შან., გვ. 419.

ბ

გაისთველქმელა ზაფხულმა თუშის რომელის ჰირადა?  
საბოსლოს არის ლუხუმი, მარტუა თავის ჰირადა.  
დაუგულეზავ ლუხუმი, ლეკებს დაუკრავ თვალია,  
არ ჰნილა შუა-ღამეი, ჩუმად შაულეს კარია,

- 5 შამაუარეს ბოსელსა, ნაწოლ მოქელეს კარია,  
დაასხდეს, ვერ იმაგრებენ ლუის ლუხუმსა ცხრანია.  
ძძლივ სადამ დაიმორჩილეს, ამბობს: „რა მოშლით ვარიო?  
ხანჯარი მაინც მქონიყო, ამესხა სისხლის ცვარიო“.  
გამაიყვანეს ლუხუმი, წინ დაუყენეს ცხვარიო.
- 10 ქავთრის მთას გადასიესა თუშეთს დასწერა ჯვარიო:  
„მშვიდობით, ჩემო თუშეთო, მომავალ აღარ ვარიო“.

ჩვედეს დიდოთ სოფელში, შამახვია ქარო:

„შენ ღარა ლეის ლუხუმი, ლეკეთის ნიავ-ღარიო?“

იყიდა ჰირის პატრონმა, სულ გაიტანა რვალიო,

15 საფლაგზედ შამაქდინეს, რომ ნაკურთხევი ქარო.

ბაგოს ატირდა სოფლადა ტყვედ ნამყოფ თუშის ქალიო:

— „ღმერთო, ნუ მახკავ ლუხუმსა, გაუკითხენი ბრალნიო!

ქელნ გაუქანით ლუხუმსა, მემრე მიეცით კმალიო.

— „ნუ სტირი, თუშის გაზდილო, ჩემ სიყვილ არა ბრალიო:

20 ბევრჯელ უტირენ დედანი, ცხვარ-წყემსთ გაუქერ თავიო“.

ლუხუმის დედას უთხარით, მთა-წყვეთ ნულარ აქვ თვალიო,

ადარ მოგივა ლუხუმი, თმალის მყვირალ ქარო.

მაგრამ მანდ დაშჩა ბიძასა ძმისწული მეომარო.

ხვედგემ გაწყვიტნა ჭალაფნი, ცეცხლთ მიუღვარა წყალიო,

25 თავად მშვიდობით წავიდა, გამაუჯარა კარო.

ჩამწერი ბაჩანა, ივ., № 217, 1898; შან., გვ. 419—420. ბაჩანას ამ ლექსისათვის სხვა მასალებთან ერთად სათაურად გაუკეთებია „სა-ეპოსო მასალა, ხევსურეთში გაგონილი“. ლექსის დასაწყისთან დაკავშირებით ბაჩანა შენიშნავს „გაისთველქმელაო, იტყვიან, შემოდგომაზედ რომ თოვლის მოსვლა დაიგვიანებს. ბაჩანა იძლევა განმარტებას სტრიქ. 24 — ხვედგემ გაწყვიტნა ჭალაფნი. განმარტება ემყარება საინტერესო გადმოცემას: „ხვედგეგი ძმისწული ყოფილა ლუხუმისა. სამაგიერო იმას გადაუხდია ლეკებისათვის, სისხლი უზღვავ ასე: ლუხუმი ლეკებს მძინარე შეუპყრიათ და ტყვედ წაუყვანიათ. დაღესტანში ის მიცვალებულის პატრონს უყიდნია. წაუყვანიათ ლუხუმი და იმ მკვდრის საფლაგზედ დაუკლავთ. გასულა მას შემდეგ კარგა ხანი. ლეკებს კიდევ დაჰვიწყებიათ ეს ამბავი, მაგრამ ხვედგეს რა დაავიწყებდა? როცა დრო უხელთებია, ორი სხვა ამხანაგით იმ სოფელში მისულა, სადაც იმისი ბიძა დაუკლავთ. ჰკოდნია, ვინც იყო იმისი ბიძის დამკლავი „ჰირის პატრონი“, ჰკოდნია მის კოშკიც. ღამე მისდგომია ვახშამს უკან. ასვლა კოშკზედ ნიადაგ ძნელი იქნებოდა. ხვედგეს ხის სოლები ჰქონია დათლილი, კედელში ურჭვია ეს სოლები, საფეხურები გაუკეთებია და ასულა კოშკზედ. „როცა ავალ და შიგითურობას დავათვალიერებ, განიშნებთ და თქვენც ამოდიოთ“, ამხანაგებისათვის უთქვამს. მაგრამ როცა ჩაუხედნია და ნასხდომი ჭალაბობა უნახავ, თავი ველარ შეუკავებია, ჩაჰხტომია მარტოკა და დაჰრეგია. არ დაუნდვია არც დიდი და არც პატარა, არც ქალი და არც ვაჟი. ხუთი ძმა-ბიძაშვილი, მათი ცოლ-შვილი, თუ სხვა ვინმე იქ მყოფი, ყველა იმის ხმლის მსხვერპლი გამხდარა. თითონ კი ამხანაგებიანად ისევ მშვიდობიანად დაბრუნებულა შინა. დახოცილების მარჯვენა ხელებსაც ნიადაგ წამოიღებდა თავისის კოშკისა და ქაეციხის შესამკობად“. შან., გვ. 420.

ხევესურულია აგრეთვე კახეთში ახალჩაწერილი ფრაგმენტული ვარიანტები, რომელნიც რაიმე თავისებურებას არ იჩენენ:

## დ

მთქმელი თ. წიკლაური. არხილოს კალო. ჩამწერი ი. ძამიაშვილი. 20.II—1962 წ., ფ. არქ., კ. III, გვ. 33.

## ე

მთქმელი მზექალა არაბული. თიანეთის რ., ს. ტოლანთუბანი. ჩამწერი ნ. სახელაშვილი, 16.VII—1961 წ. ფ. არქ., კ. 28, გვ. 28.

## ვ

ს. ლიქოკი. ჩამწერი გ. ლომთათიძე. სნჯ. III, გვ. 46. უკანასკნელი 14 სტრიქონი სხვა ლექსია გადაბმული ან კონტამინაციის წესით ან კიდევ ჩამწერის შეცდომით. მისი ერთი ვარიანტი ჩვენ ხალიაიძის ციკლში შევიტანეთ, ვფიქრობთ, ლექსში მოხსენებული მიქა ხალიაი-სძე უნდა იყოს. სტრიქ. 10. დ ა ვ ბ რ უ ნ ა ვ მოსალოდნელია — დ ა მ-ბ რ უ ნ ა ვ.

## თ უ შ უ რ ი

## ზ

- ზამთარმა. გამოიხმელა, ვინ იცის ვისად ჰირადა.  
ბაგვაზში ლექებ ამბობენ: ლუხუმს მოეალოთ თვალთ.  
ოთხშაბათს თენებოსასა ბაკის გაგიღეს კარია,  
— წამოდგე, ლუის ლუხუმო, ხელთ აიყოლე ხმალია,  
5 ვერას წამოდგებ, ლუხუმო, ძილმ დაგატანა ძალია;  
მძინარს დაგაწვა ლაბაზან, ცხრან დაგეხვიენეს თავზედა;  
ხელებს შეგიკერენ, ლუხუმო, გაგამგზავრებენ გზაზედა;  
უცხო ქვეყნებსაც გაივლი დაღისტნის არე-მარესა,  
წინ ცხეარსაც გაგირეკავენ, იმგზავრებ შორის გზაზედა,  
10 ქიბდურის მთაზე, ტიალი, უკან გაბრუნებს ქარია,  
არცა გაბრუნებს ქარია, ცოლ-შვილთ გქონდ ცოდო-ბრალთა.  
ბაგვაზს ჩამოგსევს შუ უბანს, გარს მოგეხვია ჭარია.  
გადახედ ლეკის ჭარებსა, თვალზე ჩამოგდის ცრემლია,  
არ გქონდა ხელი ნებასა, მუხლთ წაეკვეთნოს წვერნია.  
15 ქალმა შეხედა, ასტირდა: მეც შენაქოელ ვარია.  
ლუხუმ, აქ რაღამ მოგიყვან, შენაქოს მყვირალ ხარია.  
მაგ ქალის ცოდო-ბრალთა აღმური აგდის სახესა...  
აქ ჩაგდეს თოფის სალიშნეთ, მწვავეთ გესროდენ ტყვიასა.  
დღეს ლექებ დააღამებენ, ერთ ვერა დაგკრეს ტანზედა.

- 20 — სალიშნეთ, წამოიძახა, ჩემი მესროლეთ თოფია!..  
 თოფმა, ტიალმა, პატრონსა ლუხუმს დახვრიტა ტანია,  
 უთხროდეთ დიკლო-შენაქოს, ხვარშნელთ ნუ მისცენ ზავია;  
 თუ სოფლად ვერას გამოხვალთ, მთაში უხოცეთ ცხვარია.  
 ამ ლექსის მომლექსებელი შენაქოს ეზივარ ქალია,  
 25 მომაგონდება ტიალი დიკლო-შენაქოს დრონია;  
 ეზივარ და მწარეთა ვსტირი, თვალეზზე მამდის ცრემლია.  
 დიკლო-შენაქოს წახდენით დაბრუნდა ცოდო-ბრალია.  
 აღარ ვინ დარჩა კაცის ძე, ვაი დაგვეცა, ვალაა.  
 სოფლად ბუღობენ ყორნები, მწარედ დაყუყუენ ბრალადა;  
 30 ნურც დავესწრობით ამ დროსა, კაცი ნუ ნახავს თვალადა!..

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 64, გვ. 87. ტექსტს ახლავს შენიშვნა: „დიკლო და შენაქო ახლო-ახლო მდებარეობენ. ორივე სოფელი ერთ დროს ააოხრეს ლეკებმა“. იქვე.  
 არსებობს სხვა თუშური ვარიანტებიც:

ფ

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 65, გვ. 88.

თ

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 66, გვ. 88.

296. თილისძე

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 55; საისტ. II, № 149, გვ. 129. ივ. ბუქურაულს შეტანილი აქვს ლექსების ციკლში, რომლის საერთო სათაურია „გიორგი თილიძე“ — თაყ. I, გვ. 55.

297. ნებარ არ ზამახვილდესა

ხეცურული. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 83; გვ. 32; საისტ., II, № 143. ტექსტს ახლავს თედო რაზიკაშვილის შენიშვნა: „ეს გორგი გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა თუშეთში, ლეკების სულთამხუთავი, თილისძე იყო გვარად“; შან., გვ. 391, აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს სტრიქ. 9—14 მსგავსება სხვა (შან., № 106), ლექსთან. შან., გვ. 391. მკვლევარის მიერ აღნიშნული ეს მსგავსება კონტამინაციის მოვლენაა. ერთი ფშაური ლექსის მიხედვით აკ. შანიძე შენიშნავს: „გორგი ქისტებს მოუკლავთ“. იქვე.

ჩვენის აზრით ამ ტექსტში ორი ლექსია კონტამინირებული. სტრიქ. 1—8 და სტრიქ. 9—34. პირველი სტრიქ. 1—8 ასახავს ხალხურ რწმენას გმირის იარაღის მაგიური ძალისა. ჩვენის აზრით ციხის

საძირკველში ცოცხალი გმირის იარაღს არ ჩაატანდნენ. ვფიქრობთ, სტრიქ. 1—8 შექმნილია გმირის სიკვდილის შემდეგ. შემდეგი სტრიქონები — კი გმირის სიცოცხლეშია შექმნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ თუშურ ვარიანტში პირველი 8 სტრიქონი არ არის. გორგი თილისძე ტრადიკული პიროვნება ჩანს. იგი არის ცენტრში, როგორც ლეკიანობის, ასევე — შინაური შუღლის ამსახველი ლექსებისა. ლექსებიდან „ლაშარს მოვიდა თილისძე“, „თუშეთით კაცი მოვიდა“ და სხვ. ჩანს, რომ თუშ გმირს თილისძეს გაუნაწყენებია ფშავლები და შეწყყნარებას ითხოვს.

ამ ციკლის ლექსების („თუშები ლეკების წინააღმდეგ“ — შან., № 84, „თილისძე“ უმიკ., № 262 და სხვ.) მიხედვით გორგი თილისძე ერეკლე მეორის თანამედროვე გმირია.

## თ უ შ უ რ ი

### ბ

მთათა ლეკურთა ყორანო, ვერც რას დაჰყეფავ სხვასაო!...

გორგი წასულა საველოთ, გაეყენეთ ე შავის კვალსაო.

შურაში ჩავა ხიდზედა, ვიწროს შაუკრავს გზასაო.

ანთაი თავბერიძეი — ვაჟკაცი სცდიდა თავსაო;

5 დავითი ფარეჟანიძე ხმალსა აქრევედა ძალზეო.

კითხვაც არ გინდათ, ყორნებო, ჩადითო ნაომარზეო;

დალოცეთ ხმლისა მქნევლები, ნაქერ საც იყოს ტანზეო.

შვიდ წელს არ მოვიდ ბალახი თილიძის ნაომარზეო...

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 19, გვ. 55; საისტ., II, გვ. 336. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 2 — საველოთ—ს ა ლ ა შ ქ რ ო დ; სტრიქ. 3 — შურა — ქ ა ლ ა ქ ი თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ა.

### 298. თუშები ლეკების წინააღმდეგ

ხევსურული. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 84; გვ. 33; საისტ., II, № 144, გვ. 124. თუ ლექსში მოხსენებული ერეკლე, ერეკლე მეორეა, მაშინ გორგი თილისძე მე-18 საუკუნის გმირია.

### 299. თუშთ მოურავი

ხევსურული, ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 140, გვ. 56. შეიძლებაოდან ეს და წინა ნომერი ერთიმეორის ვარიანტებად ჩაგვეთვალა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია, ამიტომ დამოუკიდებელ ნომრებად წარმოვადგინეთ.



## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- თუშეთზე თუშთ მოურავნა შამოიარა ცხენითა,  
არჩივა თუშის შვილები, გამოარჩივა ხელითა.  
შავროდეს საქერეზედა, ზედ ნისლ დაეცა ცერიანი,  
შასწუხდა თუშთ მოურავი, გზა ვერ გავიგი ტიალი;
- 5 თუშობით შამოიძახა; თუშო, ვინა ხარ ხმლიანი.  
თილასძე გორვი ცხენს შეჭდა, მაგრამ გაილო პრიალი.  
ჩილოთ გადახევა დავითი, ხეადმა გადილო გრიალი.  
ბუთლაის ჩალისფერამა ბორტე გაწკიბ მარახელიანი.  
დაფიცხდა ხირიმ თოფები, ისმის მჯურების ჩქამია,
- 10 თუშის თილისძის მაჟარმა ბევრჯელ გახვრიტა სამია.

ამოწერილია გიგოლა ზვიადაურის რეეულიდან დ. წერედიანის მიერ, 1961 წ. თიანეთის რ. კიაურა. ფ. არქ., კ. 27, გვ. 170.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

- თუშეთში თუშთ მოურავმა სრუ დაიარა ცხენითა,  
შაყარა თუშის ლაშქარი, წვერ გაიარა კლდიანი.  
არნაბულ ჩამადიან, დილაი თვირთვილიანი.  
ჩავიდეს სარტლოვანზედა, ნისლი დაიბა ცერიანი.
- 5 შასწუხდა თუშთ მოურავი: „გზა ვერ გავიგი ტიალი!  
არიქა, თუშის შვილებო, ჭინ უფრო ხართა კმლიანი?“  
თამაშობს ჭიმშელის ცხენი, ლაგამ ოქვ ოქროიანი.  
თავ-ბერაის ლურჯამა ბორტე წკია მარახლიანი,  
ოთაის ჩალის ფერამა ბაკზე დაიწყავ ფხვრიალი.
- 10 სამივ საბაეე აილა, წყემსი ვერ დახედა კმლიანი.  
ესრიაე, გამააგორა ე წყემსი თეჟიანი,  
კარგა დაბრუნდა ქვესური იღუა სახელიანი.  
კმალ კარგა გიჭრის, იღუავ, ქელ როგორ გიძლებს კმლიანი?  
ქელი კალთათ მოგქონდა, ციხე გოქვ ჩარდახიანი.
- 15 შინ მოსელა გიღირს, იღუავ, ქალნ მოგეგებნან თმიანი.  
უთხარი თუშთ მოურავსა: „წყალობა მიყავ ხეთიანი“.  
ამათ სიმღერეთ მათქეამსა მამა მეც მყანდა კმლიანი.

მთქმელი ნ ა თ ე ლ ი ს ძ ე ა ლ უ დ ა უ რ ი. ს. კაკმატი. ჩამწერი აკ. შანიძე, 26.7. 1913. ჩამწერის განმარტებანი: სტრიქ. 8 ბორტე წკია მარახლიანი, ბორტევი დაგლიჯა ცერიანი (ვარ.); I სტრიქ. 14 კე-ლი ქისტისა; მოგქონდა—მოგაქვის (ვარ.). შან., გვ. 418.

ხევესურული ვარიანტებია:

## დ

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., გვ. 418.

## ე

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., გვ. 418.

## თ უ შ უ რ ი

## 3

თუშეთში თუშთ მოურავი ღვთისაგან დავლათიანი.

შეხყარა თუშის ჭარები, ქვესურე ჩნ-სთვალა კმლიანი,

ჩამოდგებ ხისოს ლაჟში, დილა არს თვირთვილიანი.

დაღონდა თუშთ მოურავი: — გზაინ ველარ ვიც ტიალი!

- 5 თილიძე გორგი ცხენზედ შეჯდ, შარაჲს გაყდები მრიალი;  
თან გახყებ ბილოზიეი, აბჟარმ გაილო ჟრიალიე;  
გოთაჲს ჩალისფერაჲსმან ბაჲზე დაიწყო ფხერიალი,  
ჟარჲიე კრელაჲზეი დაბრუნდა მკლავ-სისხლიანი.  
რად არამ გამობრუნდება იღუაჲც კრელაჲზეი.
- 10 ანამ მულკლ არ დეჲღალა, ან მკლავ არ დაშვრა კმლიანი?  
იღუაჲც გამობრუნდება იღუაჲც სახელიანი...

უთურგ., გვ. 136. სათაურად აქვს „თუშთ მოურავი“.

### 300. ხალეზუმ სამკლავინანსა

გ. ზვიადაურის რვეულიდან. თიანეთის რ., სოფ. კიაურაში 1961 წ. ამოწერა დ. წერედინმა. ფ. არქ. კ. 27, გვ. 171, საგულისხმოა, რომ ამ ლექსის მიხედვით თილისძეს ხალხი წარმოიდგენს გმირის იდეალად.

### 301. ერთსა მჲ ვიტჲვი სამამსა.

გ. ზვიადაურის რვეულიდან სოფ. კიაურაში (თიანეთის რ.), 1961 წ. ამოწერა დ. წერედინმა. ფ. არქ. კ. 27, გვ. 169. ლექსში მოხსენებული გორგი თილიძე უნდა იყოს. იგი თუშად იხსენიება.

ამ ლექსიდან ისე ჩანს, თითქოს გორგის კვეთილიდან გამოეხსნას ომალოელი ქალი.

### 302. თუშეთით კაცი მოვიდა

ფშ. ლექს., გვ. 30—32; საისტ. II, № 147. გვ. 126—127. ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 12 — გუდანის ჯვარი — სალოცავი ხევ-

სურეთში. იმის დროშას ემორჩილება ეხლაც თუშეთი, რომელიც ხარჯს აძლევს ამ დროშას...“; სტრიქ. 21 — წოვა-თუში გაქართველებული დღიღვია, ქისტი მოდგმით თუშების ერთს თემს ეკუთვნის; სტრიქ. 25 — ხოშარა — სოფ. ფშავში, სტრიქ. 28 — მუქუ — სოფ. ფშავში; სტრიქ. 44 — სანათაური — წოვა-თუშის ქალი, რომელმაც წააქეზა წოვა-თუშები ფშავლების წინააღმდეგ. ამ განმარტებასთან დაკავშირებით ვაჟა ფშაველა შეეკამათა დ. ხიზანაშვილს. ჩვენის აზრით ეს ის სანათა არ არის, რომელიც იხსენიება „ბახტრიონში“. რთული ტექსტია. იგი თითქოს კონტამინაციის ნიმუში უნდა იყოს. სტრიქ. 47-დან ბოლომდე გავრცელებულია დამოუკიდებელი ლექსის სახითაც — თუმცა იგი ზ და გ ვარიანტებშიც არის. შეიძლება იგი შემდეგ გავრცელდა დამოუკიდებლად.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- თუშნო ნუ ჩახვალთ კოშარას, კოშარა ეკლიანია,  
ჩახვალთ და ველარ ამოხვალთ, გიორგი ეტლიანია.  
იქ სამნი მგელნი ბუღობენ, სამნივე ლუკვიანია.  
კოშარით კაცმა იძახა: მუქოს ვინა ხართ კმლიანი.
- 5 შინა ვართ ბიძა-მმისწულნი სუმელჯი სუროღვლიანი  
ჯორით მოქქონან ისარნი ნაწებნ არწივის მხრისანი,  
გსროლის, გამაგორის თუში ფექ ჩითიანი.  
— მოხველა თილის ობოლო, ამბავ რა მაიტანია,  
ჩახველა კოშარაშია, ბეგარა აიტანია,
- 10 კოშარით წამაიყვანე შიგ არჩეული ქალია,  
დახხურე საჩეხის ქული, შიგ შაუკვალთე თმანია.  
— ერთი მე კი მოგიველ დედაო, ბევრი სხვა ვერ მოდიოდა,  
დაგვლიენა კოშარის გორმა, იქ წყლის არგამოდენამა,  
იწრომ, მოკლემა ადგილმა, მოკლედ ფშავლების დენამა.
- 15 წყურვილის შაღონებული ცხენს მკედარ ჩამოდიოდა,  
წოწკურაულს ისარი მუქით იქ ჩამადიოდა.  
წორსა ვარ, ახლოს ვერ შავრჩით, კიდეე იმასა ჩიოდა.  
მეც არქილომდე გადმამყევა, ცუდი ნიავი დიოდა.  
ბაყაი დ' ბერიძიაი ერთმანეთს მოხხედენ ქარები,  
20 ველარ მისწონეს მეშვლადა, დაანაფოტეს ფარები.

ზოგთა თქვეს: ერთად დემარხოთ, რადა გეშურს მიწამყარები,  
უფრო ბრალად დაიტირებენ იკლოელი და კოშარელი ქალები.  
ატირდა თუშის ქალები: „აღარ მოგვივლენ ქმარები,  
რა უყვათ იმათ ცხენებსა, რით დაუქირათ თავები!...“

- 25 ზოგთა თქვეს: „მინდერად გაუშვათ, დაგაღონ ნალ-ლუსმარები“;  
ზოგთა თქვეს: „უკულმ დაეკმაზოთ, ზედ თავად შავსხდეთ ქალები“;  
ზოგთა თქვეს: „ფშავში წაყიდეთ, ჩვენც იქ დავირთოთ ქმარები“.

ჩამწერი ი. ბოძაშვილი. 1897 წ. ხელნაწ. ინსტ., II—1968. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 18 — არქილო — მთა ანდაკის გვერდზედ; სტრიქ. 19 — ბაცა — თუმის სახელი; იქვე — ბერიძე — ფშავლის სახელი.

## ბ

ფშავი. მთქმელი შუშანა ბოძაშვილი. ჩამწერი ი. ბოძაშვილი. 1897 წ. პირველი რვა სტრიქონი მსგავსია ზ ვარიანტისა. განსხვავება: სტრიქ. 4 კოშარა ეტლიანია: სტრიქ. 2 — კოშარა ეკლიანია სტრიქ. 4-ს მოსდევს.

ძირითადი ტექსტის სტრქ. 29—44-ს ვარიანტი:

ასჩამდა წოწკურაული სუმელჯა ორუღეიანი,  
ჯორით მოქონდეს ისარნი, ლლის არწივის ფრთისანი;  
ესროლის, გამაგორის, თუში ფეკ-ჩითიანი...

— მოხველა თილის ობოლო, ამბავ რა შიიტანეა?!  
5 „მე კი მოგიველ, დედაო, სხვა აღარ ვინა მტანო,

დაგვლიენა კოშორის გორმა, იქ წყლის არ გამოდენამა,  
წყურვილის შეწუხებულმა მკედარის ჩამოდენამა;

ვინრო-ინრომა ქვე-ქუვემა, მოკლელ ფშავლების დენამა,  
წოწკურაულის ისარმა უწყალოდ შამოდენამა,

10 ნაკვეთაურის ფრანგულმა, სანათაურის ენამა“.

შემდეგი ბოლო სტრიქონები უცვლელად იმეორებენ ზ ვარიანტის სტრიქ. 23—28. საგულისხმოა ამ ვარიანტში ნაკვეთაურის ხსენება ნაცვლად წოწკურაულისა (ძირითადი ტექსტი სტრიქ. 43; ზ ვარიანტი, სტრ. 16). ნაკვეთაური, როგორც თილიძის მოწინააღმდეგე, იხსენიება ლექსში „ლაშარს მოვიდა თილიძე“ (ძირითადი ტექსტი სტრიქ. 11). ეს გარემოება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს და ბევრი სხვა სტრიქონი კონტამინაციის წესით კი არ არის შესული ამ ლექსში და საერთოდ თილიძის ციკლში, არამედ მისი ორგანული ნაწილი უნდა იყოს.

## ღ

მთქმელი ფუნჩია ხუციშვილი. სოფ. ომარიანი (თიანეთის რ.). ჩამწერი შ. კონსტანტინიდი, ფ. არქ., კ. 21, გვ. 76. ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 2 — კაცის სახელი; სტრ. 2 — შახიანი—ზავთიანი; სტრ. 6 — მთქმელის შენიშვნა „დაიცა ცოტა, დამცილდა, დამავიწყდა, პო...“ სტრ. 8. გვარია ფშავლისა; სტრქ. 9 — მთაა პირიქით—აქედან ახლო; სტრიქ. 11 — მდინარეა პირიქით ხევსურეთში.

ამ ვარიანტს წაბმული აქვს ამავე ციკლის მეორე დამოუკიდებე-

ლი ლექსი „ლაშარს მოვიდა თილისძე“. იგი ცალკე წარმოვადგინეთ დასახელებული ლექსის ვ ვარიანტად.

## 2

მთქმელი ბ. შავერდაშვილი. ს. ტუშურები (თიანეთის რ.). ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი. ფ. არქ., კ. 21, გვ. 117—119. სათაურად აქვს „თუშ-ფშაველთა ბრძოლა“. იგი ამ ლექსის ე ვარიანტად წარმოვადგინეთ. მთლიანად ტექსტი საინტერესოა ციკლის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ახლა ცალკე ნაწარმოებებად გავრცელებული ლექსები მთქმელმა ერთ ტექსტად წარმოადგინა. მთქმელის კომენტარებმა ტექსტს შერეული ნაწარმოების ფორმა მისცა.

## 2

— მოხველა, თილის ობოლო, რა მიიტანე ამბავი?

— გაიბობთ დავითის მზემა, დავითმ თქვენ გითხრათ მართალი...

გიორგი ნაკვეთაური ფშაველებს ჰყოლიყო სარდალი;

ხოშარას ქობის კრაშია იმან მოგვიკლა შაბალი.

5 თუშნი ხოშარამ დალიენა, ბოზ თუშთ დედათა ენამა, —

გძელმა იმ ხოშარის გორჰა, იქ წყლის არ გამოდენამა;

იწრომა ფშაეის ხეებმა, ფშაველების მოკლედ დენამა;

წოწკურაულის ისარის ყიათად წვერის ცეშამა,

ქიჩოთ მოსულთა ობოლთა, იმათ სახელის დებამა,

10 მათურელებმა ვაყებმა, იმათ გორის პირს დენამა;

მოჭვრიტეს გოგლაის გორი თუშთა ქალებმა თვალითა —

არ მოგვივიდა შაბალი, არც ლილო წითლის ფართია;

თუ ლილოს დაატყვევებდნენ, ქალებ იხსნიდეს ქრთამითა...

თუ არ მოგცემდეს ქრთამითა, — ორმოცი ვერცხლის ფართია...

ფშ. ლექს., გვ. 42—43; საისტ., II, გვ. 341—342. ახლავს განმარტება: სტრიქ. 4 — შაბალი — თუშის სახელი.

## 3

ლექსის თექვსმეტი სტრიქონი მოყვანილია ვაჟა ფშაველას წერილში „ლაშარობა“, თხზ. V, გვ. 51. საგულისხმოა ამ ვარიანტში ხსენება წოწკურალისა და ნაკვეთაურისა. პირველი ისრის სროლის ოსტატადაა გამოყვანილი — მეორე — ხმლის ქნევის.

## 3

მთქმელი გ. ზვიდაური. სოფ. არქილო. 1939 წ. ფშ. ზევს., გვ. 106. რვასტრიქონიანი ვარიანტია. პირველი ოთხი სტრიქონი ემთხვე-

ვა ძირითადი ტექტის სტრიქ. 27—30. დანარჩენი ოთხი სტრიქონი ძირითადი ტექსტის სტრიქ. 31—34-ს ვარიანტია:

ჯორით მაილნა ისარნი  
ლალის არწივის ბოიანი,  
ესრივა, გამაავორა,  
დიჩინი დოლბანდიანი.



მთქმელი: სოლომონ ხისფეხიშვილი, სოფ. ფუქნარი, დუშეთის რ., ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 17.VII—1961 წ. ფ. არქ., კ. 23, გვ. 441. ატსტრიქონიანი ვარიანტია. პირველი 4 სტრიქონი ძირითადი ტექსტის სტრიქ. 35—38-ს ვარიანტია:

მოხველა თილის ობოლო,  
რა მაიტანე ამბავი.  
მე კი მოვიველ დედაო,  
ბევრი სხვა ვერა მოვალის.

მომდევნო ორი სტრიქონი — ბ ვარიანტის სტრიქ. 15—16-ს მსგავსია:

წყურვილის შადონებულ  
ქედქედ ვერ ამოდიოდა.

დანარჩენი ოთხი სტრიქონი ძირითადი ტექსტის სტრიქ. 39—42-ს ვარიანტია. განსხვავება — სტრიქ. 39 — თუშნი ხოშარამ დალივა.

## ბ ე ვ ს უ რ უ ლ ი



- „მოხველითა, შვილნო, მოხველით? ბევრა ამბები დიოდა.  
— ჩვენ კი მოველით, მამაო, ბევრი სხვა ვერ მოდიოდა.  
ზოგს სკრიდეს, ზოგსა იკერდეს. სისხლის წყაროებ დიოდა.  
თბე-წვრილს ისროდეს ისარსა, მშვილდის გოზები კყიოდა.
- 5 შაწუხებული მკედრები ცხენზეით ჩამადიოდა;  
კირიმე დავითაისი ემაგას არა სტკიოდა.  
ყმა მზირთად გადმოხვეწილი მთას ქორებულად კიოდა;  
გულს ეშუო თბე-შავ ისარი, სისხლი ყიათა სდიოდა,  
ყიათას ჩამონადენი ჭაქვის კალთეებს ზდიოდა;
- 10 ჭაქვის კალთათა ნადენი თმა-წვეერთა გარდასდიოდა;  
ხუთი მამკლა მარტუას, „ვერა ვქენ“, იმას ჩიოდა.  
თავი არ მალგონდებოდა, ამხანიგებსა ჩიოდა.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 144, გვ. 58; საისტ., II, გვ. 342—343. სათაურად აქვს „თარეშიდან მოსული შვილები“. თ. რაზიკაშვილის შენიშვნა:

„ეს ლექსი ფშაურად სრული ვარიანტი მაქვს. თილისძის უფროსობით თუშებმა გაილაშქრეს ფშავის ხევში, მაგრამ ისე დამარცხდნენ, რომ თითქმის აღარავინ დაბრუნებულა თუშეთში ცოცხალი, სტრ. 1. დიოდა/„მოდიოდა, ისმოდა“. სტრკ. 7 — ყმა მზირთად გადმოხვეწილი — „მე მგონია, აქედან სრულებით სხვა ლექსია მობმული, ამიტომ რომ ამ ქვემოთი ლექსის ვარიანტი ბევრია ქართლშიაც და კახეთშიაც, მაგრამ რაკი რითმა ერთნაირი აქვს, ამიტომ მთქმელს ეს ორი სხვადასხვა ლექსი ერთი ჰგონებია. ეს ტაეპი მომაგონებს „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ფრიდონის დაქრის ამბავს“. თ. რაზიკაშვილის განმარტება: — სტრიკ. 8 — გულს ეშქო — გულს ებჭო. აკ. შანიძის შენიშვნა: მართლაც, ამ ნაწილის ვარიანტები ამ წიგნშიაც (იგულისხმება — შან.) არის მოთავსებული (№ 260, თავისი ვარიანტებითურთ).

### 303. ლაშარს მოვიდა თილისძე

ფშ. ლექს., გვ. 33—34; საისტ., II, № 146, გვ. 125—125. გიორგი თილისძე თუში ყოფილა. შეიძლებოდა ძირითად ტექსტად ფშაური ვარიანტი არ შეგვერჩია. ჩვენ თუ მაინც ფშაური ვარიანტი შევარჩიეთ, ეს იმიტომ, რომ ლექსი წარმოშობით ფშაურად მიგვაჩინია. ლექსში გადმოცემული ამბავი ფშავში მომხდარა. ცხადია, ეს გარემოება პირველ რიგში ფშაველ მოლექსეებს აამეტყველებდა. მოხევური ტექსტის (მოხ., გვ. 37; საისტ., II, გვ. 341) დასასრული ჩვენის აზრით, ვარიანტის მთქმელს გულისხმობს. ლექსი შინაური შულლის ამსახველია. თუ იგი მაინც ლეკიანობის ამსახველ ნაწარმოებებში შეგვაქვს, იმიტომ, რომ მიზანშეწონილი არ არის ციკლის დაქუცმაცება. როგორც ითქვა, თილისძის ციკლი ასახავს მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლასაც და შინაურ შულლსაც. ამ ლექსის გამო ვაჟაფშაველა წერს: „მთის ხალხს ჩვეულებად აქვს, რომ როდესაც ერთს მეორესთან მძიმე დანაშაული მიუძღვის და დამნაშავე „სახვეწრით“ — საკლავით, სასმელით მიდის და შეურაცხყოფილს სთხოვს შეწყნარებას, პატიებას, უეჭველად მიიღებს... თილისძეს არამც თუ ცხვარი, ხარი მოჰყავს „სამხვეწროდ“ ხატთან და თემთან შესარიგებლად, ალბათ იმიტომ, რომ დიდ დამნაშავედ ჰგრძნობს თავის თავს“. ვაჟას მოყვანილი აქვს ლექსის დასაწყისის ვარიანტი. თხზ., V, გვ. 52. თილისძის დიდი დანაშაული — ხოშარას აკლება, ჩანს ლექსის შინაარ-

სიდან. მაგრამ რამ აიძულა გმირი ასე მოქცეულიყო მეზობელი კუთხის მიმართ, არა ჩანს. ლექსის დასაწყისი, როგორც აღნიშნული გვაქვს (საისტ., II, გვ. 339), მსგავსია გავრცელებული ბალადის „შატილს გადილდა ხოხობის“ დასაწყისისა.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- ლაშარს მოვიდა თილიძე, გულდადად დაჯაფ ხალხშია,  
შემოუხვივნენ ფშავლები, როგორც ბატონსა ყმანია.  
— შენ აქ არ მოგეცასვლება, დიდი ჰქენ ცოდო-ბრალია,  
დაწვი, დასდაგე ხოშორა, ცისკენ აუშეი ალია.
- 5 ნაკვეთაურის ჰერხოსა შენ შეხსენ რკინის კარია,  
დასპერ სალუდე ქეაბები, ღმერთს მისდიოდა ჩქამია!

ჩამწერი ზაქ. ჩხიკვაძე, „აკ. კრბ.“, 1898, VIII, განყ. II.

### ბ

დასაწყისი ექვსი სტრიქონი ემთხვევა ძირითადი ტექსტის პირველ სტრიქონებს.

ალავერდი. ჩამწერი იონა მეუნარგია, დრ., 1883, № 200.

### დ

მთქმელი გაბარაშვილი მათე გიორგის ძე, 75 წლის, სოფელ ლილოს მკვიდრი. ჩამწერი გ. გობრონიძე. ჩამწერის შენიშვნა: მთქმელს ლექსები მოუსმენია მწყემსობის დროს, აქვს საკუთარი ლექსებიც“ — ფ. არქ., კ. 9, გვ. 174.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ლექსის თექვსმეტი სტრიქონი მოყვანილია ვაჟა ფშაველას წერილში „ლაშარობა“ — თხზ., V, გვ. 52.

### ბ

მთქმელი ბ. შავერდაშვილი. სოფ. ტუშურები, თიანეთის რ., ჩამწერი შ. კონსტანტინიდი. 1961 წ. შერეული ფორმის ტექსტია. მთქმელი იძლევა თავისებურ კომენტარს თუშებსა და ფშავლებს შო-



რის შუღლზე. შუღლის მიზეზად ფშაველთა ცხვრის ფარის გატაცება დასახელებული. „ლაშარს მოვიდა თილიძის“ წინ მთქმელს მოყავს გავრცელებული ლექსი: „ხოშარით კაცმა იძახა — მუქუს ვინა ხართ ხმლიანი“ ანუ „მოხველა თილის ობოლო“. შესაძლებელია ეს გარემოება ანგარიშგასაწევი იყოს ლექსის პირვანდელი სახის აღსადგენად მით უმეტეს იმავე რაიონში. იმავე ჩამწერისაგან არის ჩაწერილი ამის მსგავსი მომდევნო ზ ვარიანტი. რაც შეეხება ტექსტს „ლაშარს მოიდა თილიძე“, იგი 16 სტრიქონიანია. პირველი ექვსი სტრიქონი უცვლელად იმეორებს ძირითადი ტექსტის დასაწყისს.

ძირითადი ტექსტის სტრიქ. 7—14 ვარიანტში არ არის. პირდაპირ წაბმულია ძირითადი ტექსტის სტრიქ. 15-დან ვარიანტი:

...მაიკათ ფშავლის შვილებო,  
მალოცეთ ხატის კარია.  
სამხვეწროთ მაპყევანავის  
თეთრი ქორაი ხარია.  
ეგ მაშინ გაუარიგოდეთ.  
როცა გაშრება მთანია.  
უბისთვის განათლებიან  
ლურჯაისანი ნაღნია.  
ვის უფრო ქუხდეს თოფები.  
ვის უფრო შჰრიდეს ხმალია.

ფ. არქ. კ. 21, გვ. 117—119.

## ზ

მთქმელი ფუნჩია ხუციშვილი. სოფ. ომარიანი, თიანეთის რ., ჩამწერი შ. კონსტანტინიდი. 1961 წ. ამ ტექსტშიც ახლა დამოუყიდებლად ცნობილი სამი ლექსია. პირველი — იგივე, რაც ე ვარიანტშია („ხოშარით კაცმა იძახა“); მეორე — კი სხვა ლექსის („დავლივნა ხოშარის გორმა“) ვარიანტი. დასასრულს — მესამე „ლაშარს მოვიდა თილიძის“ 22 სტრიქონიანი ვარიანტია. პირველი ექვსი სტრიქონი ამ ვარიანტისავე ძირითადი ტექსტის დასაწყისს უცვლელად იმეორებს. 16 სტრიქონიც ახლოს არის ძირითად ტექსტთან, ოღონდ აქ ძირითადი ტექსტის სტრიქ. 18-ს მოსდევს განსხვავებული ადგილი. იგი არ არის ძირითად ტექსტში:

იმისად მაპიოლებავ  
ქედლა თეთრი ხარია.

ძირითადი ტექსტის სტრიქ. 21, 23, 24 არ არის ამ ვარიანტში.  
ფ. არქ., კ. 21, გვ. 78.

მთქმელი დ. ქაჩლიშვილი. სოფ. ტუშურები. ჩამწერი გ. არაბული. 1961 წ. სათაურად აქვს „თილისძე“. 16 სტრიქონიანი ვარიანტი. აკლია პირველი ორი დასაწყისი სტრიქონი. თავისებურია დასასრული, რომელიც ძირითადი ტექსტის მიხედვით სტრიქ. 18-ს აქვს წაბმული:

მოვბერო ფშავი ჰევები,  
მიმიდიოდეს ცხვარია,  
საწველათ გადმოვაყოლო  
ლაშაზი ფშავლი ქალია.

აქ ერთგვარი შეუსაბამობაა. ეს არ არის შეწყენარების სათხოვრად ე. ი. „სამხვეწროდ“ მისული კაცის სიტყვები. იგი ადრე სხვა ადგილას იქნებოდა ლექსში. ლექსის რეალური საფუძვლის გასარკვევად საგულისხმოა მთქმელის შენიშვნა: „თუში ყოფილა თილისძე, ფშავლის ნაბიჰვარი. რო დავაეკაცებულა, მათურასა და სხვაგან ულაშქრნია, ულუპნია ხალხი. ბოლოს პირიქით გადასულა, ქისტები-სათვის ცხვარი მოუტაცნია და იქ მოუკლავთ. ერთხელ სალოცავად მოსულა ლაშარის ხატში“.

ფ. არქ., კ. 27, გვ. 30.

მ

ლაშარს შამახდა თილისძე, გულდიდად დაჯდა ხარო —  
შამაეხვიენეს ფშაველები, ბატონს რომ თავის ყმანიო...  
შენგან არ მაისვლებოდა, დიდი ჰქენ ცოდო-ბრალიო!  
ჩასწვი, ჩასდაგე ხოშარა, ცამდე გაუშვი ალიო.

- 5 შენ მოკალ კუკუმაური, ჰიჩოს რომ შახსენ ხმალიო!  
— „ეხლა სუთ ლაღნო ფშაველნო, მალოცვიდით ჰვაროო,  
შავედი საყოცნავადა, თეთრ შავიყვანე ხაროო.  
შავისა შაშინ ვიამბოთ, რა გამოვიდა მთანიო.  
რახან გავიდას მთაზედა ჩემი და თქვენი ცხვარიო,
- 10 „ცხენმა“ დაადგას თოფრაი, ოთხზედ დაიკრას ნალიო...  
„ყადუს თუ დანათლდებთან თილიძის ხვადის ნაღნიო:  
„ზედა ზის თიუს ობოლი, უნათობს სპილოს ძვალიო,  
„ა შაშინ გაიგებოდა ვრთაი დამჩებ კეღარიო!...“

მთქმელი ალუდა ხირჩლას ძე ზვიდაური, ჩამწერი ნ. ხიზანაშვილი. უთარილო. ხელნაწ. ინსტ ფ. A—5298, გვ. 39. ახლავს შენიშვნები და განმარტებანი. იგი ჩამწერს უნდა ეკუთვნოდეს. სტრიქ. 1— გამოჩენილი თუში, რომელიც ლაშქრავდა ფშავ ხევსურეთს მშვილდისრობას, სახელი ერქვა გორგი; სტრიქ. 4. ფშაველი სოფლის სახე-

ლი — სტრ. 5 — კუყუმაური — ფშავლის სახელი, გამოჩენილი გმირი იყო. ამის სიკვდილი თემის ხმლის შამოსხმად მიაჩნიათ; სტრ. 6 — სუთ-გაჩუყდითო; სტრიქ. 8 — რა გამოვიდა მთანია — ვზა რომ გაიხსნება თოვლისაგანო, მაშინ ჯარით მოვალ და გიამბობთო. ზამთარი რომ გავა და ქერი აღარ უნდა ცხენსაო; სტრიქ. 11 — ცხერის სადგომი ფშავლებსა; სტრიქ. 11 — ხვალი—ცხენია; სტრიქ. 12 — თიუს-შემოკლებული თილი (ძე) — ე. ი. თილიძე, სტრიქ. 12—იარაღზედ სპილოს ძვალი.

## 0

მჭემელი ბაბაღე მინდოდაური. სოფ. არტანი. ჩამწერი პ. უმიკაშვილი. უმიკ., № 262, სათაურად აქვს „თილისძე“. პირველი სტრიქონები უცვლელად იმეორებს ძირითად ტექსტს. შემდეგი სტრიქონები საინტერესო ვარიანტია:

...იქიურ ღიაც უმაწვილი კალოთ გაღლეუე მკედარიო,  
ნაკვეთაურის ციხესა შამაქსენ რკინის კარიო“.  
— თქვენ დამაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ ხატის კარიო,  
სამხეუწლოთ მამიყვანია თეთრი ორბაი კარიო;

- 5 ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია,  
უბისთავს დანათლებიან თილიძის ცხენის ნაღნიო,  
ან ვისი სკეხდეს ბოძალნი, ან ვისი სკრიდეს კმალნიო,  
ბატონ ერეკლე მობძანდეს, ვისად დარჩება მკედარიო.

ლექსის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს სტრიქ. 8-ს. იგი იმაზე მიუთითებს, რომ გიორგი თილისძე ერეკლე მეორის თანამედროვე გამირია.

## 0ა

ფშავი. ჩამწერი ი. ბოძაშვილი. 1897 წ. ხელნაწ. ინსტ., H—1968. ახლოს არის ი ვარიანტთან. 22 სტრიქონიანი ვარიანტია. პირველი 10 სტრიქონი ემთხვევა ი ვარიანტის დასაწყისს. ოღონდ სტრიქ. 5 — იკითხება მოგვევალეა აკლია შ ვარიანტის სტრ. 11—12. ძირითადი ტექსტის მიხედვით სტრიქ. 15-დან, ხოლო ამ ვარიანტის მიხედვით სტრ. 11-დან იკითხება:

...ჩამომეკსენით ფშავლებო, თუ გწამთ ლაშარის ჯვარია,  
მოვსულვარ სახეწნელადა, მომიყვანაგის კარია!...  
ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია,  
ამოვა იალახზედა ფშავლებო თქვენი ცხვარია.

- 5 კიდევ სად დანათლებიან თილიძის ცხენის ნაღნიო,  
ეტევებოდენ ძალღები, არ ვნებდებოდენ გზანიო.

## იზ

ფშავი. ხელნაწ. ინსტ., H—1992 ჰ, გვ. 195. 24 სტრიქონიანი ვარიანტია. ახლოსაა ძირითად ტექსტთან. აკლია სტრიქ. 9—10. განსხვავება — სტრიქ. 2 — დაჯდა ხალხშია: სტრიქ. 5 — მოგეცას-ვლება; სტრიქ. 7—8 დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცისკენ აუშვი ალია;

სტრიქ. 15 — დამეხსენთ ლადო...; სტრიქ. 17 — სამლოცველად; მომიყვანია...; სტრიქ. 19—20 — ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა შეეხვდებით ბარშია...

სტრიქ. 23 — დააყენევით; სტრიქ. 25 — დანათლებოდეს; სტრ. 26 — ხვადის ნალია.

## იზ

ამოწერილია გიგოლა ზვიადაურის რვეულიდან დ. წერდიანის მიერ 1961 წ. სოფ. ჭიაურაში. ფ. არქ., კ. 27, გვ. 171. 24 სტრიქონიანი ვარიანტია. ახლოსაა ძირითად ტექსტთან. აკლია ძირითადი ტექსტის სტრქ. 11—14; 21—22. მეტია ძირითადი ტექსტის სტრიქ. 18-ს შემდეგ —

მაგისად მამიყოლებაჲ  
პირწითელი ცხვარია;

დასასრული:

— ზედ იქდას თილის ობოლი,  
თავს ეკრას სპილოს ძვალა.

განსხვავებანი: სტრიქ. 1 — შამახვდა; სტრიქ. 4 — ბატონს რო თავის ყმანიო; სტრქ. 5 — არ მაგევეალოდ თილისძე; სტრიქ. 7—10 —

— ჩასწვი, ჩაღბუგე ხოშარა,  
კამდი გაუშვი ალია,  
შიგ ნამყოფ დიაც ყმაწვილი  
კალოდ გაღლეწე მკვდარია;  
ჭერ დამაცალეთ, ფშავლებო,  
მეტ მალოცვიეთ ჯვარია.

თქვენ ჯვარში მომიყვანავის...; სტრიქ. 19 — მაგსა მაშინ ვიამბოთ...?

სტრიქ. 23—25 —

როსაც გავალის მთებზედა  
ჩენი და თქვენი ცხარია.  
უბის თვე გადანათოდან...

## იღ

მთქმელი ბ. ჩოხელი, ს. არტანი, ჩამწერი უ. ცინდელიანი. 22.  
VII—61. — ფ. არქ., კ. 47, გვ. 198.

პირველი ოთხი სტრიქონი იმეორებს ძირითადი ტექსტის დასაწყისს. აკლია სტრიქ. 11—14; 23—24.

განსხვავებანი: სტრიქ. 2 — დიდგულად; სტრიქ. 5 — როგორც ჩვენს ბატონს ყმანი ა;

სტრიქ. 5 — ძალლო, არმოგესვლებოდა;

სტრიქ. 7, 8, 9 —

დასწვი, დადაგე ხოშარა,  
ცამდი აუშვი ალია,  
დახოცე დიაც-ყმაწვილი...;

სტრიქ. 15 — ჩემო ფშავლებო; სტრიქ. 20—21 — რო შამწვან-  
ღება მთანია, ან ვისი ჰქებდას მაქარი...

## იი

მთქმელი პ. ობგაიძე. თიანეთი, კოტ., გვ. 118. ახ. გამოც., გვ. 134. 30 სტრიქონიანი ვარიანტია. ახლოსაა ძირითად ტექსტთან. აკლია — სტრიქ. 13—14, 23.

მეტია — სტრიქ. 18-ს მომღევნო:

სამეშვლოდ მომიყვანია;  
პირთირთველავი ცხვარია;

სტრიქ. 22 — მომღევნო:

ორწყალში შემოვებარუნო,  
ფშავლებო, თქვენი ცხვარია,  
უკან მომღევნეთ ფეხდაფეხ,  
ველარ იპოვოთ კვალია,  
მომყევით ყორნებულადა,  
ტყვიას მოჰქონდეს ჩქამია...

განსხვავებანი: სტრიქ. 2 — დიდგულად; სტრიქ. 5 — მოგვევალე ბა; სტრიქ. 7—8 — დასწვი, დასდაგე ხოშარა, ცამდინ...; სტრიქ. 9 — ხოშარას დიაც-ყმაწვილი; სტრიქ. 15 — შვილო; სტრიქ. 19—22.

ეგ მაშინ გაეარიგოდით,  
როცა შეშრება მთანია,  
ვისი დასქეხებს მაჟარი,  
ვისი გააკვეთავს ხმალია,

## მ ო ხ ე უ რ ი

### 03

- ლაშარ მოვიდა თილისძე, რო ნაჯოგარი ხარო,  
შამახვიენენ ფშაელები, ბატონს რო თავის ყმანიო.  
მოხვედა თილის ობოლო, მოგელისთ მშაელის ყმანიო.  
შენ აქ არ მოგესვლებოდა, შენგან დიდ, გვეკირდა ძალიო.
- 5 ჩასწვი, ჩასდაგე ხოშარა, ცაში გაუშვი ალიო,  
გასწვიტე დიაც-ყმაწვილი, კალოდ გალღეწე მკედარიო.  
— ჩამამახსენით, მშაელებო, ლაშარს მალოცვეთ ჭვარიო!  
სამხევეწროთ მამიყენაის თეთრი ქორაი ხარო.  
მაგისა მაშინ ვიამბათ, რა გამოვიდან მთანიო,
- 10 რახან საძოვრად გავიდან ჩვენი და თქვენი ცხვარიო...  
ორ წყალში დანათლებიან თილიძის ცხენის ნაღნიო,  
ბაკეზზე განათლებოდა თეთრი თილიძის ხმალიო.

მთქმელი შიო სისაური, ჩამწერი გ. ლომთათიძე. ლიტ. მუზ.  
20031—ხ, ყ—333, გვ. 46. ავტოგრაფი დათარიღებულია 11—1935.

### 08

მოხ., გვ. 37; საისტ., II, გვ. 340—341. პირველი ექვსი სტრიქონი იმეორებს ძირითადი ტექსტის დასაწყისს. განსხვავება: სტრიქ. 2— დ ი დ გ უ ლ ი; სტრიქ. 5 — მეგესვლებოდა; სტრიქ. 7—8 იმეორებს კახური გ ვარიანტის სტრქ. 7—8-ს. შემდეგ მოდის თავისებური სტრიქონები.

### 09

სოფ. გერგეტი, ყაზბეგის რ., ჩამწერი სუჯაშვილი, სათაურად აქვს „თინიბეჟის ლექსი“. ლიტ. მუზ. 8480—ხ, ყ—918, გვ. 9.

## თ უ შ უ რ ი

### კ

მთქმელი ბესო შაკაშვილი, 35 წლის. ალვანი, სოფ. ფხიკად ყურე (ინდურთის საზ-ბა). ჩამწერი ალ. ხახანაშვილი. 1888 წ. ხელნაწ. ინსტ., ალ. ხახანაშვილის არქივი, № 72, უბის წიგნაკი № 12, გვ. 35r.

ბირველი ოთხი სტრიქონი ემთხვევა ძირითადი ტექსტის დასაწყისს. აკლია სტრიქ. 9—14; 23—24.

განსხვავებანი: სტრ. 5 — აქ არ მოგესვლებ თილისძე; სტრიქ. 7—8 — დაწვი, დადაგე ზოშარა, ცამდენ...; სტრიქ. 15 — მოიცათ ფშავლის შეილებო; სტრიქ. 19—20—21 —

მაგისა მერე ვიამბოთ,  
როცა გაშრება მთანია,  
ვის უფრო ქუხდეს მაჟარი ..

სტრიქ. 25—26 —

კიდევაც ჩამონათღნა:  
თილისძის ლურჯის ნალი:

ახლავს განმარტება — ქორაი ხარია — ქორიციოთ.

### კა

ლაშარს ჩავალის თილისძე, გულდიდად დაქდებ ხარო,  
გარ შემოერთუნენ ფშავლები, როგორც რომ ბატონს ყმანიო.  
— აქ არ მოგესვლებოდ, თილისძე, დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალიო:  
დასწვი, დადაგე ზოშარა, ცამდის აუშვი ალიო:

- 5 დიაც-ყმაწვილებ ბეერი დახოცე, კალოთ გაღეწე, მკედარიო!...  
— მაკალეთ, ფშავლის შეილებო, მალოცვეთ ლაშრის ჭვარიო,  
სალოცავადა მოვსულაეარ, თეთრი მომიყვანავ ხარო.  
მაგის მემარ ვიამბოთ, ფშავლებო, როცა გამოშრეს მთანო.  
მთა გაშრეს, მიწა გამოჩნდეს, ლურჯამ მოჰკიდოს ნალიო,
- 10 მთამან დაისხას ბალახი, ლურჯამ დაბლერტოს ნამიო.  
ტყემან დაისხას ფოთოლი, მხედარმ დამალოს თავიო,  
უბის ლელეს უნდა გადადიოდეს, თქვენი ცხვარ-ხაროვანიო.  
იქავე უნდა ნათობდეს თილისძის ლურჯას ნალიო.  
უკან მომდევდეთ ფშავლებო, საით რა მაგის კვალიო?!

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., 1, გვ. 55—56; საისტ., II, გვ. 339—340.

### კბ

მთქმელი პავლე ბუქურაული. ლიტ.-მუზ. 200075—ხ, ყ—342, გვ. 7.

### კვ

მთქმელი ს. ითიურბიძე, ზემო ალვანი. ჩამწერი კ. ჭრელაშვილი, 1950, ჭრელ., გვ. 32. სათაურად აქვს „გორგი თილიძე“. ერთი ყველაზე სრული ვარიანტია.

თუშეთი. უთურგ., გვ. 174. სათაურად აქვს „თილიძე“. 20 სტრიქონიანი ვარიანტია. ამ ვარიანტითაც თეთრ ქორაი ხართან ერთად თილიძეს „საწირავად“ მიუყვანია „ქაჯანგინი ყოჩი“. თავისებურია დასასრული სტრიქონები:

ან ვისა სჭრიდეს ფრანგული,

ან ვისა სჭეკდეს თოფიო.

სხვა მხრივ ეს ვარიანტი თავისებურებებს არ იჩენს. არის უპასპორტო ვარიანტი:

## კმ

ივ., 1889, № 96.

## 304. თილისძემ უთხრა მამასა

ფშ. ლექს., გვ. 35—37; საისტ., II, № 148, გვ. 127—129. ფშ. ლექს. სტრიქ. 3 და 5 დაბეჭდილია — უკვე ნაფშავსა. შევასწორეთ — უკვე ნაფშავსა. თუ სტრიქ. 29-დან ბოლომდე ლექსის ორგანული ნაწილია, მაშინ თინიბეკ გორგი თილიძის ძმა ყოფილა. იგი დაღუპულა შინაური შუღლის დროს. ლექსი საგულისხმოა გლოვის წესის დაცვითაც (სტრიქ. 35—38).

## ფშავრი

## ბ

თილისძემ უთხრა მამასა: — მამავ. შავყაროთ ჭარიო!

ჩავედეთ ცაბურთასა, სადაც მთაწმინდა არიო.

ჩავედეს ცაბურთასა, მუქს დაძრეს ხარუანიო;

გოგოლაურთით მოვიდეს ლომ-ხუზაურა ძმანიო;

5 ზოგნი მოვიდეს კიჩოთა, იმათ უკირეს მხარიო:

შემოისროლეს ისრები, ჩალად დაყარეს მკედარიო...

გძელ ყანას მოეგებება მამამთილს თავის ძძალიო:

— რა მიყავ, მამამთილაო, თინიბეკ, ჩემი ქმარიო?

— თინიბეკ წყაროს გაესწირე, სისხლის არაყით მთერალიო;

ფეხით დაეუბი ლურჯაი, დასტირის როგორც ქალიო;

გვერდით დაურქვეს დროშაი. ნამტვრევი შუბის ტარიო,

დაჰბერავს დილის ნიავი და აერიალებს ქარიო;

თავით დაუსვეს ყორანი, შენ გამოსთხარენ თვალნიო.

ფშ. ლექს., გვ. 44—45; საისტ., II, გვ. 343—344. ახლავს განმარტება: სტრიქ. 3 — ხარუანი — ხარების ნახირი.



სოფ. ფუძნარი, დუშეთის რ., მთქმელი სოლომონ ხისფეხიშვილი. ჩამწერი ი. ლონგიშვილი, 17.VII—1961 წ. ფ. არქ. კ. 23, გვ. 439, 12 სტრიქონიანი ტექსტია, იგი ბ ვარიანტს სტრიქ. 7-დან იმეორებს. აკ-ლია — სტრიქ. 4. განსხვავება: სტრიქ. 7 — შამაეგება; სტრიქ. 8 — შვილი რაღა ქენ მამამთილ. თილიძე ჩემი ქმარი ა...; სტრიქ. 9 — თილიძე დამრჩა წყაროსა; სტრიქ. 11 — თავით დავურქე...; სტრიქ. 12 — დააქღრიალებს; სტრიქ. 10 — ცხენი ციქა ჰყავთ თავისი...

ახლავს განმარტებანი — თილიძე — თუში მეგრძოლი ვაჟი; წყარო — ადგილის სახელია.

### 305. ჩამაგვილავის გორგვი

გიგოლა ბაბოს ძე ზვიადაურის რვეულიდან სოფ. ჰიაურაში, თიანეთის რ., 1961 წ. ამოწერა დავით წერედიაშმა. ფ. არქ. კ. 27. გვ. 169. საინტერესო და ამავე დროს რთული ტექსტია. გველის მოტივი-ლუხუმის ციკლიდან შეიძლება იყოს შესული. უკანასკნელი — სტრიქ. 17—18 საგმირო აფორიზმის („მამინ კაია კაი ყმა“) გავლენით უნდა იყოს წაბმული. ამ ლექსის მიხედვით გორგი თილიძეს თითქოს თავისი კუთხის მკვიდრნიც კი გაუნაწყენებია (სტრიქ. 13—14).

### 306. ცხვარ ღაფრთხვა

სოფ. მაგრანეთი, თიანეთის რ., მთქმელი გიორგი ობგაიძე. ჩამწერი იოს. ლონგიშვილი. 11.VII—1961 წ. ფ. არქ. კ. 23, გვ. 366. მთქმელის განმარტებანი:

სტრიქ. 5 — თილიძე — შეუბრალებელი თუში მეომარი;

სტრიქ. 8 — სისხლია ნაწინდრიანი — ცეცხლის კვალ დამრჩალი..

ამ ლექსით თილიძე მართლაც სიკვდილივით შეუბრალებლად არის გამოყვანილი.

ტექსტის დასასრული სიკვდილზე შექმნილი ლექსის (კოტ., გვ. 269. ახ. გამოც., გვ. 291), სტრიქონების ვარიანტია.

### 307. გორგი

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 82, გვ. 32. ჩამწერის შენიშვნა: „ეს გორგი გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა თუშეთში, ლეკების სულთამხუთავი. თილისძე იყო გვარად“.

სტრიქ. 8 — თითო საქსარი ტყვისაო — „ვითომ ტყვეში რო მისცენ ის თოფი, ტყვეს დაიხსნისო“. აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ რომ ყო-

რანი ყორანს გასძახის, გავჰყვეთ ველობას წასული გორგის კვალსაო, ისეთი რამ სხვაგანაც გვხვდება, მაგ., № 106 (შან.).

როგორც ერთი ჩემ მიერ ჩაწერილი ფშაური ლექსიდან ჩანს, (მისი ვარიანტია ფშ. ლექს., გვ. 78), გორგი ქისტებს მოუყვავთ; „გორგიმაც ეგრე ქნისაო“. შან., გვ. 391.

ჩვენის აზრით ეს და მომდევნო ნომერი („გორგის ნუ მაჰყვავთ, ქისტებო“) თუშ გმირ თილიძეზე არ არის ნათქვამი. ამ ლექსების აღრესატია შატილიონი გორგი და არა თუში.

### 308. გორგის ნუ მაჰყვავთ...

ფშ. ლექს., გვ. 78. საისტ., II, № 150, გვ. 129.

### 309. ხალიაისძის ხირიმი

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, № 85.

მთის პოეზიის ერთი პოპულარული გმირია მიქელი ანუ მიხა ხალიაისძე. ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით იგი მოთარეშე ლეკებისა და ქისტების წინააღმდეგ მებრძოლია. ზოგი ლექსით იგი ფშავის მკვიდრი ჩანს. ილუპება ქისტების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში (ფშ. ლექს., გვ. 79; კოტ., გვ. 96; ახ. გამოც., გვ. 113; უმიკ. № 40—41, გვ. 46—47; ხალხ. სიტყვ. III, № 84, გვ. 49 და სხვ.). სხვა ლექსებითა და გადმოცემებით მიქელ ხალიაისძე თუშია. დაიღუპა დიკლო-შენაქოზე ლეკების თავდასხმისას (თაყ., I, გვ. 94; შან., გვ. 483—485 და სხვ.). დასაშვებად მიგვაჩნია, ეს ციკლი აერთიანებდეს ორ, სხვადასხვა ხანის გმირს. ამგვარი ვარაუდის საფუძველს სხვა შეუსაბამრთა გარდა, გვაძლევს ერთი ხევსურული ლექსი:

ხალიაისძის სიკვდილსა

ნუ იტყვიტ ლეკებსთანაო!

თუ გკითხანტ, აის უთხრიდით:

„ქალაქ ას ბატონსთანაო“.

ბატონმ თუ გკითხასტ, უთხრიდით:

„ომში ას სწორებსთანაო“.

სწორებმ თუ გკითხანტ, უთხრიდით:

სულეთ ას იალთანაო“. (შან., № 241, გვ. 109—110).

არა გვგონია ბ ა ტ ო ნ ა დ მოლექსე იხსენიებდეს რუსეთის მეფის მოხელეს დანიშნულს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ. ბ ა ტ ო ნ ა დ ერეკლე მეორე უნდა იხსენიებოდეს; ქ ა ლ ა ქ ა დ — თელავი ან თბილისი. თუ ეს ასეა, ქისტებთან შუღლისას დაღუპული ხალიაისძე ერეკლე მეორის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. დიკლო-შენაქოს ტრადიციის გმირი ხალიაიძე — კი უფრო გვიანდელია. პროფ.

მის. ჩიქოვანმა დააზუსტა, დიკლო-შენაქოს ტრალედია — საკუთარი ცოლ-შვილისა და დების დახოცვა, შექრა მომხდურ მტერთა რაზმში და სიკვდილი 1836 წლის დამლევსა და 1937 წლის დამდეგს მოხდა (მის. ჩიქოვანი, პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომების გამო. პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვიერება, III, 1964 წ., გვ. 12—22).

### 310. ყველა ძალინას გიამგობს

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვ., III, № 86.

### 311. ხალინისძე

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 79. ასეთივეა 1930 წ. კახეთში, მარტყოფში ილო მათიაშვილისაგან ჩაწერილი ტექსტი. კოტ., გვ. 96. ახ. გამოც., გვ. 113.

### 312. მიჰელ ხალინისძე

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 55. როგორც ლექსიდან ჩანს, მიქელი ხალიაიძე ვაჟაკობით ყოფილა ცნობილი თუშეთში. ტექსტს ახლავს ჩამწერის თუ რედაქტორის განმარტებანი: სტრიქ. 11—12 მოჭერე — ღამის ცხერის დარაჯი; სტრიქ. 15 — აბუჩი — უმაქნისი; სტრიქ. 16 — ქუდი რქაზედ — ქუდი გვერდზე. სიტყვების განმარტება“ იხ. იქვე, დამატება, გვ. 1, 6, 7.

### 313. ხალიაიძე

მთქმელი სოფ. გოგოლაურის მცხოვრები. ჩაწერილი ფშავში, 1870 წ. უმიკ., № 40, 46.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- მითხთ გაგზავნეს ელჩები, ანდაკს — დაავლეთ თვალა,  
ანდაკში ჩამოსულიყო თორმეტი ფარა ცხვარია.  
მოვიდნენ დალაღებულნი, — „ადვილი საშოვარია!“  
ორშაბათ დილა გათენდა, ანდაკს დაძხურნეს ცანია.
- 5 იძახეს თუშიშვილებმა: —ქისტებმ დაგვტაცეს ცხვარია,  
გვიშველეთ, ფშავლის შვილებო, თქვენა ხართ ჩვენი მხარია!  
მოვარდა ხალიაისძე, — არწივი მეომარია.  
ისე დაბრუნდა ომშია, როგორც კალოში ხარია.

- მოხედით, ძალნო ქისტებო, მე მქონდა თქვენი ჯავრია!
- 10 მიგიხარნიათ, ძალებო. მიგიდისთ ნაშოვარია, —  
მაშ რაღა ბიჭი ვიქნები.  
საშოვრის მაგიერადა ვერ გაზიდინთ მკვდარია!  
ბევრი მაქვს ტყვია-წამალი, თორმეტ ოსმალურ ტალია!  
თუ თქვენ ცხვარ წაგასხმეინთ, ნუშე მითირებენ ქალნია!  
დამეცქა ამხანიგები. არეინ მიჭირა მხარია,
- 15 ქავთარამ წითელაურმა ძმურად მიჭირა მხარია.  
არეინ მიუშვა თავზედა, არც ათრეინა მკვდარია.  
შე პაპატ პაპილიაო ღმერთმა გაცხოვოს მკვდარია!  
ემა ჩემს ბიძას უთხროდე. — რამ დავისუნა თვალნია?  
დაგკრუსა. ხალიაისძევე? გამოგავორუს ხარია.  
ოღღეაა შენი სიყვდილი ფშაის ხეეს მაპტელა მხარია!

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. ხალხ. სიტყვე, III, № 84; გვ. 49.  
ახლავს სიტყვების ახსნა. სტრიქ. 1 — მითხო — სოფელია ქისტებისა;  
ხევსურეთის საზღვარზე; იქვე, ანდაკი — სოფ. პირიქით ხევსურეთ-  
ში; სტრიქ. 3 — დალაღებულნი — გახარებულნი; სტრიქ. 9 — ძაღ-  
ნო — შემოკ. ძაღლებო.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### 3

- მიხამა როშაქის შეიღმა მძიმე შაყარა ჯარია,  
ანდაქ-ბოროლას გაღუშვა, მანდ იღვა მშავლის ცხვარია,  
ხალიაისძეც მანდ იყვა არწივი მეომარია.  
ხუთშაბათ გათენებდა ანდაქს დახურნეს ცანია.
- 5 „მახეით, ცხენის მუამლებო, თქვენი მეც მჭირა ჯავრია, .  
ბევრა მაქვ ტყვია-წამალი, ოსმალის მიძე ტალია!“ —  
ხალიაისძის კირიმმა, ქისტო, დაგხვია კვამლია!  
მეორე ჩქარად მისწვრა: „ტყვიავე. გამახარ ძვალა!“  
თოფ დახკრეს ხალიაისძეს. არწივს მასტეხეს მკარია.
- 10 ქავთარამ წითელაურმა ძმობილმ უჭირა მკარია,  
არ ათრეევია ქისტებსა ხალიაისძე მკვდარია.  
ამაგ სიმღერის მათქვამი მშაველ ვარ ხაიბარია,  
კიღვე კი მავაქერტებლი, ვერ ვიცი ნაომარია.

მთ. ლ. მინდიკაური. ხახაბო. ჩამწერი ა. ჭინქარაული. კრნ., გვ.:  
368. მთქმელის ცნობით — ფერკისაჩი უფრო ხკერტდებოდა „ავთან-  
დილმ გაინადირავ“; მეორეს, ანდაქჩი ხალიაისძე მაუკლავ, იმაზედ  
იყვნეს სიმღერენი და იმას ვიმღერდიდით“. ამაზე მიუყოლებია ეს ვა-  
რიანტი. იქვე, ლექსის დასასრულს დაურთავს გადმოცემა: „ქისტებს-  
უნდა აეკათ მკვდარი, მაგრამ ძმობილს წითელაურს დაუტაცებიათ  
ფეკნ ხალიაისძისად თავ-ჩაღმ გადმაუწევავ ქვიშათას. „აი-ქვიშაზედავ;

აბაზ რო აისრ იყრებოდესავ ზედ გაცხებულივ. ქისტების ნაყარ ტყვი-  
აივ“ — თქვისავ წითელაურმაჲ“. იქვე. გვ. 369.

#### 314. ბეჩაო, ხალიანისა

ჩაწერილი 1875 წ. უმიკ., № 41. გვ. 47. ჩაწერის თარიღის გარდა  
ტექსტს სხვა პასპორტი არ აქვს. ლექსში მოხსენებული ქავთარ წიქაის-  
შვილი ხალიანისძის თანამებრძოლი წითელაურია. მის შესახებ გუდამა-  
ყარში გაგონილი ლექსის მიხედვით ავ. შანიძე აღნიშნავს: „...ხალია-  
ისძე ქისტებს მოუკლავთ და, ხელი რომ არ მოეჭრათ მისთვის, მის  
მომხრეს ქავთარ წითელაურს მისთვის იარაღი აუყრია და მკვდარი  
ვლდეზე გადაუგდია“. შან., გვ. 479.

#### 315. ხალიანისძის სიკვდილსა

ჩამწერი ბეს. გაბური. შან., № 241, გვ. 109. ასეთივეა თამარ ქის-  
ტაურის თქმით სიონში თამარ გოგოქურის მიერ 16.VII—1961 წ. ჩა-  
წერილი ტექსტი. ფ. არქ., კ. 29, გვ. 249. განსხვავება: სტრიქ. თუ  
გკითხნათ — ლექმ რო გითხრასთ.

#### 316. ხუთშაბათს თენგიზისა

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 72, გვ. 94—95,  
ლექსების ციკლი ლექების მიერ თუშეთის სოფლების დიკლოსა და  
შენაქოს აკლებაზე, თუში გმირის მიერ საკუთარი ცოლ-შვილის და-  
ხოცვასა და ხმალამოწვდილი მტრის რაზმში შეჭრაზე რეალურ ამბავს  
ასახავს. ეს დიდი ტრალედია, როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანმა გაარ-  
კვია, 1836—1837 წწ. დეკემბერში ახალი წლის ღამეს მომხდარა. (მიხ.  
ჩიქოვანი, ერთი პოეტური მოტივის სინამდვილისათვის, მოხსენებუ-  
ლია რესპუბლიკურ კონფერენციაზე 1963 წ. ქ. ბათუმში; მისივე,  
პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომე-  
ბის გამო“, პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., III, 1964 წ., გვ. 12—22).  
ამ ციკლის ლექსები ისეა ერთიმეორეზე გადაბმული, რომ ძნელი გახ-  
და სიზუსტით ძირითადი ტექსტების გამოყოფა და მათი ვარიანტების  
დალაგება.

#### 317. დიკლოს დაღევა ვინა სთაო

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 63, გვ. 86—87.

#### 318. შენაჲოს მოვიდ დიდოი

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 62, გვ. 86.

## თ უ შ უ რ ი

### ბ

- შენაქოს მოვიდ დიდოი, დენგამ შეყარა ჭაროი.  
არ სჭერათ შენაქოელებს, თეტრად შემოსეს მთანოი.  
ბეროი სახელაიძეს შეეხვიენენა ცხრანიო,  
ხელაიძისა ციხესა თავზე დახვიეს ალიო.
- 5 ძველ უბან ამოაწყვიტეს, თოფის ამოდის ჩქამიო.  
განწიეს ახალ უბნისკენ: „ელანს მოვავლოთ თვალიო“:  
— „ელანე, გარეთ გამოდი, გარ შემოგრტყმია ჭაროი!“  
უნებურად წევს ელანი, არა აქვს ომის თავიო.  
— „ძმაიცი ხომ იქა მომიკლეს, გულდამწვარიცა ვარიო“..
- 10 გაპოვიდოდა ელანი, გამოიყოლებდ ხმალიო,  
იქნია წალმა-უკულმა, ნაფოტ ამოდის ძვალიო.  
ლამისი გათენებამდის თორმეტ დააწვინ მკედარიო.  
გაქვიტინენ შენაქოელნი, ელანის ნაომარიო:  
— ან მკლავმან როგორ შეიძლო, ან სამლარიან ხმალმანაჲ?..
- 15 ბრალნი ხართ, შენაქოელნი, მტერმანაც გიყოთ ძალიო,  
შინ არა გყვანანთ ჭეილებ, გეცოტავებათ თავიო.

- ე მაგის მომლექსებელი ქალ შენაქოელ ვარიო;  
მთა მალალ გადამავლიეს, დალისტანს ვავლიე თვალიო.  
სამი დღე-ღამე ვიყავი ბუსურბან დალისტანშიო.
- 20 მძიმედ დაწვებოდ ლეკები, მტრისით არ ხქონდის ყამიო.  
ავდექ, სამს გამოეკერ ყელი, ქალმა დავცადე თავიო,  
გამოველ, გამოვეპარე, შენაქოს ვავლიე თვალიო.  
ნუ მტირით, სწორნო ქალებო, მეღირსა მიწა-წყალიო,  
ემაგის მომლექსებელი თითონ ელანიც არიო.

მთქმელი ალ. უჭირაული. თუშეთი. 1931 წ. მაკ. თუშ., № 12, გვ-  
19—20. სათაურად აქვს „შენაქოს აკლება“.

### ბ

ფ. არქ., № 3175.

319. დიკლოს მოიდა დილოი

ჩამწერი თ. უთურგაიძე. უთურგ., № 84, გვ. 150..

## თ უ შ უ რ ი

### ბ

დიკლოს მოვიდა დილოი, აღდამმ შეყარა ჭაროი.  
ხუშეთის ლელეს გადმოდის, ცისი არ სწვდება ნამიო,

წისქვილოანა ამოდის. როგორც მარილზე ცხვარო.  
ქუისა პირას ამოდვა, როგორც ნაგუბარ წყალიო.

- 5 ლენიან ელენაძემ ციხით მოხიდა თვალიო.  
ესროლა, გამოავორა ჩემი ცოლის დამ ხარო,  
ქვე უბან შემოხვილიან, ზე უბან შეზღვეს ზარო,  
შუუბან თოფებ გამოდის, ქურაზიშვილი ვარო.  
— ქალბაქი საჩივრის ქალო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარო.
- 10 ფიქერგორ გადახვიდოდე, უკან გაბრუნებს ქარო.  
ქარი თუმც არც კი ქარია, ქალო, შენ ცოდვა ბრალიო,  
ლეკებს არ გააყოლიდი შენი ლერწამი ტანიო,  
გადავოდ, გადაიყოლე ლეკის ნარჩევი ყმანიო.

მთქმელი გიორგი ტარკოწაძე, 62 წლისა. სოფ. ხახაბუ. 1931 წ.,  
14 ივლისი. მაკ. თუშ., № 11, გვ. 19. ს. მაცალათიას ეს ტექსტი მოყავს  
როგორც ვარიანტი ლექსისა — „დიკლოს აოხრება“ (მაკ. თუშ., № 10,  
გვ. 18—19). ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ დასაწყისი  
სტრიქ. 1—3.

## ბ

მთქმელი მარიხო ცოცანიძე, 34 წლისა. სოფ. ქვემო ალვანი. ჩამ-  
წერი დევანოზ გოჩილაძე. 1962 წ., კრელ., გვ. 23.

## დ

ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., I, გვ. 85, № 60.

## ე

მთქმელი რომანოზ სისვაური, 19 წლისა, თუშეთი, სოფ. ომალო,  
1931 წ. სათაურად აქვს „დიკლოს აოხრება“. მაკ. თუშ., № 10, გვ.  
18—19. თუ ამ და ვ ვარიანტის შინაარსი 1836—37 წლ. დიკლო-შენა-  
ქოს ტრაგედიას ეხება (ლეკიანობის მომძლავრება მე-XVI საუკ. არის  
ცნობილი), მაშინ ლევანის ხსენება ლექსში (ის ლევან კახთა მეფეა  
XVI საუკ., თუ ლევან ბატონიშვილი ერეკლეს ძე, რომელმაც მორიგე  
ლაშქარი დააწესა მარბიელ ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველი) ანა-  
ქრონიზმია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში.

## ვ

ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., I გვ. 64. მოთავსებულია  
ლექსების ციკლში, რომლის საერთო სათაურია „თუშების ბრძოლა  
ქისტებთან“. ტექსტს აქვს გაგრძელება. იგი დამოუკიდებელი, გავრ-  
ცელებული, — ლექსის „შემომეყარა ყვიჩაღის“ ვარიანტია. ეტყობა

მთქმელმა იგი უშუალოდ მიაყოლა ლექსს და ჩამწერმაც შენიშვნის ვარეშე ერთად წარმოადგინა ტექსტი.

ზ

ხელნაწ. ინსტ. H—2017.

ც

ხელნაწ. ინსტ., H—2017, სტრიქ. 4 ახლავს მიხ. ჩიქოვანის შენიშვნა: „ალბათ ზეუბანი ის დასახლებაა, სადაც ეკლესია, ქვეუბანი—სახამთრო საცხოვრებელი?“ მ. ჩ. 20/III 62.

320. აუზაანდალ

ჩამწერი თ. უთურგაიძე. უთურგ., № 95, გვ. 154.

321. შავაველ-პავსურთ მიზვილაბა თუშათოი

ჩამწერი დ. როსტომაშვილი. შან., გვ. 484—485. სათაური აკ. შანიძეს ეკუთვნის. მანვე აღნიშნა დიდი მსგავსება ამ ლექსისა მის მიერ სხვადასხვა ნომრებით დაბეჭდილ ლექსებთან „თავისი ქალების დაკოცა“ და „მიქელა“. მკვლევარი მართებულად აღნიშნავს, რომ ისინი „ერთისა და იმავე ლექსის ნაწილები უნდა იყვნენ“. შან., გვ. 389. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩინეთ მათი ერთი ნომრითა და საერთო სათაურით წარმოდგენა ვარიანტებად. ეს დიდი ტრალედია ქართველი გმირისა არის წყარო ვაჟა ფშაველას ბალადისა „ბაკური“. მიხ. ჩიქოვანმა აჩვენა ვაჟას გმირის პროტოტიპი თუშურ პოეზიაში (მიხ. ჩიქოვანი, „პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომების გამო“, პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ., III, 1964, გვ. 21—22). ამას დაემატება კიდევ ლექსი „ალვანში თუშის შვილები“ (ლიტ. მუხ. 20049—ხ, ყ—337, 1935 წ. X გვ. 23).

ფ შ ა უ რ ი

ბ

ტერლოს ატირდენ დედანი: „მტერჳა კი შავკაშინაო.  
სტუმრულა მოელენ კარზედა, ძალით შამოელენ შინაო.  
ლეგ-ლუგა ფშაველიშვილები აქამც ვინ მოგვიჩინაო!  
ამ ჩვენებს მეთოფეებსა თოფეებიმც დაუგრილაო!  
პირიმც წყლით დაალბობინა, ძილიმცა დააძინაო.  
მალლა დაუდგა ჩაფები, ქვეშ ნიავ გაუდინაო!“

5



ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 483. არის კიდევ ფშაური ვარიანტები:

### ბ

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 484. ტექსტს ახლავს ჩამწერის განმარტებანი ზოგიერთი გამოთქმისა: სტრიქ. 3 — ნეტამც ჩვენს მეთოფეებსა თოფებიმც დაუგრილაო — „სროლით დახურებული თოფები ჰქონიათ“, სტრიქ. 4 — პირიმც წყლით გაალობინა — „იმდენი ვერ მოუცლიათ, წყალი დაელიათ“, სტრიქ. 6 ლეგ-ლუგა — „ლეგად დართული“. შან., გვ. 84.

### დ

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 51, შან., გვ. 484.

### ე

ჩამწერი ბაჩანა. „ივ“, № 217, 1898. ჩამწერის ადგილი არ არის აღნიშნული. რაკი ბაჩანა ძირითადად ფშავში კრებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ჩვენც ეს ვარიანტი ფშაურ ტექსტებთან მოვათავსეთ. ხალიაძისგან საკუთარი ქალების დახოცვას საინტერესოდ ხსნის ჩამწერის მიერ ტექსტზე შენიშვნის სახით დართული გადმოცემა: „ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფ. ელოს, შამოსევია შიგ. მიქელისათვის მის ქალიშვილებს შეუტირნიათ: ნუ დაგვაწბილებენ, შენის ხელით დაგვხოცე, გვირჩევნიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში. ამაზედ არის ნათქვამი: თავ იმით მიიწყინაო“. შან., გვ. 485.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### 3

ელოს ატირდეს დედანი: „მტერმ მარკედ შაგვაშინაო.

შაყრილნი მშაველ-ქვესურნი ელოსამც შამოხვიენაო

დიჩინებს ქვესურთ შეილებსა ყაწიმებ დაუმდღეინაო

მშაველები ლეგ-ლუგაები თოფებსა ჩამოხვიენაო

5 სამციხელების თოფებმა ელოს ჩდლ შამოხვიელაო

ამ ჩვენებს მეთოფეებსა ძილიმც ვინ დაგვიძინაო

პირი წყლით დაალობია, თოფებიმც დაუგრილაო

ბლოველი მალოდინი წამააბედებს თავსაო.

ცხენ-თითოს გამოჯრინდების, მეტა ოროლს სკრის თავსაო.

ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან., № 254, გვ. 114. აკ. შანიძის ცნობით „ამ ლექსს ასეთი შესავალი მიუძღვის: „თუშეთს რომ ლეკის ჯარი დასცემია და იქ მიშველებიან ჭევსურნი, სიმღერა არის“. შან., გვ. 482. უთუოდ ამის მიხედვით დაასათაურა აკ. შანიძემ ეს ლექსი „მშაველ-ჭევსურთ მიშველება თუშეთში“. აკ. შანიძის ცნობითვე მე-7 სტრიქონის შემდეგ ჩართული ყოფილა განმარტება (უთუოდ მთქმელის. ქ. ს.): „მაშინ თუშეთს ლეკის ჯარი შამოხვევია, იქით ჭევსურნ მისულან და დარევიან კმლებით შიგ ლეკის ჯარს და გაუჭრავ თავები. გაქცეულან. მთას იქითაც გადახყოლიან“. შან., გვ. 482. ბლოელი ნოლოდინა ერეკლე მეორის თანამებრძოლი გმირი იყო. შან., № 50, გვ. 20. მისი ხსენება ლექსში კონტამინაციის ერთი მაგალითია. ცნობილია სხვა ხევსურული ვარიანტებიც:

#### ზ

ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 483.

#### ც

ჩამწერი გელოვანი. შან., გვ. 483.

#### ძ

მთქმელი შ. სისაური. ლიქოკი. ჩამწერი გ. ლომთათიძე, სნჯ., III, გვ. 68.

#### წ

მთქმელი ხევსური მ. გოგოჭური. ჩამწერილი კახეთში, სოფ. ახაშენი. ჩამწერი გ. არაბული. ფ. არქ., კ. 27, გვ. 70.

#### ჩა

მთქმელი ხევსური მზექალა არაბული. თიანეთის რ., ტოლანთ უბანი. ჩამწერი ნ. სახელაშვილი. ფ. არქ., კ. 28. გვ. 27.

#### ჩბ

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., № 77, გვ. 30. ა. შანიძემ ლექსი ასე დაასათაურა „თავისი ქალების დაკოცა“.

#### ჩგ

ჩამწერი ცნობილი მოლექსე ბეს. გაბური, შან., № 242, გვ. 110. როგორც აკ. შანიძე შენიშნავს, „სულეთის წახდენის მიზეზად აქ ლე- 482

კების გაწყვეტა დასახელებული, მაშინ როდესაც № 77 (შან.) იგივე ამბავი საკუთარი ქალების დახოციით არის ახსნილი“. შან., გვ. 479.

## თ უ შ უ რ ი

### იღ

- ქელოში დედან ატირდნენ: ჩვენ მტერმან შეგვაშინაო, კარზედ მოგვდიანთ ძალითა, სტუმრულად დიან წინაო. ნეტავ ჩვენსა მეთოფეებს ძილით ვინმ დააძინაო, პირიმც წელთ გააღობინა, თოფეზიმც დაუგრიაო.
- 5 სამციხელების თოფეზმა ქელოსამც შამაიხულაო. ქავთარმა ლუხუმის ძემა კმა-წვრილად შამაიკივლაო: ის ჩვენი ფშაველ-ქვესურნი აქამც ჩამააჩინაო: ქვესურთ ფარ-კმალი, ყაწიმი ქელოს თავს ჩამააბდღვინაო. მიქელმა ზურაბის ძემა რა საქმე მოაქდინაო:
- 10 თვითონ დაჯოცა ცოლ-შვილი, სულეთი წაიქდინაო. დღენიცა ერგოს ეგეთი, ვინც მიქელს გაუცინაო.

ჩამწერი ივ. ბუქურაული, თაყ., I, გვ. 49. შან., გვ. 484.

ცნობილია სხვა თუშური ვარიანტები:

### იე

ჩამწერი დ. ალბანელი, კვ., № 14, 1897; შან., გვ. 485, დ. ალბანელის შენიშვნით „ლექსს დაბოლოება აკლია“. იქვე.

### იზ

მთქმელი დ. იუკურიძე, სოფ. ზემო ალვანი, ჩამწერი ვ. ბუთლია-შვილი. ლიტ. მუზ., 20005—6, ყ—329, გვ. 27.

### იჟ

მთქმელი სარა კობეს ასული კვრიტინაიძე-კურდლაიძე. 64 წლი-სა, სოფ. შენაქო. ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 6.IX—1965 წ.

### 322. ჯარი იჟრება დაღმსტანს

ჩამწერი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., I, გვ. 85—86. ტექს-  
ერთვის შენიშვნა: „თუშების გადმოცემით, ორმოცი საპატიო ვაჟი:  
გამოუტყუებიათ ლეკებს, ვითომ მოსალაპარაკებლად — და ღალატ  
ყველასათვის თავები გაუყრევიანებიათ“. იქვე, გვ. 86.

ჩამწერი ანო არაბული. სნჯ., III, გვ. 162. ხელნაწერი დაცულია ლიტ. მუზ. 20070, ყ—341, გვ. 106.

კ ა ხ უ რ ი

ბ

- აღვანში სანაქებოა თუში შალვაის ქალიო,  
 ქმარიც მოუკლეს ლეკებმა, ჩუმად გარეკეს ცხვარიო.  
 მაზლო იენე, რა უყუე შენი ძმა, ჩემი ქმარიო.  
 ბორბოლა მთაზე გაეწირე, წითელი ღვინით მთვრალიო.
- 5 ქალმა შაკმაზა ის ლურჯა, წელზე შაიბა კმალიო.  
 მეორე დილა გათენდა, ცხვარსა მოკიდა თვალიო,  
 გადაურბინა ლეკებსა, აძახა ვაი-ვაიო.  
 ცხვარ დააბრუნა შინათკე, არ ეკლდა ერთი ცალიო.

მთქმელი ტ. ჭიმშიტაშვილი. თიანეთის რაიონი, ბადანი. ჩამწერი დ. წერედიანი. 16.VII—1961. ფ. არქ., კ. 27, გვ. 157.  
 სხვა კახური ვარიანტებია:

ბ

მთქმელი ნ. ვარდოშვილი. მატანი. ჩამწერი გ. არაბული. ფ. არქ., კ. 27, გვ. 193.

დ

მთქმელი ბ. ხარხელაური, საყდრიონი. ჩამწერი ნ. შაქრიაშვილი. 1961 წ. ფ. არქ., კ. 43, გვ. 52. სათაურად აქვს „თუშური ლექსი“.

ფ შ ა უ რ ი

ე

აღვანში სანაქებოა  
 თუში შალვაის ქალიო  
 ქმარი მოუკლეს ლეკებმა  
 ძალით გარეკეს ცხვარიო.

ჩამწერი რ. ხორნაული. ლიტ. მუზ. 6, ყ—92. რვ. 93. ავტოგრაფი.

ზ

მთქმელი თ. ქეთელაური. თიანეთის რაიონი, ს. ყუდრო. ჩამწერი ნ. სახელაშვილი, 1961, ფ. არქ., კ. 28, გვ. 37.

მთქმელი ნ. გეთიაშვილი. გურჯაანის რაიონი, ს. ჩუმლაყი. ჩამწერი გ. გეთიაშვილი. სსჯ., III, გვ. 21.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- ივანე კაკიაშვილი ვაჟაკი დადგა ხმიანი,  
ქურანი ყვანდა საჭდომი, ქურანი ყვანდა ფრთიანი,  
საჯოგეს წამოუარა, ჯოგმა დაიწყო გრიალი,  
როდეს ესროლა ქამანდი, თოკმა წაიღო წკრიალი,
- 5 შეიდი ცხენი შიგ გააბა, ხალიანი და ტიალი,  
ალაგობიდგან ვერ დაძრეს ივანე მხარბეკიანი,  
დაირეკა, წამაახსა, ალავერდობი დაღე არი,  
სახლის ეზოზე მოლალა, ცხენის ჯოგს გააქ გრიალი,  
ხალხი გადის და გამოდის: ვისია ჯოგი ტიალი?
- 10 პატარძალი გამოიდა, ტურფა და ლამაზთმინი:  
წუხელ ივანემ მორეკა, ის აგეთი ბიჭი არი.  
ერთი ნაჩალინის აჩუქა, ხალიანი კვიცი არი.  
დაჭდა და კარგად გალესა, ხმალი გახდა ფხიანი,  
ივანე ქურანს მახტა, ცხენმა წაიღო გრიალი,
- 15 გააცი და გააცი, ქურანო, როგორც ქარი და ნიაეი,  
დალისტანში გადამაგდე, როგორც ქარი და ნიაეი,  
ეს არა თქვა: არ მიმეტებს, ჩემზედა აქ მხოლოდ თვალი,  
გაეიქნეე ხმალს, თავს მოგაქრი, სხეებიცა მყავ შენი ცალი.  
იგრე წავიდა ქურანი, როგორც ნიაე-ქარიშხალი,
- 20 დალისტანში გადავარდა, ჯერ ვახშობა არც კი არი,  
კამეჩობა დაიტაცა, უთვალავი ძროხა, ხარი,  
ბევრი ხალხი დაასუქა, შიმშილობაც მაშინ არი.

მთქმელი შაქრო გალუსტოვი. ს. კაკაბეთი. 1961 წლის 15 ივნისს. ფ. არქ., კ—1, გვ. 220. ჩამწერი გიორგი პაპუაშვილი. ახლავს ჩამწერის შენიშვნა. „ივანე კაკიაშვილის ეს ვარიანტი საკმაოდ განსხვავდება სხვებისაგან“.

არის სხვა კახური ვარიანტები:

### ბ

მთქმელი ქიტა კუპატაძე, სოფ. კაკაბეთი, გურჯაანის რ., ჩამწერი გ. პაპუაშვილი. ფ. არქ., კ—1, გვ. 46.

### ღ

მთქმელი ვას. ტაბატაძე, ლაგოდების რაიონი, ს. ონანაური. ჩამწერი გ. ბრეგვაძე. XI—1934. ლიტ. მუზ. 20017—ხ, ყ—331, გვ. 108.

ჩამწერი ივ. ბუჭურაული, თაყ., I, № 68, გვ. 89. ასახულია თუშების თავდასხმა მეცხვარე ლეკებზე. ტექსტს ახლავს ჩამწერის შენიშვნა: „თუშები რომ სამტაყებლოთ ჰკარამდის ჩადიოდნენ, გვიმტყიებეს, ის, რომ თუშეთიდან დაწყებული ჰკარის თავამდის სულ მთა-მთა, უმთავრეს კავკასიონის ქედის ზურგზე ჩადის საცალფეხო ბილი-კი, რომელსაც „სათუშო ბილიკს“ უწოდებენ. ეს ბილიკი ეხლაც ატყვია. ჰკარის თავში ერთ მთაზე დევს დიდი ქვა, რომელზედაც თუშე-ბი თარეშობის დროს სჭედავდნენ ცხენებს“. იქვე, გვ. 90. საინტერესოა ლექსში თილიძის ხსენება, შეიძლება ლექსის შეტანა თილიძის ციკლშიც, მაგრამ იგი არ არის ამბის ცენტრში. თილიძის ხსენება საინტერესოა ლექსში გადმოცემული ამბის დასათარიღებლად — იგი მე-XVIII საუკ. მეორე ნახევარს განეკუთვნება.

## თ უ შ უ რ ი

### გ

- მთასა შავხედზე მშრალია, ჰალას ჩამოწვა ზვავია.  
 თუშთა გალესეს ხმალია, ყველამ გამართ აბჯარია.  
 სოფლად გაგზავნეს კაცია: — თუშნო გავიდეთ ველადა.  
 მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა, ახლა ველობის ხანია.
- 5 ქვევითა ჩვენა ჩავიდეთ, მთებსა დაველოთ თვალთა.  
 სოფლად შეყრილან თუშნია, ლაპარაკობენ ჰკვავებდა.  
 წინა გაგვიძღვე ქავთარავ, თუშო, გაგვიღვე გზანია...  
 წინა გაუძღვე ქავთარა, თუშთა ნარჩევიც არია...  
 თუშნო, ქვევით ჩვენ წავიდეთ, ლეკთ მრავალ უღვათ ცხვარია.
- 10 ჰკარის თავს თუშნი ჩავიდნენ, მთა-მთა ჩაიღეს გზანია.  
 ჰკარის თავს ჩაითამაშეს, დილაი ბინდის ხანია.  
 ცხვარი ბევრი მოაქუჩეს, ექვსასი ფაროვანია.  
 ცხენ და ძროხა მოაქუჩეს, მრავალი საშოვარია.  
 გამართეს თუშეთისაკენ. ღმერთო, გვიმართე გზანია.
- 15 დედის ერთამა თილიძემ სიზმარი ნახა ძნელია:  
 თუშებო, გენიშნებოდესთ — დღე გაგვითენდეს ცდისაო,  
 ე მაგათ მუქარაზედა შაყრილ დაღისტნის ჭარია.  
 მაღლა ანწუხის მთაზედა თუშთა მოუჭრეს გზანია...  
 შორიდან ლეკებთ იძახეს: თუშნო, გაწირეთ ცხვარია.
- 20 უარს არიან თუშნია — ლეკნო, დაგვიგდეთ გზანია.  
 ძალაზედ დადგნენ ლეკნია, თოფისა დადგა ალია.  
 ბაჩოი, თუშის გაზდილი წოვათაისი თვალთა.  
 ბაჩომა ლილის ფრანგულსა — ნაქებს უშინჯა ფხანია.  
 გასქერ ფრანგულთ, გამიძღვეხ, გაქირვებისა არია.
- 25 ხმალდახმალ თუშნი ჩავიდნენ, ღმერთო, დასწერე ჭვარია.

დახოცეს ლეკის შვილები, წერებედ ჩაწერეს მკედარია.

დახოცეს ლეკის შვილები, ჩალად დაყარეს მკედრებია.

ლენიცა მანდავ დალივეს, შაყრილ დაღისტნის ქარია.

ცხვარიც თუშოს გადარეყეს, მაგ ლეკთა მონაგარია.

30 ეგ შეიტყო დაღესტანმა, თავზე დაეცა ცანია...

თუშნო, თქვენამც ნუ იქნებით, ნურც თქვენი სახლის ქვანია,

მუყუთი მაინც რათ მოჰკალით, ეგ დაღისტნის სარდალია.

ვინლა შეყაროს დაღისტან, ვინლა გაგვილოს გზანია.

თუშთა დაიგდეს მთანია, ქარის თავს დასდევს მელარი,

35 მთებზედ ჩამოითარეშებენ, წინ დამდგომი ვინლა არი.

მთქმელი როსტომ ბაიძე. თუშეთი. ჩამწერი გომელაური. ცენტრ. არქ., ფ. 1446, № 689, გვ. 77. ახლავს განმარტება: სტრიქ. 34 — მ ე ლ ა რ ი — მ ი ჯ ნ ა .

### 326. პერხოვანის ციხე

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., № 77, გვ. 100.

### 327. ხუბით ქაპთარი

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი, ფშ. ლექს., გვ. 18.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

ჩამწერილი ფშავში ვ. ხორნაულის მიერ. კოტ., გვ. 112. ახ. გამოც., გვ. 126. თითქმის იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 1 — მეცხვარეები; სტრიქ. 5 — გა დ მ ა ე შ ლ ე ბ ს; სტრიქ. 7 — თ ო რ მ ე ტ თ ა შ უ ა და ბ რ უ ნ და; სტრიქ. 11 — და გ ი ზ ო გ; სტრიქ. 12 — და გ ი ფ ე რ ე ბ; სტრიქ. 13 — გა ჰ კ ვ ი რ დ ნ ე ნ; სტრიქ. 14. — ხ უ ტ ა თ. სტრიქ. 15 — უ ქ ე ბ დ ნ ე ნ; სტრიქ. 19 — ჩ ა მ ა ს დ გ ო მ ი ყ ო; სტრიქ. 20 — გ უ ლ ზ ე .

### ბ

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. 1884 წ. უმიკ., № 67. გვ. 60. ეს ვარიანტიც ფშაურია, რადგანაც დ. ხიზანაშვილი მხოლოდ ფშავში კრებდა მასალებს. ეს ჩანაწერიც თითქმის იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავებანი: სტრიქ. 3 — ე რ თ მ ე ც ხ ვ ა რ ი ს ა ს ა მ ბ ო ბ ე ნ; სტრიქ. 5 — გა დ მ ო ე შ ა ლ ნ ე ს; სტრიქ. 9 — მ ო მ კ ლ ა მ; სტრიქ. 11 — და გ ი ხ ო ც თ; სტრიქ. 15 — უ ქ ე ბ დ ნ ე ნ. ტექსტს ახლავს განმარტებანი: ა ლ ი მ ა ჰ მ ა დ ი — ლეკების ბელადი; ხ უ ტ ი თ ქ ა ვ თ ა რ ი — გვარი.

- ორხეუში მეცხვარეები ფარებსა ხევენ ცხერისასა,  
 ამბობენ, ერთსა მოყმესა ხავილს გაუდგა მშელისასა,  
 ველი რა გადაათავა, ნაპირს გაუდგა ტყისასა,  
 გადმოშალნენ ლეკები, რისხვასა ჰგავდნენ ცისასა.
- 5 დაბრუნდა თორმეტთა შუაში, პირს დაუბრუნებს მგლისასა.  
 თოფს უმატებს და წამალსა, ვადას ეწევა ხმლისასა;  
 — ტიალო სიმარტოვეო, ხანს არ მაძლევენ ცლისასა.  
 დაეხსენ, ალი მაჰადო, ნუ გამიფერებ სხვისასა,  
 დაგიხოც ბიძა-ძმისწულთა, შენც დაგლებ თოფის ნიშანსა.
- 10 გაკვირდნენ მთელი ლეკები ცლისასა ჭავთარისასა.

მთქმელი ქ. ბუჯიაშვილი. ქიზიყი, ქვ. მაჩხაანი. ჩამწერი ვ. მაცა-  
 ბერიძე. კოტ., გვ. 163, ახ. გამოც., გვ. 179.

თ უ შ უ რ ი

ე

- ამბავს მოგიტხრობთ ბიჭებო ვაჟკაცზე კაი ყნისასა,  
 ვინც ყადრი კარგად იცოდა, ვაკე ბარის და მთისასა.  
 ალალი კაცის საქმესა, ლუკმას არ სკამდა სხვისასა,  
 მაგრამ უმუხთლა ბედმანა, ვახ კარგსა ვაჟკაცისასა.
- 5 ორხეუში მეცხვარეები სანგალსა ხევენ ცხერისასა,  
 ერთს მოყმისა ამბობენ, ხავილს გაჰყვება შელისასა.  
 გადაიარა ხევები, ბილიკებს მისდევს კლისასა.  
 თვალი შეასწრეს ლეკებმა, ვახ, დედას კარგის ყმისასა.  
 თორმეტთა შუა ჩავარდა, მუხლსაც აბრუნებს მგლისასა.
- 10 ნუ მომკლავთ უსახელოდა, ვერ იზამთ სიმართლისასა,  
 დაერევიან ერთმანეთს, ელვას აჩენენ ხმლისასა.  
 იბრძოლე ხუტათ ჭავთარო, სანამ შუქს ხედავ მზისასა.  
 თოფის სიმართლეს უქებდენ, ნაჭრევესა ფრანგულისასა.  
 გაჰკვირდნენ ჭარის ლეკები, ცდას ხუტათ ჭავთარისასა.
- 15 მაგრამ ვინ დალევს ამ ქვეყნად ჭინჭარს და შავსა ქვიშასა,  
 დაეცა ხუტათ ჭავთარი, შუქს ვეღარ ხედავს მზისასა.  
 რა ცოდვა არის ერთ ვაჟკაც მსხვერპლი შეიქნას ცხერისასა,  
 ვეღარ დალაზვ ქავთარო, ბილიკებს მაღალ მთისასა.  
 თიანეთს თიანელებსა, ცოდვა ბრალს თავის დისასა,
- 20 ჩამოსდგომიყო ჭალასა, გულზედ იყრიდა ქვიშასა.

მთქმელი გურამ ბაიხოძე, ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონგი-  
 შვილი, XI—1961 წ. ფ. არქ., კ. 24, გვ. 66. შედარებით სრული ვა-  
 რიანტი. სათაურად აქვს „ხუტათ ჭავთარი“.



3

ქარში კვირობენ ლეკები ცდას ხუტის ქავთარისაო:  
— ჩვენ თორმეტ ვერა ვქენით რა, ნასვეტს აეგო ხისასა.  
— ნუ მამკლავ მალიმამადო, ვერ იქამ სამართლისასა,  
ცოდვას საილა წაუხვალ დღისა ჩემის დისასა.

5 კვირობენ თიანელები ცოდვა-ბრალს შავის დისასა,  
ცოცხალი იმარხებოდა, თავზე იყრიდა ქვიშასა.

მთქმელი ნინია აფციაური. ღუმაცხო. ჩამწ. ელ. ვირსალაძე, 1934 წ., ვირსალ., № 21, გვ. 114. მთქმელის შენიშვნა: „იმღერება ფერკისად — ქორწილში, დღეობაზე“. იქვე, გვ. 443. ჩამწერის შენიშვნა — სტრიქ. 3 — უ ნ დ ა ი ყ ო ს ა ლ ი მ ა ჰ მ ა დ ი. იქვე, გვ. 114, სტრიქ. 1 — დაბეჭდილია ხუცის, შევასწორეთ — ხ უ ტ ი ს.

328. ტირიან თუშის ქალები

ჩამწერი ივ. ბუქურაული. კოტ., გვ. 99, ახ. გამოც., გვ. 115. აკ. შანიძემ ამ ლექსის ვარიანტები დაურთო ზვავით დაღუპულ თორმეტი თუშისა და ერთი დიდოს შესახებ შექმნილ ლექსს „ზვავი“ — შან., № 274 და გვ. 495—496 — თანაც შენიშნა: „აქ თითქო ორი სხვადასხვა ლექსია შეერთებული ერთისა და იმავე ამბის შესახებ. პირველი ნაწილი ბაჩანამ დაბეჭდა („ივერია“, 1898, № 217) მცირე განსხვავებით...“ შან., გვ. 495. აკ. შანიძის მიერ დაბეჭდილ ტექსტში (№ 274), მართლაც ორი სხვადასხვა ლექსია შეერთებული, მაგრამ ისინი ერთსა და იმავე ამბავს არ უნდა შეეხებოდეს. ლექსის მეორე ნაწილი ლეკიანობის ამსახველია და როგორც ვ ვარიანტიდან ჩანს, დამოუკიდებლადაც არის გავრცელებული ხევსურეთში.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ქართ. სიმღ., I, გვ. 2—4. იმეორებს ძირითად ტექსტს. სტრიქ. 2 — მო გ ვ ი ვ ი დ ა. სტრიქ. 4 — თ უ დ ა ს კ რ ა ვ ი ნ მ ე მ. აქვს მელოდია. ქართ. სიმღ., I, გვ. 2—4.

კ ა ხ უ რ ი

ბ

ტირიან თუშის ქალები, არ მოგვივიდნენ ქმარები,  
ლეკები შემოხვდებოდნენ, დაგვიყრევინეს თავები,

იმათი ლურჯა ცხენები დადიან დალაგებულები.

ჩამწერი ნ. ანდრონიკაშვილი, 1868 წ. უმიკ., გვ. 561. კიდევ არის ვარიანტი. იხ. ფ. არქ., უმიკ., № 111.

## ფ შ ა უ რ ი

### ღ

ტირიან თუშის ქალები, არ მოგვივიდნენ ქმარები.  
ვაი თუ დაუხვდნენ თათრები, დააყრვეინეს თავები.  
ქალო თრიალეთს შენს ქმარსა ლეკები დახვედერიანო,  
თითოს მოუკლავ შეიდ-შვიდი, ბიჭობაც ამას ქვიანო.

მთქმელი ვ. ჩარბოლაშვილი. ქვემო ქელი. ჩამწერი მ. წიკლაური.  
1962 წ. ფ. არქ., კ. 114, გვ. 40.

### ე

მთქმელი ფშაველი. ჩამწერი დიმიტრი არაყიშვილი. დაბეჭდილია სხვა სიმღერასთან („თუშო, ნუ მიხვალ ქოშარას“) ერთად. „ქართული ეროვნული ორხმოვანი სიმღერები“, მოსკ., 1909 წ.; შან., გვ. 496.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ზ

ატირდეს თუშის ქალები: „არცად ას ჩვენებ ქმარები.  
შაწუხებულუმ ცხენებმა არ შაირჩინა ნალები“.  
ზოგთა თქვეს: „უკულმ დავკაზმათ, ზედ შავსხდათ თუშის ქალები“.  
ზოგმა თქო: „ბოსელთ შავყარათ, უკულმ დავქვარათ კარები“.

5 ზოგებმ თქო: „მინდორთ ჩავლაათ, იქ ნაყას ნალ-უსმარები“.

ჩამწერი ალ. ოჩიაური. შან., გვ. 495.

ხევსურეთი. ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. გადაბმულია სხვა დამოუკიდებელ ლექსზე, „ზვავი“, შან., № 274, გვ. 122.

## გ უ დ ა მ ა ყ რ უ ლ ი

### ზ

ატირდენ თუშის ქალები, არ მოგვივიდნენ ქმარები,  
ოკრად დაწუხდა ცხენები, დაგლიჭეს ლავმის ტარებით.  
ზოგთა თქვეს, ბოსელ შეერეკოთ, გამოუჯაროთ კარებით.  
ზოგთა თქვეს, მინდორს გაუშოთ, იგალონ ნალ-ურსმანებით,  
5 ზოგთა თქვეს, უკულმ დავკაზმოთ, ზედ შევხსდეთ თუშის ქალებიო.  
ზოგთა თქვეს, ქალაქ წავიდეთ, ამოვარჩიოთ ქმარებიო.  
ზოგთა თქვეს, ნურც ერთს ნუ იქამთო, გულს მოგვდევს ჭრელათ ქალებიო.

მთქმელი მარიამ აფციაური. დუმაცხო. ჩამწერი ელ. ვირსალაძე, 1950 წ. ვირსალ., № 54, გვ. 127—128.

## ე

ჩამწერი ნ. ხუციშვილი, ივ., 1889, № 204, იხ. შან., გვ. 496.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ით

ტირიან თუშის ქალები: „არ მოგვივიდნენ ქმარები, ვაი, თუ დახედნენ ლეკები, დააყრევინეს თავები.“

ჩამწერი ეფრ. გოძიაშვილი. 1882 წ. უმიკ., № 111, გვ. 83.

## თ უ შ უ რ ი

### იკ

ლეთა ტირიან ქალები: „ადარ მოგვივლენ ქმარები.“

ცხენებთ რა უყოთ ტიალთა? დაწყვიტეს ლაგამთ ტარები“.

ზოგთა თქვეს: „ბაშტებს შეეყაროთ, მაგრა დაეგულოთ კარები“.

ზოგთა თქვეს: „მთაზე გაუშვათ, თავზე წაქეყაროთ ლაგმები“.

- 5 ზოგთა თქვეს: „უკულმ შეეკაზმოთ, ზედ თავად შეესხდეთ ქალები. გადვიდეთ თუშეთისაკენ, იქვე შევიერთოთ ქმარები“.

ჩამწერი ივ. ბექურაული. შან., გვ. 495—496. აკ. შანიძე შენიშნავს: „ეს ლექსი მობმული აქვს, როგორც ნაწილი, მუცალის ლექსის თუშურ ვარიანტს“. იქვე, გვ. 496.

## უ პ ა ს პ ო რ ტ ო

### ბ

ოტრ. № 3, 1887; შან., გვ. 496.

### 329. ფუნჩა და მანგია

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 118, გვ. 45.

### 330. ღავითი

მთქმელი გიორგი ჯამარჯიშვილი. ხევი. ჩამწერი პ. უმიკაშვილი, 1881 წ. უმიკ., № 54, გვ. 54. სტრიქ. 3. დაბეჭდილია მ ა ვ ლ ე ს. შევასწორეთ მ ა კ ლ ე ს. სტრიქ. 4. ვარიანტია — ნ ა მ გ ა ლ ა ი ყ ო ჩ ე მ ი ო.

## ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი

### ბ

ყორანო, ჰარის ბოლოსა არ დაავლია თვალთ,  
არცად ნახია დავითი, შინისკედ მამავალია?

— როგორ არ ვნახე დავითი, თრიალეთ ხუცანდა ცხვარია,  
გზის ძირ მამეკლა თათრებსა, გზის თავში იწვა მკვდარია,  
5 თავითი ება ლურჯაი, ტიროდა, ეგრ რო ქალია,  
ფეკითი — შავი ალამი, უფრიალებდა ქარია.

ორ დღეს დასჩხავლეს ყორნებმა, პატრონი არცად არია;  
მესამე დილას მოუვლენ დავითსა თავის ძმანია.

მისვლაზე მოკლეს თათარი, დავითს შასწირეს მკვდარია,

10 შენდამც იქნების, დავითო, აზიდვინიდი წყალია,  
მესამ-მესამე დილასა აბანდვივიდი ჭლანია.

მთქმელი ხევსურეთიდან, კახეთში გადმოსახლებული ხევსური  
ხვთისო არაბული. ქორუბანი. ჩამწერი გ. არაბული, 1961 წ. ფ. არქ.,  
კ. 27, გვ. 88. სათაურად აქვს „დავითი“.

### ღ

მთქმელი ხევსური მ. ზაქაიძე. ს. არხილოს კალო. ჩამწერი გ. შე-  
თეკაური. 1962 წ. ფ. არქ., კ. 118, გვ. 35.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ე

— ყორანო, ჰარის ბოლოსა არ გადავლე თოლია?

რო არცა დნახე დავითი, თრიალეთს ედგა ცხორია.

— დავითი როგორ არ ვნახე, მთელზეც მექირა თოლია,

გზის თავში მამეკლეს ლეკებმა, გზის ძირ ჩაავდეს მკვდარია.

5 სამ დღეს ვიხველეთ ყორნებმა, პატრონი აოსაო არია.

მოუდგეს მესამე დღეზე თუშნი დავითის ძმანია.

მისვლაზე მოკლეს ურჯულო, დავითს შესწირეს მკვდარია,

„ქარგა გატანჯე რჯულ-ძალი, აზიდვინოდე წყალია,

ნუ შააწუხებ წყემსებსა, აბრუნებინეთ ცხორია“.

10 ალაზნის ჩემეგება გივარგის თავის რძალია

— ბიჭო, ძმა სადლა დაავდე, დავითი, ჩემი ქმარია?

— იქვე თრიალეთს დავავდე დაპირილი, როგორც მხალია,

თავით დაუეც ნიშანი — ნამტერევი შუბის ტარია,

გვერდით დაუმბი ლურჯაი, ტიროდა, როგორც ქალია.

15 დაჯრა და ქალი ატირდა, მაგრა შაიკრა თმანია,

შეკაზმა ცხენი ლურჯაი, წელს შამაირტყა ხმალია.

— მინდა წავიდე თრიალეთს, ვიპოვნა ჩემი ქმარია.

გავიდა ჩემთის წყალზედა, იქ ეერივენს გზანია.

ქალი მბრუნდა შინატყე, ჩამაიშალა თმანია.

20 ცოლმ დაარცხვინა გივარგი: — თუშო, გადადი ხმლითაო.

თუ არა მე გადავლი ქალურის პერანგითაო.  
გადვიდა მთვრალად გივარგი ამაღებულის ხმლითაო,  
იმის ნახოცი ლეკები ბიკლოჩი ჩამოდისაო,  
ბიკლოჩი ქალი და რძალი წერილად იტყვიან ლხ.ნსაო.

მობ., გვ. 26.

### 3

მობ., გვ. 127.

#### 331. დავსწუხდი ჩემის ძმრისაჲან

მთქმელი ივანე თოლიკაშვილი. ხევი, სოფ. სტეფანწმინდა. ჩამწერი სიმ. შადური. 1890 წ. უმიკ., № 68, გვ. 61, ტექსტს ახლავს განმარტებანი:

სტრიქ. 3 — კ ე — ხ ო ლ მ ე ;

სტრიქ. 46 — მ თ ო რ ე — მ თ ვ ა რ ე ;

სტრიქ. 60 — ც ხ ო ს თ ა ნ — ს ხ ვ ა ს თ ა ნ .

#### 332. ძვანანას მაცხარებაჲა

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 82. ბახტრიონის გმირის ზეზვა გაფრინდაულის ხსენება ლექსში საშუალებას იძლევა გადმოცემული ამბისა და თვით ლექსის დათარიღებისა. იგი მე-17 საუკუნის პირველ ნახევრის ამბებზეა შექმნილი. როგორც ლექსიდან ჩანს, მეცხვარე მანგია უთურგაიძე (უთურგა ლექსის მიხედვით მამა ყოფილა მანგისი) ზეზვა გაფრინდაულის თანამედროვე ყოფილა, რომელსაც მომხდურ ლეკთაგან ოთხი მოუკლავს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულა. ეს ლექსი იმითაც არის საინტერესო, რომ გვაცნობს ბახტრიონის გმირის როლს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლექსი საგულისხმოა აგრეთვე საქმლოვიარო პოეზიასთან კავშირითაც.

#### 333. აზგობან, არა სტუჟიან

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 77—78.

### თ უ შ უ რ ი

#### ბ

შუა ზაფხულში დავარდა: დაიძრა დაღესტანიო,  
ხისოს ლაში ჩამოდგა, როგორც ნაგუბარ წყალიო.  
დასხდეს, აზრობდეს ლეკები, საით გავიღოთ გზანიო:  
ზოგთა სთქვეს: ხისოს ჩავიდეთ, ჩავლევოთ ხისოს ქვანიო,

- 5 მანლით მოერეკოთ ტუვეები — ლამაზი ქალი დ' ზალიო;  
ზოგთა თქვეს: მთებში წავიდეთ, მოერეკოთ ძროხა-ცხვარიო,  
იძახეს ნაციხერიდანა: ქუმელაურთას არს ჩქამნიო,  
ქუმელაურთას ციხესა შემოეხვია ჭარიო;  
ბეჭურათ სახლსა, ციხესა ცამდინ აუშვეს ალიო
- 10 ხმალდახმალ ომსა ამბობენ ბეჭურათ ქალი დ' ზლისაო.  
კაც მოხკლა ხაჩოს გიორგიმ, სოფელში დარჩა მკედარიო;  
ლეკებ ჩახოცა შეთეს დავითმა, რად უარმებენ სხვანიო,  
არმის სახელის წამლებსა გაუწყრეს პირი ღეთისაო.  
ჯაოი ბერიკაიძე ცით ჯვარი ჩამოგვიჩნდაო,
- 15 ცხენ და ცხენ შეღვარდ ლეკებში, შეხია ლეკის ჭარიო!...

ჩამწერი ივ. ბუჭურაული. თაყ., I, გვ. 78.

### ბ

მთქმელი შეახელაშვილი მოსე. ს. ზემო ალვანი. ჩამწერი ვანო ბუთლიაშვილი. ლიტ. მუზ. 20009—ხ, ყ—329, გვ. 64. ახლავს განმარტება: სტრიქ. 3 — ს ი კ ო ს ლ ა ე შ ი — ვ ა კ ე ა დ გ ი ლ ი ა.

### დ

მთქმელი ა. გარსევანიშვილი. სოფ. ზემო ალვანში. ჩამწერი ვ. ლაგაზიძე, ლიტ. მუზ., 20053—ხ, ყ—338, გვ. 156.

### 334. მითის სიმღერა

ჩაწერილი თუშეთში. აქვს მელოდია. ქართ. სიმღ., I, გვ. 32.

### ბ

- ალვანსა ყოვის ყორანი, ძირს არა ჯდება ბანზედა,  
შირაქს ეზაღვის მეთი, იარალს ისხამს ტანზედა.  
მეუღლე მაგას უშლიდა, მეითს არ მოსდის ჭკვაზედა,  
— წუხელ მე სიზმარი ვნახე, შავი ჩამეცვა ტანზედა.
- 5 მეითმა არ დაიშალა, კობტათა შეჭდა ცხენზედა,  
შინ მშვიდობასა ეტყოდა. იარე ცხენო, გზაზედა.  
ჩავიდეთ, თვალი დაველოთ დიდი შირაქის ქედზედა.  
ალმალოს ხიდზე გავიდეთ, ორუჯს მივიდეთ კარზედა.  
მესაზე დილა გათენდა, ორუჯს მიუვიდ კარზედა.
  - 10 ორუჯმა კარგად მიიღო, მალლა დასვესო სკამზედა.  
— მარტო რათ დახვალ, მეითო, თავი რათ მოგწონს ჭკვაზედა.  
ცუდია მტრისა ღალატი, წინ ჩასაფრება გზაზედა.  
— ხელ უქცევლივ ვერ მაპკლავენ, თუ იარად შემრჩა ტანზედა.  
ადგა მეითი, წავიდა სარიჯას გუმანაზედა.
  - 15 მასპინძელ თანა გაჰყვება — სირცხვილ დამედებ თავზედა.  
გადავიდნენა სარიჯას უზუნდარისა მთაზედა,  
ცხრანი სხედანა ურჯულო, თულათ გასული ველზედა.  
ხედ მისვლა მეით გაბედა, ორუჯ არიგებს ჭკვაზედა:  
ბრაციულად ნუ მიხვალ, მეით, ღალატ სწადიანთ ჩვენზედა...

- 20 მეითმა არ დაიშალა — წერა, დაქშუის თავზედა.  
სტუმრულათ მაგათ ეწვია, სალამს მისცემდა ჰკეზებდა.  
ღალატის მღომიაგესა ალი დახეივა თავზედა.  
გვერდით მასპინძელ ატირდა, ცრემლებ ჩამოსდის ყბაზედა.  
— ცოცხალსა ნურც მე გამიშვებთ, აუგს იტყვიან ჩემზედა,  
25 — მასპინძელ გვერდით მოუყლა, მკვდრები დაყარა მზეზედა...  
კობხათა მიღგ-მოდგებოდა, შაჰდა მეითის ცხენზედა,  
ცხენი უკანა ტრიალებს, ვერ დააყენა გზაზედა:  
— რა იქნა ჩემი პატრონი, რად არა სჩქამობს ჩემზედა?  
— პატრონი მტერმა მოგიყლა. უორან დაჰყეფის თავზედა.  
30 — აქ რას დამეფეი ყორანო, დაჰყეფ წინამხრის გზაზედა,  
აღვანსა ჩქამი დაყარე, ძირსა დაჭეკი ბანზედა.  
მითხარი ჩემსა მეუღლეს: სულ არ იტიროს ჩემზედა,  
სიზმარ, ქალო, აგიცხადდა, შავი ჩაიცივი ტანზედა.  
ახლა მითხარი დედ-მამას: ცრემლს არ შიშრობს თვალებზედა.  
35 მეითი მტერმა მოგიყლათ, ცა ჩაჰოგექათთ თავზედა.  
ბევრს მტერსა გაუხარდება — გალალდებიან თქვენზედა!  
მსმენელნო, ქება რათ უნდა მტრის ხელით მომკედარს ველზედა!  
დაღიეთ შაანდობარი, საც იყვენ ღეინის სმაზედა...

ჩამწერი გომელაური. ც. არქ., ფ. 1446, № 689, გვ. 78. ეს უფრო ვრცელი ვარიანტია, მაგრამ რაკი სათანადოდ ვერ არის გამართული, ძირითად ტექსტებში არ შევიტანეთ.

### 335. ამგობან დაღესტანშია

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 80—81. ლექსი ძირითადად ლეკიანობის მომძლავრების ამსახველია. თუ ლექსის ბოლო სტრიქონები კონტრამინაციის წესით არ არის შემდეგ დაკავშირებული მთავარ ამბავთან, მაშინ მისი დათარიღება შეიძლება მე-17 საუკ. შუა წლებით, როდესაც შაჰ-აბაზმა კახეთში ჩაასახლა თურქმენი მომთაბარენი და გამაავრებინა ალავერდისა და ბახტრიონის ციხეები (საქ. ისტ., I, გვ. 348). ლექსის ბოლო სტრიქონები ამსახველია დადგენილი ინტორიული ფაქტებისა, მაგრამ ძირითადი სიუჟეტი, როგორც აღვნიშნეთ, ლეკიანობის მომძლავრებასთან არის დაკავშირებული, რაც სხვა საგმირო ლექსშიც არის ასახული.

### 336. ჰანია

ჩამწერილი ხევში. მოხ., გვ. 123.

### 337. გორგოშვილის გირობა

ქართლი, ქსნის ხეობა. ჩამწერი გიორგი ნათაძე. ნათ., № 14, გვ. 17.

კახეთი. პანკისი. ჩამწერი იოს. ახვლედიანი. კოტ., გვ. 190, ახ. გამოც., გვ. 215.

## 339. პაპაცი

ჩამწერილი ფშავში. უმიკ., № 37, გვ. 44, ახლავს შენიშვნა — სტრიქ. 34 — აქ სიტყვები აკლია. იქვე.

## 340. წარუველთ გოგი

ჩამწერილი სოფ. ენისელს აღმატელის თქმით 1863 წ. აწერია — თუშ — (ე. ი. თუშური. ქ. ს.) უმიკ., № 39, გვ. 45.

ტექსტს ახლავს შენიშვნები. სტრიქ. 1 — დიქს — ძირს. სტრიქ. 13 — ბიგაი — განთქმული ლეკი ყოფილა. სტრიქ. 25 — ტვერ — ლეკების სოფელი.

## 341. თუშის ცხენი

ჩამწერი ივ. ბუქურაული, თაყ., I, გვ. 53. იგივე ტექსტი ოდნავ შეცვლილი სახით დაბეჭდილია. კოტ., გვ. 137. ახ. გამოც., გვ. 143.

ლექსი ბევრის მხრივ არის საგულისხმო: 1. ლექსის მიხედვით მეომარს, გმირს საგანგებოდ გაწვრთნილი ცხენი უნდა ყავდეს. ის არც საჭირითო უნდა იყოს, არც სამწყემსო, არამედ საომარი. 2. ლექსის ბოლო სტრიქონები მიუთითებს ქალების როლზე საგმირო პოეზიის შექმნასა და გავრცელებაში, მიუთითებს აგრეთვე საგმირო ლექსის შესრულების გარემოზეც.

## 342. დიდოს გამეფდა შადური

ჩამწერილი ხევში. მოხ., გვ. 129.

## 343. ინდუთას ხუცის ციხაო

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, გვ. 74, ასახულია თუშებისა და ლეკების ბრძოლა. უკანასკნელი სტრიქონი აკლია.

## 344. თუშები საქორაოდ

ჩამწერი ბეს. გაბური, შან., № 243, გვ. 110, ახლავს, აკ. შანიძის შენიშვნა. „ამისი დასაწყისი 24 ნომრისას მოგვაგონებს (იგულისხმება საისტორიო ლექსი „ხევსურები ბახტრიონის ომში“, შან., გვ. 9, ქ. ს.). აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ისიც, რომ თუშურ ვარიან-



ტში („აქ. კრებ.“, № 11, 1900) ლექების ნაცვლად ფშავლებია გამო-  
ყვანილი. იქვე, გვ. 479.

345. ამბოგან, არა სტაჟიან

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 73, გვ. 95.

346. რჯულიანსა და ურჯულს

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 46—47.

347. ლეჰნი წამოვლენ ლეჰთით

მთქმელი შიო სისაური ლიქოკელი 82 წლის. ჩამწერი გ. ლომთა-  
თიძე, ლიტ. მუზ., 20031—ბ, ყ—333, გვ. 36.

სათაურად აქვს „ხევსურული ლექსები“. იგივე ტექსტია ლიტ.  
მუზ.—20058, ყ—339, გვ. 82.

348. ბიჰო, ვინ მოხვალ შინიდან

ხელნაწ. ინსტ., 2017. ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 3 — ნაქერა-  
ლი — მთა არის თუშებისა; სტრიქ. 10 — კიდუკი — მთა არის ნაქე-  
რალის გადაღმა; სტრიქ. 11 — ოლოხანა — სახელია ლექების ბელა-  
დისა.

349. ვეზუში უშიძის შვილი

მთქმელი დარიკო გარსევანიძე. ზემო ალვანი. ჩამწერი იოს. ლონ-  
გიშვილი. 22.VII—1961 წ. ფ. არქ., კ. 20, გვ. 461.

350. ავარდა ერთი ურჯულო

მთქმელი გ. ჭინჭარაული. ხახაბო. ჩამწერი ალ. ჭინჭარაული. ჭინ-  
გვ. 378.

351. ბალაქნიდან წამოვიდა

მთქმელი ალექსი პატარკაციშვილი. კახეთი სოფ. შაშიანი. ხელ-  
ნაწ. ინსტ., 1992, ია, № 160. პირველი ექვსი სტრიქონი, როგორც და-  
მოუკიდებელი ტექსტი, დაიბეჭდა — უმიკ., № 115, გვ. 83. მთქმელი  
ლ. მათიკაშვილი, ჩაწერილი კახეთში.

ქ ა რ თ ლ უ რ ი

ბ

ქარში ლექმა დაიკვება; წავალ, კახეთს შავისწავლი.

იქ რო ლამაზი ქალია, იმის სახელს დავისწავლი.

- კახის ბიჭმა თავში ჩაჰკრა: — შენ კახეთს ვერ შეისწავლი,  
ან დაგარჩობს ალაზანი, ან იორი, შავი წყალი,  
5 თუ იმასაც გადაურჩი, კახეთს მოგეპტრება თავი.  
ჩამწერი თ. რაზიკაშვილი, თაყ., I, № 1297, გვ. 370.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- ქარში ბიჭმა დაიკვება: წავალ, კახეთს შევისწავლი.  
კახის ბიჭმა შუთვალა: შენ კახეთს ვერ შეისწავლი,  
ან წავიღებს ალაზანი, ან იორი, შავი წყალი,  
თუ იმასაც გადაურჩები, ჩემს ხმალს ვეღარ მოურჩები.  
ჩამწერილი კახეთში, უმიკ., № 117, გვ. 84.

### 352. იარე ბიჭო

- ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 9, გვ. 378; ქრესტ. II,  
№ 29, გვ. 13. ასეთივეა — კოტ., გვ. 60. ახ. გამოც., გვ. 79.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

### ბ

- წავიდეთ თუ კი წამოხვალ, გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო.  
ჩამოგვივლიან ლეკები, პირიქით დაღესტნისაო,  
ვინც რომ იმ გზასა მოკვდება, მისთვის სამოთხე მზისაო.  
მთქმელი ვ. გოგოლაშვილი. ქართლი. თელათგორი. ჩამწერი  
ა. ლომთაძე. 8.VIII—61, ფ. არქ., ქ—71, გვ. 101.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

- იარე, ძმანო წავიდეთ, გზა შევკრათ ჩვენი მტრისაო,  
ლეკები ჩამოვივლიან პირიქით დაღესტნისაო.  
დავეცეთ და დავეცეთ ხანჯალი, შაშვივით აღებს პირსაო.  
თორმეტი ლეკი მოგეკლა, თორმეტი გუდალხანაო,  
5 იმათი ბარგი, ბარხანა მოგქონდა ჩქარა-ჩქარაო.  
გაგონილი ყვარელში. ხელნაწ. ინსტ., H—1992, № 166.

### დ

- სუ ერთიან შაიყარა კატეხი და ბელაქანი,  
ლეკებს ჩხუბი მოუვიდათ, იქ რო ერთი წყალი ართ.

სამი ლეკი წამოვიდა ტატუცი და მდარიაო.

წინ ძროხამ ჩამოიარა, უკან მოძღვეს ცხვარიო.

- 5 იმაპ რო ბიკი მოძღვედა ლამაზი და მგვარიო,  
პტაცეს ხელი, დაიჭირეს, გაატარეს გზანიო,  
პატარა კაცმა ქვეხიშვილმა შორს შაასწრო თვალიო,  
ცხენსა ლაგამი ამოძლო, წინ შაასწრო მალიო.

ასეთი წამოურბინა ბურბუშელა ქარიო!

- 10 „ლეკო ბიკი დამანებეთ, დაგილოცოთ გზანიო!...“  
„ჩვენ ბევრი ბიკი გვინახავ შენზედ უფრო მალიო“,  
ესროლა და გადმოაგდო სულ ბელაქნიკ თვალიო.

ივ., № 49, 1889 წ. ახლავს განმარტება: სტრიქ. 1 — კ ა ტ ე ხ ი —  
ს ო ფ ე ლ ი ა.

### 353. ტყვეების დაპყრობინება

ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. შან., № 132, გვ. 50.

### 354. ლეკეთში არი ყრილობა

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 72—73.

### 355. ნუშც იხდის

ჩამწერილი თიანეთში. კოტ., გვ. 78. ახ. გამოც., გვ. 95.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

ნუშც იხდის ხევსურთშვილები ნახადსა ბადისასა,  
სამჯერ გაყიდეს ბადაი, ფასს ვერ იღებენ ტყვისასა.

მეოთხედ დაღისტანშია სულს აბნევს კახეთისასა,  
არ დადგა, გამაიპარა, მადლსა ახსენებს ლეთისასა.

- 5 წყურვილის შაწუხებული ნამსა ლოკს ბალახისასა,  
შიშხილის შაწუხებული ქუჩისა სძოვს მალალ მთისასა.

წინაც კაც შამაეყრება, სულს აბნევს ბუსურბნისასა,  
დასვა და პური აქმია, დანდობას დახე მტრისასა,

მემრე გზა ჩამაასწავლა, ჩასაეღეთს ჩაჰყევ შვისასა.

- 10 დღე არია თუ ღამე(ა), კაცი მასწავლე ლეთის მადლსა,  
გურჯო, დღევ არის, მზეც არის, ძალს უქნავ შიშხილისასა.

მთქმელი გ. ზურაბაული. სოფ. ომარიათი. ლიტ. მუშ., 20053—ხ.  
ყ—338, გვ. 19. სათაურად აქვს „ხევსურული ძველი ამბავი“.

ბ ვარიანტს იმეორებს: მთქმელი ი. ლომაშვილი. ჩამწერილი ჩა-  
ბანოში თ. გოგოჭურის მიერ 2.VII—1961. ფ. არქ., კ. 30, გვ. 297. გან-  
სხვავება: აკლია — სტრიქ. 5..

ჩაწერილი ქართლში თედო რაზიკაშვილის მიერ. თაყ., I, გვ. 196, № 90.

შეტანილია ლექსების ციკლში, რომლის საერთო სათაურია: „ლექსები ლეკებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე“.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

## ბ

შენი გამჩენის ჰირომე, ქალაქში ოქრომკედლო:  
თუ ეგ თოფი არ მოგეცა, ლეკები დამიპერდნო.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, გვ. 196, № 90.

## ბ

მთქმელი გიორგი ედიშერაშვილი სოფ. ხოვლე. ჩამწერი ანეტა კაპანაძე, 1915 წ. ხელნაწ. ინსტ., H—1940, გვ. 10.

## 357. ნინია გოგლიაშვილი

მთქმელი თ. დობაძიშვილი. თიანეთის რაიონი, ს. თოლენჯი. ჩამწერი დ. წერედიანი 9.VII—1961 წ. ფ. არქ., კ. 27, გვ. 132.

## 358. ტყველ წაიხვანის

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., № 87. გვ. 196. შეტანილია ლექსების ციკლში „ლექსები ლეკებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე“. ტექსტს ახლავს შენიშვნა — სტრიქ. 1. — ცისი — სოფელი ქართლში — იქვე.

## ბ

ლეკებმა რო დამიპირეს, თავზე მომაბეს წნელია,  
პირიქითოში გამყიდეს, დაჯექ, თამაში ქენია!  
ურჯულო მეუბნებოდა: — „ეგ შენთვინ არაფერია.  
შენ უნდა კალო გალენო, დაარონო კვერია!“

5 ავდეგ და გამოვიპარე, ლამე გავტეხე ბნელია.  
ერთსა რუს პირსა მოვადექ, ჩალა იღვა და ლელია.  
მე იქ რა გამაძლებინებს, ირევა ბევრი გველია.

ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., I, № 84, გვ. 195.

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 68—69. ეს ლექსი შინაარსით ისეთივეა, როგორც ქისტებთან შულღის ამსახველი „ხოხობზედ“. წარმომართ შეიძლება ისინი ერთი იყოს. ამ ტექსტში ლექიანობა ასახული. ფშაველი გმირი გიგლია იხსნის ლექების მიერ გატაცებულ ქალს.

დ. ხიზანაშვილის ფშაური ლექსების გამო დაწერილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში ვაჟამ აღტაცება გამოთქვა ამ ლექსში ასახული საგმირო იდეალის გამო. შემდეგ პოეტმა თითონ გამოიყენა ეს ლექსი წყაროდ პოემისათვის „გიგლია“.

ტექსტს ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 2 — დიკლო — სოფელი თუშეთში. ლექსს სათაური მივეციოთ მოქმედი გმირისა და სხვა ვარიანტების მიხედვით.

## ფ შ ა უ რ ი

### ბ

- ვინა ხარ გულ-ჭირიანი, დიკლოს ვინ ბრუნავ ბანზედა?  
 ზამთარს ჩამოლევ ჭირითა, გაზაფხულს წახვალ ცდაზედა.  
 საბუღებსა ჰკითხავდა: — ლენი დიან გზაზედა?  
 — თუ მკითხავ, გურჯო, გიამბობ, თუ წამოსულხარ ცდაზედა:  
 5 მუდამ მოდიან ლექები, დაუჯე სპოვრის წყალზედა...  
 ლექებს ქალ წამოეყვანა. ტყეე მოტიროდა გზაზედა.  
 — ნუ სტირი, ქალო ბეჩავო, ხიბლაი გიზასთ გზაზედა,  
 თუ ლექებს წაგაყვანიხო, სწორნიმც ნუ დამსმენ ჯარზედა;  
 ხუთთ ერთივით თავ ვერ მოვქრა, გამცვალეთ კახის ქალზედა...

ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს., გვ. 70. ტექსტს აქვს შენიშვნა: „ეს მეორე ვარიანტია წინა ლექსისა“ (წინა ლექსია ძირითადი ტექსტი. ქ. ს.). იქვე არის ტექსტუალური შენიშვნა — სტრიქ. 7 — ხ ი ბ ლ ა ი — ვ ა ჟ ე ა ც ი ს ს ა ხ ე ლ ი.

### ბ

თითქმის ემთხვევა ძირითად ტექსტს. განსხვავებანი: სტრიქ. 1 — გ უ ლ ჯ ა ვ რ ი ა ნ ი; სტრიქ. 10 — მ ო თ ა მ ა შ ო ბ ე ნ გ ზ ა ზ ე დ ა; სტრიქ. 18 (ვარ. 16) — წ ვ ე რ ი ნ უ მ ც ე ს ხ მ ი ს ყ ბ ა ზ ე დ ა; აქლია — სტრიქ. 13—14; 21—32.

ჩარგალი. ჩამწერი ვახტანგ რაზიკაშვილი. 1924 წ. ფშ. ხევს., გვ. 82. სათაურად აქვს „გიგლია“.

ვინ არის პირისუფალი, ხირკლავი იდგა ბანზედა,  
ზაფხულის ეძებს ლეკებსა, ზამთრის წაეალის ცხორზედა.  
ჰკითხავდა საბუელებსა, ლეკნი საითა დიანო?  
საბუელები ჭიელნი არას ეტყოდნენ სწორზედა.

- 5 ახლა უფროსთა ჰკითხავდა, აძრახდებიან ჰკოზებდა.  
თუ გეკითხავ შეილო, გიამბობთ, მოგივლენ ხაშმის წყალზედა.  
ქართლით მიუდით ტყვეები, ქალი მოტირის ძალზედა,  
მოუყავსთ ის ფეხშიშველი ამ თვირთვილიან გზაზედა.  
ცეცხლი დაინთეს ლეკებმა, შემეხევივინენ განზედა,  
10 ხირკლავის თოფი გავარდა, ლეკი დაჰყუდა მხარზედა,  
ახლა ხმალდახმალ გაღვიდა, ზედ გაიარა მკვდარზედა.

მთქმელი მთიული ვანო აფციაური. ჩაწერილი ქართლში, ს. ტყემ-  
ლიანში ანეტა კაპანაძის მიერ, 1915 წ. ხელნაწ. ინსტ., H—2449,  
№ 83; H—1940, გვ. 26. ეს ტექსტი, როგორც მთიულური, შეტანილია  
ვირსალ., № 44, გვ. 123. სტრიქ. 3, 4 იყო ა ბ უ ე ლ ე ბ ი, შევასწორეთ  
ს ა ბ უ ე ლ ე ბ ი, მთიული მთქმელისათვის, როგორც ჩანს, უცნობია  
კანეთის სოფლის სახელწოდება — ს ა ბ უ ე.

თ უ შ უ რ ი

ე

დიკლოს ვინამ ხარ პატრონი, ვინამ დაჰბუი ბანზედა,  
ზამთარსა დაჰლევ ჰკირითა, გაზაფხულს ჩახვალ ცხვარზედა?  
ჰკითხავდი ხახაბოელებს, მტერი სად დადის გზაზედა.  
ვინამ ხარ ჰკირის პატრონი, გეტყობა ლაპარაკზედა;

- 5 თუ ჰკირის ხარ მაძებარი, ლელეს დაუჭექ წყალზედა;  
იქ გადადიან ასახოელნი, ხაშმით ტყვებ მიუდით ძალზედა.  
ქალი მოჰყვანდათ ხაშმელი, დილას თირთვილიანზედა;  
იქნებოდ ფეხშიშველი, ცრემლებ მოზდიოდ ყბაზედა.  
შეხვდა, გაიცინა ბელადმა: „ბრალი არ ვიცი ტყვეზედა“.  
10 — ნუ სტორი, ქალო, ხაშმელო, ფხიკლია გიზის გზაზედა;  
თუ ლეკებს წაგაყვანინო, წვერი ნუ მსხმია ყბაზედა.  
ჭერ თოფი დაჰკრა ბელადსა, ხელი მოისვა ხმალზედა,  
შესწირა თავის მამასა: „მამავ, გაგზავნე წყალზედა“;  
მეორე ნაჟღადიძესად: „ვებუს დაგვიგდეთ გზაზედა“;  
15 მესამე ივანაიძესად: „ლას მოგვიკლეთ ცხვარზედა“.  
მეოთხეს ნაჰერ აყოლ: „სულთს იქნები ჩემზედა“!  
დაადგდებინა ხაშმელი, მამას მოჰგვარა კარზედა.  
დედამა სკამი მოართვა, ფხიკლი ჩამოჭდა სკამზედა;  
მერე მოართვა ხალათი, ფხიკლიმ ჩაიცო ტანზედა;  
20 მამამა ცხენი უბოძა, ნაბამი იყო ჰქვარზედა,  
გადმოატარა ცივ-გომბორს, შინ მოველოდა წამზედა!..

ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ., I, № 79, გვ. 101. ტექსტს სათაურად აქვს „ფხვიკლასის მიერ ტყვე ქალის გათავისუფლება“.

### 3

მთქმელი დათ. ჩარხაშვილი. სოფ. ზემოალვანი. ჩამწერი ვ. ბუთლიაშვილი. ლიტ. მუზ. 20024—ხ, ყ—332, გვ. 180. მთქმელსა თუ ჩამწერს ამ ტექსტისათვის გადაუბამს ლექსები: „ხმალს ზვერავს გაფრინდაული“ და „თუშო ნუ ჩახვალ ხოშარას“. ეს ლექსებიც ამავე ნომრით არის დაცული არქივში.

### ზ

მთქმელი ლაზარე ლონგიშვილი. ზემო ალვანი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 24.VII—1961. ფ. არქ., კ. 23, გვ. 491.

## მ ო ხ ე უ რ ი

### ც

ვინ არის შურის მძებნელი, დიკლოს ვინ ბრუნავს ბანზედა.

ეგამც იქნება გიგაი, თავ-დადებული ძმაზედა.

ზამთარს ჩამალღვეს ჰირითა, ზაფხულის წავა მთაზედა.

დაიხვევს გულზე ხელებსა, თუშნი რო შველენ სმაზედა.

დაჰკითხავს საბუელღებსა, ლეკნი სად დიან გზაზედა.

რას ამბობ, ძმაო გიგაო, რამა შავშალა ჰქოზედა.

გიგავ, თუ გინდა ლეკები, ჩაუჭდე ჩეთმის წყალზედა.

მაგია იქ ძმის მამკლავი, თუ გული გექნა ცდაზედა.

ლეკებს მოუდის ტყვეები, ქალი მათირის გზაზედა...

10 ქალო, ნუ სტირი, ქართველო, გიგაი გიზის წყალზედა.

თუ ლეკებს წაგაყვანიან, წვერი ნუ მესხას ყბაზედა,

ნუშე მითირებენ დედანი, თუშნიმც ნუ დამსმენ ქარზედა.

მიხყვა და ხოცა ლეკები, მკედარი დაწყო მკედარზედა,

მაბრუნდა სახელოვანი, ხელ აღებული თავზედა.

ჩამწერილი ხევეში. მოხ., გვ. 32. დაბეჭდილია სათაურით „გიგაი“. ლექსი საინტერესო ნიმუშია კონტამინაციისა. შერწყმულია სამი ლექსი: „ხოხობზედა“, „ვინა ხარ გულჰირიანი“ და „გიგა და გიორგი“.

360. ნანა თორღვანის ქალი

მთქმელი ილო მათიაშვილი. კახეთი, მარტყოფი. კოტ., გვ. 45, ახ. გამოც., გვ. 161.

## ქ ა რ თ ლ უ რ ი

### ბ

ატირდა თორღეის ქალი, თორღეის ქალი ნანაო,  
გაღმითა მსხდომმა ქისტებმა იქით გამკიდეს თვალიო,  
შვილნი ძმანი დამიხოცეს, სისხლისა ბრუნავს ტბანიო,  
ძმისა ხელ უბეს ჩამიწყვეს, ეგრე მატარეს ქალიო.

- 5 სალევოს შამამატარეს, უკან მამბრუნებს ქარიო,  
საყურ-ბეკედი დავლენე, ემით გაიგონ კვალიო.  
შენ მამაჩემო თორღეაო, ხმალი რად გარტყავ წელზედა,  
შაქრიფეთ თითო თუმანი, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო.

მთქმელი მ. ყველაშვილი. ს. ზაქარო, მცხეთის რ., ჩამწერი ა. ჯა-  
ლალოვი, 3.VII—1961. ფ. არქ., ქ—79, გვ. 2.

## კ ა ხ უ რ ი

### ბ

თუთა ატირდა წისქვილში, ანა თორღეის ქალია:  
შამამიცივიდნენ ლეკები, დაბრუნდა სისხლის ტბანია,  
ძმა, ძმისწული დამიხოცეს, ქალმა დავიკერ თმანია,  
ვიყარე საყურ-ბეკედი, ჩაველ, ჩავენიშნე გზანია.

- 5 რო წამოვიდეს მდეგარი, მაუკლავიდეს კვალია.  
ჩემ ქმარს უთხარი ხიწყვასა, ჩემ ძმას უჭიროს მხარია,  
ახლოს ნუ დაენდობიან, შორსა სჭრან ხაროვანია.

მთქმელი ვ. მიგრიაული. ჩამწერი მ. გობრონიძე. ნოსტე, 1961 წ.,  
ფ. არქ., ქ 65, გვ. 259.

## ფ შ ა უ რ ი

### დ

ტუტილელ წისქვილში ასტირდა ნანა თორღეის ქალიო,  
შემომიცივიდნენ ლეკები, გამომიჯარეს კარიო.

შინში მომიკლეს ლევანი, დაბრუნდეს სისხლის ტბანია.  
ხელ დასჭარეს, უბეს ჩამიწყვეს, იმით დავიკერ თმანია.

- 5 გამართეს სალევეთოთა, უკან მამბრუნებ ქარიო,  
დავსტებე საყურ-ბეკედი, მით შევნიშნენი გზანია.  
დევრათ წამოსულ ბიკებმა ეგებ შეავდონ თვალიო,  
ჩემსა ქმარიას უთხარით, ჩემს იმედთ ნულარ არიო.  
რჭულიანთ ხელუხლებელი, ურჭულოთ ნებას ვარიო.
- 10 მაგ თავის ბიძაშვილებმა ეგებ უჭიროს მხარია.  
თუ ბარათ ველარ ჩამოვლენ, მთიდან წაუსხან ცხვარიო.



მთქმელი გიორგი მესაბლიშვილი, 20 წ. ს. ყვარელ-წყალი. ჩამწერი ა. ხახანაშვილი, 1888 წ. ხელნაწ. ინსტ., ალ. ხახანაშვილის არქ., № 78, უბის წიგნაკი, № 12, 37.

## 2

ჩამწერი სიკო თურმანაული. 1935 წ. ლიტ. მუზ., 20024—ხ, ყ—332. ახლავს შენიშვნა: „ლექსი გაგონილია ფშავში. იმ დროს არის ნათქვამი, როდესაც ლექებს ტყვედ მიჰყოლებია ხალხი და ეს ქალიც ტყვეთაგანია, რომელსაც თვით გამოუთქვამს ეს ლექსი“.

სათაურად აქვს „ატირდა თორღეაის ქალი“.

## ხ ე ს უ რ უ ლ ი

### 3.

- ატირდა ტუტილ წისქვილში ნანა თორღეაის ქალიო;  
„შენ, მამა ჩემო თორღეაო, ნუმც შეგიბამის კმალიო!  
ნუმც გიკოცავის ლეკები, ნუმც გიზიდნავის ქელიო!  
ხუთშაბათს თენებაზედა ქალსა დამეცნეს ცანიო.
- 5 მე თუშიშვილებ მეგონა, ლეკო შამამიწყვეს ჭაროო;  
ჩამიკონიან ძმა-შინშნი, მიბრუნვენ სისხლის ტბანიო;  
ქელს დასქრნეს, უბეს ჩამისხნეს, ქალამ დავიკრენ თმანიო;  
მავლიეს ფეკ-შიშველასა თვირთვილიანნი მთანიო;  
ქავთრის მთას გადასაესა უკუღმა ბრუნებს ქაროო.
- 10 ეგ ქარიც არა ყოფილა, ქალისა ცოდო-ბრალო.  
დავწყე საყურ-ბეჭედი, მამულთ უღრშენ გზანიო;  
წამოვა თუშიშვილები, აგებ მაქელან კვალიო.  
რჭულიანთ ქელ-უკადრები აწ ურჭულომე ვარიო.  
უთხარით ჩილელებსა: ხახონს უკირონ მქარიო!
- 15 ხახონიშვილო ნებიერ, თოფს დაუპირე ტალიო!  
ჩემმა საქმარემ ხიწვამა მალა შაიბას კვალიო!  
თუ სოფლად ვერ დაიწონენ. მთას უდგას. უქრან ცხვარიო!  
შუალამისას მავიდან ხახონის თოფის კმანიო;  
დილას დასინჯეთ, ლეკებო, ხიწვაის ნახანჯრალიო!

მთქმელი ბათაკა არაბული. ხევსურეთი. ჩამწერი ნ. ურბნელი, ივ., № 32, 1888 წ. შან. № 163, გვ. 64. ამ ვარიანტთან დაკავშირებით აკ. შანიძე აღნიშნავს: „ნანას ტყვეობიდან დახსნის ამბავზე ბაჩანამ პოემა აავგო ამ სათაურით „ნანაის სიმღერა“ (ივ., 1900, № 93). ამ პოემაში შეტანილია ხალხური სიმღერის ერთი (ფშავური) ვარიანტი“.

## ზ

ჩამწერი ე. ბალიაური. შან., გვ. 426.

ჩამწერი ბეს. გაბური.

ახლავს აკ. შანიძის შენიშვნა: „ეს არის ძველი ლექსი თქმულე-ბის თანახმად გავრცობილი ბესარიონის მიერ. როგორც იგი აღნიშ-ნავს, მმ. 5—20 ძველია, დანარჩენი კი მისი დამატებულია. ნანას ლე-კეთში ტყვეობის ამბავი ბესარიონისთვის უთქვამს სოფ. გირავში მცხოვრებელ თუმს რევაზ ქელეხიძეს ქ. ადესაში 1910 წ. (სალდათო-ბაში). ეს ამბავი ბესარიონს ჩაუწერია 1928 წ. და ზემორე მოყვანილი ლექსები, გაგონილი, თუ მის მიერ შედგენილი, შიგ გაურევია. ამ მო-თხრობის თანახმად, თითქოს თორღვას ქალი ნანა ტყვეობიდან გამოე-ტაცნოს ნანას ბიძაშვილს ხახონს და საქმარეს ხიწვას, რომელიც ამ დროს თითქოს დაჭრილა კიდევ.“

ნანას ტყვეობიდან გამოტაცების ამბავი ზოგ ვარიანტში მართ-ლაც არის (მაგ. Bu, № 7; R ფ 210; დ. მოლოდინაშვილი: ივერია 1898, № 280).

ხვესურულ ვარიანტებში ნანა ატირებულა „ტუტილ წისქვილ-ში“, მაშინ როდესაც სხვა ვარიანტებში სხვაგვარად იკითხება: „თუ-თილთ წისქვილზე“ (A, აკაკის თვითური კრებული, 1900, № 3—4), „თუთა ატირდა წისქვილსა განა თორღანის ქალია“ (ანა კაპანაძის მიერ ქართლში, სოფ. ვარჯანში, ჩაწერილი: ხელნაწერი № 2449, სა-ისტ. და საეთნ. საზოგ. ფონდიდან), „ტუტარიკს წისქვილს ასტირდა“ (Bu, № 8), „ტუტარიკ წისქვილს ატირდა ნანო... (Ge), „თუშეთს წის-ქვილში ატირდა“ (Ro, მოამბე, 1897, № 3), „ჩილოს წისქვილში ატირ-და“ (Bu № 7; R ფ 210), „ჭიმლოს ატირდა წისქვილში“ (D), „კისტანს ატირდა ქალია“ (T ფ<sup>1</sup>), „ფარსნა სოფელში ატირდა“ (Mr, ერთ ვარი-ანტში; მეორეში ადგილი არაა დასახელებული); „ანდარეზაზე მოტი-რის“ (T ფ<sup>2</sup>), „წისქვილის კარზე ატირდა“ (T ფ<sup>3</sup>), „დაღმართ წისქვილ-ში აეტირდი დედუნ თინაძის ქალია“ (დ. მოლოდინაშვილის მიერ ს. ბაზალეთში ჩაწერილი: ივერია, 1898, № 280), „უთურის წისქვილს ქალი ატირდა: თორღვას ნათელ ვარიო“ (Ac, კვალი, 1897, № 15).

მარტო დასაწყისი რომ ამდენ განსხვავებულობას გვიჩვენებს, თვით შინაარსი აბა რამდენად იქნება!“, შან., გვ. 426—428.

თ

მთქმელი შიო სისაური. ლიქოკი. ჩამწერი გ. ლომთათიძე, 1935 წ. ლიტ. მუზ., 20031—ხ, ყ—333, გვ. 104, ახლავს შენიშვნა: „თუშები გაპყოლიათ საყურ-ბეკედის ნამსხვრევეებით დანიშნულ გზას. მისდგო-მიან ციხეს, რომელშიაც ლეკებს ჰყავდათ ტყვე თუშის ქალი. ქალმა სარკმელიდან დაინახა თუშები, უმღერნია ეს ლექსი. სიმღერა გაუგო-“

